

საქართველოს მეცნიერებათა
ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის
ირაკლი აბაშიძის სახელობის
მთავარი სამეცნიერო რედაქცია





საქართველოს ისტორიისა და კულტურის
ძეგლთა აღწერილობის რედაქცია

სარედაქციო საბამომცემლო სამეცნიერო საბჭო:

ზურაბ აბაშიძე, ავთანდილ არაბული, ბიორგი კვესიტაძე, როინ მეტრეველი, დავით მუსხელიშვილი, თამაზ სანიკიძე, კიაზო ფიცხელაური, რამაზ შენგელია, რამაზ ხუროძე, ვახტანგ ჯაფარიძე

წიგნის მთავარი რედაქტორი: თამაზ დვალი

არქიტექტურისა და მონუმენტური ხელოვნების ძეგლების შესახებ მასალები მომზადდა

ბ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის მიერ

© ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

© ბ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრი

ISBN 978-??????

წიგნის გამოცემა შესაძლებელი გახდა „საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის“ დაფინანსებით



1-IV საქართველოს ისტორიის და კულტურის ძეგლთა აღნერილობა

ლაგოდეხის, სიღნაღის მუნიციპალიტეტები

თბილისი 2021

GEORGIAN NATIONAL ACADEMY OF SCIENCES

GEORGIAN ENCYCLOPAEDIA
IRAKLI ABASHIDZE CHIEF EDITORIAL BOARD

EDITORIAL BOARD OF THE DESCRIPTION OF
THE MONUMENTS OF GEORGIAN HISTORY
AND CULTURE

DISCRIPTION OF THE MONUMENTS OF GEORGIAN HISTORY AND CULTURE

BOOK 1-IV

TBILISI 2021



1–IV

ლაგოდეხის, სიღნაღის მუნიციპალიტეტები



ბოდბის მონასტერი (II. 002). წმ. გიორგის ეკლესია. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

რედაქციისაგან

ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის რედაქციამ, გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნულ კვლევით ცენტრთან თანამშრომლობით, გამოსაცემად მოამზადა სამეცნიერო-საცნობარო, ენციკლოპედიური ხასიათის მრავალტომიანი გამოცემის – „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობის“ რიგით მეექვსე წიგნი, რომელიც ეძღვნება ლაგოდეხის და სიღნაღის მუნიციპალიტეტების ისტორიისა და კულტურის ძეგლებს.

გამოცემისათვის სპეციალურად გადამოწმდა საარქივო მასალა, საჭიროებისამებრ ხელახლა აიზომა რამდენიმე ძეგლი და განახლდა ათეულობით ნახაზი, ახალი მონაცემებით შეივსო სტატიების დიდი ნაწილი და სხვ. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ბევრ შემთხვევაში, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, რიგი ძეგლების მონახულება, აზომვა, და აქედან გამომდინარე, ჩვენ ხელთ არსებულ ნახაზებში იმ სახეცვლილების ასახვა, რომელიც ამა თუ იმ ძეგლმა რესტავრაციის შედეგად განიცადა, ვერ მოხერხდა.

ასევე აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში, კახეთში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, ინტენსიურად მიმდინარეობდა ხუროთმოძღვრული ძეგლების სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები. ხშირად ასეთ სამუშაოებს აწარმოებდნენ აღგილობრივი მაცხოვრებლები, რედაქცია კი მოკლებული იყო სათანადო ინფორმაციას. ამიტომ, შესაძლოა, ამა თუ იმ ძეგლის აღწერილობაში მისი აღდგენის ან შეკეთების ფაქტი არ იყოს მითითებული, რადგან ზემოაღნიშნულის დაზუსტება მთელ რიგ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ყოველივე ეს კი წიგნის დროული მომზადებისა და გამოცემის შეფერხებას გამოიწვევდა.

მუნიციპალიტეტების ძეგლთა აღწერილობას წინ უძღვის სქემატური რუკა, რომელზეც დატანილია ძირითადი მდინარეები, გზები და ის დასახლებული პუნქტები, სადაც არის ისტორიის და კულტურის ძეგლი. მუნიციპალიტეტებში შემავალი სოფლები განლაგებულია ანბანური რიგით. ასევე ანბანზეა განლაგებული როგორც ლაგოდეხში და სიღნაღში, ისე სოფლებში არსებული ძეგლებიც.

წიგნში არ შედის სიღნაღის მუნიციპალიტეტის ფარგლებში მოქცეული დავითგარეჯის მრავალმთის გამოქვაბული მონასტრების კომპლექსში შემავალი რამდენიმე მონასტერი. ისინი, როგორც ერთი კომპლექსის შემადგენილი ნაწილი, I-III წიგნშია მიმოხილული. ამ უკანასკნელის მომზადების დროს საჭიროდ მივიჩნიეთ, რომ ზემოაღნიშნული მონასტრების გამოცალკევება და „მიმაგრება“ სხვა ადმინისტრაციულ ერთეულთან, ან მუნიციპალიტეტის სოფლების რიგში, ე. წ. ცალკე მდგარი ძეგლის სახით, მათი სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული სახელით ანბანზე განლაგება, არ იყო სასურველი.

წიგნს აქვს შესავალი, რომელშიც მიმოხილულია კახეთის ისტორია, მხარის არქეოლოგიური და მატერიალური კულტურის ძეგლები. თითოეულ მუნიციპალიტეტს ახლავს მოკლე, საცნობარო სტატია. ცალკე სტატია ახლავს ასევე მუნიციპალიტეტების ცენტრებს და იმ სოფლების ნაწილს, რომლებზედაც შესაძლებელი გახდა ისტორიული ცნობების მოპოვება.

წიგნში ყოველ ერთეულს (ქალაქი, სოფელი, ძეგლი) მინიჭებული აქვს საკუთარი ნომერი (ინდექსი). კომპლექსში შემავალი ცალკეული ძეგლები (იქნება ეს ცალკე მდგომი ნაგებობა, კედლის მხატვრობა თუ მცირე ფორმის არქიტექტურის ძეგლი) მოცემულია დაყოფით. დაყოფითვეა მოცემული რომელიმე ძეგლის პარალელურად გამოყენებული ან ცნობილი, ძველი სახელწოდება (მაგალითად: I, 015. ღვთისმშობლის ეკლესია, „კირხა“, ან I, 026. წმ. ნინოს ეკლესია, ლ ა კ ო ს ე კ ლ ე ს ი ა , ან I, 037. მაჭის ციხე-დარბაზის კომპლექსი, თ ო ღ ა , თ ო რ ღ ვ ა , თ ო რ ღ ა და ა.შ.).

ძეგლის სახელწოდების შემდეგ მოცემულია დეფინიცია – თუ რა კატეგორიის ძეგლია იგი (მაგალითად: ისტ., არქეოლ., არქიტ., მონუმ. ხელოვნ. ძეგლი და სხვ. კატეგორიების ჩამოთვლისას უპირატესობა ეძლევა ძეგლის მთავარ მახასიათებელს).

წიგნს ერთვის: მრავალრიცხოვანი გრაფიკული ილუსტრაცია (ანაზომები, ნახაზები) და ფოტოსურათები; ანბანზე განლაგებული და დანომრილი, მთლიანად რეგიონის, ცალკეული ძეგლების ან ამა თუ იმ საკითხის შესახებ არსებული ბიბლიოგრაფია. გამოცემაში, ცალკეული სტატიის ბოლოს, ადგილის ეკონომიის მიზნით, მოცემულია იმ ბიბლიოგრაფიული ერთეულის ნომერი, რომელიც აღნიშნულ სტატიას ეკუთვნის (მაგალითად: – ბიბლ.: 20 ბ. აქ პირველი რიცხვით აღნიშნულია ბიბლიოგრაფიულ ნუსხაში მოცემული ბიბლიოგრაფიული ერთეულის რიგითი ნომერი – 20. ბერ-

ძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები; ასო ბ აღნიშნავს გამოცემის ტომს ან წიგნს. ე. ი. წგ. 2.

წიგნს დართული აქვს ანბანზე განლაგებული საძიებლები – პირთა, გეოგრაფიული და ეთნიკური სახელებისა, სახელიანი ძეგლების, მოხატული ეკლესიების. ამასთან, ეკლესიების ქრონოლოგიური საძიებლები. ასევე, გამოყენებული ილუსტრაციების სია, ფოტოსურათების ავტორების, ძეგლების აზომვითი სამუშაოების შემსრულებლების, სამეცნიერო პუბლიკაციების და იმ დაწესებულებების მითითებით, რომლებშიც ინახება ესა თუ ის ნახაზი ან ფოტოსურათი.

წიგნს, რა თქმა უნდა, არა აქვს სისრულის პრეტენზია. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიუხედავად ჩვენი დიდი მცდელობისა, რაც შეიძლება სრულად წარმოგვეჩინა მასში შემავალი ძეგლები, ალბათ მაინც გამოგვრჩა რომელიმე ძეგლი ან მოვლენა.

ვიმედოვნებთ, რომ საზოგადოების, დაინტერესებული პირების, განსაკუთრებით ადგილობრივი მმართველობის ორგანოების დახმარებით, შესაძლებელი გახდება მასალის შევსება და გამოვლენილი ძეგლები შევა აღწერილობის ბოლო, სპეციალურ, დამატებით წიგნში.

რედაქცია დარწმუნებულია, რომ წინამდებარე წიგნი, ისევე როგორც მთელი გასრულებული გამოცემა, დიდ როლს შეასრულებს ქართველი ხალხის ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა და ჩვენი სულიერი კულტურის პროპაგანდის საშურ და აუცილებელ საქმეში, როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ვფიქრობთ, წიგნი საინტერესო იქნება, როგორც მკვლევართათვის, ისე ხელოვნებითა და ისტორიით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.




საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა

წიგნი 1-IV

ლაგოდეხის, სიღნაღის მუნიციპალიტეტები

სოფ. ტიბაანი. სტეფანწმინდის მონასტერი (II. 148). წმ. სტეფანეს ეკლესია. ხედი სამხრ.-დას-იდან



კახეთი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი, ისტორიული მხარეა. მისი ისტორია, საქართველოს სხვა კუთხეებთან დამოკიდებულებისა და თვითმყოფადობის გათვალისწინებით, მეტად საინტერესო და მრავალფეროვანია.

სახელწოდება „კახეთი“ პირველად ძველ ქართულ, საისტორიო წყაროში – „მოქცევაი ქართლისაის“ ქრონიკაში გვხვდება. ლეონტი მროველის (XI ს.) თხზულებაში მოტანილი ლეგენდის თანახმად, ქართველთა წინაპარს ქართლოსს ხუთი შვილი – მცხეთოსი, გარდაბოსი, კახოსი, კუხოსი და გაჩიოსი ჰყოლია. მამის გარდაცვალების შემდეგ, შვილებს მისი სამფლობელო დაუნაწილებიათ. კახოსს რგებია მიწა-წყალი „კავკასიასა და კახეთის მთას შორის, არაგვიდან ვიდრე ტყე-ტბამდე, რომელ არს საზღვარი ჰერეთისა“. ისტორიული კახეთი დღევანდლისგან განსხვავებულ ტერიტორიას მოიცავდა. საკუთრივ კახეთის გარდა, მის შემადგენლობაში შედიოდა: კუხეთი, უფრო სამხრეთით – მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე გარდაბნის ქვეჯანა, ჩრდილოეთით – ხევი, თუშ-ფშავ-ხევსურეთი, დურძუკეთი და ღლიღვეთი, ანუ კავკასიის მთიანეთი, რომელსაც ქართული წყაროებით „მთიულეთი კახეთისა“ ეწოდებოდა.

აღმოსავლეთიდან კახეთს ჰერეთის სამთავრო ესაზღვრებოდა. მათ შორის საზღვარი ვეჯინისა და გავაზის დასავლეთით, ალაზნის ველს მიუყვებოდა. დასავლეთით საზღვარი მდინარე ქსანზე გადიოდა, სამხრეთ-დასავლეთით კი – მდინარე მტკვარზე. ისტორიულ პროცესში კახეთი, კულტურულად და პოლიტიკურად თანდათან ფარავს ჰერეთს. საერთოდ, როგორც ივანე ჯავახიშვილი აღნიშნავს, ტერმინებს „კახეთს“, „კუხეთსა“ და „ჰერეთს“ სხვადასხვა დროს სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა, შესაბამისად, „ქვეყანათა“ საზღვრებიც საკმაოდ ძნელად დასადგენი და არამყარია.

კახეთის ცალკეულ მხარეებს ეწოდებოდა: გარეკახეთი (მდ. ივრის შუა წელი), ქიზიყი (მდ. ივრის ქვემო წელი), შიგნიკახეთი (მდ. ალაზნის მარჯვენა სანაპირო) და გაღმამხარი (მდ. ალაზნის მარცხენა სანაპირო). უძველეს დროს კახეთი გაცილებით მცირე ტერიტორიას მოიცავდა (მდ. ივრის ზემო წელი, თიანეთსა და უჯარმას შორის), რომლის ცენტრი ჩელეთი იყო, IV საუკუნიდან – უჯარმა, XI საუკუნიდან – თელავი, XV საუკუნიდან – გრემი, XVII საუკუნის II ნახევრიდან – ისევ თელავი. საქართველოს დღევანდელი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით კახეთი მოიცავს მდ. ივრის შუა და ქვემო დინებისა და მდ. ალაზნის აუზს – ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს და სიღნაღის მუნიციპალიტეტებს.

კავკასიის გეოკლიმატური პირობები და მისი ბუნებრივი სიმდიდრე ათასწლეულების განმავლობაში განსაზღვრავდა და არეგულირებდა აქ მთისა და ბარის მოსახლეობის სამეურნეო ცხოვრების ძირითად მიმართულებებს. ამ მატერიალურ ბაზაზე წარმოიშვა კავკასიაში (მათ შორის კახეთში) ერთიმეორესთან მრავალმხრივ დაკავშირებული, არქეოლოგიური კულტურები, ჩამოყალიბდა აქ მცხოვრებ ადამიანთა უნიკალური ყოფა-ცხოვრებითი ერთიანობა.

კავკასია ადამიანის ისტორიის დასაბამიდან წარმოადგენდა ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი, ძირითადი გზების გზაჯვარედინს, რაც ხან



ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი. შავი კლდეების ტბა

ხელს უწყობდა ადგილობრივი კულტურების წინსვლას, ხანაც აფერხებდა მას. თუმცა, გარე სამყაროს ინტერესი კავკასიის მიმართ არ განისაზღვრებოდა მხოლოდ აქ გამავალი სატრანზიტო გზების მნიშვნელობითა და საჭიროებით.

დაწინაურებული მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის ფონზე, კავკასიაში იყო ისეთი ბუნებრივი სიმდიდრე (ლითონის უმდიდრესი ნედლეული და ამ ბაზაზე განვითარებული ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიული წარმოება), რომელიც მისი განვითარების უმთავრეს ბერკეტად და მის მიმართ მთელი გარე სამყაროს გაცხოველებული ინტერესის ფაქტორად იქცა. ათასწლეულების განმავლობაში სამეურნეო ცხოვრების სწორედ ეს მიმართულება უნდა ყოფილიყო კავკასიური კულტურის განვითარებისათვის უმთავრესი ბიძგის მიმცემი.

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში მდებარე კახეთის მხარე გეოგრაფიულად გამოცალკევებულია მდინარეების – ივრისა და ალაზნის ოროგრაფიული სისტემით და მატერიალური კულტურის მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება, ზოგადად იგი უძველესი, სამხრეთ კავკასიური კულტურების განუყოფელი ნაწილია და მხოლოდ მათთან ერთად, ერთ სისტემაში უნდა იქნას განხილული.

კახეთი მდიდარია როგორც მეტალურგიული წარმოებისათვის საჭირო ნედლეულით, ისე ნოყიერი ნიადაგებით, ნიადაგისეული საფარით – ტყის მასივებით, საძოვრებით და წყლის რესურსებით. ყოველივე ეს, ზემოიერ ჰავასთან ერთად, ადამიანის საცხოვრებლად და მისი სამეურნეო ცხოვრების განვითარებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს ქმნის.

როგორც ჩანს, კავკასიის ეს კუთხე ოდითგანვე გამოირჩეოდა ცხოვრებისთვის ხელსაყრელი პირობებით.

ამის საუკეთესო მანიშნებელი უნდა იყოს კახეთის სხვადასხვა მხარეში, უფრო კი ივრის ხეობაში (ვაშლოვნის ნაკრძალი, ტარიბნის ველი, დავითგარეჯის უდაბნო, გომბორის ქედის სამხრეთი ფერდები), აღმოჩენილი განმარხებული ცხოველების ძვლები, რომელთა შორის ინდივიდების მთელი ჩონჩხებიც გვხვდება (სპილო, მარტორქა და სხვ.). განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დავითგარეჯის უდაბნოში, ლავრის სამონასტრო კომპლექსის მახლობლად აღმოჩენილი პრიმატის კბილი, რომლის ასაკიც მეოტური პერიოდით განისაზღვრება.

ამ თვალსაზრისით ისიც მნიშვნელოვანია, რომ ვაშლოვნის ნაკრძალის ტერიტორიაზე, მასიური ტყის სახით, ცოცხლად არის გადარჩენილი მილიონობით წლის წინანდელი ხის ჯიშები, რაც მსოფლიო მასშტაბით უნიკალური მოვლენაა.


კახეთში საუკეთესო ბუნებრივი პირობები იყო ქვის ხანის ადამიანის ცხოვრებისთვისაც. ამაზე უმთავრესად მიგვითითებს ივრის ხეობაში, გომბორის ქედის სამხრეთ ფერდობებზე და ივრის ზეგანზე აღმოჩენილი ქვის ხანის ადამიანის რამდენიმე ათეული ღია სადგომი, სადაც მრავლად გამოვლინდა კაჟისგან დამზადებული იარაღები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გურჯაანის მუნიციპალიტეტის



ლაგოდეხის სახელმწიფო ნაკრძალი. გურგენიანის ჩანჩქერი

სოფ. ზიარათან აღმოჩენილი ადრინდელი ქვის ხანის ადამიანის ნაბინავარი, სადაც კულტურული ფენა დაურღვეველად, თავდაპირველ მდგომარეობაშია გადარჩენილი. მონაპოვარი მასალის მიხედვით, კახეთის ტერიტორიაზე ქვის ხანაში ადამიანი მუდმივად სახლობდა. აქ მისი ცხოვრების კვალი დაახლოებით ძვ. წ. 2 მილიონ 300 ათას წელსა და 10.000 წელს შორის უნდა განისაზღვროს.

კახეთში ქვის ხანის ძეგლებიდან ნეოლითის (ახალი ქვის ხანა) ხანის ძეგლები ჯერჯერობით არ არის გამოვლენილი. ამ მხარეში მათ არსებობაზე მხოლოდ რამდენიმე შემთხვევითი აღმოჩენა მიგვანიშნებს. საზოგადოების განვითარების შემ-



ქვის ხანის ადამიანის კაჟის იარაღები

დგომი საფეხურის, ენეოლითის (სპილენძ-ქვის ხანა) ხანის ნამოსახლარები კახეთში აღმოჩენილია მდ. ალაზნის მარცხენა ნაპირზე, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, სოფ. წითელგორის მახლობლად; გურჯაანის მუნიციპალიტეტში – სოფ. ჯიმითთან და სოფ. ჭერემთან. აქ აღმოჩენილია შენობათა მცირე კვალი და დიდძალი არქეოლოგიური მასალა (ხელით უხეშად ნაძერწი თიხის ჭურჭელი და ნახეხ-ნაპრიალები ქვის იარაღი), რომლებიც დათარიღებულია ენეოლითური ხანის დასასრულით. გამოვლინდა წმინდა სპილენძისგან დამზადებული ნივთის ერთადერთი ფრაგმენტი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ამ მხარეში მეტალურგიულ წარმოებას, შესაძლოა, ძვ. წ. ექვსი ათასი წლის წინ ჩაეყარა საფუძველი.


დავითგარეჯის უდაბნოს სამხრეთით, მტკვრის მარცხენა ნაპირას, ჯანდარის ტბის პირას, აზერბაიჯანისა და საქართველოს საზღვარზე აღმოჩნდა თიხის მრგვალი და ოთხკუთხა შენობებიანი დიდი ნამოსახლარი. მოპოვებული მაღალხარისხოვანი თიხის ჭურჭელი, რომლის უმეტესობა სამეთუნეო მორგვზეა დამზადებული. მცირე ტერაკოტული ქანდაკებები, თიხის საბეჭდავები და წმინდა სპილენძისაგან დამზადებული იარაღები, იმაზე მიგვანიშნებს, რომ აქ, ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარში, შესაძლოა მესოპოტამიიდან ემიგრირებული ხალხის დიდი ჯგუფი სახლობდა საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში.

კავკასიაში სპილენძ-ქვის ხანის ეპოქის შემდგომი პერიოდი (ადრინდელი ბრინჯაოს ხანა) ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე და III ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება. ამ დროს სამხრეთ კავკასიის მთელ ცენტრალურ ნაწილში გავრცელებულია ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურა, რომელშიც ერთიანდება იორ-ალაზნის აუზიც, დღევანდელი კახეთის ტერიტორია.

კახეთში ამ დროის ბევრი ნამოსახლარია ცნობილი, თუმცა, ისინი ჯერჯერობით სრულად გამოკვლეული არ არის. უკეთ არის შესწავლილი აქ გამოვლენილი სამარხეული ძეგლები. ძირითადად გათხრილია გორასამარხები დიდი ქვაყრილით, რომლის ცენტრალური ნაწილის ქვეშ უორმოო, საოჯახო, კოლექტიური სამარხებია განლაგებული, ხშირად მიცვალებულების ფერფლით. ზოგჯერ დასაკრძალავ დარბაზებს აღმოსავლეთის მხრიდან მიშენებული აქვს ქვის ფილებით ნაგები, გრძელი დერეფნები – დრომოსები, რომლებშიც შეწირული ადამიანების მთლიანი ჩონჩხები ან ჩონჩხების ნაწილებია მოთავსებული. კახეთში შესწავლილია იმდროინდელი, გრანდიოზული, კატაკომბური სამარხებიც, რომლებიც ქვის დიდი ყრილის ქვეშ არის განლაგებული.

სამარხებში დიდი რაოდენობით გვხვდება მიცვალებულისათვის ჩატანებული, მაღალხარისხოვანი თიხის ჭურჭელი, შედარებით იშვიათად – ბრინჯაოს იარაღი და სამკაული. ამ დროიდან სამარხეულ ინვენტარში გვხვდება ოქროს ნივთებიც, ძირითადად, სასაფეთქლე ხვიების სახით.

ცნობილია, რომ ადრინდელი ბრინჯაოს ხანის ე. წ. მტკვარ-არაქსის კულტურის შემდგომ, ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებში და მის მეორე ნახევარში, სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში მის ადგილს იმკვიდრებს ე. წ. მარტყოფული და ალაზან-ბედენური (ადრინდელი ყორღანული) კულტურები, რომლებიც მთლიანად მოიცავს



შირაქი. თიხის ჭურჭელი გორასამარხის კომპლექსიდან. ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრული

თანამედროვე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიას (კახეთის ჩათვლით) და დღევანდელი სომხეთის ჩრდილო ნაწილს.

კახეთი ამ კულტურების გავრცელების ერთ-ერთი ძირითადი



ჭაბუკიანი. ანანაურის გორასამარხი, სამკაულები. ოქრო. ვერცხლი. ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანა. საქართველოს ეროვნული მუზეუმი

მხარეა და ნიშანდობლივია, რომ პირველად სწორედ კახეთის მასალების მიხედვით დაისვა საკითხი ადრინდელი ბრინჯაოს ხანის მტკვარ-არაქსული და მარტყოფული კულტურების ქრონოლოგიური და გენეტიკური სიახლოვის შესახებ. ამ ორი ჯგუფის ძეგლების ქრონოლოგიური სიახლოვე დაადასტურა ივრის ზემო დინებაში, სიონის ნამოსახლარზე აღმოჩენილმა მასალებმა, სადაც მათთვის დამახასიათებელი კერამიკული ნაკეთობანი ერთი და იმავე კულტურულ ფენაში აღმოჩნდა. შემდგომ უკვე მათ გენეტიკურ კავშირზე საუბრის საფუძველი მოგვცა ანანაურის გორასამარხების კერამიკულმა მასალამ, ვინაიდან ეს ნაკეთობები ერთდროულად შეიცავდა ორივე კულტურის დამახასიათებელ ნიშნებს.

კახეთში როგორც მარტყოფული, ისე ალაზან-ბედენური კულტურების სამარხეული მასალა განსაკუთრებული სიმდიდრით გამოირჩევა. ამ დროის სამარხებში, როგორც წესი, მოზრდილ მიწისზედა ან ორმოში არსებულ, დასაკრძალავ დარბაზზე მოზვინულია ქვისა და მიწის დიდი ბორცვი, რომელიც სიმაღლით ზოგჯერ 20 მეტრს აღწევს, მისი დიამეტრი კი 200-250 მეტრამდეა. არის მათი თანადროული, შედარებით მცირე ზომის გორასამარხებიც, რომელთა კონსტრუქცია, ჩვეულებრივ, დიდი გორასამარხების იდენტურია. სამარხის ყრილის ქვეშ გამართულია ხის დიდი მორებით ნაგები, მიწისზედა, ჯარგვალური, დასაკრძალავი დარბაზი (ხშირად 10×10 მ), რომლის იატაკი და გადახურვა ხის მორების რამდენიმე ფენისგან შედგება. იატაკზე, ზოგჯერ, გეომეტრიული სახეებით, სხვადასხვა ფერად შეფერადებული ტყავია დაფენილი, გადახურვას კი სქლად ნაქსოვი ჰილოფი ფარავს. ზოგჯერ დასაკრძალავი დარბაზი მოზრდილ ორმოშია მოწყობილი, რომლის კედლები ვერტიკალურად მდგარი, მსხვილი მორებით არის გამოყვანილი. ხშირია დასაკრძალავი დარბაზის გადახურვაზე ადამიანის მსხვერპლშეწირვა, უმეტესწილად, სრულიად უინვენტაროდ.

ამ დროის განათხარი სამარხების უმეტესობა კახეთში ძველადვეა გაძარცული, მაგრამ მაინც მოხერხდა დაკრძალვის წეს-ჩვეულების სურათის აღდგენა.

მარტყოფული და ბედენური კულტურის დასაკრძალავი დარბაზების ცენტრალურ ნაწილში ხის მოზრდილი, ოთხთვალა ურემი იდგმებოდა, რომელზეც ჰილოფში გახვეული, დამწვარი მიცვალებულის ფერფლი და მისი პირადი ნივთები (განსაკუთრებით მაღალხარისხოვანი თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს იარაღი, სამკაული და სხვ.) ეწყობოდა.

როგორც მარტყოფული პერიოდის, ისე ალაზან-ბედენური დროის სამარხებში, ადამიანის მსხვერპლშეწირვა დასაკრძალავი დარბაზის კუთხეებშიც დასტურდება. ჩონჩხები გვერდზე მწოლიარე, კიდურებმოხრილი, უინვენტაროდ არის წარმოდგენილი. ამ დროის დიდ სამარხებში მიცვალებულისთვის ჩატანებული ინვენტარი განსაკუთრებით მდიდრულია – ეს არის შავად გამომწვარი, კარგად ნაპრიალები, რთული, გეომეტრიული სახეებით შემკული, სხვადასხვა ზომის თიხის ჭურჭელი; ბრინჯაოს მრავალნაირი იარაღი – ცულები, შუბისპირები, სატევრები, ისრისპირები, რომელთა ნაწილი ვერცხლით არის ინკრუსტირებული; ოქროთი ინკრუსტირებული ხის მშვილდები; გავარსით შემკული, მოსართავი




წნორი. ლომის ქანდაკება. ოქრო. ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრული. საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ნაკეთობები; ობსიდიანის მაღალი ტექნიკით დამზადებული ისრისპირები და სხვ.

შუა ბრინჯაოს ხანაში (ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახ.) კახეთი თრიალეთური კულტუ-

რის გავრცელების ერთ-ერთი ძირითადი მხარეა. ამ დროის სამარხეული ძეგლები კახეთის ყველა კუთხეშია აღმოჩენილი. ეს ძირითადად ხის მორებით გადახურული, ორმოიანი გორა-სამარხებია სხვადასხვა ზომის მიწაყრილით და აღმოსავლეთის მხრიდან დრომოსის იმიტაციით. მათ შორის გვხვდება როგორც მდიდარი, ისე შედარებით ღარიბული ინვენტარის შემცველი სამარხები. მდიდრულ სამარხებში მიცვალებული ხშირად ხის, ოთხბორბლიან ურემზეა დასვენებული (მარჯვენა გვერდზე, მოხრილი კიდურებით), ღარიბულ სამარხებში კი მიცვალებული დასვენებულია დასაკრძალავი ორმოს ფსკერზე. იშვიათად – ხის სარეცელზე. სამარხებში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით არის ჩატანებული მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი. მიცვალებულებს ასევე დიდი რაოდენობით ატანდნენ საგზალს სხვადასხვა ზომის, შავპრიალა, თიხის ჭურჭლით. ძალიან იშვიათია წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭელი. სამარხებში მიცვალებულებს ატანდნენ აგრეთვე ბრინჯაოს მახვილებს, ბრინჯაოს ჭურჭელს, სხვადასხვა სახის ქვის მძივებს, კაჟისა და ობსიდიანის ისრისპირებს, ვერცხლისა და ოქროს მრავალნაირ სამკაულს და სხვა. ამ დროის სამარხებში მიცვალებულის კრემაცია არ დადასტურებულა.



ზემო ბოდბე, სამარხეული კომპლექსის ინვენტარი. შუიდან გვიანდელ ბრინჯაოს ხანებს შორის გარდამავალი პერიოდი

კახეთის აღმოჩენებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ აქ პირველად გამოვლინდა თრიალეთური სამოსახლოები, რამაც ამ კულტურის გააზრების სრულიად ახალი მიმართულებები წარმოაჩინა.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფ. თავწყაროსთან ქართულ-გერმანულმა ექსპედიციამ დაიწყო არქეოლოგიური ძეგლის „ტახტიფერდას“ შესწავლა. იგი ივრისა და ალაზნის აუზების დამაკავშირებელი გზების გადაკვეთაზე მდებარეობს და ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი, სტრატეგიული ობიექტია. მისი ცენტრალური, შემაღლებული ადგილი და ჩრდილო ფერდი დიდი სამლოცველოა. ქვედა ფენა შუა ბრინჯაოს ხანისაა. იგი ხის კონსტრუქციების გალავნით არის დაცული. ზედა ფენა კი ძვ. წ. II ათასწლეულის ტაძარია. იგი შემოსაზღვრულია სათავდაცვო კედლით (სიგანე 5 მ), რომელსაც ორი, ოთხკუთხა კოშკით დაცული კარიბჭე დასავლეთიდან აქვს. მისი საძირკველი ქვის დიდი ლოდებით არის ნაგები. ზედა ნაწილი კი ხის მორების ბადურ წყობას წარმოადგენს, რომელთა შორის ღიობები წვრილი ქვა-ღორღით არის შევსებული. არსებითია, რომ ივრის ზეგანსა და გარეჯის მრავალმთაში ამ დროის ყველა დასახლება მსგავსი კონსტრუქციის გალავნებითაა დაცული. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ეს საფორტიფიკაციო ნაგებობები გეგმარებით, მასშტაბურობით და სამშენებლო ტექნიკით წინა აზიის თანადროული ცივილიზაციების შესაბამისი ძეგლების იდენტურია.



კაჭრეთი. სადუღას ველის გორასამარხი. თიხის ჭურჭელი. ძვ. წ. XVIII-XVII სს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი

როგორც ჩანს, ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევრის მიწურულს, ჩვენში მკვიდრდება საფორტიფიკაციო ნაგებობების მშენებლობის წინააზიური ტრადიციები, რომლებიც ძვ. წ. II ათასწლეულის განმავლობაში სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის კულტურებისთვის დამახასიათებელი ხდება.

კახეთში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების შესწავლის შედეგად კავკასიოლოგიურ მეცნიერებაში ერთმანეთს გენეტიკურად დაუკავშირდა ორი დიდი ეპოქა – შუა და გვიანდელი ბრინჯაოს ხანა. ეს მიღწეულ იქნა მათ შორის დამატებითი განვითარების, სამი შუალედური რგოლის გამოყოფის შედეგად, რის საფუძველზეც შემუშავდა სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის ძვ. წ. II ათასწლეულის კულტურების თანამიმდევრობის სრულიად ახალი, ქრონოლოგიური სქემა.

კახეთში აღმოჩენილია ამ დროის როგორც ნამოსახლარების, ისე სამლოცველოებისა და სამაროვნების მთელი სერია.

გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ადრინდელ საფეხურზე გორასამარხთა კონსტრუქციები მხოლოდ მდიდრულ სამარხებს ახასიათებს. მასობრივად კი ამ პერიოდიდან მთელ ცენტრალურ ამიერკავკასიაში, მათ შორის კახეთშიც, ორმოსამარხებია გავრცელებული. შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულიდან მოკიდებული, მთლიანად გვიანდელი ბრინჯაოს ადრინდელი რკინის ხანაში, სამხრეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილის კულტურისთვის, მათ შორის კახეთშიც, სამარხები მხოლოდ ინჰუმაციურია და ინდივიდუალური. ძალიან იშვიათია წყვილადი დაკრძალვა. როგორც წესი, კიდურებმოხრილი მიცვალებულები დასვენებული არიან მარჯვენა ან მარცხენა გვერდზე, სამარხი ორმოს ფსკერზე, ი შ ვ ი ა თ ა დ – ხის სარეცელზე.

გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ადრინდელი საფეხურის სამარხეული მასალა ძირითადად, წარმოდგენილია, შავპრიალა თიხის ჭურჭლით, რომელიც, როგორც ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ისე გარეგნული სახით, აგრძელებს შუა ბრინჯაოს ხანის ადგილობრივ ტრადიციებს, თუმცა, ამ დროს ჩნდება შემკობის თავისებური წესიც, კერძოდ, გამოწვის შემდეგ შავზედაპირიანი თიხის ჭურჭლის თეთრი ან წითელი საღებავით შემკობა. ამ დროიდან შედარებით ხშირია სამარხში უხეშზედაპირიანი, თიხის ჭურჭლის ჩატანების ტრადიცია, რომელიც პირველად შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულს იჩენს თავს. მათი კეცი, უმეტესწილად, კვლავ წმინდაა და ორფენოვნად გამომწვარი, ზედაპირი დაღარული აქვს კონცენტრული ხაზებით, რაც სწრაფადმბრუნავი, სამეთუნეო ჩარხის კვალს წარმოადგენს. ეს კი სამეთუნეო წარმოებაში უდიდესი წინსვლის ნიშანია. სწორედ ამგვარად შემკული ჭურჭელია გვიანდელი ბრინჯაო-ადრინდელი რკინის ხანისთვის ძირითადი, დამახასიათებელი ნაწარმი. გვიანდელი ბრინჯაოს ხანის პირველ საფეხურზე ბრინჯაოს საბრძოლო იარაღი, ჯერ კიდევ ინარჩუნებს წინააზიური პროტოტიპების სახეს, რომლებიც კავკასიაში შუა ბრინჯაოს ხანის IV საფეხურზე ჩნდება. გვიანდელი ბრინჯაოს ხანის მეორე საფეხურზე კი მათ საფუძველზე უკვე ტიპური კავკასიური, საბრძოლო იარაღის ფორმები ყალიბდება. მსგავსი სურათი გვაქვს ლითონის სამკაულის მიხედვითაც.

კახეთში ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანების მრავალი ძეგლია (ნამოსახლარი, სამლოცველო, სამარხეული კომპლექსი) შესწავლილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია გვიანდელი ბრინ-




კაჭრეთი. სადუღას ველის გორასამარხი. დოლურები. ოქრო. ძვ. წ. XVIII-XVII სს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ჯაოს ხანის ადრინდელი I საფეხურის ე.წ. ცენტრალურ-ამიერკავკასიური კულტურის, გრანდიოზული სამლოცველოები, რომლებიც სამოსახლოებს გარეთ, განცალკევებით არსებობდა და რამდენიმე დასახლების სალოცავ ცენტრს წარმოადგენდა, რაც ამ დროის საზოგადოების მაღალ, სოციალურ განვითარებაზე უნდა მიგვითითებდეს.

მიუხედავად იმისა, რომ გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ადრეული I და II საფეხურის ნამოსახლარები კახეთში საგანგებოდ არ არის შესწავლილი, ვაისწყლისა და უდაბნოს ნამოსახლარებზე ჩატარებული, მცი-

რე სამუშაოებით სრულიად აშკარად გამოიკვეთა ერთი არსებითი ცვლილება ნამოსახლართა მშენებლობის ტექნიკაში. გვიანდელი ბრინჯაოს ხანის მთელი ამ ხნის განმავლობაში გენეტიკურად იყო ერთიმეორესთან დაკავშირებული.

იმავე ინფორმაციას გვაწვდის ივრის ხეობაში არსებული ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარების ტოპოგრაფია, თუმცა, აქ იგი ალაზნის ველისგან რამდენადმე განსხვავებულია. კერძოდ, ივრის აუზში შუა ბრინჯაოს ხანის და გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ადრინდელი საფეხურის ნამოსახლარები, ჩვეულებრივ, დაბლობ ადგილებშია განლაგებული, უფრო მეტად მდინარეების თუ ღელეების პირას, მდინარეულ ტერასაზე. მაგრამ საგანგებო კვლევა-ძიების შედეგად, ისიც ცხადი გახდა, რომ დაბლობში განლაგებული ნამოსახლარე-




კაჭრეთი. სადუღას ველის გორასამარხი. შტანდარტის ფრაგმენტი. ოქრო. ძვ. წ. XVIII-XVII სს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი



დიდი შირაქის ველი. ნაზარლების სამლოცველო. თიხის ჭურჭელი. ძვ. წ. XIII ს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადრინდელი საფეხურიდან როგორც საცხოვრებელი, ისე სათავდაცვო ნაგებობების საძირკველი ქვით არის ნაგები. ზედა კი – ხის მორების ბადური წყობით. მშენებლობის ეს ტექნიკა და ხშირად გეგმარებაც, შესაძლოა, მცირეაზიური ცივილიზაციების ზეგავლენის შედეგად, სწორედ ამ დროიდან ჩნდება სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ ნაწილში. შემდგომ კი ამ მხარეში, ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულის და ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, საკმაოდ გავრცელებული ქვის არქიტექტურა მისი წინამორბედი პერიოდის,გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურის ტრადიციაზე უნდა იყოს დაფუძნებული. როგორც კახეთის ძეგლების შესწავლისას დადგინდა,ალაზნის ველზე, მის მარჯვენა ნაპირას,ბრინჯაოს ხანის ყველა საფეხურის ნამოსახლარის კულტურული ფენები ერთიმეორეზეა დაფენილი. აქ განსაკუთრებულად ხელსაყრელი, სამეურნეო პირობები უნდა ყოფილიყო, რამაც განსაზღვრა ადამიანის ცხოვრება ერთი და იმავე ადგილზე თითქმის ორი ათასი წლის განმავლობაში. ალაზნის ველზე ბრინჯაოს ხანაში არსებული კულტურები ბიდან, ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულში, თითქმის ყველგან, მოსახლეობა იქვე, მახლობლად მდებარე მთის თხემზე ადის საცხოვრებლად, სადაც უფრო მოსახერხებელია მძლავრი სა-



დიდი შირაქის ველი. ნაზარლების სამაროვანი. სარდიონის, ნიჟარის და პასტის მძივები. ძვ. წ. XIII ს. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფორტიფიკაციო ნაგებობების გამართვა. ეს, გარდა შიდა განვითარების შედეგად გამოწვეული აუცილებლობისა, გარე საშიშროებით უნდა ყოფილიყო ნახდება მთლიანად გვიანდელი ბრინჯაო-რკინის ხანაში.

არსებული მონაცემების მიხედვით, კახეთის ტერიტორიაზე ძვ. წ. II ათასწლეულის



შილდა. შედგენილტარიანი, კახური ტიპის სატევარი. ბრინჯაო. ძვ. წ. XIII ს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი

კარნახევი. ნიშანდობლივია ისიც, რომ სწორედ ამ დროიდან შეინიშნება კახეთის ძეგლებზე ბრინჯაოს საბრძოლო იარაღის განსაკუთრებული სიმრავლე.

ივრის ხეობაშიც შუა და გვიანდელი ბრინჯაოს ხანის ნამოსახლართა ტოპოგრაფია აქ არსებულ კულტურათა გენეტიკურ კავშირზე მიგვითითებს და ძვ. წ. II-I ათასწლეულში კულტურის თანამიმდევრულ, უწყვეტ განვითარებას გვიდასტურებს.

იმავე დასკვნის საფუძველს გვაძლევს კახეთის შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლებზე პირველად დადასტურებული საფორტიფიკაციო ნაგებობების სამშენებლო ტრადიცია (ხის მორების ბადისებრი წყობა, რომელშიც მორებს შორის არეები რიყის წვრილი ქვითა და ღორღით არის შევსებული). გამაგრების ამ სისტემით მშენებლობა იორ-ალაზნის აუზის ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარებისთვის ტრადიციული

II ნახევარში, გვიანდელი ბრინჯაო-ადრინდელ რკინის ხანაში,უმაღლეს განვითარებას აღწევს ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიული წარმოება, რაც აშკარად დასტურდება ამ კულტურისათვის დამახასიათებელი ლითონის ინვენტარის მიხედვით.

ამ დროს უმაღლეს განვითარებას აღწევს აგრეთვე სამეთუნეო წარმოება და ხელოსნობის სხვა დარგები. საზოგადოების სამეურნეო ცხოვრების ძირითადი საქმიანობა – მიწათმოქმედება და მესაქონლეობა კარგად არის ორგანიზებული. ამ დროიდან მიწათმოქმედება ხელოვნურ რწყვაზეა დაფუძნებული, მესაქონლეობა კი კვლავ სამომთაბარო ხასიათს ატარებს.

ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს და I ათასწლეულის დასაწყისში კავკასიის ამ რეგიონში განვითარების ზოგად სურათს კარგად შეეფარდება დაგეგმარებული და მძლავრი, სა-


შესავალი 17

თავდაცვო სისტემით გამაგრებული, ქალაქური ტიპის დასახლებების აღმოჩენა დავითგარეჯის უდაბნოში, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ნაომარი გორის სახელწოდებითაა ცნობილი და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ზილჩის, დიდი და პატარა შირაქის ველების ირგვლივ განლაგებულ დასახლებებს შორის, დიდნაურად წოდებულ ადგილში. იგი, სავარაუდოდ, ამ ველების ირგვლივ, მთა-გორებზე განლაგებულ ორმოცდაათამდე დასახლების ეკონომიკურ



მელაანი. ფეხურების სამაროვანი. სამკაული. ბრინჯაო. ძვ. წ. XIV-XIII სს. გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავი

და პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრს წარმოადგენდა და ისევე როგორც ნაომარი გორის ნაქალაქარი, სამხრეთ კავკასიონის ცენტრალურ ნაწილში სა-



საგარეჯო. ორნამენტირებული სარტყელი. ბრინჯაო. ძვ. წ. IX-VIII სს. გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავი

ხელმწიფოებრივი სტრუქტურის მატარებელ უძველეს, ადრეკლასობრივ, მცირე წარმონაქმნს უნდა წარმოადგენდეს. ამ საზოგადოებას სოციალური თვალსაზრისითაც, მაღალი განვითარებისათვის მიუღწევია. ამის დასტურია ნამოსახლარებიდან გამოყოფილი სამლოცველოებიც (მელაანი, მელიღელე, არაშენდა, შილდა, ბაკურციხე) და იქ აღმოჩენილი უმდიდრესი ინვენტარი: საბრძოლო იარაღი, სამკაული, კერამიკული ნაწარმი.

კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში, შირაქის პლატოზე და მის მიმდებარე ალაზნის ველის დიდ მონაკვეთზე არსებული ძვ.წ. IX-VIII საუკუნეების მცირე ქალაქური დასახლებების არსებობა რეგულარული გეგმარებით, თიხით ნაშენი საცხოვრებელი უბნებით, მოკირწყლული ქუჩებით და საკანალიზაციო ქსელით, ამ დროს აქ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის არსებობაზე უნდა მიგვითითებდეს. როგორც ჩანს, ყველა ეს დასახლება განადგურებულია ერთდროულად ძვ. წ. VII საუკუნეში, ჩრდილოეთიდან მომხდური, სკვითური ტომების მიერ.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ შირაქის პლატოზე აღმოჩენილია „დიდი რუის“ სახელწოდებით ცნობილი, სარწყავი სისტემის არსებობის კვალი. პალინოლოგიურმა კვლევამ მოგვცა იმის თქმის საფუძველი, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის საწყისს საუკუნეებში შირაქის პლატოს სამხრეთ ნაწილში მდებარე მთები უღრანი ტყის მასივებით უნდა ყოფილიყო დაფარული. სარწყავი არხი – „დიდი რუიც“ სწორედ ამ მთებიდან იღებდა სათავეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ შირაქის ველის დასავლეთ ნაწილში მდებარე, „გოხების“ სახელწოდებით ცნობილ, ერთ-ერთ მაღალ მთის თხემზე აღმოჩნდა სამლოცველო, სადაც სხვა ნივთებთან ერთად, შეწირული იყო საბრძოლო ეტლის



საგარეჯო. ორნამენტირებული სარტყელი. ბრინჯაო. ძვ. წ. IX-VIII სს. ფრაგმენტი. გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავი

ბრინჯაოს მოდელი, რომელიც შირაქის ამ მცირე ქალაქების თანადროულია. საბრძოლო ეტლის არსებობა კი თავისთავად გულისხმობს ამ დროის საზოგადოებაში შესაბამისი რეგულარული, საჯარისო შენაერთების არსებობასაც.

ამასთან, შირაქის უკლებლივ ყველა ნამოსახლარზე განსაკუთრებით მრავლად აღმოჩნდა კამეჩის თავის გამოსახულების მქონე თიხის ნიღბები. გამორიცხული არ არის, რომ იგი აქ წმინდა ცხოველად ითვლებოდა, რაც თავისთავად ასოცირდება ამ მხარის უძველეს სახელწოდებასთან – კამბეჩოვანთან. კამბეჩოვანი კი შემდგომი დროის იგივე ქიზიყია. კახეთში მოპოვებულმა არქეოლოგიურმა მასალამ სხვა, უფრო მნიშვნელოვანი დასკვნის საშუალებაც მოგვცა. კერძოდ, გაჩნდა იმის შესაძლებლობა, რომ იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისა და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის არქეოლოგიური მასალების საზღვრებით, იგი დავაკავშიროთ კონკრეტულ, ქართულ ეთნიკურ ერთეულებთან. ეს თავისთავად მრავლისმეტყველი ფაქტია, რადგან მასზე დაყრდნობით შეიძლება სარწმუნოდ ვისაუბროთ არქეოლოგიური კულტურების ეთნიკურ კუთვნილებაზე.

ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულის და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის არქეოლოგიური მასალების მიხედვით, უმთავრესად კი ბრინჯაოს საბრძოლო იარაღის შესწავლის შედეგად, გამოიყო სამი თავისებური ჯგუფი, რომლებიც მკვეთრად განსხვავდება ერთიმეორისაგან და თითოეული მათგანი მკაცრად შემოფარგლულ ტერიტორიაზეა გავრცელებული. ერთი ჯგუფი, მასალის გავრცელების საზღვრების შესაბამისად, შემოიფარგლა მდ. ალაზნისა და ივრის ზემო დინებით, ვიდრე მდ. არაგვამდე; მეორე ჯგუფის გავრცელების საზღვრები მთლიანად მოიცავს მდ. ალაზნის შუა და ქვემო დინებას და ტერიტორიას მის სამხრეთით, მდ. ივრამდე; მასალების

მესამე ჯგუფი შედარებით მცირე ტერიტორიაზეა გავრცელებული და თბილისის და რუსთავის მიდამოებში ფარავს ფართობს მდ. მტკვრის ორივე მხარეს ჩრდილოეთით – მდ. ივრამდე, სამხრეთით კი – მდ. ალგეთამდე.

ქართულ ისტოგრაფიაში რეალობად არის მიჩნეული ლეონტი მროველის თხზულებაში გადმოცემული საქართველოს ისტორიის საწყისი, სადაც იგი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ამბებს უნდა გადმოგვცემდეს. სხვა მონაცემებთან ერთად, აქ ზუსტად არის შემოფარგლული თავდაპირველად თარგამოსიანთა, შემდეგ კი მისი შთამომავლების – ქართლოსიანთა კუთვნილი ტერიტორიების საზღვრები. მნიშვნელოვანია ის, რომ თარგამოსის ძის, ჰეროსისა, და ქართლოსის ძეთა – კახოსისა და კუხოსის კუთვნილი ტერიტორიების საზღვრები ზუსტად დაემთხვა იორ-ალაზნის აუზის, ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისა და ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისის არქეოლოგიური მასალების სამი ჯგუფის გავრცელების საზღვრებს, რაც არ შეიძლება შემთხვევითობას მივაწეროთ, მითუმეტეს, რომ წერილობით წყაროში აღწერილი ტომთა დასახლების საზღვრები ქრონოლოგიურად ემთხვევა არქეოლოგიური მასალების ამ სამი თავისებური ჯგუფის თარიღს.

დასკვნა მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: ამ უძველესი ქართველური ტომების – კახების, კუხების და ჰერების ეთნიკური ისტორია ძვ. წ. II ათასწლეულიდან უნდა დავიწყოთ.

კახეთში აღმოჩენილია ძვ.წ. I ათასწლეულის შუახანების მეტად მნიშვნელოვანი ძეგლებიც. ალაზნის ველზე, სოფ. ტიბაანის მახლობლად, ქუმბათად წოდებულ ადგილზე გაითხარა ბრწყინვალე ნასახლარის ნაშთები აქემენიანთა იმპერიის დედაქალაქის – პერსეპოლისისთვის დამახასიათებელი, ტიპური სვეტის ქვის ძირებით, რომლებიც ლოტოსის ფოთლის გამოსახულებებითაა შემკული.

თუ სვეტების ძირების დიამეტრის მიხედვით ვიმსჯელებთ, სვეტების სიმაღლე რვა მეტრზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო, რაც ნაგებობის გრანდიოზულობაზე მეტყველებს. ამ დროს კავკასიის ამ მხარის აქემენიდურ სამყაროსთან მჭიდრო კავშირის მანიშნებელია სოფ. პატარძეულში აღმოჩენილი სამარხეული მასალა, კერძოდ, ძვ. წ. VI ს-ის ომფალოსიანი ბრინჯაოს თასები, ვერცხლის ფიალა. ამ პერიოდის მნიშვნელოვანი ძეგლია შესწავლილი შირაქშიც, სოფ. ქვემო ქედში. აქ გაითხარა სამოსახლოსგან გამოყოფილი ლითონდამუშავებელი, დიდი სახელოსნო, რომელიც აქემენიდური იმპერიის თანადროულია, მისი გავლენის მრავალ ნიშანს ატარებს და სრულიად გარკვევით მიგვითითებს ამ მხარეში არსებული საზოგადოების მაღალ, სოციალურ განვითარებაზე.

შედარებით უკეთ არის ცნობილი კახეთის აღმოსავლეთ ნაწილში ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნით დათარიღებული, ე. წ. იალოილუთაფას კულტურის კუთვნილი მასალები, რომელიც ამ მხარის მხოლოდ უკიდურეს აღმოსავლეთ მონაკვეთშია განსაკუთრებით დიდი რაოდენობით მოპოვებული. მეტად მნიშვნელოვანია,რომ ამ მასალებს არაფერი საერთო არა აქვს მის წინამორბედ,ადგილობრივ კულტურასთან და,რაც მთავარია, იგი კახეთის ტერიტორიაზე დაახლოებით 100-150 წლის არსებობის შემდეგ უკვალოდ ქრება ისე, რომ მისი არც ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისება შემდგომი დროის ადგილობრივ მასალებში აღარ შეინიშნება. ეს კი იმის დასტურია, რომ კახეთის ტერიტორიაზე იალოილუთაფას კულტურის კუთვნილი მასალები ეკუთვნის მომხვდურს,რომელსაც ეს ტერ-



დუდოფლისწყარო. გოხების მთის სამლოცველო. ცხენებშებმული საბრძოლო ეტლის მოდელი. ბრინჯაო. ძვ. წ. IX-VIII სს. საქართველოს ეროვნული მუზეუმი

იტორია დროებით ჰქონდა დაპყრობილი. უფრო დაწვრილებით საუბარი კახეთის ამ ხანის წარსულზე ჭირს, რადგან იგი ჯერჯერობით საგანგებოდ არ არის შესწავლილი.

აქვე არ შეიძლება არ ვახსენოთ სოფ. ქვემო ქედში აღმოჩენილი ერთი ორმოსამარხი, რომელშიც იალოილუთაფას კულტურის კუთვნილ, კერამიკულ მასალასთან ერთად, რომაელი ლეგიონერის ლითონის მუზარადიც აღმოჩნდა. ცნობილია, რომ რომაელმა ლეგიონერებმა აშკარა კვალი დატოვეს სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში. ამ ახალი აღმოჩენის მიხედვით კი

უკვე სავარაუდოა, რომ მათი მოძრაობის მარშრუტში შირაქის ველის ჩრდილო განაპირა ზოლიც შედიოდა, მითუმეტეს, რომ აქ საგზაო მაგისტრალი უკვე ბრინჯაოს ხანაში არსებობდა.

საყურადღებოა, რომ სოფ. ჭერემსა და ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფ. კოჯორში აღმოჩენილი სამარხეული მასალა, რომელიც ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებით თარიღდება, მთლიანად იდენტურია საქართველოს ძველ დედაქალაქ მცხეთაში მოპოვებული მასალებისა, რაც შესაძლოა ამ დროს მათ ერთ პოლიტიკურ სისტემაში არსებობაზე მიუთითებდეს.

ისტორიულ ეპოქაში კახეთი ძვ. წ. IV-III საუკუნეებში წარმოქმნილი ქართული სახელმწიფოს – ქართლის (დასავლური წყაროებით იბერია) აღმოსავლეთი პროვინცია იყო. ამ სახელმწიფოს სატახტო ქალაქს მცხეთა წარმოადგენდა. ლეონტი მროველის თანახმად, ფარნავაზიანთა დინასტიის დამაარსებელმა მეფე ფარნავაზმა ქართლის სამეფო რვა საერისთაოდ დაყო (კახეთის, ხუნანის, სამშვილდის, წუნდის, ოძრხის, კლარჯეთის, ეგრისისა და არგვეთის). კახეთის ერისთავს „მისცა მიწაწყალი არაგვითგან ვიდრე ჰერეთამდე, რომელ არს კახეთი და კუხეთი". ჯუანშერს (XI ს.) ვახტანგ გორგასლის დროინდელ წარჩინებულთა შორის დასახელებული ჰყავს „დემეტრე ერისთავი კახეთისა და კუხეთისა" და „გრიგოლ, ერისთავი ჰერეთისა".

კახეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოს ცხოვრება და მოღვაწეობა, საერთოდ, ქართლის გაქრისტიანების ისტორია. სწორედ აქ აღესრულა წმ. ნინო და იქვე, დაბა ბოდეში (შემდეგდროინდელი ბოდბე) მიაბარეს მიწას, სადაც დღემდეა შემონახული მისი საფლავი.

ბარის მოსახლეობისგან განსხვავებით, კახეთის მთის მოსახლეობაში ქრისტიანობის გავრცელებას გარკვეული წინააღმდეგობა შეხვედრია.



ნეკრესის მონასტერი. IV-XVIII სს.

ქრისტიანობის მიღების შემდეგ საქართველო უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა დასავლურ კულტურას. დაიწყო ეკლესიათა მშენებლობა, რაც ახალი იდეოლოგიის დანერგვას ემსახურებოდა.

IV საუკუნეში ქართლის პირველ ქრისტიან მეფეს, მირიანს, კახეთი და კუხეთი საუფლისწულოდ თავისი ვაჟის რევისთვის მიუცია – „მისცა ძესა მისსა რევს საუფლისწულოდ კახეთი და კუხეთი და დასუა იგი უჯარმას, რევ და ცოლი მისი სალომე". უჯარმის დაარსებას ქართული საისტორიო ტრადიცია მეფე ასფაგურს მიაწერს (III ს.). უჯარმა მნიშვნელოვან გზებზე მდებარეობდა და ქართლის სამეფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა. მეფე ვახტანგ გორგასალმა უჯარმაში მნიშვნელოვანი მშენებლობები ჩაატარა და იგი სამეფო რეზიდენციად აქცია. უჯარმა ეკონომიკური თვალსაზრისით მთისა და ბარის, ხოლო პოლიტიკურად სამი მეზობელი მხარის ინტერესებს აერთიანებდა. იგი კახეთ-კუხეთში ქრისტიანული რელიგიის გავრცელების ცენტრსაც წარმოადგენდა. დიდი, სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა კახეთის ციხე-ქალაქ ნეკრესსაც, რომელიც ერთიანი ქართლის სამეფოს არსებობის საწყის პერიოდში ფარნავაზიანთა დინასტიის მეოთხე მეფემ ფარნაჯომმა ააშენა. ახ. წ. IV საუკუნეში ნეკრესში ერთ-ერთი უძველესი, ქრისტიანული ეკლესია აიგო. კახეთის მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქები ნეკრესი, ჭერემი და ხორნაბუჯი ვახტანგ გორგასალმა თავის უფროს ძეს დაჩის უბოძა, თავად კი „დაჯდა უჯარმოს". უჯარმის ციხეშივე გარდაიცვალა სპარსელებთან ბრძოლის დროს მძიმედ დაჭრილი მეფე.

კახეთი „ტყე იყო შეუვალი მტერისა მიერ", ამიტომ სპარსელთა შემოსევის საშიშროების დროს, ნაკლებად გამაგრებული სოფლებისა და ქალაქების მოსახლეობა კავკასიის მთებსა და კახეთში იხიზნებოდა. განსაკუთრებით კლდით შემოზღუდული ლოპოტის ხევი ყოფილა კარგად დაცული და მოსახლეობით საცხე. იმდროინდელი კახეთის მტრისგან დაცულობის გამო, ვახტანგის ძის – დაჩის მეფობის დასაწყისში, როდესაც მან იწყო „შენებად ქართლისა", „მოოხრებულ იყვნეს ყოველნი ხევნი ქართლისანი, თვინიერ



უჯარმის ციხე. V ს-ის II ნახევარი

კახეთისა და კლარჯეთისა და ეგრისისა“.

VI საუკუნეში კახეთში მოღვაწეობდა ასურელი მამების დიდი ნაწილი: დავით გარეჯელი, აბიბოს ნეკრესელი, ანტონ მარტყოფელი, იოსებ ალავერდელი,ზენონ იყალთოელი და სტეფანე ხირსელი. ასურელმა მამებმა ჩაუყარეს საფუძველი სამონასტრო ცხოვრებას. მათ მიერ დაარსებული მონასტრები ქართული მწიგნობრობისა და კულტურის მძლავრ კერებად იქცა. დავით გარეჯელის მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული ისეთი უნიკალური სამონასტრო კომპლექსის დაარსება, როგორიც დავითგარეჯის მონასტრებია.

შუა საუკუნეებში აქ დიდი მშენებლობა წარმოებდა, იხატებოდა ფრესკები, გაჩაღებული იყო ინტენსიური სამწიგნობრო მოღვაწეობა.

მრავალი საუკუნის განმავლობაში ქართლის სამეფოზე თავიანთი გავლენის გავრცელებას სპარსეთისა და რომის იმპერიები ცდილობდნენ. მათ შორის ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა,მაგრამ უკვე VI ს-ის დასაწყისში ირანმა იმძლავრა და 523 წელს, გურგენ მეფის წარუმატებელი აჯანყების შემდეგ, ქართლში მეფობა გააუქმა. ამავე საუკუნის ბოლოს ქართლში კვლავ აღდგა ქართული ხელისუფლება, რომლის მეთაური ერისმთავრად იწოდებოდა. კახეთი კვლავ ქართლის საერისმთავროს წარმოადგენდა.

VI ს., ეროვნული კულტურის განვითარების პროცესის თვალსაზრისით, ძალზე საინტერესო ხანაა: პოლიტიკური ძალა მტრის ხელშია, მაგრამ კულტურა განიცდის აღმავლობას. უცხო კულტურა არა თუ ვერ ახშობს ადგილობრივს, იგი კვალსაც ვერ ტოვებს ამ კულტურაში. ეს პირველ რიგში ამ პერიოდის ხუროთმოძღვრული ძეგლებით დასტურდება.

კახეთის სამთავროს ჩამოყალიბების პროცესი ადრინდელ შუა საუკუნეებში დაიწყო. ქართლის საერისმთავროს იგი VIII ს-ის 80-იან წლებში გამოეყო. IX ს-ის დასაწყისისთვის კახეთის სამთავროს საზღვარი ქართლის საერისმთავროსთან მდ. ქსანზე გადიოდა.

VII-IX სს-ში,საქართველოში არაბების და ბიზანტიელების ბატონობის მიუხედავად, ქვეყანა, გარკვეულწილად, მაინც ერთიანი იყო, რომლის სათავეში „ქართლის მეფენი“, ანუ ერისმთავრები იდგნენ. VIII ს-ის 80-იან წლებში, როდესაც ერისმთავარი არჩილი გარდაიცვალა (786 წ.), ერთიანობა დაირღვა და მისმა შვილებმა – იოანემ და ჯუანშერმა ქვეყანა გაიყვეს. იოანეს ეგრისი შეხვდა, ხოლო ჯუანშერს – ქართლ-კახეთი. ჯუანშერი მალევე გარდაიცვალა და 787 წლიდან მთავარმა გრიგოლმა კახეთი ცალკე სამთავროდ გამოაცხადა. მისი ცენტრი გახდა უჯარმა. დროთა განმავლობაში, სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ფონზე, კახეთის სამთავროს ცენტრი



ხორნაბუჯი. ციხე-ქალაქი. V-XVII სს.

ბოჭორმა, ხოლო შემდეგ თიანეთი გახდა, რომელიც კახეთის მჭიდროდ დასახლებული მხარე იყო კარგად განვითარებული მესაქონლეობით. ზოგადად კახეთ-კუხეთ-გარდაბანი ადრინდელ შუა საუკუნეებში ეკონომიკურად




მანავის ციხე. X-XI სს.

საკმაოდ განვითარებული იყო მთის ალპური მეურნეობით, ბარის (ივრისა და ალაზნის აუზები) ინტენსიური მიწათმოქმედებით და მესაქონლეობით. ადმინისტრაციულად იმ დროს კახეთი ძირითადად სამ საერისთავოდ იყოფოდა. საერისთავოს სათავეში ქორეპისკოპოსი იდგა„ რომელსაც ერისთავთა წრიდან ირჩევდნენ. თავიდან ქორეპისკოპოსი სასულიერო ხელისუფალი იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში, კახეთ-კუხეთ-გარდაბნის სამთავროდ ჩამოყალიბების პარალელურად, რაშიც, სხვა ძალებთან ერთად, წანარეებიც აქტიურად მონაწილეობდნენ„ ქორეპისკოპოსმა საერო ხელისუფლის თითქმის ყველა ატრიბუტი შეიძინა იმდენად, რომ უკვე IX ს-იდან მას ბიზანტიის იმპერატორები „წანართა არხონტს“ (მთავარს) უწოდებდნენ.

VII-VIII სს. მიჯნაზე კახეთის სამთავრო, სხვა ქართულ პოლიტიკურ ერთეულებთან ერთად, აქტიურად იბრძვის არაბ დამპყრობთა წინააღმდეგ. ამ ბრძოლას ფაქტობრივად მთის მოსახლეობა – წანარები უძღვებოდნენ და საკმაოდ წარმატებითაც. არაბებს დიდი ძალებით მთაში შესვლა და ბრძოლა არ შეეძლოთ, ამიტომ მცირე მასშტაბის ტაქტიკურ ბრძოლებს მიმართავდნენ და ხშირად მარცხდებოდნენ. არაბების შედეგად, ბარის მოსახლეობის და მეურნეობის გაჩანაგების ფონზე, საქართველოს მთიანეთი უფრო ხალხმრავალი და ძლიერი იყო. მიუხედავად ამისა, არაბებმა მაინც შეძლეს VIII ს-ის შუა წლებში დარიალის აღება, აქ გარნიზონის ჩაყენება და წანართა დახარკვა.

VIII-X სს-ში კახეთის სამთავრო აქტიურად იბრძვის ქართულ სამთავროებს შორის პირველობისთვის. ამ ბრძოლაში ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ჰერეთის სამთავრო იყო. კახთა ქორეპისკოპოსების გარდა,ჰერეთისათვის ბრძოლაში აქტიურად იყვნენ ჩართულები როგორც ეგრისაფხაზეთის, ისე გაერთიანებული საქართველოს მეფეები. X ს-ის II ნახევარში ჰერეთის ეკლესია ქართულ ეკლესიას შეუერთდა. კახეთის მთავრები ხშირ შემთხვევაში აფხაზთა მეფის პოლიტიკური მოკავშირეები იყვნენ. კახეთის ქორეპისკოპოსები, ზოგჯერ სხვა ქართული პოლიტიკური ერთეულების დასუსტების შემთხვევაში, უარს არ ამბობდნენ მათი ტერიტორიების (აფხაზეთის, ქართლის, ჰერეთის) შემოერთებაზე, ისევე როგორც ეს ერთეულები ამავე მოტივით არაერთგზის დასხმიან თავს კახეთის სამთავროს. ბრძოლები ქართულ სახელმწიფოებრივ ერ-



თეულებს შორის გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. კახეთის მთავრები ვერც საქართველოს გაერთიანების იდეას ურიგდებოდნენ. ისინი აქტიურად იბრძოდნენ გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-ის წინააღმდეგ. ბაგრატმა შეძლო ერთიანი საქართველოსათვის კახეთისა და ჰერეთის შემოერთება. ბაგრატ III-ის მემკვიდრის გიორგი I-ის დროს (1014-1027 წწ.), რომელიც ბიზანტიასთან მძიმე ბრძოლაში იყო ჩაბმული, კვირიკე III-მ (1010-1037 წწ.) კახეთ-ჰერეთის დამოუკიდებლობა აღადგინა. მან კახთა და რანთა (ჰერთა) მეფის ტიტული მიიღო და კახეთის სამთავრო გაერთიანებული კახეთ-ჰერეთის სამეფოდ აქცია. კვირიკე ამავე დროს ბიზანტიური მაგისტროსის ტიტულსაც ატარებდა. ჰერეთის შემომტკიცების შემდეგ მან სამთავროს დედაქალაქი თელავში გადაიტანა, რაც სტრატეგიულად და ეკონომიკურად უფრო ხელსაყრელი იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ, როგორც ბიზანტიის, ასევე განძისა და თბილისის ამირების წინააღმდეგ ბრძოლაში კახეთის სამეფო საქართველოს მეფის მოკავშირეა, მაგრამ, როდესაც ბაგრატ IV-მ კახეთის შემოსაერთებლად უკვე კონკრეტული ნაბიჯები გადადგა, კახეთის მეფე ბაგრატის მოწინააღმდეგე ლიპარიტის მოკავშირე გახდა. კახელი დიდებულების დახმარებით ბაგრატ IV-მ მოახერხა კვირიკეს შევიწროება და სამთავროს მნიშვნელოვანი ნაწილის შემომტკიცება.

თურქ-სელჩუკების გამოჩენამ ძალთა თანაფარდობა შეცვალა. კახეთის მეფემ აღსართანმა სულთანს ერთგულება აღუთქვა და ამ გზით დაკარგული ტერიტორიები და დამოუკიდებლობა დაიბრუნა. კახეთ-ჰერეთის სამეფოს შემომტკიცება საბოლოოდ დავით აღმაშენებლის დროს მოხერხდა. თურქ-სელჩუკთა გავლენის შესუსტებისა და ქართული სახელმწიფოს გაძლიერების პარალელურად, 1103 წელს, დავით აღმაშენებელმა კახეთის მეფე კვირიკე IV-ს ზედაზნის ციხე წაართვა. მალე კვირიკე გარდაიცვალა და ტახტზე მისი ძმისწული აღსართან II ავიდა. კახეთის დიდებულებმა იგი შეიპყრეს და დავითს მიჰგვარეს. კახეთის სამეფო გაუქმდა, მაგრამ კახეთისთვის ბრძოლა გრძელდებოდა. 1104 წელს დავითმა ერწუხთან სასტიკად დაამარცხა თურქ-სელჩუკების და მათი მოკავშირეების დიდი ლაშქარი, ხოლო 1117 წელს ჰერეთი და ყმა-მამულის უდიდესი ნაწილი კათალიკოსს, სვეტიცხოველს და სხვა ეკლესია-მონასტრებს გადასცეს მფლობელობაში. ამით სამეფო კარი ცდილობდა მტკიცე ერთგულებაში ჰყოლოდა ეს მხარე.

თურქ-სელჩუკთა მიერ განადგურებული და შემდეგ



თის უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ციხე გიშის აღებით, საბოლოოდ დასრულდა კახეთ-ჰერეთის შემოერთება.

საქართველოს ერთიანობის ხანაში, XII-XV სს-ში, კახეთი და ჰერეთი საერისთავოებს წარმოადგენდნენ და აქტიურად იყვნენ ჩართული სრულიად საქართველოს ცხოვრებაში. საინტერესოა, რომ კახეთის შემომტკიცების შემდეგ ცენტრალურმა სამეფო ხელისუფლებამ, თავდაპირველად დავით აღმაშენებელმა, ხოლო შემდეგ მისმა მემკვიდრეებმა კახეთის სოფლებისა კვლავ აღდგენილი კახეთის ბარის მეურნეობა, მონღოლთა შემოსევების შედეგად, ისევ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. მონღოლმა მომთაბარეებმა საზამთრო სადგომებად დაიკავეს ივრის პირეთი და მტკვრის ნაპირებზე რუსთავის მიდამოები. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა კახეთის ხშირ ტყეებს შეაფარა თავი. მონღოლებმა საქართველო სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებად – დუმნებად დაყვეს. მათ სათავეში მდგომ დუმანნოინებს ევალებოდათ ამ ერთეულებიდან

ჯარის გამოყვანა და ხარკის აკრეფა. ისტორიული კახეთი (კახეთ-ჰერეთ-კამბეჩოვანი) ერთ დუმანს შეადგენდა, რომელსაც სათავეში მონღოლებმა ფრიად წარჩინებული ფეოდალი ეგარსლან ბაკურციხელი



ლევან კახთა მეფე ტაძრის მაკეტით ხელში, დედოფალი თინათინი და უფლისწული ალექსანდრე. ნეკრესის მონასტრის ღვთისმშობლის შობის ეკლესიის მოხატულობა. XVI ს-ის შუახანები

ჩაუყენეს. ეგარსლან ბაკურციხელი მონაწილეობდა მონღოლთა წინააღმდეგ კოხტასთავის 1246 წლის შეთქმულებაში, მაგრამ რუსუდანის გარდაცვალების შემდეგ, რადგანაც ტახტის მემკვიდრე არ ჩანდა, ეგარსლან ბაკურციხელმა მთელი ძალაუფლების ხელში ჩაგდება მოინდომა. ამის გამო მის წინააღმდეგ ამხედრდნენ სხვა ქართველი, პოლიტიკური მოღვაწეები, რომლებმაც ბაკურციხელი პოლიტიკურ ასპარეზს ჩამოაშორეს.

კახეთისთვის, ისევე როგორც მთელი ქვეყნისთვის, განსაკუთრებით დამანგრეველი იყო საქართველოს ტერიტორიაზე ორ უზარმაზარ მონღოლურ სახელმწიფოს – ოქროს ურდოსა და ილხანთა სამეფოს შორის გარდამავალი უპირატესობით მიმდინარე ბრძოლები. ამ ბრძოლების შედეგად, კახეთის მოსახლეობა და მეურნეობა დიდად ზარალდებოდა. დამანგრეველი გამოდგა ამ ორ სახელმწიფოს შორის 1262-1263 წლებში მიმდინარე ბრძოლები, რომლის დროსაც დავით VII ულუს ილხანთა მხარეს უხდებოდა მონაწილეობა. 1265 წელს ოქროს ურდოს ყაენმა ბერქამ ილხანის ყაენ აბაღასთან შესაბმელად გადმოიარა და მოახრა შირვანი, ჰერეთი და კახეთი, კერძოდ, იორისპირეთი.

ყაენის კარზე გამგზავრების წინ დავით ულუმ კახეთის წინამძღოლობა პანკისის ერისთავ თორღვას დაავალა. ყაენის კარზე მეფეს შეაგვიანდა. თორღვამ თავი კახეთის სრულუფლებიან მმართველად გამოაცხადა. მეფის დაბრუნების შემდეგ, თორღვა შეიპყრეს და საჯაროდ დასაჯეს.

უმძიმეს საგადასახადო სისტემასთან ერთად, მონღოლთა გაუთავებელ ლაშქრობებში საქართველოს მონაწილეობა სასტიკად აჩანაგებდა ქვეყანას.

გიორგი V ბრწყინვალის დროს, როდესაც კახეთი ჯერ კიდევ ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა, აღდგა და განვითარდა ბარის მეურნეობა, მომრავლდა მოსახლეობა, კვლავ ამოქმედდა სარწყავი სისტემები, გაშენდა ვენახები. მაგრამ მშვიდობიანობა დიდხანს არ გაგრძელებულა. XIV ს-ის ბოლო წლებში თემურ ლენგის რვაგზისმა, დამანგრეველმა შემოსევებმა, ერთი მხრივ, გაანადგურა ქვეყნის ეკონომიკა და მოშალა ბარის მეურნეობა, ხოლო, მეორე მხრივ, საფუძველი დაუდო საქართველოს პოლიტიკურ დაშლას. თემურ ლენგის შემდეგ ქართულ ენაში ფართოდ გავრცელდა ისეთი ტერმინები, როგორიცაა „ნასოფლარი“, „ნასახლარი“, „ნაფუძარი“ და სხვ. კახეთისთვის განსაკუთრებით მაოხრებელი და სისხლისმღვრელი იყო თემურ ლენგის 1399 წლის ლაშქრობა.

1465 წელს, სამცხის ათაბაგის ყვარყვარე II-ის მიერ ქართლის მეფის გიორგი VIII-ის დატყვევების შემდეგ, დიდმა ფეოდალებმა კახეთის დამოუკიდებელ მთავრად ერთ-ერთი ადგილობრივი ერისთავი – დავითი დასვეს. 1466 წელს ტყვეობიდან გათავისუფლებული ქართლის მეფე გიორგი VIII, ქართლში სამეფო ტახტის დაკარგვის შემდეგ, კახეთში გადავიდა, დაამარცხა დავითი და საფუძველი ჩაუყარა კახეთის ბაგრატიონთა სამეფო დინასტიას. კახეთში გამეფების შემდეგ გიორგი VIII მოიხსენიება, როგორც გიორგი I კახეთის მეფე. ამის შემდეგ გიორგიმ კახეთში, სამხედრო-ადმინისტრაციული თვალსაზრისით, გარკვეული რეფორმები გაატარა. მან გააუქმა საერისთავოები და მათ მაგივრად ქვეყანა უფრო წვრილ ერთეულებად – სამოურავოებად დაყო. მოურავობის სახელო, კახეთის მეფეების ხელში, ადგილობრივი ფეოდალების მორჩილებაში ყოლის ეფექტური საშუალება აღმოჩნდა. სხვადასხვა მხარის მოურავობას იღებდნენ კახეთის ძლიერი, ფეოდალური საგვარეულოების წარმომადგენლები. გიორგის მეფობაშივე ჩამოყალიბდა ოთხი სადროშო, რომელთა ფარგლებშიც, საჭიროების შემთხვევაში, ლაშქრის მობილიზება ხდებოდა. თითოეული სადროშოს სათავეში გიორგი მეფემ, ქართლისაგან განსხვავებით, სარდლებად ეპისკოპოსები დანიშნა. ეპისკოპოსობა მემკვიდრეობითი

თანამდებობა არ იყო, ამიტომ ვერც სარდლობა გადავიდოდა მემკვიდრეობით. ეს კი ხელს უწყობდა სამეფო ხელისუფლების განმტკიცებას, რამაც ხელი შეუშალა კახეთში ნახევრად დამოუკიდებელი, ძლიერი საფეოდალოების – სათავადოების ჩამოყალიბებას.

კახეთის სამეფოს (1465-1762 წწ.) საზღვარი დასავლეთით გადიოდა მდ. არაგვზე, სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით – მდ. მტკვარზე, ჩრდილოეთით – კავკასიის მთავარ ქედზე (ნაწილობრივ ჩრდილოეთი საზღვარი ქედს გადაღმაც გადადიოდა – პირიქითა ხევსურეთი და თუშეთი, გარკვეულ პერიოდამდე დიდოეთი და წახურიც კახეთის სამეფო საზღვრებში შედიოდა). XVII ს-ის დასაწყისამდე აღმოსავლეთ საზღვარი იქ იწყებოდა, სადაც იორ-ალაზანი მტკვარს უერთდება, შემდეგ მიემართებოდა ჩრდილოეთით აჯინოურის ტბის გასწვრივ, კვეთდა მდ. აგრიჩაის და მდ. გიშისწყლის გაყოლებით კავკასიის ქედამდე გადიოდა. XVII ს-ის შემდეგ კი საზღვარმა დასავლეთით ყაფაჩაიმდე გადმოიწია.

კახეთის სამეფოში შედიოდა: ალავერდის, ბოდბის, რუსთავის (მარტყოფის), სამების, ნინოწმინდის, ჭერმის, ნეკრესის, ხარჭაშინის და სხვა საეპისკოპოსოები. ეპისკოპოსებს მეფე ნიშნავდა.

მნიშვნელოვნად იყო განვითარებული მეურნეობა, მევენახეობა, მებაღეობა, მესაქონლეობა, მეაბრეშუმეობა; მოჰყავდათ ტექნიკური მცენარეები და სხვა. ვითარდებოდა საშინაო და საგარეო ვაჭრობა, ხელოსნური წარმოება, აღმოცენდა და განვითარდა ახალი ქალაქები: გრემი, ბაზარი.

კახეთის სამეფოს ისტორიის პირველი პერიოდი შედარებითი სიმშვიდით და აღმშენებლობით გამოირჩეოდა. ამ პერიოდში მნიშვნელოვნად განვითარდა მარცვლეული კულტურების მოყვანა, მესაქონლეობა, მეაბრეშუმეობა და სხვა. ვითარდებოდა საშინაო და საგარეო ვაჭრობა, ხელოსნური წარმოება, აღმოცენდა და განვითარდა ახალი ქალაქები: გრემი, ბაზარი. კახეთის მეფე გიორგი I-ის დროს სამეფოს დედაქალაქი გადატანილ იქნა გრემში, რომელიც აკონტროლებდა როგორც კავკასიის მთიანეთში, ასევე სპარსეთში მიმავალი გზის ერთ-ერთ შტოს.

კახეთის მეფეთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა ალექსანდრე I კახთა მეფე (1476-1511 წწ.), რომელიც გიორგი I-ის გარდაცვალების შემდეგ გამეფდა. მან მშვიდობიანი ურთიერთობა დაამყარა ქართლის სამეფოსთან, სეფიანთა ირანთან, შაქისა და შირვანის სახანოებთან და XV ს-ის მეორე ნახევარში უზუნ-ჰასანის, იაყუბ ყაენის და შაჰ ისმაილ I-ის საქართველოში ლაშქრობების დროს, დიპლომატიური მოქნილობის წყალობით, მშვიდობა შეუნარჩუნა კახეთს. ალექსანდრე I-მა ქართულ სამეფო-სამთავროთა შორის პირველმა დაამყარა ურთიერთობა რუსეთთან და 1483 და 1492 წლებში ელჩები გაგზავნა მოსკოვში. 1511 წელს ალექსანდრე I-ის შვილმა – გიორგიმ მამა მოკლა, ხოლო ძმა – დიმიტრი დააბრმავა. ამის გამო კახეთის მეფე გიორგი II, ავგიორგის სახელითაა ცნობილი. იგი ქართლის სამეფოსთან მშვიდობიანი ურთიერთობის მომხრე არ იყო და ჯერ კიდევ მამის მეფობაში, ამ უკანასკნელის ნების წინააღმდეგ, ხშირად აწყობდა ქართლში ლაშქრობებს. გამეფების შემდეგ მან გააგრძელა ქართლის ტერიტორიაზე თარეში. 1513 წელს ქართლში ერთ-ერთი ასეთი შეჭრის დროს იგი ბაგრატ მუხრანბატონმა დაატყვევა ძალისის ხევში. იმავე წელს იგი მუხრანის ციხეში გარდაიცვალა. ქართლის მეფემ კახეთის სამეფო შეიერთა, 1513-1518 წლებში ქართლ-კახეთი ერთ სამეფოს წარმოადგენდა. ქართლის ხელისუფლებამ კახეთის ტახტის მემკვიდრის – მცირეწლოვანი ლევანის შეპყრობა სცადა, მაგრამ ლევანი კახელმა თავადებმა გადამალეს, ხოლო შემდეგ, როდესაც ქართლის საგარეო მდგომარეობა გართულდა, 1520 წელს გაამეფეს. ქართლის მეფემ დავით X-მ ორჯერ წარუმატებლად სცადა კახეთის დაბრუნება, რის შემდეგაც იგი იძულებული გახდა ზავი დაედო ლევანთან და მდგომარეობას შეგუებოდა. ლევანმა 1574 წლამდე იმეფა და მისი მეფობაც, ალექსანდრე I-ის მსგავსად, საკმაოდ წარმატებული აღმოჩნდა ქვეყნისათვის – გაშენდა ქალაქები და სოფლები. მან მოახერხა აქტიური სავაჭრო-კულტურული ურთიერთობის შენარჩუნება სპარსეთთანაც. შაქი-შირვანის შემოერთების წარუმატებლობის მიუხედავად, ლევანმა, ჩერქეზებთან კავშირის წყალობით, დაიმორჩილა გამდგარი თუშ-ფშავ-ხევსურეთი და აღადგინა პოლიტიკური კავშირი რუსეთთან. ივანე IV-სთან შეთანხმებით, რუს მეთოფეთა რაზმი ქვეყნის სანაპირო სიმაგრეებში ჩააყენა, მაგრამ რუსეთმა ანგარიში გაუწია ირანისა და ოსმალეთის პროტესტს და სამხედრო ნაწილები 1572 წელს უკანვე გაიწვია.



მეფე თეიმურაზ I და მარიამ დედოფალი. ქრისტეფორე დე კასტელის ალბომიდან. XVII ს.

ლევანის შემდეგ ტახტი მისმა შვილმა ალექსანდრე II-მ (1574-1605 წწ.) დაიკავა. მან მამის მოქნილი პოლიტიკა გააგრძელა,

რის შედეგადაც კახეთი ბევრჯერ გადაურჩა საფრთხეს და აღმშენებლობის გზას დაადგა – მომრავლდა მოსახლეობა, გააქტიურდა საგარეო ვაჭრობა. ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვით ალექსანდრეს დროს: „ესრეთ შენი იყო კახეთი, ვითარ ძნიად სადმე იპოებოდა სანადირონი“. მაგრამ კავკასიაში, ოსმალეთის მომძლავრებასთან ერთად, გაძლიერდა საშამხლოს მთიელთა თავდასხმები კახეთზე და ჩაიკეტა მნიშვნელოვანი სავაჭ-



არჩილ II

რო-სამიმოსვლო გზები ირანსა და ასტრახანისკენ. ირანელი და ოსმალო დამპყრობლებისთვის წინააღმდეგობის გაწევის ერთერთ საშუალებად ალექსანდრე II-ც რუსეთთან ურთიერთობას ხედავდა და 1587 წელს კახეთის მეფემ ხელი მოაწერა „ფიცის წიგნს“, რომლითაც რუსეთის მეფის ქვეშევრდომობა აღიარა, ხოლო რუსეთმა იკისრა კახეთის დაცვა გარეშე მტრისგან. ამასობაში პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა საქართველოს და კახეთის დაუძინებელი მტერი – შაჰ-აბასი, რომელმაც აქტიურად დაიწყო ალექსანდრეს წინააღმდეგ ინტრიგების ხლართვა. 1601 წელს, მისი წაქეზებით, ალექსანდრეს ვაჟმა დავითმა მამა და ძმა თორდვას ციხეში გამოკეტა. მაგრამ რამდენიმე თვეში, როდესაც მძიმე სენით დაავადებული დავითი გარდაიცვალა, ალექსანდრე გრემში დაბრუნდა და მეფობა განაგრძო. 1605 წელს,-შაჰის დავალებით, ირანის სამეფო კარზე გაზრდილმა, ალექსანდრეს უმცროსმა ძემ – კოსტანტინემ, მამა და ძმა – გიორგი დაახოცინა და თავი კახეთის მეფედ გამოაცხადა. მაგრამ კახელები აჯანყდნენ მამისა და ძმის მკვლელის და ქვეყნის მოღალატე მმართველის წინააღმდეგ და ბელაქანთან ბრძოლაში დაამარცხეს ის. კახეთს მცირე ხნით დავით ალექსანდრეს ძის ქვრივი ქეთევანი განაგებდა. 1606 წელს შაჰ-აბასმა კახეთში დავითის ძე თეიმურაზი (შემდგომში თეიმურაზ I) გამოგზავნა, რომელმაც დედამისისგან გადაიბარა მეფობა. ირან-ოსმალეთის ომის ფონზე შაჰი ვერ იცლიდა კახეთისთვის, მაგრამ მალე ეს დროც დადგა.

ირან-ოსმალეთის 1603-1612 წლების ომი ირანის გამარჯვებით დასრულდა. ზავის თანახმად, აღმოსავლეთ საქართველო ირანს დარჩა,დასავლეთი – ოსმალეთს. კავკასიაში ამ დროს რუსეთიც აქტიურობდა. ეს გარემოება კი შაჰ-აბასს ხელს არ აძლევდა. 1606 წ. შაჰმა ქართლ-კახეთიდან ოსმალები განდევნა,ციხესიმაგრეებში კი საკუთარი გარნიზონები ჩააყენა და ქართველ მეფეებს მორჩილება მოსთხოვა. ამ უკანასკნელებმა ვასალობა აღიარეს, მაგრამ შაჰ აბასს ქართლ-კახეთის სრული მოსპობა და იქ მომთაბარე ტომების ჩასახლება ჰქონდა განზრახული. XVII ს-ის კახეთის ტრაგედიაც ამ გეგმის ნაწილი იყო.

1614-1617 წლებში აბას I-მა ოთხჯერ ილაშქრა კახეთში. კახელები ყოველი გოჯი მიწისათვის თავგანწირვით იბრძოდნენ. მტერი ანგრევდა, წვავდა, მიწასთან ასწორებდა სახლებს, ეკლესია-მონასტრებს,ჩეხდა ბაღვენახებს. მაშინ დანგრეული მრავალი ქალაქი და სოფელი შემდგომში აღარ აღმდგარა. 200 ათასზე მეტი ტყვე ირანის სხვადასხვა პროვინციაში (ფერეიდანში, ხორასანში, მაზანდარანში) ჩაასახლეს. მათმა შთამომავლებმა დღემდე შეინარჩუნეს ქართული ენა და ზნე-ჩვეულებანი.

შაჰ-აბას I-ის ლაშქრობათა შედეგად შეივიწროებული კახეთის მოსახლეობა შესაფერისს მომენტს ელოდა აჯანყების დასაწყებად. იმერეთში ლტოლვილმა თეიმურაზ I-მა,სპარსელთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის მიზნით, კავშირი შეკრა დასავლეთ საქართველოს მეფე-მთავრებთან. აჯანყება დააჩქარა ოსმალთა არმიის დაძვრამ სპარსეთის საზღვრებისაკენ. აჯანყება 1615 წლის 15 სექტემბერს, ალავერდობას, დაიწყო დავით ჯანდიერის მეთაურობით. შეიარაღებული ქართველები შევიდნენ ალავერდის ეკლესიის გალავანში, სადაც ყიზილბაში მეციხოვნეები იდგნენ და დათქმულ ნიშანზე ამოხოცეს ისინი. აჯანყებულებმა თეიმურაზ I მეფედ მიიწვიეს. იგი კახეთში ჩავიდა და სათავეში ჩაუდგა აჯანყებას. მათ კავშირი დაამყარეს შირვანთანაც. აბას I-მა, აჯანყების ჩასაქრობად, 15 ათასიანი ლაშქარი გამოგზავნა.

ოსმალეთის მხარდაჭერის იმედი არ გამართლდა, ვერც ქართლი მიეხმარა თეიმურაზს, ამიტომ მან მარტომ შეუტია მტერს და შაჰ-აბასს ლაშქარი გაუნადგურა. მტერზე გამარჯვებამ რწმენა განუმტკიცა ქართველებს, ხოლო შაჰი სასტიკად განარისხა და შურისძიების სურვილით აღავსო. კახეთს 1616 წლიდან, შაჰის ნაცვალი, ყიზილბაში ფეიქარ ხანი მართავდა,რომელიც თურქმანი ტომების ამ მხარეში ჩასახლებასა და მოსახლეობის გამუსლიმანების პოლიტიკას განაგრძობდა. პარალელურად, თავიანთ ფუძე-კარს უბრუნდებოდნენ მთაში და ტყეში გახიზნული კახელები, რაც ირანელებს იმდენად დიდ პრობლემებს უქმნიდა, რომ ფეიქარ ხანმა შაჰს 1625 წელს ახალი სადამსჯელო

ექსპედიციის გამოგზავნა სთხოვა. თეიმურაზი იმედებს კვლავ ოსმალებზე ამყარებდა, მაგრამ ირანთან ბრძოლაში ოსმალებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს. ამით თეიმურაზს ხელი მოეცარა. პარალელურად, მეფე რუსეთთანაც ცდილობდა ურთიერთობის გაცხოველებას, რასაც აგრეთვე შედეგი არ მოჰყოლია. შაჰ-აბასი კი თეიმურაზის აქტიურობით გაღიზიანებული იყო. მან დაასაჭურისა ირანში მყოფი უფლისწულები, ხოლო მათი ბებია, თეიმურაზის დედა – ქეთევან დედოფალი საშინელი წამებით მოაკვლევინა. ქრისტიანობისთვის თავდადებული ქეთევანი ქართველმა ერმა და ეკლესიამ წმინდანად შერაცხა.

1625 წელს, ფეიქარ ხანის მოთხოვნით, შაჰ-აბასმა ახალი სადამსჯელო ექსპედიცია გამოაგზავნა საქართველოში. მტერს ქართლ-კახეთის ერთიანად ამოწყვეტა ჰქონდა განზრახული. მარტყოფის ველზე 26 მარტს, ხარება დღეს, ქართველებმა, გიორგი სააკაძის მეთაურობით, თითქმის 30 ათასი ყიზილბაში გაჟლიტეს. (მხოლოდ 3 ათასმა შეძლო გაქცევა). სააკაძემ ჯერ ქართლიდან განდევნა მტერი, ხოლო შემდეგ კახეთიდან გაქცეულ ფეიქარ ხანს დაედევნა და ყარაბაღის სახანოდანაც გააქცია ირანელები. მცირე ხანში, თბილისის გარდა, მთელი ქართლ-კახეთი გათავისუფლდა. აჯანყებულებმა ოსმალეთში მყოფი თეიმურაზი მოიწვიეს და გაერთიანებული სამეფოს მეფედ დასვეს. ქართლ-კახეთი გადარჩა, ეს დიდი გამარჯვება იყო.

ირანელთა ახალი შემოტევა 1625 წლის ივნისში განხორციელდა. აბას I-ის მიერ გამოგზავნილ ახალ, დიდ ჯართან მარაბდის ბრძოლაში ქართლ-კახეთის გაერთიანებული ლაშქარი დამარცხდა, მაგრამ მტერმა, რომელმაც ამ ლაშქრობებში 70 ათასი კაცი დაკარგა, მიზანს ვერ მიაღწია – ქართლ-კახეთი ვერ აღგავა პირისაგან მიწისა.

შაჰი ამის შემდეგ სააკაძის, თეიმურაზ I-ის და თავადების ურთიერთწაკიდების პოლიტიკაზე გადავიდა და გარკვეულ წარმატებას მიაღწია. 1626 წელს გაიმართა ბაზალეთის ძმათამკვლელი ომი. ომში თეიმურაზმა დაამარცხა სააკაძე და ქვეყნიდან გააძევა. დიდი მოურავი ოსმალეთში გადაიხვეწა, სადაც 1629 წელს სულთნის დიდვეზირის ბრძანებით მას, მის შვილს



ერეკლე I (მაჰმადიანობაში ნაზარალი-ხანი)

ავთანდილს და 40-მდე მხლებელს თავები მოჰკვეთეს. იმავე წელს გარდაიცვალა შაჰ-აბასიც.

1631 წელს თეიმურაზი ფაქტობრივად ქართლ-კახეთის ერთპიროვნული მმართველი გახდა. 1632 წელს მან – შაჰის აჯანყებულ მოხელესთან – დაუდხან უნდილაძესთან ერთად – ბარდა და ყარაბაღი დაარბია, ამისათვის ირანის ახალმა შაჰმა სეფი პირველმა თეიმურაზი გადააყენა და ქართლის მმართველად როსტომ-ხანი, ხოლო კახეთში ყიზილბაში სელიმ-ხანი დანიშნა. თეიმურაზი წარუმატებლად ეწინააღმდეგებოდა როსტომ-ხანს, რომელმაც 1648 წელს თეიმურაზი კახეთიდანაც გააძევა. თეიმურაზმა ვერც რუსეთისგან მიიღო მხარდაჭერა, წარუმატებელი აღმოჩნდა დახმარების მიღების მცდელობა, როგორც დასავლეთის ქვეყნებისგან, ასევე ოსმალეთისგან. იმედგაცრუებული თეიმურაზი 1661 წელს ბერად შედგა. მალე იგი დიდი ამალით ირანს გაემგზავრა, სადაც გამაჰმადიანების შემთხვევაში კახეთის მეფობა აღუთქვეს. თეიმურაზმა უარი თქვა გამაჰმადიანებაზე, რის შემდეგაც იგი დააპატიმრეს. 74 წლის თეიმურაზ I ასტრაბადის ციხეში გარდაიცვალა. ქართველებმა მისი ნეშტი სამშობლოში ჩამოასვენეს და ალავერდის მონასტერში დაკრძალეს.

ირანის მესვეურები ხელს არ იღებდნენ შაჰ-აბასის გეგმებზე. 1656 წელს როსტომს კახეთი ჩამოართვეს და იქ ყიზილბაში მმართველი დასვეს, მცირე ხანში კახეთში თურქმანების 1500 ოჯახი ჩამოასახლეს. კახელებმა აჯანყება გადაწყვიტეს. აჯანყების სამზადისს ზაალ არაგვის ერისთავი ჩაუდგა სათავეში. 1660 წელს შალვა და ელიზბარ ქსნის ერისთავები, ალავერდელი ეპისკოპოსი, ბიძინა ჩოლოყაშვილი და თუშ-ფშავ-ხევსურები ზეზვა გაფრინდაულის, ნადირა ხოშარაულის და გოგოლაურის მეთაურობით მტერს მოუ-



თეიმურაზ II

ლოდნელად დაესხნენ თავს, აიღეს ბახტრიონისა და ალავერდის ციხესიმაგრეები, ხოლო

მეციხოვნეები გაულიტეს. კახელებს ქართლელებიც მიეხმარნენ. აჯანყების მოთავეებზე ყიზილბაშებმა სასტიკად იძიეს შური და წამებით დახოცეს, მაგრამ ამ აჯანყებამ კახეთი ფიზიკური გადაშენებისგან იხსნა, თუმცა ირანის ბატონობა მაინც გაგრძელდა.

კახეთი ქართლის მეფის ვახტანგ V-ის, შაჰნავაზის (1658-1675 წწ.) მმართველობაში გადავიდა, ხოლო შემდეგ მის შვილს



ერეკლე II

არჩილს ებოძა, რომელმაც 1664 წელს დაიკავა იგი. მან კახეთში აღმშენებლობითი მოღვაწეობა დაიწყო, შედარებითი წესრიგი დაამყარა, ნაწილობრივ ალაგმა ლეკთა თარეში, აღადგინა სახელმწიფო მოწყობა, ხოლო რეზიდენცია გრემიდან თელავში გადაიტანა.

ირანელებს არ მოეწონათ ვახტანგისა და არჩილის მიერ ქართლ-კახეთის გაერთიანება-მოძლიერება, ამიტომ თეიმურაზის შვილიშვილი, რუსეთში გადახვეწილი ერეკლე I (ნაზარალი ხანი) ჩამოიყვანეს და კახეთის ტახტი აღუთქვეს. არჩილმა 1675 წელს დატოვა კახეთი და იმერეთში გამეფებას შეეცადა. 1699 წელს იგი რუსეთში გადასახლდა.

1703 წელს ერეკლე ირანში გაიწვიეს, მეფობაც უბოძეს, მაგრამ რეალურად ტახტზე მისი შვილი დავითი (იმამყული-ხანი) დასვეს, რომელიც ლეკთა თარეშის ალაგმვას შეეცადა, თუმცა უშედეგოდ. ლეკები უფრო მომძლავრდნენ და აღმოსავლეთ კახეთის რამდენიმე სოფელი დაიკავეს.

1722 წელს კახეთის სამეფო ტახტზე დავით II-ის ძმა – კონსტანტინე ავიდა, რომელმაც, ლეკების ნაცვლად ქართლს დაუწყო ბრძოლა, მაგრამ ქართლი ვერ დაიპყრო, ლეკები კი უფრო მოამძლავრა. ამასთან ერთად, ქართლი ოსმალებმა დაიკავეს. კონსტანტინემ ოსმალეთის წინააღმდეგ მოკავშირე ვერ იპოვა და ფშავ-ხევსურეთში გაიქცა. ლეკებმა კი ისარგებლეს კახეთში ხელისუფლების კრიზისით და მთელი ამ მხარის დაპყრობა განიზრახეს. 1727 წელს ოსმალეთის სულთანმა ჭარ-ბელაქანი ლეკებს გადასცა. 1732 წელს ოსმალებმა კონსტანტინე მოკლეს და კახეთი დაიკავეს.

1733 წელს კახეთის სამეფო ტახტზე კონსტანტინეს უმცროსი ძმა – თეიმურაზ II ავიდა. 1735 წელს ირანმა განდევნა ოსმალეთი აღმოსავლეთ ამიერკავკასიიდან, თეიმურაზ II დააპატიმრეს და ისპაჰანს გაგზავნეს, კახეთი კი გამაჰმადიანებულ ალექსანდრეს ჩააბარეს. ქართლ-კახეთში ახალი ძალით გაიშალა განმათავისუფლებელი მოძრაობა, ამან აიძულა ნადირ-შაჰი 1736 წელს თეიმურაზ II კახეთში დაებრუნებინა, მისი ძე ერეკლე (ერეკლე II) კი ინდოეთის ლაშქრობაში იახლა. შაჰმა 1744 წელს თეიმურაზ II-ს ქართლი, ერეკლე II-ს კი კახეთი ჩააბარა ქრისტიანობის შენარჩუნებით. ქართველთა თავგამოდებამ და შეუპოვრობამ შედეგი გამოიღო – ნადირ შაჰმა ქართლ-კახეთის გამუსლიმანების გეგმაზე ხელი აიღო. 1747 წელს ნადირ-შაჰი ირანის შიდაპოლიტიკურ ბრძოლებს შეეწირა, რითაც ისარგებლა ერეკლე II-მ და თბილისის და სხვა ციხეებიდან ირანელი მეციხოვნეები განდევნა. 1748 წლიდან ქართლ-კახეთმა სრული დამოუკიდებლობა მოიპოვა.

1748-1752 წლებში თეიმურაზ II და ერეკლე II წარმატებით იბრძვიან მეზობელი სახანოების წინააღმდეგ და პარალელურად არაერთხელ ამარცხებენ ქართლ-კახეთში შემოჭრილ ლეკებს. ერევნის, განჯისა და ნახიჭევანის ხანებმა თავი ერეკლე II-ის მოხარკეებად ცნეს. 1754 წელს ერეკლემ მცირე ლაშქრით ბრწყინვალედ გაიმარჯვა ქვეყანაში შემოჭრილ მრავალრიცხოვან ლეკ მოთარეშეებზე. 1755 წელს კახეთში ლეკების უფრო დიდი ლაშქარი შემოიჭრა ხუნძახის ბატონის ნურსალბეგის სარდლობით. მან ალყა შემოარტყა ყვარლის ციხეს და, როდესაც მეციხოვნეებს ტყვია-წამალი და სურსათის მარაგი ელეოდათ, ერეკლეს მიერ გამოგზავნილი რაზმი ციხესიმაგრეში შეიჭრა და თან საბრძოლო მასალაც შეიტანა, ქიზიყელთა მეორე დიდი რაზმი კი ჭარის დასარბევად გაეშურა. ამ ტაქტიკურმა სვლამ ლეკები აიძულა ალყა მოეხსნათ და კახეთს გასცლოდნენ. თეიმურაზის გარდაცვალების შემდეგ, 1762 წლიდან, ერეკლე II ქართლ-კახეთის მეფე გახდა. ირანმა ცნო მისი მეფობა და გავლენა მეზობელ სახანოებზე.

ერეკლე II-მ მტკიცე ხელით განაგრძო მამასთან ერთად დაწყებული ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენა-განვითარების საქმე. მან აღკვეთა მის წინააღმდეგ ფეოდალთა ერთი ჯგუფის მიერ წამოწყებული შეთქმულება, გააუქმა მსხვილი საერისთავოები, ააღორძინა საქალაქო ცხოვრება, ხელოსნობა და ვაჭრობა. სამეფო კარმა დიდი ყურადღება მიაქცია მრეწველობის განვითარებას: იმ დროისთვის დამუშავების პროგრესული მეთოდით აღადგინა ახტალისა და ალავერდის ვერცხლისა და სპილენძის საბადოები. შეიქმნა თოფ-ზარაფხანის, თოფის წამ-

ლის, მინის ქარხნები და მანუფაქტურები, აამოქმედა სამეფო ზარაფხანა, სტამბა და ა. შ.

დაიწყო სახელმწიფო მმართველობის რეფორმაც. ცენტრალური მმართველობა დაიყო: საგარეო საქმეთა, სახელმწიფო შემოსავლებისა და სამხედრო უწყებებად. 1774 წელს შეიქმნა რეგულარული, „მორიგე“ ჯარი, რომელსაც ლეკთა თარეში უნდა აღეკვეთა. ქართულ ჯარში შემოიღეს ევროპული ჩინები და ცდილობდნენ ახალი სამხედრო სისტემის ჩამოყალიბებას. საკმაოდ დაიხვეწა და განვითარდა სასამართლო სისტემაც. აღმავლობა შეეხო მეცნიერებისა და კულტურის სფეროსაც – აღდგა სტამბა, გაიხსნა სახელმწიფო სკოლები და სასულიერო სემინარია, დაარსდა თეატრი და სხვ.

ქართული სახელმწიფოს წარმატებებს იმედის თვალით უყურებდა ამიერკავკასიის და



დარეჯან დედოფალი

მახლობელი აღმოსავლეთის ქრისტიანი მოსახლეობა. ისინი ხშირად თხოვდნენ დახმარებას ერეკლე II-ს. აქტიურობდნენ სომხები, რომლებიც მეფეს ქართულ-სომხური სახელმწიფოს შექმნას და მეთაურობას სთავაზობდნენ.

ახალი საგარეო პოლიტიკური კურსი რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის გაღრმავებას ითვალისწინებდა. 1768-74 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს ერეკლემ, რუსეთის დახმარებით, სამცხე-ჯავახეთის გათავისუფლება სცადა, მაგრამ რუსის ჯარის ავანტიურისტი სარდლის ტოტლებენის მოღალატური პოლიტიკის წყალობით, რაც მარტო ამ სარდლის ინიციატივა არ უნდა ყოფილიყო, ეს განზრახვა ჩაიშალა; თუმცა, რუსეთთან მოლაპარაკებები გრძელდებოდა, რაც 1783 წელს ქ. გეორგიევსკში ტრაქტატის დადებით დასრულდა. ხელშეკრულების თანახმად, ქართლ-კახეთის მეფეს ამტკიცებდა რუსეთის იმპერატორი, რომელიც უგზავნიდა მას სამეფო ნიშნებს. მეფეს, იმპერატორის ნებართვის გარეშე, არ ჰქონდა უფლება ურთიერთობა დაემყარებინა სხვა სახელმწიფოებთან. ქართლ-კახეთის მეფე ვალდებული იყო, საჭიროების დროს, დახმარებოდა რუსეთს ჯარით. ქვეყნის საშინაო მართვა-გამგებლობაში მეფე სრულ დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა. ქართლ-კახეთის მშვიდობიანობის დასაცავად, რუსეთს საქართველოში მუდმივად უნდა ჰყოლოდა ორი ბატალიონი ჯარი ოთხი ზარბაზნით. იმპერატორი პირობას იძლეოდა, რომ იზრუნებდა მტერთაგან მიტაცებული მიწების საქართველოსათვის დაბრუნებაზე.

ტრაქტატის დადებას ირანისა და ოსმალეთის მკვეთრი გაღიზიანება მოჰყვა. ოსმალებმა კვლავ წააქეზეს ლეკები. 1785 წელს ქართლ-კახეთი დიდად დააზარალა ავარიის მმართველის ომარ-ხანის ლაშქრობებმა. პარალელურად გაჩნდა ქართლ-კახეთის დასავლეთ საქართველოსთან გაერთიანების შესაძლებლობა, რაც, სამწუხაროდ, არ განხორციელდა. თუმცა, 1790 წელს დაიდო სამხედრო კავშირი ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოებს შორის.

ამასობაში, ირანში, ტახტისთვის ბრძოლაში აღა-მაჰმად-ხანმა გაიმარჯვა, მომძლავრდა და როდესაც დარწმუნდა, რომ რუსეთი საქართველოს სამხედრო დახმარებას არ გაუწევდა, 1795 წელს ქართლში შემოიჭრა. რუსეთის მოიმედე ერეკლე II მტერს ძველებურად მომზადებული ვერ შეხვდა. 5 ათას კაციან ჯარს იმერეთის მეფემ 3 ათასი მოლაშქრე მიახმარა. კრწანისის ბრძოლა, ღალატის შედეგად, ქართველების მარცხით დასრულდა. მტერი თბილისში შემოიჭრა და ერთიანად ააოხრა. აღა-მაჰმად-ხანი, შიდა პოლიტიკური არეულობის გამო, მალე იძულებული გახდა ირანში გაბრუნებულიყო. ერეკლე მეფე კვლავ ბრძოლისათვის ემზადებოდა, მაგრამ მხცოვანი მეფე 1798 წლის 11 იანვარს თელავში გარდაიცვალა.

ტახტი ერეკლეს უფროსმა ვაჟმა გიორგი XII-მ დაიკავა; მას დიდხანს არ უმეფია, იავადმყოფა და მალევე გარდაიცვალა, რითაც ისარგებლა რუსეთმა და 1801 წლის 12 სექტემბერს საქართველოში მეფობა გააუქმა, ქართლ-კახეთის სამეფო კი რუსეთის გუბერნიად გამოაცხადა.



გიორგი XII

ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობას, რუსეთის იმპერიის მიერ განხორციელებულ სწრაფი კოლონიზაციისა და ქართველთა ასიმილაციის პოლიტიკას ქართული საზოგადოება ვერ ეგუებოდა. დაიწყო მძლავრი, ეროვნულ-

განმათავისუფლებელი მოძრაობა. 1802 წელს თბილისის სიონის ტაძარში, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმების მანიფესტის გამოცხადების დღეს, რუსეთის ერთგულების ფიცის დადებაზე კახეთის თავადაზნაურობის დიდმა ნაწილმა უარი განაცხადა, რუსების ალყა გაარღვია და თბილისი დატოვა. სწორედ ეს მოვლენაა მიჩნეული საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საწყისად. შინ დაბრუნებული კახელი თავადაზნაურობა 1802 წლის ივლისში ქიზიყში შეიკრიბა და მთელ მოსახლეობასთან ერთად, რუს მოძალადეებს დაუმორჩილებლობა გამოუცხადა, მათ დასაშლელად გაგზავნილი რუსების ბატალიონი ქიზიყელებმა სასტიკად დაამარცხეს, იულონ ერეკლეს ძის ერთგულების ფიცი დადეს და რუსების იმპერატორს საპროტესტო წერილი გაუგზავნეს, რომელსაც 69 თავადი აწერდა ხელს. რუსების მიერ კახეთში დამატებითი ძალების გაგზავნის შემდეგ აჯანყებულებმა მიიჩნიეს, რომ დროებით უნდა დაშლილიყვნენ. 1804-1812 წლებში ეროვნული მოძრაობა საქართველოს სხვა მხარეებსაც მოედო. განსაკუთრებით ძლიერი იყო მთიულეთის აჯანყება, რომლის სასტიკად ჩახშობის მიუხედავად, ქართველ ერში სახელმწიფოებრიობის აღდგენის სურვილი არ ჩამკვდარა.

1812 წელს კახეთში დიდმა აჯანყებამ იფეთქა. რუსი ოკუპანტების ძალმომრეობითა და თავხედობით აღშფოთებულმა კახელებმა ქალაქი თელავი აიღეს და რუსების გარნიზონი ციხეში გამოკეტეს. მალე აჯანყებულებმა სიღნაღიც დაიკავეს და დამპყრობელთაგან სოფლების გაწმენდას შეუდგნენ. კახელებს ფშავ-ხევსურებმაც დაუჭირეს მხარი. მათ დუშეთი და ფასანაური გაათავისუფლეს. აჯანყებულები ქართლ-კახეთის სამეფოს აღდგენას და ბაგრატიონთა დინასტიის დაბრუნებას მოითხოვდნენ. საოკუპაციო ხელისუფლებამ გაჭირვებით მოახერხა აჯანყების ჩახშობა; აჯანყების მოთავეები დასაჯეს, მაგრამ ხელისუფლება იძულებული გახდა გარკვეულ დათმობებზე წასულიყო – კახეთში გაუქმდა კაპიტან-ისპრავნიკის თანამდებობა, აღდგა მოურავობა, რუსული სასამართლოს ნაცვლად დროებითი სასამართლოები შეიქმნა, სადაც სამოქა-



ნეკრესის მონასტერი. სამნავიანი ბაზილიკა. IV ს-ის II ნახევარი

ლაქო საქმეების გარჩევა ქართული კანონებისა და ადათის საფუძველზე ხდებოდა.

1812 წლის აჯანყების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა 1832 წლის შეთქმულება. მისი ჩასახვა და განვითარება მოსკოვსა და პეტერბურგში გადასახლებაში მყოფ ბატონიშვილთა წრეში დაიწყო. ამ მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა სოლომონ დოდაშვილმა შეთქმულების იდეა რუსეთიდან საქართველოში გადმოიტანა. კახეთში შეთქმულთა იდეურ ცენტრს ალექსანდრე ჭავჭავაძის წინანდლის სახლი წარმოადგენდა. შეთქმულთა ერთი ჯგუფი, რომლის სათავეში, ძირითადად, ქართველი ბატონიშვილები იდგნენ, მოითხოვდა ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენას. მეორე ჯგუფი კი, რომელსაც სოლომონ დოდაშვილი მეთაურობდა, თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგი იყო და რესპუბლიკური წყობილების დამყარებას მოითხოვდა. ერთ-ერთი ჯგუფი კონსტიტუციური მონარქიის მომხრე იყო. შეთქმულთა ნაწილი მოითხოვდა საქართველოს დარჩენას რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში 1783 წლის ტრაქტატის საფუძველზე. შეთქმულება გასცეს და მისი მონაწილე 38 კაცი დააპატიმრეს, მ. შ. სოლომონ დოდაშვილი და ალექსანდრე ჭავჭავაძე.

XIX საუკუნის 60-იან წლებში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ახალი ეტაპი დაიწყო. ქართული საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლებმა, ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით, მიზნად დაისახეს ქართული სახელმწიფოებრიობის ეტაპობრივი აღდგენა, ანუ თავდაპირველად იმპერიის ფარგლებში ავტონომიის მიღწევა და, შესაბამისი მომენტის დადგომისთანავე, სრული დამოუკიდებლობის მიღება.

მას შემდეგ, რაც რუსეთში 1917 წლის თებერვლის დემოკრატიულმა რევოლუციამ გაიმარჯვა და დემოკრატიულმა ძალებმა რუსეთის თვითმპყრობელობა დაამხეს, საქართველომ 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ქართული სახელმწიფო 1921 წლის 25 თებერვლამდე ფუნქციონირებდა. 1921 წლის თებერვალში ბოლშევიკურმა რუსეთმა საქართველოს ოკუპაცია მოახდინა. საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა არც საბჭოთა რეჟიმის პირობებში შეწყვეტილა. 1921 წელსვე აჯანყებამ მოიცვა სვანეთი და რაჭა-ლეჩხუმი. 1922 წლიდან მოქმედება დაიწყო „სამხედრო ცენტრმაც“ და ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის პატრიოტულმა რაზმმა. 1924 წლის ივლის-აგვისტოში აჯანყებამ იფეთქა კახეთსა და ფშავ-ხევსურეთში. საყოველთაო აჯანყების ხელმძღვანელად გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე დაინიშნა. 1924 წლის აჯანყება

სხვადასხვა მიზეზთა გამო დამარცხდა, რის შემდეგაც კახეთშიც, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, სასტიკი რეპრესიები განხორციელდა.

საბჭოთა რეჟიმის არსებობის მთელ პერიოდში საქართველოში და შესაბამისად,კახეთშიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა არ ჩამკვდარა. მან დიდი გასაქანი პოვა და განსაკუთრებით მასობრივი ხასიათი სსრკ-ის დაშლის პროცესების პარალელურად, XX ს-ის 80-90-იან წლებში მიიღო, როდესაც ბოლშევიკების მიერ იმპერიის მოდერნიზების მცდელობები უშედეგოდ დასრულდა. 1991 წლის 9 აპრილს საქართველომ კიდევ ერთხელ, უკვე საბოლოოდ, აღიდგინა დამოუკიდებლობა.

კახეთი განსაკუთრებით გამორჩეულია ხუროთმოძღვრულ ძეგლთა სიმრავლით. საქართველოს დანარჩენი მხარეების მსგავსად, შუა საუკუნეების კულტურული მემკვიდრეობა აქაც, ძირითადად, საეკლესიო ხუროთმოძღვრებითაა წარმოდგენილი, რომელიც მოიცავს საქართველოში გავრცელებულ ყველა ტიპის საეკლესიო ნაგებობას. სწორედ ამ მხარეშია შემორჩენილი საეკლესიო ნაგებობების ისეთი ნიმუშები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ქრისტიანობის გავრცელების პირველ ხანებს უკავშირდება.

კახეთის მონუმენტური ხუროთმოძღვრების ძირითადი თავისებურება გარე მორთულობის სისადავეა, რომელიც მან განვითარების მთელ გზაზე შეინარჩუნა. თუმცა, ამ მხარის ხუროთმოძღვრება, როგორც განვითარების ეტაპებით, ისე სტილის ცვალებადობით, მჭიდროდ იყო დაკავშირებული მთელი ქვეყნის ხუროთმოძღვრების განვითარების ისტორიასთან.

კახეთის ხუროთმოძღვრები საუკუნეთა განმავლობაში ქმნიდნენ თავიანთი დროის შესანიშნავ ნიმუშებს, მაგრამ საქართველოს დანარჩენი მხარეებისგან განსხვავებით, ტაძრების შესამკობად იშვიათად ან სრულებით არ იყენებდნენ ორნამენტულ სამკაულს. მათ ხელთ არსებული დაბალი, დეკორატიული ღირსებების მქონე სამშენებლო მასალით შეუძლებელი იყო დეკორატიული ეფექტების მიღწევა. ძეგლების გარეგნული უბრალოება, სავსებით პასუხობდა მოსახლეობის სულიერ მოთხოვნილებებს და მათი ესთეტიკური წარმოდგენის ანარეკლს წარმოადგენდა. ესაა არსებითი სხვაობა კახეთის მონუმენტურ ნაგებობებსა და საქართველოს სხვა მხარეთა მსგავს ნაგებობებს შორის, რომელთა საშენ მასალად ფართოდ გამოიყენებოდა სხვადასხვა ჯიშის ქვის კარგად თლილი კვადრები. ეს უკანასკნელი კი ფასადების ფიგურული რელიეფებით და მრავალსახა ჩუქურთმით მორთვის შესაძლებლობას იძლეოდა.

კახეთის ხუროთმოძღვრული ძეგლები მნახველზე ზემო-



ძველი შუამთის მონასტერი. მარცხნიდან: ბაზილიკა – V ს-ის შუახანები, დიდი გუმბათოვანი ეკლესია – VII ს., მცირე გუმბათოვანი ეკლესია – VII ს.



კარდანახი. საბაწმინდის მონასტრის სამეკლესიანი ბაზილიკა. VI ს-ის შუახანები

ქმედებას ახდენს ფორმებისა და სივრცის სრულყოფილებით. ხუროთმოძღვართა შემოქმედებითი ძალისხმევა ძირითადად მიმართულია სტრუქტურული მორჩეული, ფასადთა დეკორაციული მორთულობის ელემენტების მთელი სისტემა (სხვადასხვა კონფიგურაციის ჩაღრმავებული არეები და ჯვრები, რომბები, დაკბილული ლავგარდნები და სხვ.). როგორც ჩანს, ამ სამშენებლო მასალის წინა პლანზე წამოწევა ასევე ტაძრები პალესტინური ბაზილიკების ნიმუშების მიხედვით. საეკლესიო მმართველობის მიერ საეკლესიო ნაგებობის ეს ხელოვნურად დანერგილი ფორმა იმთავითვე ადგილობრივი ტრადიციების შესაბამისად იქნა გადამუშავებული. კახეთის ბაზილიკების უძველესი ნიმუშების დიდი ნაწილი (ნეკრესის მონასტრის თავდაპირველი ეკლესია, ძველი შუამთის მონასტრის ბაზილიკა, მატნის ცხრაკარას მონასტრის ბაზილიკა) ძლიერ განსხვავდება ადრექტისტიანული ბაზილიკის არქიტექტურული ტიპისგან. ბაზილიკის მსგავსად, ისინი სამ ნავად არის გაყოფილი, რომლებიც ერთიანი სივრცის შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენს. შენობები მოკლეა, ნავები, ხის კონსტრუქციების ნაცვლად, გადახურულია ქვის კამარით. ამავე ხანებში იგება ნამდვილი ბაზილიკების ტიპის ეკლესიებიც (კაწარეთის სამების ეკლესია, ე. წ. ჭაბუკაურის ეკლესია ნაქალაქარ ნეკრესის ტერიტორიაზე, თელავის ღვთაების, ტიბაანის წმ. სტეფანეს, კონდოლის ნათლისმცემლის, ნატკორის ეკლესიები, ნაქალაქარ არეშის ბაზილიკა), VI საუკუნის ნახევრიდან VII საუკუნის ჩათვლით. შენობები შესამჩნევად მოკლდება, ნავები გაყოფილია ბოძების მხოლოდ



კისისხევი. კონდამიანის ეკლესია. VI ს-ის II ნახევარი

ამოცანების გადაწყვეტაზე – ქრისტიანული ეკლესიის მოთხოვნილებების შესაბამისი შიდა სივრცის შექმნაზე, რომელსაც სავსებით შეესატყვისებოდა შენობის გარეგანი ფორმები. ნაგებობები აგებულია უბრალო საშენი მასალით. ესაა სრულიად დაუმუშავებელი რიყის ქვა და ფოროვანი ტუფი. ე.წ. შირიმი. გარდა რიყის ქვისა და შირიმისა, სხვადასხვა პერიოდში საშენ მასალად იყენებდნენ აგრეთვე აგურს, რომელსაც, საქართველოს სხვა მხარეებისგან განსხვავებით, კახეთში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ადრინდელ ხანებში მას დამატებით საშენ მასალად იყენებდნენ – ძირითადად კონსტრუქციულად საპასუხისმგებლო ელემენტების გამოსაყვანად. გვიანდელი ხანის საეკლესიო და საერო ნაგებობების დიდი ნაწილი კი, ძირითადად ან მთლიანად, აგურითაა ნაშენი. სწორედ კახეთის საეკლესიო ნაგებობებში შემუშავდა აგურის წყობისათვის ნიშანდობლივი მრავალფეროვნებით გამორჩეული ორნამენტული სარტყელების ნიმუშები.



ხაშმი. კაწარეთის სამება. VI ს-ის ბოლო – VII ს-ის დასაწყისი

ტურდება თუნდაც იმით, რომ უძველესი ნაგებობები ძირითადად, კრამიტითაა გადახურული.

კახეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, გაყოფილია ბოძების მხოლოდ

ორი წყვილით (ვაზისუბნის ღვთისმშობლის მიძინების, ახშანის გორისჯვრის, ბოდბის წმ. ნინოს მონასტრის ეკლესიები, აზერბაიჯანის კახის რაიონში ყუმის ეკლესია და სხვ.). დამოკლების ტენდენცია შესამჩნევია როგორც VIII-IX საუკუნეებში, ისე მომდევნო X საუკუნეშიც. პროპორციული თვალსაზრისით, ეს ნაგებობები შედარებით უკეთ არის გადაწყვეტილი, შიდა სივრცე აქ გაცილებით დახვეწილია და ხალვათი, პროპორციები – შემაღლებული (აკურის მამა დავითი, ზემო ალვანის ნათლისმცემელი, ვაზისუბნის სანაგირის ბაზილიკა). სამნავიანი ბაზილიკის აგების გვიანდელი მაგალითია ჟალეთის ბაზილიკა.



ზეგაანი. წმ. მარინეს ეკლესია. V ს.

VI საუკუნის I ნახევარში, ნამდვილი ბაზილიკური ნაგებობების გვერდით, ჩნდება ამ თემის თავისებური, რამდენამე სახეცვლილი ვარიანტი, რომელსაც აკადემიკოსმა გიორგი ჩუბინაშვილმა „სამეკლესიიანი ბაზილიკა“ შეარქვა და რომელიც საქართველოს გარეთ, ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, არ გვხვდება. ამ ტიპის ტაძრის თავისებურება იმაშია, რომ მას გარეგნობით ბაზილიკის ასახულობა აქვს, მაგრამ სტრუქტურით იგი არ არის ბაზილიკა. ბაზილიკისგან განსხვავებით, ერთ ნაგებობაში, ჩვენ გვაქვს ერთმანეთისგან ერთიანი კედლებით გამიჯნული, ხშირ შემთხვევაში კარებით დაკავშირებული, სამი წაგრძელებული სადგომი, რომლებსაც აღმოსავლეთით დამოუკიდებელი საკურთხეველი აქვს. ასე, რომ ერთ ნაგებობაში ერთდროულად სამი ეკლესიაა. კახეთი განსაკუთრებითაა გამორჩეული სამეკლესიიანი ბაზილიკების სიმრავლით. VI-VII საუკუნეების მიჯნაზე ამ თემამ კახეთში როგორც სივრცობრივი გადაწყვეტით, ისე გარეგანი გაფორმების თვალსაზრისით, მხატვრულად დახვეწილი, დასრულებული სახე მიიღო.

ნაგებობის შიდა სივრცის ფორმირების პროცესში, ადგილობრივ სამშენებლო ტრადიციებზე დამყარებულმა, მისი ცენტრულობის მიზანდასახულობამ – გუმბათოვანი გადახურვით და შუქის ძირითადი წყაროთი ზემოდან, განსაზღვრა ქრისტიანული ტაძრის თავდაპირველი ფორმები – ცენტრული გეგმის მქონე გუმბათოვანი სტრუქტურა.

კახეთის გუმბათოვანი არქიტექტურის უძველესი ნიმუშები VI-VII საუკუნეებს განეკუთვნება. ისინი ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული ტიპის ეკლესიების ჯგუფს შეადგენენ. ამ ძეგლებში ჯერ კიდევ ბევრია გაუწონასწორებელი, დაუხვეწავი და მხატვრულად მოუქნელი ფორმები, ხუროთმოძღვრებს ჯერ კიდევ არა აქვთ ათვისებული არქიტექტურული კომპოზიციის ყველა მხარე, მათი შემოქმედებითი



ვაზისუბანი. ორმოცი მოწამის ეკლესია. VII ს.

აზროვნება მთლიანადაა მიმართული ქრისტიანული არქიტექტურის ცენტრალური ამოცანის (შიდა სივრცის შექმნა) გადაწყვეტად.



ნინოწმინდის ტაძარი. VI ს-ის შუახანები

ამ პერიოდის გუმბათოვან თემებს შორის გვხვდება ტეტრაკონქების და „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის სხვადასხვა ვარიანტები. ყველა ამ ეკლესიაში გუმბათი ეყრდნობა კედლებს და არა ცალკე მდგომ ბოძებს.

ტეტრაკონქის ტიპის ძეგლებიდან უძველესია ძველი გავაზის ეკლესია (VI ს-ის III მეოთხედი), რომელიც ყველა მიმართებით, უთუოდ, ამ ტიპის საწყის წარმომადგენლად უნდა ჩაითვალოს. გეგმით იგი უბრალო ოთხყურაა – ცენტრალურ ნაწილში გუმბათქვეშა კვადრატით, რომელსაც ოთხივე მხრიდან ნალისებრი აფსიდი შეერთვის. შენობის გარე მოხაზულობა ზუსტად იმეორებს შიგა აღნაგობას.

ნაგებობათა კომპოზიციური გადაწყვეტისა და მხატვრული სრულყოფის ძიების რთულ გზაზე, ტეტრაკონქის ტიპის მომდევნო საფეხურია ნინოწმინდის საეპისკოპოსო ტაძარი (VI ს-ის III მეოთხედი), რომელშიც გუმბათის დიამეტრის გაზრდის და, შესაბამისად, გუმბათქვეშა სივრცის გაფართოების მიზნით, ჯვრის მკლავებს შორის, დიაგონალურ ღერძებზე მოწყობილია გარკვეული დანიშნულების, ორაფსიდიანი, მცირე სადგომები. ევოლუციური თვალსაზრისით, ნინოწმინდის ტაძარი უდიდესი მნიშვნელობის ძეგლია. საქართველოში მეორე ასეთი კომპოზიცია არ გვხვდება. ტეტრაკონქის კომპოზიცია უდევს საფუძვლად ძველი შუამთის მონასტრის ორივე გუმბათოვან ეკლესიასაც (პირველი – VI ს-ის დასასრული-VII ს-ის დასაწყისი, მეორე – VII ს.).



კისისხევი. ყველაწმინდის ეკლესია. VI ს-ის II ნახევარი



კალაური. წმ. გიორგის ეკლესია. VI-VII სს.

ტეტრაკონქის ტიპის გარდა, ამ პერიოდის გუმბათოვან თემებს შორის, გვხვდება „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის რამდენიმე, ერთმანეთისგან განსხვავებული, კომპოზიცია – ერთი აფსიდითა და სამი, სწორკუთხა მკლავით. სივრცობრივი აღნაგობით ესაა ერთი საერთო ტიპი, რომელიც, მინიატურული ზომებიდან გამომდინარე, კონსტრუქციული თვალსაზრისით რამდენადმე გამარტივებულია. არსებობს მისი ოთხი სახესხვაობა: ერთი, რომელსაც გეგმას გარედანაც ჯვრული მოხაზულობა აქვს (ზეგაანის წმ. მარინეს ეკლესია, ე.წ. ერელაანთ საყდარი სოფ. მატანთან და ამაღლების ეკლესია სოფ. კოჭბაანთან), მეორე – შეცვლილი გარეგანი კონტურით (დავითიანის ორმოცი მოწამისა და ვაჩნაძიანის სვეტიცხოვლის ეკლესიები), მესამე – სრულიად თავისებური, მკვეთრად ხაზგასმული გრძივი ღერძით (იყალთოს მონასტრის სამების ეკლესია) და მეოთხე, განსაკუთრებით საინტერესო ტიპი, სადაც ორი მკლავი დასრულებულია აფსიდით, ხოლო დანარჩენი ორი სწორკუთხაა (კისისხევის ყველაწმინდის ეკლესია).

VII საუკუნის დასასრულიდან, გუმბათოვანი ტაძრების ახალი ფორმების ძიებაში ფართოდ იყენებენ ბაზილიკებისა და სამეკლესიიანი ბაზილიკების კომპოზიციის პრინციპს,

რაც განსაკუთრებული თავისებურებითაა გამოვლენილი VIII-IX საუკუნეებში. ამ პერიოდში გეხვდება სხვადასხვაგვარი კომპოზიციების კომბინირების მაგალითები. ნაგებობის ცენტრალური სივრცის დამაგვირგვინებელი გუმბათი შერწყმულია გუმბათოვან სტრუქტურისათვის უცხო, ბაზილიკური და სამეკლესიიანი ბაზილიკის ტიპის ფორმებთან. ამის მაგალითია გურჯაანის ყველაწმინდა (ერთადერთი ორგუმბათიანი ეკლესია საქართველოში), დასავლეთის გახსნილი პატრონიკით და განცალკევებული სადგომებით გვერდითი ნავების თავზე. ხუროთმოძღვრული ფორმების ევოლუციის მაჩვენებელია, ვაჩნაძიანის მიდამოებში მდებარე ყველაწმინდის მონასტრის გუმბათოვანი ეკლესია, რომელიც საქართველოში გარდამავალი ხანის ყველაზე მაღალმხატვრულ ძეგლთა რიცხვს მიეკუთვნება. ტაძარი საერთო კომპოზიციით წარმოადგენს სამეკლესიიანი ბაზილიკის თავისებური გადამუშავების მაგალითს, რომელშიც ძირითადი ელემენტების ორგანულმა შეთანხმებამ შუა სადგომის, როგორც „გუმბათოვანი დარბაზის“, შექმნის შესაძლებლობა განაპირობა. გუმბათისა და გუმბათქვეშა კვადრატის დასაკავშირებლად აქ, პირველად საქართველოში, ჩნდება ახალი კონსტრუქციული ელემენტი – აფრა (პანდატივი), თუმცა, მის გვერდით არც ტრომპებია უგულებელყოფილი.

ნიშანდობლივია, რომ ამ პერიოდში, სამეკლესიიან ბაზილიკებში შემუშავებული თემა – გვერდითი სადგომების დასავლეთის გარშემოსავლელით დაკავშირება – სხვადასხვა გუმბათოვან კომპოზიციებშიცაა გამოყენებული. ხუროთმოძღვრები აგებენ ღია გალერეებს, სადაც ისინი, ისევე როგორც სამეკლესიიან ბაზილიკებში, დანაწევრებულია თაღებით, რომლებიც ფასადებზე დამატებით მხატვრულ აქცენტებს ქმნის. ამის მაგალითია ძველი გავაზის ტეტრაკონქი, რომელსაც VIII-IX საუკუნეებში სამი მხრიდან გარეთკენ თაღებით გახსნილი გარშემოსავლელი მიადგეს.

გარშემოსავლელის თემის გარდა, მუშავდება ასევე პატრონიკეს თემაც. კახეთის ტაძრებში პატრონიკე არც თუ ისე ბევრ ნაგებობებშია დადასტურებული. მისი შექმნის პირველი ცდა ცნობილია უგუმბათო არქიტექტურაში – კარდენახის საბაწმინდის მონასტრის ძველ, სამეკლესიიან ბაზილიკაში. აქ პატრონიკე არ წარმოადგენს ტაძრის აუცილებელ, კომპოზიციურ ელემენტს – კაცთა და ქალთა განმაცალკევებელ ადგილსამყოფელს, არამედ იგი კომპოზიციის შემადგენელი ნაწილია და მისი გაჩენა, როგორც ჩანს, წმინდა კონსტრუქციული მოსაზრებებით იყო ნაკარნახევი. კერძოდ, გუმბათის განმბრჯენი ძალების გასაწონასწორებლად. ამ ამოცანის გადასაჭრელად გურჯაანის ორგუმბათიანი ბაზილიკის ხუროთმოძღვარი გვერდითი ნავების თავზე დამატებით ეკლესიებს ქმნის, ხოლო ვაჩნაძიანის ყველაწმინდის ტაძრის ხუროთმოძღვარი – პატრონიკეს.

კახეთის ამ პერიოდის ძეგლთაგან განსაკუთრებული ინდივიდუალობითაა გამორჩეული ნეკრესის მონასტრის გუმბათო-



გურჯაანი. ყველაწმინდის ეკლესია. VIII ს.



ვაჩნაძიანი. ყველაწმინდის ეკლესია. VIII-IX სს-ის მიჯნა

ვანი ეკლესია. ამ შემთხვევაშიც სახეზეა სამეკლესიიანი ბაზილიკის თემის გუმბათოვანი ეკლესიის თემასთან შერწყმის მაგალითი, რაც აქ სრულიად განსხვავებულადაა გადაწყვეტილი: ხუროთმოძღვარი მაღალყელიან გუმბათს შენობის ცენტრალური, გეგმით კვადრატული ნაწილის კედლებზე აფუძნებს და გუმბათის განმბრჯენ ძალებს უპირისპირებს ხუთწახნაგოვან, შვერილ აფსიდს და გარშემოსავლელს სამი მხრიდან.

ამავე პერიოდში გვხვდება ე.წ. „ჩაწერილი ჯვრის“ თემის სხვადასხვა ვარიანტები. ამ მხრივ საინტერესოა ხირსის წმ. სტეფანეს ეკლესია, რომლის სამნავიანი სტრუქტურა, VIII-IX საუკუნეებში, ჩაშენებული, ოთხი თავისუფლად მდგომი ბოძითა და მათზე დაყრდნობილი გუმბათით, ჯვარ-გუმბათოვან ტაძრად გადააკეთეს.

საყურადღებოა ასევე იყალთოს მონასტრის მთავარი ტაძრის (დიდი ნაწილი აღდგენილია მოგვიანებით) კომპოზიცია – გუმბათით ოთხ თავისუფლად მდგომ ბურჯზე და კარიბჭით თითოეული შესასვლელის წინ.

„ჩაწერილი ჯვრის“ თემის რედუქციერებული მაგალითებია ოზაანის ამაღლებისა და ვარცანის ღვთისმშობლის ეკლესიები, რომელთა გადაწყვეტა გუმბათოვანი ტაძრის ახალი ფორმების ძიების შედეგს წარმოადგენს.

ოზაანის ტაძარი მხატვრული ხასიათის განმსაზღვრელი რიგი ნიშნებით, როგორიცაა წარმოსადგეგობა, მთავრის და მისი შემადგენელი ნაწილების პროპორციების საგულდაგულოდ ჩამოყალიბებული ჰარმონიულობა და კომპოზიციის მთლიანობა, მჭიდროდაა დაკავშირებული კახეთის მონუმენტური არქიტექტურის მომდევნო პერიოდთან, კერძოდ, X საუკუნესთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ოზაანის ტაძრის კანკელის ზღუდის შესრულების დონე, რომელიც, როგორც მხატვრული, ისე კეთის ტექნიკის სრულყოფით ნეების განმავლობაში დომინირებული მდგომარეობა შეინარჩუნა. ესაა ნაგებობა მკაფიოდ ხაზგასმული გრძივი ღერძით, რომლის ძირითადი სივრცის შემადგენელი, მაღალი, ორფერდა სახურავით დასრულებული ჯვრის მკლავები და მათ შორის მოქცეული,



კალაური. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი. სატრაპეზო. IX ს. პორტალი



აკურა. მამადავითის ეკლესია. 855 წ.

შედარებით დაბალი, ცალფერდასახურავიანი კუთხის ნაწილები შენობის გეგმის სწორკუთხედშია ჩაწერილი.

არქიტექტურული ამოცანის გადაწყვეტის მხატვრულ მიდგომაში სახეზეა ის წინსვლა, რამაც სრული გამოხატულება და განვითარება მხოლოდ მომდევნო ეპოქაში – X-XIII საუკუნეებში მიიღო.

X საუკუნის II ნახევრიდან კახეთში ახალი აღმავლობის პერიოდი იწყება – იგება სრულიად დასრულებული სტილის ტაძრები, რომლებიც სავსებით შეესაბამება ეპოქის მხატვრულ-არქიტექტურულ მოთხოვნებს – მივიწყებულია სამნავიანი და სამეკლესიიანი ბაზილიკების თემები, უპირატესობა ძირითადად ენიჭება წაგრძელებული ღერძის მქონე გუმბათოვან ნაგებობებს, იზრდება გუმბათის ყელის წახნაგთა რაოდენობა, შენობის კორპუსის აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილები სხვადასხვა სიგრძისაა, შესასვლელები ცენტრალური ღერძიდან შე-

საბამისი ფასადის დასავლეთ ბოლოში ინაცვლებს, გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელის წრიულ მოხაზულობაზე გადასასვლელად იყენებენ აფრებს და არა ტრომპებს, კონსტრუქციული ხასიათის ძიების შეწყვეტასთან ერთად, არქიტექტორების ყურადღება, უპირველეს ყოვლისა, მიპყრობილია ახალი კომპოზიციების ძიებაზე. აღმოსავლეთ ფასადზე ჩნდება მაღალი,სამკუთხა გეგმის ნიშები,რომლებიც ხელს უწყობენ შუქ-ჩრდილების თამაშს. საგრძნობლად იცვლება შენობის ზომები, იზრდება კორპუსის ცალკეული ნაწილების და გუმბათის ყელის პროპორციები. მაგრამ, მიუხედავად ამისა, სივრცობრივი აღქმის მთლიანობა არ ირღვევა. ამის ნათელი დადასტურებაა XI საუკუნის პირველი მეოთხედის სწორუპოვარი ქმნილება,ალავერდის სახელგანთქმული ტაძარი, რომელიც არა მხოლოდ კახეთის,არამედ მთელი საქართველოს ერთი დიდებული ქმნილებათაგანია. იგი არის ერთ-ერთი უდიდესი და ყველაზე მაღალი (გუმბათიანად 50 მეტრს აღემატება) საეკლესიო ნაგებობა საქართველოში. ტაძრის გეგმის საფუძველს შეადგენს ტრიკონქი, რომლის სამივე აფსიდი გარე კედლების სწორკუთხედის ფარგლებშია მოქცეული. მისი შიდა სივრცე გრანდიოზულია,ნათლად იგრძნობა კახური ძეგლების დამახასიათებელი თავისებურება – პროპორციების აზიდულობა. ნაგებობის კედლები როგორც შიგნით, ისე გარედან მთლიანად მოპირკეთებულია სუფთად გათლილი, ფოროვანი ტუფის, ე. წ. შირიმის ფილებით. ფასადები ძუნწადაა მორთული. კედლების სიბრტყეები მხოლოდ თაღებითა და ნიშებითაა დანაწევრებული, რაც ქმნის იმპოზანტურობის, დიდებულების შთაბეჭდილებას. ალავერდის ხუროთმოძღვარმა შექმნა საეკლესიო ნაგებობა, რომელიც წარმოადგენს შუა საუკუნეების ქართული გენიის უმაღლეს მხატვრულ მიღწევას. შეიძლება ითქვას, რომ ალავერდის ტაძარი განსხეულებული კახური მრავალჟამიერია.

X-XI საუკუნეებში კახეთის არქიტექტურაში იკვეთება აგრეთვე სხვა მიმართულებებიც, რომლებშიც ყალიბდებოდა ამ ეპოქისათვის დამახასიათებელი ერთი საერთო ნიშანი – ერთი მხრივ, ნაგებობის გრანდიოზულობა და დიდებულება, ხოლო მეორე მხრივ – კეთილსახოვნება. ორივე ეს მიმართულება განსაკუთრებულად ვლინდება ამ პერიოდის ორ საყურადღებო ნაგებობაში – ბოჭორმისა და კვეტერის ციხეების ეკლესიებში. მათ ფორმებს შორის არსებული სხვაობის მიუხედავად, ისინი ერთიმეორის გვერდით დგას როგორც დამოუკიდებელი, თავისი მხატვრულობით გამორჩეული ქმნილება.

კომპოზიციური თვალსაზრისით კვეტერის ეკლესია ძველი შუამთის II გუმბათოვანი ეკლესიის თავისებური გამოძახილია. ესაა პატარა და საოცრად მოხდენილი ნაგებობა. საუკუნეებში გამომუშავებულ ყველა თანაფარდობას. პირველ რიგში ის სრულიად სხვაგვარად აყალიბებს გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წრეზე გადასვლის სისტემას, რაც მიღწეულია სხვადასხვა სიგანისა და სიმაღლის თაღების მონაცვლეობით. გუმბათქვეშა წრე გაცილებით მაღლაა „ატანილი“ გუმბათქვეშა თაღებზე, რაც სივრცის ამაღლებულობის შთაბეჭდილებას ქმნის. ეკლესიის შიდა სივრცის სტრუქტურასთან შეწონასწორებულია გარეთა ფორმებიც; შენობის თითოეული ნაწილი დამოუკიდებელ მოცულობად აღიქმება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათი თავისებური შეხამებისა და რეგულირების წყალობით მთლიანობა არ ირღვევა. ყოველი ნაწილი შემკულია ნახევარკოლონების კონებით, რომელთა სიუხვის უკან თითქოს კედლის



ყვარული. ცხრაკარას ეკლესია. VIII-IX სს.

გეგმის საფუძველი, ისევე როგორც მის პროტოტიპში, აქაც ტეტრაკონქია. ეკლესია შიგნით და გარედან მოპირკეთებულია სუფთად ნათალი და სწორხაზოვან რიგებად დაწყობილი, შირიმის, სწორკუთხა ფილებით. ხუროთმოძღვარი ცვლის წინა მასაც კი შეუმჩნეველია. შეიძლება ითქვას, რომ კვეტერის ტაძარში მაქსიმალურადაა გამოყენებული შირიმის დეკორატიული შესაძლებლობები. მასალისა, რომელიც იოლად არ ექვემდებარება დეკორატიულ დამუშავებას.

პროპორციების დახვეწილობით, მოხდენილი არქიტექტურული ფორმებით და მხატვრული გაფორმების სრულყოფითაა გამორჩეული ბოჭორმის ეკლესიაც, რომელიც სრულად ეპასუხება ეპოქის მხატვრულ ამოცანებსა და დეკორატიულ მოთხოვნებს. კვეტერისგან განსხვავებით, ბოჭორმის ეკლესიაში ექვსი აფსიდია. კუთხეები აქაც ნახევარკოლონებითაა მოხაზული, საშენი მასალა აქაც ნათალი ქვაა – წყობის თანაბარი რიგებით. გაწყობის ელემენტებია: ნახევარკოლონები, თაღები, ზოლურები. მაგრამ, როგორც გეგმის, ისე ხუროთმოძღვრულ ფორმათა კომბინირებაში და დეკორაციული გაწყობის სისტემაში, აქ სრულიად სხვაგვარი მიდგომა ვლინდება. ბოჭორმის ეკლესიის კორპუსი გარედან დანაწევრებულია სამკუთხა ნიშებით.



ვაზისუბანი. სანაგირის ბაზილიკა. X ს-ის მიწურული

ნაგებობის საერთო სახის წარმოსადეგობის მისაღწევად იგივე საშუალებები და ელემენტებია გამოყენებული არა მხოლოდ აწყურის თეთრი გიორგის ეკლესიასა და კუნტურის საყდარში, არამედ XIII საუკუნის და XIV საუკუნის დასაწყისის ძეგლებზეც.



ბოჭორმა. წმ. გიორგის ეკლესია (აფსოიქებამდე). X ს. 1920-იანი წლების ფოტო

XII საუკუნის დასაწყისიდან კახეთის სამეფო შედის გაერთიანებული საქართველოს შემადგენლობაში, რომლის გავლენა ვრცელდებოდა კავკასიის მთელ ტერიტორიაზე. XII საუკუნიდან XIII საუკუნემდე კახეთში გუმბათოვანი არქიტექტურის ძეგლები არ გვხვდება. თუმცა, ქვეყნისათვის ამ პოლიტიკური გარდატეხის დროს, შემოქმედებითი სული და მხატვრული ტრადიციები არ შენელებულა.

X-XI საუკუნეებში დამკვიდრებული „ჩაწერილი ჯვრის“ ტიპი ამ დროის საეკლესიო ნაგებობებში კვლავ განაგრძობს არსებობას. შენობებს აერთიანებს ფასადების დეკორატიული დამუშავების მხარეც, რა თქმა უნდა, ორნამენტული მოთულობის გარკვეული შეზღუდვებით. სწორედ XIII საუკუნის I ნახევარში აშენდა დიდი, გუმბათოვანი ეკლესია კარდანახის საბაწმინდის მონასტერში და ფუძნარის გუმბათოვანი ეკლესია, ხოლო უფრო გვიან (სავარაუდოდ, XIV ს-ის შუა წლებამდე) – ნატიფი და საოცრად დახვეწილი, გუმბათოვანი ტაძარი საჩინო (ზემო ხოდაშნის მიდამოები).

გუმბათოვან ეკლესიებთან ერთად, ეს პერიოდი საყურადღებო დარბაზული ეკლესიებითაცაა წარმოდგენილი. ისინი ტრადიციული, კახური საშენი მასალით – რიყის ქვითაა ნაშენი. ზოგ შემთხვევაში ნაგებობა იმოსება სუფთად ნათალი და სწორხაზოვნად დაწყობილი შირიმის ფილებით. სარკმლები გაფორმებულია ლილვებით – მათ შორის გრეხილი ლილვითაც. საპირეების თაღის ქუსლები და ქვედა კუთხეები კვადრატებითაა გამოყოფილი, რომლებშიც ამოკვეთილია ვარდულები.

ფასადზე ჩნდება ჩუქურთმით შემკული გირჩებიც. ამ პერიოდის ეკლესიებიდან აღსანიშნავია: ზემო ხოდაშნის დედათა მონასტრის წმინდა ნიკოლოზის ეკლესია (დაახლ. – XIII ს.), ამავე სოფლის მიდამოებში მდებარე ე.წ. ტარიელაანთ საყდარი (განვით. შუა საუკუნეები) და კურტანაძეულის წმინდა მარინეს ეკლესია (XIII ს.) სოფ. მატანთან. ამავე ხანებში დასტურდება ორსართულიანი ეკლესიების აგების



კვეტერა. ციხის ეკლესია. X ს-ის II ნახევარი

შემთხვევებიც (უებოტა, მარტყოფი, ართანა). გარდა ამისა, იგება მესვეტეთათვის განკუთვნილი კოშკური ნაგებობებიც, რომლის უძველესი ნიმუში ერთ-ერთი „ათსამმეტ მამათაგანის“ წმ. ანტონის მიერ VI საუკუნის II ნახევარში სოფ. მარტყოფის მახლობლად აგებული კოშკი-სვეტია. განვითარებულ შუა საუკუნეებში აგებულ ამ ტიპის ნაგებობათაგან როგორც სტრუქტურით, ისე შესრულების თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესოა სოფ. ქისტაურის ნათლისმცემლის ეკლესიასთან მდგარი სამსართულიანი კოშკი-სვეტი.

ამ პერიოდის კულტურული აღმავლობის კარგი მაჩვენებელია დავითგარეჯის სამონასტრო მშენებლობა, რომელმაც თავისი განვითარების მწვერვალს XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე მიაღწია. გარე კახეთის ამ უდაბურ, უტყეო, კლდოვან მთებში, VI საუკუნეში, ქრისტიანული რწმენის განსამტკიცებლად, საქართველოში სირიიდან დაბრუნებულ „ათსამმეტ მამათაგან“ ერთ-ერთი – წმინდა დავითი, თავის მოწაფე ლუკიანესთან ერთად, დასახლდა გარეჯის უდაბნოს ბუნებრივ მღვიმეში, რამაც საფუძველი ჩაუყარა ამ აღგილას მონასტრის დაარსებას. იგი დავითის ლავრის სახელითაა ცნობილი. IX საუკუნეში აქ მოღვაწეობას იწყებს წმინდა ილარიონ ქართველი, რომელიც აფართოებს მონასტრის ეკლესიას და ახალ ფილიალსაც აარსებს. დროთა ვითარებაში გამოქვაბულ მონასტერთა რაოდენობა თანდათან გაიზარდა და ჩამოყალიბდა მძლავრი რელიგიურ-კულტურული ცენტრი, რომელმაც თავისი განვითარების მწვერვალს XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე მიაღწია. XII საუკუნის დასაწყისში დავით აღმაშენებელმა დავითგარეჯის მონასტრები სამეფო საკუთრებად აქცია, რამაც ხელი შეუწყო მათ დაწინაურებას. მოყოლებული VI საუკუნიდან ვიდრე XIX საუკუნემდე დავითგარეჯის მრავალმთის მონასტრები კულტურისა და განათლების მძლავრი კერა იყო, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ქართველი ხალხის



ლელიანი. წმ. თევდორეს ეკლესია. X-XI სს.

როგორც რელიგიურ, ისე კულტურულ ცხოვრებაში.

XV საუკუნე ძირითადად მონღოლთა ურდოებისა და თემურ-ლენგის რვაგზის შემოსევის შედეგად დანგრეული ქვეყნის აღდგენის პერიოდია. სამეფო კარს უკვე აღარ ძალუძს ძველი დიდების შემობრუნება. ქვეყანა დაშლილი იყო ცალკე სამეფოებად და სათავადოებად. XV საუკუნის II ნახევარში კახეთი ისევ ცალკე სამეფოდ გამოიყო.

კახეთის ეკონომიკური მდგომარეობა ამ პერიოდში, საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით უკეთესი იყო, რადგან იგი, მეტ-ნაკლებად, მაინც გადაურჩა ძარცვასა და მიწასთან გასწორებას.

XVI საუკუნიდან კახეთში ახალი აღმავლობის ხანა იწყება. მთელი XVI საუკუნის განმავლობაში და XVII საუკუნის პირველ წლებში გაცხოველებული აღმშენებლობაა. შენდება ანსამბლები, იმპოზანტური საეკლესიო ნაგებობები, სამეფო რეზიდენციები გრემსა და ბაზარში (ახლანდელი ზაგემი), საქალაქო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები და სხვ.

მშენებლობის მასშტაბებით ამ დროის კახეთი, საქართველოს

სხვა კუთხეებთან შედარებით, გაცილებით დაწინაურებულია. ნაგებობები გამოყვანილია ძირბული ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრის ტიპი (ორ თავისუფლად მდგომ ბურჯზე დაყრდნობილი გუმბათით) კვლავ განაგრძობს არსებობას. კომპოზიციის ყოველი დეტალის და მათი აგებულ ამ ძეგლთა თავისებურებაა ისიც, რომ, წინა ეპოქისაგან განსხვავებით, ისინი მთლიანად აგურითაა ნაგები. აგურის წყობა განსაზღვრავს დეკორატიული სისტემის ხასიათს.



ალავერდის ტაძარი. XI ს-ის I მეოთხედი

ითადად აგურით, ხუროთმოძღვრები ეკლესიებისთვის იყენებენ ირანული არქიტექტურის ელემენტებსა და დეტალებს, ახდენენ მათ იმიტაციას.

სამშენებლო საქმიანობის აღმავლობის მიუხედავად, ამ პერიოდის არქიტექტურა მაინც ხასიათდება შემოქმედებითი ძიებისა და ოსტატობის დაქვეითებით, მხატვრული ჩანაფიქრისა და დეკორატიული მიდგომების გამარტივებით. წინა ეპოქებიდან განსხვავებით, სატაძრო ნაგებობების გეგმებსა და საერთო ფორმებში აღარ შეინიშნება შემოქმედებითი ზრდის ტენდენცია, პირიქით, ვლინდება ერთგვარი რემისია, რაც გამოიხატა დეკორატიულ მორთულობაშიც. არქიტექტურული თემის და კონსტრუქციულ საკითხებთან მიმართებით არაფერი შეცვლილა. წინა ეპოქებში გავრცელებული ჯვარ-გუმბათოვანი ტაძრის ტიპი (ორ თავისუფლად მდგომ ბურჯზე დაყრდნობილი გუმბათით) კვლავ განაგრძობს არსებობას. კომპოზიციის ყოველი დეტალის და მათი ცალკეული ელემენტების დამუშავების მიუხედავად, წინა ეპოქების ძეგლებისაგან განსხვავებით, ეს ნაგებობები ვერ აღწევს სრულყოფილების და ოსტატობის ხარისხს, თუმცა მხატვრული ძიების არსებობა მაინც შესამჩნევია, რაც ძირითადად გამოიხატა შენობათა მასების სხვაგვარ აგებასა და პროპორციების გამწვავებულ შეფარდებაში. ამ ტაძართა ინტერიერების სივრცობრივი გადაწყვეტა აგრძელებს და უფრო აძლიერებს ქართული არქიტექტურის ისტორიული განვითარების დამახასიათებელ იდეას – სიმაღლისკენ სწრაფვას, რომელმაც თავის მაქსიმალურ ზღვარს სწორედ ამ ეპოქის ძეგლებში მიაღწია (ახალი შუამთის, გრემის მთავარანგელოზთა, შიხიანის აღდგომის და ჭიკაანის კვირაცხოვლის ეკლესიები). კახთა მეფეების მიერ ყოველი ფასადი დანაწევრებულია სხვადასხვა მოხაზულობის, ოდნავ შეღრმავებული არეებით, რომლებიც გაფორმებუ-



კარდანახი. წმ. საბას ეკლესია. XIII ს-ის I ნახევარი

ლია შეღრმავებული ჯვრებით, თაღოვანი ნიშებით, რომბების კომბინაციით და ა.შ. მთლიანად აგურითაა ნაგები ამ პერიოდის ერთ-ერთი ღირშესანიშნავი ნაგებობა ნინოწმინდის მონასტრის სამრეკლო, რომელიც გამოდის კახეთის ჩვეულებრივი სამრეკლოების რიგიდან და მაღალი სტილის, კარგად გააზრებულ, მხატვრულად დასრულებულ ქმნილებას წარმოადგენს. მაგრამ, ამავე დროს, ამ არქიტექტურული ნაწარმოებების გვერდით, ჩვენ ვხედავთ ძეგლთა ჯგუფს [ე. წ. ბახთალოს ეკლესია (ყოფ. ქ. ბაზარი), თარაქის „ვედრებისას“ წმ. გიორგის ეკლესია, ზემო ალვანის სამების ეკლესია, წმ. ნიკოლოზის ეკლესია მატანში, ახატელის ღვთაების ეკლესია], რომლებშიც იგრძნობა შემოქმედებითი ენერგიის ერთგვარი მინელება. გარედან ისინი სრულიად სადაა, მხოლოდ გუმბათის ყელია დამუშავებული. კედლის სიბრტყეები დაუნაწევრებელია, უმეტეს შემთხვევაში მოკლებულია ყოველგვარ დეკორატიულ სამკაულს.

კახეთის ეკონომიკური აღმავლობის კვალდაკვალ ფართოდ გაშლილი, სამშენებლო საქმიანობა XVII საუკუნის დასაწყისში (სპარსეთის შაჰის აბას I-ის მიერ 1614-1616 წლებში განხორციელებული ლაშქრობების შედეგად) ერთბაშად შეწყდა. ნანგრევებად იქცა ულამაზესი ქალაქი გრემი. იგი მნიშვნელოვანია არა მხოლოდ როგორც გვიანდელი შუა საუკუნეების კახეთის სამეფოს დედაქალაქი, არამედ როგორც ურბანული არქიტექტურის ნიმუში, რომელშიც კარგადაა შემორჩენილი როგორც საზოგადოებრივი დანიშნულების შენობა-ნაგებობების ნაშთები, ისე ინფრასტრუქტურის ელემენტები.

XVIII საუკუნეში კახეთში კვლავ დაიწყო მშენებლობის აღორძინება. კახეთს, საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით, ახლაც ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს ახალ ნაგებობათა რაოდენობით. ამ პერიოდის საეკლესიო მშენებლობაში რაოდენობრივი უპირატესობა სრულიად მარტივ, დარბაზულ ეკლესიებს ეკუთვნის, თუმცა, მათ შორის ზოგიერთი, როგორც გეგმარებით, ისე შესრულების ხარისხით, უდავოდ საგანგებო ყურადღებას იმსახურებს (საგარეჯოს პეტრე-პავლეს, ფიჩხოვანის ხარჭაშნის და მელაანის ღვთისმშობლის ეკლესიები. მომდევნო პერიოდის საეკლესიო ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვანი ძეგლია სოფ. ქოდალოს ტეტრაკონქის ტიპის ეკლესია, რომელიც 1817-1835 წლებს შორის აუგია კახეთის სამეფოს პოლიტიკურ და სამხ-



გრემი. მთავარანგელოზთა ეკლესიის კომპლექსი. XVI ს.

ედრო მოღვაწეს, მეფე გიორგი XII-ის მინბაშს, აბელ ანდრონიკაშვილს.

კახეთში მრავალი სამრეკლოა შემორჩენილი. მათი დი-



ვეჯინის ციხე. წმ. მარიამის ეკლესიის სამრეკლო. XV ს.

დი ნაწილი დაუთარიღებელია. დღემდე შემორჩენილი სამრეკლოებიდან XV საუკუნეზე ადრეული არც ერთი არ არის. საქართველოში პირველი და-



ნინოწმინდის მონასტერი. სამრეკლო. XVI ს.

თარიღებული სამრეკლო არის გუდარეხის მონასტრის სამრეკლო, რომელიც მასზე დაცული წარწერის თანახმად, 1272 წელსაა აგებული.

კახეთში ქვეყანაზე მეტად გავრცელებულია სამრეკლოების უმარტივესი სახე – ეკლესიის სახურავის კეხზე დაფუძნებული, თაღებით გახსნილი, პატარა კიოსკი. გვხვდება ორსართულიანი სამრეკლოებიც – კუბური ფორმის ნაგებობაზე დადგმული რვაწახნაგა ფანჩატური, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ქვედა ნაწილს არ უკავშირდება. გვხვდება ასევე ფანჩატურით დაგვირგვინებული, დიდი, მრავალსართულიანი ნაგებობები.

კახეთის უძველესი სამრეკლოები (ვეჯინი, შიხიანი, წინანდალი, ლალისყური) ეკლესიასთან ახლოს მდგომი ნაგებობებია. ამათგან ყველაზე ადრეულად მიჩნეულია ვეჯინის ციხეში, ამაღლების ეკლესიის დასავლეთით მდგარი სამრეკლო.

სამრეკლოების მეორე ჯგუფი ლევანის მეფობის ხანას (1520-1574 წწ.) შეიძლება დაუკავშირდეს. ესაა ალვანის ნათლისმცემლის, გრემის ღვთისმშობლის მიძინების დარბაზული ეკლესიის, კარდანახის საბა-წმინდის, საყდრიონის წმ. გიორგის და ფონას ეკლესიების სამრეკლოები. ისინი მიშენებულია ეკლესიის რომელიმე შესასვლელზე ისე, რომ სამრეკლოს ქვედა სართული ეკლესიის კარიბჭის დანიშნულებას ასრულებს.

XV-XVI საუკუნეებს განეკუთვნება ახშანის გორისჯვრის ეკლესიასთან მდგარი სამრეკლო, რომლის ქვედა სართულზე სამლოცველოა მოწყობილი.

მომდევნო პერიოდისაა ლეღიანის წმ. თევდორეს ეკლესიის სამრეკლო, რომელიც ტაძრის შეკეთების დროსაა ჩადგმული, მატნის ცხრაკარას მონასტერში მთავარი ბაზილიკის ჩრდ. ნავზე დაშენებული ფანჩატური და სხვ.

კახელ ხუროთმოძღვართა მხატვრულ-შემოქმედებითი დო-



ფონა. სამების ეკლესია. XVI ს.

ნის კარგი მაჩვენებელია საერო და სამონასტრო ნაგებობებიც. ადრეული პერიოდის საერო ხუროთმოძღვრება ძირითადად სასახლეების სახითაა წარმოდგენილი (კვეტერა, ვაჩნაძიანი, ვანთა, ველისციხე, ნეკრესი, ჭერემი, თიანეთი). სტრუქტურული თვალსაზრისით, შეიძლება ითქვას, რომ ისინი არსებითად ერთი და იმავე ტიპის ნაგებობებია – მცირედი სახესხვაობით. თითოეული მათგანი მკაფიოდ არის დანაწევრებული ფუნქციური მოთხოვ-

ნილებების შესაბამისად. ყველა შენობა ორსართულიანია. ქვედა სართულში თავმოყრილია დამხმარე, სამომსახურო სათავსები, ზედა სართულში კი – ფეოდალის სამყოფელი და საზეიმო დარბაზი. ზედა სართული მნიშვნელოვნად მაღალია ქვედაზე. გრძივი ფასადის მხარეს იგი დანაწევრებულია თანაბრად განლაგებული განიერი, მაღალი, თაღოვანი ღიობებით. ფრონტონით დასრულებული განივი ფასადების მხარეს ორ-ორი თაღოვანი ღიობია. საეკლესიო ნაგებობებისგან განსხვავებით, აქ გადახურვა ბრტყელია, ხის კოჭებზე. ნაგებობები ქვითაა ნაშენი. ვაჩნაძიანსა და თიანეთში გამოყენებულია აგური – დიფერენცირებულად. აგური ყოველთვის დიდი ზომისაა. აგურითაა ნაწყობი თაღები და კონსტრუქციულად საპასუხისმგებლო დეტალები. სასახლეებთან, არქიტექტურული გადაწყვეტით, ახლოს დგას იყალთოს მონასტრის აკადემიის სატრაპეზოს ნაგებობები. ინტერიერისა და ფასადის თავისებური გაფორმებითაა გამორჩეული სოფ. კალაურის მახლობლად მდებარე ნათლისმცემლის მონასტრის სატრაპეზო, რომელიც წინასწარი მონაცემებით, სავარაუდოდ, IX საუკუნით უნდა დათარიღდეს.

XVI საუკუნის საერო ხუროთმოძღვრების საინტერესო ძეგლთაგანია ლევან კახთა მეფის მიერ სოფ. ალვანთან აგებული სასახლე, ე. წ. ცხრაკარა. XVI საუკუნის II ნახევარს განეკუთვნება ამ სასახლიდან შორიახლოს მდგარი მეორე სასახლე. განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ამჟამად დიდად სახეშეცვლილი არჩილ მეფის სასახლე თელავში (1667-1675 წწ; გადაკეთებულია XVIII და XIX სს-ში), რომელიც ე. წ. ბატონის ციხის კომპლექსშია ჩართული. საერო არქიტექტურის საინტერესო ნიმუშია მიტროპოლიტ საბა ტუსისშვილის სახლი ნოწმინდაში (XVIII ს-ის 70-იანი წლები). აღსანიშნავია კახეთის საცხოვრებელ ნაგებობათა ერთი ჯგუფი, რომლებშიც სამეურნეო, საცხოვრებელი და სათავდაცვო ფუნქციებია შერწყმული (რუისპირის ადამაანთ ციხე, ახმეტის ჯანდიერაანთ ციხე და ზემო ხოდაშნის ბერაანთ ციხე).

კახეთის ხუროთმოძღვრებაში, საეკლესიო ნაგებობათა გარდა, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სათავდაცვო, ანუ სამხედრო დანიშნულების ნაგებობებს. უჯარმის, თელავის, კვეტერის, ბოჭორმის, ვეჯინის, ხორნაბუჯის, მანავის, პანკისის და თორღვას ციხე (მაწიმისწყლის სათავეებში) კახეთის უძველესი ციხეებია. ისინი სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებშია აგებული და ქვეყნის თავდაცვის ერთიან სისტემას ქმნიდნენ. მათ შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა უჯარმის, კვეტერის, ბოჭორმის და ვეჯინის ციხესიმაგრეებს. კახეთში ყველაზე



ხოშატიანი. ღვთისმშობლის ეკლესია. XVI ს.



დავითგარეჯა. ლავრის მონასტერი. VI-XVIII სს.



იყალთოს მონასტერი. აკადემიის შენობა. XII-XIII სს-ის მიჯნა

ძლიერ და გავლენიან პუნქტებად ეს ციხეებია მოხსენიებული. ციხესიმაგრეებთან ერთად, შენდებოდა ციხე-დარბაზები, გალავნები და კოშკები, მეფეთა და ფეოდალთა სასახლეები, ქალაქისა და სოფლის საცხოვრებელი სახლები. აღნიშნულ ნაგებობათა ქრონოლოგია დროის დიდ მონაკვეთს მოიცავს – დაწყებული ადრინდელი შუა საუკუნეებიდან XIX საუკუნემდე – და ყოველი მათგანი ეპოქის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებს.

კახეთის ციხესიმაგრეები წმინდა სამხედრო-სათავდაცვო შენობებია, სადაც, გარდა გარნიზონის სადგომებისა, სხვა რაიმე მუდმივი საცხოვრებელი არ არის.

XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან აგებდნენ ციხე-გალავნებს, რომლებიც განკუთვნილი იყო (განსაკუთრებით ლეკიანობის დროს) ერთი ან რამდენიმე სოფლის მოსახლეობის შესახიზნად. ასეთი გალავნები შენდებოდა ვაკე ადგილას, ჩვეულებრივ, მოსახლეობით მჭიდროდ დასახლებულ დიდ სოფლებში. გალავანი აღჭურვილი იყო ფართო ჭიშკრებით – ხალხისა და საქონლის სწრაფად შესახიზნად. გალავანს არავითარი შიდა სათავდაცვო ნაგებობა არ გააჩნია. იგი შედგება სა-კუთრივ კედლებისა და მათ ხაზში ჩართული კოშკებისაგან, რომელთაგან ზოგი საცხოვრებლადაც გამოიყენებოდა. ციხე-გალავნის დანიშნულებას ასრულებდა ცალკეულ ტაძართა ზღუდეებიც, რომლებიც თავიანთი ფართობით დიდად აჭარბებდა ციხესიმაგრეებსა და ციხე-დარბაზებს.

ყველა სახის სათავდაცვო ნაგებობაში ძირითადი ელემენტი არის კოშკი. XVIII საუკუნის ნახევრიდან, ცეცხლსასროლი იარაღის ფართოდ გავრცელების შემდეგ, უპირატესობა ენიჭება მრგვალ კოშკებს. სწორკუთხა კოშკი იშვიათია.

XIX საუკუნის დასაწყისიდან, მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა, კახეთის ხუროთმოძღვრების განვითარება მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. აღარ შენდება ციხესიმაგრეები და სხვადასხვა სახის სათავდაცვო ნაგებობები. საეკლესიო ხუროთმოძღვრებაში მიზანდასახულად



დავითგარეჯა. უდაბნოს მონასტერი. ხარების ეკლესიის მოხატულობა. XIII ს-ის მიწურული



დავითგარეჯა. უდაბნოს მონასტერი, სატრაპეზო. X-XI სს-ის მიჯნა

ინერგება რუსულ-ევროპული ხუროთმოძღვრების ფორმები და ელემენტები (მაგ. ვაზისუბნის ნათლისმცემლის ეკლესია); ხდება ეკლესიათა საფუძვლიანი შეკეთება-გადაკეთება. არის შემთხვევები, როცა რუსეთიდან ჩამოსახლებული მოსახლეობისთვის და ჯარის ნაწილებისათვის შენდება ახალი ეკლესიები (დედოფლისწყარო, ლაგოდეხი, გომბორი). მიუხედავად ამისა, ეროვნული, ხუროთმოძღვრული ტრადიციები არ ჩამკვდარა. ეკლესიების მშენებლობას გაცილებით ნაკლები ყურადღება ეთმობა. ძირითადი ყურადღება გადატანილია საცხოვრებელ ნაგებობათა მშენებლობაზე. მათ ნაწილზე ნათლადაა ასახული შემოსული, ხუროთმოძღვრული ფორმების ადგილობრივ ფორმებთან ტრანსფორმაციის შედეგი (ჭავჭავაძეების სასახლე ყვარელში, დიმიტრი აფხაზის სასახლე კარდანახში, ჭავჭავაძეების სასახლე წინანდალში, დავით სარაჯიშვილის სახლი ბაკურციხეში, ლევან ჯანდიერის სახლი ვაჩნაძიანში და სხვ.), რაც საგანგებო ეთანხმება კახეთის ხუროთმოძღვრების ზოგად მიმართულებას XIX საუკუნეში.

კახეთში არაერთი ეკლესია იყო მოხატული. შემორჩენილი ნიმუშები ქართული მონუმენტური ფერწერის განვითარების ვრცელ პერიოდს მოიცავს. ადრინდელ ძეგლებში, ისევე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, გვხვდება კედლის ქვის წყობის იმიტაცია გრაფიკული ნახატით (ერწოს სიონი, ჟალეთის ბაზილიკა, ყვარლის სამების ეკლესია). XI საუკუნის მოხატულობის მცირე ნაწილია შემორჩენილი ალავერდის ტაძრის აფსიდში – ეკლესიის მამების მონუმენტური ფიგურები და გრანდიოზული ორნამენტის ფრაგმენტები. ტაძარში ასევე შემორჩენილია: XV, XVI და XVIII საუკუნეების მხატვრობის ნაშთებიც. XI საუკუნეში მოიხატა ძველი შუამთის მონასტრის დიდი გუმბათოვანი ეკლესია. XI საუკუნის I ნახევარში დაიწყო ოზაანის ამაღლების ტაძრის მოხატვა, რომელიც დასრულდა XIII საუკუნეში. XII საუკუნის დასწყისს განეკუთვნება ბოჭორმის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა. XIII საუკუნისაა არგოხის ყველაწმინდის ეკლესიის მოხატულობა, რომელიც მეტად დახელოვნებული ოსტატის მიერაა შესრულებული. ამავე დროით თარიღდება ასევე სანაგირის ბაზილიკისა და რუისპირის წმ. შიოს ეკლესიის მოხატულობები.

კახეთის მონუმენტური მხატვრობის ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს



ნეკრესის მონასტერი. ღვთისმშობლის შობის ეკლესიის მოხატულობა. XVI ს-ის შუახანები. „ღვთისმშობლის მიძინება“

გარეჯის ფერწერულ სკოლას, რომელმაც თავისი არსებობის ხუთი საუკუნის განმავლობაში ასახა მონუმენტური მხატვრობის განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპები. გარეჯის ფერწერული სკოლიდან უძველესია დოდორქის მონასტრის წმინდა დოდოს სამარხი-ეკლესიის მოხატულობა (IX ს.). გარეჯის მრავალმთის მონასტრების კედლის მხატვრობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ქტიტორთა გამოსახულებების სიმრავლე, მ. შ. საქართველოს მეფეთა პორტრეტები (თამარ მეფე და მისი ძე გიორგი ლაშა – ბერთუბნის ეკლესია, მეფე დემეტრე II თავდადებული – უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესია). გარეჯის სამხატვრო სკოლის ერთ-ერთი თავისებურებაა ეროვნული წმინდანის წმინდა დავითის ცხოვრების ამსახველი ციკლის შექმნა. უდაბნოს მონასტერში ორი ასეთი ციკლია, რომლებიც წმინდა დავითის სასწაულთანაა დაკავშირებული. ერთი მათგანი ორმოცი წამებულის ეკლესიაშია, მეორე – მონასტრის მთავარ ეკლესიაში. ცალკე უნდა გამოვყოთ ბერთუბნის მონასტრის საკრებულო ტაძრის მოხატულობა (XII-XIII სს.) ღვთისმშობლის აპოკრიფული ცხოვრების ციკლით.


XVI საუკუნეში კახეთში არაერთი ეკლესია მოიხატა (გრემის მთავარანგელოზთა ეკლესია, ნინოწმინდის ტაძარი, ვეჯინის ციხე. ამაღლების ეკლესიის მოხატულობა. XVI ს. „ლაზარეს აღდგინება“



მატნის ცხრაკარა, ვეჯინის ამაღლების ეკლესია, ახალი შუამთის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, ზემო ალვანის ნათლისმცემლის ეკლესია, ნეკრესის მონასტრის ბაზილიკა და სხვ.). ამ ძეგლთა შორის შესრულების დონით და მხატვრულ-ისტორიული თვალსაზრისით, განსაკუთრებითაა გამორჩეული გრემის მთავარანგელოზთა ეკლესიის მოხატულობა. დაზიანების მიუხედავად, გარკვევით ჩანს, რომ მხატვრობა საგანგებო მნიშვნელობის სამეფო შეკვეთაა. იგი თავისი დროის ერთ-ერთ საუკეთესო ძეგლს წარმოადგენს, რომლის უახლოესი, სტილისტიკური პარალელები ათონის მთის მოხატულობათა შორის მოიპოვება. ცნობილია, რომ XVII საუკუნეში გრემის ფერწერის განახლებაზე მუშაობდნენ მოსკოვიდან მოწვეული ოსტატებიც.

სამეფო დაკვეთების გარდა, კახეთში შემორჩენილია ე.წ. „ხალხური“ მხატვრობის მრავალი, საინტერესო ნიმუში, რომლებიც XVI საუკუნეს განეკუთვნება და ამ მხატვრობით, მეტწილად, ადრინდელი ეკლესიებია შემკული (კალაურის წმ. გიორგის ეკლესია – 2009 წელს მხატვრობის კონსერვაციისას, აფსიდის ჩრდ. ნაწილში, ჭვარტლისა და სანთლის მოხსნის შემდგომ, გამოჩნდა წმინდა ნინოს გამოსახულება შესაბამისი, ასომთავრული წარწერით, ზეგაანის მონასტრის წმ. მარინეს ეკლესია, ერელაანთ საყდარი მატანთან, ფიჩხოვნის ნათლისმცემლის ეკლესია და სხვ.).

1823 წლით დათარიღებული, მეტად საინტერესო კედლის მხატვრობა ამკობს ბოდ-



ვაქირი. კვირაცხოველის ეკლესიის მოხატულობის ფრაგმენტი. XVI ს-ის II ნახევარი

ბის მონასტრის ბაზილიკას. მისი დამკვეთია დავითგარეჯის ნათლისმცემლის მონასტერში აღზრდილი, ბოდბელი მიტროპოლიტი იოანე მაყაშვილი.

შუა საუკუნეების კახეთის არქიტექტურამ შემოგვინახა უამრავი ძეგლი, რომელთაც ნამდვილი, მხატვრული ღირებულება აქვს და ცხოველმყოფელი შემოქმედების კვალს ატარებს.

კახეთის სხვადასხვა ეპოქის არქიტექტურის ძეგლები, ისევე როგორც სრულიად საქართველოსი, ხასიათდება პროპორციების გარკვეული სიმკვეთრით, ნაწილთა ჰარმონიული შეთანხმებით და მასშტაბით. ისინი არ გადიან განსაზღვრული, „ადამიანური“ ზომების საზღვრებიდან. შიდა სივრცე გამოირჩევა რბილი, დენადი, ბუნებრივი გადასვლებით ერთი შემადგენელი ნაწილიდან მეორეზე. ამაში გარკვეულ როლს თამაშობს სინათლის წყაროების განაწილების სისტემა. სინათლის მთავარი წყარო თავმოყრილია გუმბათში, მას ემატება სარკმლებიდან და შესასვლელებიდან შემოსული შუქი, რომელიც რბილი გადასვლებით იატაკამდე აღწევს.

თავისი განვითარების გრძელ გზაზე კახეთის არქიტექტურა ქმნის შიდა სივრცეს, რომელშიც სრული სიცხადითაა გადმოცემული თავისუფლების, სიმაღლისა და სიდიადის შეგრძნება.

აუცილებელია აღინიშნოს კახეთის ხუროთმოძღვრების კიდევ ერთი ნიშანი, რომელიც მთელი ქართული ხუროთმოძღვრებისთვის საერთოა, ესაა არქიტექტურული ნაწარმოების ჩართვა გარემოში. კახეთის ხუროთმოძღვართა მიერ იქმნებოდა არა მხოლოდ განცალკევებული ნაგებობა, არამედ ერთი მთლიანი არქიტექტურული ანსამბლი, რომელიც წარმოადგენდა გარემოს განუყოფელ, ორგანულ ნაწილს. ამის თვალნათელი მაგალითია, თუნდაც, გრემის მთავარანგელოზთა კომპლექსის დაუვიწყარი სილუეტი კავკასიონის ქედის დიდებულ ფონზე.

თამაზ დვალი, კახაბერ კახაძე, კიაზო ფიცხელაური.



სიღნაღის ციხე. 1862 წ.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი


რუსეთის ფედერაცია
ყვარლის მუნიციპალიტეტი
ზემო ხეინილი
ქვემო ხეინილი
ფონა
ყარაჯალა
ხოშატიანი
ზემო ბოლქვი
ქვემო ბოლქვი
ქვეხიანი
დელიანი
ბაღდათი
ვერხვისმინდორი
აფენი
ონანაური
ფოდაანი
ჭაბუკიანი
ნაწილქვილარი
ბოლოკიანი
ჩადუნიანი
ვარდისუბანი
საქობო
ჭერეთისკარი
წითელგორი
ჭიაური
სიღნაღის მუნიციპალიტეტი
ხიზაბავრა
ზემო მსხალგორი
ზემო გურგენიანი
ქვემო მსხალგორი
განჯალა
ქაბალი
გელათი
ლაგოდეხი
შრომა
რაჭისუბანი
ოქელა
მაწიმი
ალაზანი
ბაკურიანი
ბაკურიანი
ალაზანი
ალაზანი
ალაზ



ხოშატიანი. ღვთისმშობლის ეკლესია (L064). კამარის ჩრდ. გვერდის აღმ. ნაწილის მოხატულობა. დეტალი



ლ ა გ ო დ ე ხ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული აღმოსავლეთ საქართველოში, მდ. ალაზნის აუზში. 1917 წლამდე ახლანდელი ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ტერიტორია თბილისის გუბერნიის სიღნაღის მაზრაში შედიოდა, 1921-1930 წლებში – საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით – სიღნაღის მაზრაში, 1930 წლიდან გამოიყო ცალკე რაიონად. ჩრდილოეთით ესაზღვრება რუსეთის ფედერაციის დაღესტნის რესპუბლიკა, აღმოსავლეთით – აზერბაიჯანის რესპუბლიკა, სამხრეთით – გურჯაანისა და სიღნაღის, დასავლეთით – ყვარლის მუნიციპალიტეტები. ფართობი – 890,2 *კვ კმ*. ტერიტორიის 38979 ჰა მოდის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, რაც შეადგენს მთლიანი ტერიტორიის 44%-ს. ტყეებს უკავია 41 162 ჰა (46%). მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ლაგოდეხი. მუნიციპალიტეტში შედის 1 ქალაქი (ლაგოდეხი), 67 სოფელი (არეშფერანი, აფენი, ბაისუბანი, ბალთა, ბაღდათი, ბებურიანი, ბოლოკიანი, განათლება, განჯალა, გელათი, გვიმრიანი, გიორგეთი, გუჯარეთი, დავითიანი, დონა, ვარდისუბანი, ვერხვისმინდორი, ზემო ბოლქვი, ზემო გურგენიანი, ზემო მსხალგორი, ზემო ნაშოვარი, ზემო ფონა, ზემო ხეჩილი, თამარიანი, თელა, კაბალი, კავშირი, კართუბანი, ლაფნიანი, ლელიანი, მაწიმი, მეორე ლელიანი, მირსკისეული, მშვიდობიანი, ნაენდროვალი, ნამესრალი, ნაწისქვილარი, ნინიგორი, ონანაური, პატარა გორი, რაჭისუბანი, საქობო, სვიდება, უზუნთალა, ფიჩხისბოგირი, ფოდაანი, ქალქვა, ქევხიანი, ქვემო ბოლქვი, ქვემო გურგენიანი, ქვემო მსხალგორი, ქვემო ნაშოვარი, ქვემო ფონა, ქვემო ხეჩილი, ყარაჯალა, შეერთება, შრომა, ჩადუნიანი, ცოდნისკარი, წითელგორი, წიფლისწყარო, ჭაბუკიანი, ჭიაური, ხიზა, ხიზაბავრა, ხოშატიანი, ჰერეთისკარი). მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მმართველობის უმაღლესი ორგანოა საკრებულო, აღმასრულებელი ორგანო – მუნიციპალიტეტის გამგეობა. მმართველობის ადმინისტრაციული ერთეულებია: ქალაქის საკრებულო – 1 (ლაგოდეხი); თემის საკრებულო – 14 (არეშფერანი, აფენი, ბაისუბანი, გიორგეთი, ვარდისუბანი, კაბალი, კართუბანი, ლელიანი, მაწიმი, ნინიგორი, ფონა, შრომა, ცოდნისკარი, ჭიაური).

2014 წლის აღწერილობით მოსახლეობა შეადგენდა 41678 კაცს. აქედან ქალაქში ცხოვრობდა 5918, ხოლო სოფლად – 35760. მოსახლეობის სიმჭიდროვეა – 57 კაცი *კვ კმ*-ზე.

მუნიციპალიტეტი მრავალეთნიკურია. ქართველებთან ერთად, აქ ცხოვრობენ აზერბაიჯანელები, ბერძნები, გერმანელები, ოსები, რუსები, უკრაინელები და სხვ.

გეომორფოლოგიურად მუნიციპალიტეტის ტერიტორია ვაკისა და მთის ნაწილად იყოფა. მუნიციპალიტეტის ჩრდილო ნაწილი გაშლილია კახეთის კავკასიონის სამხრეთ კალთაზე, სამხრეთის ნაწილი – ალაზნის ვაკეზე. მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვანი ოროგრაფიული ერთეულებია: კახეთის კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედი (თხემის სიმაღლე – 3500 *მ*). თხემზე განლაგებულია მწვერვალები: ჩარასალდისთავი (2667 *მ*), ხიმრიკი (3109 *მ*), ნუსულოსა (2929 *მ*), ხოჩალდაღი (3428 *მ*) და უღელტეხილები: ხიმრიკი, მსხალგორა, მაჩხალროსა). მუნიციპალიტეტის ფარგლებში კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედს გამოეყოფა რამდენიმე წყალგამყოფი ტოტი (ხოჩალის, კუდიგორის, ნინიგორის ქედები და ა.შ.). ოროგრაფიული ერთეულებიდან მნიშვნელოვანია აგრეთვე მდინარეთა ღრმად ჩაჭრილი ხეობები. მათ ვიწრო

ძირი და ციცაბო კალთები, ზოგან კი კანიონის ფორმა აქვთ. ვრცელი ტერიტორია უკავია ალაზნის აკუმულაციურ ვაკეს.

მუნიციპალიტეტის მთიან ნაწილში ჰავა ზომიერად ნოტიოა, მაგრამ იცის ცივი ზამთარი და გრილი ზაფხული. ვაკეზე ზომიერად ნოტიო, სუბტროპიკული ჰავაა. ზამთარი ზომიერად ცივი იცის, ზაფხული – ცხელი. ახასიათებს გვალვა და სეტყვიანობა.

მუნიციპალიტეტი მდიდარია ზედაპირული და გრუნტის წყლებით. აქ ჰიდროლოგიურ ქსელს, გარდა მდ. ალაზნისა, რომელიც მას სამხრეთ საზღვარზე ჩამოუდის, ქმნის ძირითადი მდინარეები: არეში, აფენისხევი, ბაისუბანი, კაბალი, ლაგოდეხისწყალი, მაწიმისწყალი (მაწიმი), ნინოსხევი, შრომისხევი. ამ მდინარეებს სათავე კახეთის კავკასიონის მაღალმთიან ზონაში აქვთ და მთის ტიპურ მდინარეებს წარმოადგენენ. წყალდიდობა მაისშია, წყალმცირობა – ზამთარში. მუნიციპალიტეტის ალპურ ზონაში რამდენიმე ტბაა. მათგან მოზრდილია გრძელი ტბა, ნახევარტბა, პატარა ტბა და მართოთი. ლაგოდეხის ნაკრძალში არის მინერალური წყაროებიც.

ალაზნის ვაკეზე შემორჩენილია ვაკის ლეშამბოიანი ტყეები, სადაც ხარობს მუხა, რცხილა, ნეკერჩხალი, ცაცხვი, იფანი, თელა, ვერხვი. მდ. ალაზნის გასწვრივ გავრცელებულია ჭალის ტყე, არის მურყანი და ლაფანი. კარგადაა განვითარებული ლეშამბო (კატაბარდა, ღვედკეცი, ეკალღიჭი, გარეული ვაზი და ა.შ.). ამჟამად ალაზნის ვაკეზე გაბატონებულია კულტურული ლანდშაფტი – ბაღები, ბოსტნები, ვენახები, სიმინდისა და ხორბლის ყანები. კავკასიონის მთისწინეთში გავრცელებულია მუხნარ-რცხილნარი, უფრო მაღლა – წიფლნარი, რომელშიც შერეულია წაბლი, რცხილა, ცაცხვი, ნეკერჩხალი. აქ ქვეტყეს ქმნის ხღმარტლი, შინდი, თხილი და სხვა. ტყის ზონის ზემოთ (2000-2200 მ) სუბალპური მდელოებია, ხოლო 2500-2600 მ. ზემოთ – ალპური მდელოები.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში ბინადრობს ცხოველების (დათვი, ირემი, შველი, არჩვი, მგელი, მელა, გარეული ღორი, კურდღელი, კვერნა, დედოფალა, ტყის თაგვი, ციყვი, მაჩვი. ალპურ ზონაში – აღმოსავლეთ კავკასიური ჯიხვი, კავკასიური ირემი), ფრინველებისა (კავკასიური როჭო, შურთხი, მთის არწივი, მწყერი, გვრიტი, ყვავი, შაშვი, კოდალა, კაჭკაჭი, ხოხობი და სხვ.) და თევზების (კალმახი, ხრამული, წვერა, ჭანარი, მურწა, ლოქო და სხვ.) ნაირგვარი სახეობა. ყველგანაა ბაყაყი, გომბეშო, გველხოკერა, გველი, ხვლიკი.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტშია სახელმწიფო ნაკრძალი და სატყეო მეურნეობა, რ-ის ბაზაზე შექმნილია სამონადირეო მეურნეობები.

სახელმწიფო ნაკრძალი დაარსდა 1912 წელს. მისი ფუძემდებლები არიან პოლონელი ბუნებისმეტყველი და ნაკრძალის დიდი მოამაგე ლუდვიგ მლოკოსიევიჩი და კავკასიის ფლორის გამოჩენილი მკვლევარი, ბოტანიკოსი, პროფესორი, რუსეთის საიმპერატორო აკადემიის წევრ-კორესპოდენტი ნ. კუზნეცოვი, რომელიც რამდენჯერმე წარსდგა მოხსენებით რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში და მოითხოვა იმდროისათვის ლაგოდეხის ხეობად წოდებული ტერიტორიის ნაკრძალად აღიარება. თავდაპირველად ნაკრძალად გამოცხადდა მაწიმის, ლაგოდეხისხევის და შრომისხევის ხეობა. მოიცავდა 3 500 ჰა ტერიტორიას. 1935 წლიდან ლაგოდეხის ნაკრძალი გაფართოვდა 13 000 ჰა-მდე და გამოცხადდა სრულ, კომპლექსურ ნაკრძალად. 1970 წლიდან მისი საერთო ფართობი 18 000 ჰა-მდეა. ამჟამად იგი მოიცავს 19 749 ჰა-ს. ტყით დაფარულია 12346 ჰა, დანარჩენი 7403 ჰა ალპური საძოვრებია.

ნაკრძალის რელიეფი, უმეტეს ნაწილში, მრავალფეროვანია. იგი მდიდარია დიდი და პატარა მდინარეებით (ლაგოდეხისწყალი, მაწიმისწყალი, ნინოგორისწყალი, შრომისწყალი, ბნელიხეობისწყალი, სალესავასხევისწყალი და ა.შ.). მათი სათავე იწყება ალპური მდელოებიდან და თავისი დინების გზაზე ქმნიან სხვადასხვა სიმაღლის ჩანჩქერებს. ტერიტორიაზე მრავლადაა გოგირდოვანი მინერალური წყაროებიც. ალპურ ზონაში არაერთი პატარ-პატარა ტბაა.

ნაკრძალში წარმოდგენილია აღმოსავლეთ კავკასიისათვის დამახასიათებელი ყველა ცენტრალური სარტყელი – დაწყებული ჭალის ტყიდან (ზ. დ. 450 მ), სუბნიკალური ლანდშაფტის (ზ. დ. 3 500 მ) ჩათვლით. აქ თავმოყრილია საქართველოში გავრცელებული მცენარეთა სახეობების (ქართული მუხა, აღმოსავლური წიფელა, კავკასიური რცხილა, ცაცხვი, ლაგოდეხური ნაღველა, კეცხოველის თეთრყვავილა, მლოკოსიევიჩის იორდასალამი, იულიას ფურისულა და ა. შ.) თითქმის ⅔. ფაუნა, გარდა კავკასიური ჯიხვისა, ირმის, მურა დათვის და არჩვისა, წარმოდგენილია ევროპული შველის, გარეული ღორის, ფოცხვრის, კოლხური ხოხბის, კავკასიური შურთხის, მთის არწივის და ა. შ. სახით.

ნაკრძალის ფლორისა და ფაუნის 26 სახეობა შეტანილია წითელ წიგნში, ხოლო თავად ნაკრძალი – იუნესკოს ბუნების ძეგლთა სიაში.

ნაკრძალის ტერიტორიაზე არსებობს ადმინისტრაციული და ვიზიტორთა ცენტრი, რომლის საექსპოზიციო დარბაზში, ფოტოგამოფენასთან ერთად, ექსპონირებულია ნაკრძალის ფლორისა და ფაუნის (ფიტუ ლები) სახეობები. ლაგოდეხის ნაკრძალის სამხრეთით, მიმდებარე სოფლების გასწვრივ, მდებარეობს მეორე დაცული ტერიტორია – ლაგოდეხ-

ის აღკვეთილი (დაარსდა 2003 წელს, ფართობი – 1992 ჰა).

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა, რომელიც პროდუქციის მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მათ შორისაა მეთამბაქოება, მარცვლოვანი და ეთერზეთოვანი კულტურების წარმოება, მევენახეობა, მეხილეობა, მებახჩეობა, მებოსტნეობა, მეცხოველეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა თამბაქოს საფერმენტაციო (1932 წლიდან), ღვინის, ყველ-კარაქის ქარხნები. სხვა პროფილის მცირე საწარმოები. მაგალითად სოფელ ბაისუბანში 1959 წლიდან მუშაობდა ღვინის ქარხანა, რომლის ძირითადი დანიშნულება ყურძნის მიღება და გადამუშავება იყო. ქარხანა უშვებდა ყურძნის წვენს და სხვადასხვა სახის ღვინოებს („ჰერეთი“,„გარეჯი“,„ვაზისუბანი“, „შუშხუნა“, „ივერია“, „მარაბდა“), საკონიაკე ღვინის მასალებს, სპირტს.

ხანგრძლივი ისტორიისა იყო ქ. ლაგოდეხის თამბაქოს საცდელი სადგური, რომელიც 1928 წელს დაარსდა და ეჭირა 204 ჰა. სადგური სხვადასხვა მიმართულებით მუშაობდა: სწავლობდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში თამბაქოს აგროტექნიკის საკითხებს, ახალი ჯიშების გამოსაყვანად წარმოებდა სასელექციო მუშაობა, ჰქონდა ერთი ლაბორატორია: აგროტექნიკის და ქიმიზაციისა და სელექცია-მეთესლეობის. მოქმედებდა ორი ჯგუფი: მექანიზაციისა და მცენარეთა დაცვის. ამჟამად ფუნქციონირებს შ.პ.ს. საწარმოები: ასფალტო-ბეტონის ქარხნები („ლაგოდეხგზა“, „ფინ-ესტატე“), სამშენებლო მასალის მწარმოებლები („ლება“, „განთიადი“); მინერალური წყლებისა და ლიმონათის, ღვინის („ქინძმარაული“, „ჰერეთის ღვინის მარანი“), ლუდის („კრისტალი“), ძეხვეულის („დონა“); მოქმედებს კვების ობიექტები, საოჯახო სასტუმროები.

მუნიციპალიტეტის შემოსავალში გარკვეული წვლილი შეაქვს ვაჭრობასა და ტურიზმს. ტურისტებს ემსახურება კულტურისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი, ლაგოდეხის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია და ვიზიტორთა ცენტრი, სასტუმროების ქსელი.

მდინარე კაბალზე აგებულია 1500 *კვტ* სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგური.

რესპუბლიკური მნიშვნელობის გზაა თბილისი-საგარეჯო-სიღნაღ-ლაგოდეხის და ლაგოდეხ-ყვარლის გზატკეცილი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის საერთაშორისო მნიშვნელობის გზა ლაგოდეხი-ზაქათალის მიმართულებით, სადაც მდებარეობს ლაგოდეხის საბაჟო.

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს: საბავშვო ბაღები, საჯარო სკოლები, ლაგოდეხის სკოლა-ლიცეუმი, ერთი პროფესიული სასწავლებელი, თბილისის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი, სახელოვნებო სკოლების გაერთიანება, სასპორტო კომპლექსები, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ცენტრალური, საბავშვო და სასოფლო ბიბლიოთეკები, რადიო „ჰერეთი“ და ლაგოდეხის ტელევიზია, თეატრები (სახალხო, თოჯინების, საბავშვო), ფოლკლორის ცენტრები და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი.

მუნიციპალიტეტში ასევე ფუნქციონირებს სამედიცინო პროფილის დაწესებულებები: „არქიმედის კლინიკა“ და „კლაპტარი“, სამშობიარო სახლი, 15 სამედიცინო ამბულატორია. ხელმისაწვდომია სასწრაფო სამედიცინო დახმარება.

მუნიციპალიტეტის ღირსშესანიშნაობებიდან აღსანიშნავია სოფ. ლელიანის წმ. თევდორეს ეკლესია, სოფლების: ფონის, არეშფერანის, ხოშატიანის ეკლესიები.

001. ლაგოდეხი, ლ ა გ ო ე თ ი, ლ ა კ უ ა თ ი, ლ ა კ უ ა ს ტ ი, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქი 1962 წლიდან, მუნიციპალიტეტის ცენტრი მდებარეობს ალაზნის ვაკეზე, კახეთის კავკასიონის სამხრეთ კალთის ძირში, მდ. ლაგოდეხისწყლის ორივე ნაპირზე, თბილისიდან 165 კმ-ზე. 2014 წლის აღწრილობით ქალაქში აღრიცხულია 5918 მოსახლე.

თანამედროვე ლაგოდეხი ისტორიული ტერიტორიის ადგილას აღმოცენდა, რომელიც უძველეს ხანაში ჯერ კავკასიის ალბანთა სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა, შემდეგ ფეოდალური ხანის ერთ-ერთ ქართულ სახელმწიფოებრივ ერთეულში, სადაც VIII საუკუნის II ნახევარში გამოეყო ქართლის საერისმთავროს და ჰერეთის სამთავროდ ჩამოყალიბდა. IX საუკუნის ბოლო მეოთხედში, როცა ჰერეთის მთავარმა ჰამამმა 893 წელს მეფის ტიტული მიიღო, საფუძველი ჩაუყარა ჰერეთის სამეფოს, რომელიც XI საუკუნის ოციანი წლებიდან კახეთის მეფემ კვირიკე III (1010-1037) დიდმა დაიპყრო და სამეფოც ახლად შექმნილი პოლიტიკური ერთეულის – რანთა და კახთა სამეფოს შემადგენლობაში მოექცა. XII საუკუნის დასაწყისში კი – კახეთის სამეფოსთან ერთად, ფეოდალური საქართველოს ორგანული ნაწილი გახდა.

წერილობით წყაროებში ლაგოდეხი, ლაკუასტის სახელწოდებით, პირველად იხსენიება VIII საუკუნეში. ქართველი ისტორიკოსი ჯუანშერი, რომელსაც მიეკუთვნება „ქართლის ცხოვრებაში“ შესული V-VIII საუკუნეების ამსახველი თხზულება გვამცნობს, რომ ერისმთავარმა არჩილმა „ჰევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე“. ლაკუასტის გარდა, ლაგოდეხი წყაროებში ლაკუათისა და ლაგოეთის ფორმითაც გვხვდება.

IX-XII საუკუნეებში აქ იყო ჰერეთის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძეგლი – მონასტერი დიდთა ძალითა ლაგოდეხის, რომელიც მცხეთის საკათალიკოსოს სამწყსოში შედიოდა. ლეონტი მროველის ცნობით „წმინდამან მეუფემან კათალიკოს-პატრიარქმა მელქისედეკ მოიგო ... ჰერეთს მონასტერი დიდითა ძალითა (და) ლაგოდეჭი“. ტოპონიმი ლაგოდეხი XIV საუკუნის დასაწყისისათვის საბოლოოდ დამკვიდრდა.

ლაგოდეხს მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა ჰქონია სახალიფოსთან, რასაც მოწმობს აქ აღმოჩენილი არაბული დირჰემები.

ლაგოდეხიდან გზა გადადის ხუნძახში. სავარაუდოა, რომ ხუნძახის გარკვეული ნაწილი მჭიდრო ეკონომიკურ ურთიერთობაში იყო ჰერეთის ბართან.

1614-1617 წლებში ირანის შაჰის აბას I-ის შემოსევებისა და მოძალებული ლეკიანობის შემდეგ, დღევანდელი ლაგოდეხის ტერიტორია ქართველებისაგან დაიცალა. 1831 წელს აქ დაარსდა სამხედრო დასახლება „ლაგოდეხი“, რომელიც 1857 წელს სამოქალაქოდ გადაკეთდა. მეფის რუსეთი გეგმაზომიერად ასახლებდა აქ არაქართველ მოსახლეობას.

ასე წარმოიქმნა ცალკე ტერიტორიული ერთეული „რომანოვკა“, რომელმაც სახელწოდება მიიღო რუსეთის სამეფო გვარიდან - რომანოვების დინასტიის 300 წლისთავის აღსანიშნავად. 1918 წლიდან იგი, როგორც ცალკე ერთეული, გაუქმდა, ლაგოდეხს გადაეცა და მის ერთ-ერთ უბნად იქცა (მოიცავს ალექსანდრე ყაზბეგის, ვაჟა-ფშაველასა და დავით გურამიშვილის ქუჩებს).

1857-1859 წლებში ალექსანდრე პირველმა ლაგოდეხის მახლობლად (რომელსაც „სლობოდკა“ უწოდეს), პოლონეთის აჯანყების მონაწილეები ჩაასახლა. მოგვიანებით, მეფის მთავრობამ – რუსები და უკრაინელები. 1920 წელს აქ გაიხსნა იმდროინდელი კომპარტიისა და საბჭოთა სახელმწიფო მოღვაწის მ. კალინინის სახელობის კოლმეურნეობა და ქალაქის ამ ახალ უბანს (მოიცავს ახალგაზრდობის, კავკასიონისა და მეგობრობის ქუჩებს) კალინოვკა“ ეწოდა.

მოწინავე ქართველი ინტელიგენცია კარგად ხედავდა, რომ ქვეყნის ამ კუთხეში ქართული ფუძის ყოფნა-არყოფნის საკითხი საფრთხის ქვეშ დადგა. ილია ჭავჭავაძის, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების და სათავადაზნაურო ბანკის თაოსნობით ლაგოდეხში დაიწყო იმერეთის, რაჭისა და კახეთის რეგიონებიდან ქართველების მასობრივი ჩამოსახლება. საბოლოოდ აქ, კახელებთან ერთად, თავი მოიყარეს იმერლებმა, რაჭველებმა, მეგრელებმა, სვანებმა, გურულებმა, რომლებთანაც ჰარმონიულად თანაცხოვრობენ სხვადასხვა ერის წარმომადგენლები, მათ შორის აზერბაიჯანელები, ოსები, სომხები.

ლაგოდეხის მოსახლეობის ნაციონალურმა თუ კუთხურმა მრავალფეროვნებამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ცალკეული სოფლებისა თუ საკუთრივ ქალაქის უბნებისა და დასახლებების ჩამოყალიბებაზე.

გარდა ამ ორი უბნისა, ქალაქში არის ვაშლოვნისა (ვაშლოვნის ქუჩა) და ჯავახლების (ჯანელიძის ქუჩა) უბნები. პირველმა სახელწოდება მიიღო ძველი ნასოფლარისგან, რომელიც ლაგოდეხის ჩრდილო-დასავლეთით, სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე მდებარეობს (სწორედ ეს ვაშლოვანია აღწერილი იაკობ გოგებაშვილის მოთხრობაში „იავნანამ რა ჰქმნა“). ჯავახლები კი ამ უბანს ეწოდა აქ კომპაქტურად დასახლებული მესხების გამო, რომლებიც საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ 1918 წელს ჩამოასახლა.

ლაგოდეხის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი

ადგილი ეკავა თეატრალურ ცხოვრებას. 1916 წელს გეორონტი ჩიკვაიძის ხელმძღვანელობით შეიქმნა ლაგოდეხის სცენისმოყვარეთა წრე, რ-იც საქველმოქმედო მიზნით, წლების განმავლობაში მართავდა წარმოდგენებს.

1919 წლის 24 ოქტომბერს ლაგოდეხში მცირე ხნით დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება. გლეხთა შეიარაღებულმა რაზმებმა ბოლშევიკების წაქეზებით დაიკავეს ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი დაწესებულება. მენშევიკურმა მთავრობამ შეიარაღებული ძალები გამოიყენა და მალე დაამხო საბჭოთა ხელისუფლება, მაგრამ 1921 წლის თებერვალში სიღნაღის მაზრის აჯანყებულმა გლეხებმა, წითელი არმიის ნაწილებთან ერთად, კვლავ დაიკავეს ლაგოდეხი.

1932 წლიდან ლაგოდეხში მოქმედებდა თამბაქოს საფერმენტაციო ქარხანა, 1939 წლიდან – ეთერზეთების საბჭოთა მეურნეობა-ქარხანა, რომელსაც ჰქონდა ვარდის, რეჰანის, გერანის, კამის პლანტაციები. მეურნეობა-ქარხანა სხვადასხვა კოლმეურნეობებიდანაც იღებდა ნედლეულს; 1943 წელს დაარსდა ლაგოდეხის სატყეო მეურნეობა, 1958 წლიდან ამოქმედდა ყველ-კარაქის და საკონსერვო ქარხნები; 1960 წლიდან – ადგილობრივი მრეწველობის კომბინატი ხუთი საამქროთი (სამკერვალო, ხე-ტყის, ინერტული მასალების, აგურის, ბლოკის).

დღესდღეობით ქალაქში მოქმედებს სამრეწველო საწარმოები, ჯანდაცვის, განათლებისა და კულტურის დაწესებულებები, სხვადასხვა სახის სასტუმროები. განვითარებულია ტურიზმი. აქ არის ნეკრესის ეპარქიის რეზიდენცია. ქალაქში, თავისუფლების ქუჩაზე, გაშენებულია შინმოუსვლელთა პარკი, რომელშიც აგებულია მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთადმი მიძღვნილი მემორიალი.

1931 წლიდან ლაგოდეხში გამოდიოდა გაზეთი „ბრძოლა თამბაქოსათვის“, რომელსაც 1951 წლიდან ეწოდა „გამარჯვების დროშა“. მოქმედებს რადიო „ჰერეთი“ და ციფრული მაუწყებლობა, საკაბელო ტელევიზია „ლაგო ტვ“.

ლაგოდეხი დაძმობილებულია ლიეტუვას რესპუბლიკის ქ. ვილიანთან (2016 წ.) და პოლონეთის რესპუბლიკის ქ. ოსტროლენკასთან (2009 წ.). ქალაქში ყოველი წლის 9 ოქტომბერს იმართება სახალხო დღესასწაული „ჰერეთობა“.

გ. აფრასიძე, თ. ჩიმაკაძე.

ბიბლ.: 27; 81; 120; 141; 162; 166; 180; 202ა; 206; 207ვ; 208; 240.

002. ლაგოდეხის ისტორიული მუზეუმი, ისტ. ძ. მდებარეობს ვაშლოვნის ქუჩაზე (№12). დაარსდა 1975 წელს. მუზეუმში დაცულია 6000-მდე ექსპონატი. მათ შორის ძვ. ჰერეთისა და მუნიციპ-ის ტერიტორიაზე არქეოლ. გათხრების და ზედაპირული დაზვერვების შედეგად მოპოვებული ქვის, ბრინჯაოს, რკინის, თიხის არტეფაქტები ძვ. წ. IV ათასწლეულიდან გვიანდ. შუა საუკუნეებამდე; XII საუკუნის სპილენძის მონეტები, ვერცხლის ქართ. ჰულაგოიდური მონეტები, XIV საუკუნის ილხან ოლჯითაოს მონეტები, XIX-XX საუკუნეების ფულის ნიშნები და ბონები; XVIII-XIX საუკუნეების საბრძოლო აღჭურვილობა; ეთნ. მასალა: XIX-XX საუკუნეების სამუშაო და საყოფაცხოვრებო ნივთები.

მუზეუმში ხუთი საგამოფენო დარბაზია. მათ შორის ორი დათმობილი აქვს არქეოლ. მასალას, თითო-თითო ეთნოგრაფიას და ნუმიზმატიკას, ერთში კი პერიოდულად ეწყობა ადგილ. მხატვრებისა და ინდ. მეწარმეების ნამუშევართა გამოფენები.

მუზეუმის ფონდებში ასევე დაცულია ლაგოდეხში მოღვაწე პიროვნებების პირადი არქივები, ჰერალდიკის ნიშნები, ფოტოსურათები და სხვა.

მუზეუმი ეწევა სამეცნ. და საგანმანათლებლო საქმიანობას. ტარდება შემეცნებითი ლე-



002. საგამოფენო დარბაზი

ქციები ადგილ. მოსწავლე-ახალგაზრდობისა და ადგილ. მოსახლეობისათვის.

დ. ყვავაძე.

003. ლაკშასტის ციხე, ლაკუათის ციხე, გალავნის ნაშთი, არქიტ. ძ. მდებარეობს ალ. ყაზბეგის ქუჩაზე. ნაგებია რიყის ქვითა და კირის დუღაბით.

წერილობით წყაროებში ციხე იხსენიება VIII საუკუნეში. ქართვ. ისტორიკოსის ჯუანშერის ცნობით, ერისმთავარმა არჩილმა (668-718 წწ.) „ჴევსა ლაკუასტისასა აღაშენა ციხე".

ვახუშტი ბაგრატიონი ციხეს ლაკუათის სახელწოდებით მოიხსენიებს: „ამას ზეით, ჩდილოთ კერძ, ველსა ზედა, ციხე ლაკუათისა, მ დ მეფის არჩილისაგან ქმნული, და აწ ლაგოდოთად წოდებული; მაგარი, დიდშენი, გარნა აწ ოჴერი."

ბ. კუპრეიშვილი.

ბიბლ.: 68; 266.

004. ძოჩალოს ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს ქალაქის ჩრდ-ით, მდ. ლაგოდეხისხევის მარცხ. ნაპირზე, ქოჩალოს მთის ფერდზე. თარიღდება VI-VII საუკუნეებით.


2019 წელს, ტაძრის წინასარეაბილიტაციო, გაწმენდითი სამუშაოების (ხელმძღ. დ. ყვავაძე) დროს, ნაშალ ფენაში აღმოჩნდა არქიტრავის ქვა ასომთავრულით შესრულებული, ცამეტსტრიქონიანი წარწერით. წარწერა ძლიერ დაზიანებულია, ფრაგმენტულადაა შემორჩენილი მისი პირველი ექვსი სტრიქონი, რის გამოც შინაარსის დადგენა არ ხერხდება. გ. გაგოშიძე წარწერას X საუკუნის II ნახევრით ათარიღებს და მიაჩნია, რომ წარწერის შემორჩენილი ნაწილი შეწირულობის დოკუმენტია. მისი აზრით: „უცნობი პირი, რომლის სახელი დაკარგულია, მეფეებისა და თავისი სულის სალოცველად ამ საქდარს სწირავს „ხანასი ქალამაჩის უბანს". წარწერაში მოხსენიებულნი არიან: მეფე ადარნასე, დედოფალი დინარი, აბულლა მეფე და ერისთავთ-ერისთავი ბაქარი (ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ ჰერეთი ოდითგანვე ქართ. მხარე იყო).

ქართლის კათალიკოს მელქისედეკ I-ის მიერ სვეტიცხოველის ტაძრისადმი დაწერილი საბუთის მიხედვით, კათალიკოსს სვეტიცხოველის ტაძრისათვის, დიდ ფასად თუ დიდი ძალისხმევით, უყიდია და შეუწირავს ლაგოდეხში არსებული მონასტერი. გამორიცხული არ არის, რომ აქ ქოჩალოს ეკლესიაზე იყოს ლაპარაკი.

ტაძრის გარშემო აღმოჩენილი სამარხები და კერამ. ნაწარმი მოწმობს, რომ ტაძარს XIV საუკუნის მიწურულამდე უარსებია.

ეკლ. სამნავიანი ნაგებობაა. შენობის გეგმის გარეგან სწორკუთხედში (სიგრ. – 10,2 *მ*, სიგ. – 10,5 *მ*) სამი ნავია ჩაწერილი, რ-თა კედლები ერთმანეთს წყობით ებმის. მათგან შუა, გვერდით ნავებთან შედარებით, რამდენადმე უფრო განიერია და მაღალი. გვერდითი ნავებიდან ჩრდ-ისა, მთავარ ნავთან დაკავშირებულია სწორკუთხა ბოძზე დაყრდნობილი ორი განიერი თაღით. სამხრ-ისა კი შუა ნავისგან კედლით არის გამიჯნული და მას ამ კედლის შუაში გაჭრილი კარით უკავშირდება.

შენობა ნაგებია სხვადასხვა ზომის, ნატეხი ქვითა და კირის დუღაბით. გარეთა კედლების წყობაში საკმაოდ დიდი ზომის, სრულიად დაუმუშავებელი ქვებია გამოყენებული, რ-თა შორის დარჩენილი არეები, წვრილი ქვით და დუღაბითაა შევსებული. შიგნითა კედლების წყობა გაცილებით მცირე ზომის ქვისაა. კედლის ზედაპირი კი ბათქაშითაა გასწორებული.



004. გეგმა

ძ. ძლიერაა დაზიანებული: ჩამონგრეულია შუა და სამხრ. ნავის კამარა, დანგრეულია შუა ნავის სამხრ. და დას. კედლების დიდი ნაწილი, ასევე სამხრ. ნავის სამხრ. კედელი. დარღვეულია შუა ნავის ჩრდ. კედელი და ჩრდ. ნავის გადახურვა, დაბზარულია შუა ნავის აღმ. კედელი.



004. საერთო ხედი დას-იდან

შუა ნავს ორი შესასვლელი აქვს: დას-იდან და სამხრ. ნავიდან. სამხრ. კარი გარედან თაღოვანი ყოფილა, ტიმპანიანი. დას. კარის გადახურვის ფორმა კი, კედლის ძლიერი დაზიანების გამო, არ დგინდება.

ეკლესიის მთავარი ნავი აღმ-ით ნალისებრი აფსიდითაა დასრულებული. აფსიდის ბოლოები გრძივი კედლებიდან ორსაფეხურიანი მხრებითაა გამოყოფილი, რ-ებსაც ეყრდნობოდა კონქის ორსაფეხურიანივე თაღი (შემორჩენილია მხოლოდ სამხრ. გვერდი). აფსიდში მაღალი, თაღოვანი სარკმელი და ორი მცირე ზომის, კვადრ. ნიშაა. ნიშები შედარებით მაღლა, სარკმლის ძირის დონეზეა განლაგებული, იატაკიდან დაახლ. 2,2 *მ* სიმაღლეზე. აფსიდს, მთელ სიგრძეზე, ვიწრო საფეხური გასდევს. საკურთხევლის შუაში მდგარა სწორკუთხა ტრაპეზი (შემორჩენილია კვალი). საკურთხევლის წინ, ოცდაათიოდე *სმ*-ის მანძილზე, საწინამძღვრე ჯვრის აღსამართავი, მრგვალი სვეტის ცოკოლია შემორჩენილი.



004. ინტერიერი. მთავარი ნავი. ხედი აღმ-კენ

მთავარი ნავი ჩრდ. ნავთან დაკავშირებულია სწორკუთხა ბოძზე დაყრდნობილი ორი განიერი თაღით. ნავის ჩრდ. და დას. კედლები ერუა. აღმ. კედელში კი გეგმით კვადრატულ, კამაროვან სათავსში – სამკვეთლოში გამავალი კარია, რ-ის გადახურვა ჩამონგრეულია. სამკვეთლო აღმ. კედელში გაჭრილი სარკმლითაა განათებული, რ-იც, სავარაუდოდ, თარაზულად იყო გადახურული. სამკვეთლოს სამხრ. კედელში მოწყობილია მცირე ზომის ოთხკუთხა ნიშა.



004. ინტერიერი. მთავარი ნავი. ხედი ჩრდ.-აღმ-კენ

ნავი გადახურულია სხმული, ნახევარცილინდრული კამარით.

სამხრ. ნავი უაფსიდოა და აღმ-ით სწორი კედლითაა დასრულებული. კედლის შუაში გაჭრილია კვადრ. მოყვანილობის, პარალელურწირთხლებიანი სარკმელი. ნავი სამხრ-ით გახსნილი იყო ორ მრგვალ სვეტზე გადაყვანილი სამი თაღით (შემორჩენილია აღმ-იდან პირველი სვეტი და მასზე დაყრდ-



004. ინტერიერი. ჩრდ. ნავი. ხედი აღმ-კენ



004. ინტერიერი. სამკვეთლო. ხედი დას-კენ

ნობილი ორივე თაღის ნაწილი). როგორც შემორჩენილი ნაწილიდან ჩანს, თაღები გარედან ორსაფეხურიანი ყოფილა. ნავი გადახურული იყო ერთიანი კამარით, რ-ისგანაც ჩრდ. გვერდის ნაწილია შემორჩენილი.



004. არქიტრავის ქვა წარწერით. დეტალი

სამხრ. ნავის სამხრ.-აღმ. კუთხესთან შემორჩენილია ეკლესიაზე სამხრ-იდან მოგვიანებით მიშენებული, მცირე ზომის, აფსიდიანი სამლოცველოს კედლების ნაწილები (სიმ. – 1,2-1,5 მ). სამლოცველო ეკლესიის მსგავსი საშენი მასალითაა ნაგები. შესასვლელი მას დას-იდან აქვს (შემორჩენილია ორივე წირთხლი). სამლოცველოს აღმ. კედელი ეკლესიის აღმ. კედლის ხაზიდან სამოციოდე *სმ*-ითაა წინ წაწეული და კუთხეს ქმნის.

ეკლესიის შემორჩენილი კედლები გარედან სადაა, მოკლებულია დეკორატ. სამკაულს.


ქ. დიდმესხიშვილი.

ბიბლ.: 35; 60; 206.

005. ჟაზანის ქოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს დავით აღმაშენებლისა და ალექსანდრე ყაზბეგის ქუჩებზე.

1904 წელს სანქტ-პეტერბურგის არქიტექტორთა საზოგადოების ჟურნალ „ხუროთმოძღვარში („Зодчий“) დაბეჭდილი სტატიის „ეკლესიის პროექტი ლაგოდეხში“ („Проект церкви в Лагодехи“) მიხედვით, ლაგოდეხში იმ დროს დაბანაკებულ პოლკს შეგროვილი სახსრებით ეკლესიის აშენება განუზრახავს. ეკლესიის პროექტი (ავტორი უცნობია) შესრულებული ყოფილა ქართულ-ბიზანტიურ სტილში – შუაში კარვისებრი სახურავით დასრულებული გუმბათით და სამრეკლოთი დას. ნაწილში.

პოლკს დაუწყია ეკლესიის მშენებლობა. სამუშაოებს ასრულებდნენ თავად პოლკის ჯარისკაცები, რ-ებსაც ხელმძღვანელობდნენ პოლკისავე ოფიცრები. მას შემდეგ, რაც ნაგებობა გუმბათის ქუსლამდე ამოუყვანიათ, თაღებში, გუმბათის ყელსა და ზოგიერთ კედელში გამოვლენილა ბზარები. გამოსაკვლევად ჩამოსულ ინჟინერს ეკლესიის მშენებლობა შეუჩერებია. სანამ საქმე იხილებოდა, პოლკი, რ-მაც ტაძრის მშენებლობა დაიწყო სხვა ადგილზე გადაუყვანიათ. ეკლ. კი დაუმთავრებელი დარჩენილა.



005. გეგმა (ალ. ფონ-გოგენის პროექტის მიხედვით)

შემდგომში, ლაგოდეხში დაბანაკებულ სხვადასხვა სამხ. შენაერთებს, სამჯერ წარუდგენიათ ტაძრის გადაკეთების პროექტი, მაგრამ ისინი არ დაუმტკიცებიათ.

1904 წელს დაამტკიცეს აკადემიკოს ალექსანდრე ივანეს

ძე ფონ-გოგენის მიერ შედგენილი პროექტი, რომლის მიხედ-



005. გრძივი ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ (ალ. ფონ-გოგენის პროექტი)

ვით უნდა შეენარჩუნებინათ ძვ., მკვიდრი ნაწილები, უარი უნდა ეთქვათ ტაძრის შუა ნაწილზე გუმბათის დადგმაზე და ფასადის დამუშავებაში უნდა გამოეყენებინათ „რუსული“ ფორმები, რადგან იმჟამად არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით და იმ მოკრძალებული თანხით, რ-იც ტაძრის მშენებლობის დასამთავრებლად იყო გათვალისწინებული, შეუძლებელი იქნებოდა თავდაპირველი ჩანაფიქრის განხორციელება.

ტაძრის მშენებლობის ისტორიის მეორე წყაროა გ. ა. ციტოვიჩის მიერ შედგენილი რუსულენოვანი ცნობარი „არმიისა და ფლოტის ტაძრები“ („Храмы армии и флота“), რ-ის მიხედვით წმ. ღვთისმშობლის ეკლ. ყუბანის მე-6 პლასტუნის ბატალიონის მფარველობის გასაწევად აუგიათ. მისი მშენებლობა ტფილისის მე-15 გრენადერთა პოლკის გულმოდგინებითა და სახსრებით 1884 წელს დაუწყიათ. 1875 წელს, თურქეთის საზღვართან პოლკის მოქმედ არმიაში წასვლის გამო, სამუშაოები შეჩერებულა და განახლებულა როდესაც 1886 წელს ტფილისის გრენადერთა პოლკი მოკლე დროით კვლავ ლაგოდეხში დაბრუნებულა.

1897 წელს, როგორც ეს ეკლესიის კედელზე არსებულ წარწერაშია აღნიშნული, ეკლესიის მშენებლობა დასრულდა. მიუხედავად ამისა, არქიტ. თვალსაზრისით, იგი დაუმთავრებლად ითვლებოდა 1904 წლამდე. როგორც ზემოთ აღინიშნა, 1904 წელს არქიტ. ფონ-გოგენის პროექტი დამტკიცდა. 1910-იანი წლების ფოტოებიდან და თავად ტაძრის პროექტის ესკიზებიდან ჩანს, რომ პროექტი განხორციელებულა. გადმოცემით. ტაძრის გახსნას ესწრებოდნენ რომანოვების საგვარეულოს წარმომადგენლები, რადგან ყაზანის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი (რ-ის ასლიც აქ დააბრძანეს) მათი სამეფო გვარის მფარველად ითვლებოდა.

ბოლშევიკურმა მთავრობამ ტაძრის გუმბათები, ჯვრები და სამრეკლოები მოანგრია. ამ სახით მოაღწია ეკლესიამ 1990-იან წლებამდე. 1990-იან



005. დას. ფასადი (ალ. ფონ-გოგენის პროექტი)

წლებში, მას შემდეგ რაც ეკლ. ქართ. ეკლესიის წიაღში გადავიდა, ნეკრესელი მიტროპოლიტის, მეუფე სერგის (ჩეკურიშვილი) თაოსნობით ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, რ-ის დროსაც გათვალისწინებული იყო ქართ. სატაძრო არქიტექტურის ტრადიციები.



005. ინტერიერი. შუა ნავი. ხედი აღმ-კენ

1998 წლის 4 ნოემბერს ტაძარი საზეიმოდ გახსნა საქართვ. კათალიკოს პატრიარქმა ილია II-მ.

ეკლ. სამნავიანია. ნაგებია აგურით. ნავების გადახურვა, სხვენი და სახურავის ჩონჩხი ხისაა.

შენობის ძირითადი ნაწილი გეგმით კვადრატულია (გარეთა ზომები: დაახლ. – 20x20 მ). აღმოდან მას ეკვრის სამნაწილადი საკურთხეველი, დას-იდან კი მაღალი, კვადრ. გეგმის (დაახლ. – 7x7 მ) სამსართულიანი მინაშენი.

ეკლესიის ნავები ერთმანეთთან დაკავშირებულია მძლავრ, სწორკუთხა ბურჯებზე გადაყვანილი, ნახევარწრიული თაღებით. შუა ნავი გვერდით ნავებთან შედარებით, რამდენადმე განიერია და მაღალი. გარედან იგი ორფერდა სახურავითაა გადახურული. გვერდითი ნავების გადახურვა სამფერდაა. შიგნიდან სამივე ნავი ბრტყელჭერიანია.



005. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

შუა ნავი საკურთხეველთან ნახევარწრიული, ფართო თაღითაა დაკავშირებული. საკურთხევლის შვერილის ცენტრ. ნაწილი წახნაგოვან საკურთხეველს უჭირავს, გვერდითი ნაწილები კი – მცირე ზომის სწორკუთხა სათავსებს. მათგან ჩრდ-ით მდებარე სამკვეთლოა, სამხრ-ით მდებარე კი – სადიაკვნე. ორივე სათავსი საკურთხეველთან კარით არის დაკავშირებული. საკურთხევლის გარდა, ისინი შესაბამის ნავებსაც უკავშირდება. სამკვეთლოს შესასვლელი გარედან, ჩრდ-იდანაც აქვს. საკურთხეველი განათებულია სამი ფართო, თაღოვანი სარკმლით, რ-ებიც მისი შვერილი ნაწილის თითოეული წახნაგის ღერძზეა გაჭრილი (ამჟამად ცენტრ. სარკმელი გაუქმებულია). ამ მხარეს თითო სარკმელი სამკვეთლოდან და სადიაკვნედანაც გამოდის. მეორე სარკმელი სადიაკვნეს სამხრ-იდან აქვს.

ეკლესიის შიდა სივრცე კარგად არის განათებული. შუა ნავის კედლებში, სიმეტრიულად, ოცი თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. მათგან სამ-სამი აღმ. და ევლის შვერილის ცენტრ. ნაწილებში, შვიდ-შვიდი კი – გრძივ კედლებში. გარდა ამისა, სამ-სამი სარკმელია გაჭრილი გვერდითი ნავების კედლებშიც – თითო-თითო გრძივი კედლების აღმ. და დას. ნაწილებში და თითო – დას. კედელში. სარკმლებს გარდა, გვერდითი ნავების გრძივ კედლებში – შუაში – თითო შესასვლელიცაა.

დას. მინაშენის პირველი სართული აღმ.-დას-ის მიმართულებით წაგრძელებულ, თანაბარი სიგანის სამ ნაწილადაა



005. ინტერიერი. შუა ნავი. ხედი ჩრდ.-დას.-კენ

გაყოფილი, რ-ებიც ერთმანეთს თითო კარით უკავშირდება. მათგან შუა ნაწილი ეკლესიის კარიბჭის დანიშნულებას ასრულებს. მასში შესასვლელი დას.-იდანაა, რ-საც თითქმის მთელი ფასადი უჭირავს და სახეიმო იერი აქვს. სართულის გვერდითი ნაწილების გრძივ კედლებში თითო თაღოვანი სარკმელია.

მინაშენის მეორე სართულის გეგმარება პირველი სართულის მსგავსია.

მინაშენის მესამე სართული ხალვათია, განათებულია ცხრა თაღოვანი სარკმლით, რ-ებიც სართულის გარეთა კედლებშია გაჭრილი. სართულის თავზე, შუაში, მოწყობილია ბაქანი, რ-ზეც აღმართულია პირამიდისებრი სახურავით გადახურული, რვაწახნაგა ფანჩატური.

ამჟამად ეკლესიას, ძლიერი დაზიანებების გამო, თავდაპირველი სახე გარედან მნიშვნელოვნად აქვს შეცვლილი. გარეგნულად მას რუსული კლასიციზმის კვალი ეტყობა. ყველა ხუროთმოძღვრული დეტალი – ლავგარდანი, სარკმელთა მორთულობა და პროფილები იმ დროს მტკიცედ იყო შემუშავებული და დაკანონებული.

ფასადი მარტივია, მორთულობა – ძუნწი; დანაწევრება – გეომეტრიულად მკაფიო, ხაზოვანი, პროფილები სრულიად უბრალოა, დაუქუცმაცებელი, კარ-სარკმლების პროპორცია – აზიდულია. პროფილები და კარ-სარკმელთა მორთულობა, კლასიკური რეპერტუარიდანაა – XIX საუკუნის ინტერპრეტაციით.

ეკლ. დაბურულია თუნუქით.

თ. დვალი.

ბიბლ.: 336.

ᲐᲜᲐᲜᲐᲣᲠᲘᲡ ᲒᲝᲠᲐᲡᲐᲛᲐᲠᲮᲔᲑᲘ, იხ. სოფ. ჭაბუკიანი.

ᲐᲤᲔᲜᲘ
(თემის ცენტრი)

006. ᲒᲐᲜᲫᲘ, ისტ., არქეოლ. ძ. ვერცხლის მონეტების განძი სოფლის მახლობლად აღმოჩნდა 1924 წელს. შეიცავს VI-VII საუკუნეების სასანურ და ტაბარისტანულ მონეტებსა და სახალიფოს სხვადასხვა ქალაქში მოჭრილ VII-IX საუკუნეების ქუფურ დირჰემებს. სულ 394 ერთეულს.

მონეტები დაცულია საქართვ. ეროვნულ მუზეუმში.

ი. ჯალადანია.

ბიბლ.: 250.

007. ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. მდებარეობს სატყეო მეურნეობის ტერიტორიაზე, ლაფანტებად წოდებულ ადგილში. განეკუთვნება შუა საუკუნეებს. ნაგებია ნატეხი ქვითა და კირის დუღაბით. ძლიერ დაზიანებულია: კედლები შემორჩენილია მიწიდან 1 მ-ის სიმაღლეზე.

ეკლ. დარბაზულია, აფსიდიანი. შესასვლელი დას.-იდან ჰქონია. აღმ.-ით, აფსიდის ღერძზე, გაჭრილია სარკმელი, რ-იც მოგვიანებით ამოუშენებიათ.

ბ. კუპრეიშვილი.

008. ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. იდგა სატყეო მეურნეობის ტერიტორიაზე. შემორჩენილია ქვის გროვების სახით, რ-ებიც ეკალ-ბარდებითაა დაფარული.

ბ. კუპრეიშვილი.

ᲑᲐᲦᲓᲐᲗᲘ
(აფენის თემი)

009. ᲬᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სასაფლაოზე. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია. ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით კირის დუღაბზე. დაზიანებულია: კედლები შემორჩენილია სხვადასხვა სიმაღლეზე. შესასვლელი დას.-იდან ყოფილა. აღმ.-ით ღრმა, ნახევარწრიული აფსიდია, რ-იც დარბაზისაგან მხრებითაა გამოყოფილი.

ბ. კუპრეიშვილი.

ᲑᲝᲚᲝᲙᲘᲐᲜᲘ
(კართუბნის თემი)

010. ᲜᲝᲕᲘᲐᲡ ᲡᲐᲤᲚᲓᲐᲠᲘ, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის დასით, 1,5 კმ-ზე, მდ. კაბლის მარცხ. ნაპირზე, სახნავ მიწებზე. განეკუთვნება ადრინდ. შუა საუკუნეებს. აქვს გვიანდ. გადაკეთებები.



010. ხედი აღმ-იდან

ეკლ. დარბაზულია (მიახლ. ზომები: სიგრ. – 9,2 მ, სიგ. – 5,8 მ), აფსიდიანი. თითქმის მთლიანად დანგრეულია: ეკლესიის კედლებიდან, ყველაზე მეტ სიმაღლეზე, აფსიდის ჩრდ. გვერდის ნაწილიღა დგას, რ-ის სიმ. ხუთიოდე მ-ს აღწევს. დანარჩენი კედლების სიმ. დაახლ. 1 მ-ია. ინტერიერი მიწით და ქვითაა ამოვსებული. ეკლესიის შიგნით მოზრდილი ხეებია ამოსული. გარეთა კედლების დიდი ნაწილი ხეებითა და ეკალ-ბარდებითაა დაფარული.

ეკლესიის შემორჩენილ კედლებში აშკარად გამოიყოფა სხვადასხვა პერიოდის, განსხვავებული საშენი მასალით გამოყვანილი ორი სამშენ. ფენა. სავარაუდოდ, ადრე ამ ადგილას მდგარი ეკლ. მოგვიანებით არის განახლებული. ძვ. ეკლესიის კედლები რიყის ქვითა და კირის დუღაბითაა ნაგები, განახლებული ნაწილები კი – აგურით. თითქმის მთლიანად აგურისაა აფსიდის შემორჩენილი ნაწილი, რ-შიც გეგმით ნახევარწრიული, ბრტყლად გადახურული ნიშაა მოწყობილი.


აფსიდის შემორჩენილი ნაწილიდან ჩანს, რომ იგი ნახევარწრიული მოხაზულობის ყოფილა და დარბაზის გრძივი კედლებიდან მხრებით იყო გამოყოფილი.

ქ. დიღმელაშვილი.

განჯალა

(კაბლის თემი)

011. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, 2 კმ-ზე, შემაღლებულ ადგილზე. სავარაუდოდ განეკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს.



011. გეგმა

ეკლ. დარბაზულია (4,35x3,40 მ), უაფსიდო. ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის და ნატეხი ქვით კირის ხსნარზე. ფასადებზე, ალაგ-ალაგ, მსხვილი რიყის ქვებია ჩართული. წყობა ირეგულარულია. კედლები შიგნიდან გასწორებულია დუღაბის სქელი ფენით.

შესასვლელი დას-იდანაა. კარი მოზრდილი ქვით არის გადახურული. წირთხლები კი გამოყვანილია მოყვითალო შირიმის დამუშავებული კვადრებით.

ეკლ. აღმ-ით დასრულებულია სწორი კედლით, რ-შიც ბრტყლად გადახურული სარკმელია გაჭრილი. სარკმლის მარჯვნივ საშ. ზომის თაღოვანი ნიშაა. კამარა (ჩამონგრეულია სამხრ. გვერდის აღმ. ნაწილი) სხმულია, უსწორმასწორო. იგი გრძივ კედლებზეა დაყრდნობილი.



011. დას. ფასადი. შესასვლელი

ფასადები დასრულებული იყო ე. წ. ქართული აგურით ნაწყობი ლავგარდნით, რ-იც ნაწილობრივ მხოლოდ დას. და ჩრდ. ფასადებს შემორჩა. სახურავის შემორჩენილ ნაწილზე აყრილია კრამიტის საბურავი და ზედ მცენარეულობაა ამოსული.

ქ. დიღმელაშვილი

გელათი

(ნინიგორის თემი)

012. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით, სასაფლაოზე. სავარაუდოდ თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

ძ. დანგრეულია (როგორც ჩანს, აფეთქების შედეგად). კედლებიდან მხოლოდ ფრაგმენტებიღაა შემორჩენილი, ქვებიც იქვეა მიმობნეული. ნაეკლესიარზე მიწის დონე აწეულია და მოზრდილი ხეებია ამოსული.



0.12. ხედი ჩრდ.-დას-იდან

ეკლ. დარბაზული ყოფილა, საშ. ზომის (გასუფთავების გარეშე გეგმის დადგენა არ ხერხდება). კედლების შემორჩენილი ნაწილები სხვადასხვა ზომის რიყისა და ნატეხი ქვით არის ნაგები კირის სქელ დუღაბზე. წყობა ქაოსურია. ნანგრევებში განირჩევა როგორც აფსიდის, ისე კონქის მოზრდილი ნაწილი, რ-იც მთლიანად „ქართული“ აგურით არის გამოჟვანილი. აფსიდის შემორჩენილ ფრაგმენტს კედლის სიბრტყეში ოდნავ შეღრმავებული, ნახევარწრიულთაღოვანი ნიშის ნაწილი შემორჩა.

ეკლ. გადახურული ყოფილა ბრტყელი და ღარისებრი კრამიტის კომბინირებული წყობით.

თ. დვალი.

დამწვარი ბორა, ნამოსახლარი, იხ. სოფ. ჭიაური.

ვარდისუბანი
(თემის ცენტრი)

013. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ. განაპირას. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია. ნაგებია ნატეხი ქვითა და აგურით კირის დუღაბზე. დაზიანებულია: შედარებით უკეთ აღმ. კედელია შემორჩენილი. დანარჩენი კედლები მიწის დონიდან 1,8 *მ* სიმაღლეზეა.

შესასვლელი დას-იდანაა (დაზიანებულია). აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-იც დარბაზისგან მხრებითაა გამოყოფილი. აფსიდში შეისრულთაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმელი სამხრ. კედელშიც ყოფილა (დაზიანებულია). საკურთხეველი დარბაზისგან გამიჯნული ყოფილა კანკელით (შემორჩენილია ფრაგმენტები).

მოგვიანებით, ეკლესიისათვის დას-იდან, გეგმით სწორკუთხა, სამ მხარეს თაღებით(?) გახსნილი ნაგებობა მიუშენებიათ, რ-ის კედლები რამდენიმე *სმ*-ზეა შემორჩენილი.

ბ. კუპრეიშვილი.

014. სამლოცველო, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლების – ვარდისუბნისა და კართუბნის დამაკავშირებელი გზის მარცხ. მხარეს, სახნავში. თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით და ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრით.

ძ. 1976 წელს შემთხვევით აღმოაჩინა საქართ. ეროვნ. მუზეუმის არეშის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. ლ. ჭილაშვილი). იგი მოქმედმა სარწყავმა არხმა გაანადგურა – წყალმა ჩამორეცხა ზედაპირიდან დაახლ. 3 *მ*-ის სიღრმეზე მოქცეული, კულტ. ფენა, სადაც თავმოყრილი იყო დიდი რაოდენობის არქეოლ. მასალა (მცირე ზომის, შავპრიალა თიხის ჭურჭლის ნატეხები).


გ. რჩეულიშვილი.

ბიბლ.: 237.

015. ღვთისმშობლის ეკლესია, „კირხა“, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ. განაპირას. სავარაუდოდ აგებულია 1900-იანი წლების დასწყისში (ადგილ. მოსახლეობის გადმოცემით: სოფელში მაცხოვრებელი პოლონელი და რუსი მოსახლეების მიერ).

ეკლ. კარგად არის დაცული. უმნიშვნელო დეტალების გამოკლებით, შენობა უცვლელად ინახავს პირვანდელ სახეს.

ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით, ნაგებობა მოდერნის სტილის გავლენითაა აგებული, თუმცა შენარჩუნებული აქვს ჯვარგუმბათოვანი ეკლესიის ტრადიციული სტრუქტუ-



015. სქემატური გეგმა



015. ინტერიერი. შუა ნავი. ხედი აღმ-კენ

რა – მკლავებით გამოსახული ჯვრით, რ-თა გადაჯვარედინების ადგილას გუმბათის ოთხწახნაგა ყელია აღმართული. შენობის კორპუსის შინაგანი დაყოფა გარეგან ფორმებშიც ვლინდება.

ეკლ. გეგმით „თავისუფალი ჯვრის“ ტიპისაა. აგებულია რკინა-ბეტონით. ნაგებობას ორი შესასვლელი აქვს – დას-იდან და ჩრდ-იდან. ორივე კარი შესაბამისი მკლავის ღერძზეა გაჭრილი. მათ შორის დას. შესასვლელის წინ კარიბჭეა მოწყობილი.

შენობის შიდა სივრცის ბირთვი, ჩვეულებისამებრ, მკლავების გადაკვეთის ადგილზე შექმნილი კვადრატია. აღმ. მკლავი დასრულებულია შვერილი აფსიდით, რ-ის კონტური ხუთწახნაგოვანია. დანარჩენი მკლავები სწორკუთხაა. აღმ. და დას. მკლავი სამხრ. და ჩრდ. მკლავებთან შედარებით, ოდნავ უფრო ღრმაა. რის გამოც შენობის გრძივი ღერძი მცირედ ჭარბობს განივ ღერძს.

საკურთხეველი აღმ. მკლავისგან და აფსიდისგან შედგება. აფსიდი მკლავის გვერდითი კედლებიდან მხრებით არის გამოჯნული, რ-ებსაც ნახევარწრიული თაღი ეყრდნობა. საკურთხეველი განათებულია სამი ფართო სარკმლით. მათგან ორი – აფსიდის გვერდებშია გაჭრილი. მესამე – აღმ. მკლავის ჩრდ. კედელში. მსგავსი თითო სარკმელი დას. მკლავის სამხრ. და ჩრდ. კედლებშიცაა. ამ სარკმლების გარდა, სამი სარკმელია სამხრ. მკლავის სამხრ. კედელში. ეს უკანასკნელები, დანარჩენ სარკმლებთან შედარებით, გაცილებით ვიწროა და მაღალი. მათგან განაპირა სარკმლები ერთ დონეზე მდებარეობს, შუა კი, მათ მიმართ, რამდენადმე ზემოთ არის მოთავსებული. ყველა სარკმელი ნახევარწრიულთაღოვანია.

გუმბათის ყელის საყრდენ სისტემას ქმნის ნახევარწრიული ფორმის, ოთხი საბჯენი თაღი, რ-ებიც გუმბათქვეშა კვადრატის ოთხსავე კუთხეში გამოყვანილ, მარტივ პილასტრებზეა გადაყვანილი. ნახევარწრიული ფორმისაა მკლავების კამარებიც. გუმბათის ყელის თითოეულ წახნაგში სამ-სამი ფართო, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელია გაჭრილი. ყელი შიგნიდან შეკრული კამარითაა გადახურული.

შენობა გარედან სქემატურ შთაბეჭდილებას ტოვებს. პირველი, რაც თვალში ხვდება მნახველს, მოდერნის სტილისათვის დამახასიათებელი არქიტ. ფორმები და ელემენტებია,

015. ხედი ჩრდ.-დას-იდან



რ-ებიც მანამდე სრულიად უცხო იყო ქართულ საეკლ. ხუროთმოძღვრებაში. გაფორმების სისტემით და მორთულობის ელემენტებით, ეკლესიის ფასადები ერთმანეთის მსგავსია. თითოეული მათგანი, არსებითად, ერთსა და იმავე სქემას იმეორებს. აღმ. ფასადის სტრუქტურაში დამატებით ელემენტს საკურთხევლის წახნაგოვანი შვერილი ქმნის, რ-საც დამოუკიდებელი, წახნაგოვანივე სახურავი ხურავს.

ფასადებზე მკლავების კედლის ზედაპირი ერთიანად ჩაღრმავებულია. მხოლოდ განიერი ბორტებია კონტურის გაყოლებით დატოვებული. არეების გარდა, ფასადები დამუშავებულია მცირე ზომის, ჩაღრმავებული (ზოგ შემთხვევაში ორი საფეხურით) ნახევარწრეებით, კვადრატებით, სწორკუთხედებით, სამკუთხედებით, რ-თა კომბინაციით კედლების ზედაპირზე სხვადასხვა სახის ნახატი იქმნება. მკლავები სამკუთხა ფრონტონით კი არ არის დასრულებული, როგორც ეს გუმბათოვან ეკლესიას ახასიათებს, არამედ – ნახევარწრიულით. მსგავსი ფორმისაა თავად მკლავების გადახურვაც. განსხვავებულია კარიბჭეების სახურავისა და მათი ფრონტონის ფორმა – მათ წვერი აშვერილი აქვს.

გუმბათის ყელი კოშკივით მაღალია. გუმბათის ყელის ოთხივე წახნაგი სამკბილა (სამყურა) თაღითაა დასრულებული. გუმბათი აქ ხაზგასმულად საზეიმო ნაწილია. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს გუმბათის ყელში განლაგებული სარკმლების სიმრავლე და, რაც მთავარია, მათი პროპორციები. ოთხივე წახნაგზე სამ-სამი ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელია, რ-იც საფეხურით შელრმავებულ არეშია ჩასმული.

გუმბათის ყელი გადახურულია ქართ. საეკლ. ნაგებობებისათვის უჩვეულო კონსტრუქციის კარვისებრი სახურავით, რ-ის კალთების ძირის დონეზე, ოთხივე კუთხეში, აღმართულია დაახლ. 1,5 *მ* სიმაღლის, ზემოთკენ ოდნავ შევიწროებული (სწორხაზოვნად), დეკორატ. კოშკურა.

ეკლესიის აღმ. და სამხრ. მკლავებს შორის მოთავსებულია გეგმით სწორკუთხა, სამსართულიანი სამრეკლო, რ-საც შესასვლელი აღმ-იდან აქვს. შესასვლელის წინ, სამ მხარეს, ნახევარწრიული თაღებით გახსნილი კარიბჭეა. თაღების საყრდენად, კარიბჭის ბაქნის აღმ. ორივე კუთხეში, მრგვალი სვეტია აგებული. სამრეკლოს მესამე სართული ოთხივე მხარეს ორ-ორი თაღით არის გახსნილი, რ-ებიც მრგვალ სვეტებს ეყრდნობა. მსგავსი სტრუქტურისაა ეკლესიის დას. შესასვლელის წინ მოწყობილი კარიბჭეც.

მხატვრული თვალსაზრისით, შენობა უინტერესოა, ისტ. თვალსაზრისით კი – საინტერესო და მნიშვნელოვანი.

ეკლ. ამოქმედდა 1997 წელს. 2015 წელს მას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. ამ დროს შენობა შიგნიდან შელესეს, გარედან – შეათეთრეს და თუნუქით გადახურეს. 2017 წელს ძვ. აგურის კანკელის ნაცვლად, ახ. კანკელი ააგეს.

თ. დვალი.

ᲕᲔᲠᲮᲕᲘᲡᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘ
(გიორგეთის თემი)

016. ნაეკლესიარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფელში. ნაეკლესიარზე აღგილ. მოსახლეობის მიერ აგებულია ნიში.

ბ. კუპრეიშვილი.

ᲖᲔᲛᲝ ᲑᲝᲚᲥᲕᲘ
(არეშფერანის თემი)

017. მიქელ-გაბრიელის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სასაფლაოზე. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია. ნაგებია ნატეხი ქვითა და კირის დუღაბით. დანგრეულია: კედლები მცირე სიმაღლეზეა შემორჩენილი. ინტერიერში მცენარეებია ამოსული. აღმ-ით ღრმა, ნახევარწრიული აფსიდია, რ-იც დარბაზისაგან მხრებითაა გამოყოფილი.

ბ. კუპრეიშვილი.

018. ნაეკლესიარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით. თიოქმის მთლიანადაა დანგრეული. ნაეკლესიარზე ხეებია ამოსული. ეკლ. დარბაზული ყოფილა, სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და კირის დუღაბით ნაგები.

ბ. კუპრეიშვილი.


019. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით, ტყის პირას. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია. ნაგებია ნატეხი ქვითა და კირის დუღაბით. დანგრეულია. კედლები შემორჩენილია დაახლ. 1 *მ*-ის სიმაღლეზე. ინტერიერში ამოსულია მცენარეები. შესასვლელი დას-იდან ყოფილა. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-იც დარბაზისაგან მხრებითაა გამოყოფილი.

ბ. კუპრეიშვილი.

ᲖᲔᲛᲝ ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲐᲜᲘ
(ნინიგორის თემი)

020. ციხე-სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ. დას-ით, დაახლ. 1 *კმ*-ზე, თელას ქედის აღმ. კალთის ძირში. ტყეში. სავარაუდოდ, განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.



020. სქემატური გეგმა

შენობა ნაგებია მოზრდილი ზომის ნატეხი ქვითა და კირის დუღაბით. წყობა მეტ-ნაკლებად წესიერია. გეგმით სწორკუთხა ნაგებობა აღმ.-დას-ის მიმართულებით არის წაგრძელებული (27x14 მ). შედგება სხვადასხვა ფართობის ორი ნაწილისგან. მათ შორის აღმოთ მდებარე, თითქმის სამჯერ აღემატება დას-ით მდებარეს. გარედან, აღმ. სათავსის აღმ. კედელში დიდი ზომის ნიშა-სამალავია მოწყობილი.




020. ექსტერიერი. ჩრდ. კედელი. დეტალი

ძ. ძლიერ დაზიანებულია: თითქმის მთლიანად არის დანგრეული დას. და სამხრ. კედლები. შემორჩენილი კედლები კი 3-4 მ სიმაღლეზეღა დგას. შენობის გარშემო გაუვალი ეკალ-ბარდებია ამოსული.

ქ. დიღმელაშვილი.

021. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით, 2 კმ-ზე, ტყეში. განეკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (9,4x6,4 მ), აფსიდიანი. მოგვიანებით (სავარაუდოდ XVI საუკუნის II ნახევარში) ეკლ. აღუდგენიათ. ამ დროს მისთვის დას-იდან მიუშენებიათ გეგმით კვადრ.



021. გეგმა

სამრეკლო, სამხრ-იდან კი, მთელ სიგრძეზე, სწორკუთხა (სიგ. – 3,1 მ) სათავსი.

ეკლ. ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით, ნატეხი ქვითა და კირის დუღაბით. მოგვიანებით აღდგენილ ნაწილებში გამოყენებულია „ქართული“ აგური.

ძ. ძლიერ დაზიანებულია: ეკლესიის კედლებიდან, მნიშვნ. დანაკარგების გარეშე, მხოლოდ ჩრდ. კედელი და სამხრ.-დას. კუთხეღაა შემორჩენილი. თითქმის მთლიანად არის დანგრეული აღმ. და სამხრ. კედლები. დანგრეულია სამრეკლოს ზედა ნაწილიც. დაზიანებულია სამხრ. მინაშენის კედლები. ეკლესიის და მინაშენის ინტერიერი, დაახლ. 1 მ სიმაღლეზე, მიწით და ქვებითაა ამოვსებული.



021. ხედი სამხრ-იდან

ეკლესიას შესასვლელი დას-იდან ჰქონია. დარბაზი მოკლეა იმდენად, რომ მისი განივი ღერძი დაახლ. 1,2 მ-ით ჭარბობს გრძივ ღერძს.

შიგნით ეკლ. გადახურული იყო აგურით ნაწყობი, ცილინდრული კამარით, რ-იც ეყრდნობოდა აგურითვე ნაწყობ, საბჯენ თაღს. თავად თაღი კი – ქვის კრონშტაინს (შემორჩენილია კამარის ჩრდ. გვერდის ნაწილი – საბჯენი თაღითურთ). კამარის მცირე ნაწილი შემორჩენილია სამხრ.-დას. კუთხეშიც.

სამხრ. მინაშენი ეკლესიასთან წყობით არ არის დაკავშირებული. საშენი მასალა და წყობის ხასიათი ეკლესიის მსგავსია, თუმცა, ალაგ-ალაგ (მეტწილად აღმ. ფასადის წყობაში), ლოდებია გამოყენებული. შიგნიდან, მინაშენის სამხრ. კედელში, შემორჩენილია თაღის აღმ. გვერდის მნიშვნელოვანი, ნატეხი ქვით ნაწყობი ნაწილი. მოგვიანებით, თაღის არეში კედელი ჩაუშენებიათ, რ-შიც პატარა, თაღოვანი სარკმელი დაუტანებიათ. თაღოვანი სარკმელი მინაშენის აღმ. კედელშიცაა გაჭრილი. სამხრ. კედლის აღმ. კიდეში კი – საშ. ზომის ნიშაა მოწყობილი. თუ როგორ უკავშირდებოდა მინაშენი ეკლესიას, გათხრა-გასუფთავების გარეშე, არ დგინდება.



021. ხედი სამხრ.-დას-იდან

სამრეკლო ეკლესიაზე ვიწროა. იგი ეკლესიის დას. კედლის ჩრდ. ნაწილზე არის

მიშენებული ისე, რომ მისი ჩრდ. მხარე ეკლესიის შესაბამის კედელთან ერთ ხაზზეა. სამრეკლოს პირველი სართული, სამივე მხარეს, თაღებით იყო გახსნილი



021. სამრეკლო. ხედი სამხრ-იდან


და ეკლესიის კარიბჭის დანიშნულებას ასრულებდა. თავად თაღები აგურითა და ნატეხი ქვით ნაგებ ბოძებს ეყრდნობოდა, რ-თაგანაც მხოლოდ სამია შემორჩენილი. თუმცა ისინიც გადაქცევის პირასაა მისული.

ეკლესიის კედლები დასრულებული იყო ნატეხი ქვით ნაწყობი, ორსაფეხურიანი ლავგარდნით (ოთხიოდე მის სიგრძის მონაკვეთი ჩრდ. კედელს შემორჩა). ეკლ. გადახურული იყო ბრტყელი და ღარისებრი კრამიტის კონბინირებული წყობით.

ქ. დიღმელაშვილი.

ზემო მსხალგორი
(ბაისუბნის თემი)

022. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით, 2 კმ-ზე, მსხალგორის ქედის სამხრ. კალთაზე. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.



022. გეგმა

ეკლ. დარბაზულია (მიახლ. ზომები: სიგრ. – 10 მ, სიგ. – 6 მ). თითქმის მთლიანად დანგრეულია: კედლების მცირე ნაწილი მიწიდან 1-1,5 მ სიმაღლეზეა შემორჩენილი, დიდი ნაწილი კი მიწით და მცენარეულობით იმდენად არის დაფარული, რომ გათხრა-გასუფთავების გარეშე ეკლესიის გეგმის დადგენა მხოლოდ ნაწილობრივ ხერხდება. შენობის შემორჩენილი კედლები რიყისა და ნატეხი ქვით კირის დუღაბზეა ნაგები.

აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ისგანაც ორივე გვერდის ნაწილია შემორჩენილი. აფსიდის სამხრ. გვერდში, კუთხესთან ახლოს, მაღალი, თავმორღვეული ნიშის ნაშთია.

ეკლ. გადახურული ყოფილა ღარისებრი კრამიტით (შემორჩენილია კრამიტის როგორც მთელი ნიმუშები, ისე ფრაგმენტებიც).



022. აფსიდი. სამხრ. ნიშა

ეკლესიის სამხრ. კედლის წინ, დაახლ. 2 მ-ის მანძილზე, შემორჩენილია მცირე ზომის, შიგნიდან კირით შელესილი რეზერვუარის ნაშთი.

თ. დვალი.

023. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით, ხუთიოდე კმ-ზე, ნამოსახლარების ჩრდ.-დას-ით, მთის თხემზე. თარიღდება შუა საუკუნეებით.

კოშკი სასიგნალოა, გეგმით სწორკუთხა, აკონტროლებდა ნამოსახლარის ტერიტორიას. ნაგებია ნატეხი ქვითა და რიყის ქვით. დაზიანებულია: შემორჩენილია ორი სართულის სიმაღლეზე. პირველი სართული ნაშალი ქვითაა ამოვსებული. მეორე სართულის აღმ. და ჩრდ. კედლებში მცირე ზომის ნიშებია მოწყობილი. გარედან, ნაგებობის აღმ. კედლის ძირში კირხსნარით ნაგები რეზერვუარია (დიამ – 1 მ) მოწყობილი.

ქ. დიღმელაშვილი, გ. მისრიაშვილი.

024. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, 4 კმ-ზე, წმ. გიორგის ეკლესიის კომპლექსისკენ მიმავალ გზაზე. თარიღდება განვით. შუა საუკუნეებით. 2015-2016 წლებში შეისწავლა საქართ. კულტ. მემკვიდრეობის დაცვის ეროვნ. სააგენტოს ექსპედიციამ (ხელმძღ. ქ. დიღმელაშვილი).

ნამოსახლარზე (ფართ. დაახლ. 600 კვ მ) დადასტურდა ნატეხი ქვის მშრალი წყობით ნაგები კედლების ნანგრევები და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობების ნაშთები (მ. შ. მარნის). აღმოჩნდა ერთმანეთისგან 2-2 მ-ით დაშორებული, სამი დიდი ზომის, ყავისფერკეციანი ქვევრი. მათი ზედაპირი ტალღური, ამოღარული ორნამენტითაა შემკული.


ქ. დიღმელაშვილი.

025. წმ. გიორგის ეკლესიის კომპლექსი, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, დაახლ. 5 კმ-ზე, ტყიან გორაზე. კომპლექსში შედის: ორნავიანი ეკლ., წმ. გიორგის ეკლ., ორგანყოფილებიანი საწნახელი და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობების ნაშთები. თარიღდება VI-XIV საუკუნეებით.

2015-2018 წლებში ძეგლზე არქეოლ. გათხრები ჩაატარა საქართვ. კულტ. მემკვიდრეობის დაცვის ეროვნ. სააგენტოს ექსპედიციამ (ხელმძღ. ქ. დიღმელაშვილი).

კომპლექსის უძველესი ნაგებობაა ორნავიანი ეკლ., რ-იც VI-VII საუკუნეებით თარიღდება. X საუკუნეში ეკლ. განუახლებიათ, რაც შენობის სამხრ. კედელში ჩადგმული, ხუცური დამ-

წერლობით შესრულებული წარწერითაც დასტურდება. ამ დროს ეკლესიისათვის დას-იდან მიუშენებიათ სწორკუთხა სათავსი, აღმ-იდან კი – საწნახელი. მალევე ეკლესიაზე მცირე სარემონტო სამუშაოები განუხორციელებიათ. ამ დროისთვის უნდა იყოს აშენებული ორნავიანი ეკლესიის ჩრდ.-დასით მდგარი დიდი, დარბაზული ეკლ., და ორგანყოფილებიანი საწნახელი, რ-იც ორნავიანი ეკლესიის ჩრდ.-აღმ-ით, რამდენიმე მ-ის მანძილზე მდებარეობს.



025. ორნავიანი ეკლ. გეგმა

ორნავიანი ეკლესია (აღმოჩნდა 2016-2018 წლებში) მდებარეობს კომპლექსის სამხრ.-აღმ. ნაწილში. დანგრეულია. შემორჩენილი კედლების საშ. სიმ. 1-1,2 მ-ია. კედლები რიყისა და ნატეხი ქვითაა ნაგები,. წყობაში რიგების სწორხაზოვნებაა დაცული. შიგნიდან კედლები კირის წმინდა ხსნარით არის შელესილი.

ეკლესიის გეგმის სწორკუთხედში (14,3x12,0 მ) ჩაწერილია ერთმანეთთან თაღებით დაკავშირებული ორი ნავი, ეგვტერი და დას. მინაშენი. ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: დას-იდან და სამხრ-იდან. მთავარი ნავი აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-იც ნავის გრძივი კედლებიდან ერთსაფეხურიანი მხრებითაა გამოყოფილი. მოგვიანებით საკურთხეველი მნიშვნელოვნად გაუფართოებიათ. ამ დროს იგი აფსიდის მხრების ხაზიდან. დაახლ. 1,8 მ-ით, წინ წამოუწევიათ, ნავის იატაკის მიმართ ოთხმოციოდე სმ-ით აუმაღლებიათ და წინიდან საყრდენი კედლით გაუმაგრებიათ. კედელი შუაში გახსნილია და საკურთხეველზე ასასვლელი საფეხურებია გაკეთებული. ამავე დროს საკურთხეველი, ნავის დანარჩენი ნაწილისგან, ოთხკუთხა და მრგვალი აგურებით ნაგები კანკელით გაუმიჯნავთ, რ-ის ნაშთები საყრდენი კედლის ჩრდ. ნაწილზეა შემორჩენილი. საკურთხევლის იატაკი კირითაა მოლესილი. საკურთხეველში დგას ქვით ნაგები, კუბური ფორმის ტრაპეზი (შემორჩენილია სამოციოდე სმ-ის სიმაღლეზე). საკურთხევლის ბაქნის საყრდენი კედლის წინ, მთელ სიგრძეზე, მოწყობილია დაბალი ხარისხი, რ-ზეც (ჩრდ. კიდეში) მრგვალი აგურებით ნაგები ბოძი დგას. ბოძის მარცხნივ, ჩრდ. ნავთან დამაკავშირებელი თაღის არეში, დგას ოთხწახნაგა, სუფთად



025. ორნავიანი ეკლ. ინტერიერი. მთავარი ნავი. ხედი აღმ-კენ

შელესილი, დაახლ. 1 მ სიმაღლის ნაგებობა, რ-იც სავარაუდოდ სამკვეთლოდ გამოიყენებოდა. დარბაზის შუაში, აღსავლის კარის პირდაპირ, ნატეხი ქვით ნაგები, კარგად

შელესილი, მრგვალი ბოძია, რ-ზეც ჯვარი იყო აღმართული.

ნავის დას. კედლის გასწვრივ, მთელ სიგრძეზე, საფეხურია გაკეთებული.



025. ორნავიანი ეკლ. სამხრ. კედელი. წარწერის ფრაგმენტი.

მთავარი ნავი ჩრდ. ნავთან დაკავშირებული იყო ორი თაღით, რ-ებიც მათ შორის არსებულ მასიურ, სწორკუთხა ბოძს ეყრდნობოდა.

ჩრდ. ნავის აღმ. ბოლოში განცალკევებული, გეგმით სწორკუთხა სათავსი – სამკვეთლოა, რ-იც ნავის დანარ-



025. ორნავიანი ეკლ. ეგვტერი. ხედი აღმ-იდან

ჩენ ნაწილს მათ გამმიჯნავ კედელში მოწყობილი კარით უკავშირდებოდა. სამკვეთლოს აღმ. კედლის ძირში საფეხურით შემაღლებული ბაქანია, რ-ის შუაში აგურით ამოყვანილი, კედელზე მიყრდნობილი ტრაპეზი დგას. მსგავსი ბაქანი ნავის დას. ბოლოშიცაა. ეს უკანასკნელი მთავარი ნავის დას. კედლის გასწვრივ არსებულ საფეხურს ებმის.

ეგვტერი აღმ.-ით ნახევარწრიული აფსიდითაა დასრულებული, სამხრ-ით კი, სავარაუდოდ, ორმალიანი თაღედით იყო გახსნილი. ეგვტერის აღმ. ნაწილში, აფსიდის წინ, გამართული იყო ქვის აკლდამა, რ-შიც მამაკაცი იყო დაკრძალული.

დას. მინაშენი (ბოლომდე არ არის გათხრილი), როგორც ჩანს, ეკლესიას მთელ სიგანეზე გასდევდა და დას-ით სამმალიანი თაღით იყო გახსნილი.

ეკლ. დაბურული იყო ბრტყელი და ღარისებრი კრამიტის კომბინირებული წყობით.

ეკლესიის აღმ. კედლის ძირში, გარედან, თითქმის მთელ სიგრძეზე აგებულია საწნახელი (სიგ. – დაახლ. 0,8 მ-ია), რ-იც თანაბარი სიგრძის, ერთმანეთისგან კედლით გამი-



025. ორნავიანი ეკლ. საწნახლის ჩრდ. ნავი

ჯნული, ნავისებრი ორი ნაწილისგან შედგება. ორივე ნაწილის წინ ქვაფენილია. ჩრდ.-ით მდებარე ნაწილის ბოლოში, ეკლესიის ჩრდ.-აღმ. კუთხესთან, მიწის ბაქანია. ორივე ნაწილის შიგნითა კედლები შელესილია და ფსკერზე გამოყვანილი, სადინარი ღარისკენ არის დაქანებული.

ეკლესიის მცირე სარემონტო სამუშაოების დროს, რ-ის დროსაც საკურთხევლისა და ეგვტერის იატაკი კირის თხელი ფენით გადაულესავთ, საწნახლის სამხრ. ნაწილის სადინარი ხვრელი ამოულესავთ და ეს ნაწილი გაუუქმებიათ, ჩრდ. ნაწილი კი ხელახლა შეულესავთ.

არქეოლ. მასალაზე დაყრდნობით, ირკვევა, რომ ეკლ. XI საუკუნეში დანგრეულა და იგი აღარ აღუდგენიათ.


წმ. გიორგის ეკლესია. მდებარეობს კომპლექსის ჩრდ.-დას. ნაწილში. თარიღდება X-XI საუკუნეების მიჯნით.

ეკლ. დარბაზულია (13,54x8,17 მ). სამხრ-იდან და ჩრდ-იდან მას გვიანდ., გეგმით სწორკუთხა მინაშენები ეკვრის. მათგან სამხრ-ით მდებარე (სიგ. – 3,65 მ) ეკლესიაზე ოდნავ გრძელია. მისი დას. კედელი ეკლესიის დას. კედლის ხაზზეა, აღმ. კედელი კი, ეკლესიის შესაბამისი კედლიდან, დაახლ. 1,3 მ-ით, წინაა წაწეული. ჩრდ. მინაშენი (7,1x3,5 მ) კი ეკლესიაზე დაახლ. ორჯერ უფრო მოკლეა. იგი ეკლესიის ჩრდ. კედლის აღმ. ნახევარზე ისეა მიდგმული, რომ მინაშენისა და ეკლესიის აღმ. ფასადები ერთ სიბრტყეში მდებარეობს.

საშენი მასალა ორგვარია: ნატეხი და მოზრდილი ზომის რიყის ქვა. აქა-იქ გამოყენებულია ლოდებიც. წყობა მეტ-ნაკლებად წესიერია. კედლების ზედაპირი შიგნიდან და გარედან გასწორებულია ბათქაშით.

ძ. ძლიერ დაზიანებულია: თითქმის მთლიანად არის დანგრეული სამხრ. მინაშენი. ეკ-

025. წმ. გიორგის ეკლ. გეგმა



ლესიისა და ჩრდ. მინაშენის შემორჩენილი კედლების მაქს. სიმ. 2,8-3,5 მ-ია. ეკლესიის აღმ., სამხრ და დას. კედლები ერთსაფეხურიან ცოკოლზეა ამოყვანილი, ჩრდ. კედელი კი მიწაშია შეჭრილი.

ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს: დას-იდან (მოგვიანებით ამოუშენებიათ), სამხრიდან და ჩრდ-იდან. ბოლო ორ კარს გადახურვა ჩამონგრეული აქვს.

აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-საც მთელ სიგრძეზე, ორსაფეხურიანი ჩამოსაჯდომი შემოუყვება. აფსიდის იატაკი დარბაზის იატაკის მიმართ ორი საფეხურით არის შემაღლებული. აფსიდში დგას სხვადასხვა ზომის ნატეხი ქვით ნაგები, კუბური ფორმის ტრაპეზი, რ-საც უკანა მხარეს პატარა სანაწილე აქვს.

ეკლესიის გრძივი კედლების შუაში და დას. კუთხეებში თხელი, ერთსაფეხურიანი პილასტრებია, რ-ზეც კამარის საბჯენი თაღები იყო გადაყვანილი. მოგვიანებით, კონსტრ. სიმყარისთვის (კამარის გამაგრების მიზნით?), გრძივ კედლებზე მეორე – კედლის შუაში, მესამე კი – კედლის დას. ნახევარში. დარბაზის სამივე კედელს ორმოციოდე *სმ* სიმაღლის საფეხური გასდევს.

ეკლესიის იატაკი მოლესილია კირით.

სამხრ. მინაშენს შესასვლელი დას-იდან (მოგვიანებით ამოუშენებიათ) და სამხრიდან ჰქონია. აღმ-ით იგი ნახევარწრიული აფსიდითაა დასრულებული. მინაშენის კამარა დაყრდნობილი იყო ეკლესიის სამხრ. კედელზე მიშენებულ თაღედზე, რ-ისგანაც თაღების საყრდენი სამი ბოძის ნაშთიღაა შემორჩენილი.

ჩრდ. მინაშენში შესასვლელი ეკლესიის ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილშია მოწყობილი. მინაშენი უაფსიდოა,აღმ-ით დასრულებულია სწორი კედლით, რ-შიც ვიწრო, სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. მსგავსი სარკმელია ჩრდ. კედლის დას. ნაწილშიც. ისევე როგორც სამხრ. მინაშენში, ჩრდ. მინაშენის კამარაც ეკლესიის შესაბამის კედელზე მიშენებულ თაღედს ეყრდნობოდა. მინაშენის აღმ. ნაწილში გამართულია ქვის სამარხი, რ-შიც დამარხული იყო ზრდასრული მამაკაცი.



025. წმ. გიორგის ეკლ. ინტერიერი. ხედი აღმ-კენ


მიუდგამთ აგურითა და ნატეხი ქვით ნაშენი, მასიური, ოთხწახნაგა სამ-სამი ბურჯი. მათგან ერთი კედლის აღმ. კიდეშია,

ეკლ. და მინაშენებიც გადახურული ყოფილა ბრტყელი და ღარისებრი კრამიტით.



025. წმ. გიორგის ეკლ. ინტერიერი. ხედი დას-კენ.

2016 წელს, ეკლესიის სამხრ. მინაშენის აღმ. კედლის ძირში, გაითხარა ერთი მეორის ზემოთ გამართული, ორი უინვენტარო სამარხი. მათგან ზედა, აგურით ნაგები, ბავშვის სამარხია. მეორე, ნატეხი ქვით ნაგებ სამარხში, გულაღმა ესვენა თავით დას-ით მიმართული, ზრდასრული მამაკაცი.



025. წმ. გიორგის ეკლ. ჩრდ. მინაშენი. ინტერიერი. ხედი აღმ-კენ

კომპლექსის აღმ. ნაწილში, ორგანყოფილებიანი საწნახელია, რ-იც სამხრ.-ჩრდ-ის მიმართულებით არის წაგრძელებული (სიგრ. – 5,55 მ, სიგ. – 2,87 მ, სიმ. – 1 მ). ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. წყობაში ალაგ-ალაგ, აგურის და კრამიტის ფრაგმენტებიცაა ჩართული. ნაგებობის კედლები ისეა გამოყვანილი, რომ მათი ზედაპირი გარედან შეეულია,



025. ორგანყოფილებიანი საწნახელი

ხოლო შიგნით ცენტრისკენ არის დახრილი. შიგნით კედლები კირის წმინდა ხსნარით იყო შელესილი.


დარბაზული ეკლესიის ჩრდ-ით გამოვლინდა ნატეხი ქვის მშრალი წყობით ნაგები კედლების ნაშთები და სხვადასხვა ზომის რამდენიმე ქვევრი. სავარაუდოდ აქ ღია მარანი უნდა ყოფილიყო გამართული. აღნიშნული ნაგებობების ჩრდ-ით კიდევ სხვა ნაგებობების კედლების ნაშთებია შემორჩენილი, რ-თა დანიშნულების გარკვევა გათხრა-გასუფთავების გარეშე შეუძლებელია.

მოპოვებულ არქეოლ. მასალაზე დაყრდნობით, ეკლ. და დანარჩენი ნაგებობები აგებიდან მალევე, XIV საუკუნემდე უნდა იყოს დანგრეული.

ეკლესიის აღმ-ით მისივე თანადროული სამაროვანია.

ქ. დიღმელაშვილი, გ. მისრიაშვილი.

026. წმ. ნინოს ეკლესია, ლაკოს ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-დას-ით, 3 კმ-ზე, მდ. კაბლის



026. გეგმა

მარცხ. ნაპირზე, მსხალგორის ქედის დას. ფერდის ძირში, ნატრუსად წოდებულ ადგილზე. განეკუთვნება განვით. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (11,5x6,95 მ). ნაგებია ნატეხი ქვითა და



026. ხედი დას-იდან



026. ინტერიერი. ხედი ჩრდ.-აღმ-კენ



026. ინტერიერი. აფსიდი. სამხრ. ნიშა

კირის დუღაბით. წყობა ირეგულარულია. დაზიანებულია: ჩამონგრეულია გადახურვა, მონგრეულია კედლების ზედა ნაწილები, შემორჩენილ კედლებს ბზარები დაუყვება.

შესასვლელი დას-იდან,სამხრ-იდან და ჩრდ-იდანაა. შემორჩენილი კვალის მიხედვით, დას. და სამხრ. შესასვლელები გარედან თარაზულად ყოფილა გადახურული, შიგნიდან კი – ნახევარწრიული თაღით. ჩრდ. შესასვლელი ორივე მხრიდან თაღოვანია.

აღმ-ით ნახევარწრიულ აფსიდია, რ-იც დარბაზიდან ფართო მხრებითაა გამოყოფილი. აფსიდის ღერძზე განიერი, გარეთკენ მკვეთრად შევიწროებული, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. მსგავსი თითო სარკმელი დას. და სამხრ. კედლებშიცაა. აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, მოწყობილია გეგმით ნახევარწრიული, კონქით დასრულებული, თითო მაღალი ნიშა. ნიშები იატაკიდან იწყება და თითქმის კონქის დონემდე აღწევს. კონქში, საკურთხევლის სარკმლის ასწვრივ, თიხის ჭურჭლის ნაწილია შემორჩენილი, რ-იც რეზონატორად გამოიყენებოდა. აფსიდის ჩრდ. კუთხეს მთლიანი ქვის პროფილირებული (თარო და შეზნექილი ზედაპირი) კაპიტელი შემორჩა, რ-ზეც კონქის თაღი იყო დაყრდნობილი.

დარბაზის გრძივი კედლები სადაა. შიგნით ეკლ. გაფახურული იყო გრძივ კედლებზე დაყრდნობილი კამარით.

ქ. დოლმელაშვილი.

ბიბლ.: 235.

ზემო ხეჩილი
(ფონის თემი)


027. მზეთა მარიამი, ც ი ხ ე, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, ტყეში. გაუკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ნაგებია უხეშად დამუშავებული ქვით და კირის დუღაბით. ძლიერ დაზიანებულია: მიწის პირამდეა დანგრეული სამხრ. კედლის დიდი ნაწილი. დანარჩენი კედლები შემორჩენილია ფრაგმენტულად. შესასვლელი ჩრდ-იდან ყოფილა. აღმ. კედლის ჩრდ. ნაწილში მძლავრი, ნახევარწრიული კონტრფორსია.

ბ. კუპრეიშვილი.


თელა
(ცოდნისკარის თემი)

028. აკლდამა, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით,მთის კალთაზე. სავარაუდოდ თარიღდება შუა საუკუნეებით.



028. გეგმა

ნაგებობა (შიდა ზომები: სიგრ. – 4 *მ*, სიგ. – 1,85 *მ*) მიწაშია ჩადგმული და დამხრობილია აღმ.-დას-ის მიმართულე-



028. ინტერიერი. დეტალი

ბით. ნაგებია ნატეხი ქვითა და კირის დუღაბით. ალაგ-ალაგ გამოყენებულია შირიმიც.

აკლდამის დას. კედელში მოზრდილი ქვით, თარაზულად გადახურული ღიობია, რ-საც ძირი საფეხურებად აქვს დამუშავებული. ჩრდ. კედლის აღმ. კიდეში მოწყობილია სწორკუთხა ნიშა.

აკლდამა გადახურული იყო კამარით, რ-ის ნაწილიღაა შემორჩენილი. ინტერიერი თითქმის მთლიანად მიწითაა ამოვსებული.

ქ. დიღმელაშვილი.

029. ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-ით, 2 კმ-ზე, მთავარანგელოზთა ეკლესიის სამხრ.-აღმ-ით, ასიოდე მ-ში. სავარაუდოდ განეკუთვნება გარდამავალ ხანას.

ეკლ. დარბაზულია (4,7x3,5 მ), აფსიდიანი. ნაგებია მოწითალო ფერის, სრულიად დაუმუშავებელი, მოზრდილი ზომის, ნატეხი ქვითა და კირის ხსნარით. წყობა ირეგულარულია. გარეთა კუთხეების წყობაში ქვა, ზომისა და ფორმის მიხედვით, მეტ-ნაკლებად შერჩეულია. კედლების ზედაპირი ორივე მხრიდან გასწორებულია წმ. ბათქაშით, რ-იც ქვების ზედაპირის მნიშვნელოვან ნაწილს ფარავს.



029. ხედი დას-იდან

ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია კამარა, მიწის პირამდეა დანგრეული აფსიდის ჩრდ. ნახევარი და ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილი. შემორჩენილ კედლებს ზედა ნაწილები აკლია.

ეკლესიას სამი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან, დას-იდან და ჩრდ-იდან. შემორჩენილი კვალის მიხედვით, დას. და ჩრდ. შესასვლელი გარედან თარაზულად ყოფილა გადახურული, შიგნიდან კი – ნალისებრი თაღით. დას. შესასვლელს თაღის ორივე გვერდი შემორჩა. ჩრდ. შესასვლელს კი – დას. წირთხლი და მასზე დაყრდნობილი თაღის ქუსლის ნაშთი. სამხრ. კარის ორივე წირთხლი მთელ სიმაღლეზე დგას. თუმცა თუ როგორი გადახურვა ჰქონდა არ ჩანს.

საკურთხევლის აფსიდის შემორჩენილი ნაწილი ნალისებრი ფორმისაა. მასში საშ. ზომის, თარაზულად გადახურული ნიშაა მოწყობილი.


ინტერიერი მხოლოდ საკურთხევლის სარკმლით იყო განათებული. როგორც ჩანს, ეკლესიას დას-იდან სარკმელი არ ჰქონია, რასაც მოწმობს შესასვლელის ზემოთ, მთელ სიმაღლეზე გახეთქილი კედლის შემორჩენილი ნაწილის ფორმა.

ეკლესიაში მოწყობილია კამაროვანი სამარხი.

გარედან, ეკლესიის სამხრ. კედლის აღმ. და დას. ბოლოებში შემორჩენილია მასზე მიშენებული გაურკვეველი ნაგებობის ნაშთები, რ-თა მიხედვით საფიქრებელია, რომ სამხრ-იდან ეკლესიას მინაშენი ეკვროდა, რ-საც შესასვლელი დას-იდან ჰქონდა. შემორჩენილია კარის თაღის ჩრდ. ქუსლის ნაწილი, რ-იც ეკლესიის სამხრ.-დას. კუთხის წყობაშია ჩართული.

თ. დვალი.

030. მთავარანგელოზთა ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-ით, 2 კმ-ზე, ლაგოდეხის სახელმწ. ნაკრძალის ტერიტორიაზე, კავკასიონის მთ. ქედის სამხრ. განშტოების –



030. სქემატური გეგმა



030. ხედი ჩრდ.-დას-იდან

თელას ქედის (ადგილ. მოსახლეობა თელამთას უწოდებს) კეხზე.



030. ექსტერიერი. სამკვეთლოს აღმ. კედელი

ქართ. ისტ. დოკუმენტებში დაცული ცნობების მიხედვით, კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს (1574-1605 წწ.) 1579 წელს ბარაუნთას თემში მდებარე, ხატისკარის მონასტერი სვეტიცხოველისთვის შეუწირავს, ხოლო 1598 წლისათვის, დედოფალ თინათინთან ერთად, იგი განუახლებია. რასაც მოწმობს 1983 წელს ეკლესიაში აღმოჩენილი, ასომთავრ. დამწერლობით შესრულებული, სამშენ. წარწერა (დაცულია ლაგოდეხის ისტორიულ მუზეუმში): „წ. ჩუენ, ღმრთივ გვირგვინოსანმან, მეფეთმეფემან ალექსანდრემ და თანამეცხედრე ჩუენმან დედოფალმან თინათინ აღვაშენეთ...ი მეორედ...“. ამის შემდგომ, როგორც ჩანს, იგი მთავარანგელოზთა სახელზე უკურთხებიათ.

ეკლ. სამეკლესიიანი ბაზილიკაა – გარშემოსავლელით დას. მხრიდან. სავარაუდოდ თარიღდება გარდამავალი ხანით.

ძლიერ დაზიანებულია: შემორჩენილია ბაზილიკის ჩრდ. ნავი (გარეთა ზომები: სიგრ. – 9,3 მ, სიგ. – 4,2 მ) და დას. გარშემოსავლელის (სიგ. შიგნიდან – 2,8 მ) ჩრდ. ნაწილი. ბაზილიკის მთავარი ნავის კედლები მიწის პირამდეა დანგრეული, სამხრ. ნავის კედლებიდან კი მხოლოდ ნაშთებია შემორჩენილი. შუა და სამხრ. ნავი დაფარულია ნანგრევებით და მცენარეულობით, რის გამოც, გასუფთავების გარეშე, ეკლესიის გეგმის დადგენა არ ხერხდება. კედლების ნანგრევებს შორის გაირჩევა შუა ნავის საკურთხევლის კონქის და კამარის ფრაგმენტები.

ეკლესიის შემორჩენილი კედლები ნაგებია მოზრდილი ზომის, ნატეხი ქვითა და კირის დუღაბით. წყობაში რიგების სწორხაზოვნების დაცვის გარეშე. ქვებს შორის დარჩენილი არეები როგორც გარედან, ისე შიგნიდან, ბათქაშითაა ამოვსებული, რ-იც არეებთან ერთად, ქვების ზედაპირის ნაწილსაც ფარავს.

ჩრდ. ნავი მთელ სიგრძეზეა შემორჩენილი. განივი კედლით იგი გაყოფილია ორ თითქმის თანაბარი ფართობის ნაწილად. მათ შორის აღმ-ისა სავარაუდოდ სამკვეთლოდ გამოიყენებოდა. ორივე ნაწილი ნახევარცილინდრული ფორმის კამარით არის გადახურული და ერთმანეთს სწორკუთხა კარით უკავშირდება. კარი მათ გამმიჯნავ კედელშია გაჭრილი. აღმ. ნაწილის აღმ. კედელში ვიწრო, გარეთკენ შევიწროებული, სწორკუთხა სარკმელია, რ-ის ქვემოთ კედელზე მიყრდნობილი, ქვითკირის, სწორკუთხა ტრაპეზის ნაშთია შემორჩენილი. სათავსის სამხრ. კედლის აღმ. ბოლოსთან საშ. ზომის ნიშაა. სამკვეთლოს სამხრ. კედლის დას. კიდეში ბაზილიკის მთავარ ნავთან დამაკავშირებელი კარი უნდა ყოფილიყო გაჭრილი. ამჟამად კედლის ეს ნაწილი ნანგრევად არის ქცეული და გასუფთავების გარეშე, კარის ადგილის ზუსტად დადგენა ვერ ხერხდება.



030. ინტერიერი. სამკვეთლო. ხედი დას.-კენ

ჩრდ. ნავის დას. ნაწილი, ისევე როგორც აღმ-ისა, გეგმით სწორკუთხაა. დას. გარშემოსავლელისგან იგი კედლით არის გამიჯნული, რ-შიც გარშემო-

საველესთან დასაკავშირებლად კარია დატანებული. ნავის ამ ნაწილში გამართულია ნატეხი ქვით ნაგები საძვალე.

სამხრ. ნავის შემორჩენილი ნაშთებიდან ჩანს, რომ ჩრდ. ნავის მსგავსად, ეს ნავიც ორ ნაწილად ყოფილა გატიხრული.



030. დას. გარშემოსავლელი. ხედი სამხ.-დას-იდან

ბაზილიკის დას. გარშემოსავლელიდან მხოლოდ ჩრდ. ბოლოა შემორჩენილი, რ-შიც მოწყობილია მცირე ზომის, სამხრ-იდან ჩრდ-ის მიმართულებით ოდნავ წაგრძელებული სათავსი. იგი გარშემოსავლელის დანარჩენი ნაწილისგან კედლით იყო გამიჯნული და მას ამ კედელში მოწყობილი ნახევარწრიულთაღოვანი ღიობით უკავშირდებოდა. სათავსი ცილინდრული კამარით არის გადახურული, რ-ის ჩრდ. კიდეში დატანებული იყო მეორე სართულზე ასასვლელი ხვრელი. მეორე სართულზეც იგივე ზომის, ცილინდრული კამარით გადახურული სათავსია, რ-ის ჩრდ. კედელში, ერთ დონეზე, ორი სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. სათავსის დას. კედლიდან მხოლოდ აღმ., მცირე ნაწილიღაა დარჩენილი, ამიტომ დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომ ეს სათავსი ამ მხრიდან კედლით იყო შემოფარგლული. როგორც ჩანს, გარშემოსავლელის დანარჩენი ნაწილის თავზეც სართული – პატრონიკე იყო მოწყობილი [ისევე როგორც ქართ. ხუროთმოძღვრების ცნობილ ძეგლებში – ზეგაანის ყველაწმინდისა (VI-VI სს.) და კალაურის წმ. იოანე ნათლისმცემლის სამეკლესიიან ბაზილიკებში (VI-VII სს. და IX ს.)].

ბაზილიკის ჩრდ. ნავის ფასადები მთლიანად არის შემორჩენილი. აღმ. ფასადის სამხრ. კიდის კონფიგურაციით დგინდება, რომ ჩრდ. ნავის აღმ. კედელი წყობით უკავშირდებოდა ბაზილიკის შუა ნავის შესაბამის კედელს. ნავის კედლები დასრულებული იყო აგურით ნაწყობი, საფეხუროვანი ლავგარდნით (ავთენტური?). მისი ნაწილი აღმ. ფასადზეა შემორჩენილი.

ბაზილიკის ჩრდ. ფასადი, შენობის მასების განლაგების გამო, აღნაგობით ასიმეტრიულია. ფასადის წინა პლანს შეადგენს მცირედ წაგრძელებული, სწორკუთხა სიბრტყე, რ-იც დას. ბოლოში კოშკისებრად მაღლდება და ორფერდა სახურავის კალთებით არის დასრულებული. კალთების ძირის დონეზე გამოყვანილია ერთსაფეხურიანი, თაროსებრი ლავგარდანი.

ძ. თავისი დამახასიათებელი თვისებებით, ამ ტიპის ნაგებობების ერთ-ერთ საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს.

თ. დვალი, ქ. დიღმელაშვილი.


ბიბლ.: 235.

თორღას (თოღას) **ციხე,** იხ. სოფ. მ ა წ ი მ ი.

კაბალი

(თემის ცენტრი)

031. ძარგასლა, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფელში, მთავარი, საავტ. გზის პირას. სავარაუდოდ თარიღდება XVI-XVII საუკუნეებით.



031. გეგმა

ნაგებობა გეგმით კვადრატულია (27x27 *მ*). ნაგებია რიყის ქვითა და კირის დუღაბით. გარედან, გალავნის (შემორჩენილი კედლების სიმ. 3 *მ*-ს აღწევს) ოთხივე კუთხეში კონუსისებრი ბურჯებია აგებული. თითო მსგავსი ბურჯი გალავნის აღმ., დას. და ჩრდ. კედლების შუა შიცაა. მეოთხე, სამხრ. კედლის შუაში კი ჭიშკარია. იგი




031. ჭიშკარი. ხედი სამხრ.-დას-იდან

შვიდიოდე *მ* სიგრძის მქონე, ორ პარალელურ კედელს შორის არსებულ გასასვლელს (სიგ. დაახლ. 3 *მ*-ია) წარმოადგენს. ორივე კედელი გარედან მომრგვალებულია. კონსტრ. თვალსაზრისით კი (როგორც ჩანს კარების ალათის გასამაგრებლად) კედლებში (მთელ სიგრძეზე), ორ სხვადასხვა დონეზე, ხის ძელები იყო ჩადგმული. შიგნით, ჩრდ.-აღმ. კუთხეში, გაურკვეველი დანიშნულების, გეგმით კვადრ. სათავსის კვალია შემორჩენილი.

თ. დვალი.

032. წმ. ნიკოლოზის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის დას. განაპირას, მცირედ შემაღლებულ ადგილზე. სავარაუდოდ თარიღდება XVI-XVII საუკუნეებით.



032. გეგმა

ძ. მცირე ზომის (4,5x3,4 *მ*), გეგმით ტრაპეციის ფორმის, უაფსიდო სამლოცველოა.

შენობის კედლები ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით კირის სქელ დუღაბზე. ალაგ-ალაგ გამოყენებულია ლოდებიც. წყობაში, აქა-იქ, ჩართულია აგურისა და კრამიტის ნატეხებიც. წყობა ქაოსურია, ტლანქი. კედლების ზედაპირი ორივე მხრიდან გასწორებულია კირის ხსნარით.

შესასვლელი დას-იდანაა. კარის წირთხლები შირიმის



032. ხედი დას-იდან

მოზრდილი ზომის დამუშავებული ქვითაა ნაწყობი. წყობაში გამოყენებულია თითო-ოროლა ნატეხი ქვაც. შესასვლელი, როგორც ეს შემორჩენილი კვალის მიხედვით დგინდება, ორივე მხრიდან თარაზულად იყო გადახურული.



032. ინტერიერი. ხედი აღმ-კენ

აღმ. კედლის ღერძზე, იატაკიდან საკმაოდ მაღლა, დაბალი, თითქმის კვადრ. ფორმის (სიმ. – 46 *სმ*, სიგ. – 20 *სმ*) სარკმელია (გარედან გვერდების დიდი ნაწილი აკლია) გაჭრილი. შიგნით ეკლ. გადახურულია ერთიანი, კვერცხისებრი კამარით, რ-ის სამხრ. გვერდის აღმ. ბოლო ჩამონგრეულია და ეკლესიის შიგნით გროვად არის დაყრილი. განგრეულია თავად ეკლესიის სამხრ.-აღმ. კუთხეც.

ეკლესიის ოთხივე კუთხე გარედან, თითქმის მთელ სიმაღლეზე, მომრგვალებულია. ზედა ნაწილში კი, წყობიდან შვერილი ქვის მუშვეობით, კუთხეს იკეთებს, რაც ეკლესიას ერთგვარ თავისებურებას ანიჭებს.

კედლები დასრულებული იყო აგურით გამოყვანილი ლავგარდნით, რ-იც მხოლოდ აღმ. და დას. ფასადების ჩრდ. ნახევარს და ჩრდ. ფასადს შემორჩა.

ეკლ. დაბურული ყოფილა ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.

კვირიასწყლის ნამოსახლარი, იხ. სოფ. ჭიაური.

ლაკოს ეკლესია, იხ. სოფ. ზემო მსხალგორი, წმ. ნინოს ეკლესია.

ლაკუასტის ციხე, იხ. ქ. ლაგოდეხი.

ლელიანი
(თემის ცენტრი)

033. მრგვალი ტყე, ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. ალაზნის მარცხ. ნაპირზე, შემაღლებულ ადგილას. თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულით და ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრით. ნამოსახლარს 1960 წ. მიაკვლია საქ. სახელმწ. მუზეუმის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. რ. აბრამიშვილი), არქეოლ. დაზვერვების დროს.

ნამოსახლარს გარშემო თავდაცვითი თხრილი ჰქონდა შემოვლებული. ნამოსახლარზე ზედაპირულად აიკრიფა თიხის ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი.

რ. რუსიშვილი.

ბიბლ.: 184.

034. ჭრელი საყდარი, ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-აღმ-ით, ვენახებში, ქალქვად წოდებულ ადგილში. სავარაუდოდ განეკუთვნება XVII საუკუნეს.

ეკლ. დარბაზულია (9,1x5,7 *მ*). ნაგებია რიყის ქვით, აგურით და კირის დუღაბით.



034. ხედი სამხრ.-დას-იდან

შესასვლელი დას-იდანაა. კარი შიგნით და გარედან თარაზულად არის გადახურული.

აღმ-ით ნახევარწრიული, ღრმა აფსიდია, რ-შიც შეისრულთაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშაა. ერთი მსგავსი ნიშა ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილშია. აფსიდი გადახურულია დადაბლებული პროპორციების მქონე კონქით, რ-ის თაღი ოდნავ შეისრული მოყ-

ვანილობისაა და აფსიდის მხრებს ეყრდნობა. მსგავსი ფორმისაა კამარაც.



034. ინტერიერი. ხედი ჩრდ.-აღმ.-კენ

აფსიდის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს დანარჩენ კედლებში გაჭრილი, კიდევ სამი მსგავსი სარკმელი აშუქებს.

ეკლესიის ფასადები სადაა. კედლები დასრულებულია ორსაფეხურიანი ლავგარდნით. მი-



034. დას. ფასადი

სი ქვედა საფეხური აგურის ხერხულა წყობითაა გამოყვანილი, მეორე კი – ჩვეულებრივად დაწყობილი აგურებით. ეკლ. დაბურულია კრამიტით.

ეკლესიას დას-იდან სწორკუთხა (6,3x5,7 მ), სამ მხარეს თითო განიერი ღიობით გახსნილი მინაშენი ჰქონია (კარიბჭე?).



034. დას. ფრონტონი. დეტალი

მინაშენი ამჟამად დანგრეულია. შემორჩენილია ნაწილობრივ.

2007 წელს, საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით, ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქ. მ. გელაშვილი). აღდგა კედლების დაზიანებული ნაწილები და ლავგარდანი, დაკონსევრდა დას. მინაშენის შემორჩენილი ნაშთები, ეკლ. გადაიხურა კრამიტით.


ქ. დიღმელაშვილი.

035. ᲬᲛ. ᲗᲔᲕᲓᲝᲠᲔᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, დაახლ. 1 კმ-ის მანძილზე, სასაფლაოზე. თარიღდება X-XI საუკუნეებით.


მონასტრის ისტორია ვრცელ პერიოდს მოიცავს, ამას ცხადყოფს თავად ტაძრის სამშენ. ფენების სიმრავლე. მონასტერს დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა კახეთის სულიერ ცხოვრებაში, ამის დასტურია ის დიდი ყურადღება, რ-საც მის მიმართ იჩენდა კახეთის მეფე ალექსანდრე II (1574-1605 ᲬᲬ.). მეფის კარზე 1590 წელს მყოფი რუსეთის მეფის ელჩების ანგარიშში ერთ ადგილას ნათქვამია, რომ ალექსანდრე II-ის შეთავაზების თანახმად, ჭიაურიდან შილდაში მიმავალი ელჩები გზად წმ. თევდორეს მონასტერში გაჩერებულან და ეკლესიაც მოუნახულებიათ. სხვა ცნობებთან ერთად, ისინი აღნიშნავდნენ, რომ ეკლ. ქვისაა, დიდი, ძველი.

აკად. გ. ჩუბინაშვილი, რ-მაც ტაძარი გასული საუკუნეების 20-იან წლებში შეისწავლა, მას სამეკლესიიანი ბაზილიკების ერთ-ერთ გვიანდ. ნიმუშად მიიჩნევდა. თუმცა არც იმას გამორიცხავდა, რომ ძ. დარბაზული ეკლესიაა სამხრ. ეგზერით და ჩრდ. მხრიდან მცირე სათავსით, რ-იც სამკვეთლოდ გამოიყენებოდა.

XVI-XVII საუკუნეებში, ალექსანდრე II-ის მეფობის პერიოდში განხორციელებული აღდგენითი სამუშაოების დროს, ტაძარი ძლიერ გადაუკეთებიათ. ამ დროს მოაწყვეს სამხრ. ნავის შუა ნაწილში კარიბჭე, რ-ის თავზე სამრეკლოს ფანჩატურია აღმართული. მკვლევრის აზრით, ტაძრის თავდაპირველი გეგმა



035. გეგმა



035. გეგმა (რეკონსტრუქცია)

შედგებოდა გვერდიგვერდ განლაგებული სამი ეკლესიისგან და დას. ნავისგან, რ-იც ტაძარს მთელ სიგანეზე გასდევდა.

გ. ჩუბინაშვილისავე ცნობით, 1912 წელს, იმხანად დანგრეული ჩრდ. ნავის მხოლოდ აღმ., შემორჩენილი ნაწილი აღუდგენიათ და იგი, სოფელში ახლადჩასახლებული მოსახლეობის სურვილით, ეკლესიად უკურთხებიათ. აღმდგარა ღვთისმსახურებაც.




035. განივი ჭრილი (რესტავრაციამდე). ხედი აღმ-კენ

ეკლ. აგებულია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და კირის დუღაბით. მოგვიანებით განახლებულ ნაწილებში, რიყის ქვასთან ერთად, გამოყენებულია აგურიც.

მთავარი ნავი ვრცელია. აქვს ორი შესასვლელი: სამხრ-იდან და დას-იდან. მესამე კარი (ამოშენებულია) ჩრდ. კედლის აღმ. ბოლოში იყო გაჭრილი, რ-იც ჩრდ. ნავში გადიოდა.

ცენტრ. ნავი აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდითაა დასრულებული (შიდა ზომები საკურთხევლის აფსიდის ჩათვლით: სიგრ. – 18,80 *მ*, სიგ. – 6,50 *მ*), რ-იც დარბაზის გრძივი კედლებიდან საკმაოდ განიერი მხრებით არის გამოყოფილი. აფსიდის ღერძზე შიგნიდან თარაზულად გადახურული, ხოლო გარედან ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს, იატაკიდან სამიოდე *მ*-ის სიმაღლეზე, თითო მაღალი, თაღოვანი ნიშაა მოწყობილი. აფსიდის კედელზე მიყრდნობილია კუბური ფორმის ტრაპეზი. აფსიდი გადახურულია დადაბლებული პროპორციების მქონე, შეისრულთაღიანი კონქით (გვიანდელია). მსგავსი ფორმისაა კამარაც. კამარა კონქის თაღის ზემოთაა. იმდენად მაღლა, რომ კონქის თაღის თავზე დაახლ. 2,7 *მ* სიმაღლის, შვეული კედელი ადის. კამარა, ისევე როგორც კონქი, მოგვიანებით არის აღდგენილი. ალბათ ამავე დროს ნაწილობრივ ამოაშენეს და დაავიწროვეს დას. და სამხრ. კარები. ჩრდ. კარი კი მთლიანად ამოაშენეს. ამავე დროსვეა აგებული კანკელი – ორი კარითა და ხატების დასაბრძანებელი ნიშებით. კანკელი აგურისაა. მის ზედა კიდეს კუთხით შვერილი აგურებით გამოყვანილი ზოლურა გასდევს. მსგავსი ზოლურა კონქის თავზეცაა, შვეული კედლის მაღლა.

ეკლ. ცუდად არის განათებული. საკურთხევლის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს მხოლოდ სამი სარკმელი აშუქებს. მათგან ორი სამხრ-ითაა (გვიანდელია), თავდაპირველი სარკმლების ზემოთ, ერთი კი – დას-ით. ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში კიდევ ერთი სარკმელია. იგი თავდაპირველია, ჩრდ.



035. სამხრ. ფასადი (რესტავრაციამდე)

ნავის სხვენში გადის და ამის გამო თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს.



035. ხედი აღმ-იდან

სამხრ. ნავი მთავარ ნავს მთელ სიგრძეზე გასდევს. თავდაპირველად იგი დამოუკიდებელ ეკლესიას წარმოადგენდა – კონქიანი აფსიდით აღმ-ით და თაღედით (მალების რაოდენობა ვერ დგინდება) სამხრ-ით. ამ თაღედიდან მხოლოდ აღმ-ით მდებარე თაღი და მისი საყრდენი სვეტიღაა შემორჩენილი. მოგვიანებით თაღის არეში კედელი ჩაუშენებიათ და ვიწრო შესასვლელი მოუწყვიათ. შიგნით ნავი გადახურული იყო კოლოფა კამარით. სამხრ-ით იგი დაყრდნობილი იყო შესაბამის კედელზე, ჩრდ-ით კი – მთავარი ნავის კედელზე მიყრდნობილ ოთხ პილასტრზე გადაყვანილ კედლის თაღებზე. XVI-XVII საუკუნეებში, მთავარი ნავის განახლების და სამრეკლოს მშენებლობის დროს, ნავის შუაში (სავარაუდოდ, ეკლესიის ამ ნაწილის ნგრევის შემდეგ) სამრეკლოს კამაროვანი საფუძველი ჩააშენეს, რ-იც ამჟამადაც მთავარი ნავის კარიბჭის დანიშნულებას ასრულებს. კარიბჭე სამხრ. ნავის გვერდითი ნაწილებისგან კედლებით არის გამიჯნული და ნავის ხაზიდან რამდენადმე წინწამოწეულია. ამ ნაგებობის „ჩადგმის“ შედეგად სამხრ. ნავის თავდაპირველი სტრუქტურა მთლიანად შეიცვალა და იგი რამდენიმე დამოუკიდებელ ნაწილად – სათავსად დაიყო. მათგან ორი, ერთმანეთისგან კედლით გამიჯნული სათავსი, კარიბჭის აღმ-ითაა, ერთი – დას-ით. სამივე სათავსში ტრაპეზია დადგმული და დამოუკიდებელ სამლოცველოს წარმოადგენს. აღმ-ით მდებარე ერთ სათავსში შესასვლელი სამხრ-იდანაა, მის მოსაზღვრე სათავსში დას-იდან – კარიბჭიდან, კარიბჭის დას-ით მდებარე სათავსში კი – დას. ნავიდან. აღმ-ით მდებარე სათავსი სამხრ-ით განიერი თაღით არის გახსნილი. თაღი აღმ-ით კედელზეა დაყრდნობილი, დას-ით კი – მრგვალ ბოძზე. ამ ბოძზე მოსაზღვრე თაღის ქუსლის ნაშთია შემორჩენილი. ამ თაღის გარდა, აღმ. სათავსს აფსიდში გაჭრილი სწორკუთხა სარკმელიც აშუქებს. მოსაზღვრე სათავსი მხოლოდ ერთი სარკმლითაა განათებული – სამხრ-იდან. დას. სათავსი კი სამხრ. კედელში გაჭრილი ორი სარკმლით.

დას. ნავი ამჟამად მხოლოდ მთავარ და სამხრ. ნავებს გასდევს. კამარა აქაც მთავარი ნავის დას. კედელზე მიშენებულ, პილასტრებიან არკატურაზეა დაყრდნობილი, რ-იც სამი თაღისგან შედგება. მეოთხე – სამხრ. ნავის დას. ნაწილში გამავალი კარია. დიდი ალბათობით, დას. ნავი თავდაპირველად ჩრდ. ნავსაც გასდევდა, რ-ის



035. ხედი სამხრ.-დას-იდან

დიდი ნაწილი დანგრეულია და ამჟამად ეკლესიის დას. კუთხემდე ვერ აღწევს.

დას-ით ნავი სწორკუთხა ბოძზე დაყრდნობილი ორი თაღითაა გახსნილი. მათგან ერთი ტაძარში შესასვლელის პირდაპირაა, მეორე – სამხრ. ნავის მახლობლად. ნავის დას. კედელში, ჩრდ. ნავთან ახლოს, სავარაუდოდ თავდაპირველად მესამე თაღიც იყო მოწყობილი. ნავის გადახურვას, ისევე როგორც სამხრ. ნავის გადახურვას, გვიანდ. გადაკეთების კვალი ემჩნევა. იგი სამხრ. ნავის სახურავს ჩვეულებისამებრ კუთხეში კი არ ებმის, არამედ მისი კალთის მიმართ უშნოდაა აშვერილი.



035. ინტერიერი. ჩრდ. ნავის აღმ. ნაწილი. ხედი სამხრ.-აღმ-კენ

ჩრდ. ნავი მოკლეა, შესასვლელი მას დას-იდან აქვს. აღმ-ით ღრმა, ნალისებრი აფსიდია, რ-შიც თაღოვანი სარკმელი და ორი სწორკუთხა ნიშაა. საკურთხევლის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს კიდევ სამი სწორკუთხა სარკმელი აშუქებს. მათგან ორი – ჩრდ-ითაა, ერთი – დას-ით. შიგნით ნავი გადახურულია ცილინდრული კამარით – ტეხილით წვეროსთან, რ-იც ებჯინება მთავარი ნავის კედელზე მიყრდნობილ, ორმალიან კედლის თაღს.

ეკლესიის ფასადები სადაა. მოკლებულია დეკორატ. სამკაულს. კედლები დასრულებულია აგურის ოთხსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-იც შედგება კუთხით შვერილი და ჩვეულებრივად დაწყობილი აგურებით შედგენილი რიგების მონაცვლეობით.

ამ ახლად აგებული კარიბჭის თავზე, სამხრ. ნავის სახურავის დონეზე, სამრეკლოა დადგმული.

სამრეკლო მაღალია, შედარებით წაგრძელებული პროპორციების. პირველი სართული, აღმ-იდან და დას-იდან, კედლებით არის შემოფარგლული, სამხრ-ით კი, მთელ სიმაღლეზე, მაღალი, შეისრული თაღით არის გახსნილი. სამრეკლოს მეორე სართული რვაწახნაგაა, თითქმის მთლიანად აგურით გამოყვანილი. ამ სართულზე ასასვლელად კიბე პირველი სართულის დას. კედელზე გარედან ისეა მიშენებული, რომ მისი ზედა ნაწილი ჯერ სამხრ. ნავის დას. ნაწილის სახურავის ფარგლებშია შეჭრილი, შემდეგ კი მეორე სართულზე ადის. ფანჩატურის წახნაგებზე გამოყვანილი ღიობები შეისრულთაღოვანია. თაღები ჩასმულია საფეხურით შეღრმავებულ, სწორკუთხა არეში, რ-ის თავს ვიწრო ფრიზი გაუყვება. ფანჩატური დასრულებულია საფეხურებიანი ლავგარდნით, რ-იც ეკლესიის ლავგარდნის მსგავსადაა გამოყვანილი. სამრეკლო დასრულებულია აგურისავე, პირამიდისებრი ფორმის, მახვილი სახურავით.



035. სამრეკლო. ხედი სამხრ-იდან

2015 წელს, საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით, ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. ნ. მინდორაშვილი). აღდგა ეკლესიის კედლების მონგრეული ნაწილები და ლავგარდანი, სამხრ. ნავის თაღედის შემორჩენილი თაღი გათავისუფლდა მოგვიანებით ჩაშენებული კედლისგან, კედლების გარეთა ზედაპირი გასწორდა ბათქაშით, აღდგა სამრეკლოს დაზიანებული ნაწილები, სამრეკლო დაიბურა თუნუქით.


თ. დვალი.

ბიბლ.: 337; 339; 343.

მაწიმი

(თემის ცენტრი)

036. აბანო, არქიტ., არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 2 კმ-ზე, სახნავ მინდორში. თარიღდება XV-XVI საუკუნეებით.



036. გეგმა

ძ. 1976 წელს გათხარა საქართვ. სახ. მუზეუმის არეშის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღ. ლ. ჭილაშვილი).

შენობა ნაგებია ქართ. აგურით, შელესილი ყოფილა კირხსნარით. დაზიანებულია ხვნის შედეგად. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ძ. ირანის შაჰის აბას I-ის შემოსევებისას (1614-1617 წწ.) უნდა დანგრეულიყო.


აბანო გეგმით ოთხკუთხაა (10,1x5,0 მ). სათავსების განლაგება ანფილადურია. შესასვლელი ჩრდ.-დას-იდანაა. კარით ექვსწახნაგა სააბაზანოში ვხვდებით, რ-იც გასახდელიც უნდა ყოფილიყო. სააბაზანოს ჩრდ. და ჩრდ.-აღმ. წახნაგებში თითო ნახევარწრიული აბაზანაა. სამხრ. და სამხრ.-დას წახნაგებში – ნიშები (ტანსაცმლის შესანახი?). შესასვლელის პირდაპირ კარია გაჭრილი, რ-იც საბანაო ოთახში გადის. ამ ოთახის ჩრდ.-აღმ. კედელში აბაზანაა. მოპირდაპირე მხარეს კი – აგურის „ტახტი“. აბაზანას უერთდება ორი მილი. ერთი – ცივი წყლის აუზიდან, მეორე – ცხელი წყლის, ელიფსური ფორმის რეზერვუარიდან, რ-იც აბანოს სამხრ.-აღმ. ნაწილშია მოთავსებული. რეზერვუარის ცენტრში, საცეცხლეს თავზე, წრიული ბუდეა ქვაბისათვის (ძეგლის აღმოჩენისას ქვაბი ადგილზე ყოფილა).

საცეცხლე და გათბობის სისტემა განთავსებულია აბანოს ქვედა ნაწილში. საცეცხლე უშუალოდ ქვაბიანი რეზერვუარის ქვეშაა. აქედან სითბო გადიოდა საბანაო და გასახდელი სათავსების ქვეშ, აგურის სვეტებს შორის.


ა. ნუცუბიძე, გ. რჩეულიშვილი. ბიბლ.: 237.

037. მაჭის ციხე-დარბაზის კომპლექსი, თოღა, თორღვა, თორღა, ისტ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, ხუთიოდე კმ-ზე, მდ. მაჭისწყლისა (ახლანდ. მაწიმისწყალი) და მისი მარჯვ. შენაკადის მდ. თოღასხევის გამყოფ მთაზე. აშენებულია IX საუკუნეში.

მაჭის ციხე მაჭის საერისთავოს ცენტრი იყო. ვახუშტის მიხედვით მაჭი იგივე თოღაა. როგორც საერისთავოს ცენტრი მაჭი წყაროებში VIII საუკუნის ბოლოდან მოიხსენიება, როცა ადარნასე ბრმის ძმისწულებმა ჰერეთი დაიპყრეს და შტორის, ხორნაბუჯის, ვეჯინის და მაჭის საერისთავოდ დაყვეს. აღნიშნული საერისთავოები მოხსენებულია XI საუკუნის დასაწყისშიც. როცა კახთა მეფემ კვირიკე დიდმა (1010-1037 წწ.) „დასხნა სამი ერისთავი კახეთს და ოთხი ჰერეთს“. ჰერეთის ამ ოთხი საერისთავოდან ერთ-ერთი მაჭის საერისთავო იყო, რ-იც მოიცავდა ტერიტორიას მაჭის



037. ციხის სამხრ. ნაწილი. გეგმა



037. გენერალური გეგმა. 1. მისასვლელი გზა; 2. ჩრდ. კედელი; 3. სამხრ. კედელი; 4. წყლის გადახურული რეზერვუარი; 5. ეკლესია; 6. წყლის რეზერვუარი (?); 7. ხარო; 8. სასახლე; 9. მდ. მაწიმისწყალი; 10. მდ. თოღა


წყლიდან შაკიხის ჩათვლით და ალაზნიდან ხუნძახამდე.

1040 წელს ბაგრატ IV-მ (საქართვ. მეფე 1027-1072 წწ-ში) კახელები მიქელ-გაბრიელის მთასთან, სასტიკად დაამარცხა და ტყვედ ჩაიგდო პანკისის, ხორნაბუჯის, შტორის და მაჭის ერისთავები. მაჭის ერისთავს „მატიანე ქართლისაის“ მიხედვით ჯედი რქმევია. ვახუშტის მიხედვით – დაჯე.

კახეთის მეფე ლევანმა (1518/20-1574 წწ.), რ-საც ერისთავები ეურჩებოდნენ „მოსპო ერისთავნი ჰერ-კახთა შინა და დასხნა მოურავნი“. არც ერთ ძველ საერისთავო ცენტრში, გარდა პანკისისა, სამოურავო არ დაწესებულა. 1471 წელს მაჭის საერისთავო მოისპო. მაჭის საერისთავოს ცენტრი მაჭის სამეფო რეზიდენციად იქცა. ამის შემდეგ სახელი მაჭი აღარ იხმარება და მას ჩაენაცვლა სახელი თოღა.

ყოველ წელს, შემოდგომაზე, თოღა ქართველთა ლაშქრის შესაკრები ადგილიც ყოფილა. შეკრებილ მოლაშქრეებს აღწერდნენ, სამი დღის განმავლობაში ავარჯიშებდნენ და შინ უშვებდნენ.


XV-XVII საუკუნეებში თოღას შესახებ ქართულ წერილობით წყაროებში ორიოდე ორი სამოურავო უბოძებია. ვარაუდობენ (ლ. ჭილაშვილი), რომ თოღას ერთ ნაწილს წარ-




037. ჩრდ. კედელი. გეგმა.

ცნობაა შემონახული. სამაგიეროდ, იგი ხშირად მოიხსენიება რუსი ელჩების ჩანაწერებში, რ-ებიც ხშირად სტუმრობდნენ სამეფო რეზიდენციას. რუსული ცნობების მიხედვით, კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის (1574-1605 წწ.) ბრძანებით გრემში, თოღასა და ზაგემში, დიდი ხელმწიფის მღვდელი წირავდა. მათივე ცნობით მეფე ალექსანდრეს უთხოვია ელჩებისათვის, რომ თოღაში ეკლ. რუს მხატვრებს მოეხატათ.


თოღა ვრცელი დასახლება ჩანს 1606 წლით დათარიღებული საბუთით, რ-ის მიხედვითაც მეფე თეიმურაზ I-ს (1606-1648 წწ.) ლუარსაბ მეჯინიბეთუხუცესისათვის თოღაში მოადგენდა ის ადგილი, სადაც სამეფო რეზიდენცია მდებარეობდა, თოღას დიდი დასახლების მეორე ნაწილი კი ციხესიმაგრის ჩასწვრივ უნდა ყოფილიყო განლაგებული. ვახუშტი ბატონიშვილიც აღნიშნავს, რომ ეს ადგილი კაცთა სიმრავლით გამოირჩეოდა, მაგრამ „შემდგომად შააბაზისა ლეკთა მიერ ოჯერ არიან“.




037. ჩრდ. კედელი. ჩრდ. ფასადი



037. სასახლე. გეგმა



037. ეკლესია. გეგმა



037. ეკლესია. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ-კენ


გ. ჩუბინაშვილის ცნობით, გასული საუკუნის 30-იან წლებში თოღას ციხიდან წამოუღიათ ქვის ფილა ასომთ. წარწერით, რ-შიც მოხსენიებული იყო მეფე აღსართანი (მკვლევარი ფილის ადგ-

ილსამყოფელს არ მიუთითებს). აღნიშნულ წარწერას შეეხო მ. ჯანაშვილიც, რ-ის თანახმად:



037. ეკლესია. სამხრ. ფასადი


„ერთ ახსართაგანის ციხე დღეს-აც არსებობს მაწისწყლის ხეობაში, ლაგოდეხის თავს, თოღას“. თოღას ციხის წარწერიან ქვაზე ცნობას გვაწვდის ზ. ედილიც (ედილაშვილი). მისი თქმით, წარწერიანი ქვა, სადაც მოხსენიებული იყო „ბაგრატ აფხაზთა მეფე და მისი ყმა აღსარსართან კახთა და რანთა მფლობელი“, თბილისში წაუღიათ, მაგრამ მისი ადგილსამყოფელი მისთვისაც უცნობია.



037. წყლის გადახურული რეზერვუარი. გეგმა


თ. ბარნაველი თავის წიგნში „კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები“ საუბრობს საქართვ. ეროვნ. მუზეუმში დაცულ ასომთავრულწარწერიან, ძლიერ დაზიანებულ ქვაზე (სადაურობისა და მოპოვების ვითარების შესახებ იმხანად მუზეუმს ცნობები არ გააჩნდა), რ-შიც მოხსენიებულია კახთა და რანთა მეფე აღსართან II (1102-1104 წწ.). ავტორი თვლის, რომ ქვა თორღას ციხისეული უნდა იყოს და პალეოგრაფიული ნიშნებიდან გამომდინარე, წარწერა XII საუკუნეში უნდა იყოს შესრულებული. მისივე ცნობით, თოღაში კახეთის მეფე ალექსანდრე II-ს და მის მეუღლეს, ბარძიმ ამილახვრის ასულს თინათინს აუგიათ წმ. ნიკოლოზის ეკლ. და მისთვის წმ. ნიკოლოზის ოქროს ხატი შეუწირავთ, რ-საც თან ახლავს წარწერა: „... ჩუენ, ღმრთივ გვირგვინოსანმან, მეფეთ მეფემან პატრონმან ალექსანდრემ და თანამეცხედრემან ჩუენმან დედოფალთა დედოფალმან პატრონმან თინათინ აღვაშენეთ თოღას ლანგთემურისაგან აშენებულსა გორსა ზედა და ტაძარი ესე წმიდისა ნიკოლოზისა და შევამკევით ხატი ესე ოქროთა, თვლითა და მარგალიტითა, ჩვენთვის სადღეგრძელოდ და გასამარჯვებლად...“ (ეს ხატი შემდეგ ალავერდის ტაძარში მოხვედრილა, ახლა კი საქართვ. ეროვ. მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახ. ხელოვნების მუზეუმშია დაცული).

ციხე-დარბაზის კომპლექსი გაშენებულია რთულრელიეფიანი მთის სამკუთხა ტერასაზე (ფართ. დაახლ.3 ჰა),რ-საც წვერი სამხრ-ით აქვს მიმართული, იმ



037. წყლის გადახურული რეზერვუარი. განივი ჭრილი. ხედი დას-კენ

მხარეს, სადაც ორი მდინარე ერთვის ერთმანეთს. ციხის ტერიტორიის აღმ. და დას. კლდოვან, ფრიალო მხარეებს ღრმა უფსკრულები საზღვრავს, ხოლო სამხრ-იდან და ჩრდ-იდან იგი გამაგრებული ყოფილა მაღალი გალავნის კედლებით. ციხესთან მისასვლელი გზაც ამ ორი მხრიდან მიემართება და შესასვლელიც ციხეს ამ ორი მხრიდან ჰქონდა. შიგნით მთელი ტერიტ. ორ არათანაბარ ნაწილად იყოფა: ჩრდ. ნაწილი ბევრად უფრო დიდია. აქ განლაგებულია: სასახლე, ეკლ., და წყლის ღია და გადახურული საცავები. ეზოში ასევე შემორჩა ორმოები – გა-



037. წყლის გადახურული რეზერვუარი. გრძივი ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

ურკვეველი დანიშნულების შენობების ნანგრევებით და მიწაყრილები.

ციხესიმაგრის სამხრ. ნაწილი შემოზღუდული ყოფილა

ქონგურებიანი, ორმაგი, მაღალი კედლით, რ-შიც ჩართული იყო სწორკუთხა, მაღალი კოშკი და გამაგრებული იყო ორი ნახევარწრიული, ზემოთკენ შევიწროებული კონტრფორსით. ისევე როგორც კედელი და კონტრფორსები, ეს კოშკიც არასრული სიმაღლითაა შემორჩენილი. მისი პირველი სართული ამოვსებულია. კოშკის მეორე სართულს, გახსნილი მხრიდან, საბრძოლო ბილიკი აქვს მოწყობილი. როგორც ჩანს, კოშკს საბრძოლო-სათავდაცვო ფუნქცია ჰქონდა. კონსტრუქციულად კი, კონტრფორსებთან ერთად, ციხის კედელს ამაგრებდა. კოშკის



037. წულის გადახურული რეზერვუარი. ინტერიერი

ცოკოლი, გრუნტის ჩამოცურების გამო, გაშიშვლებულია. აღმ. კედელზე შემორჩენილია კარის ჩასამაგრებელი ღრმული. მის ზემოთ კი – თაღის კვალი. ამავე კედლის გასწვრივ მცირე სიმაღლის კედლის ნაშთია. მათ შორის ჩანს თაღოვანი შესასვლელის ზღურბლის კვალი. ე. ი. ციხეში შესასვლელი კოშკთან უნდა ყოფილიყო მოწყობილი. გალავნის სამხრ. კედლებს ჰქონიათ დაახლ. 5 *მ* სიმაღლის საყრდენი კედელი (მოღწეულია ნანგრევები).

ჩრდ. მხრიდან ტერიტ. გამაგრებული იყო მძლავრი კედლით, რ-იც სამხრ. კედელთან შედარებით, ბევრად უფრო მასიურია. მასში ჩართული იყო ექვსი გარეთკენ შვერილი, მაღალი, სწორკუთხა კოშკი, ხოლო შუაში მოწყობილი იყო შესასვლელი. აღმ-ით, ფრიალო კლდეზე, შემორჩენილია სექციებად ნაგები ყველაზე დიდი კოშკის ნანგრევები (სიგ. – 7,5 *მ*, სიმ. – 8,9 *მ*).

გალავნის კედლები ნაგებია რიყის, ნატეხი და კლდის შერჩეული, სწორპირიანი ქვით. წყობაში, შიგადაშიგ, კედლების სიმტკიცისათვის, ჩართულია ხის მორები. კონსტრუქცია ბადისებრია. არის შეწყვილებული ბუდეებიც. კოშკების კუთხეებში გამოყენებულია აგური (39x27x8 *სმ*, 23x20x5 *სმ*). ნიადაგის შესაძლებელი ჩამოცურების გათვალისწინებით, კედლები ნაგებია სექციებად, რათა მათი შეკეთება ადვილი ყოფილიყო.

გალავნის ჩრდ.-აღმ. კუთხეში ორი გარეთშვერილი, მასიური კოშკისგან შექმნილი, ციხის მთავარი შესასვლელი იყო.

სასახლე მდებარეობს კომპლექსის დას. მონაკვეთში, ფრიალო ნაპირის პირას. იგი კომპლექსის ნაგებობათა შორის ყველაზე მოზრდილია. შენობის შემორჩენილი კედლები ქვებით და სუროთი იმდენადაა დაფარული, რომ გათხრა-გასუფთავების გარეშე, მისი არქიტ. გადაწყვეტა არ დგინდება.

ეკლესია დარბაზულია (7,3x5,3 *მ*). ნაგებია სხვადასხვა ზომის, პირგასწორებული რიყის ქვით. ფასადები შელესილი ყოფილა. შესასვლელი სამხრ-იდან და დას-იდანაა. ორივე კარი შიგნით თაღითაა გადახურული, გარედან კი – ბრტყელი ფილით. ეკლ. აღმ-ით დასრულებულია საკურთხევლის ღრმა, ნახევარწრიული აფსიდით, რ-ის ღერძზე ბრტყელი ქვებით გამოყვანილი, ნალისებრთაღიანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშაა მოწყობილი. ნალესობით გამოყვანილი, ნალისებრი კონქის ძირი გამოყოფილია თაროთი. სატრიუმფო თაღი ეყრდნობა აფსიდის მხრების დამაგვირგვინებელ, თაროსებრ იმპოსტებს. ინტერიერს, გარდა საკურთხევლის სარკმლისა, აშუქებს სამხრ. კედელში გაჭრილი, ორი თარაზულად გადახურული სარკმელი, რ-ებიც კედლის შუა ნაწილში მდებარე შესასვლელის გვერდებზეა განთავსებული. დარბაზი გადახურულია ნალისებრი კამარით.

ეკლესიის კედლები დასრულებულია თაროსებრი ლავგარდნით. შენობა გადახურული იყო ბრტყელი და ღარიანი კრამიტით.

2016 წელს საქართვ. კულტ. მემკვიდრეობის დაცვის ეროვნ. სააგენტომ განახორციელა ეკლესიის სრული რეაბილიტაცია (პროექტის ავტორი, არქიტ. მ. გიორგიძე). კერძოდ: მოიხსნა დამიწებული ნაშალი ეკლესიის გარე პერიმეტრსა და ინტერიერში; სახურავი გათავისუფლდა მცენარეული საფარისგან; დაარმირდა და კირხსნარით შეივსო შენობის აღმ. და დას. კედლებზე არსებული ბზარები; ნაწილობრივ გადაეწყო კამარა; აღდგა შე-



037. წულის გადახურული რეზერვუარი. საერთო ხედი

სასვლელების გარეთა გადახურვა, კედლების დაზიანებული ნაწილები და ლავგარდანი; დამონტაჟდა ლარიქსის ჯიშის ხისგან დამზადებული ორი კარი; ეკლ. დაიბურა თუნუქით, ლორფინის იმიტაციით.

წყლის რეზერვუარი (ტევადობა დაახლ. – 14000 ლ) მდებარეობს ეზოში, სამხრ. ნაწილში. წარმოადგენს მიწაში ჩაფლულ, სწორკუთხა, კირის ხსნარით კარგად შელესილ ნაგებობას (8,1x5,6 *მ*,



037. გალავნის სამხრ. კედლის ნაწილი

კედლის სისქე – 68 *სმ*. კვადრ. აბაკით დასრულებულ, მსხვილ ორ სვეტზე (დიამ. – 70 *სმ*, სიმ. – 85 *სმ*) დაყრდნობილი სამი თაღი ინტერიერს კამარით გადახურულ სამ ნაწილად ყოფს (სიმ. იატაკიდან კამარამდე – 3,4 *მ*-ია). კამარაში გაჭრილი ორი ხვრელობიდან რეზერვუარი წყლით ივსებოდა და იცლებოდა კიდეც.

რეზერვუარის აღმ-ით,7,5 *მ*-ის მანძილზე, დგას სწორკუთხა ნაგებობა (9,7x5,9 *მ*),რ-იც 2 *მ* სიღრმეზე ზის მიწაში (წყლის რეზერვუარი?). მისი კედლებიც კარგადაა შელესილი.

ტერასის დას. კიდეში ქვის ნაგებობების (საცხოვრ. შენობები?) კედლებისა და კამარების ნაშთებია. ჩანს ჭ ი ს კვალიც.

ნ. ანდღულაძე, მ. გიორგაძე.

ბიბლ.: 6; 12; 16; 19; 42; 58; 68; 125; 141; 202; 235; 236; 251; 258; 307; 334; 337.

038. ნაძარვასლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ბოლოს, მდ. მაჭისწყლის მარჯვ. ნაპირზე, ცენტრ. გზიდან 2 *კმ*-ზე. სავარაუდოდ იგი იყო გრემი-შემახის გზაზე მიმავალ მგზავრთა მოსასვენებელი.


ძ. გეგმით ოთხკუთხაა, ნაგები ყოფილა რიყის ქვითა და კირის ხსნარით. გეგმით იგი გავახის ნაქარვასლარს წააგავს.

თ. რუსიშვილი.

ბიბლ.: 235.


039. ძელისცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით, 300 *მ*-ზე, მდ. მაწიმისწყლის მარცხ. ნაპირზე. ეკლ. ტერიტორიულად საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების სასაზღვრო ზოლშია მოქცეული. განეკუთვნება ადრინდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (სიგრ. – 8 *მ*, სიგ. – 4,8 *მ*), აღმ-ით დასრულებულია ნალისებრი აფსიდით, რ-იც გარედან ხუთწახნაგაა და ეკლესიის კორპუსს მხრების გარეშე ერთვის. შენობა ნაგებია ფორმისა და ზომის მიხედვით შერჩეული, მოზრდილი რიყის ქვის სწორი რიგებით. კედლების ზედაპირი შიგნით და გარედან ბათქაშითაა გასწორებული.




039. გეგმა

ეკლესიაში სამი ფართო შესასვლელია: დას-იდან, სამხრ-იდან და ჩრდ-იდან. მათგან



039. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ-კენ

სამხრ-ისა რამდენადმე აღმ-ით, საკურთხევლის მახლობლად არის გაჭრილი. დანარჩენი ორი კარი კი შესაბამისი კედლების შუა ნაწილშია მოქცეული. სამივე კარი, გარედან, ხის ძელით ჰორიზონტალურადაა



039. ჩრდ. ფასადი

გადახურული, შიგნიდან კი დასრულებულია რიყის თხელი ქვებით ნაწყობი, ნალისებრი თაღით.

საკურთხეველი დარბაზისაგან გამოყოფილია განიერი მხრებით და მათზე დაყრდნობილი, ნალისებრი თაღით, რ-ის ზემოთ, დარბაზის კამარამდე, მაღალი შუბლია (სიმ. – 1 *მ*) შექმნილი. აფსიდის ღერძზე ზემოთკენ მკვეთრად შევიწროე-

ბული, ნალისებთაღიანი, მაღალი სარკმელია გაჭრილი. თითო მსგავსი სარკმელი დანარჩენ კედლებშიცაა. საკურთხეველში, სარკმლის ორივე მხარეს, თითო პატარა, სწორკუთხა ნიშაა. საკურთხევლის გადამხურავი კონქი და კამარა სხმულია.



039. ხედი აღმ-იდან

ეკლ. რიყის ქვით ნაგებ, მცირე სიმაღლის ცოკოლზე დგას. ფასადები სადაა. დასრულებულია თაროსებრი ლავგარდნით, რ-იც შედგება თხელი, ნატეხი ქვის ორი რიგისგან.



039. დას. ფასადი

საკურთხევლის შვერილი ეკლესიის კორპუსზე რამდენადმე დაბალია და დამოუკიდებელი სახურავითაა გადახურული. თავად ეკლესიის სახურავი კი ორფერდაა. აქა-იქ შემორჩენილი ფრაგმენტების მიხედვით, იგი კრამიტით იყო დაბურული.

თ. დვალი.

ბიბლ.: 58; 258; 343.

მაჭის ციხე, იხ. სოფ. მაწიმი.

მზეთა მარიამი, ციხე, იხ. სოფ. ზემო ხეჩილი.

მრგვალი ტყე, ნამოსახლარი, იხ. სოფ. ლელიანი.

მწერლის მიწების ნამოსახლარი, იხ. სოფ. ჭიაური.

ნაწისქვილარი
(კართუბნის თემი)

040. ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას. განეკუთვნება შუა საუკუნეებს. დანგრეულია. იკითხება გეგმა, რ-ის მიხედვით ეკლ. დარბაზული ყოფილა, რ-საც სამხრ. და ჩრდ. მხრიდან მინაშენი ჰქონია.

ეკლ. ნაგები იყო რიყის ქვითა და კირის ხსნარით.

ბ. კუპრეიშვილი.


041. სერგოს საყდარი, ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის მახლობლად, ჩრდ.-აღმ-ით. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია. ნაგებია ნატეხი და რიყის ქვით კირის დუღაბზე.

შესასვლელი დას-იდანაა. კარი გარედან სწორკუთხაა, შიგნიდან – თაღოვანი. აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე ვიწრო, ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი, სარკმლის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშია. კონქი შეისრულია. სატრიუმფო თაღი აფსიდის მხრებს ეყრდნობა, დარბაზის შეისრულივე კამარა – გრძივ კედლებს. საკურთხევლის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს სამხრ. და დას. კედლებში გაჭრილი თითო ვიწრო, ოთხკუთხა სარკმელი აშუქებს. დარბაზის ჩრდ. კედელში ერთი სწორკუთხა ნიშია მოწყობილი.

ბ. კუპრეიშვილი.

042. ყმ. თევდორეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დასით, დაახლ. 800 *მ* მანძილზე, ვენახებში. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.



042. გეგმა

ეკლ. დარბაზულია (7,4x5,5 *მ*). ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყისა და უხეშად დამუშავებული ქვით კირის ხსნარზე. წყობაში; ალაგ-ალაგ ჩართულია ლოდებიც.

შესასვლელი დას-იდანაა. კარი გარედან თაღოვანია, შიგნიდან – თარაზულად გადახურული.



042. ხედი ჩრდ.-დას-იდან

ეკლ. უაფსიდოა. აღმ-ით დასრულებულია სწორი კედლით, რ-იც სამხრ. კედელთან თანხვედრისას მართ კუთხეს ქმნის, ჩრდ. კედელს კი მომრგვალებით უერთდება.

აღმ. კედლის ღერძზე გაჭრილია გარეთკენ ოდნავ შეიწროებული სარკმელი, რ-იც ერთმანეთზე მახვილი კუთხით მიყრდნობილი, ორი თხელი ქვით არის გადახურული. მსგავსადაა გადახურული დას.

კედელში არსებული სარკმელიც. საკურთხეველში, სარკმლის ქვემოთ, დგას კუბური ფორმის ტრაპეზი, რ-იც კედელზეა მიყრდნობილი. აფსიდის სამხრ. და ჩრდ. კედლებში, მხრების მახლობლად, თითო კვადრ. ნიშაა. თითო მსგავსი ნიშა, ერთმანეთის მოპირდაპირედ, გრძივ კედლებშიცაა.

საკურთხეველი და დარბაზი თითქმის თანაბარი ფართობისაა. საკურთხეველი დარბაზის იატაკის მიმართ სიფეხურით არის შემაღლებული და წინიდან, შუაში, ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი (გვიანდელია). დარბაზის სამხრ. კედლის აღმ. კიდესთან კვადრ. ფორმის სარკმელია. შიგნით ეკლ. ერთიანი, შეისრული კამარითაა გადახურული.

2015 წელს, საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. ნ. მინდორაშვილი): აღდგა ეკლესიის კედლების, კამარის და ლავგარდნის ჩამონგრეული ნაწილები, ეკლ. დაიბურა ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი, ქ. დიღმელაშვილი.

ნოვიას საყდარი, იხ. სოფ. ბოლოკიანი.

ონანაური
(აფენის თემი)

043. ჭრელი საყდარი, ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით, 500 მ-ზე, სასაფლაოზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (7,94x5,13 მ). ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით კირის ხსნარზე. ალაგ-ალაგ გამოყენებულია კვადრ. აგური. წყობა ირეგულარულია.



043. ხედი სამხრ.-დას-იდან

შესასვლელი სამხრ. კედლის დას. კიდეშია. 2010-2011 წლებში მიშენებული წმ. გიორგის სახელობის ეკლესიიდან. კარი მაღალია და ფართო, თაღოვანი.



043. ინტერიერი. მოხატულობის დეტალი

აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე საშ. ზომის, ბრტყლად გადახურული, შიგნიდან გარეთკენ დავიწროებული სარკმელია გაჭრილი. ერთი, საშ. ზომის, თაღოვანი სარკმელი დას. კედელშიცაა. აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, თითო ნიშაა მოწყობილი. ერთი მათგანი ნახევარწრიულია, მაღალი და ფართო. მეორე – სწორკუთხაა. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, ქვითკირის სწორკუთხა ტრაპეზია მიდგმული. აფსიდის ჩრდ. გვერდს, დაბალი საფეხური გასდევს. აფსიდი გადახურულია წესიერი ფორმის კონქით, რ-ის თაღი ნახევარწრიული ფორმისაა. მსგავსი ფორმისაა კამარაც.

საკურთხეველი დარბაზისაგან გაჯით შელესილი, გვიანდ.



043. ინტერიერი. მოხატულობის დეტალი

კანკელითაა გამოყოფილი. იატაკი ქვის ფილებითაა მოგებული.

ეკლესიაში შემორჩენილია XVII საუკუნის მხატვრობის ნაშთები. კონქში გამოსახულია ტახტზე მჯდომი მაცხოვარი, მარჯვ. ხელში გადაშლილი წიგნით. სამხრ. კედლის აღმ. ნაწილში „შობა“, ხოლო დას. ნაწილში „ნათლისღებაა“ გამოსახული. დას. კედელზე მხატვრობა სამ რეგისტრად ყოფილა მოცემული. ზედა რეგისტრი აღარ იკითხება, შუა და ქვედა რეგისტრიდან კი ფრაგმენტებიღაა შემორჩენილი. ჩრდ. კედელზე მხატვრობა არ შემორჩა. მოხატულია დას. ფასადიც, რაც ეკლესიას განსაკუთრებულ თავისებურობას ანიჭებს. მხატვრობა წითელი საღებავითაა შესრულებული.



043. დას. ფასადის მოხატულობა



043. დას. ფასადის მოხატულობა. დეტალი

მოცემული ყოფილა წმ. ევსტათი პლაკიდას ირემზე ნადირობის სცენა. განირჩევა წმინდანის ფიგურის ნაწილი და მისი ცხენი, რ-იც ირემს მისდევს. წმინდანის ზურგს უკან ქალის ფიგურაა. ფიგურის სილუეტი იკითხება ირმის ზემოთაც.

ეკლესიის კედლები დასრულებულია აგურით გამოყვანილი, ოთხსაფეხურიანი ლავგარდნით. სახურავი დაბურულია ღარისებრი კრამიტით (ლავგარდანი და სახურავი აღდგენილია 2011-2012 წლებში, წმ. გიორგის ეკლესიის მშენებლობისას).

ქ. დიდმელაშვილი.

რაჭისშუბანი
(მაწიმის თემი)

044. სალესავის საყდარი, ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, დაახლ. 4 კმ-ზე, მდ. სალესავის მარჯვ. ნაპირზე. ლაგოდეხის სახელმწ. ნაკრძალის ტერიტორიაზე, ტყეში. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (6,9x4,6 მ). ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყისა და ნატეხი ქვით კირის დუღაბზე. წყობა ქაოსურია. კედლები შიგნით და გარედან შებათქაშებულია. დაზიანებულია: სახურავი და გარეთა კედლები თითქმის მთლიანად სუროთია დაფარული, ინტერიერი, დაახლ. 1 მ სიმაღლეზე, ქვებით არის ამოვსებული.

შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. კარი თაღოვანი, ხოლო გარედან სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. ერთი საშ. ზომის სარკმელი კარის ზემოთ, სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. ერთი სარკმელი კი ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილშია გაჭრილი (შემორჩენილია წირთხლები და ძირი). აფსიდის გვერდებში თითო საშ. ზომის, ბრტყლად გადახურული ნიშაა მოწყობილი. აფსიდი გადახურულია წესიერი მოყვანილობის კონქით, რ-ის ნახევარწრიული თაღი აფსიდის მხრებს ეყრდნობა. იატაკი მიწატკეპნილია.

თ. მარკოზაშვილი.

სალესავის საყდარი, იხ. სოფ. რაჭისუბანი.

საქობო
(ვარდისუბნის თემი)

045. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ალაზნის ველზე. განეკუთვნება ძვ. და ახ. წელთაღრიცხვის მიჯნას.

ძ. შეისწავლა საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ექსპედიციამ (ხელმძღვ. ლ. ჭილაშვილი).

044. ხედი სამხრ.-აღმ-იდან



გათხრილია ორი ორმოსამარხი. სამარხებში მიცვალებულები ესვენა გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით დას-ისკენ. მიცვალებულების ყელთან აღმოჩნდა სპილენძის ძეწკვი, თავთან – თიხის ჭურჭელი: დოქი, თხელი ფიქლით გადახურული ქოცო, სამფეხა, ცალყურა ქილა; რიყის ბრტყელი ქვით გადახურული დერგები, მომცრო ქვევრები. ერთ მიცვალებულს წელზე ერტყა ტყავის ფართო ქამარი (სარტყელი), რ-იც შემკული იყო სპილენძის ხუთრიგად გაწყობილი, ბრტყელი, მრგვალი და რომბისებრი ღილაკებით. სამარხეული მასალის გათვალისწინებით, მიცვალებულები მიეკუთვნებიან „ჰერული“ (იალოილუთეფეს) კულტურის მატარებელ ხალხს.

ა. ნუცუბიძე.

ბიბლ.: 234.




046. ხედი სამხრ.-აღმ-იდან



046. ხედი ჩრდ.-დას-იდან

046. ᲕᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-აღმ-ით, მინდორში. სავარაუდოდ



046. გეგმა

თარიღდება XV-XVI საუკუნეებით. XXI საუკუნის დასაწყისში, თვითნებური აღდგენის შედეგად, იმდენად არის სახეშეცვლილი (განსაკუთრებით შიგნიდან), რომ ისტ. და არქიტ. ღირებულება დაკარგული აქვს.

ეკლ. დარბაზულია. ნაგები ყოფილა რიყის ქვითა და ნატეხი ქვით კირის ღუდაბზე. შესასვლელი დას-იდან აქვს. აღმ-ით ღრმა, ამჟამად ფორმაშეცვლილი (თავდაპირველად ნახევარწრიული ყოფილა) აფსიდია, რ-იც გრძივი კედლებიდან მოკლე მხრებით არის გამოყოფილი. აფსიდის ღერძზე გაჭრილია ვიწრო, ზემოთკენ მკვეთრად დავიწროებული სარკმელი. მსგავსი თითო სარკმელი დანარჩენ კედლებშიცაა. აფსიდის ჩრდ. გვერდში მოზრდილი, თაღოვანი ნიშაა, მის თავზე კი, წყობაში, აკუსტიკის გაუმჯობესების მიზნით, თიხის მოზრდილი ზომის ჭურჭელია ჩადგმული. საკურთხეველი დარბაზისგან გამიჯნულია სამთაღიანი კანკელით (შელესილია). თაღებს შორის, ხატების დასაბრძანებლად, თითო მაღალი, სწორკუთხა ნიშაა მოწყობილი. საკურთხევლის იატაკი დარბაზის იატაკის მიმართ საფეხურით არის შემაღლებული და წინიდან, შუაში, ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი. საკურთხევლის და დარბაზის იატაკზე დაგებულია ხელოვნ. ქვის ფილები.

შიგნით ეკლ. გადახურულია ნახევარცილინდრული კამარით.

ეკლესიას დას-იდან ეკვრის მისივე ტოლი სიგანის, სამ მხარეს თითო განიერი თაღით გახსნილი მინაშენი.

ეკლ. და მინაშენი გადახურულია კრამიტის იმიტაციის მქონე, წითელი თუნუქით.

ქ. დიღმელაშვილი.

ᲡᲔᲠᲒᲝᲡ ᲡᲐᲧᲓᲐᲠᲘ, იხ. სოფ. ნ ა წ ი ს ქ ვ ი ლ ა რ ი.

ფოდაანი
(აფენის თემი)

047. ᲪᲘᲮᲘᲐᲐᲜᲧᲣᲠᲘᲡ ᲒᲝᲠᲐᲜᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲐᲠᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. ალაზნის მარჯვ. ნაპირზე, ბორცვზე, ციხიაანყურედ წოდებულ ადგილში.

ძეგლს 1975 წელს მიაკვლია კაპ-მ (ხელმძღ. კ. ფიცხელაური). ნამოსახლარის ზედა ფენები თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევრითა და ძვ. წ. I ათასწლეულის საწყისი საუკუნეებით.


ტ. ჯაშიაშვილი.

ბიბლ.: 184.

048. ᲕᲛ. ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სასაფლაოზე.

ძ. სხვადასხვა პერიოდის და სიდიდის ორი ნაწილისგან შედგება. თავდაპირველად აქ მდგარა მცირე, უაფსიდო, დარბაზული ეკლ. (სიგრ. არ დგინდება, სიგ. – 4,4 *მ*), რ-ისთვისაც მოგვიანებით (სავარაუდოდ

ძლიერი დაზიანების შემდეგ), ფართობის გაზრდის მიზნით, დას-იდან მიუდგამთ მოზრდილი დარბაზი (8,5x7,0 *მ*). ამ დროს ძვ. ეკლესიის დას. კედელი მოშალეს, ეკლესიის შემორჩენილი



048. გეგმა

ნაწილი – საკურთხეველი და დარბაზის ნახევარზე მეტი ახ. ეკლესიის კორპუსში ჩართეს და საკურთხევლად აქციეს.

შენობის თავდაპირველი ნაწილი სავარაუდოდ გვიანდ. შუა საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს, მოგვიანებით მიშენებული ნაწილი კი XIX საუკუნის II ნახევრით.

ეკლესიის ძვ. ნაწილი (ქტყობა გვიანდ. შეკეთების კვალი) საშ. ზომის რიყის ქვითა და აგურის შერეული წყობითაა ნაგები – კირის სქელ დუღაბზე. დას-იდან მიშენებული ნაწილის წყობაში კი მეტწილად აგურია გამოყენებული.

თავდაპირველ ეკლესიას შესასვლელი სამხრ-იდან ჰქონია (ამოშენებულია). კარი შეისრულთაღოვანია და გარედან საფეხურით შელრმავებულ, სწორკუთხა არეშია ჩასმული, რ-საც ხერხულა, ვიწრო ფრიზი აგვირგვინებს.


ეკლესიის საკურთხეველი აღმ-ით სწორი კედლითაა დასრულებული, რ-ის შუაში სწორკუთხა სარკმელია (მოგვიანებით გაუგანიერებიათ) გაჭრილი. საკურთხეველი გადახურულია დამრეცი კონქით, რ-ის მრუდხაზოვან საფუძველზე გადასვლა აღმ. კუთხეებში გამოყვანილი, ორი ტრომპისმაგვარი კონსტრუქციითაა განხორციელებული. ტრომპების ზემოთ, კონქის არეში, თითო ღრმა, სწორკუთხა, სამალავი ნიშაა. თავდაპირველი ეკლ. ოდნავ შეისრული კამარითაა გადახურული. კედლებზე მისივე თანადროული, ფრესკული მხატვრობის ფრაგმენტებია შემორჩენილი.

მოგვიანებით მიშენებული ნაწილის ყოველ კედელში გაჭრილია თითო ფართო შესასვლელი, ხოლო გრძივ კედლებში, სიმეტრიულად – ორ-ორი განიერი სარკმელი. კარ-სარკმელთა ღიობები მშვილდისებრთაღოვანია. მათში ხის ალათები იყო ჩასმული. ამჟამად სადგომის გადახურვა ჩამონგრეულია. როგორც ჩანს, იგი ხის იყო.

დას. ნაწილს დას-იდან, თანადროული, გეგმით თითქმის კვადრ. (სიგრძ. – 3 *მ*, სიგ. – 2,5 *მ*), ორსართულიანი სამრეკლო (შემორჩენილია პირველი სართული და მეორე სართულის მცირე ნაწილი). სამრეკლოს პირველი სართული სამ მხარეს მშვილდისებრი თაღით არის გახსნილი, რ-ებიც ეკლესიის დას. კედელზე გამოყვანილ ორ პილასტრსა და ორ თავისუფლად მდგომ, კვადრ. ბურჯს ეყრდნობა.

ეკლესიის გარეგან ასახულობაში მკვეთრად გამოიყოფა თავდაპირველი ნაგებობის კორპუსი, რ-იც დამოუკიდებელი, ორფერდა სახურავითაა გადახურული.

გვიანდ. ნაწილის გრძივ ფასადებზე, შესასვლელების ზემოთ, თითო შელრმავებული ჯვარია გამოსახული (შემორჩენილია ნაწილი). დას. ფასადის სამხრ. მონაკვეთში სავარაუდოდ წარწერიანი ფილისათვის განკუთვნილი ბუდეა. თავდაპირველ ეკლესიას აგურის საფეხუროვანი ლავგარდანი ჰქონია, გვიანდ. მინაშენის



048. სამხრ. ფასადი

ლავგარდანიც აგურისაა. მის პროფილს კი თარო და ნახევარსვეტი შეადგენს.

თ. დვალი.

ფონა

(თემის ცენტრი)


049. სამების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ. განაპირას, სასაფლაოზე. თარიღდება XVI საუკუნით.

შენობის საშენი მასალა სამგვარია: რიყის ქვა, ნატეხი ქვა და აგური. კედლები ძირითადად ნატეხი ქვითა და რიყის ქვითაა ნაწყობი. გარეთა კუთხეები, კარ-სარკმლების ღიობები და კონსტრ. ელემენტები (კამარა, საბჯენი თაღები და სხვ.) გამოყვანილია კვადრ. აგურით. გარდა ამისა, აგური, კედლების წყობაშიც არის ჩართული, რ-ითაც ზოგ ადგილას

ჰორიზ. გამავალი ზოლებია გამოყვანილი, ზოგ ადგილას კი ქვებს შორის დარჩენილი არეები აგურის ნატეხებითა და დულაბითაა ამოვსებული. აგურის გადახურული გვერდითი მკლავებიც.

საკურთხევლის აფსიდის ღერძზე მაღალი, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი, რ-ის ორივე მხარეს თითო სწორკუთხა ნიშაა. აფსიდი გადახურულია კონქით. კონქის თაღი შეისრულია და აფსიდის მხრებს ეყრდნობა. შეისრული ფორმისაა ბემის კამარაც.

საკურთხევლის გვერდებზე, გეგმით კვადრ., შეისრულკამაროვანი თითო სათავსია – სამკვეთლო (ჩრდ-ით) და სადიაკვნე (სამხრ-ით), რ-ებიც შესაბამის მკლავს შეისრულთაღოვანი კარით უკავშირდება. ორივე მათგანი ნახევარწრიულაფსიდიანია, რ-ის ღერძზე თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. ორივე სათავსში, სარკმლის ქვემოთ, დგას რიყის ქვითა და აგურის შერეული წყობით ნაგები ტრაპეზი, რ-იც კედელზეა მიყრდნობილი. სამკვეთლოს სამხრ. კედელში სამალავია მოწყობილი.



049. გეგმა


ეკლესიის ინტერიერი კარგად არის განათებული. საკურთხევლის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს კიდევ ხუთი თაღოვანი სარკმელი აშუქებს: თითო-თითო – გვერდით მკლავებში და დას. მკლავის უბეებში ოდნავ უფრო ღრმაა. დას. მკლავი კი სიღრმით თითქმის აღმ. მკლავის ტოლია. მას გვერდებიდან ერწყმის შეისრული კამარით გადახურული თითო უბე. მსგავსი ფორმის კამარით გადახურულია ნავიც.

ეკლესიის აღმ. მკლავი ნახევარწრიული აფსიდით სრულდება, დანარჩენები სწორკუთხაა. აფსიდის წინ ბემაა, რ-ის წყალობითაც აღმ. მკლავი გვერდით მკლავებთან შედარებით დასრულებული, შიგნიდან კი შეისრულთაღოვანია.

რისაა ლავგარდანიც. გარეთა კუთხეებში, აქა-იქ, ჩართულია შირიმის ტლანქად დამუშავებული ქვებიც.

ნაგებობის ჯვაროვანი გეგმა გარედან მოგრძო სწორკუთხედშია (12,7x9,6 მ) ჩაწერილი. შიგნით, ჯვრის მკლავების გადაკვეთის ადგილზე, იქმნება კვადრატი, რ-იც ინტერიერის სივრცობრივ-კომპოზიციურ ცენტრს ქმნის. აღსანიშნავია, რომ ეკლესიის გეგმა ნაქალაქარ გრემის წმ. ნიკოლოზის სახელობის გუმბათოვანი ეკლესიის გეგმის იდენტურია. გამორიცხული არ არის, რომ აგებამდე ეკლ. გუმბათოვანად იყო ჩაფიქრებული, პროექტის შეცვლის გადაწყვეტილება კი მშენებლობის პროცესში იქნა მიღებული.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრ-იდან და დას-იდან. დას. შესასვლელი შესაბამისი მკლავის ღერძზეა გაჭრილი, სამხრ. შესასვლელი კი – კედლის დას. ნაწილში. გარედან ორივე კარი ნახევარწრიული



049. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ-კენ



049. ინტერიერი. ხედი სამხრ.-აღმ-კენ

შია გაჭრილი, ერთი – დას. კედელში. მათგან ჯვრის გვერდით მკლავებში არსებული სარკმლები, დას. მკლავის უბეების სარკმლებთან შედარებით, რამდენადმე უფრო მაღლაა განლაგებული. ეკლესიის სამხრ., დას. და ჩრდ. კედლებს მცირე სიმაღლის საფეხური გასდევს.

შიგნით ეკლ. გადახურულია შეისრული კამარით, რ-იც ერთ შეისრულსავე საბჯენ თაღს ეყრდნობა. დას. მკლავის კამარის გვერდებში, ქუსლის დონეზე, საბჯენ თაღთან, თითო კვადრ.



049. ინტერიერი. ჩრდ.-აღმ. უბე. სამკვეთლოს შესასვლელი

ხვრელია, რ-ებიც სახურავქვეშ, გრძივი კედლების ზედა ნაწილში, მთელ სიგრძეზე გამოყვანილ სამალავში შესასვლელადაა განკუთვნილი. იატაკზე დაგებულია კვადრ. აგური.



049. ინტერიერი. სამკვეთლო. აფსიდი

ეკლესიის გარეგნობა მარტივია. კედლები დასრულებულია ოთხსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-იც შედგება აგურის ჩვეულებრივი და ხერხულა წყობით გამოყვანილი რიგების მონაცვლეობისგან. ეკლ. დგას რიყის ქვით ნაგებ, დაბალ (სიმ. – 15-20 *სმ*) ცოკოლზე.

შენობა ორფერდა სახურავით არის გადახურული.

ეკლესიას დას-იდან ორსართულიანი სამრეკლო (გვიანდელია) აქვს მიშენებული, რ-ის პირველი სართული ძირითადად რიყის ქვითაა ნაგებ, მეორე სართული კი – აგურით. სამრეკლოს პირველი სართული გეგმით კვადრატულია (6,1x6,1 *მ*) და ეკლესიის კარიბჭის დანიშნულებას ასრულებს. კარიბჭის აღმ., დას. და სამხრ. კედლების ღერძებზე აგურით გამოყვანილი, შეისრული თაღებია, ჩრდ. კედელში კი ვიწრო, შეისრულთაღოვანი კარი, რ-ითაც პირველი სართული მასზე ჩრდ-იდან მიშენებულ, პატარა, სწორკუთხა სადგომს (5,1x3,2 *მ*) უკავშირდება. სართული გადახურულია აგურით გამოყვანილი კამარით.



049. ინტერიერი. სამხრ.-აღმ. უბე. ხედი სამხრ.-კენ

ჩრდ-იდან მიშენებული სადგომის დას. კედელში ერთი ვიწრო სარკმელია გაჭრილი, ჩრდ. კედელში კი სწორკუთხა ნიშაა მოწყობილი. სადგომი გადახურულია ერთიანი, სხმული კამარით.



049. ხედი სამხრ.-დას.-იდან

სამრეკლოს მეორე სართული შიგნით წრიულ და გარედან რვაწახნაგა ფანჩატურს წარმოადგენს, რ-ის წახნაგებში თითო თაღოვანი ღიობია. თავად თაღები ჩასმულია საფეხურით შეღრმავებულ, სწორკუთხა არეში. ფანჩატურში ასასვლელი კიბე ჩრდ-იდან მიშენებული სადგომის გადახურვაზეა მოწყობილი. შიგნით ფანჩატურ-



049. სამრეკლო. ხედი სამხრ-იდან

რი გუმბათოვანი კამარითაა გადახურული. კამარის ქუსლი კედლიდან მცირე საფეხურითაა გამოშვერილი. გარედან ფანჩატური დასრულებულია ეკლესიის მსგავსი ლავგარდნით და გადახურულია რვაწახნაგა, პირამიდისებრი სახურავით.

2013 წელს საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით ძეგლს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (რეაბილიტაციის პროექტის ავტორი, არქიტ. ნ. მინდორაშვილი). აღდგა ეკლესიის, სამრეკლოს და სამრეკლოზე ჩრდ-იდან მიშენებული სადგომის გარეთა კედლების დაზიანებული ნაწილები და ლავგარდანი, ეკლესიის იატაკზე დაიგო აგური, შეკეთდა სამრეკლოს სახურავი, ეკლ. და ჩრდ. სადგომი გადაიხურა ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.

050. ჯვრის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია. ნაგებია უხეშად დამუშავებული, დიდი ზომის ქვითა და კირის ხსნარით. ძლიერ დაზიანებულია: გეგმა იკითხება ფრაგმენტულად, შემორჩენილია მხოლოდ სამხრ. და ჩრდ კედლების მცირე ნაწილი. ეკლესიას სამხრ-იდან მინაშენი ჰქონდა, რ-იც მიწის პირამდეა დანგრეული.

ბ. კუპრეიშვილი.

ძევხიანი
(არეშფერანის თემი)

051. გლეხთა მღელვარება, ისტ. ძ. მოხდა 1915 წლის 23 სექტემბერს. მიზეზი გახდა თავად ვაჩნაძის მამულიდან გლეხების 21 კომლის იძულებით გადასახლება. მთავრობამ მღელვარება სიღნაღიდან გამოწვეული ჯარის ნაწილის დახმარებით ჩაახშო.

თ. ჭყონია.

ბიბლ.: 27.

ძველმო ხეჩილი
(ფონის თემი)

052. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, მდ. კაბლის მარჯვ. ნაპირზე, სასაფლაოსთან ახლოს, გორაზე. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.

გორას ორი მხრიდან ხევი ფარგლავს, დანარჩენი მხარე კი გალავნით ყოფილა გამაგრებული.

ძ. მიწის პირამდეა დანგრეული და მხოლოდ ცალკეული მონაკვეთები იკითხება.

გალავანი ნატეხი ქვით ყოფილა ნაგები კირის დუღაბზე. გალავნის შიგნით დგას აღმ.-დას-ის მიმართულებით დამხრობილი, მცირე ზომის (დაახლ. – 5,0x2,5 *მ*), შვერილაფსიდიანი ნაგებობა (კონტური ნაწილობრივ იკითხება). იგი ნაგები ყოფილა ნატეხი ქვით (კედლის სისქე დაახლ. 80 *სმ*-ია).

ნამოსახლარის ტერიტორიაზე ზედაპირულად იკრიფება ქვევრების, სხვადასხვა ჭურჭლის და კრამიტის ფრაგმენტები. ნამოსახლარის მიტოვების შემდეგ ის სამაროვნად ყოფილა გამოყენებული, რაზეც მიანიშნებს საფლავის სანიშნე სტელების არსებობა.


ქ. დიღმელაშვილი.

ქოჩალოს ეკლესია, იხ. ქ ლ ა გ ო დ ე ხ ი.

შავწყალას ნამოსახლარი, იხ. სოფ. წ ი თ ე ლ გ ო რ ი.

შრომა
(თემის ცენტრი)

053. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, დანგრეუ-



053. გეგმა

ლად წოდებულ ადგილში. სავარაუდოდ თარიღდება განვით. შუა საუკუნეებით.

ეკლ. დარბაზულია. ნაგებია ნატეხი ქვითა და სქელი დუღაბით. დაზიანებულია: მონგრეულია სამხრ-დას. კუთხე, დანარჩენი ნაწილები სხვადასხვა სიმაღლეზეა შემორჩენილი, ინტერიერი ამოვსებულია მიწითა და ქვით.

აღმ-ით, ნახევარწრიულ აფსიდში სარკმელია გაჭრილი, რ-ის ორივე მხარეს, აფსიდის მხრებთან ახლოს, თითო ღრმა, გეგმით ნალისებრი ფორმის ნიშაა.

ბ. კუპრეიშვილი.

054. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, დაახლ. 4 *კმ*-ზე, მდ. შრომისხევის მარცხ. ნაპირზე. სავარაუდოდ განე-



054. ჩრდ. მინაშენი. ხედი სამხრ.-დას-იდან

კუთვნება ადრინდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია, მინაშენით სამხრ-იდან და ჩრდ-იდან. ძლიერ დაზიანებულია: შემორჩენილია მხოლოდ ჩრდ. მინაშენი (ზომები გარედან: სიგრ. – 7 *მ*, სიგ. – 3 *მ*). თავად ეკლესიის და სამხრ. მინაშენის კედლებიდან, მიწის ზემოთ, მხოლოდ მცირე ნაწილებიღაა დარჩენილი, კედლების დანარჩენი ნაწილი მცენარეულობით, ქვებით და მიწით იმდენად არის დაფარული, რომ გათხრა-გასუფთავების გარეშე, ეკლესიის და მინაშენის გეგმის კონტურის დადგენა მიახლოებითაც ვერ ხერხდება.

ჩრდ. მინაშენში შესასვლელი დას-იდანაა. განიერი, თაღოვანი ღიობიდან. თაღი მოგვი-



054. ინტერიერი. ჩრდ. მინაშენი. ხედი აღმ-კენ

ანებით ამოუშენებიათ და შიგ კარი ჩაუდგამთ.

აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. აფსიდი გადახურულია კონქით, რ-ის თაღი აფსიდის მხრებს ეყრდნობა. აფსიდის იატაკი დარბაზის იატაკზე ერთი საფეხურით მაღალია.

მინაშენი ეკლესიას სამხრ. კედელში მოწყობილი თაღოვანი კარით უკავშირდებოდა, ჩრდ-ით კი ოთხკუთხა სვეტზე დაყრდნობილი, ორი ნალისებრი თაღით იყო გახსნილი. მოგვიანებით ორივე თაღი და ეკლესიასთან დამაკავშირებელი კარი ამოუშენებიათ. შიგნით მინაშენი გადახურულია გრძივ კედლებზე დაყრდნობილი კამარით. როგორც ჩრდ. მინაშენის შემორჩენილი ნაწილებიდან ჩანს, კედლები რიყის თხელი ქვებით ნაწყობი ლავგარდნით იყო დასრულებული. მინაშენი დაბურული იყო კრამიტით.

ქ. დიდმელაშვილი.

ᲩᲐᲓᲣᲜᲘᲐᲜᲘ
(ცოდნისკარის თემი)

055. ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სიახლოვეს. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია, ნახევარწრიულაფსიდიანი. ძლიერ დაზიანებულია: მთლიანად დანგრეულია დას. კედელი, დანარჩენი კედლები კი 1,3-1,5 *მ* სიმაღლეზეა შემორჩენილი. ინტერიერი ამოვსებულია ქვებით. ეკლესიის შემორჩენილი კედლები ნაგებია ნატეხი ქვითა და კირის სქელი ხსნარით. შესასვლელი დას-იდან ჰქონდა.

ბ. კუპრეიშვილი.

ᲪᲘᲮᲘᲐᲐᲜᲫᲣᲠᲘᲡ ᲒᲝᲠᲐᲜᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲐᲠᲘ, იხ. სოფ. ფ ო დ ა ა ნ ი.

ᲬᲘᲗᲔᲚᲒᲝᲠᲔᲒᲘᲡ ᲜᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲝᲕᲜᲐᲜᲘ, იხ. სოფ. ჭ ი ა უ რ ი .

ᲬᲘᲗᲔᲚᲒᲝᲠᲘ
(ჭიაურის თემი)

056 ᲨᲐᲕᲬᲧᲐᲚᲐᲡ ᲜᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲐᲠᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით, 1 *კმ*-ზე, მდ. შავწყალას მარცხ. ნაპირზე, ნამოსახლარ დამწვარი გორის მახლობლად, 600-700 *მ*-ში, შემაღლებულ ადგილას. განეკუთვნება ძვ. წ. IV ათასწლეულის I ნახევრის დასასრულს.

ძ. აღმოჩნდა 1978 წელს. არქეოლ. სამუშაოები ჩაატარა კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ნამოსახლარს (დიამ. – 50-60 *მ*, სიმ. – 0,5 *მ*) შუაზე ყოფს სადრენაჟო არხი. ძეგლზე ზედაპირულად აიკრიფა თიხის ჭურჭლის ფრაგმენ-

ტები, ობსიდიანისა და რიყის ქვის ანატკეც-ანამტვრევები და იარაღები. აგრეთვე ძვლოვანი მასალა. ჭურჭელი დამზადებულია ხელით, კარგად დაზელილი თიხისაგან, რ-საც შერეული აქვს სილა ან ქვიშა, ზოგჯერ ხვინჭაც. ჭურჭელი კარგადაა გამომწვარი. ფერი მოყვითალო-მოწაბლისფროა ან ლეგამონაცრისფრო, ზედაპირი მოგლუვებულია ხელით და ხშირად სუსტადაა გაპრიალებული. ხშირია ტაფისებრი ჭურჭლის ფრაგმენტები, ჰორიზ. შვერილებითა და პირს ქვემოთ გამჭოლი ხვრელებით. მოპოვებული მასალა მსგავსია წითელგორების (კვირიასწყლის) ნამოსახლარზე აღმოჩენილი მასალისა.

ნამოსახლარის ცენტრში გაიწმინდა არხის სამხრ. ჭრილი (სიგრ. – 15 მ), სადაც დადასტურდა სამი სამ. ორმო. მათგან ორი ორმოს მცირე ნაწილი იყო შემორჩენილი, მესამისგან კი – ნახევარი (დიამ. – 1 მ, სიღრმე – 1,2 მ). ამ უკანასკნელს ჰქონდა მოტკეპნილი იატაკი და სწორი კედლები. აქ მოპოვებული კერამ. მასალა ნამოსახლარის ზედაპირზე აკრეფილი მასალის იდენტურია.

გ. ვარაზაშვილი.


ბიბლ.: 284.

ჭაბუკიანი

(აფენის თემი)

057. ანანაურის გორასამარხები, არქეოლ. ძ. მდებარეობს ალაზნის ველზე, მდ. ალაზნის მარცხ. ნაპირზე. გორასამარხი № 1 და № 2 განეკუთვნება ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევარს - II ათასწლეულის I ნახევარს; სამარხი № 3 – ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებს.

ალაზნის ჭალაში 1989-1990 წლებში კპე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური) აღრიცხა მრავალი გორასამარხი. ზოგიერთი მათგანი კოლოსალური სიდიდისაა (დიამ. – 150 მ, სიმ. – 5 მ). თობლივმა ექსპედიციამ (ორივე დიდი ზომის სამარხებს რიყის ქვის სქელი ჯავშანი ჰქონდა. რიყის ქვა ალაზნის მარცხ. კ. ფიცხელაური, ვ. ორტმანი), № 3 გორასამარხი – 2012 წელს




057. გორასამარხი №3. გეგმა 4,3 მ ნიშნულზე. ჭრილები 1-1, 2-2

სანაპიროზე არსად არ მოიპოვება, სავარაუდოდ იგი სხვა ადგილიდანაა მოზიდული.

ერთ-ერთი გორასამარხი (№1) 1991-1993, 1997, 1999 წლებში შეისწავლა კპე-ის და გერმანიის ქ. ჰალეს მარტინ ლუთერის სახ. უნ-ტის გაერთიანებულმა ექსპედიციამ, № 2 გორასამარხი – 1993 წელს კპე-ის და ზაარლანდის უნ-ტის ერ-საქართველოს ეროვნ. მუზეუმის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. ზ. მახარაძე). გორასამარხები დაზიანებულია გრუნტის წყლებით და მიწის სამუშაოებით.


გორასამარხი №1 შედგებოდა მიწაყრილიანი და ქვისწრიანი ორი გორასამარხისაგან, რ-ებსაც დასაკრძალავი კამერა (კამერა I და II) ცენტრში




057. გორასამარხი №3. დასაკრძალავი კამერა. გეგმა

ჰქონდათ. მოგვიანებით ორივე გორასამარხის ყრილი გაუერთიანებიათ და ქვის ახ. წრით შემოუზღუდავთ (ქვის წრეები დაფიქსირდა რამდენიმე ადგილას გავლებულ, საძიებო თხრილებში). მათ შუაში კი კიდევ ერთი დასაკრძალავი კამერა (კამერა III) გაუმართავთ. ამგვარადაა შექმნილი მოგრძო, ოვალური გორასამარხი, რ-საც საქართველოში ანალოგი არ მოეპოვება.

I და III დასაკრძალავი კამერები მიწაში ამოღებული ორმოებია (6x3,5 მ), რ-იც დამხრობილია დას.-აღმ-ის ხაზზე თხუტმეტგრადუსიანი გადახრით. ორივე კამერა გადახურული ყოფილა ხის ძელებით, იატაკებიც ხით ყოფილა მოგებული. არქეოლ. მასალა



057. გორასამარხი №3. დასაკრძალავი კამერა. ჭრილი 1-1




057. გორასამარხი №3. დასაკრძალავი კამერა. ჭრილი 2-2

ფრაგმენტულადაა შემორჩენილი, რაც სამმა ფაქტორმა განაპირობა: გადახურვის ჩაქცევამ, გრუნტის წყლებმა და სამარხის ძარცვამ. ცუდად იყო შემონახული ადამიანის ჩონჩხის ნაწილებიც. I სამარხში ორი მიცვალებული ყოფილა დაკრძალული, III-ში – ერთი. მიცვალებულები მოხრილ მდგომარეობაში, მარჯვ. გვერდზე ესვენა. I სამარხში აღმოჩნდა ძირითადად დიდი ზომის, სქელკეციანი ჭურჭლის ნატეხები, რვა ცალი ოქროს სფეროსებრი მძივი (ყელსაბამის ნაწილები?). მძივები სხვადასხვა ადგილზე აღმოჩნდა, რაც იმის დასტურია, რომ სამარხი ძველთაგანვე იყო გაძარცული. III სამარხში ძირითადად შავი, კარგად ნაპრიალები, თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები იყო. ამავე სამარხში აღმოჩნდა სქელკეციანი, წითელსარჩულიანი კერამიკის ფრაგმენტებიც, რ-თა ზედაპირი უკეთ არის ნაპრიალები, ვიდრე I სამარხში აღმოჩენილი კერამიკისა. აქვე აღმოჩნდა ოქროს, მილისებრი ფორმის ერთი და სარდიონის რამდენიმე მძივი, ამასთან, ვერცხლის ორი მასიური სამაჯური. მიცვალებულის ხელის ძვლების სიახლოვეს დაფიქსირდა პასტის იოტები.

მიწაში ამოღებულ ოთხკუთხა, კუთხეებმომრგვალებულ, აღმ-იდან დას-ით დამხრობილ ორმოს წარმოადგენდა II დასაკრძალავი კამერა. ამ ად-

გილას შეინიშნება ქვით მოგებული გზის (?) ფრაგმენტი, რ-იც აღმ. მხრიდან უერთდება გორასამარხს. კამეთოს. შეიმჩნევა მტკვარ-არაქსული კერამ. ტრადიციების გავლენაც.

გ ო რ ა ს ა მ ა რ ხ ი № 2 მდებარეობს № 1 გორასამარხის ჩრდ.-დას-ით, 200 მ-ზე. გორასამარხი გარედან მიწაყრილიანი



057. გორასამარხი №3. დასაკრძალავი კამერა. საერთო ხედი აღმ-იდან

რაში ორი მიცვალებული იყო დაკრძალული. გაძარცვის მიუხედავად, სამარხეული ინვენტარი უკეთ იყო წარმოდგენილი. დადასტურდა რამდენიმე მძივი, ორი სასაფეთქლე საკიდი (ანალოგიურია მარტყოფის ეტაპის საკიდებთან) და სარდიონის ერთი რგოლი. ამასთან, როგორც დიდი ზომის, სქელკედლიანი რელიეფური ორნამენტით (სპირალები, კონცენტრული წრეები,ტეხილი ხაზები) შემკული ჭურჭელი, ისე თხელკედლიანი, ნაკაწრორნამენტიანი თასები. თიხის ჭურჭლების ფორმა და ორნამენტი მარტყოფული ეტაპის კერამიკასთან პოულობს საერთო ნიშნებს.

(დიამ. – 40 *მ*, სიმ. – 3 *მ*), შიგნიდან კი ქვაყრილიანი იყო (დიამ. – 3,5 *მ*, სიმ. – 2,5 *მ*). აღმოჩნდა 1992 წელს, მიწის სამუშაოების დროს. ძლიერაა დაზიანებული.

სამარხი კამერა აგებულია ხის ძელებით, მიწის ზედაპირზე. მისი კედლები მიწის სამუშაოების დროს ისე დაზიანებულა, რომ რეკონსტრ. შეუძლებელი გახდა. ხის ძელებით იყო მოგებული იატაკიც, რ-ზეც თიხის ცხრა ჭურჭელი დაფიქსირდა. იატაკის ქვეშ აღმოჩნდა ორმო (სიგრ. – 1 *მ*, სიგ. – 0,5 *მ*, სიღრმე – 0,25 *მ*), რ-შიც გამოვლინდა ფერფლი, დამწვარი ძვლები, ქელსაბამი, რ-ის ძირითადი ნაწილი იყო ცენტრალურამიერკავკასიური ცულის ფორმის ოქროს საკიდი. ამავე ქელსაბამის ნაწილები უნდა იყოს მთის ბროლის წვრილი (80 ცალი), სარდიონის (30 ცალი), ოქროს რამდენიმე მილისებრი მძივი, სამი ორმაგი ვოლუტა – ოქროს მავთულისგან დამზადებული საკიდი. იქვე აღმოჩნდა ვერცხლის პატარა, ცილინდრული და ბირთვისებრი მძივები, რ-თა შიდა ნაწილი ანტიმონის ან ვერცხლის იყო. გარედან მათ ელექტრუმის ფირფიტა ჰქონდათ გადაკრული. გარდა ამისა, ორმოში აღმოჩნდა ოქროს ხუთი პატარა რგოლი, ცოტა უფრო დიდი ზომის ოქროს და ელექტრუმის თითო რგოლი, აგრეთვე ვერცხლის და ოქროს თითო ხვია და თიხის ჭურჭელი. სამარხეული ნივთები ადრინდ. ყორღანული კულტურის მარტყოფის ეტაპის ძეგლების მსგავსია და ეს გორასამარხიც ამ პერიოდით შეიძლება დათარიღდეს.

განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეა გ ო რ ა ს ა მ ა რ ხ ი № 3 (დიამ. – 100 *მ*, სიმ. – 12 *მ*), რ-ის ყრილი ყვითელი თიხით იყო მოზვინული და ჰქონდა რიყის ქვის ჯავშანი (სისქე – 0,5 *მ*). ჯავშანში ობსიდიანის ანატკეცები ერია.


გორასამარხის ცენტრში, ძვ. ზედაპირის დონეზე, დაფიქსირდა ხის დიდი მორებით (დიამ. – 0,3-0,35 *მ*) მოგებული მოედანი (25x15 *მ*). მორები გადაფარული იყო ნაფოტების ფენით. მოედნის ირგვლივ მიწის ზედაპირი ოქრით იყო დაფარული.

მორების ორმაგი ფენით მოგებული მოედანი დასაკრძალავი კამერის გადახურვა იყო, მორების ფენებს შორის კი ჭილოფი იყო ჩაფენილი. გადახურვა (დაახლ. 15x10 *მ*)

057. არქეოლ. არტეფაქტები, ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანები: 1. მძივი, ოთხგანყოფილებიანი (სიგრ. – 1,4 *მ*), ოქრო, გორასამარხი № 1; 2. მძივები, ბიკონუსური, ოქრო, ჩამოსხმული, გორასამარხი № 2; 3. მძივი, კოჭისებრი, ოქრო, გორასამარხი № 1; 4. მძივები, სფერული, მასიური (დიამ. – 0,5-0,7 *სმ*), ოქრო, გორასამარხი № 1; 5. მძივები, კოჭისებრი, ჩამოსხმული, ერთიმეორეზე გადაბმული, ოქრო, გორასამარხი № 2; 6. მძივები, ჩამოსხმული, ცილინდრული, ოქრო, გორასამარხი № 2; 7. საკიდები (მძივსაკიდები), ვერცხლი, დამზადებულია ორი მრგვალგანივკვეთიანი ღეროსგან, რ-ებზეც დახვეულია ოქროს წვრილი მავთული, გორასამარხი № 2; 8. ხვია, ოქრო, მასიური, გორასამარხი № 2; 9. უმბონი, კონუსური, თავზე ბრტყელი კოპით, ოქრო, გორასამარხი № 2; 10. საკიდები, ოქრო, გორასამარხი № 2; 11. რგოლი, კოჭისებრი, ორმაგდარიანი, ოქრო, გორასამარხი № 2. 12. პექტორალი, ორვოლუტისებრი, ბრტყელი, ჭვირული, ოქრო, გორასამარხი № 2; 13. რგოლები, კოჭისებრი, მაღალი კიდეებითა და დარისებრი ჩაღრმავებული შუა ნაწილით, ოქრო, ჩამოსხმულია და ნაჭედი, გორასამარხი № 2


1
2
3
4
5
6
7
8
9
10
11
12
13

ფარავდა ორმოს, რ-შიც ჩადგმული იყო ხის ნაგებობა. დასაკრძალავი კამერა (შიდა ზომები – 9x6,5 *მ*, სიღრმე – 2,75 *მ*) ოდნავი გადახრით ორიენტირებული იყო აღმ-იდან დას-ით. კედლები გარედან, კუთხეებში ჯარგვალურად გადაბმული, მრგვალი მორებით იყო ნაგები, შიგნით – გათლილი, ოთხკუთხა ძელებით. იატაკი ფიცრებით იყო მოგებული, ზედ კი ჭილოფი ეფინა. გადახურვა ეყრდნობოდა სამ სვეტს და



057. გორასამარხი №3. კერამიკის ფრაგმენტები. დასაკრძალავი კამერიდან

ჰორიზონტალურად გადებულ შვიდ ძელს. გადახურვა ჩაქცეული იყო. ჩრდ.-აღმ. ნაწილში გადახურვის ჩაჭრილ მორებს უფრო წვრილი ძელები ეფარა. ძირითადის გარდა, სამარხში კიდევ სხვა მიცვალებული იყო ჩასვენებული.

სამარხი გაძარცული იყო. კამერის ცენტრალურ ნაწილში, აღმ. და დას. კედლებთან, აღმოჩნდა თხრილები, რ-ებიც, როგორც ჩანს, მძარცველებს ეკუთვნოდათ. ძარცვა ორჯერ უნდა მომხდარიყო, სავარაუდოდ გადახურვის ჩაქცევის შემდეგ, რამაც ნაწილობრივ გადაარჩინა კიდეც ინვენტარი.

სამარხში აღმოჩნდა ხის, ორნამენტებით შემკული ორი ოთხთვალა, დასაკრძალავი ეტლი. ერთი – კამერის სამხრ.-დას., მეორე – ჩრდ.-დას. ნაწილში. ეტლები ორიენტირებული იყო აღმ-ით.

კამერის აღმ. კედელთან ორნამენტირებული ორი უღელი იდო. ერთ სამარხში ორი ეტლის ჩატანების ფაქტი მთელ სამხრ. კავკასიაში პირველად ანანაურის № 3 გორასამარხში დაფიქსირდა.

გაძარცულ სამარხში აღმოჩნდა შვიდი ინდივიდის არეული და ნაკლული ჩონჩხი. ერთი მიცვალებულის ნეშტი ეტლის ძარაზე დაფიქსირდა. მეორე – ძარის ქვეშ, იატაკზე. ორი მიცვალებული – კამერის ჩრდ.-აღმ. ნაწილში. ძვლებზე დაფიქსირდა თაფლის კვალი (ბალზამირების ნიშანი?). სამარხში, გარდა ორი ეტლისა, იყო აგრეთვე ხის სავარძელი, სამფეხა ჭურჭელი, ორნამენტირებული კერამიკა, ქაჟის და ობსიდიანის ისრისპირები, ქალცედონის რგოლი, ქსოვილის და ტყავის ნაკეთობები; სარდიონის, შავი ონიქსის, ქარვის მძივები (ყველაზე ადრინდ. კავკასიასა და მთელ ახლო აღმოსავლეთში); ეტლებთან დაკავშირებული, ლითონის დისკოიანი სამი ღერო, ოქროს ოცდასამი ნივთი, სამკაული – მძივები, უმბონები, საკიდები. დიდი რაოდენობით აღმოჩნდა პალეობოტანიკური მასალა – თხილი, წაბლი, რკო და ტყის კენკროვანი მცენარეების ნაყოფები, რაც უნიკალური შემთხვევაა. მოპოვებული მასალის მიხედვით, ანანაურის №3 („დიდი“) გორასამარხი მიეკუთვნება ბედენის არქეოლ. კულტურას.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნულ მუზეუმში.

ზ. მახარაძე, ლ. ჭაბაშვილი.

ბიბლ.: 126; 352; 353; 358.


058. ჰინჭრიანიგორის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით, 6 *კმ*-ზე, მდ. ალაზნის მარცხ. ნაპირზე, ველზე. თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის შუა ხანებით და მეორე ნახევრით. მიეკუთვნება ბედენის არქეოლ. კულტურას.

ძ. 2012 წელს შეისწავლა საქართვ. ეროვნ. მუზეუმის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღ. ზ. მახარაძე).

გორასამარხი მიწაყრილიანია (დიამ. – 55 *მ*, სიმ. – 2,5 *მ*). ბორცვი (დიამ. ყრილის გასწორების გამო ამჟამად 90 *მ*-ია)

058. სამარხი ორმო





058. სამარხი ორმოს (1) და დასაკრძალავი კამერის (2,3) გეგმები

ცენტრალურ ნაწილში გადაჭრილი იყო ტექნიკით. გასულ საუკუნეში თხრილს (სიგ. – 6-7 *მ*, სიღრმე – 3-3,5 *მ*) სასილოსე ორმოდაც იყენებდნენ.

გორასამარხის ყრილი ყვითელი და ნაცრისფერი თიხის ფენებით იყო მოზვინული,რ-შიც დადასტურდა ობსიდიანის ანატკეცებიც. ყრილის ცენტრალურ ნაწილში, ძვ. ზედაპირის დონეზე, აღმოჩნდა მომრგვალებული კუთხეების მქონე სამარხი ორმო (დიამ. – 11 *მ*),რ-იც მიწის ძვ. ზედაპირიდან 8,5 *მ*-ზე (ამჟამინდელი ზედაპირიდან – 11 *მ*) იყო ჩაშვებული. ორმოს ზედა მონაკვეთი 3 *მ*-ზე ამოვსებული იყო ობსიდიანის ანატკეცების შემცველი ნაცრისფერი, მკვრივი თიხით. აქ აღმოჩნდა ირმის რქებიც. შედარებით ქვემოთ დაფიქსირდა გადახურვის ნაშთი (სისქე – 2 *მ*), რ-იც მუხის ძელებით (დიამ. – 20-25 *სმ*) ოთხ ფენად, სამხრ.-ჩრდ-ის და აღმ.-დას-ის მიმართულებით იყო დაწყობილი. ძელების ფენებს შორის გამოვლინდა თიხის ფენები (სისქე – 30 *სმ*).


გადახურვის ქვეშ ორმო ვიწროვდებოდა. ორმოს ცენტრ. ნაწილში, იატაკზე, გამართული იყო ხის ძელებით ნაგები, დასაკრძალავი კამერა (5x3,5 *მ*, კედლების სიმ. – 60 *სმ*),რ-იც ორიენტირებული იყო აღმ.-დას-ის ღერძზე. კამერა ხის ძელებითვე იყო გადახურული. იატაკი მოგებული იყო ფიცრით. კამერის იატაკის ქვეშ გამოვლინდა სამალავი(?) ორმო (დიამ. – 1 *მ*, სიღრმე – 50 *სმ*).

გაძარცულ სამარხში ერთმანეთში იყო არეული ადამიანისა და ცხოველების ძვლები. არეული იყო ინვენტარიც (მრავალფეროვანი კერამ., ბრინჯაოს, ობსიდიანის და კაჟის ისრისპირები; სარდიონის მძივები და საკიდები; მთის ბროლის მძივები და ოქროს ერთი მძივი), რ-იც გამოვლინდა კამერის გადახურვის თავზე,იატაკზე და სამალავ ორმოში.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმში.

ზ. მახარაძე, ბ. მურვანიძე.

ბიბლ.: 127.



058. სამარხი ორმოები (1,2). ჭრილები (1-1) და გეგმები

ჭიაური
(თემის ცენტრი)

059. დამწვარი გორის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით, 1,5 *კმ*-ზე,მდ. კვირიასწყლის მარჯვ. მხარეს გაშლილ, სწორ ველზე, წითელგორებად წოდებულ ადგილში. განეკუთვნება ძვ. წ. IV ათასწლეულის I ნახევრის დასასრულს.

ძ. 1977 წელს აღმოაჩინა და 1978-1981 წლებში გათხ-

არა კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური, რაზმის ხელმძღვ. ვ. ვარაზაშვილი). ნამოსახლარი ბორცვი (დიამ. – 40 *მ*, სიმ. – 1 *მ*) შექმნილია თიხის დამწვარი წიდებისგან და ამიტომაა იგი წითელი ფერის. არქეოლ. გათხრებით გაირკვა, რომ აქ მდგარა სარლასტით ნაგები, თიხით შელესილი, ბოძებზე მდგარი (შემორჩენილია ფრაგმენტები) საკმაოდ დიდი შენობა, რ-იც დამწვარა, მაგრამ როდის – უცნობია. დამწვარი შენობის ადგილზე დარჩენილ ბორცვს, ძვ. წ. I ათასწლეულის I მეოთხედში, მისგან სამხრ.-დას-ით, 300-400 *მ*-ზე მდებარე ნამოსახლარის მოსახლეობა სამაროვნად იყენებდა.სამაროვნისთვის დამახასიათებელია სამარხების სიმჭიდროვე. ხშირ შემთხვევაში ისინი ერთმანეთზე იყო განლაგებული და ერთმანეთს აზიანებდნენ. აქვეა აღსანიშნავი, რომ ბორცვის მიმდებარე ტერიტორიაზე, განსაკუთრებით ჩრდ. და ჩრდ.-აღმ-ით, სადრენაჟო არხის მახლობლად გაყვანილ ჭრილშიც ამავე პერიოდის სამარხები გამოვლინდა.

ნამოსახლარზე, ჰუმუსოვანი ფენის აღების შემდეგ, ყვითელ თიხაზე გამოიკვეთა სამი არხი და თითქმის სამ ათეულამდე სამ. დანიშნულების ორმო (დიამ. – 0,7-დან 1,2 *მ*-მდე, სიღრმე – 0,5 *მ*-იდან 1,3 *მ*-მდე). არხები წრიული ან ელიფსური ფორმისა იყო და სავარაუდოდ სათავდაცვო დანიშნულება ჰქონდა. ველის დონეზე სამივე არხის სიგ. 2 *მ*-ს აღწევს, სიღრმე – 1 *მ*-იდან 1,7 *მ*-დე. ძირი სიღრმისკენ შევიწროებული და მომრგვალებულია. არხებიდან, სამ. ორმოებიდან და კულტ. ფენიდან მოპოვებული მასალა ერთგვაროვანია და ერთ კულტურას განეკუთვნება, რაც ნამოსახლარის ერთფენიანობაზე მიგვითითებს.

ნამოსახლარზე მოპოვებულ მასალაში ჭარბობს კარგად გამომწვარი კერამ. ნაწარმი (ჯამები, ქოთნები), რ-იც დამზადებულია ქვიშანარევი, ზოგჯერ ხვინჭანარევი, მოყვითალო-მოწაბლისფრო, ზოგჯერ მოწითალო, მონაცრისფრო ან ლეგა თიხით. მათი ზედაპირი სველი ხელითაა მოგლუვებული და სუსტადაა ნაპრიალები. დეკორად გამოყენებულია ჰორიზ. შვერილები, კონუსური კოპები ან მეჭეჭისებრი დანაძერწები. აღსანიშნავია ტაფისებრი ჭურჭლის ფრაგმენტების სიუხვე, რ-ებიც შემკობილია ჰორიზ. შვერილებით და პირს ქვემოთ გამჭოლი ხვრელებით. ამ სახის ჭურჭლებს ძირზე კარგად ეტყობა ჭილოფის ანაბეჭდი. ჭილოფის ანაბეჭდი და სპირალური ხვიებით ძირის შემკობა სხვა ჭურჭლის ძირებზეც კარგად შეიმჩნევა. ჭურჭლის პირზე და მხარზე პირველად ჩნდება მარტივად დაძერწილი ყურები.

ქვის მასალიდან ჭარბობს გვიან. ენეოლითისათვის დამახასიათებელი, ობსიდიანზე დამზადებული, თითქმის ყველა სახეობის იარაღი. დადასტურდა კაჟის (ნამგლის ჩასართები), რიყის ქვის (ორმხრივ გახეხილ-გაპრიალებული ცულები და მთელი ხელსაფქვავი თუ მისი ფრაგმენტები), ძვლის (სადგისები) იარაღებიც.

მასალა დაცულია გურჯაანის რეგიონალურ არქეოლ.-ეთნ. საცავში.

ვ. ვარაზაშვილი.

ბიბლ.: 64; 65; 284; 318.

060. მწერლის მიწების ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-აღმ-ით, 7 *კმ*-ზე, მდ. კვირიასწყლის მარჯვ. ნაპირზე, წითელგორების (კვირიასწყლის) ნამოსახლარის სამხრ.-დას-ით, 1 *კმ*-ზე.

ძ. მრავალფენიანია და შეიცავს კულტურულ ფენებს ძვ. წ. IV ათასწლეულის I ნახევრის დასასრულიდან შუა საუკუნეების ჩათვლით.

ძ. აღმოჩნდა 1976 წელს. 1977 წელს კი გათხარა კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური; რაზმის ხელმძღვ. – ვ. ვარაზაშვილი). გაიჭრა ოთხი სადაზვერვო თხრილი.

ნამოსახლარს მცირე შემაღლება აქვს (სიმ. – 0,50 მ, დიამ. – 80-100 მ). ერთ-ერთ, ძეგლის დას. ნაწილში გაჭრილ სადაზვერვო თხრილში კულტ. ფენის სიმძლავრე 1,10 *მ* აღწევდა. ფენები წარმოდგენილი იყო ადრინდ., შუა, გვიანდ. ბრინჯაოს, ანტ. და შუა საუკუნეების მასალებით. სულ ქვედა ფენაში აღმოჩნდა ადრესამიწათმოქმედო პერიოდისათვის დამახასიათებელი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (მასალა ინახება გურჯაანის რეგიონალურ არქეოლ.-ეთნ. საცავში).

ნამოსახლარის არეალში გამოვლინდა რამდენიმე ნამოსახლარი. მათ ზედაპირზე აკრეფილი არტეფაქტები (ისევე როგორც მწერლის მიწების) მსგავსია ჭიაურის ველის ნამოსახლარებზე (დამწვარი გორა, წითელგორა, შავწყალა) აღმოჩენილი არქეოლ. მასალისა.


ვ. ვარაზაშვილი.

ბიბლ.: 65; 284.

061. წითელგორების (კვირიასწყლის) ნამოსახლარები და სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-აღმ-ით, დაახლ. 4 *კმ*-ზე, გზატკეცილის მარცხ. მხარეს, წითელგორებად წოდებულ ადგილში, კვირიასწყლის მთაზე. ნამოსახლარები განეკუთვნება ძვ. წ. IV ათასწლეულის I ნახევრის დასასრულს. სამაროვანი – ძვ. წ. III ათასწლეულს.

ძ. 1977 წელს შეისწავლა ᲘᲐᲔ ინტ-ის კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).


ძეგლის შესწავლას წინ უსწრებდა სოფ. ჭიაურის მინდვრებში სხვადასხვა დროს გარკვეულ პირთა მიერ (ს. თაყაიშვილი, დ. თუშაბრამიშვილი, გრ. ნოზაძე, ტ. ბეჟანიშვილი) არქეოლ. ნივთების აღმოჩენა: შავი ფერის, კარგად გახეხილ-გაპრიალებული რიყის ქვის ორი ცული, ობსიდიანის ანამტვრევ-ანატკეცები, თიხის ჭურჭლის მრავალი ნატეხი.



061. სამარხი № 3. ქვის ანატკეცები

მარხების ჯგუფი ჯერ კიდევ გვიანდ. ბრინჯაოს პერიოდში გაუნადგურებიათ. № 2 ნამოსახლარი კი განადგურდა მდ. კვირიასწყლის კალაპოტის გაწმენდისას.

1976 წელს კაე-მ (ხელმძღ. კ. ფიცხელაური) აღმოაჩინა კიდევ ერთი № 3 ნამოსახლარი – ხელოვნური ბორცვი (დიამ. – 70 მ, სიმ. – 1,5 მ), რ-ის ზედაპირი, გარდა მეოთხედი ნაწილისა, ყოველწლიურად იხვნებოდა, დაზიანებულია სადრენაჟო არხითაც. ნამოსახლარზე, ამონაყარ მიწაში, ზედაპირულად აიკრიფა 80-მდე ერთეული არქეოლ. მასალა: ობსიდიანის ნუკლეუსები, სახოკები, საფხეკები, ნავისებრი ხელსაფქვავი, ბურღი, სწორფუძიანი ორი ისრისპირი, რიყის ქვის გახეხილ-გაპრიალებული ცულები, თიხის მოწაბლისფეროზედაპირიანი, ხელით მოგლუვებული, სუსტად ნაპრიალები, უხეშკეციანი ჭურჭლის ნამტვრევები. ზოგიერთ მათგანს პირზე აქვს ნაჭდევები, შემკულია ჰორიზ. ან კონუსისებრი შვერილებით, ამასთან, ძვლის



061. სამარხი № 3. ძვლის იარაღები


1960 წელს საქართვ. სახელმწ. მუზეუმის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. რ. აბრამიშვილი) დაიწყო ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისა და ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრის გორასამარხების შესწავლა, სადაც ჩნდებოდა ადრესამიწათმოქმედო პერიოდის იარაღ-ანატკეცები. არქეოლ. დ. თუშაბრამიშვილის აზრით, გორასამარხების ყრილში ეს მასალა შემთხვევით უნდა მოხვედრილიყო რომელიმე ამავე პერიოდის სადგომიდან, რ-ის მიწასაც იყენებდნენ სამარხებზე დასაყრელად. ამრიგად, სოფ. ჭიაურის ტერიტორიაზე № 1 ნამოსახლარად წოდებული გარკვეული გორასა-

იარაღები შუაზე გაპობილ, ლულოვან ძვალზე ჩამოყალიბებული რამდენიმე სახვრეტით.

1977 წელს დაიწყო ძეგლის სისტემატური არქეოლ. გათხრები (ფართ. – 153 კვ მ). ბორცვის სამხრ. ნაწილში გამოვლენილ ნამოსახლარზე დადასტურდა ექვსი სამ. და წმინდა ნაცრით სავსე ორი ორმო (პირის დიამ. – 0,4-1 მ, სიღრმე – 0,5-0,8 მ). გარდა ერთი მსხლისებრი ფორმის ორმოსი, ყველა ორმო სწორკედლიანია და შეულესავი. ორმოებში აღმოჩნდა ობსიდიანის, კაჟისა და რიყის ქვის ნუკლეუსები, ნაირგვარი ანატკეც-ანამტვრევები, სახვრეტები, საფხეკ-სახოკები, დანისებრი ლამელები, ისრისპირები, ცულები, ნავისებრი ხელსაფქვავი; ძვლის იარაღები; ლითონის ოთხწახნაგა სადგისი, ბეჭედი; ხელით ნაძერწი, თიხის უხეშკეციანი ჭურჭლის (შემკულობის მიხედვით გამოიყო ექვსი ჯგუფი) ფრაგმენტები და სხვ. მოპოვებული არქეოლ. მასალის მიხედვით, ნამოსახლარი ერთფენიანი იყო.

სამაროვანი თხრილის დას. ნაწილში, 0,9 მ სიღრმეზე გამოვლინდა. დაფიქსირდა ნატეხი ქვებისგან შედგენილი წრე (დიამ. – 1,5 მ), რ-იც სადრენაჟო არხის ნაპირიდან იწყებოდა და გადიოდა სამხრ-ით, ბორცვის გარეთ. ქვის წყობის ასეთივე ნაწილი შემორჩენილი იყო თხრილის ჩრდ.-აღმ. მონაკვეთშიც. წრის (დიამ. – 16 მ) ჩრდ. ნაწილი დაზიანებულია არხის გაყვანის დროს. ქვის წრის ცენტრში აღმოჩნდა ერთმანეთზე განლაგებული ოთხი სამარხი.

№ 1 სამარხის კონტურები ვერ დადგინდა, ძვლებიც ცუდად იყო შენახული. ინვენტარიდან აღსანიშნავია მარმარილოს მსხლისებრი მოყვანილობის, გაპრიალებული ლახტისთავი, ობსიდიანის ქუსლამოღარული ისრისპირები, ალაზან-ბედენური



061. სამარხი № 3. რიყის ქვის იარაღები

ტიპის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

№ 2, № 3 და № 4 სამარხები უინვენტაროა. № 2 სამარხი ორმო (სიგრ. – 1,8 მ, სიგ. – 1,4 მ) აღმ-იდან დას-ით, სიგრძივ იყო დამხრობილი და ჩაჭრილი ჰქონდა № 3 სამარხის სამხრ.-აღმ. კუთხე. სამარხის იატაკზე დადასტურდა ბრტყელი ქვა, რ-ზეც ეწყო მიცვალებულის ძვლების ფრაგმენტები.

№ 3 სამარხის ძირი (2,8x2,15 მ) მოგებული იყო წვრილი და საშ. ზომის რიყის ქვით, რ-ზეც ესვენა მიცვალებული. მსგავსი ქვებით იყო ნაგები სამარხის ჩრდ.-დას. კედელი (სიმ. იატაკიდან – 0,5 მ) და სამხრ,-დას. კედელი (სიმ. იატაკიდან – 0,2 მ). მიცვალებულს (ჩონჩხი ცუდად იყო დაცული) ეკავა სამარხის სამხრ. ნაწილი და თავით სამხრ-ით იყო დამხრობილი.

№ 4 სამარხი (1,4x1,0 მ) მთლიანად № 3 სამარხის ქვეშ იყო მოქცეული. მასში მხოლოდ მიცვალებულის ძვლების მცირე ნაწილი დაფიქსირდა.

№ 3 ნამოსახლარზე მოპოვებულ მასალას პარალელები მოეძებნება არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც.

№ 3 ნამოსახლარის დას-ით, 1 კმ-ის დაშორებით, აღმოჩნდა კიდევ ერთი № 4 ნამოსახლარი (დიამ. 40-50 მ, სიმ. – 1,5 მ). იგი სადრენაჟო არხით იყო გადათხრილი. ნამოსახლარის ზედაპირზე და არხის ფლატეში მცირე რაოდენობით აიკრიფა ადრინდ., შუა და გვიანდ. ბრინჯაოს ხანის მასალა. დადასტურდა აგრეთვე № 3 ნამოსახლარის იდენტური, თიხის ჭურჭლის ნაწარმი.

ვ. ვარაზაშვილი.

ბიბლ.: 65; 178; 284.

062. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით, 1,5-2 კმ-ზე. ამ მიდამოებში ზედაპირულად ოციოდე მიწაყრილიანი გორასამარხი დაფიქსირდა.

ძ. 1960-1961 წლებში შეისწავლა საქართვ. სახელმწ. მუზეუმის არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. რ. აბრამიშვილი). სამაროვანზე გაითხარა

ორი გორასამარხი და ექვსი ორმოსამარხი. ერთი გორასამარხი (დიამ. – 12 *მ*) ძვ. წ. XII საუკუნეს მიეკუთვნება, ხოლო მეორე – უფრო ადრინდელია და ძვ. წ. XIV საუკუნით თარიღდება. ორმოსამარხები კი, რ-ებიც მეორე გორასამარხის ჭრილში გამოვლინდა, II ათასწლეულის დასასრულისა და ძვ. წ. I საუკუნეებისაა.

გორასამარხები ორმოიანია, ინდივიდუალური. მეორე გორასამარხის (დიამ. – 30 *მ*, სიმ. – 0,6 *მ*) დასაკრძალავი ორმოს იატაკი მიწის ამუამინდელი ზედაპირიდან 2,8 *მ* სიღრმეზე გამოვლინდა. ორმოს კუთხეებმომრგვალებული ოთხკუთხედის (6,0x3,2 *მ*) ფორმა ჰქონდა. ორივე გორასამარხში მიცვალებული ესვენა დასაკრძალავი დარბაზის აღმ. ნაწილში მარჯვ. გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით დას-ისკენ. ოღონდ, პირველისგან განსხვავებით, მეორე გორასამარხში მიცვალებული ხის სარეცელზე თუ ეტლზე იყო დასვენებული. ამ სამარხის იატაკზე, რამდენიმე ადგილზე ჭილოფის ანაბეჭდია შემორჩენილი. იატაკი ამ ადგილებში ოქრით წითლადაა შეღებილი, ხოლო სამარხის ცენტრ. ნაწილში – იისფრად.

გორასამარხებში აღმოჩნდა თიხის სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭელი, ბრინჯაოს ნივთები (ორპირალესილი, საჩეხი იარაღი, ფარი, შტანდარტები ირმის სკულპტურული გამოსახულებით, ბეჭდები და სხვ.), სპილენძის ნამგლისფერი მახვილი; სარდიონის, აქატის, პასტის მძივები; მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის თავფეხი.

მეორე გორასამარხის ყრილში გამოვლენილი ექვსი ჩაშვებული ორმოსამარხი ინდივიდუალურია. მათში მიცვალებული ესვენა მარცხ. ან მარჯვ. გვერდზე, მოხრილი კიდურებით, თავით დას-ისკენ. ექვსივე ორმოსამარხში აღმოჩნდა მსხვილკენჭნარევი თიხისაგან დამზადებული, მონაცრისფროდ გამომწვარი, ამოღარული, კონცენტრული ხაზებით შემკული, სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭელი. არის ბრინჯაოს ნივთები (მახათები, ბეჭდები და სხვ.) და წვრილფეხა საქონლის ძვლები. ერთ-ერთ სამარხში კი დადასტურდა ხარის მთლიანი ჩონჩხი.

მ. კალანდაძე, ა. ნუცუბიძე.

ბიბლ.: 184.

ჭრელი საძღარი, იხ. სოფ. ლ ე ლ ი ა ნ ი .

ჭრელი საძღარი, ღ ვ თ ი ს მ შ ო ბ ლ ი ს ე კ ლ ე ს ი ა , იხ. სოფ. ო ნ ა ნ ა უ რ ი.

ხიზაბავრა

(ნინიგორის თემი)

063. ნაეკლესიარი, არქიტ. ძ. მდებარეობს სასაფლაოზე. გეგმა არ იკითხება. ნანგრევების შემორჩენილი, უმნიშვნელო ნაწილით ირკვევა, რომ ეკლ. ნაგები ყოფილა ნატეხი ქვითა და კირის ხსნარით.

ბ. კუპრეიშვილი.

ხოშატიანი

(არეშფერანის თემი)


064. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-ით 400 *მ*-ზე, სასაფლაოზე. თარიღდება XVI საუკუნით. დას-იდან ეკლესიას ეკვრის ორსართულიანი სამრეკლო, რ-იც მასზე მალლევეა მიშენებული.

ადგილ. მოსახლეობა ეკლესიის აშენებას ლეგენდად ქცეულ გმირს, ურჩხულებთან მებრძოლ ხოშატას უკავშირებს. მისი კამაროვანი აკლდამა სამრეკლოს ფარგლებშია მოქცეული.

ეკლ. ნაგებია თანაბარი ზომის რიყის ქვითა და აგურით. კედლები ძირითადად რიყის ქვისაა, რ-შიც ჩართულია აგურის ცალმაგი და ორმაგი შრეები. გარეთა კუთხეები, კარ-სარკმელთა ღიობები, კონსტრ. ელემენტები და ლავგარდანი აგურისაა.

ეკლ. დარბაზულია (7,5x5,0 *მ*), შესასვლელი დას-იდან აქვს, სამრეკლოს პირველი სართულიდან. კარი გარედან მოზრდილი, არც ისე კარგად დამუშავებული ქვით თარაზულად არის გადახურული, შიგნიდან კი ნახევარწრიულთაღოვანია.


ეკლ. დარბაზი თითქმის კვადრ. ფორმისაა (3,9x3,2 *მ*). აღმ-ით მას ერთვის საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდი, რ-იც დარბაზის იატაკის მიმართ ოციოდე *სმ*-ითაა შემაღლებული. აფსიდის ღერძზე გაჭრილია გარეთკენ შევიწროებული, თაღოვანი სარკმელი, რ-ის გვერდებზე თითო სწორკუთხა ნიშაა. აფსიდის ჩრდ. კუთხესთან გვიანდ., აგურით ნაგები კანკელის მცირე ნაწილია შემორჩენილი. აფსიდი გადახურულია წესიერი ფორმ-



064. გეგმა

ის კონქით. კონქის თაღი ნახევარწრიულია. მსგავსი ფორმისაა კამარაც. კამარის შუაში განიერი, საბჯენი თაღია, რ-იც ერთსაფეხურიან პილასტრებზეა გადაყვანილი.

საკურთხევლის სარკმლის გარდა,შიდა სივრცეს კიდევ სამი ქვედა რეგისტრების მოხატულობაც. დარბაზის მოხატულობიდან გრძივ კედლებზე, პირველ რეგისტრში იკითხება „შობის“, „ფერისცვალების“



064. გრძივი ჭრილი. ხედი სამხ-კენ

თაღოვანი სარკმელი აშუქებს. მათგან ერთი – დას. კედელშია – შესასვლელის ზემოთ. თითო-თითო – გრძივი კედლების აღმ. ნაწილში. დას-ით, ეკლესიის ორივე კუთხეში საფეხურია (სიმ. – 40 *სმ*) მოწყობილი, რ-საც წრის მეოთხედის ფორმა აქვს. იატაკზე კვადრ. აგურია მოგებული.

ინტერიერი შელესილი და მ ო ხ ა ტ უ ლ ი ა. მხატვრობა ე.წ. ხალხური მოხატულობების ჯგუფს მიეკუთვნება. მხატვრობა სამ რეგისტრადაა შესრულებული. კონქში გამოსახულია „დეისუსი“ – ტახტზე მჯდომი ქრისტე, რ-საც მარცხ. ხელში წიგნი უჭირავს მარჯვენათი კი აკურთხებს. უფლის აქეთ-იქით გამოსახული ღვთისმშობლისა და მახარებლის ფიგურებისგან მხოლოდ ფრაგმენტებიღაა შემორჩენილი. დაზიანებულია და „ჯვარცმის“ სცენები. ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილში, ქვედა რეგისტრში, საკურთხევლისკენ მიბრუნებული ორი ფიგურის (მამაკაცის და ქალის) ნაწილია შემორჩენილი.

ეკლესიის ფასადები სადაა. კედლები დასრულებულია მაღალი, ექვსსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-იც ჩვეულებრივად დაწყობილი და კუთხით წინწამოწეული აგურის რიგების მონაცვლეობითაა შედგენილი. ეკლ. დაბურულია ღარისებრი კრამიტით.

ს ა მ რ ე კ ლ ო ორსართულიანია. მისი პირველი სართული (სიგრ. – 5,2 *მ*, სიგ. – 4,7 *მ*), რ-იც ეკლესიის კარიბჭის დანიშნულებას ასრულებს, რიყის ქვისა და აგურის შერეული წყობითაა ამოყვანილი. მეორე სართული კი, საკუთრივ ფანჩატური – მთლიანად აგურისაა. სამრეკლოს პირველი სართულის კედლები მეტი სიმტკიცისათვის, მიწის დონეზე, ხის ძელების სარტყლით იყო შეკრული. ჩრდ-ითა და დას-ით სართული ხის ძელებით თარაზულად გადახურული თითო ღიობითაა გახსნილი. ეკლესიას კი აღმ. კედელში მოწყობილი განიერი (სიგ. – 1,8 *მ*) გასასვლელით უკავშირდება. ეს კედელი სართულის დანარჩენ კედლებზე ორჯერ უფრო სქელია (სისქე – 1,5 *მ*). გარედან მის თავზე ფანჩატურზე ასასვლელი კიბეა მოწყობილი. სართულის დას. კედელში თაღოვანი

064. ხედი ჩრდ.-დას-იდან





064. ეკლესიის ინტერიერი. დას. კედელი

სარკმელია. იატაკის ცენტრ. ნაწილში კი აგურით გამოყვანილი აკლდამაა, შესასვლელით დას. მხრიდან. აკლდამის კამარის ზურგის მნიშვნელოვანი ნაწილი იატაკს ზემოთ არის დეკორატ. თვალსაზრისით, აგურის ხერხულა წყობით არის გამოყვანილი.

სამრეკლოს მეორე სართული რვაწახნაგა, ზემოთკენ ოდნავ შევიწროებული ფანჩატურია, რ-ის წახნაგებში თითო შეისრულთაღოვანი ღიობია. ფანჩატურის კორპუსისგან განსხვავებით, ღიობები პირიქით, ქვემოთკენ არის შევიწროებული, რაც თავისებურ კონტრასტს ქმნის. გარედან, თითოეული ღიობის თაღი მოქცეულია საფეხურით შეღრმავებულ, სწორკუთხა არეში. ყოველი თაღის წვერში კი ცისფრად მოჭიქული თითო აგურია ჩასმული. აგურები ფასადზე ფერადოვან ლაქებს ქმნის. დეკორაც. ეფექტის ამაღლების მიზნით, შეღრმავებული არეების თავზე, წყობაში, ჯგუფად ჩასმულია ვერტიკალურად დაყენებული ოთხ-ოთხი აგური. ფანჩატური დასრულებულია ოთხსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-იც შედგება აგურის ჩვეულებრივი და ხერხულა წყობით



064. ეკლესიის ინტერიერი. კამარის სამხრ. გვერდის დას. ნაწილის მოხატულობა. დეტალი

დარჩენილი. სართული გადახურულია რიყის ქვით ნაწყობი, ცილინდრული კამარით, რ-ის ღერძი ეკლესიის კამარის ღერძის ხაზზეა. კამარის ქუსლი კედლის სიბრტყის მიმართ ათიოდე *სმ*-ითაა გადმოშვერილი და საფეხურს ქმნის, რ-იც გამოყვანილი რიგების მონაცვლეობით. ფანჩატური გადახურულია აგურის პირამიდისებრი სახურავით.

2015 წელს, საქართვ. ისტორ. ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით, ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტის ავტორი არქ. ნ. მინდორაშვილი). სახურავი გათავისუფლდა მცენარეული საფარისგან; აღდგა ეკლესიის კედლების დაზიანებული ნაწილები და ლავგარდანი, სამრეკლოს პირველი სართულის შესასვლელების გადახურვა, დამონტაჟდა ხის ორი ორფრთიანი კარი, ეკლ. გადაიხურა კრამიტით.



064. ეკლესიის ინტერიერი. კამარის ჩრდ. გვერდის დას. ნაწილის მოხატულობა

თ. დვალი, ქ. დიღმელაშვილი.

ჯვრის ეკლესია, იხ. სოფ. ფ ო ნ ა.

ჰერეთისკარი
(ჭიაურის თემი)

065. სასახლე, არქიტ. ძ. მდებარეობდა სოფლის სამხრ.-დას. ნაწილში. აგებული იყო XIX საუკუნის მიწურულს. ეკუთვნოდა თავად ჩოლოყაშვილებს.


სასახლე (42,2x40,5 *მ*) ორსართულიანი იყო. ამჟამად დანგრეულია. იგი ერთხანს სკოლად გამოიყენებოდა, რის გამოც შიგნით თავდაპირველი სახე მნიშვნელოვნად ჰქონდა შეცვ-

ლილი: სკოლის საჭიროებისათვის ოთახები რამდენიმე ნაწილად გადაუტიხრავთ, აივნები გადაუკეთებიათ, სარდაფები გაუუქმებიათ და სხვ.

შესასვლელები სამხრ-იდან, დას-იდან და ჩრდ-იდან ჰქონდა. სახლის გეგმის კომპოზიციურ ცენტრს წარმოადგენდა სამმარშიანი, ფართო კიბის უჯრედი, რ-ის გარშემოც ოთახები იყო განლაგებული. შენობას სამხრ.-აღმ. კუთხეში ოთხკუთხასვეტებიანი აივანი ჰქონდა მოწყობილი. აივანი ორ ოთახს უკავშირდებოდა – ჩრდ-ით მდებარე, თითქმის კვადრატულ, ერკერიან ოთახს (8x7 მ) და დას-ით მდებარე, უფრო დიდ, წაგრძელებულ საზეიმო დარბაზს (5,7x12,2 მ), რ-ის ჭერის დიდი ნაწილი ხის საფეხუროვანი პლაფონით იყო გაფორმებული. დარბაზის სამხრ. კედელში ხუთი სარკმელი იყო გაჭრილი, დას-ისაში – ორი, რ-თა შორის ერთი (ჩრდ-ით მდებარე) მოგვიანებით შესასვლელად გადაუკეთებიათ. დარბაზის ჩრდ. კედელში გაჭრილი იყო სამი კარი. ერთი მათგანი გადიოდა მომიჯნავე ოთახში, მეორე – კიბის უჯრედში, ხოლო მესამე – ერკერიან დარბაზში. ეს უკანასკნელი სამი სარკმლით ნათდებოდა. მათგან ერთი, თავად ერკერის გარეთა კედელში იყო გაჭრილი, დანარჩენი ორი – მის ორივე მხარეს. ერკერიანი ოთახიდან ერთი კარი მომიჯნავე ოთახში გადიოდა, ხოლო მეორე – გრძელ დერეფანში, რ-ის ბოლოში გაჭრილი კარი ღია ტერასაზე გადიოდა.

სასახლის ჩრდ. შესასვლელით წინკარში ვხვდებოდით, რ-იც მოქცეული იყო დიდ და მცირე ოთახებს შორის. ეს იყო შედარებით მეტი ფართობის, საზეიმო იერის მქონე სადარბაზო შესასვლელი – ვესტიბული. წინკარიდან ვხვდებოდით როგორც მომიჯნავე ოთახებში, ისე დერეფანში, რ-იც შენობის ჩრდ-ის რიგის სადგომებს შუა რიგის სადგომებთან აკავშირებდა. კორიდორშივე გამოდიოდა სამმარშიანი კიბე. კიბეს ცალკე უჯრედი ჰქონდა გამოყოფილი და ხაზგასმულად საზეიმო იყო.

სასახლის გასათბობად ბუხრებს იყენებდნენ. პირველ სართულზე სამი ბუხარი იყო მოწყობილი – ორი ერკერიან დარბაზში, ერთი – ჩრდ.-დას. ოთახში. ბუხრების საცეცხლურები მოწყობილი იყო არა ოთახებში, არამედ ოთახების გარე მხრიდან –




065. I სართულის გეგმა

065. ჭრილი I-I



დერეფნიდან, წინკარიდან ან კიბის უჯრედიდან.

სასახლის მეორე სართულის სამხრ. ნაწილი სამ მხარეს გახსნილ, ბოძებიან აივანს ეკავა. ამ სართულზე ოთახები კიბის უჯრედის მხოლოდ სამ მხარეს გახსნილ, ბოძებიან აივანს ეკავა. ამ სართულზე ოთახები კიბის უჯრედის მხოლოდ სამ



065. აღმ. ფასადი

(აღმ., დას. და ჩრდ.) მხარეს იყო განლაგებული. მათგან აღმ. და დას. მხარეს – თითო ჩრდ. მხარეს კი – ორი. მათი შესასვლელები გამოდიოდა უშუალოდ კიბის ბაქანზე. დას. ოთახს მთელ სიგრძეზე, ხის კოჭებზე გამართული აივანი გასდევდა.


სახლი ზომითა და ხასიათით სოლიდურ შთაბეჭდილებას ტოვებდა. იგი კარგად იყო დაცული. ფასადის მხატვრული გააზრება მაღალი დონისა იყო. ფასადები, უმნიშვნელო დეტალების გამოკლებით, უცვლელად ინახავდა პირვანდელ სახეს. მათი დამუშავების ძირითადი საშუალებები იყო გლუვი და რუსტირებული სიბრტყეების დაპირისპირება. პირველ სართულში რუსტირებული იყო და არა მარტო აივნის ბოძები, არამედ კედლების დიდი ნაწილიც. მეორე სართულზე კი როგორც აივნის ბოძები, ისე კუთხეები. პროფილები, კარ-სარკმელთა მორთულობა, კლასიკური რეპერტუარიდან, XIX საუკუნის ინტერპრეტაციით იყო აღებული.

შენობის აღმ. ფასადზე შუა, ორსართულიანი ნაწილი საგანგებოდ იყო გამოყოფილი პილასტრისებრი, რუსტირებული შვერილებით და მაღალი, კბილანებიანი ლავგარდნით დასრულებული, სამკუთხა ფრონტონით. შენობის ქვედა ხუროთმოძღვრული დეტალი – ლავგარდანი, სარკმლების მორთულობა, პილასტრების და აივნების სვეტების ბაზები და დამაგვირგვინებელი კაპიტელები, ისევე როგორც ცალკეული დეტალები, ახლოს იყო იმ დროს მტკიცედ შემუშავებულ, აპრობირებულ ნიმუშებთან. ყველა სარკმელი მშვილდისებრი თაღით სრულდეოდა. სარკმლების ნაწილი კი სწორკუთხა საპირეში იყო ჩასმული, რ-იც ზემოთ საგანგებო ლავგარდნით იყო დაგვირგვინებული.


სასახლე ხის ნივნივებზე გამართული, კრამიტის სახურავით იყო გადახურული.

თ. დვალი.

სიღნაღის მუნიციპალიტეტი



- დასახლებული პუნქტი, სადაც არის ისტორიის და კულტურის ძეგლი



ტიბაანი. სტეფანწმინდის მონასტერი. (II.148). წმ. სტეფანეს ეკლესია. ხედი სამხრ.-იდან



სიღნაღის მუნიციპალიტეტი, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული აღმოსავლეთ საქართველოში. 1917 წლამდე ახლანდელი სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორია თბილისის გუბერნიაში შედიოდა და სიღნაღის მაზრა ეწოდებოდა. 1921 წლის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით ისევ სიღნაღის მაზრაა. 1928 წელს – კახეთის მაზრაშია, 1929 წელს – კახეთის ოლქში. 1930 წლიდან დამოუკიდებელი რაიონია. 2014 წლის აღწერით მოსახლეობის რაოდენობა 43 570 ათასი კაცია, უპირატესად ცხოვრობენ ქართველები, მცირე რაოდენობით – რუსები, სომხები და სხვა. განსახლების ზონა ვრცელდება ზ. დ. 300-800 *მ* ფარგლებში. ფართობი 1251,7 *კმ²*-ია.

სიღნაღის მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი და აზერბაიჯანის რესპუბლიკა (საინგილოს რეგიონი), სამხრეთით და აღმოსავლეთით – დედოფლისწყაროს, დასავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით – გურჯაანისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტები. მუნიციპალიტეტის ცენტრია ქ. სიღნაღი. სიღნაღის მუნიციპალიტეტში შედის 2 ქალაქი (სიღნაღი, წნორი) და 19 სოფელი (ანაგა, ბოდბისხევი, ერისიმედი, ვაქირი, ზემო ბოდბე, ზემო მაღარო, ილიაწმინდა, მაშნაარი, ნუკრიანი, საქობო, ტიბაანი, ქვემო ბოდბე, ქვემო მაღარო, ქვემო მაჩხაანი, ყარაღაჯი, ძველი ანაგა, ხირსა, ხორნაბუჯი, ჯუგაანი). მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს თემის 12 საკრებულო.

სიღნაღის მუნიციპალიტეტის ჩრდილოეთი ნაწილი, გომბორის ქედიდან ალაზნამდე, უჭირავს ალაზნის ვაკეს. ვაკის ზედაპირზე, აქა-იქ, ამართულია 3-6 *მ* შეფარდებითი სიმაღლის გორაკები: ანაგისგორა, თარაღასგორა, ნამორისგორა, რუსისგორა და სხვ. (ისინი ძვ. წ. IV-II ათასწლეულების ნამოსახლარებია). ვაკის რელიეფი გართულებულია აგრეთვე გამოზიდვის კონუსებში ჩაჭრილი, მცირე სიღრმის, ეროზიული ფორმებით. სიღნაღის მუნიციპალიტეტში შედის გომბორის ქედის მცირე მონაკვეთი, რომლის ქედის სამხრეთ-დასავლეთი კალთა დამრეცია, დასერილია მშრალი ხევებით და თანდათანობით გადადის ივრის ზეგანში. ჩრდილო-აღმოსავლეთი კალთა შედარებით ციცაბოდ ეშვება ალაზნის ვაკისაკენ. ამ მშრალი ხევების გარდა, შეინიშნება მეწყრებიც. მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დიდი ნაწილი უკავია ივრის ზეგანს. წიაღისეულიდან აღსანიშნავია ნავთობი (ჩათმის საბადო).

სიღნაღის მუნიციპალიტეტი ზომიერად ნოტიო სუბტროპიკული ჰავის ოლქშია. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა 11°-იდან 13,40°-მდეა. ნალექების მაქსიმუმი გაზაფხულსა და ზაფხულის დასაწყისშია.

მუნიციპალიტეტის მდინარეთა ქსელს ქმნის იორი, ალაზანი და პერიოდული ხასიათის რამდენიმე მდინარე. მდინარე იორი, რომელსაც მთელ სიგრძეზე კარგად გამოხატული მეანდრეები აქვს, კვეთს ივრის ზეგანს სამხრეთ ნაწილში. მას მარცხნიდან შეერთვის მდ. ოლე, მარჯვნიდან – მშრალი ღელე ალანდარის ხევი. ასეთივე ღელეებია გომბორის ქედის სამხრეთ-დასავლეთ კალთაზე, მაგრამ ისინი მდ. ივრამდე ვერ აღწევენ. მდ. ალაზანი, მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთით ჩამოუდის. მისი პერიოდული შენაკადებია: მდინარეები ოლე და დიდი ოლე. მნიშვნელოვანი ჰიდროლოგიური ობიექტია ალაზნის არხი. გომბორის კალთაზე არის მშრალი ხევები, რომლებშიც ძლიერი წვიმების დროს წყალი მიედინება, ზოგჯერ წარმოიქმნება ღვარცოფებიც. ივრის ზეგანზე, ჩათმის

ტაფობში, მდებარეობს ყაჯირის მლაშე ტბა. გაზაფხულისა და ზაფხულის დასაწყისის გარდა, წელიწადის სხვა დროს მუნიციპალიტეტის მდინარეები წყალმცირეა.

მუნიციპალიტეტის ფარგლებში, ალაზნის ვაკეზე, ტყესტეპის გარდამავალი ზოლის შავმიწისებრი, ალუვიურ-კარბონატული და მდელოს კარბონატული ნიადაგებია. დიდი ფართობი უკავია ბიცობიან და ღრმად დამლაშებულ ნიადაგებს. გომბორის ქედის კალთებსა და მთისწინეთში გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს ტყეთა ქვედა სარტყლის ყავისფერი და, მცირედ, ტყის ყომრალი ნიადაგები. ივრის ზეგანზე განვითარებულია მცირე და საშუალო სისქის შავმიწები და წაბლა ნიადაგები დამლაშებული და ბიცობიანი ნიადაგების კომპლექსით. მუნიციპალიტეტის ნიადაგები ნოყიერია და მორწყვის პირობებში უხვ მოსავალს იძლევა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორია, გარდა ივრისპირებისა, ათვისებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის. ბუნებრივი მცენარეულობა (ძირითადად მეორეული) დაუმუშავებელ ადგილებშია. ალაზნის ვაკეზე გაბატონებულია ჯაგეკლიანი სტეპი ტყის ელემენტებით. ვაკის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში უროიანი და ძეძვიანი სტეპი მორიგეობით ცვლის ერთმანეთს. გომბორის ქედზე შემორჩენილია ტყეები. ძირითადი ჯიშებია მუხა და რცხილა. მთისწინეთში ტყესტეპია ძეძვის, ჯაგრცხილისა და სხვა სახეობის ბუჩქნარით. ივრის ზეგანზე აუთვისებელი ფართობი უკავია ვაციწვერიან და უროიან სტეპებს, სადაც ჯაგეკლიანი ბუჩქნარია. ზეგნის სამხრეთ ნაწილში გავრცელებულია ნახევარუდაბნოთა მცენარეები (აშანი, ყარღანი, ჩარანი, ხურხუმო). აქა-იქ არის ნათელი ტყეები (აკაკი, ღვია, ქართული ნეკერჩხალი და სხვ.) და კლდეთა ქსეროფიტული მცენარეულობა. მდ. ალაზნისა და განსაკუთრებით მდ. ივრის სანაპიროზე შემორჩენილია ჭალის ტყეები (ჭალის ვერხვი, ჭალის მუხა, თელა, წნორი და სხვ.), სადაც ბევრია კუნელი, ძეძვი, კოწახური, და სხვადასხვა ლიანები.

ცხოველებიდან სიღნაღის მუნიციპალიტეტში გავრცელებულია: მგელი, მელა, ტურა, თეთრყელა კვერნა, მაჩვი, დედოფალა, ბევრია კურდღელი. მდინარისპირებში არის ლელიანის კატა. ჭალის ტყეებში, უფრო – ივრისპირას – გარეული ღორი, აქა-იქ ზოლებიანი აფთარი. მრავლადაა მღრღნელები. ფრინველებიდან გავრცელებულია: კაკაბი, ხოხობი, გნოლი, მწყერი, შაშვი, ყვავი, კაჭკაჭი, გარეული მტრედი და სხვ. მდინარეებში მრავალნაირი თევზია: ქაშაყი, მტკვრის ტობი, ხრამული, მურწა, ფრიტა, თაღლითა, მტკვრის წვერა, ციმორი, ჭანარი და სხვ.

სოფლის მეურნეობის წამყვანი დარგებია მევენახეობა-მეღვინეობა და სახორცე-სარძეო მიმართულების მეცხოველეობა. მოჰყავთ ხორბალი, ქერი, მზესუმზირა და სიმინდი. ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურაა ვაზი (უმთავრესად გაშენებულია: რქაწითელი, საფერავი, კახური მწვანე, ციცქა). მეცხოველეობაში ჭარბობს მსხვილფეხა რქოსანი საქონელი. განვითარებულია აგრეთვე მეფრინველეობა, მეფუტკრეობა. XX საუკუნის 90-იან წლებამდე სიღნაღის მუნიციპალიტეტში ღვინის 8 ქარხანა მოქმედებდა. ამჟამად ფუნქციონირებს წნორის სათავო ქარხანა და კომპანია „ხოხბის ცრემლები“.

მრეწველობის მთავარი დარგია კვების მრეწველობა. მოქმედებს პურპროდუქტების, ხორცის, რძის, თევზის პროდუქტების, მზესუმზირის ზეთის დამამზადებელი საწარმოები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის სარკინიგზო ხაზები (თბილისი-კაჭრეთი-დედოფლისწყარო და თბილისი-გურჯაანი-წნორი) და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზები (თბილისი-საგარეჯო-სიღნაღი-ლაგოდეხი-აზერბაიჯანის საზღვარი, სიღნაღი-გურჯაანი და სიღნაღი-წნორი-დედოფლისწყარო). ადგილობრივი გზების სიგრძეა 317 *კმ*.

ისტორიულად სიღნაღის მუნიციპალიტეტი ცნობილი იყო ხალხური რეწვით. განვითარებული იყო: მენაბდეობა, მეხალიჩეობა, ოქრომჭედლობა, ქსოვა, მეთუნეობა, დიბვა-ტყავის დამზადება და სხვ. XVIII საუკუნის შუა წლებში სიღნაღის მუნიციპალიტეტში 200 სახელოსნო და საამქრო მოქმედებდა, 80-იანი წლებისათვის კი მათი რიცხვი 500-ს აღემატებოდა.

ამჟამად მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში ფუნქციონირებს: ხის დამამუშავებელი საამქროები, არიან ხეზე და ქვაზე კვეთის ოსტატები, ამზადებენ ხალხურ საკრავებს, კახურ ქუდებს, მისდევენ მეთუნეობას, წნავენ სიმინდის ფუჩეჩს, გრეხენ თოკებს, აწარმოებენ „ჭიამაიას“ ტიკებს, მოქმედებს თექის სახელოსნო, გავრცელებულია ჭედურობა, ქსოვა, ქარგვა.

მუნიციპალიტეტში არის საჯარო, სამუსიკო, სპორტული, სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებები, სიღნაღის, წნორის საქალაქო და სასოფლო ბიბლიოთეკები, კულტურის სახლები, თეატრი, კინოთეატრი „სიღნაღი“, სახლ-მუზეუმები.

მუნიციპალიტეტში ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება 14 ამბულატორია, 2 პოლიკლინიკა, 2 საავადმყოფო, ქალაქების სიღნაღისა და წნორის გადაუდებელი სასწრაფო დახმარება, წნორის კერძო სამშობიარო სახლი და ბავშვთა საავადმყოფო.

სიღნაღის მუნიციპალიტეტი მდიდარია კულტურული მემკვიდრეობის, როგორც ეროვნუ-

ლი, ისე ადგილობრივი მნიშვნელობის არაერთი ძეგლით. მრავალ საცხოვრებელ სახლს აქვს მინიჭებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

არსებობს ცნობები, რომ სიღნაღსა და მის მაზრაში ყოველწლიურად იმართებოდა ბერიკაობა და ყეენობა. XX საუკუნის 30-იანი წლებიდან მუნიციპალიტეტში აღნიშნავენ იროდიონობას, სოლომონობას, ვანოობას; წლის განმავლობაში ტარდება ღვინის, ხალხური რეწვის, შემოქმედებისა და კულინარიის ფესტივალები, რომელსაც მუნიციპალიტეტი თავისი ხარჯებითა და რესურსებით ატარებს: აგვისტოში – „საზამთროს“, სექტემბერში – „ღვინის“, ხოლო ოქტომბერში – „ხალხური რეწვისა და კულინარიის“. მუნიციპალიტეტში შექმნილია ფოლკლორული ანსამბლები: „ანაგის უხუცესები“ (1934-1984 წწ.), „მრავალჟამიერი“ (XX საუკუნის 60-იანი წლები), რომელიც დღემდე მოქმედებს.

სიღნაღის მუნიციპალიტეტიდან არიან სასიქადულო სასულიერო და საზოგადო მოღვაწეები, მათ შორის: თეოლოგი, ფილოსოფოსი და მქადაგებელი იონა ხელაშვილი, ფსიქიატრი და ნეირომორფოლოგი ავლიპი ზურაბაშვილი, მომღერალი ვანო სარაჯიშვილი, მწერალი სანდრო შანშიაშვილი, მხატვარი, სომხური რეალისტური ფერწერის მამამთავარი გიორგი (გევორქ) ბაშინჯაღიანი, კომპოზიტორები: სანდრო მირიანაშვილი და ბიძინა კვერნაძე, მომღერალი მერი ნაკაშიძე და სხვ.

მუნიციპალიტეტში არაერთი ღირსშესანიშნავი ისტორიული და ხუროთმოძღვრული ძეგლია: ბოდბის წმ. ნინოსა და ხირსის წმ. სტეფანეს მონასტრები, ვაქირის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, სიღნაღის ციხე და ა. შ.


001. სიღნაღი, ქალაქი, მუნიციპალიტეტის ცენტრი. გაშენებულია გომბორის ქედის სამხრეთ-აღმოსავლეთ კალთებზე. ზ. დ. 790 *მ*-ზე, თბილისიდან 113 *კმ*-ზე, წნორიდან (უახლოესი რკ. გზ. სადგ.) 6 *კმ*-ზე, ფართობი 2965 *ჰა*, 2014 წლის აღწერის მონაცემებით მოსახლეობის რაოდენობა 2480 კაცია.


1975 წლის მთავრობის დადგენილებით ქ. სიღნაღს ქალაქ-მუზეუმის სტატუსი მიენიჭა.

ქალაქზე გადის რესპუბლიკური მნიშვნელობის გზები: თბილისი-სიღნაღი-ლაგოდეხი – აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი; სიღნაღი-გურჯაანი და სიღნაღი-წნორი-დედოფლისწყარო.

სიღნაღის მუნიციპალიტეტისა და ქ. სიღნაღის ტერიტორიაზე ადამიანის ცხოვრების

001. ძველი სიღნაღი. ქალაქის ხედი სამხრ-იდან. XIX ს-ის I ნახევრის ნახატი






001. ქალაქ სიღნაღის გეგმა. XIX საუკუნის დასაწყისი

კვალი უძველესი დროიდან დასტურდება (ქვის ხანის სადგომები, ალაზნის ველის მრავალფენიანი გორანამოსახლარები, ადრინდელი ბრინჯაოს ხანის სამარხები, ე. წ. წნორის ყორღანი, რომელშიც ლომის ოქროს ქანდაკება აღმოჩნდა და სხვ.). აღმოჩენილი ნუმიზმატიკური მასალა (დემეტრე I-ის, გიორგი III-ის, თამარის, გიორგი IV-ის ილდეგიზიდთა მონეტები) მოწმობს, რომ ის ტერიტორია, სადაც ქ. სიღნაღი მდებარეობს XII-XIII საუკუნეებში საკმაოდ მჭიდროდ იყო დასახლებული.

ანტიკურ და ადრინდელ შუა საუკუნეებში კახეთის ამ



001. ძველი სიღნაღის ერთ-ერთი კუთხე. ჰ. კლერგეტის ნახატი (კარლა სერენას ფოტოს მიხედვით). XIX ს-ის II ნახევარი.

ნაწილს კამბეჩოვანი ერქვა. კამბეჩოვნის შესახებ წერენ ქართველი მემატიანეები: ჯუანშერი, სუმბატ დავითის ძე, ლეონტი მროველი, თამარის ანონიმი ისტორიკოსი, ჟამთააღმწერელი და სხვ. აგრეთვე ბერძენი, სომეხი და არაბი ავტორები. ანტიკური ხანის ბერძენი ისტორიკოსები კამბეჩოვანს „კამბისენედ“ მოიხსენიებენ. მ. ბროსეს, ივ. ჯავახიშვილისა და ს. კაკაბაძის მიხედვით, „კამბისენე“ იგივე კამბეჩოვანია. XV საუკუნიდან კამბეჩოვანს ქიზიყი დაერქვა. კამბეჩოვანი (ქიზიყი) სამი სახელმწიფოს – იბერიის (ქართლის), ალბანეთის და სომხეთის ურთიერთსასაზღვრო ტერიტორია იყო. აქ გადიოდა ამ სახელმწიფოთა დამაკავშირებელი გზები. მხარე მდიდარი იყო ეკონომიკური განვითარებისათვის საჭირო ბუნებრივი რესურსებით, ამიტომ აქ იკვეთებოდა ამიერკავკასიის სახელმწიფოთა სტრატეგიული, ეკონომიკური და კულტურული ინტერესები. კამბეჩოვნის ეკონომიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი ციხე-ქალაქი ხორნაბუჯი იყო. ხორნაბუჯის დაცემის შემდეგ ცენტრმა ქიზიყში გადაინაცვლა. ამ დროს ქიზიყი მხოლოდ პუნქტის სახელწოდებაა. XV საუკუნიდან კი ეს ტოპონიმი მთელი მხრის – კამბეჩოვნის სახელწოდებად იქცა.



001. ქალაქის ხედი სამხრ-იდან



001. ქალაქის ერთ-ერთი კუთხე

უძველესი წყარო, სადაც გეოგრაფიული სახელი „ქიზიყი“ გვხვდება, არის XV საუკუნის ხელნაწერი, ე. წ. „ასურელ მამათა“ ცხოვრების ვრცელი რედაქცია. ქიზიყი მოიხსენიება აგრეთვე ქართული სამართლის ძეგლში „განგება დარბაზობისა“. კახეთის მეფის თეიმურაზ I-ის კარზე 1641-1643 წლებში მყოფი რუსეთის ელჩობის მიერ წარდგენილ ანგარიშში, კახეთის მნიშვნელოვან დასახლებულ პუნქტებს შორის ქიზიყიცაა მოხსენიებული. ქიზიყს იხსენიებს ბაგრატ ბაგრატიონი თხზულებაში „ახალი მოთხრობა“. ქიზიყს, როგორც კონკრეტულ დასახლებულ პუნქტს, რამდენჯერმე იხსენიებენ ომან ხერხეულიძე და პაპუნა ორბელიანი.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით: „საქუაბე-ასანურამდე არს ადგილი ქისიყისა, რომელი მოხუევია მთასა, ცივის მთიდან ჩამოსულსა. ამას ეწოდა პირველ კამბეჩოვანი, კამბეჩთა სიმრავლისათჳს, შემდგომად ქისიყი“. ვახუშტისავე მიხედვით: „და უძეს ქისიყს აღმოსავლით ველი შირაქი ალაზნამდე; სამჴრით – უფადარი და წინამინდორი ხორანთა-იორამდე; ჩდილოთ მთა ჰერეთისა. ხოლო მზღვრის აღმოსავლით ალაზანი; დასავლით ლაკბის ჴევი და ხაზი მისი იორამდე გასული; სამჴრით იორი ანუ მტკუარი; ჩდილოთ მთა ცივისა, კარდანეხსა და ქისიყს შორისი, და ხაზი ასანურ-საქუაბეს შორის გასული ალაზნამდე.“ ვახუშტი ქიზიყელებს ასე ახასიათებს: „კაცნი მბრძოლნი, მჭნენი, ახოვანნი, შემმართებელნი, მაგარნი, მიმყოლნი ურთიერთთა.“

10-12 ვერსზე, ჰქონდათ ყანები და საძოვრები და ლეკები ხშირად იტაცებდნენ პირუტყვს და ხალხს ტყვედ მიერეკებოდნენ. აქ ჩანდა პატარა მრგვალი და ოთხკუთხი მოედნები და მიწაყრილები, სადაც მცხოვრებნი აფარებდნენ თავს და პირუტყვს, როცა დროზე შეამჩნევდნენ მძარცველებს, და მამაცად იცავდნენ თავს. მკაცრად დადგენილი წესის თანახმად, ყოველი ქიზიყელი მიიჩქარის თავისი თოფით იქ, საიდანაც ესმის სროლის ხმა და, ამ ღონისძიების წყალობით, ლეკები მათ უფრო იშვიათად ესხმიან თავს, ვიდრე მათ მეზობლებს ქართლში. არც ისე იშვიათად ცდილობენ ქიზიყელები აინაზღაურონ დანაკლისი ხალხისა და პირუტყვისა; ამიტომ ისინიც ესხმიან თავს მათ მეზობლად მდებარე ლეკურ რაიონს ჭარს და მოაქვთ ყველაფერი, რასაც მოახელთებენ. ასე მაგ., 1772 წლის ზამთარში



001. დავით აღმაშენებლის მოედანი

გერმანელი მეცნიერი და მოგზაური იოჰან გიულდენშტედტი, რომელიც მეფე ერეკლე II-სთან ერთად, ქიზიყში 1772 წელს იმყოფებოდა აღნიშნავს, რომ ქიზიყის „სოფლებს თავიანთი საცხოვრებლებიდან მათ ლეკებისგან გადმორეკეს 30 000 ცხვარი.“

სიღნაღი თურქული წარმოშობის სიტყვაა და თავშესაფარს, სიმაგრეს, სანგარს ნიშნავს. ეს სახელი XVIII საუკუნის I ნახევრის წერილ-

ობით წყაროებში არაერთგზის იხსენიება, თუმცა სიღნაღი ჯერ კიდევ არ იყო ქალაქი. ამ სტატუსით იგი წყაროებში XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოიხსენიება, კერძოდ 1770 წლიდან, როცა ერეკლე II-მ აქ ციხესიმაგრე ააგო.



001. თამარ მეფის ქუჩა

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით, ბოდბის „ეკლესიის ჩრდილოთ, კარგა მოშორვებით, არს ქალაქი სიღნაღი, რომელი აღაშენა მეფემან ქართლისა და კახეთისამან ირაკლი მეორემან, ძემან ცხებულის მეფის თეიმურაზისამან, რომლისა ზღუდე მოავლო მაღალთა გორათა ზედა ფრიად ვრცლად, რომელ დაეტევის სრულიად ქისყი დედა-წულითურთ, გარნა უწყლო. ამ სიღნაღს დასავლით და ჩრდილოთ აქვს ჭევი ანაგისა, გამომდინარე მისვე მთისაგან, აღმოსავლით ვაქირი, მაშრაანი და სამხრით ნუკრიანი და წმიდის ნინას ეკლესია.“

სიღნაღი სამეფო ქალაქი იყო. მას განაგებდა ქიზიყის მოურავი. 1770 წლის აღწერით აქ 100 კომლი ცხოვრობდა, უმეტესად სომხები, რომლებმაც როგორც გაზეთი „Кавказ“-ი წერდა, შეითვისეს ქართული ენა, ცხოვრების წესი და შეიძლება ითქვას, რომ გაქართველდნენ.

სიღნაღი თავიდანვე ჩამოყალიბდა როგორც ვაჭარ-ხელოსანთა ქალაქი. ფეოდალური არისტოკრატია და მსხვილი ვაჭრები მოსახლეობის მხოლოდ მცირე რაოდენობას შეადგენდა, ამიტომ აქ არ იყო მათი კუთვნილი ქარვასლები და სავაჭრო მოედნები. ბაზარს ქმნიდა წვრილი დუქნების მწკრივი. დუქნები წარმოადგენდა როგორც სავაჭრო, ისე სახელოსნო, ხშირად საცხოვრებელ ნაგებობებსაც.

სიღნაღი თანდათან გაიზარდა და XIX საუკუნის დამდეგისათვის აღმოსავლეთ საქართველოში ხელოსნური წარმოების და ვაჭრობის ძლიერ ცენტრად იქცა. 1802 წლის აღწერით სიღნაღში უკვე 1000 სული ცხოვრობდა. ფუნქციონირებდა ოსტატ-ხელოსანთა 30-მდე გაერთიანება (ამქარი). ხელოსნური წარმოების 20-მდე სხვადასხვა დარგი არსებობდა და მწარმოებლებს ქალაქში 180-მდე დუქანი ეკავათ. ქალაქის სხვადასხვა პროფილის სახელოსნოებში, პროფესიულ-ამქრულ ორგანიზაციებში გაერთიანებული და დასაქმებული იყო სხვადასხვა ეროვნების 200-მდე ოსტატ-ხელოსანი. ყველა ამქარს (დერეციკების, დაბაღების, მეთულუხჩეების, მეჭურჭლეების, მჭედლების, ხარაზების და სხვ.) თავისი დროშა, გერბი და წესდება ჰქონდა. ამქარს სათავეში უსტაბაში ედგა, რომელსაც ორი მოადგილე ჰყავდა: არსაკალი და იგიდბაში (შიკრიკი). ქალაქში იყო საბაჟო, სასტუმრო ქარვასლა, ღვინის მარნები, აგურისა და ტყავის ქარხნები, „ლინეიკების“ არტელი, და სხვ.



001. ვახტანგ გორგასლის ქუჩა

ვაჭრობდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, ღვინით, არყით, სახელოსნოებში დამზადებული ტყავისა და ქსოვი-

ლის ნაწარმით, თიხისა და ხის ჭურჭლით, საიუველირო ნაკეთობებითა და იარაღით, რკინისა და სპილენძის ნაწარმით და სხვ. ამ მრავალფეროვნებას გულისხმობს სიღნაღისა და ქიზიყის მიტროპოლიტის იოანე მაყაშვილის (1743-1837 წწ.) მიერ 1837 წელს შედგენილი ანდერძი, რომელშიც ნათქვამია: „თუ რამე შემოგაკლდეთ ისიც სიღნაღიდან იყიდეთ“.



001. ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩა

XIX საუკუნის შუა ხანებში სიღნაღში 230 ადგილობრივი და 20 უცხოელი ვაჭარი ცხოვრობდა.

ბაზარი ისტორიულად სიღნაღის ზემო მოედანზე (ახლანდელი კინოთეატრის წინ) იყო გამართული. ბაზრობაზე ვაჭრობდნენ როგორც ცოცხალი პირუტყვით,ისე მეცხოველეობის პროდუქტებით. ერბო-ყველით განთქმული იყო ნუკრიანი,ბოდბე და მაღარო. ყველი მოჰქონდათ თუშეთიდანაც თიხის წვრილი წითელი ჭურჭელი – ბოდბისხევიდან,კაკაბეთიდან და თელავიდან. აგური და კრამიტი – ნუკრიანიდან, მატყლი – თუშეთიდან, ალვანიდან. ფარდაგები და ნაბდები – დაღესტნიდან და ქისტეთიდან. სავაჭროდ მოდიოდნენ როგორც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, ისე დაღესტნიდან, ბელაქნიდან, ნუხიდან და სხვ.

სომეხი მემუარისტი არტემ არარატელი, რომელმაც XVIII საუკუნის მიწურულს სიღნაღში საკმაოდ დიდი დრო გაატარა, წერდა: „ეს ქალაქი დაღესტანს ესაზღვრება, მთაზეა გაშენებული, ბევრია ვაზი და ნაყოფის მომცემი ხეები, აქვეა ერთი დიდი ქართული მონასტერი და ციხე“.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და საქართველოში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, ქართლ-კახეთი მაზრებად დაიყო. ერთ-ერთი ადმინისტრაციული ერთეულის – სიღნაღის მაზრის ცენტრი ქ. სიღნაღი გახდა. სიღნაღის მაზრაში შედიოდა ბაკურციხის, ქოდალოს, მაჩხაანისა და შირაქის საპოლიციო უბნები. ჭარ-ბელაქანთან და დაღესტანთან მოსაზღვრეობის გამო, სიღნაღის მაზრას განსაკუთრებული სტრატეგიული მნიშვნელობა მიენიჭა. ამიტომ, კავკასიის მთავარმართებლის გადაწყვეტილებით, მაზრაში რუსეთის იმპერიის 44-ე ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკი განთავსდა, რომელსაც რეგიონის დაცვა დაევალა.

ქ. სიღნაღის შესახებ მრავალი მნიშვნელოვანი ცნობაა დაცული XIX საუკუნის ქართულ პერიოდიკაში. კახეთის 1812 წლის აჯანყების ჩასაქრობად სიღნაღში გამაგრებული



001. შოთა რუსთაველის ქუჩა

სამთავრობო ძალები აჯანყებულებმა ორდღიანი ბრძოლის შემდეგ სასტიკად დაამარცხეს და ქალაქი აიღეს.



001. თამარ მეფის ქუჩა

1818 წელს სიღნაღში გაიხსნა სასულიერო სასწავლებელი, სადაც სწავლობდა ცნობილი ფილოსოფოსი, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი სოლომონ დოდაშვილი. 1880 წლისათვის სიღნაღში ფუნქციონირებდა სასწავლებელი, რომელსაც სამი მოსამზადებელი კლასი ჰქონდა. სკოლის გამგე და მასწავლებელი იყო ივანე ჯავახიშვილის მამა – ალექსანდრე.

XIX საუკუნის ოციან წლებში ქიზიყში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში დიდი წვლილი შეიტანა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სიღნაღის განყოფილებამ. იმდროინდელი ქართული პრესის მიხედვით, სწორედ მისი თაოსნობით სიღნაღში დაისვა წიგნის მაღაზიის, სამკითხველოსა და ბიბლიოთეკის დაარსების საკითხი, რაც გადაწყდა კიდეც.

XIX საუკუნის ბოლოსათვის სიღნაღში ფეხს იკიდებს ქალაქური ყოფისათვის დამახასიათებელი ქართული თუ აღმოსავლური სამუსიკო დასები, იქმნება სამუსიკო სალონები, იმართება სალონური სადამოები, სადაც ინტელექტუალური ელიტა იკრიბებოდა. შეიქმნა მოძრავი, თეატრალური დასი.

თეატრალურ ცხოვრებას სიღნაღსა და მის ახლომახლო სოფლებში დიდი ხნის ისტორია აქვს. არსებობს ცნობები, რომ სიღნაღსა და მის მაზრაში, პროფესიული თეატრის ჩამოყალიბებამდე დიდი ხნით ადრე, იმართებოდა ქართ. ხალხური თეატრის მასობრივი სანახაობები – ბერიკაობა და ყეენობა. 1872 წლის 19 აგვისტოს სიღნაღში გაიმართა პირველი ოფიციალური, თეატრალური წარმოდგენა.

1875 წელს გაზეთი „დროება“ წერდა: „სიღნაღის ბულვარზე... დაატარებდნენ რუსულად დაწერილ აფიშას, რომელიც გვამცნობდა, რომ 3 აგვისტოს იქნება ლიტერატურული საღამო, რომელიც დაიწყო გალობით. იოსებ და ნინო ანდრონიკაშვილის შვილებმა დაუკრეს ფორტეპიანოზე და სკრიპკაზე, შ. ნაცვლიშვილმა და თამარა ანდრონიკაშვილმა წაიკითხეს ლექსები. ბილეთები წინასწარ ყოფილა გაყიდული.“

1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში სიღნაღში მოეწყო ანტისამთავრობო გამოსვლები: 1905 წლის 9 თებერვალს სამოქალაქო სასწავლებლის მოსწავლეები გაიფიცნენ. მათ სხვა სასწავლებლის მოსწავლეებიც შეუერთდნენ. გაფიცულთა მთავარი მოთხოვნები იყო: კრების, სიტყვის, პრესის თავისუფლება, სწავლება ქართულ ენაზე.

1905 წლის 23 ოქტომბერს სიღნაღში ჩატარდა ქ. სიღნაღისა და ახლომახლო სოფლების მცხოვრებთა მიტინგი, რომელიც დემონსტრაციაში გადაიზარდა. დემონსტრანტებმა წამოაყე-



001. ცოტნე დადიანის ქუჩა



001. ქალაქის ერთ-ერთი კუთხე

ნეს პოლიტიკური ლოზუნგები: „ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს დემოკრატიულ რესპუბლიკას!“

1906 წლის 3 იანვარს სიღნაღში საგაფიცვო კომიტეტმა მოუწოდა მუშებს ებრძოლათ 8 საათიანი სამუშაო დღის მოსაპოვებლად.

1912-1917 წლებში სიღნაღში გამოდიოდა ქართული ყოველდღიური სამეურნეო და ლიტერატურული სახალხო გაზეთი „ხმა კახეთისა“ (რედაქტორ-გამომცემელი კ. ტყავაძე). გაზეთი იბეჭდებოდა დიდი ფორმატის ქაღალდზე, 4 გვერდზე. სულ გამოვიდა 250 ნომერი. გაზეთში ქვეყნდებოდა წერილები და სხვა ინფორმაციები პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სასოფლო-სამეურნეო, ისტორიულ, ლიტერატურულ და საყოფაცხოვრებო საკითხებზე, იბეჭდებოდა მხატვრული ნაწარმოებები. თანამშრომლობდნენ ვაჟა-ფშაველა,ა. შანშიაშვილი,ს. ფაშალიშვილი და სხვ. 1914 წელს თეთრ აბრეშუმზე დაბეჭდილმა გაზეთმა,პარიზის საერთაშორისო გამოფენაზე,დიპლომი დაიმსახურა. გაზეთის ეგზემპლარები სანქტ-პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკაშია დაცული.

1917 წლის 26 აპრილს შეიქმნა მუშათა დეპუტატების საბჭო. 1920 წლის 2 ივნისს შედგა კომიტეტების სამაზრო ყრილობა. ყრილობაზე აირჩიეს სამაზრო კომიტეტის ბიურო.

XX საუკუნის დასაწყისში სიღნაღში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები მოღვაწეობდნენ. რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიამ 1919 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების არჩევნებში, ხმების უმრავლესობა სიღნაღის მაზრის ამომრჩევლებისაგან მიიღო. ამ პარტიის ერთ-ერთი ლიდერი იყო თეატრალური მოღვაწე ალექსანდრე (სანდრო) ახმეტელი. სიღნაღსა და სიღნაღის მაზრაში საქმიანობდა სოციალ-დემოკრატიული, სოციალ-ფედერალისტური და სომხური „დაშნაკცუთიუნის“ პარტიებიც. „დაშნაკცუთიუნის“ პარტიიდან საქართველოს დამფუძნებელი კრების ერთ-ერთი დეპუტატი – გარეგინ ტერსტეფანიანი სიღნაღის მოქალაქე იყო.

გლეხობის პროტესტის გამომხატველები იყვნენ ქიზიყელი სახალხო გმირები: „ქიზიყელი არსენა“ მიხა ჭუჭულაშვილი, ლადო ოზაშვილი, შაქრო ბასილაშვილი და მათი მიმდევრები – „ტყის ძმები“.

1920-იან წლებში ქალაქში დამკვიდრდა საღამოობით სეირნობის ტრადიცია, რომელსაც „გრანდიოზული საღამოები“ ერქვა. ეს საღამოები ბულვარში იმართებოდა. იყო სიმღერები, ცეკვები, უკრავდა სასულე ორკესტრი.

XX საუკუნის პირველ ნახევარში კახეთი არქეოლოგიური კვლევა-ძიების მიღმა იყო დარჩენილი. მართალია, აქ ქართული არქეოლოგიის ერთ-ერთმა ფუძემდებლებმა – გიორგი ნიორაძემ და სტეფანე მენთეშაშვილმა, მცირე გათხრითი



001. მერაბ კოსტავას ქუჩა

სამუშაოები ჩაატარეს, მაგრამ ეს არ იყო წინასწარ შემუშავებული სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის ნაწილი და ისინი



001. ვანო სარაჯიშვილის ქუჩა

მხოლოდ შემთხვევით აღმოჩენილი, თითო-ოროლა არქეოლოგიური ძეგლის გამოკვლევით შემოიფარგლნენ.

XX საუკუნის სამოციან წლებში კი, როდესაც განისაზღვრა იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალის უდიდესი მნიშვნელობა საქართველოს უძველესი წარსულის შესწავლისათვის, ჩამოყალიბდა მხარის არქეოლოგიური ძეგლების კვლევის პროგრამა. 1960 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტთან პროფ. ალ. კალანდაძის ინიციატივით, შეიქმნა კახეთში მომუშავე არქეოლოგთა ჯგუფი (ხელმძღვანელი კ. ფიცხელაური), რომელიც 1965 წლიდან კახეთის დამოუკიდებელ, არქეოლოგიურ ექსპედიციად გაფორმდა.

ექსპედიციის საქმიანობის შედეგად, კახეთში გამოვლინდა და სიღრმისეულად იქნა გამოკვლეული ყველა არქეოლოგიური ეპოქის ძეგლი, რომელთა შესწავლის საფუძველზეც, კავკასიის მასშტაბით, ახლებურად იქნა გააზრებული მრავალი უმნიშვნელოვანესი პრობლემა.

იორ-ალაზნის აუზში, ქართველ კოლეგებთან ერთად, სხვადასხვა პერიოდის ძეგლებზე, თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებდა – ზაარბრიუკენის უნივერსიტეტი, ჰალეს მარტინ ლუთერის უნივერსიტეტი, ტიუბინგენის ებერჰარდ კარლის უნივერსიტეტი და გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ევრაზიის განყოფილება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციისა (ხელმძღ. კ. ფიცხელაური) და მსოფლიოში ცნობილი ტროას ექსპედიციის (ხელმძღ. მ. კორფმანი) ერთობლივი სამუშაოები, რომელიც ერთ ათეულ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა.

არქეოლოგიური სამუშაოებისათვის მყარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად და რეგიონში მოპოვებული მასალისათვის უდაბნოში მოეწყო არქეოლოგიური მუზეუმი და საცავი. სიღნაღში კი, ბოდბის მონასტერთან, დაარსდა კახეთის არქეოლოგიური მუზეუმი ვრცელი, საექსპოზიციო დარბაზებით, მასალის კამერალური დამუშავებისათვის აუცილებელი ლაბორატორიებით და თანამედროვე დონეზე აღჭურვილი, სამხარეო არქეოლოგიური საცავით. კახეთის ცენტრალურ, სამეცნიერო უჯრედს სიღნაღის არქეოლოგიური ბაზა წარმოადგენდა, რომელმაც 2006 წლამდე იარსება.

1975 წელს საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით სიღნაღს მიენიჭა ქალაქ-მუზეუმის სტატუსი და იგი კულტურის ძეგლთა დაცვის ზონად გამოცხადდა. წინასაპროექტო კვლევითი სამუშაოების საფუძველზე შეიქმნა ქ. სიღნაღის რეაბილიტაციის პროგრამა, რომლის კონცეფცია საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ფონდმა შეიმუშავა. მანვე ითავა სამუშაოთა კოორდინაცია და ზედამხედველობა.

1948-1952 წლებში საქართველოს „სახმშენმა“, კახეთში შემორჩენილი ისტორიული საცხოვრებელი სახლების საყურადღებო ნიმუშების გამოვლენის და შესწავლის მიზნით, თელავში, სიღნაღში, ყვარელში, ენისელსა და შილდაში მოაწყო რამდენიმე ექსპედიცია (ხელმძღვ. ივ. ჩხენკელი). მათგან ქ. სიღნაღში აზომვითი სამუშაოები ჩაუტარდა ორ ათეულამდე ობიექტს, მომზადდა მათი არქიტექტურული ნახაზები (მასალები ინახება საქართველოს ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში).

1980-იან წლებში ᲘᲙᲑᲫ დაცვისა და გამოყენების მთ. სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სამართველოს საპროექტო ბიუროს მიერ ჩატარდა წინასაპროექტო საძიებო-საკვლევი სამუშაოები, რის საფუძველზეც დამუშავდა რამდენიმე სახლის რესტავრაცია-ადაპტაციის პროექტი.

2005 წელს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაკვეთით,



001. ქალაქის ერთ-ერთი კუთხე

ხუროთმოძღვრული ძეგლის ნიშნის მქონე ნაგებობების გამოვლენის და აღრიცხვის მიზნით, ჩატარდა სპეციალური სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები (ლ. ანდრონიკაშვილი, დ. გივიშვილი, ქ. მიქელაძე), რის შედეგადაც შედგა ექვს ათეულზე მეტი საცხოვრ. სახლის სააღრიცხვო ბარათი.

2007 წელს რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდმა წინასაპროექტო კვლევითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ, დაიწყო ქალაქის რეაბილიტაციის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელება, რომელზეც მუშაობდა არქიტექტორთა რამდენიმე ჯგუფი (ხელმძღვანელები: გ. გოგოლაშვილი,გ. გეგელია, დ. გივიშვილი, ნ. ბაგრატიონი). სამუშაოებს კოორდინაციას უწევდა არქიტექტორი ვ. ორბელაძე.

XIX საუკუნის სახლების უმრავლესობას შენარჩუნებული ჰქონდა კახური არქიტექტურისათვის დამახასიათებელი სახე, ე. წ. სიღნაღური ელემენტებით, რაც რეკონოსტრუქციის პროცესში სრულყოფილად იქნა დაცული. გადაკეთდა მხოლოდ საბჭოთა პერიოდის უსახური შენობები და ქალაქის სახის საერთო კონცეფციიდან გამომდინარე, მათ „სიღნაღური“ იერი მიეცა.

არქიტექტურული სამუშაოების გარდა, ქალაქში განხორციელდა მიწისქვეშა და მიწისზედა ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო პროექტები. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ქალაქის კეთილმოწყობის ელემენტებს. დაიდგა მცირე ზომის ქანდაკებები (ავტორი. გ. ჯაფარიძე).

ძირითადი არქიტექტურული პროექტების გარდა, რომლებიც სახელმწიფოს დაკვეთით შესრულდა, სიღნაღში ბევრი კერძო ინვესტიციაც ჩაიდო.

სიღნაღის რეაბილიტაციის I ეტაპის პროექტმა და მისმა რეალიზაციამ 2007 წლის საერთაშორისო კონკურსზე ლაურეატობა მოიპოვა.

ქალაქს ინდუსტრიული მიმართულება არა აქვს. დღეს მას კულტურულ-ტურისტული ნიშა უკავია.

სიღნაღში არსებულ კულტურულ-ისტორიულ მემკვიდრეობასთან თანაარსებობს ტურიზმისათვის საჭირო თანამედროვე ობიექტები: სასტუმროები, მცირე ზომის სასტუმრო დაწესებულებები – ე. წ. „გესტ ჰაუსები“, რესტორნები, ღვინის სადეგუსტაციო მარანი და ეთნოგრაფიული ეზოები, ქართული ხალიჩებისა და თექის შარფების დამამზადებელი სახელოსნოები და სხვ.

ქალაქში არის სამუსიკო სკოლა, საქალაქო და საბავშვო ბიბლიოთეკები, საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, სოლომონ დოდაშვილის, სანდრო მირიანაშვილის და ვანო სარაჯიშვილის მემორიალური მუზეუმები, თეატრი; მარნები და ეთნოგრაფიული ეზოები – სიღნაღის ეთნოპარკი, ღვინის მარანი „ხოხბის ცრემ-



001. ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩის ერთ-ერთი მონაკვეთი

ლები“; რეკრეაციული სივრცეები („ბებრების ბაღი“, სიღნაღის ბულვარი, თავგატეხილის წყარო, „სიყვარულის ბაღი“, ვანოს პარკი). შემორჩენილია ძეგლის სტატუსის მქონე 62 საცხოვრებელი სახლი.

სიღნაღში დაიდგა მემორიალური კულტურისა და მონუმენტური ხელოვნების არაერთი ძეგლი (სოლომონ დოდაშვილის ძეგლი, ცხრა აპრილის მონუმენტი, შალვა მჭედლიშვილის მცირე სკულპტურა, სამამულო ომის მონაწილეთა მემორიალი, ვანო სარაჯიშვილის ძეგლი, სანდრო ახმეტელის ბარელიეფი, შადრევანი, „ქალი ქოლგით“, „ურემი“, „ქიმი ვირზე“). ქალაქში რეგულარულად ტარდება ფესტივალები (ღვინის ფესტივალი, „ქიზიყობა“, „ვანოობა“).

სიღნაღი იყო ქართველი მხატვრების: ე. ახვლედიანის, ს. მაისაშვილის, კ. სანაძის ტილოების შთაგონების წყარო. ეს უძველესი ქალაქი ტილოზე აღბეჭდეს აგრეთვე ჰოლანდიელმა ფან დოლერმა, ფრანგმა დიუბუა დე მონპერემ, გერმანელმა ვ. დენეკმა, რუსმა გ. გაგარინმა, სომეხმა გ. ბაშინჯაღიანმა.

გ. გეგეჭკორი, ლ. მოწონელიძე, ქ. ფიცხელაური.

ბიბლ.: 2, 10, 11, 14, 15, 17, 18, 19, 38, 39, 40, 42ბ, 50, 67, 72, 74, 76, 77, 81, 83, 131, 135, 142, 145, 149, 151, 158, 161, 166დ.ე, 293, 211, 212, 216, 244, 251გ, 295, 297, 300, 346.

002. ბოდბის მონასტერი, წმ. ნინოს სახელობის დედათა მონასტერი, სამონასტრო კომპლექსი, არქიტ., ისტ., ძ. მდებარეობს სიღნაღიდან სამხრ.-აღმ-ით, 2 კმ-ზე. მონასტრის სიახლოვეს ძველად სოფ. ქედელი მდებარეობდა, რ-ის სახელი დღეს მივიწყებულია.

კომპლექსში შედის: წმ. გიორგის სახელობის სამნავიანი ბაზილიკა, რ-შიც ჩართულია წმ. ნინოს ეგვტერი, სამრეკლო, სამსართულიანი შენობა, გალავანი და დამხმარე ნაგებობანი.

კომპლექსში შემავალი ნაგებობები სხვადასხვა პერიოდს განეკუთვნება. წმ. ნინოს ეგვტერი V საუკუნით თარიღდება, ბაზილიკა – VII-IX საუკუნეებით, ბაზილიკაზე დას-იდან მიშენებული ნართექსი – XI-XII საუკუნეებით, სამრეკლო, სამსართულიანი შენობა და დამხმარე ნაგებობები კი XIX საუკუნეშია აგებული.

ძეგლის შესახებ არაერთ მკვლევარს გამოუთქვამს თავისი აზრი. მაგალითად პ. იოსელიანი თვლის, რომ ბოდბის ეკლ. აგებულია ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის მირიან III-ის (ქართლის მეფე IV საუკუნის I ნახევარში) მიერ, ქართველთა განმანათლებლის წმ. ნინოს სიცოცხლეშივე. ამ მოსაზრებას იზიარებენ დ. ბაქრაძე და ა. მურავიოვი. დ. ფურცელაძის მიხედვით, მირიანის ძეს ბაქარს (364-384 წწ.) წმ. ნინოს დაკრძალვის ადგილზე ხის ეკლ. აუგია, რ-იც V საუკუნეში დამწვარა. ვახტანგ გორგასალს



002. საერთო ხედი სამხრ-იდან. დმ. ერმაკოვის ფოტო. XIX ს-ის მიწურული

002. წმ. გიორგის ეკლესია და სამრეკლო. ხედი სამხრ. დას-იდან. დმ. ერმაკოვის ფოტო. XIX ს-ის მიწურული






002. საერთო ხედი დას-იდან

წირვა-ლოცვა რუსულ ენაზე აღევლინებოდა. 1892 წელს გაზეთი „ივერია“ წერდა, რომ ცნობილ მგალობელს გრიგოლ კარბელაშვილს ბოდბეში დიაკვნებისთვის მოწყობილი ჰქონია სკოლა, სადაც ისწავლებოდა ქართ. საგალობლები, ხოლო „ახლა იმის მაგიერ არსებობს აქ ქალთა სასწავლებელი, სადაც მოლოზნები ასწავლიან ქალებს რუსულად და ამზადებენ სამონოზნოდ“.

წმ. ნინოს სამისიონერო მოღვაწეობის მარშრუტის, მისი გარდაცვალების ადგილისა და საფლავის მდებარეობის შესახებ ქართულ სამეცნ. ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებები არსებობს.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ის მიხედვით, წმ. ნინო კუხეთის ბოდისშია დაკრძალული: „...დავმარხეთ ყოვლადვე ღუაწლით შემოსილი გუამი მისი დიდითა პატივითა და დიდებითა ბოდს შინა, დაბასა კოხეთისასას“. წმ. ნინოს დაკრძალვის ადგილად კუხეთის ბოდისს ასახელებს ასევე ქართლის ცხოვრების ანა დედოფლისეული ნუსხაც: „მუნ მოვიდეს და დამარხეს ძლევით შემოსილი გუამი მისი ადგილსავე ზედა კუხეთს,



002. წმ. გიორგის ეკლესია. გეგმა

(დაახლ. V საუკუნის 40-იანი წწ. - 502 წ.) მის ადგილას აუშენებია ქვის ეკლ., რ-იც მიწისძვრის შედეგად, VIII საუკუნეში დანგრეულა. გადარჩენილა მხოლოდ სამხრ. ეგვტერი, რ-შიც წირვა-ლოცვა მიმდინარეობდა. მკვლევარი ფიქრობს, რომ ახლანდ. ტაძარი XI საუკუნეშია აგებული, მეფე გიორგი I-ის (1014-1027 წწ.) დროს. ამ მოსაზრებას იზიარებს ალ. ხახანაშვილი. მისივე ცნობით, ბოდბელ მიტროპოლიტს იოანეს სამხრ. და ჩრდ. მხრიდან ეკლესიისთვის კარიბჭეები მიუშენებია, განუახლებია სახურავი, მასზე ხის გუმბათი დაუდგამს და ეკლ. გარედან შეუთეთრებია. იგი იმასაც გვამცნობს, რომ დაბასა ბოდისასა“. ისტორი-

1889 წლის შემდეგ ტაძარში ულ წყაროებზე დაყრდნობით

ს. კაკაბაძე თვლის, რომ სოფ. ნინოწმინდას (საგარეჯოს მუნიციპ-ი) ძველად ბოდისი ერქვა და მან ეს სახელი ნინოს გარდაცვალების ადგილს მირიან მეფის მიერ VI საუკუნეში აგებული ტაძრისაგან მიიღო. ე. ი. მისი აზრით, ბოდბე იგივე ქრისტიანიზებული ნინოწმინდაა. ამ ვერსიას იზიარებენ მკვლევრები: ბ. მჭედლიშვილი, ზ. კიკნაძე, თ. მირზაშვილი და სხვ.



002. წმ. გიორგის ეკლესია. ხედი დას-ოდან

„ქართლის ცხოვრების“ არაერთ ხელნაწერში დაბა ბოდი ჰერეთის ფარგლებშია. ვახუშტი ბაგრატიონი ბოდას ჰერეთის ბოდბესთან აიგივებს: „ხორნაბუჯის დასავლით არს ბოდბის ჭევი, პირველ წოდებული ბოდა, გამომდინარე ცივის მთისა; ... ამ ჭევსა ზედა არს ბოდბეს ეკლესია გუმბათიანი, დიდშენი, შუენიერი. აქ მიიცვალა წმიდა ნინო და დაეფლა აქავე. აღაშენა და შეამკო საფლავი მისი და ეკლესია კ˜ე მეფემან ბაქარ. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ქისიყისა და ვიდრე კონდოლამდე, აქუს სასპასპეტო დროშაცა, და არიან სადროშონი მისნი ქისიყით კონდოლამდე, ... ბოდბელი არს პირველი ეპისკოპოზი კახეთისა, პატივისათჳს წმიდის ნინოსა.“

წმ. ნინოს გარდაცვალების ადგილად იოანე ბაგრატიონიც ბოდბეს მიიჩნევს. ამ აზრს იზიარებენ ივ. ჯავახიშვილი, გ. ჩუბინაშვილი და დ. მუსხელიშვილი. ამ უკანასკნელის აზრით, ტოპონიმი ბოდბე ახ. წ. I საუკუნეში უკვე არსებობდა, იგი ქართლის სამეფოში შედიოდა და ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო და კულტ. ცენტრი იყო. ბოდბე ყოველთვის დაბად მოიხსენიება, რაც დ. მუსხელიშვილის აზრით ამ პუნქტის არქაულობის მაჩვენებელია და მის უძველეს წარმოშობას უნდა ადასტურებდეს.

წმ. ნინოს დასნეულების, გარდაცვალების და დაკრძალვის ადგილად ჯ. ლომაშვილი და ვლ. აბრამიშვილი ფშავში მდებარე სოფ. ბოდავს მიიჩნევენ, სადაც წმ. ნინომ ქრისტიანობა უქადაგა ფხოველებს. ისინი ფიქრობდნენ, რომ წმ. ნინოს ნეშთი ბოდავიდან სოფ. ბოდბეში VI საუკუნეში გადმოასვენეს და ამ სოფლის სახელწოდებაც ბოდავისაგან წარმოიქმნა. მათი თქმით იგი მეორე ბოდს ნიშნავს.

ლ. მირიანაშვილის აზრით კი, სახელწოდება ბოდე ბოდავისაგან დამოუკიდებლად წარმოიშვა და მკვლევართა არგუმენტებსაც წმ. ნინოს ნეშთის ივრის ხეობაში არსებულ ბოდავიდან თუ ნინოწმინდის ადგილზე მდებარე ბოდისიდან ბოდბეში გადმოსვენების შესახებ, იგი არადამაჯერებლად მიიჩნევს. მემატიანეთა მიერ ბოდი-ს (ბოდბეს) ჰერეთში, ხან კახეთში და ხან კი კუხეთში მოხსენიებას მკვლევარი ქვეყანაში იმ დროს შექმნილ ვითარებას უკავშირებს.

გ. ქოქიაშვილის მოსაზრებით, ბოდბე, თავდაპირველად, სუჯეთში (ჰერეთის პროვინცია) შედიოდა. „წმ. ნინოს ცხოვრების“ თანახმად, ეს დაბა წმ. ნინოს სოჯმა დედოფალმა შესწირა. ცნობილია, რომ სუჯები, კუხებთან ერთად, წმ. ნინომ კაწარეთში მონათლა.

ბოდბის ეპარქია მნიშვნელოვან როლს ასრულებდა XVIII საუკუნის საქართველოს ცხოვრებაში. ომისა და ზავის საკითხი მისი დასტურის გარეშე არ წყდებოდა. ლეკებთან ბრძოლისას მას გამოჰყავდა საეკლ. გლეხობისაგან შემდგარი ლაშქარი. ისტორიამ შემოინახა ბოდბის მიტროპოლიტის კირილეს სახელი, რ-იც თვითონ ხელმძღვანელობდა ლეკების წინააღმდეგ ბრძოლას და 1792 წლის ბრძოლაში დაიღუპა. ბოდბელ მღვდელმთავართ კახეთის მეფეთა კურთხევის უფლება ჰქონიათ. მონასტრის წმ. გიორგის ეკლესიაში მეფედ აკურთხეს ალექსანდრე I (1476-1511 წწ.) და თეიმურაზ I (კახეთის მეფე 1606-1648 წწ., ქართლ-კახეთის მეფე 1625-1632წწ.). თავის მხრივ მეფეებიც ზრუნავდნენ ბოდბის მონასტრის კეთილდღეობაზე და ეპარქიის გაძლიერებაზე. მონასტრის ეკლ. მრავალჯერ იქნა შეკეთებული. XVII საუკუნეში მონასტერში აღდგენითი სამუშაოები ჩაუტარებია მეფე თეიმურაზ I-ს.

XVII-XVIII საუკუნეებში მონასტერი მნიშვნელოვანი სამეცნ. და კულტ. კერა იყო. აქ მოღვაწეობდნენ მწიგნობრები ზაქარია ბოდბელი (XVII ს.), ონოფრე ბოდბელი (XVIII ს.),

დავით ბოდბელი (XVIII ს.), იოანე ჯორჯაძე (XVIII ს.), იოანე მაყაშვილი (1743-1837 წწ.) და სხვ.

ი. გიულდენშტედტი, რ-მაც მონასტერი 1772 წელს მოინახულა, აღნიშნავს: „ეს არის საქართველოს ერთი ყველაზე შესანიშნავ მონასტერთაგანი და მთავარეპისკოპოსის საჯდომი, ჰყავს რამდენიმე ბერი. მათ გვიამბეს, რომ წმ. ნინო დამარხულია აქ. . . . ეკლესია არის თითქმის 7 საჟენი სიგრძისა და 5 – სიგანისა; ნაშენია აგურით. შიგნიდან, დასავლეთის მხარეს, აგურები დაფარულია მწვანე, ლურჯი და შავი ჭიქურით; ამბობენ, რომ წინათ ყველა აგური ასეთი იყო, ხოლო ეკლესია უფრო დიდი. ეკლესიის გვერდით დგას პატარა სახლი ბერებისათვის და ერთიც, მოზრდილი, მთავარეპისკოპოსისათვის.

ეკლესიის ეზოში იდგნენ ძალიან მსხვილი კაკლის ხეები და ფეხის სიმსხო ბზა... მონასტრის ახლოს არის პატარა ველი, რომელიც შემოფარგლულია ტყით დაფარული მთებით. ჩრდილოეთის მხრიდან არის ხეობა, იქვეა წყარო, საიდანაც მონასტერი იღებს წყალს.“

1795 წელს აღა-მაჰმად-ხანის (1742-1797 წწ.) შემოსევის და შემდგომ ლეკთა გამუდმებული თარეშის შედეგად, მონასტრის დაკნინება დაიწყო. მდგომარეობა რამდენადმე გამოსწორდა XIX საუკუნის დასაწყისიდან, სიღნაღისა და ქიზიყის მიტროპოლიტისა და კავალერის იოანე ბოდბელის (იოანე მაყაშვილი) წინამძღვრობის დროს (1811-1837 წწ.), რ-იც დიდად შეძლებული და ქართლ-კახეთის სამეფო კართან დაახლოებული პირი იყო.


იოანე ბოდბელმა მონასტერში მნიშვნელოვანი აღდგენითი და სამშენ. სამუშაოები ჩაატარა: მოიხატა ბაზილიკა, დაიდგა კანკელი,ეკლესიას ჩრდიდან და სამხრ-იდან მიაშენეს კარიბჭეები, გალავნის გარეთ, პატარა ეკლესიითურთ, აშენდა სასახლე. მონასტერში დაარსდა სასწავლებელი. ამ ღვაწლის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომის („აღწერა სამეფოსა საქართველოსა“) ერთ-ერთი გადამწერის, დავით ინანიშვილის (XIX ს.) კომენტარებში ვკითხულობთ: „ . . . აღაშენა ყოვლად სამღუდელომ იოანე ბოდბელმა მაყაშვილმა სასახლე ფრიად კეთილი და ეკლესია. მცირე, სასახლეშივე . . . ამანვე განაახლა და განაშვენა ეკლესია დიდი საფლავითურთ შინათ და გარეთ, ეგრეთვე გარემონი მისნი ზვრით, წყაროთ და მარიითურთ.“

XIX საუკუნის დასაწყისში საეპისკოპოსოში ასზე მეტი სამრევლო ეკლ. ირიცხებოდა. 1837 წელს, იოანე მაყაშვილის გარდაცვალების შემდეგ, რუსეთის მთავრობამ ბოდბის საეპისკოპოსო გააუქმა და ახლად ჩამოყალიბებულ კახეთ-ალავერდის ეპარქიას შეუერთა.

1862 წელს ბაზილიკის დას-ით დაწყებულა სამრეკლოს მშენებლობა, რ-იც თითქმის ორი ათეული წლის მანძილზე გრძელდებოდა. 1860-იან წლებშივე დაწყებულა სასახლის გადაკეთებებიც.

1888 წელს წმ. სინოდის გადაწყვეტილებით, ბოდბეში დაარსდა დედათა მონასტერი. 1902 წლიდან მონასტრის წინამძღვრის იუვენალია II-ის (თამარ მარჯანიშვილი) დროს ქართულ ენაზე აღდგა წირვა-ლოცვა და გალობა, შეკეთდა წმ. გიორგის ეკლ., გალავანი, აიგო ოთხი შენობა, ძირეულად გადაკეთდა იოანე ბოდბელის მიერ აგებული სასახლე, მასში არსებული ღვთისმშობლის ეკლ. და სასახლე ახლად აგებული, სამსართულიანი შენობის

002. წმ. გიორგის ეკლესია. წმ. ნინოს ეგვტერის დახ. (მარცხნივ) და ჩრდ. კედლების მოხატულობის სქემა





002. წმ. გიორგის ეკლესია. წმ. ნინოს ეგვტერი. მოხატულობის ნაშთი ტრაპეზზე და აფსიდის სამხრ. გვერდზე

კორპუსში მოექცა. მონასტერში გაიხსნა ქალთა სკოლა.

ბოდბის მონასტერში ინახებოდა დიდძალი ჯვარ-ხატები. აქვე იყო საქართველოში ერთ-ერთი უმდიდრესი წიგნსაცავი. აქვე ინახებოდა მეფე გიორგი XII-ის (1798-1800 წწ.) მიერ 1776 წელს შეწირული, მინიატურებით დამშვენებული სახარება და სხვ.

წ მ. გ ი ო რ გ ი ს ე კ ლ ე ს ი ა საშ. ზომის, ბაზილიკური ნაგებობაა. ამ ტიპის ნამდვილი წარმომადგენლებისგან (კაწარეთის სამების ეკლ., ხირსის წმ. სტეფანეს ეკლ., კონდოლის წმ. იოანე ნათლისმცემლის ეკლ., ნატკორის ეკლ.) განსხვავებით, იგი გაცილებით მოკლეა, იმდენად, რომ შენობის გრძივი ღერძი განივ ღერძს მხოლოდ ოდნავ ჭარბობს (ეკლესიის შიგნითა ზომები: სიგრ. აფსიდის ჩათვლით – 15,3 *მ*, სიგ. – 10 *მ*). ეკლ. მთლიანად აგურითაა ნაშენი. გარეთა კუთხეები ამოყვანილია შირიმის სუფთად დამუშავებული კვადრებით. აფსიდების წყობის ქვედა ნაწილში გამოყენებულია სპეც. ყალიბით დამზადებული, მომრგვალებული ფორმის აგურები (27x27x5 *სმ*). აფსიდების კედლის წყობა სარკმლებს ზემოთაც აგურისაა (განახლებულია), მაგრამ აქ აგური განსხვავებული ფორმისა და ზომისაა (24x24x5/25x25x5 *სმ*).

ეკლესიის შუა ნავი მაღალი და განიერია. გვერდითი ნავებისაგან მას წყვილი, სწორკუთხა ბოძი ყოფს, რ-ებსაც გრძივი კედლების გასწვრივ გადაყვანილი თაღები ემყარება. ბოძებს, მთავარი ნავის მხრიდან, ოთხკუთხა პილასტრები აუყვება. სამივე ნავი აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-იც გარედანაც ნახევარწრიულია და დამოუკიდებელი სახურავი ხურავს. საკურთხევლის აფსიდში სამი თაღოვანი სარკმელია (განაპირა სარკმლები გამოვლინდა 2003 წლის რესტავრაციის პროცესში). აფსიდში, ცენტრ. სარკმლის ქვემოთ, გამოყვანილია დასაჯდომი მღვდელმთავრისათვის. აფსიდის წინ ბემაა, რ-იც ნავის დანარჩენი ნაწილისგან პილასტრებითა და მათზე დაყრდნობილი, ნახევარწრიული თაღითაა გამიჯნული. ბემის შუაში დგას ტრაპეზი.

საკურთხევლის გვერდებზე თითო ოთხკუთხა გეგმის სათავსია. მათგან ჩრდ-ით მდებარე, რ-იც საკურთხეველს ბემის კედელში გაჭრილი, თაღოვანი კარით უკავშირდება, იმავდროულად სამკვეთლოდ გამოიყენებოდა. შესასვლელი სამკვეთლოს ჩრდ. ნავიდანაც აქვს. კარი თაღოვანია. სამხრ. ნავის აღმ. ნაწილში განცალკევებული სათავსი – ეგვტერია, რ-შიც წმ. ნინოს საფლავია. ეგვტერში შესასვლელი მხოლოდ სამხრ. ნავიდანაა. ეგვტერში, ჩრდ. კედელთან, საფლავის ქვაა (1,96x0,85 *მ*), რ-იც იატაკის მიმართ ოციოდე *სმ*-ითაა შემაღლებული. მასზე დადგმულია ოთხ სვეტზე დაყრდნობილი, ჩუქურთმით დამუშავებული მარმარილოს ფილა.

გ. ჩუბინაშვილი, რ-მაც გამოკვლევის მიზნით ტაძარი 1920, 1933 და 1950 წლებში მოინახულა აღნიშნავდა, რომ მონას-



002. წმ. გიორგის ეკლესია. წმ. ნინოს ეგვტერი. ჩრდ. კედლის მოხატულობა. დეტალი

ტრის წინამძღვარს მისთვის მოუყოლია იმ მდგდლის მონათხრობი, რ-საც 1840-იან წლებში თავად მიუღია მონაწილეობა ეგვტერიდან მთავარი ნავის საკურთხეველის ქვეშ წმ. ნინოს წმინდა ნაწილების გადასვენების პროცესიაში, რათა ისინი ლეკებს არ წაებილწათ.

ქართვ. საზ. მოღვაწის ზ. ჩხიკვაძის ცნობით, 1884 წელს აკლდამა გაუხსნიათ და იგი მასში ჩასულა. აკლდამაში ჩასასვლელი ღიობი სამლოცველოს საკურთხეველში მდებარეობდა. აკლდამა იმდენად დაბალი ყოფილა, რომ მასში კაცი ვერ გაიმართებოდა. მისივე ცნობით, 1920 წლისათვის, სამლოცველოში ადრე არსებული საფლავის ქვა უკვე მარმარილოს ფილით ყოფილა შეცვლილი.

დროთა განმავლობაში შენობას რამდენიმე გადაკეთება განუცდია. გ. ჩუბინაშვილის აზრით, ერთ-ერთი გადაკეთების დროს, ბაზილიკის სამივე ნავი, რ-თა თავდაპირველი სიმაღლე აფსიდების სიმაღლეს უტოლდებოდა, აუმაღლებიათ.

მთავარი ნავის აფსიდის კონქის თავზე, კამარამდე, შეუღლი კედელი ადის. შუა ნავის კამარა შეისრულია. იგი ეყრდნობა პილასტრებს, რ-ებსაც კაპიტელები სამ ადგილას აქვს: საბჯენი თაღის ქუსლებთან, მთავარი ნავის გრძივ კედლებში გაჭრილი სარკმლების ძირის დონეზე და ნავების დამაკავშირებელი თაღების ქუსლის დონეზე. საკურთხევლის სარკმლის გარდა, მთავარ ნავს კიდევ ხუთი სარკმელი აშუქებს. ერთი მათგანი საკმაოდ მაღლა, დას. კედლის ღერძზეა, ორ-ორი კი ერთმანეთის მოპირდაპირედ, გრძივ კედლებში. ყველა სარკმელი მოგვიანებით აგებულ კედლებშია მოწყობილი. თითო სარკმელია გაჭრილი გვერდითი ნავების გრძივი კედლების აღმ. ნაწილშიც.

საკურთხევლის გვერდებზე არსებული ოთახები გეგმარებით ერთმანეთის მსგავსია. ორივე განათებულია აფსიდის ღერძზე გაჭრილი, თითო თაღოვანი სარკმლით. ორივე სარკმლის ქვემოთ დგას ოთხკუთხა ტრაპეზი. ეგვტერში მეორე ტრაპეზიცაა, რ-იც აფსიდის ჩრდ. გვერდზეა მიშენებული. ეგვტერის გრძივ კედლებში, აფსიდის მხრებთან ახლოს, თითო სწორკუთხა ნიშაა. თითო ნიშაა სამკვეთლოს გრძივ კედლებშიც. მათგან სამხრ-ით სამებრ, ერთიანი კი არ არის, არამედ არათანაბარი სიგრძის ორი ნაწილისგან შედგება. ამ ფაქტს გ. ჩუბინაშვილი გვიანდ. გადაკეთების შედეგად მიიჩნევს. მკვლევარი ფიქრობს, რომ კამარის აღმ. ნაწილი, რ-იც კონქის სიმაღლეზეა და დანარჩენ



002. წმ. გიორგის ეკლესია. წმ. ნინოს ეგვტერი. კამარის მოხატულობა

მდებარე ნიშა ეგვტერში არსებული ნიშების ტოლია, ჩრდ-ით მდებარე კი საკმაოდ განიერია. ეგვტერში კამარა, ჩვეულებრივ, ნაწილთან შედარებით თითქმის ოთხჯერ უფრო მოკლეა – ძველია და თავდაპირველ ეკლესიას ეკუთვნის. კამარის დან-

არჩენი ნაწილი კი, რ-იც სამხრ. ნავის კამარამდეა საფეხურით შემაღლებული – ბაზილიკის მშენებლობის დროისაა. მისი



002. წმ. გიორგის ეკლესია. წმ. ნინოს ეგვტერის დას. კედლის მოხატულობა. „ნინა მწყემსთაგან იუწყა მცხეთა დაანგელოსმან მისცა წერილი“

აზრით, ბაზილიკის მშენებლობისას (VII, ან შესაძლოა VIII-IX სს-ში), წმინდანის საფლავზე V საუკუნეში აგებული სამლოცველო, ახლად აგებული შენობის კორპუსში ჩართეს. რაც შეეხება სამლოცველოს საკურთხევლის გარეთა მოხაზულობას, მკვლევრისავე აზრით, ბაზილიკის მშენებლებმა იგი შეინარჩუნეს და მას განახლებული ეკლესიის მთავარი და ჩრდ. ნავის აფსიდის გარეთა ფორმა შეუხამეს. მოგვიანებით კი (XVII ს-ში) ბაზილიკის სამივე ნავი აამაღლეს.

ეკლესიას დას-იდან, მთელ სიგრძეზე, ეკვრის მოგვიანებით მიშენებული კარიბჭე (ნართექსი), რ-იც ერთმანეთთან თაღით დაკავშირებულ სამ ნაწილადაა გაყოფილი. თითოეული მათგანი ეკლესიის შესაბამის ნავს კარით უკავშირდება. მათგან შუა, გვერდითებთან შედარებით, უფრო განიერია და ოდნავ შეისრული თაღითაა დასრულებული. გვერდითი შესასვლელები კი ნახევარწრიულთაღოვანია. ისინი მოგვიანებით, კარიბჭის მიშენების დროსაა გაჭრილი. დას. შესასვლელის გარდა, გვერდით ნავებს შესასვლელი შესაბამისი მხარეებიდანაც აქვს – სამხრ-იდან და ჩრდ-იდან.

კარიბჭის შუა ნაწილი, გვერდით ნაწილებთან შედარებით, ოდნავ უფრო მაღალია და გარედან ორფერდა სახურავის ქვეშაა მოქცეული. გვერდითი ნაწილები კი ცალფერდა, დასით დახრილი სახურავითაა გადახურული. სამივე ნაწილს შიგნით ნახევარცილინდრული კამარა ხურავს. შუა ნაწილის კამარის ღერძი აღმ.-დას-ის ხაზზეა. გვერდითი ნაწილებისა კი შუა ნაწილის კამარის ღერძის პერპენდიკულარულია.

ეკლესიის გარეთა ფორმები მის შიდა აღნაგობასთან სრულ შესაბამისობაშია. ცენტრ. ნავის აფსიდის ზემოთ, ისევე როგორც შიგნიდან, აღმართულია შეუღლი კედელი. კედლები დასრულებულია აგურის ლავგარდნით. იგი XVII საუკუნის შუა ხანებში ჩატარებული, აღდგენითი სამუშაოების დროინდელია და შედგენილია ჩვეულებრივად დაწყობილი და კუთხით შვერილი აგურებით გამოყვანილი რიგების მონაცვლეობით.

შიგნით ეკლ. მთლიანად მ ო ხ ა ტ უ ლ ი ა. ეკლ. მოუხატავთ 1823 წელს ბოდბელი ეპისკოპოსის იოანე მაყაშვილის დაკვეთით (მოხატულობა გაიწმინდა და გამაგრდა 1997 წელს). ამის შესახებ ეპისკოპოსი თავის მიერვე 1836 წელს შედგენილ ანდერძში აღნიშნავს: „ეკლესია დიდი და საფლავის ეკლესია წმ. ნინოსი იყვნენ ფრიად დაძველებულნი და დარღვეულნი. . . . ორივე ეკლესია კარგის მხატვრობით დამიხატვინებია.“ ის, რომ ამ დროისათვის ტაძარი უკვე ძლიერ დაზიანებული და გაძარცული იყო, დასტურდება მეფე თეიმურაზ II-ის (კახეთის მეფე 1709-1715 წწ-ში, გამგებელი 1733-1744 წწ-ში, ქართლის მეფე 1744-1762 წწ-ში) 1731 წლის სიგელითაც, რ-შიც მეფის მიერ ბოდბის დანგრეული და გაძარცული ტაძრის მონახულების შესახებაა საუბარი: „მოვედით კარსა საყდრისა და სადიდებელისა სამარხოსა და ტაძრისა თქუენისასა, ვიხილეთ რომე მოშლილ და იავარ ქმნილიყო.“

ნართექსიდან ტაძარში შესასვლელის თავზე შემორჩენილია 1823 წელს წითელი საღებავით შესრულებული, სამსტრიქონიანი წარწერა, რ-შიც. საუბარია ეკლესიის განახლებაზე, ეკლესიის და ეგვტერების მოხატვაზე, კანკელის დადგმაზე და სხვა:

„ხატო და ბრწყინვალებაო ღ˜თისა მამისაო შეწევნით [....] და წყალობითა ვიწყე ეკლესიისა ამის გუმბათის ახლად აღშენებად ს˜დ ეკლესიისა ამის დახატვად კარი ბჭებითურთ და კანკელისაცა ახლად გაკეთებად და ყოვლითავე ეკლესიისა სამკაულითა შემკობად ჩვენ



002. წმ. გიორგის ეკლესია. წმ. ნინოს ეგვტერის ჩრდ. კედლის მოხატულობა. წმ. ნინო და დედოფალი სუჯი

ქ˜დ უსამღვდელესმა სიღნაღის და ქიზიყის მიტროპოლიტ და კავალერმა, მაყაშვილმა ბოდბელმა იოანემ. ვითხოვ აღმომკითხველთაგან, რათა ჰყოფდეთ ხსენებასა ჩემსა. წელსა ჩყკგ“ (1823 წ.).

მხატვრობა შესრულებული უნდა იყოს რუსეთიდან მოწვეუ-

ლი ოსტატის მიერ. მთავარ ნავში, ბოძების აღმ. წახნაგზე, მთელი ტანით წარმოდგენილები არიან იოანე ბოდბელი (სამხრ-ით) და იმპერატორი ალექსანდრე I (ჩრდ-ით). საკურთხევლის კონქში გამოსახულია ადრინდელია და XVII-XVIII საუკუნეებს განეკუთვნება. მხატვრობის მეორე ნაწილი კი მთავარი ნავის მოხატულობის დროინდელია.

ძვ. მხატვრობა, ოთხ-ოთხ რიგად, ეგეტერის მხოლოდ დას.



002. წმ. გიორგის ეკლესია. შუა ნავის მოხატულობა. ხედი კამარაზე

„სულიწმინდის გარდამოსვლა“, საკურთხევლის აფსიდში – მაცხოვრის ვნებები, ნავის კამარასა და კედლების ზედა ნაწილში – ბიბლიური ისტორიის ეპიზოდები, ქვემოთ – მაცხოვრის სასწაულები და იგავები, ნართექსში – მაცხოვრის ვნებათა სცენები, ჩრდ. ნავში – აპოკალიფსის ეპიზოდები, დას. კედელზე – „განკითხვის დღე“, თაღებზე და კედლების ქვედა ნაწილში – წმინდანთა გამოსახულებები, საკურთხევლის წინა თაღებში – წმ. გიორგის ცხოვრების სცენები, კანკელზე – მაცხოვრისა და ღვთისმშობლის დიდი დღესასწაულები. ეკლესიის ჩრდ. ბურჯის დას. მხარეს სვეტის „ამაღლების“ სიმბოლური გამოსახულებაა.

სამხრ. ეგეტერის მოხატულობა სხვადასხვა პერიოდში შესრულებული ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება. ერთი მათგანი – წმ. ნინოს ცხოვრების ამსახველი სცენებით (გამოკვლეულია 1990 წელს, მ. ჯანჯალიას მიერ), მთავარი ნავის მოხატულობაზე უფრო და ჩრდ. კედლებს შემორჩა. დას. კედელზე ოთხი ეპიზოდია, ჩრდ. კედელზე – ათი.

მცირე ზომის, სადა, ყავისფერ „ჩარჩოში“ (69x83 *სმ*) ჩასმული მოხატულობის სცენები, ზუსტად ასახავს წყაროთა მიხედვით წმინდანის ცხოვრების ამბავს – დაწყებული წმ. ნინოს მიერ ყოვლადწმინდის სიზმრად ხილვიდან, ვიდრე მის მიცვალებამდე.

მოხატულობა ძლიერ დაზიანებულია, შედარებით უკეთ გაირჩევა ქვედა ორი რიგი. გარდა ამისა,ჩრდ. კედლის მოხატულობის მნიშვნელოვანი ნაწილი, ქართ. ეკლესიის ისტორიკოსის და ცნობილი ხატმწერის მიხეილ საბინინის მიერ XIX საუკუნის II ნახევარში შეწირული საფლავის ძეგლითაა დაფარული.

წმინდანის ცხოვრების თხრობას მხატვარი დას. კედლის ქვედა რეგისტრიდან იწყებს იმ ქვეყანაში წმ. ნინოს მოციქულად წარგზავნის სცენით, „სადა-იგი არს კვართი უფლისა იესუჲსი“. ხის ქვეშ მძინარე წმინდანს ვაზის ჯვარს უწვდის დედა ღმრთისა. მომდევნო კომპოზიციის თანდართული წარწერის თანახმად: „ნინა მწყემსთაგან იუწყა მცხეთა და ანგელოსმან მისცა წერილი“. მძინარე წმინდანს ანგელოზი („ნათლისა კაცი“) წარმოუდგება მცხეთას წასაღები წიგნით ხელში, რ-ზეც გამოსახულია ასომთავრულით შესრულებული ათი სიტყვის აღმნიშვნელი ათი ასო. ზემოთ, მოშორებით, წმინდანისა და ორი მწყემსის ფიგურებია. მოხატულობის მესამე რიგში წარმოდგენილია მეფის წალკოტის მცველის – ანასტოსის სახლს შეხიზნული წმ. ნინოსადმი სიზმრად ანგელოზის ჩვენება. სარეცელზე განსვენებულ წმ. ნინოს თავს ანგელოზი ადგას. იგი წმინდანს ხელით მიანიშნებს მიდამოზე, რ-იც აივანზე გამავალი კარის მიღმა ჩანს. დას. კედლის ზედა, დამასრულებელი კომპოზიციის მარცხ. ნაწილში წმ. ნინო სარეცელზე წევს. კომპოზიციის მარჯვ. ნაწილში კი ბოძზე დაყრდნობილი ორი თაღია, რ-თაგანაც ერთში ფრონტალურად მდგომი ორი ფიგურაა,მეორეში კი – ფრინველთა გამოსახულებებია წარმოდგენილი. კომპოზიცია აერთიანებს წმინდანის ცხოვრების ორ ეპიზოდს – სიზმრისეულ ხილვას, სადაც ოთახში შემომსვლელთა ფიგურებიც არის წარმოდგენილი. წყაროების მიხედვით, მეფის წალკოტის მცველის – ანასტოსის სახლში: „კუალად იხილა ღირსმან მან ჩუენებით, რამეთუ მოვიდიან მფრინველნი და განიბანნიან წყალსა მას შინა მდინარესა მტკურისასა და მოვიდიან და ხესა მას ზედა შეკრბიან და ქუეშე მისსა ყუაჳლთა მოისთულებდიან. მაშინ მიუთხრა ჩუენება ესე შროშანას და ასულსა აბიათარ მღდლისა“.

ჩრდ. კედლის ზედა რიგში წმ. ნინოს „ცხორების“ თხრობა დას. მხრიდან გრძელდება.

ამ რიგში სამი კომპოზიციაა, რ-ებშიც წმ. ნინოს მიერ სასწაულებრივი განკურნებებია წარმოდგენილი. რიგის პირველ კომპოზიციაში, მარცხნივ, წმ. ნინო დგას, მარჯვნივ – მირიან მეფე და ნანა დედოფალი. მათ შორის კი, მათი შვილის – რევის მიწაზე განრთხმული ფიგურაა. რიგის მეორე სცენას ნაკლული წარწერა შემორჩა: „წ̃ა




002. წმ. გიორგის ეკლესია. ინტერიერი. სამხრ. ბოძის აღმ. წახნაგი. ეპისკოპოსი იოანე (მაყაშვილი)

ნინა . . . მეფის ძე შეპყრობილი მხურვალებითა . . . განიკურნა“. ე. ი. აქ მეფისწულ რევის განკურნების ამბავია ასახული. წმინდანის მეტაფრასული და მოკლე ვერსიების მიხედვით: „მცირე ძე მეფისა შეპყრობილ იქმნა ფიცხლად სენითა მჭურვალებისაჲთა. უბრძანა დედოფალმან, რაჲთა მიჰგუარონ ღირსსა ნინოს. და ევედრებოდა განკურნებად მისსა. ხოლო წმინდამან ჩუეულებისაებრნი ლოცვანი ზედა დაასხნა . . . და ყოვლითურთ განკურნებული მისცა დედასა თჳსსა“. წმ. ნინო აქ წარმოდგენილია სცენის მარცხ. ნაწილში – ჩარდახისებრი ნაგებობის ფონზე, რ-შიც დგას ცხოველი სვეტი. მარჯვ. ნაწილში კი მეფე და მასთან მდგომი ორი ფიგურაა. მეფის წინ რევია, რ-იც თაყვანს სცემს მოციქულთა სწორს. რეგისტრის შემადგენელი ბოლო კომპოზიცია დაზიანებულია და მისი წაკითხვა სრულად არ ხერხდება. მკვლევრის ნ. ჯანჯალიას აზრით, თავად სცენა უჩვეულოა და მისი სახელდება დღესდღეობით დაბეჯითებით შეუძლებელია, რადგან ასეთ ეპიზოდს „ცხორების“ არც ერთი რედაქცია არ იცნობს: კომპოზიციის მარჯვ. ნახევარში სარეცელზე განისვენებს გულხერდაკრეფილი, შარავანდმოსილი ქალი. მარცხ. ნახევარში კი, წინა სცენის მსგავსად, აქაც ჩარდახისმაგვარი ნაგებობაა, რ-შიც დგას მამაკაცი. იგი ორივე ხელით ეხება სვეტისმაგვარ, მასზე ოდნავ უფრო მოზრდილ საგანს. მკვლევარს მიაჩნია, რომ ეს კომპოზიცია „სვეტის ამაღლებას“ უნდა უკავშირდებოდეს. მთლიანად სვეტის თემას უკავშირდება მომდევნო რეგისტრის სამივე კომპოზიცია. დას-იდან პირველი სცენის წარწერიდან ვიგებთ: „ურია ვინმე შობითგან ბრმა შეეხო სვეტს და განკურნა“. კომპოზიციის მარცხ. ნაწილში გამოსახულ ჩარდახისმაგვარ ნაგებობაში მდგარ სვეტს ხელით ეხება ფიგურა. სცენის მარჯვ. ნაწილში კი ფეხზე მდგომი, ჩარდახისმაგვარ ნაგებობისკენ მიბრუნებული ორი მამაკაცია. რეგისტრის მომდევნო სცენაში ორ ქალს, რ-თა შორის წინა წმ. ნინო უნდა იყოს, ჩარდახში მდგარი სვეტისაკენ მიჰყავთ ყრმა. რიგი დასრულებულია კახეთის დედოფლის – სუჯის სვეტის თაყვანისცემის სცენით. სცენის წარწერა გვაუწყებს: „დედოფალმან წარიღო წიგნი ნინასი და მისცა მეფესა, შევიდა და თაყვანისცა სვეტი-ცხოველსა“. სვეტი აქაც ჩარდახისმაგვარ ნაგებობაშია აღმართული და მას დედოფალი სუჯი ორივე ხელით ეხება. სცენის მარჯვ. ნაწილში ორი პერსონაჟია. მომდევნო რეგისტრი იწყება მირიან მეფის ნათლისღებისა და სუჯისათვის მცხეთაში წასაღები წიგნის გადაცემის სცენით. მესამე რეგისტრში ორი კომპოზიციაა წარმოდგენილი. პირველ მათგანში, მარცხნივ, გამოსახულია მღვდელმთავრის წინაშე მუხლმოდრეკილი მირიან მეფე, რ-ის უკან, ლოცვის პოზაში, წმ. ნინოა გამოსახული. მღვდელმთავრის უკან კი – ეკლესიის ორი მსახური. მომდევნო სცენაში, ორი თაღის ფონზე, წარმოდგენილნი არიან წმ. ნინო და დედოფალი

002. წმ. გიორგის ეკლესია. მთავარი ნავის სამხრ.-დას. კუთხე. ქვის ბლოკი ასომთავრული წარწერით



სუჯი. კომპოზიციის წარწერა გვაუწყებს: „წ~ასა ნინას ეუწყა სულის მიერ წ~ისა გ~ნსვლა ხორცითგ~ან და წიგნი მისცა დედოფალსა, რათა მირიან მეფესა წარუგზავნოს“. მეოთხე რეგისტრის მარცხნიდან პირველი კომპოზიციის წარწერა კი გვამცნობს, რომ: „მეფემან და ეპისკოპოზმან თაყვანისცეს



002. იოანე ბოდბელის სასახლე. I სართულის გეგმა

და აზიარეს წ~ა ნინა“. ნახატის მარცხ. ნაწილში წმინდანს ეპისკოპოსი აზიარებს. ეპისკოპოსის უკან კი (მარჯვ. ნაწილში) მეფე და დედოფალი დგანან. ეპისკოპოსის, მეფის და დედოფლის ტანის დიდი ნაწილი საფლავის ძეგლითაა დაფარული და მათი მხოლოდ თავებიღა მოჩანს. მომდევნო კომპოზიციის (წარწერის მიხედვით: „მიცვალება წმინდისა ნინასი“) ქვედა ნახევარი დაფარულია საფლავის ძეგლით და აქაც ფიგურების მხოლოდ თავები მოჩანს.

XIX საუკუნის II ნახევარში ეგვტერი კვლავ მოუხატავთ. მხატვრობა შერჩენილია კამარის ორივე მონაკვეთზე, აფსიდში და ნაწილობრივ დას. და ჩრდ. კედლებზე. კამარაზე გამოსახულია მამა-ღმერთი, კონქში – ღვთისმშობელი ყრმით. აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს – ორი მთავარანგელოზი. სარკმლის ქვემოთ, შუაში – ქრისტე ყოვლისმპყრობელი ორ გვირგვინისმპყრობელ ანგელოზს შორის, აქეთ-იქით კი – ლოცვა სასუფეველისათვის და „ხარება“.

ეგვტერში მოხატულობის მესამე, გაცილებით უფრო ადრინდ. მოხატულობის ნაშთებიცაა შემორჩენილი: მთავარი ტრაპეზის წინა წახნაგზე, მთელ სიმაღლეზე, წითელი ფერის საღებავით შესრულებული „აქვავილებული ჯვრის“ გამოსახულებაა, აფსიდის სამხრ. გვერდის ქვედა ნაწილში კი – ფრაგმენტები (დაზიანებულია).

1979-1989 წლებში, მონასტერში არესტ. სამუშაოების პირველი ეტაპის მიმდინარეობის დროს (პროექტის ავტორი, არქიტ. ზ. ქუფარაშვილი), მოიხსნა ტაძრის დას. ფასადზე XVII საუკუნეში მიშენებული ფენა, რ-იც გაფორმებული იყო სხვადასხვა ფერად მოჭიქული აგურით გამოყვანილი რომბებისა და ჯვრების კომბინაციით (ამ კედლის შესახებ ი. გიულდენშტედტი აღნიშნავს: „აგურები დაფარულია მწვანე, ლურჯი და შავი ჭიქურით“), მოიხსნა ასევე 1823 წელს აგებული კარიბჭეები, მთავარი ნავის სახურავზე დადგმული ცრუ გუმბათი და აფსიდებზე მიშენებული კონტრფორსები.

1995 წელს საქართვ. საპატრიარქოს და ქართ. ეკლესიის ისტორიის კვლევის ფონდის ინიციატივით ტაძარში ჩატარდა არქეოლ. კვლევა-ძიება, რ-ის დროსაც, გამოვლინდა იატაკის რამდენიმე დონე [მათ შორის თავდაპირველი – მოვარდისფრო კირხსნარით დაფარული აგურის (26x26x5/27x27x5 *სმ*) ფენილი]. საკურთხეველში გამოვლინდა ტაძრის თანადროული ტრაპეზი (კირქვის რვაწახნაგოვანი სვეტი და მასზე დაყრდნობილი ფილა) და ძვ. მოხატულობის ფრაგმენტები, ასევე შეწირული ნივთები (IX საუკუნის მოჭიქული ფიალა და ბრინჯაოს ზარი).

1996 წელს ნართექსის იატაკის დონე, რ-იც ეკლესიის იატაკის მიმართ 15 *სმ*-ით იყო შემაღლებული, დაწიეს და იგი ეკლესიისას გაუთანაბრეს.

1999 წელს, კულტ. მემკვიდრეობის დაცვის ფონდის დაფინანსებით, გაიწმინდა და გამაგრდა მოხატულობის დაზიანებული ნაწილი, ჩატარდა ასევე გეოლოგიური და საინჟინრო გამოკვლევები.

2000-2001 წლებში კეთილმოწყო ეკლესიის ეზო, რ-ის დროსაც ეკლესიის ჩრდ.-აღმ-ით აღმოჩნდა XI-XIII საუკუნეების კერამ. ჭურჭელი და ჭურჭლის გამოსაწვავი ქურა, რაც აქ კერამიკის წარმოებაზე მიუთითებს.


2002 წლიდან მუშაობას შეუდგა მრავალდისციპლინარული ჯგუფი [ნ. ზაზუნიშვილი (ხელმძღვ.), ზ. ქუფარაშვილი, მ. გელაშვილი, კ. ოდიშვილი, ც. ჩაჩხუნაშვილი (2006 წელს ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა მონასტრის ტაძრისა და საეპისკოპოსო სასახლის ხუროთმოძღვრებას) და სხვ.].

2003 წელს ტაძრის ქვედა კორპუსზე (აფსიდებზე და გვედითი ნავების კედლებზე) მოიხსნა აგურით ნაშენი, XVII საუკუნის ფენა [სისქე დაახლ. 50 *სმ*. ამ ფენაში, სამხრ. ფასადზე, აგურის წყობის შეღრმავებით, გამოყვანილი იყო ტოლმკლავიანი

ჯვრები (მათ შორის შესასვლელის გვერდებზე არსებული ორი ჯვარი 1823 წელს, კარიბჭის მიშენების დროს მოუშლიათ)], აღდგა ფასადების დაზიანებული ნაწილები და ღიობები. გამოვლენილი მასალის საფუძველზე, თავდაპირველი ფორმა დაუბრუნდა ლავგარდანს, რ-ის შესაბამისად, თავდაპირველივე დონეზე მოეწყო ბაზილიკის ნავების, აფსიდების და ნართექსის გვერდითი ნაწილების სახურავები. გამოვლენილი მასალით სრულად დადასტურდა გ. ჩუბინაშვილის მიერ ტაძრის ფენების რაობასთან და მათ ქრონოლოგიასთან დაკავშირებით გამოთქმული მოსაზრებების სისწორე.

გარედან, ცენტრ. ნავის სამხრ.-დას. კუთხეში, ჩასმულია ასომთ. წარწერის მქონე ქვის ბლოკი. წარწერა ოთხსტრიქონიანია. იგი იწყება ქვის სამხრ. ფასადის მხარეს მოქცეულ ზედაპირზე და გრძელდება დას. ფასადზე (1989 წლამდე ქვის დას. მხარე XVII საუკუნეში მიშენებული კედლით იყო დაფარული, რის გამოც წარწერის მხოლოდ სამხრ. ნაწილის წაკითხვა ხერხდებოდა).

პ. იოსელიანი წარწერის იმჟამად ხილულ ნაწილს შემდეგნაირად კითხულობს: „ქ. მე გიორგიმ განვაახლე ტაძარი ესე“ (მკვლევარი წერს, რომ წარწერის ბოლოში არის ქორონიკონის აღმნიშვნელი ასო „უ“, რის საფუძველზეც იგი წარწერას 1345 წლით ათარიღებს), ალ. ხახანაშვილი – „ქ. მე გიორგი აღვაშენე ცოდვათა ჩემითა ... “, ს. ბარნაველი კი – „ქ. მე გიორგი ავაგე ეკლესიაჲ ესე ვითოე (?) მსახურებითა ჩემითა“.



002. იოანე ბოდბელის სასახლე. II სართულის გეგმა


წარწერის დას. ნაწილის გამოვლენის შემდეგ, დ. ბერძენიშვილის მიხედვით, ტექსტის სრული სახე ასეთია: „ქრისტე, მე გიორგი ავაგე ეკლესია ესე ვ თოე მსახურებითა ჩემითა მეფობასა დემეტრესასა“. მკვლევრის აზრით, ვინმე გიორგის ექვსი თვის მსახურებით, ან მისი სანაცვლო გასამრჯელოთი, ეკლ. აუგია დემეტრეს (დავით აღმაშენებლის ძე) მეფობის (1125-1156 წწ.) დროს. აღნიშნულ ხანას მიაკუთვნებს იგი წარწერის პალეოგრაფიულ მხარესაც. მისი აზრით, ამ დროს განაახლეს ცენტრ. ნავის სარკმლები და კამარა.

ნართექსის დას. ფასადიდან ცემენტის ნალესობის მოხსნის შემდეგ, გამოჩნდა პირჩამომტვრეული აგურის წყობა, რ-იც ასევე მოიხსნა. აღმოჩნდა, რომ ნართექსი დას-ით სამი თაღით იყო გახსნილი. მათ შორის შუა თაღის ასწვრივ გამოვლინდა სწორკუთხა მოხაზულობის სახატე ნიშა.

ეკლესიაზე გვიან მიშენებული კედლების მოხსნისა და თავდაპირველი კედლების ცემენტის ნალესობიდან განთავისუფლების შემდეგ, დაზუსტდა სამხრ. და ჩრდ. ნავების შესასვლელების თავდაპირველი ფორმებიც – ორივე კარი გადახურული იყო ქვის არქიტრავით, რ-ის თავზე ნახევარწრიულთაღოვანი, შეღრმავებული არეა.

ადრე ეკლესიაში ღია ვარდისფერი ნალესობით დაფარუ-

002. იოანე ბოდბელის სასახლე. ხედი სამხრ.-აღმ-იდან. XIX საუკუნის მიწურულის ფოტო



ლი, აგურის იატაკი იყო. ამჟამად ქვის იატაკია.

2016 წელს, ეკლესიის ეკვდერის სამხრ. კედლის დანესტიანების გამომწვევი მიზეზების შესწავლისა და აღმოფხვრის მიზნით, როგორც შიგნიდან ისე გარედანაც, გაშიშვლდა ეკვდერის სამხრ. კედლის საძირკვლის ნაწილი. ეკვდერის თაღოვანი შესასვლელის არეში მიწის ამოღების შემდეგ, გამოჩნდა თავდაპირველი ნაგებობის საძირკველი და წმ. ნონოს სამარხი აკლდამის კედლის მცირე ნაწილი. აკლდამა ნაგები იყო აგურით (მიუდგომლობის გამო ზომების დადგენა ვერ მოხერხდა), ეგვტერის საძირკველი კი – რიყის, წვრილი ქვით. საძირკველს გაუკეთდა ჰიდროიზოლაცია, ახლით შეიცვალა ეკვდერის იატაკის ძვ. ქვის ფილები.

ს ა ს ა ხ ლ ე მდებარეობს ეკლესიის ჩრდ-ით, ორმოცდაათიოდე მ-ზე, მონასტრის ზედა ტერასაზე. აგებულია ბოდბელი ეპისკოპოსის იოანე მაყაშვილის მიერ. სასახლე ორსართულიანია და მთავარი ფასადით სამხრეთით, ეკლესიისკენ იყო მიმართული.

შენობის გეგმა აღმ.-დას. მიმართულებით წაგრძელებული სწორკუთხედია [შენობის გარეთა ზომები: სიგრ. – დაახლ. 27 *მ*, სიგ. (აივნის ძირითადი ნაწილის ჩათვლით) – 10 *მ*, კედლების სისქე 0,80-1.00 *მ*-ის ფარგლებში მერყეობს].

1890-იანი წლების ფოტოდან ჩანს, რომ ორივე სართულს, მთავარი ფასადის მხარეს, ხის სვეტებზე დაყრდნობილი, გადახურული აივანი გასდევდა, რ-ის დას. ნაწილი, დაახლ. 1,5 *მ*-ით, წინ იყო წამოწეული. აივნის პირველი სართულის სვეტები ოთხკუთხაა, მეორე სართულისა – მრგვალი. ისინი, პირველი სართულის სვეტებთან შედარებით, თითქმის ორჯერ უფრო მსხვილია და მრგვალი კაპიტელით არის დასრულებული. შენობის პირველი სართულის იატაკი მიწიდან დაახლ. 1 *მ* სიმაღლეზეა. სართულზე ასასვლელად, მთავარი ფასადის მხარეს, აივნის შვერილი ნაწილით შექმნილ კუთხეში, მოწყობილია სამსაფეხურიანი, მომრგვალებული კიბე, რ-იც ყირაზე დაყენებული აგურითაა გამოყვანილი. პირველი სართულის აივანი უმოაჯიროა. აივანზე გამოდის ოთახების ოთხკუთხა კარ-სარკმლები. მეორე სართულის აივნის ძირითად ნაწილს რიყულებით შედგენილი მოაჯირი აქვს. გაპირა, შვერილი ნაწილი კი მუშარაბიან შუშაბანდს წარმოადგენს. მომდევნო ხანებში გადაღებული ფოტოსურათების მიხედვით ირკვევა, რომ პირველი სართულიდან მეორე სართულზე ასასვლელი კიბე შენობის სამხრ.-აღმ. კუთხეშია, რ-იც აივანზე გარედან იყო მიდგმული. მეორე სართულის ოთახებში აივნიდან ვხვდებით.



002. იოანე ბოდბელის სასახლე. I სართულის ინტერიერი. დეტალი

სასახლის პირველ სართულზე განთავსებული იყო საჯინიბო (13,5x5 *მ*), რ-იც გრძივ ღერძზე განლაგებული ხის სვეტებით ორ თანაბარ ნაწილად იყოფოდა. შესასვლელი ერთია – სამხრ-იდან. შესასვლელის ორივე მხარეს ორ-ორი ოთხკუთხა სარკმელია. მოპირდაპირე კედელში კი – თანაბარი სიმაღლის, ერთმანეთისგან თანაბარი მანძილით დაშორებული შვიდი შეისრულთაღოვანი ნიშა, რ-თა გვერდები და თაღი აგურითაა გამოყვანილი. კედელში დატანებულ ხის ძელებზე, აქა-იქ, შემორჩენილია ცხენის მისაბმელი რგოლები. გადახურვა ბრტყელია. საჯინიბოს გვერდებზე გეგმით თითქმის კვადრ. (5x4,3 *მ*) თითო ოთახი ყოფილა, რ-ებსაც შესასვლელი მთავარი ფასადის მხრიდან, აივნიდან ჰქონია. ორივე ოთახის კედლები დანაწევრებულია მაღალი ნიშებით, რ-ებიც კედელში დატანებული ხის ძელით სიმაღლეში ორ ნაწილად არის გაყოფილი. გათბობისათვის ორივე ოთახში მოწყობილი იყო თითო ღუმელი. დას-ით მდებარე ოთახის დას. კედლის ჩრდ. ბოლოში გაჭრილი იყო კარი, რ-იც მოგვიანებით გაუუქმებიათ და სარკმლად გადაუკეთებიათ (ამჟამად გარედან დაფარულია მოგვიანებით აგებული შენობის კედლით). ოთახი ჩრდ. კედლის შუაში მოწყობილი კარით დაკავშირებული იყო მიწაში შეჭრილ, მცირე ზომის (4x4 *მ*) ოთახთან, რ-იც, როგორც ჩანს, სამ. დანიშნულებით გამოიყენებოდა.

2003 წელს ჩატარებული სამუშაოების შედეგად დადგინდა, რომ ადრინდელ ფენებს შენო-

ბის მეორე სართულიც შეიცავდა. სართულის უმეტესი ნაწილი გეგმით პირველის ანალოგიურია. თუმცა, პირველთან შედარებით, ეს სართული ოდნავ უფრო ვრცელია, რადგან ამ სართულს, ზურგის მხარეს, მიმატებული აქვს მწკრივი, რ-იც რამდენიმე ოთახისგან და ღვთისმშობლის მიძინების სახელობის პატარა, დარბაზული ეკლესიისგან შედგება, რ-იც მწკრივის აღმ. ბოლოშია მოქცეული. ერთი ოთახი (იოანე ბოდბელის ანდერძის ტექსტის თანახმად) – „საბურბალე სახლია“, მეორე – „საფენის დასაწყობი ოთახი“. ოთახებიც და ეკლესიაც შემორჩენილია გეგმის დონეზე. შესასვლელი ეკლესიას ჰქონია სამხრ-იდან – დარბაზიდან, რ-საც თავად იოანე მაყაშვილი „ზალა“-ს უწოდებს. ეკლ. თავის დროზე დამშვენებული ყოფილა ვარაყით მორთული კანკელით და კედლის მხატვრობით. სართულის

002. სამსართულიანი შენობა. სამხრ. ფასადი. დეტალი



დას. ნაწილში არსებული ორი ოთახი – „ჩვენი სადგომი დიდი ოთახი“ და „ჩვენი სადგომი ოთახი“ – იოანე ბოდბელის სამყოფს წარმოადგენდა. ოთახები ერთმანეთს კარით უკავშირდებოდა. ამასთან, დიდი ოთახი დაკავშირებული იყო როგორც ღია, ისე ფერადი მინებით შემინულ აივანთან. დიდი ოთახის დას. კედელში შემორჩენილია თარაზულთავიანი ღიობი (მოგვიანებით ამოუშენებიათ) და მსგავსი ფორმის სარკმლის ნაწილი.

დარბაზიდან აივანზე სწორკუთხა კარ-ფანჯრები გადიოდა. მათი ქვედა ნაწილები 2003 წელს, შენობის გახსნის დროს გამოვლინდა. სართულის აღმ. ბოლოში გამოვლინდა ასევე დარბაზთან დაკავშირებული ოთახი – „ზალაზედ მიბმული ოთახი ყიზილბაშური“. ამ ოთახის შემორჩენილი კედლები დანაწევრებულია ღრმა, შეისრულთაღოვანი ნიშებით, რ-ებიც ხის ძელებით სიმაღლეში გაყოფილია ორ თითქმის ტოლ ნაწილად. აღმ. კედლის ნიშების ზედა ნაწილი ყრუა, ქვედა ნაწილში კი სარკმელია მოთავსებული. დანარჩენი ნიშები ყრუა. ორივე სართულის ოთახები ბრტყლად იყო გადახურული. გარედან შენობა გადახურული იყო ღარისებრი კრამიტით დაბურული, ოთხკალთა სახურავით.

2003 წელს, სასახლის რეაბილიტაციის მიზნით ჩატარებული კვლევის (ც. ჩაჩხუნაშვილი, ნ. ზაზუნიშვილი) შედეგად, დადგინდა სასახლის ორივე სართულის სტრუქტურა და მოხდა მათი წერილობით წყაროებთან იდენტიფიცირება. დადგინდა, რომ სასახლის გადაკეთება იოანე ბოდბელის გარდაცვალების შემდეგ (გარდაიცვალა 1837 წელს, 94 წლის ასაკში. დაკრძალულია ბოდბის ტაძარში), XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაწყებულა. პირველ რიგში გაუუქმებიათ საჯინიბო და იგი სასტუმრო ოთახად გადაუკეთებიათ. ამა-

ვე პერიოდში სახე სხვა ოთახებსაც უცვლია. ნაგებობის ძირეული გადაკეთებები კი 1899 წლიდან დაწყებულა: შენობისათვის მოუხსნიათ აივნები და ზემოდან კიდევ ერთი სართული დაუშენებიათ, მეორე და მესამე სართულებზე კი – ძვ. ეკლესიის ადგილზე – წმ. ნიკოლოზის ეკლ. მოუწყვიათ. ამის შესახებ გვაუწყებს პირველი სართულის ერთ-ერთ კედელში ჩასმულ მარმარილოს ფილაზე არსებული რუსული წარწერა. წარწერაში ასევე მოხსენიებულია საქართვ. იმდროინდელი ეგზარქოსი ფლავიანე და მონასტრის პირველი წინამძღვარი იუვენალია. ამ გადაკეთებების შედეგად ნაგებობამ დღევანდელი სახე მიიღო.

საბჭოთა პერიოდში შენობაში ერთხანს განთავსებული იყო საავადმყოფო, შემდეგ – მხარეთმც. მუზეუმი. ამჟამად შენობა სამონასტრო კომპლექსის ერთ-ერთი ნაგებობაა.

ს ა მ რ ე კ ლ ო დგას წმ. გიორგის ეკლესიის დას-ით, თხუთმეტიოდე მ-ზე. სავარაუდოდ აგებულია XIX საუკუნის II ნახევარში (დ. ფურცელაძის მიხედვით, ეკლესიის დას-ით მდგარი სამრეკლოს მშენებლობა მიმდინარეობდა 1862-1885 წლებში). ნაგებია მთლიანად აგურით. შენობა კარგადაა დაცული, ფასადი, უმნიშვნელო დეტალების გამოკლებით, უცვლელად ინახავს პირვანდელ სახეს. ესაა გეგმით კვადრ., წაწვეტებული სახურავით დასრულებული, ხუთსართულიანი ნაგებობა, რ-ის ქვედა სამი სართულის გარეთა კედლები ერთ სიბრტყეშია, მომდევნო სართულები კი ერთიმეორის მიყოლებით, თანდათან ვიწროვდება. შიგნით პირველი და მეორე სართულები გაერთიანებულია. ორივე სართულს დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს: პირველს – აღმ-იდან, მეორეს კი – დას-იდან, ტერასიდან. დას. შესასვლელი მთავარია. ამ მხარეს მიწის დონე აწეულია და იგი ორი მხრიდან (აღმ-იდან და სამხრ-იდან) რიყის ქვით ნაშენი კედლით არის გამაგრებული. შიგნით, სამრეკლოს პირველი და მეორე სართულები გადა-



002. სამრეკლო. ხედი სამხრ.-დას-იდან

კეთებულია. მეორე სართულის კარის წინ დაახლ. 1 *მ* სიგანის ბაქანია მოწყობილი, საიდანაც პირველ სართულზე განიერი კიბე ჩადის. ბაქნის სამხრ. კიდეში სამრეკლოს მესამე სართულზე ასასვლელი, უმოაჯირო კიბე იწყება, რ-იც კედლიდან გამოშვერილი, რკინა-ბეტონის საფეხურებისგან შედგება. კიბე სართულის გადამხურავ კამარაში მოწყობილ, სწორკუთხა ღიობში ადის. კამარა ოთხი სამკუთხა ნაწილისგან შედგება, რ-თა წვერები თავს კამარის ცენტრში იყრის. პირველი სართულის კედლები უსარკმლოა, მეორე სართულის აღმ., სამხრ. და ჩრდ. კედლებში კი თითო მრგვალი სარკმელია გაჭრილი. კედლები შელესილია.

სამრეკლოს მესამე სართული, ქვედა სართულებთან შედარებით, ნაკლები ფართობისაა. გადახურულია შეკრული კამარით. სართულის თითოეულ კედელში ორ-ორი სარკმელია, რ-ებსაც გარედან თავი და ძირი მომრგვალებული აქვს. სარკმლებს გარდა, სართულზე ერთი ბუხარიცაა. მეოთხე სართულთან დამაკავშირებელი ღიობი კამარაშია გაჭრილი. როგორც ჩანს, ამ სართულზე ასასვლელად ხის მისადგმელი კიბით სარგებლობდნენ.

სამრეკლოს მეოთხე სართულის ოთხივე კედლის შუაში განიერი, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელია, რ-თა ასწვრივ თითო მრგვალი სარკმელია მოწყობილი.

მეხუთე სართული ოთხ მხარეს განიერი, ნახევარწრიულთაღოვანი ღიობით გახსნილი ფანჩატურია. ღიობები ყრუ მოაჯირითაა აღჭურვილი. თაღების დიამ., მალთან შედარებით, რამდენადმე ნაკლებია, რის გამოც თაღების ქუსლის დონეზე მრავალსაფეხურიანი იმპოსტებია მოწყობილი. გარდა ამისა, თაღის ქუსლის დონეზე ხის ჯოჭია გადებული.

სამრეკლოს კორპუსი მასიურია, ნაკლები სიმკვეთრით



002. სამრეკლო. სამხრ. ფასადი. დეტალი

დიფერენცირებული. ფასადები გაფორმებით ერთგვაროვანია. ფასადთა გაფორმებაში იგრძნობა რუსული კლასიციზმის გავლენა. პირველი სართულის კედლები სადაა. მხოლოდ შესასვლელის გადახურვის შუაშია გამოყვანილი საჭექი ქვის იმიტაცია. მსგავსადაა დამუშავებული სამხრ. და ჩრდ. ფასადებზე არსებული, საფეხურით შეღრმავებული არის „გადახურვაც“.

ყურადღებას იპყრობს მეორე სართულის გაფორმება, რ-იც ფასადს საზეიმო იერს ანიჭებს. თავისი გაფორმების სტრუქტურით ფასადი, უაღრესად საინტერესო სურათს გვიჩვენებს. კედლის სიბრტყის მსგავსი მოკაზმვა ქართ. საეკლ. არქიტექტურისათვის სრულიად უცხოა. თავად ნახატი მონასტრის მთავარი ეკლესიის იმდროინდელი გარეგანი ფორმების ასოციაციას იწვევს. კერძოდ, როდესაც ეკლესიას გვერდებიდან კარიბჭეები მიაშენეს, სახურავზე კი გუმბათი დაადგეს. ნახატი სქემატურია, გამოყვანილია კედლის სიბრტყიდან შვერილი, თეთრად შეღებილი, ოცდახუთიოდე *სმ* სიგანის ზოლით, რ-ის ზედაპირი სამ თანაბარ ნაწილად არის დანაწევრებული (ლილვისებრად ამობურცული ზედაპირით შუაში) და ფერის წყალობით, მკაფიოდ გამოიყოფა მუქი წითელი ფერის კედლების ფონზე.

ფასადის ცენტრი ხაზგასმულია ფართო, შეისრული თაღით. მას ორივე მხრიდან ებმის იგივე პროფილის შვერილი ზოლით გამოყვანილი, ციცაბო ფრონტონით დაგვირგვინებული, თითო ვიწრო არე, რ-იც ერთიან, გრძელ სწორკუთხედს შეადგენს. ორივე ფრონტონის არეში სამყურა ფოთლის მსგავსი ელემენტია გამოყვანილი. თავად ფრონტონი დაყრდნობილია მაღალ, სტილიზებულ კონსოლებზე, კონსოლები კი – სწორკუთხა ნაწილების შემომფარგლელი ზოლების კაპიტელებზე. ამავე კაპიტელებზეა დაყრდნობილი თაღის ზემოთ გამოყვანილი, საფეხურებიანი „პოსტამენტიც“, რ-ზეც მაღალი ჯვარია აღმართული. თაღის წვერზე დაყრდნობილია ფრონტონი, რ-იც „პოსტამენტის“ არეს თითქმის მთლიანად ავსებს. თითო, ოღონდ შეღრმავებული ჯვარია „აღმართული“ გვერდითი ნაწილების ფრონტონებზეც.



002. ღირსი ზაბულონისა და სოსანას სახელობის ეკლ. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

დას. ფასადზე, სამრეკლოს მთავარი შესასვლელი შეისრულთაღოვან არეშია მოქცეული, რ-იც ხაზგასმულად საზეიმოა და შენობას „რესპექტაბელურ“ იერს ანიჭებს. დანარჩენი არეების ღერძებზე კი – თითო მრგვალი სარკმელია განლაგებული. თითოეული ფასადის ზედა ნაწილში, მესამე სართულის დონეზე, ორ-ორი სარკმელი გამოდის. სარკმელი ოვალურ საპირეში არის ჩასმული, რ-საც შეწყვილებული ლილვით გამოყვანილი, მოკლე „ყურები“ ამკობს. ფასადის კიდეებს, მთელ სიმაღლეზე, აუყვება ორ-ორი ვიწრო სვეტი, რ-ებიც ამოღარულზედაპირიანი პილასტრის ფორმას ქმნის.

შენობის ძირითადი ნაწილი დაგვირგვინებულია საკმაოდ მაღალი ლავგარდნით, რ-იც რამდენიმე ნაწილისგან შედგება. ლავგარდნის დამუშავებისას გამოყენებულია სტალაქტიტების მოტივი, ასევე ირიბად განლაგებული, ჩაღრმავებული პარალელოგრამებით დამუშავებული სიბრტყეები.

სამრეკლოს მეოთხე და მეხუთე სართულების ცალკეული ხუროთმოძღვრული ელემენტების – პროფილების რეპერტუარი, ძირითადად, იგივეა; ასევე გამოყენებულია ბრტყელი, სადა ჩარჩოები, მაღალი, სრულიად სადა, გეომეტრიული ფიგურები, კედლის ზედაპირიდან შვერილი ან ჩაღრმავებული გეომეტრიული ფიგურებით (რომბები, სწორკუთხედები, კვადრატები) შედგენილი ფრიზები და სართულების დამასრულებელი, მრავალნაწევრიანი ლავგარდნები. ყურადღებას იპყრობს შეღრმავებული არეების შეისრული მოყვანილობის თაღებით დამუშავება.

შენობა დაგვირგვინებულია თუნუქით დაბურული, რვაწახნაგოვანი სახურავით.

2001 წელს, მონასტრის ქვემოთ მდებარე წყაროს ადგილას, აიგო წმ. ნინოს მშობ-

ლების, ღირსი ზაბულონისა და სოსანას სახელობის ეკლ. (პროექტის ავტორი, არქიტ. თ. ბერიძე), რ-ის პირველ სართულზე წყარო და სანათლავია.

2009 წელს საქველმოქმედო ფონდმა „ერთგულებამ“ (ხელმძღვ. ა. გეგენავა) ბაზილიკის სამხრ.-აღმ-ით დაიწყო წმ. ნინოს სახელობის გუმბათოვანი ეკლესიის მშენებლობა (პროექტის ავტორი, არქიტ. თ. ბერიძე), რ-იც დასრულდა 2019 წელს.

თ. დვალი.

ბიბლ.: 5, 19, 43ა, 46, 47, 48, 78, 87გ, 96, 104, 109, 110, 113, 134, 137, 144, 151, 175, 203, 211,215, 217, 220, 221, 222, 223,244, 249, 261, 264, 273, 303, 309, 331, 332, 343.

003. ორმოსამარხი, არქეოლ. ძ. აღმოჩნდა ბოდბის მონასტრის გალავნის აღმ-ით, 150 მ-ზე, გზის მშენებლობის დროს. თარიღდება ძვ. წ. XIII საუკუნით. დაზიანებული სამარხი შეისწავლა კპმ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).


ორმოსამარხში მიცვალებული დაკრძალული იყო მარჯვ. გვერდზე, კიდურებმოხრილი. სამარხში აღმოჩნდა უხეშზედაპირიანი, ლეგად გამომწვარი თიხის ჭურჭელი, ბრინჯაოს შედგენილტარიანი მახვილი და მცირე დიამეტრის ფარი.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.


კ. ფიცხელაური.

004. საცხოვრებელი სახლი, ხელაშვილის სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობდა ქალაქის სამხრ.-დას. განაპირას, ე. წ. თავგატეხილას წყაროს მახლობლად, ბროწეულას ხევის ფერდობის შუა ნაწილში (ამჟამად არსენას ქუჩა № 13). განეკუთვნებოდა XIX საუკუნის დასაწყისს.

1986 წელს ძეგლთა დაცვის სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწარმოო გაერთიანების საპროექტო ბიუროს მიერ დამუშავდა რესტავრაცია-ადაპტაციის პროექტი (ავტორები: არქიტ-ები ნ. კანდელაკი, ი. გამყრელიძე). 2006 წელს საქართვ. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის № 3/46 ბრძანებით სახლს მიენიჭა ეროვნ. მნიშვნელობის არქიტ. ძეგლის სტატუსი და საქართვ. კულტურის,ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს კულტ. მემკვიდრეობის დაცვის დეპარტამენტის მიერ ჩატარდა სახლის წინასაპროექტო საძიებო-საკვლევი სამუშაოები, რის საფუძველზეც 2007 წელს მომზადდა სახლის რეაბილიტაციის პროექტი (ავტორი,არქიტ. ი. მოსულიშვილი. პროექტის მიხედვით, სახლს საცხოვრებლის ნაცვლად, ენიჭებოდა ღვინის სადეგუსტაციო სახლის ფუნქცია), მაგრამ სარეაბილიტაციო სამუშაოები არ განხორციელებულა. 2010-იან წლებში შენობა დაინგრა, საშენი მასალა კი მთლიანად გაიზიდა.




004. I სართულის გეგმა.



004. II სართულის გეგმა.


004. განივი ჭრილი. ხედი დას.-კენ



სახლი ქუჩის გასწვრივ იყო საგრძნობლად წაგრძელებული (18,00x8,00 მ) და მთავარი ფასადით ჩრდ-ით, ქუჩისკენ იყო მიმართული. ამ მხარეს იგი ორსართულიანი, ზურგის მხარეს კი ერთსართულიანი იყო. ქუჩის მხარეს სახლს, მთელ სიგრძეზე, გაუყვებოდა ხის, გადახურული აივანი, რ-იც აგურის ექვს მრგვალ სვეტზე იყო დაყრდნობილი. ნაგებობას საკუთარი ეზო პრაქტიკულად არ გააჩნდა. სახლის მთავარი ფასადის წინ მდებარე მიწის ნაკვეთი მეზობელ სახლთან მისასვლელ გზას ეკავა. ზურგის მხარეს არსებული ნაკვეთის სიმცირის

გამო, შენობა ერუ ფასადით თითქმის ფერდობზე იყო მიბჯენილი.

სახლის წინა კედელი ნაწყობი იყო „ქართული“ აგურით, უკანა და გვერდითი კედლები კი – აგურისა და რიყის ქვის შერეული წყობით. ფასადები და ინტერიერის კედლები სქლად იყო შელესილი. შემკულობის ელემენტები გამოყვანილი იყო ალებასტრით. გადახურვები გამართული იყო ხის კოჭებზე. სახურავი ღარისებრი კრამიტით იყო დაბურული.



004. მთავარი ფასადი

შენობის პირველ სართულს მარანი და ორი ოთახი შეადგენდა. მარნის იატაკში ჩაყრილი იყო ქვევრები. უკანა კედელში კი ბუხარი და ორი თაღოვანი თახჩა იყო მოწყობილი. მარანი ქუჩისკენ ერთიანი თაღით იხსნებოდა. ოთახებს დამოუკიდებელი შესასვლელები მთავარი ფასადის მხრიდან ჰქონდა. ოთახებიდან ქუჩის მხრისკენ გადიოდა ფრონტონებით დასრულებული, სწორკუთხა სარკმლები (მარნის მომიჯნავე ოთახიდან – სამი, მეორე ოთახიდან – ორი). ოთახებში მოწყობილი იყო განჯინები და თახჩები. მარნის მომიჯნავე ოთახში – გეგმით ნახევარწრიული ბუხარიც.

მეორე სართული პირველი სართულის ანალოგიურად იყო გადაწყვეტილი, იმ განსხვავებით, რომ მარნის თავზე აქ საცხოვრ. ოთახი მდებარეობდა. ოთახები



004. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

ერთმანეთს თითო კარით უკავშირდებოდა. ყველა ოთახში მოწყობილი იყო თახჩები და თითო ბუხარი. ოთახებიდან აივანზე გადიოდა სწორკუთხა სარკმლები (განაპირა ოთახებიდან ორ-ორი, შუიდან კი – ოთხი). შესასვლელები სამკუთხა ფრონტონით იყო დასრულებული, სარკმლები – ნალესობით გამოყვანილი, ნახევარწრიული თავსართებით, რ-ებიც ჰორიზონტალურად გამავალ, იმავე პროფილის მქონე თაროს ეყრდნობოდა. აივანზე, ოთახების გამყოფი კედლების შესაბამისად, მოწყობილი იყო ვიწრო, სამკუთხა ფრონტონით დასრულებული თითო ნიშა.

სახლის სხვენი მთავარი ფასადის მხარეს, თანაბარი სიგანის, ექვსი დაბალი ღიობით იხსნებოდა, გვერდითი ფასადების მხარეს კი – ორ-ორით. ღიობები ხის კოჭებით თარაზულად იყო გადახურული, რ-ებიც მათ გამმიჯნავ, აგურით გამოყვანილ, ოთხკუთხა სვეტებს ეყრდნობოდა. სხვენის უკანა კედელში მოწყობილი იყო სამი მართკუთხა ღიობი და რამდენიმე თახჩა.

დროთა განმავლობაში სახლს გარკვეული ცვლილებები განუცდია: XIX საუკუნის შუა წლებში დას. მხრიდან მისთვის ორსართულიანი ნაგებობა მიუშენებიათ, რ-შიც მოწყობილი იყო მეორე სახლის მეორე სართულზე და სახლის უკანა მხარეს არსებულ ეზოში ასასვლელი კიბე. XX საუკუნის II ნახევარში კი შენობისთვის მარცხ. მხრიდან ორსართულიანი, დამხმარე სათავსი მიუდგამთ.

სახლი, თავისი ხუროთმოძღვრული მახასიათებლებით, იმდროინდელი სიღნაღის ერთერთ საყურადღებო ნაგებობას წარმოადგენდა. შემორჩენილი სამშენ. ხელოვნებისა და მხატვრული გაფორმების არაერთი საყურადღებო დეტალი მას მკაფიოდ გამოხატულ მხატვრულ-არქიტექტურულ ინდივიდუალობას და განსაკუთრებული გამომსახველობის ძალას ანიჭებდა.

თ. დვალი.

005. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩაზე



005. ხედი ნ. ბარათაშვილის ქუჩიდან

(№ 5), აღმართის დასაწყისში. თარიღდება XIX საუკუნის II ნახევრით.

სახლი ორსართულიანია, სარდაფიანი. ნაგებია ძირითადად აგურით, წყობაში გამოყენებულია რიყის ქვაც.

შენობა ქუჩის ხაზზე, სხვა სახლების მწკრივში დგას, რის გამოც მისი გარეგნული სახის განმსაზღვრელი მხოლოდ ქუჩის და ეზოს მხარეს მოქცეული ფასადია (2007 წელს ქალაქის რეაბილიტაციის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების დროს, სახლის მხოლოდ ქუჩისპირა ფასადი იქნა აღდგენილი).

შენობის ქვედა სართული სავაჭრო დანიშნულებით გამოიყენებოდა და განიერი, დარაბებიანი, სწორკუთხა ღიობით ქუჩის მხარეს თითქმის მთლიანად იყო გახსნილი. ფასადის მარჯვ. ნაწილში სადარბაზო კარია, რ-იც თავდაპირველად ხის ნაკვეთი ელემენტებით შედგენილი სახეებით იყო გაფორმებული.

სახლის მეორე სართულს მთელ სიგრძეზე გაუყვება ხის შეკიდული, შემინული აივანი. აივნის მოაჯირი შეფიცრულია. აივანზე ოთახების მშვილდისებრთაღოვანი კარ-სარკმლები გამოდის. სახლის უკანა ფასადს თავდაპირველი სახე დაკარგული აქვს.

შენობა გადახურულია თუნუქით დაბურული, ორკალთა სახურავით.


თ. დვალი.

006. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩაზე (№ 7).

XIX საუკუნის შუა ხანებით თარიღდება, მეორე კი – XIX საუკუნის მიწურულით. სახლის ძვ. ნაწილი (17,90x6,50 მ) ეზოს სიღმეშია წაგრძელებული და ქუჩაზე განივი ფასადით გამოდის. მეორე, გვიანდ. ნაწილი (12,20x10,80 მ) კი ქუჩის ხაზზე მდებარე სხვა სახლების მწკრივში დგას და ოდნავ ქუჩის მიმართულებითაა წაგრძელებული. სახლის განლაგებიდან გამომდინარე, მისი ნაწილების გარეგნული სახის განმსაზღვრელი მხოლოდ ქუჩის და ეზოს მხარეს მოქცეული ფასადებია.

ქუჩის მხრიდან სახლის ძვ. ნაწილი ორსართულიანია, ხოლო ეზოს მხრიდან – სამსართულიანი. გვიანდ. ნაწილი კი ორივე მხრიდან ორსართულიანია. აივანი ეზოს მხარეს, შენობის მთელ სიგრძეზე,ორივე ნაწილის ორივე სართულზეა.


იმის გამო, რომ შენობის გვიანდ. ნაწილი აღმართზეა აგებული, პირველ სართულზე მდებარე ოთახების დონეებს




006. I სართულის გეგმა

სახლი შედგება სხვადასხვა პერიოდის ორი ნაწილისგან, რ-ებიც ერთმანეთს სწორი კუთხით ერთვის. მათგან ერთი, თავდაპირველი, საკარაუდოდ შორის სხვაობაა, მეორე სართულზე კი შენობის ორივე ნაწილის იატაკი ერთ დონეზეა. სახლის ორივე ნაწილის საშენი მასალა ერთი სახისაა – „ქარ-

თული“ აგური და წვრილი, რიყის ქვა. სართულშუა გადახურვა, სხვენი და სახურავის ჩონჩხი ვხვდებით. სართულის სამივე ოთახის ზურგის კედელი ყრუა. ქუჩის მხარეს მდებარე ოთახის სამ კედელში ნიშებია მოწყობილი. მეოთხე კედელი, რ-ითაც ოთახი მიჯრით მდებარე ოთახისგან იყო გამიჯნული, ყრუა და სხვა კედლებთან შედარებით, გაცილებით თხელი. იგი ადრე არსებული საბჯენი თაღის არეში მოგვიანებით ჩაუშენებიათ.



006. II სართულის გეგმა



006. ჭრილი 1-1

სახლის მეორე სართულის გეგმარება პირველის მსგავსია. ოთახებში შესასვლელი აქაც აივნიდანაა. იგი ხისაა და აგურით ნაგებ, მრგვალ ბოძებს ეყრდნობა. ამ მხარესაა გაჭრილი ოთახების სარკმლებიც. პირველი სართულიდან აივანზე ამოდის ხის კიბე, რ-იც მისსავე ხისაა. სახურავი დაბურულია ღარისებრი კრამიტით.

სახლის ორივე ნაწილში ოთახების განლაგება ანფილადურია. ორივე ნაწილის ქვედა სართული სავაჭრო საქმიანობასთან იყო დაკავშირებული, მეორე კი საცხოვრებელს წარმოადგენდა. სახლის თავდაპირველი ნაწილის პირველ სართულზე სამი ოთახია. სამივე ოთახში შესასვლელი მიწის დონეზე, უმოჯირო აივნიდანაა (სახეცვლილია). აივანზე კი – ქუჩის მხრიდან. აივანზე განიერი (სიგ. დაახლ. 2 მ-ია), ნახევარწრიულთაღოვანი კარით ფარგლებშია მოქცეული. აქ მოსახვედრად, ეზოს მხრიდან, მეორე ხის კიბეც იყო მოწყობილი. ეს უკანასკნელი თუნუქით იყო გადახურული.

აივანი ამ სართულს ქუჩის მხარესაც აქვს. იგი შეკიდულია და ადრე ეზოს მხარეს მდებარე აივანს ებმოდა. მესამე სართულზე ასასვლელი კიბე მეორე სართულის, ქუჩის მხარეს მოქცეული კედლის სისქეშია. მასში აივნიდან ვხვდებით. ამავე კედელშია მოწყობილი ოთახში შესასვლელი კარი და ქუჩაზე გამომავალი ერთადერთი სარკმელი.

სახლის გვიანდ. ნაწილის პირველი სართული, როგორც ჩანს, თავდაპირველად ერთ დიდ ოთახს (ფართ. დაახლ. 55 *კვ მ*) და გასასვლელს (სიგ. – 2,2 *მ*) ეჭირა, რ-იც ქუჩას ეზოსთან აკავშირებდა (გამორიცხული არ არის ისიც, რომ სართული ადრე ერთიანი ყოფილიყო). მოგვიანებით (შესაძლებელია მშენებლობის პროცესშივე, ან დამთავრებისთანავე) ოთახი გაუტიხრავთ და თანაბარი ფართობის ორი ოთახი მოუწყვიათ. ქუჩის მხარეს ოთახები დარაბებიანი, სწორკუთხა ღიობით იყო გახსნილი (ამას ისიც მოწმობს, რომ თავდაპირველ ნაწილსა და გვიანდელ დანამატს შორის ნაკერი არსებობს). ერთი ოთახის შესასვლელი თა-



006. ჭრილი 2-2



006. მთავარი ფასადი

ვდაპირველი ნაწილის აივნი-დანაა, მეორისა კი – გვიანდ. ნაწილის აივნიდან. ეს აივანიც, ისევე როგორც თავდაპირველი ნაწილისა, მიწის დონეზეა, ოღონდ მოაჯირის გარეშე.

სახლის გვიანდ. ნაწილის მეორე სართულის აივანიც, ისევე როგორც თავდაპირველისა – ხის ყოფილა, ოღონდ მისგან განსხვავებით, იგი მრგვალ ბო-



006. ხედი ნ. ბარათაშვილის ქუჩიდან

ძებზე კი არ იყო დაყრდნობილი, არამედ კაპიტელით დაგვირგვინებულ, აგურის ოთხ კვადრ. ბოძზე. თავად აივნის გადახურვა, ისევე როგორც თავდაპირველი ნაწილის აივნისა, იატაკზე დაბჯენილ ხის სვეტებს ეყრდნობოდა, მოაჯირი კი ხის რიკულებით იყო შედგენილი.

სახლის ქუჩისპირა ფასადს თავდაპირველი ფორმები და იერი თითქმის მთლიანად აქვს შენარჩუნებული. გამონაკლისი მხოლოდ ფასადის მარჯვ. ნაწილში მდებარე, ნახევარწრიულთაღოვანი შესასვლელია, რ-შიც ამჟამად ხის, ორფრთიანი კარია ჩასმული. თავდაპირველად შესასვლელი ხის ძელით თარაზულად იყო გადახურული და დასრულებული იყო აგურის თევზიფხური წყობით გამოყვანილი, ნახევარწრიული ტიმპანით, რ-საც გარს ევლებოდა პროფილირებულ თაროზე დაყრდნობილი თავსართი.


ფასადის არსებითი ელემენტია ხის აივანი, ხის „დორიული“ სვეტებითა და რიკულებიანი მოაჯირით. აივანი ორივე ფასადის გაყოლებითაა მოწყობილი. ცალკეული ხუროთმოძღვრული ელემენტები, დეტალები და პროფილების მრავალსახეობა ძირითადად იგივეა, როგორიც სიღნაღის ამ პერიოდის დანარჩენ სახლებში. იგი მთლიანად უპასუხებს ეპოქის ნორმებს. ყურადღებას იპყრობს სახლის თავდაპირველი ნაწილის – ქუჩისპირა ფასადის მეორე სართულის შესასვლელის მორთულობა სოლისებრი ელემენტებით.

1987 წელს, ᲝᲪᲔ დაცვისა და გამოყენების მთ. სამმართველოს სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. გაერთიანების საპროექტო ბიუროში, დამუშავდა სახლის რესტავრაცია-ადაპტაციის პროექტი (ავტორები: არქიტექტორები ი. ნაგლაძე და დ. მჭედლიძე), რ-იც განხორციელდა 2007 წელს ქალაქის რეაბილიტაციის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობისას. განახლდა ქუჩისპირა ფასადი, შენობის ძვ. ნაწილზე გაიხსნა მოგვიანებით ამოშენებული ღიობები, ახლით შეიცვალა აივანი და კარ-სარკმლები, ამორტიზირებული კედლის მონაკვეთები.

სახლი, ზომითა და ხასიათით, სოლიდურ შთაბეჭდილებას ტოვებს.

თ. დვალი.


007. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩაზე (№ 9). თარიღდება XIX საუკუნის II ნახევრით. სახლი ორსართულიანია, მცირე ზომის. იგი ქუჩის ხაზზე მდებარე ორ სახლს შორის არის „ჩადგმული“ ისე, რომ გვერდებიდან მიჯრით მდგარი შენობების კედლებითაა შემოზღუდული. შენობა აგებულია „ქართული“ აგურით. სახლის პირველი სართული თავდაპირველად სავაჭ-



007. I სართულის გეგმა

რო დანიშნულებით (შესაძლოა სახელოსნოსთვის) გამოიყენებოდა, მეორე – საცხოვრებლად. პირველ სართულზე სხვა-

დასხვა ფართობის ორი მცირე ოთახია (მოზრდილის ფართ. დაახლ. 9,2 *კვ მ*-ია). თავდაპირველად ქუჩის მხარეს, თითო მშვილდისებრთაღოვანი ღიობით, ისინი მთელ სიგანეზე იყვნენ გახსნილი. ორივე ღიობში, როგორც ჩანს, ჩადგმული იყო ხის სწორკუთხა, დარაბებიანი კარი. მოგვიანებით მარცხ. ღიობი დაუვიწროებიათ და მასში ხის ორფრთიანი, ყრუ კარი ჩაუდგამთ, მეორე კი ე. წ. რუსული აგურით ამოუშენებიათ და თაღის არეში ორი სწორკუთხა სარკმელი მოუწყვიათ.




007. II სართულის გეგმა



007. ჭრილი 1-1

პირველი სართულის ოთახები ადრე ერთმანეთთან დაკავშირებული იყო განიერი (სიგ. – 2,3 *მ*) თაღით, რ-შიც მოგვიანებით კარი ჩაუდგამთ. თავდაპირველად მარჯვ. ოთახიდან ეზოში ორი სარკმელი გადიოდა. შემდგომში ორივე ღიობში, გარეთა კედლის ხაზზე, თხელი კედელი ჩაუშენებიათ და სარკმლები ნიშად გადაუკეთებიათ.

სახლის მეორე სართულზე ერთი ოთახი (ფართ. – 12 *კვ მ*) და ვიწრო დერეფანია. ოთახში შესასვლელი დერეფნიდანაა. კარი დერეფნიდანვე გადის აივანზე, რ-იც ფასადის მხოლოდ მარჯვ. ნახევარს გასდევს. თავად დერეფანში კი



007. ფასადი ნ. ბარათაშვილის ქუჩის მხარეს

ხის ერთმარშიანი, გადახურული კიბით ვხვდებით. კიბე მიჯრით მდგარი შენობის გვერდით კედელზეა მიყრდნობილი და დერეფანს გარედან ადგება. ოთახიდან, ქუჩის მხარეს, სხვადასხვა ზომის ორი სარკმელი გადის. ორივე მშვილდისებრთაღოვანია. ერთი სარკმელი ოთახის ზურგის კედელშია. ამავე კედელში, სარკმლის მარჯვნივ, ერთი ნიშაა, ზურგის კედლის მარცხ. კიდეში კი – კედლის ღუმელი. აივანი ხისაა, შეკიდული. აივანზე ოთახიდან მხოლოდ ერთი სარკმელი გამოდის. აივნის გადახურვა კვადრ. სვეტებს ეყრდნობა.

1987 წელს, იპბძ დაცვისა და გამოყენების მთ. სამმართველოს სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. გაერთიანების საპროექტო ბიუროში, დამუშავდა სახლის რესტავრაცია-ადაპტაციის პროექტი (ავტორები: არქიტექტორები ი. ნაგლაძე და დ. მჭედლიძე), რ-იც განხორციელდა 2007 წელს, ქალაქის რეაბილიტაციის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობისას. მოიხსნა ფასადის მარცხ. ღიობში მოგვიანებით ჩაშენებული კედელი და მის ნაცვლად ხის, ორფრთიანი ჭიშკარი ჩადგეს, განახლდა აივანი, რ-ის ყრუ, ფიცრული მოაჯირი ფიცრისავე, აჟურული მოაჯირით შეცვალეს.

თ. დვალი.

008. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩაზე (№ 11). არქიტ ნიშნებით თარიღდება XIX საუკუნის დასასრულით - XX საუკუნის დასაწყისით.

სახლი ორსართულიანია. ნაგებია აგურით, აქვს სარდაფი. შენობა დგას ქუჩის დაფერდებულ მონაკვეთში და გვერდებიდან მოსაზღვრე სახლები ეკვრის, რ-ებიც შესაბამის ფასადებს, ფრონტონის ძირამდე, მთლიანად ფარავს. ერთადერთი ფასადი, რ-იც შენობის გარეგან სახეს განსაზღვრავს ქუჩისპირა ფასადია (2007 წელს, ქალაქის რეაბილიტაციის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოებისას, სახლის ქუჩისპირა ფასადს დაუბრუნდა თავდაპირველი სახე).

შენობის პირველი სართულის ფასადის მარცხ. ბოლოში ხის სადარბაზო კარია, რ-ის მარჯვნივ, ერთმანეთისგან თანაბარი მანძილებით დაშორებული ექვსი სწორკუთხა, პროფილირებული თავსართით დასრულებული, დარაბებიანი სარკმელია განლაგებული. ფასადის მარჯვ. ბოლოში, პირველი სართულის სარკმლის ქვემოთ, სარდაფში შესასვლელი კარია, მის მარცხნივ კი ორი კვადრ. სარკმელია გაჭრილი, რ-თა გაყოლებით სამი ცრუ სარკმელია მოწყო-



008. ხედი ნ. ბარათაშვილის ქუჩიდან

ბილი. მათგან ერთი, ფასადის მარცხ. ბოლოში მდებარე, ქუჩის დაქანების გამო, თითქმის მთლიანად მიწაშია ჩამჯდარი.

მეორე სართულის ფასადს მთელ სიგრძეზე გასდევს ხის აივანი. აივნის მოაჯირი სადაა, შეფიცრული. თაღები კი აჟურულია. აივანზე გამოდის პროფილირებულ საპირეში ჩასმული კარ-სარკმლების შვიდი ნახევარწრიულთაღოვანი ღიობი. საპირის შიდა მხარე ხერხისებრადაა დამუშავებული. სახლი გადახურულია ორფერდა სახურავით.

თ. დვალი.

009. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩაზე (№ 15). არქიტ. ნიშნებით თარიღდება XIX-XX საუკუნეების მიჯნით.

სახლი ორსართულიანია. ნაგებია აგურით. ქუჩისკენ მიმართულია გრძივი, სხვადასხვა სიმაღლის გვერდების მქონე ფასადით, რ-საც სიმაღლეში ორ ნაწილად ყოფს სართულშუა გადახურვის დონეზე გამოყვანილი, მარტივი პროფილის თარო. ორივე ნაწილი თანაბრად განლაგებული კარ-სარკმლების ღიობებითაა დანაწევრებული. მორთულობის ელემენტები მარტივია. მორთულობისათვის ძირითადად გამოყენებულია სწორხაზოვანი სახეები. პირველი სართულის მარცხ. ბოლოში რკინის სწორკუთხა, ორფრთიანი, სადარბაზო კარია (გვიანდელია), მარჯვ. ბოლოში კი – განიერი, მშვილდისებრთაღოვანი ღიობი, რ-შიც ხის სწორკუთხავე, ორფრთიანი, ალაყაფის კარია ჩადგმული. სადარბაზო კარის ზღურბლი ტროტუარიდან ოცდაათიოდე სმ-ითაა შემაღლებული, კარის ზედა ნაწილი კი მეორე სართულის ფარგლებშია შეჭრილი. კარის თავზე რკინის ორფერდასახურავიანი მარკიზია, რ-იც რკინისავე, აჟურულ კონსოლებს ეყრდნობა. ფასადის დანარჩენი ნაწილი ხუთი ბრტყელთაღოვანი, უბრალო, შვერილ საპირეში ჩასმული სარკმლითაა დანაწევრებული. სარკმლებს შორის შედარებით მცირე ინტერვალებია დატოვებული. სარკმლების პროპორცია იმის გამო, რომ პირველი სართულის ნაწილი მიწაშია ჩამჯდარი, დადაბლებულია. მხო-

009. ხედი ნ. ბარათაშვილის ქუჩიდან



ლოდ მარცხ. სარკმლის ძირია ტროტუარის დონეზე. სარკმლებს ზემოთ სიბრტყე გლუვია, ქვემოთ კედელი შელესილი და შეთეთრებულია.

მეორე სართულის ფასადი გვერდებიდან შემოფარგლულია რუსტების იმიტაციით შედგენილი, მაღალი კაპიტელით დასრულებული პილასტრით. ფასადის შუა ნაწილში რკინის, აჟურულმოაჯირიანი აივანია, რ-იც რკინისავე, აჟურულ კონსოლებს ეყრდნობა და კედლის თავისუფალ სიბრტყეზე ნათლად გამოიყოფა. აივნის მარცხნივ ორი, ხოლო მარჯვნივ ერთი სარკმელია. აივანზე სამი სარკმელი და ერთი კარი გამოდის. ყველა ღიობი მშვილდისებრთაღოვანია, ალათაშეცვლილი. თავდაპირველი სახით მხოლოდ მათი ფრამუგებიღაა შემორჩენილი. ღიობები, პირველი სართულის მსგავსად, შვერილ საპირეშია ჩასმული. სარკმლებს ქვემოთ საფეხურით შეღრმავებული, სწორკუთხა არეა. ღიობების თავზე, კედელს ლავგარდანი გასდევს. მის ზემოთ კი გლუვი პარაპეტია, რ-ის ცენტრში ვიწრო, შეისრულთაღოვანი ღიობია, ბოლოებში კი – ჩაღრმავებული არით დამუშავებული, თითო ვერტ. შვერილი.

2007 წელს, ქალაქის რეაბილიტაციის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოებისას, ფასადი გვიანდ. ნალესობისგან გაიწმინდა, შეიცვალა სადარბაზო კარი და ჭიშკარი, ლაქვარდისფრად შეიღება აივანი, სახლი დაიბურა კრამიტით.

თ. დვალი.

010. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩაზე (№ 16). არქიტ. ნიშნებით თარიღდება XX საუკუნის მიწურულით.

სახლი ორსართულიანია. ნაგებია რიყის ქვითა და ე. წ. ქართული აგურით. კედლების წყობა ტრადიციულია, რ-ებშიც რიყის ქვისა და ორრიგად ნაწყობი აგურით გამოყვანილი, თარაზული შრეები ენაცვლება ერთმანეთს. აგურითაა ამოყვანილი კუთხეები და კარ-სარკმლები. სართულშუა გადახურვები და სახურავის ჩონჩხი კი ხისაა.

შენობა ქუჩის პირზე მდგარი სახლების მწკრივშია ჩართული და ქუჩისკენ გვერდითი ფასადით გამოდის. ზურგის მხრიდან მას მოსაზღვრე სახლი ეკვრის, წინა მხრიდან კი – მცირე ფართობის ეზო. ამჟამად სახლში შესასვლელი ეზოდანაა. ქუჩის დახრილობის გამო, სახლი ზურგის მხარეს ორსართულიანია, ეზოს მხარეს კი – სამსართულიანი. ამ მხა-



010. ხედი ნ. ბარათაშვილის ქუჩიდან

რეს სახლის პირველ და მეორე სართულებს აივანი გასდევდა. ამავე მხრიდანაა სარდაფში შესასვლელიც. სარდაფი ეზოს დონეზე მდებარეობს. მის წინ ღია სივრცეა, რ-იც მოგვიანებით წინიდან შეუფიცრავთ. სახლის პირველი და მეორე სართულის აივანზე ხის კიბით ვხვდებით, რ-იც აივანზე ეზოს მხრიდანაა მიდგმული. პირველი სართულის აივნის თავზე აგურით ნაგებ კვადრ. ბოძებზეა დადებული, მეორე სართულისა კი – ხის მრგვალ სვეტებზე. ბოძებიც და სვეტებიც კაპიტელებითაა დასრულებული. პირველი სართულის აივნის მოაჯირი ფიცრისაა (სახეცვლილია), მეორისა კი რიკულებითაა შედგენილი. აივანი სახლის მეორე სართულს ქუჩის მხარესაც აქვს. ეს უკანასკნელი დაკიდულია.

სახლის გარეგანი სახის განმსაზღვრელი ქუჩისპირა ფასადია. ფასადის პროპორციები სავსებით ზომიერია. მხატვრულად გააზრებული ხერხია სადა, მოურთავი კედლისა და რიკულებიანი მოაჯირითა და კაპიტელებით დასრულებული, მრგვალი სვეტებით ინტენსიურად მორთული აივნის კონტრასტი. ფასადის ქვედა ნახევარიც სადაა. კედლის მარცხ. ბოლოში თაღოვანი კარი იყო გაჭრილი (მოგვიანებით ქვედა ნახევარი ამოუშენებიათ და სარკმლად გადაუკეთებიათ), რ-ითაც პირველი სართულის აივანზე ვხვდებოდით. კედლის მარჯვ. ბოლოში კი ხის, ერთფრთიანი, ყრუ კარია (აქ ამჟამად მაღაზიაა). აივანზე გამოდის ოთახების კარ-სარკმელები. ისინი თაღოვანი, ჰორიზ. თაროზე დაყრდნობილი თავსართითაა შემკული. სახლი კრამიტითაა გადახურული.

2007 წელს, ქალაქის რეაბილიტაციის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების დროს, ფასადი აღადგინეს: კედელი გაიწმინდა ნალესობისგან, განახლდა აივანი, შეიცვალა ეზოს კედელი და ეზოში შესასვლელი კარი, განახლდა ფასადის მარჯვ. ბოლოში არსებული კარი და სხვ.

თ. დვალი.

011. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩაზე (№ 23). არქიტ. ნიშნებით თარიღდება XX საუკუნის დასაწყისით.

სახლი დაფერდებულ ადგილზე დგას, რის გამოც ნ. ბარათაშვილის ქუჩის მხარეს იგი სართულნახევრიანია, ეზოს მხარეს კი – ორსართულიანი. ცალი მხრიდან სახლს მოსაზღვრე სახლი ეკვრის, მეორე

მხრიდან კი ქუჩის ერთ-ერთი განშტოება ჩაუდის. ამ მხრიდან სახლის ეზო შემოფარგლულია



011. ხედი ნ. ბარათაშვილის ქუჩიდან

მაღალი ღობით, რ-შიც ლითონის ჭიშკარია (გვიანდელია) ჩადგმული. ეზოს დანარჩენი ორი მხარე კი თავად სახლითაა შემოსაზღვრული. ამ მხარეებზე, სახლის ორივე ნაწილის ორივე სართულის გაყოლებით, ხის აივანია – ხის, სწორკუთხა სვეტებითა და ფიცრული მოაჯირით.

სახლის მთავარი შესასვლელი ქუჩიდანაა. კარის ზღურბლი მიწიდან ოცდაათიოდე *სმ* სიმაღლეზეა და ფრამუგის მეშვეობით იმდენად მაღალია, რომ მას ფასადის თითქმის მთელი სიმაღლე უჭირავს. კარის მარცხნივ სამი სარკმელია, მარჯვნივ – ერთი. ეს უკანასკნელი, დანარჩენებთან შედარებით, ორჯერ უფრო განიერია. კარიც და სარკმლებიც მშვილდისებრთაღოვანია. სარკმლებს ქვემოთ ამოღრმავებული, მოგრძო, სწორკუთხა არეა.

პირველი სართულის ფასადიც დანაწევრებულია ოთხი მშვილდისებრთაღოვანი სარკმლით, რ-ებიც მეორე სართულის სარკმლების ჩამოსწვრივაა. მათი სიმაღლე, ზედა სართულის სარკმლებთან შედარებით, ბევრად უფრო ნაკლებია. სარკმლები ჩასმულია კედლის სიბრტყეში საფეხურით შეღრმავებულ, სწორკუთხა არეში.


სახლის გვერდითი ფასადი სადაა. აღნაგობით – ასიმეტრიული. ფასადზე, ქუჩის მხარეს მოქცეული ნაწილის მეორე სართულიდან, ორი სარკმელი გამოდის, პირველი სართულიდან კი – კარი და ერთი სარკმელი. მეორე სართულის ფასადის მარჯვ. ნახევარს, ხის შემინული აივანი გასდევს. აივნის ქვემოთ სარკმელი და კარია. ამ უკანასკნელით პირველი სართულის აივანზე ვხვდებით. მეორე სართულის აივანზე კი მრავალსაფეხურიანი, ერთმარშიანი, ხის კიბით, რ-იც აივანზე ეზოდან არის მიდგმული.

სახლის მთავარი და გვერდითი ფასადის მარცხ. ნახევარი ერთიანი, სწორკუთხა ჩაღრმავებებითაა დანაწევრებული და დაბალი პარაპეტითაა დასრულებული, რ-იც ფასადის დანარჩენი ნაწილისგან მარტივი პროფილის, ორსაფეხურიანი ლავგარდნითაა გამოყოფილი. მსგავსი პროფილის ლავგარდნით არის დასრულებული თავად პარაპეტიც, რ-ის ბოლოებში მცირე ზომის, სწორკუთხა სამკუთხედის ფორმის თითო ნაგებობაა (სიმ. დაახლ. 70 *სმ*-ია) დადგმული. მათგან ორი, ქუჩისპირა ფასადის კუთხეში, ერთმანეთთანაა შერწყმული.

2007 წელს, ქალაქის რეაბილიტაციის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოებისას, სახლის ქუჩისპირა და გვერდითი ფასადი გათავისუფლდა გვიანდ. ნალესობისგან და ისინი თავდაპირველი სახით იქნა აღდგენილი.

თ. დვალი.

012. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩაზე (№ 25). არქიტ. ნიშნებით თარიღდება XIX საუკუნის II ნახევრით. სახლი ქუჩის ხაზზეა მოთავსებული და სხვა სახლების მწკრივში დგას. მისი გარეგნული სახის განმსაზღვრელი, ქუჩის მხარეს მოქცეულ ფასადთან ერთად, ერთ-ერთი გვერდითი ფასადიცაა, რ-ის წინ




012. I სართულის გეგმა

ქუჩიდან გზა ჩადის. სახლი ორ საცხოვრებელ სართულს და სარდაფს შეიცავს. რელიეფის დახრილობის გამო, შენობა ქუჩის მხრიდან ორსართულიანია, ეზოს მხრიდან კი – სამსართულიანი. სახლი ძირითა-

დად ნაგებია აგურით. წყობაში, ალაგ-ალაგ, ჩართულია წვრილი რიყის ქვაც.


1949 წელს შესრულდა სახლის აზომვითი ნახაზები (ავტორი ივ. ჩხენკელი). 1992 წელს საქართვ. ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ინსტიტუტ



012. II სართულის გეგმა

„საქრესტავრაციის“ მიერ ჩატარდა სახლის წინასაპროექტო საძიებო-საკვლევი და აზომვითი სამუშაოები, რის საფუძველზეც დამუშავდა რესტავრაცია-ადაპტაციის პროექტი (ავტორი დ. მჭედლიძე), რ-იც განხორციელდა 2007 წელს, ქალაქის რეაბილიტაციის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობისას.


სახლის პირველ სართულზე (14,70x11,75 *მ*) სამი ოთახია. მათგან ერთი, ქუჩის მხარეს მოქცეული ოთახი, შედარებით მოზრდილია (ფართ. – 41 *კვ მ*), ეზოს მხარეს მდებარე ოთახები კი თანაბარი ფართობისაა (ფართ. – 17 *კვ მ*). ტიხრით გამიჯნული ეს ოთახები ტიხარშივე მოწყობილი კარით უკავშირდება ერთმანეთს. გარდა ამისა, თითოეული მათგანი ქუჩის მხარეს მდებარე ოთახთანაცაა დაკავშირებული. ამ ნაწილში, ოთახის გარდა, მეორე სართულზე ასასვლელი კიბის



012. ჭრილი 1-1

უჯრედიცაა, რ-შიც სადარბაზო კარით ვხვდებით. პირველი სართულის იატაკის დონე, ქუჩის დონესთან შედარებით, რამდენადმე მაღლაა, რის გამოც სადარბაზო კარის წინ და თავად კიბის უჯრედში ორ-ორი საფეხურია მოწყობილი. კიბის უჯრედი ოთახთან კარითაა დაკავშირებული, ეს უკანასკნელი კი – ეზოს მხარეს მდებარე ოთახებთან.

სახლის პირველ სართულს, ეზოს მხარეს, ღრმა აივანი გაუყვება, რ-იც ამავე მხარეს აგურით ნაწყობი, სხვადასხვა სიგანის, ნახევარწრიული მოხაზულობის, ორი განიერი თაღითაა (მათგან მოზრდილი თაღის მალი ხუთ მეტრს აღემატება) გახსნილი. თაღები ორი სართულის სიმაღლისაა და აგურისავე, კვადრ. კვეთის ბოძს ეყრდნობა. გვერდებიდან აივანი შემოფარგლულია კედლებით. მათგან ერთი – ყრუა, მეორეში კი აივანზე შემოსასვლელი, ერთფრთიანი კარია გაჭრილი. კარის წინ ქვის, ორსაფეხურიანი კიბეა, რ-საც ერთვის აივნის ფარგლებში არსებული, ხის კიბე. პირველი სართულის აივნიდან მეორე სართულის აივანზე მოხვედრა ხვეული კიბით ხდება, რ-იც აივანზე ას-



012. ფასადი ეზოს მხარეს

ასვლელი კიბის მოპირდაპირედ – სახლის მეორე გვერდით კედელთანაა მოწყობილი.

შენობის მეორე სართულის გეგმარება პირველის მსგავსია. აივანი ამ სართულსაც ეზოს მხარეს აქვს, რ-იც ეზოსკენ ხის მრგვალ სვეტებზე დაყრდნობილი, სამფრთიანი თაღებითაა გახსნილი. აივანი აღმ-იდან (სადაც ქვედა სართულიდან ხვეული კიბე ამოდის) ყრუ კედლითაა შემოზღუდული, მეორე ბოლოში კი პატარა ოთახია (ფართ. – 8 *კვ მ*), რ-საც შესასვლელი მხოლოდ აივნიდან აქვს. ოთახს აივანი მეორე მხრიდანაც ეკვრის. იგი აივნის ძირითად ნაწილთანაა დაკავშირებული და ეზოს მხარეს თაღებითაა გახნილი. აივნის ამ ნაწილში, შემომზღუდავი კედლის სისქეში, საპირფარეშოა მოწყობილი. მოგვიანებით აივნისათვის, გარედან, ხის, უსახური კიბე მიუდგამთ, რ-იც პირველი სართულიდან ამოდის.

სარდაფი ერთმანეთთან დაკავშირებული ოთხი ოთახისგან შედგება. სარდაფში შესასვლელი ეზოდანაა, აივნის ქვემოთ არსებული სივრციდან, რ-ის იატაკი ეზოს მიმართ ოცდაათიოდე *სმ*-ით მაღლაა და ეზოს მხარესაა გახსნილი. ეზოში შესასვლელი გვერდითი ფასადის მხრიდანაა, რ-თანაც მთავარი ქუჩიდან გზა ჩადის. სარდაფის ოთახებიდან ერთი ყრუკედლებიანია, დანარჩენების კედლებში კი სარკმლებია გაჭრილი. მათგან სამი – გვერდით ფასადზე, გზის მხარეს გადის, ხოლო ორი – ეზოში.

ეზოში დგას კვადრ. გეგმის (5,70x5,70 *მ*), ერთსართულიანი ნაგებობა. იგი, როგორც ეს სახლის 1949 წელს შესრულებულ ერთ-ერთ ნახაზზეა აღნიშნული, სამრეცხაოს წარმოადგენდა.

სახლს აქვს სხვენი, რ-ზეც ადის გვერდით კედელში დატანებული კიბე. კიბის უჯრედში შესასვლელი კი სახლის მეორე სართულის აივანზეა.

ფასადები სადაა. შენობის ქუჩისპირა ფასადი დგას მცირე სიმაღლის ცოკოლზე. ფასადზე სადარბაზო კარი და ოთხი სწორკუთხა სარკმელი გამოდის. სარკმლები ნახევარწრიული ტიმპანითაა დასრულებული. ტიმპანის ზედაპირი აგურის ფიგურული წყობითაა გაფორმებული, რ-ზეც წყობის შეღრმავებით, ტოლფერდა სამკუთხედის მოყვანილობის ელემენტია გამოყვანილი. სარკმლების ქვემოთ ორი საფეხურით შეღრმავებული, სწორკუთხა არეა, რ-საც, სარკმელთან ერთად, წყობიდან შვერილი, სადა საპირე ფარგლავს.

სახლის მეორე სართულს კრონშტაინებზე დაყრდნობილი, ხის გადახურული, აივანი ჰქონია. აივანზე ორი სარკმელი და ერთი კარი გამოდის. თითო სარკმელი აივნის ორივე მხარესაცაა გაჭრილი. ყველა ღიობი მშვილდისებრთაღოვანია და შვერილ საპირეშია ჩასმული. მათგან განაპირა სარკმლები ჰორიზ. თაროს ეყრდნობა. პირველი სართულის სარკმლების მსგავსად, ამ სარკმლების ქვეშაც ორი საფეხურით შეღრმავებული, სწორკუთხა არეა, შეღრმავებული რომბით შუაში. ფასადი დასრულებულია დაკბილული, ნაშვერი ლავგარდნით.

შენობის გვერდითი ფასადი აღნაგობით ასიმეტრიულია. ფასადის სიბრტყე ერთიანია და კარ-სარკმლებითაა დანაწევრებული. ფასადს სიმაღლეში სამ ნაწილად ყოფს სარკმლების ძირის დონეზე გამავალი, ჰორიზ. თარო. პირველი სართულის ფასადზე სამი ცრუ, თაღოვანი სარკმელია, რ-ებსაც თაროსებრი ლავგარდნით დასრულებული, წყობიდან შვერილი, სადა საპირე ევლება. სარკმლებიდან თავდაპირველი სახით მხოლოდ ერთია შემორჩენილი. ფასადის მარცხ. ნაწილში ნახევარწრიულთაღოვანი ჭიშკარი და პირველი სართულის აივანზე შესასვლელი, თაღოვანი კარია. ჭიშკარი ჩასმულია მაღალ, საფეხურით შეღრმავებულ, სწორკუთხა არეში, რ-იც თითქმის მეორე სართულის სარკმლების ძირის დონემდეა ასული. მსგავსი, ოღონდ რამდენადმე დაბალი არეა გამოყვანილი ფასადის მარცხ. ბოლოშიც.

მეორე სართულის ოთხივე სარკმელი მშვილდისებრი თაღითაა დასრულებული. მათგან ორი – ფასადის მარჯვ. ნაწ-



012. გვერდითი ფასადი



012. ხედი ნ. ბარათაშვილის ქუჩიდან

ილში მდებარე – ცრუა (მოგვიანებით მარჯვ. ცრუ სარკმლის ადგილას სამყურა თაღით გადახურული, განიერი სარკმელი გაუჭრიათ, რ-იც შემდგომში ამოუშენებიათ). ფასადის ქვედა ნაწილში სარდაფის სამი პატარა, სწორკუთხა სარკმელი გამოდის, რ-ებიც ქუჩის დახრილობის შესაბამისად, სხვადასხვა დონეზე არიან განლაგებული. ფასადი დასრულებულია სამკუთხა ფრონტონით. მასში გაჭრილი ორი მრგვალი სარკმელი 2007 წლის რეაბილიტაციის დროს ამოაშენეს, ფრონტონი კი შელესეს და შეათეთრეს.

მხატვრული თვალსაზრისით საინტერესოდ იყო გადაწყვეტილი შენობის ეზოს ფასადი, რ-ის საერთო კომპოზიციას საკმაოდ გამოცდილი და მაღალი გემოვნების მქონე ავტორის ხელი ეტყობა.

გვიანდ. შეკეთება-გადაკეთებების გამო, ფასადს თავდაპირველი სახე თითქმის მთლიანად ჰქონდა დაკარგული. მეორე სართულის აივანს შენარჩუნებული ჰქონდა რვაწახნაგა კაპიტელებით დასრულებული, ხის მრგვალი სვეტები, მათზე დაყრდნობილი სამფრთიანი თაღები (შედგენილია ორი ნახევართაღისა და კილისებრ თაღს მიმსგავსებული თაღისგან) და მხატვრულად დამუშავებული ძელაკებისგან შედგენილი მოაჯირი. ფასადი დასრულებული იყო აჟურული არშიით. შენობა გადახურული იყო კრამიტით.

სახლი თავისი ხუროთმოძღვრული თავისებურებებით გამორჩეულია. იგი გეგმითაც და გარეგნობითაც XIX საუკუნის მეორე ნახევრის „სიღნაღური“ საცხოვრ. სახლების საუკეთესო ნიმუშების წრეში ექცევა.

თ. დვალი.

013. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ეკა ბეჟანიშვილის ქუჩის კუთხეში, ნ. ბარათაშვილის ქუჩაზე განლაგებული სახლების მწკრივის ზედა ბოლოში (ოფიციალური მისამართია – ნ. ბარათაშვილის ქ. № 28). არქიტ. ნიშნებით თარიღდება XIX საუკუნის მიწურულით.

სახლი ორსართულიანია, ნაგებია აგურით. შენობა ქუჩის გასწვრივ ძლიერაა წაგრძელებული და შუაში, ქუჩის მოხაზულობის შესაბამისად, ოდნავ „გატეხილია“ ისე, რომ მის ნაწილებს შორის ბლაგვი კუთხე იქმნება. სახლს მარცხ. მხრიდან მოსაზღვრე სახლი ეკვრის, მარჯვ. მხარე კი ე. ბეჟანიშვი-



013. ხედი ნ. ბარათაშვილის ქუჩიდან

ლის ქუჩაზე გადის. ამ მხრიდან სახლი ერთსართულიანია, თავად ნ. ბარათაშვილის ქუჩიდან კი – ორსართულიანი.

თავისი სტრუქტურით შენობა „სიღნაღური“ საცხოვრ. სახლის ტიპური წარმომადგენელია. მისი პირველი სართული, ისევე როგორც ამ ქუჩის სახლების უმრავლესობისა, სავაჭრო დანიშნულებისათვის იყო განკუთვნილი, მეორე – საცხოვრებლად (2007 წელს ქალაქის რეაბილიტაციის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების დროს, ქუჩისპირა ფასადი თავდაპირველი სახით აღადგინეს. ამჟამად შენობის ქვედა სართულში რესტორანია განთავსებული).

სახლის პირველ სართულზე ჭიშკარი და თარაზულად გადახურული, ექვსი განიერი ღიობია, რ-თა გადამხურავი კოჭები, ქუჩის დახრილობის შესაბამისად, სხვადასხვა დონეზეა განლაგებული, რაც ფასადს დინამიკურობას ანიჭებს და მნიშვნელოვნად ზრდის მის მხატვრულ გამომსახველობას.

სახლის მეორე სართულზე ეზოდან ვხვდებით. ამ სართულს, ქუჩისპირა ფასადის გაყოლებით, ხის დაკიდული, კვადრ. სვეტებისა და რიკულებიანი მოაჯირის მქონე აივანი გასდევს. აივნის ორივე მხარეს კედლის დარჩენილი არეები გვერდებიდან რუსტირებული, ვერტ. ხოლითაა შემოფარგლული, რ-ებიც სართულშუა გადახურვის დონეზე გამოყვანილ, საფეხუროვან თაროს ეყრდნობა და კედელს მთელ სიმაღლეზე აუყვება. მსგავსი პროფილისაა ფასადის ამ ნაწილების დამაგვირგვინებელი ლავგარდანიც. ორივე არეში მშვილდისებრთაღოვანი ორ-ორი სარკმელი გამოდის. სარკმლების რაფის დონეზე და გადამხურავი თაღის ზემოთ, გამოყვანილია ორსაფეხურიანი თარო, სარკმლებს ქვემოთ კი – საფეხურით შეღრმავებული, სწორკუთხა არე.


ფასადის მარჯვ. კუთხე ქუჩების გადაკვეთის ადგილას ჩამოკვეთილია. კედლის ამ ნაწილში მეორე სართულზე ერთი სარკმელია გაჭრილი.

თ. დვალი.

014. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩაზე (№ 31). არქიტ. ნიშნებით თარიღდება XIX საუკუნის II ნახევრით. სახლი ორსართულიანია. აგებულია დაფერდებულ ადგილზე ისე, რომ პირველი სართულის მნიშვნელოვანი ნაწილი მიწაშია შეჭრილი. ქუჩის მხრიდან სახლი ერთსართულიანია, ეზოს მხრიდან კი – ორსართულიანი.

შენობის გეგმა კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედია (16,2x14,5 *მ*). ორივე სართულის გეგმა ერთმანეთის მსგავსია. თითოეული სართული გრძივი კედლით ორ თანაბარ ნაწილადაა გაყოფილი. ორივე ნაწილში ორ-ორი, თითქმის თანაბარი ფართობის ოთახია. სახლის ორივე სართულს ეზოს მხარეს და ერთ-ერთი გვერდითი ფასადის მხრიდან, აივანი გასდევს. პირველი სართულის აივანი ეზოს დონეზეა. იგი უმოაჯიროა და ორივე მხარეს ოთხ-ოთხი, კვადრ. ბოძებზე გადაყვანილი თაღითაა გახსნილი. ამ კონსტრუქციას კი მეორე სართულის ხის აივანი ეყრდნობა.


სახლის პირველი სართულის წინა ნაწილის ორივე ოთახში აივნიდან ვხვდებით. მათგან აღმ-ით მდებარე ოთახს მეორე შესასვლელიც აქვს – გვერდითი ფასადის მხარეს არსებული აივნიდან. ამავე მხრიდან არის სართულის უკანა ნაწილში მდებარე ოთახის შესასვლელიც. სართულის წინა ნაწილის ორივე ოთახის სარკმლები აივნის წინა ნაწილზე გამოდის. ქვედა ღიობი



014. I სართულის გეგმა


ნახევარწრიული თაღითაა დასრულებული. სართულის უკანა ნაწილში მდებარე ორივე ოთახი ორ-ორი მშვილდისებრთაღოვანი სარკმლით ნათდებოდა. მათგან, აღმ-ით მდებარე

ოთახის სარკმლები ნ. ბარათაშვილის ქუჩაზე გადის, მეორესი კი – ეზოში.



014. II სართულის გეგმა

სახლის მეორე სართულზე, ვიწრო ბაქანზე (სიგ. – 1,4 *მ*, სიგრ. – 8 *მ*) ვხვდებით, შემდეგ ებს შორის, წინკარია. მასში კი მეორე სართულის აივანზე. სადარბაზო კარით ვხვდებით. ბაქანი კედლიდან შვერილ, ხის



014. ფასადი ეზოს მხარეს

ამ უკანასკნელიდან კი – ოთახებში. ქუჩის მხრიდან სახლს მეორე შესასვლელიც აქვს. იგი ამავე კედლის მარცხ. ბოლოშია. კარით ჯერ განივი კედლის გასწვრივ მოწყობილ ხის კოჭებზეა დაყრდნობილი და ურთიერთგადამკვეთი, დიაგონალური ძელაკებით შედგენილი მოაჯირი აქვს. სახლის მეორე სართულის იატაკის დონე ქუჩიდან დაახლ. 1 *მ*-ით მაღლაა, რის გამოც ორივე კარის წინ ოთხსაფეხურიანი, აგურის კიბეა მოწყობილი.

სახლის ქუჩისპირა ფასადზე, ორი შესასვლელის გარდა, ექვსი სარკმელიც გამოდის: სამი – აღმ-ით მდებარე ოთახიდან, ორი – დას-ით მდებარე ოთახიდან, ერთი კი – აივნიდან. მეორე სართულის ოთხივე ოთახს შესასვლელი აივნიდან აქვს. მათ შორის: ეზოს მხარეს მოქცეულ ოთახებს ორ-ორი, ქუჩის მხარეს მდებარეს კი – თითო-თითო.

სახლის მეორე სართულის აივანი ხისაა, მრგვალი, ზემოთკენ შევიწროებული, კაპიტელით დაგვირგვინებული სვეტებითა და ფიცრული მოაჯირით. სვეტებს შორის ყრუ, სამფრთიანი თაღია,რ-ის ზედა ფრთა კილისე-




014. გვერდითი ფასადი

ბრი ფორმისაა, გვერდითები კი – წრის მეოთხედის ფორმის. მეორე სართულის აივანი პირველი სართულის აივანთან ხის კიბითაა დაკავშირებული, რ-იც გვერდითი ფასადის გასწვრივ არსებული აივნის ფარგლებშია მოქცეული.


სახლი გადახურული იყო ღარისებრი კრამიტით დაბურული, ორკალთა სახურავით. მეორე სართულზე არსებულ გადასასვლელ ბაქანს და ამ მხარეს მოქცეული აივნის ნაწილს დამოუკიდებელი გადახურვა ჰქონდა.

თ. დვალი.

015. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩაზე (№ 32). არქიტ. ნიშნებით თარიღდება XIX საუკუნის II ნახევრით. სახლი გეგმით მოგრძო სწორკუთხედია (20x9 მ), რ-იც ქუჩის გასწვრივაა დაგრძელებული. შენობა მცირე ქანობის ფერდობზეა აგებული. ადგილის ტოპოგრაფიული ხასიათიდან გამომდინარე, სახლის უკან ტერასაა შექმნილი, რ-იც რიყის ქვით ნაგები, საყრდენი კედლითაა გამაგრებული. ეზოს მხრიდან სახლი ორსართულიანია, ზურგის მხრიდან კი – ერთსართულიანი. ეზოს მხარეს, შენობის ორივე სართულის გრძივი და ერთ-ერთი გვერდითი ფასადის გაჟოლებით აივანია. პირველი სართულის აივანი უმოაჯიროა. მისი იატაკი აგურითაა მოფენილი და ეზოსთან ერთ დონეზეა. აივნის კონტურზე აგურით ნაგები, მრგვალი სვეტებია განლაგებული (წინა ფასადის მხარეს – ექვსი, გვერდითი ფასადის მხარეს – სამი), რ-ებზეც მეორე სართულის აივანია დაყრდნობილი. მეორე სართულის აივანი ხისაა. ზემოთკენ ოდნავ შევიწროებული, კაპიტელით დაგვირგვინებული, მრგვალი სვეტებითა და რიკულებით შედგენილი მოაჯირით.



015. I სართულის გეგმა



015. II სართულის გეგმა

სახლის პირველ სართულზე სიგრძივ განლაგებული, სამი განცალკევებული ოთახია. მათგან ერთი, დას-ით მდებარე, დანარჩენ ორთან შედარებით, ოდნავ უფრო დიდი ფართობისაა (ფართ. დაახლ. 23 *კვ მ*). თითოეულ ოთახს შესასვლელი აივნიდან აქვს. აივანზე გამოდის მათი სარკმლებიც. ყველა ღიობი სწორკუთხაა. სამივე ოთახში ნიშები და თახჩებია მოწყობილი. ერთ-ერთ განაპირა, აღმ. ოთახში ბუხარია. ბუხარი აივანზეცაა – შენობის გვერდით კედელში. ამავე კედელშია მოწყობილი მეორე სართულის აივანზე ასასვლელი კიბეც. კიბის უჯრედში შესასვლელი ეზოდანაა, კედლის ტორსული მხრიდან. ამ კიბის გარდა, მეორე სართულზე ასასვლელი კიბე პირველი სართულის მოზრდილი ოთახისა და მისი მოსაზღვრე ოთახის გამმიჯნავი კედლის სისქეშიცაა.

მეორე სართულზე სხვადასხვა ფართობის ორი ოთახია. ორივე ოთახს შესასვლელი აივნიდან აქვს: მოზრდილს – ორი, მომცროს კი – ერთი. აივანზე გამოდის სარკმლებიც. ორივე ოთახის ზურგის კედელში ორორი სარკმელია გაჭრილი.


სახლი გადახურულია კრამიტით დაბურული, ოთხკალთა სახურავით.

თ. დვალი.



015. ფასადი ეზოს მხარეს

016. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩაზე (№ 35). არქიტ. ნიშნებით თანი უმოაჯიროა. მისი იატაკის დონე თითქმის ეზოს დონეს უსწორდება. სახლში შესასვლელი გვერდითი ფასადის მხრიდანაა – ნ. ბარათაშვილის ქუჩის განშტოებიდან. კარით მეორე სართულის აივანზე ვხვდებით. აივანზე მოხვედრა პირველი სართულიდანაცაა შესაძლებელი. განშტოების მხარეს მოქცეულ კედლის სისქეში (სისქე 1,5 მ-ია) მოწყობილია კიბის უჯრედი. მასში შესასვლელი კი პირველი სართულის აივნის წინ არსებული ბაქნიდანაა, რ-იც აივნის იატაკის დონეზეა.




016. I სართულის გეგმა

რელიეფის ტოპოგრაფიული ხასიათიდან გამომდინარე, ნ. ბარათაშვილის ქუჩის და განშტოების მხარეს სახლის მხოლოდ მეორე სართული გადის. განშტოების მხარეს მოქცეულ კედელში, შესასვლელის გარდა, ორი სარკმელიცაა გაჭრილი. შესასვლელი ნახევარწრიული თაღითაა გადახურული, სარკმლები კი სწორკუთხაა.

სახლის პირველი სართულის ორივე ოთახს შესასვლელი აივნიდან აქვს. ამავე მხარეს არის გაჭრილი ოთახების სარკმლებიც – მოზრდილ ოთახში – ორი, მომცროში კი – ერთი. ყველა ღიობი სწორკუთხაა. მოზრდილი ოთახის ზურგის კედელში, ერთ დონეზე, გეგმით ნახევარწრიული ოთხი ნიშაა, გვერდით კედელში კი – რიღდება XIX საუკუნის II ნახევრით. სახლი ორსართულიანია. იგი ქუჩიდან ექვსიოდე მ-ის მოშორებით, ეზოს სიღრმეში დგას და ქუჩისკენ ზურგითაა მიქცეული.


სახლი „ქართული“ აგურითა და რიყის ქვითაა ნაგები. შენობის კედლების მნიშვნელოვანი ნაწილი რიყის ქვისაა, რ-ებშიც ორრიგად ნაწყობი აგურით გამოყვანილი, თარაზული რიგებია ჩართული. კუთხეები და კარ-სარკმლები აგურისაა.

სახლის გეგმის სწორკუთხედი (11,8x10,5 მ) ქუჩის გასწვრივაა ოდნავ დაგრძელებული. თითოეულ სართულზე სხვადასხვა ფართობის ორ-ორი ოთახია, რ-ებიც ერთმანეთისგან კაპიტ. კედლით არის გამიჯნული. ეზოს მხარეს, ორივე სართულის გაყოლებით, აივანია. პირველი სართულის აივა-



016. II სართულის გეგმა


ორი ოთხკუთხა თახჩა. თახჩებითაა დანაწევრებული მომცრო ოთახის ზურგის და გვერდითი კედლებიც. ოთახების გამომჯნავ კედელში სამი თახჩაა,



016. განივი ჭრილი. ხედი დას-კენ

მეორე სართულის ორივე ოთახის შესასვლელი აივნიდანაა. აივნის მხარესაა გაჭრილი სარკმლებიც. ისევე როგორც პირველ სართულზე, აქაც, აივნისკენ მოზრდილი ოთახიდან ორი სარკმელი გამოდის, მომცროდან კი – ერთი. მოზრდილი ოთახის გვერდით კედელში ორი თახჩაა.

სახლს აქვს სხვენი. სხვენზე ასასვლელი კიბე მეორე სართულის ოთახების გამმიჯნავ კედლის სისქეშია. კიბის უჯრედში შესასვლელი ორივე ოთახიდანაა. გვერდების მხარეს სხვენი მთლიანად არის გახსნილი. ამ არის შუაში აგურით ნაგები, კვადრ. სვეტია, რ-ებსაც თავხე ეყრდნობა. სვეტის გვერდებზე კი რიკულებიანი მოაჯირია.



016. ფასადი ეზოს მხარეს

დანარჩენებში კი – ორ-ორი. განშტოების მხარეს არსებულ კედელში, თახჩებს შორის, გებმით ნახევარწრიული ბუხარია. ოთახების წინ ღრმა აივანია. აივანი გვერდებიდან ყრუ კედლითაა შემოფარგლული, ეზოს მხარეს კი მთლიანად არის გახსნილი. აივნის წინა ხაზზე აგურით ნაშენი, სამი მრგვალი სვეტია, რ-ებსაც მეორე სართულის აივანი ეყრდნობა. აივანს ხის, ოთხკუთხა სვეტები და რიკულებიანი მოაჯირი აქვს.

017. საცხოვრებელი სახლი,

არქიტ. ძ. დგას ნიკოლოზ ბარათაშვილის ქუჩაზე (№ 38). არქიტ. ნიშნებით თარიღდება XX საუკუნის დასაწყისით.

სახლი ორსართულიანია. იგი ქუჩის პირზე მდებარე სახლების მწკრივშია ჩართული და გვერდებიდან მოსაზღვრე სახლები ეკვრის. შენობა აგებულია აგურით. სართულშუა გადახურვა და სახურავის კარკასი ხისაა, სახურავის ბურული – თუნუქის.

სახლის პირველი სართული ადრე სავაჭრო საქმიანობისთვის გამოიყენებოდა, მეორე – საცხოვრებლად. სახლის მეორე სართულს, ეზოს მხარეს, შემინული აივანი გაუყვება.

სახლის პირველ სართულზე მდებარე ოთახი, ორი განიერი, მშვილდისებრთაღოვანი ღიობით, ქუჩის მხარეს მთლიანად იყო გახსნილი. ღიობებში მოგვიანებით (როგორც ჩანს, სახლის აგებიდან მალევე) აგურითა და რიყის ქვით ნაგები კედელი ჩაუშენებიათ. ორივე კედლის ზედა ნაწილში სწორკუთხა სარკმელია ჩასმული, რ-ის ნაწილი თაღის არეშია შეჭრილი. კედლის ქვედა ნაწილში – მარცხ. სარკმლის ქვემოთ – სარდაფში ჩასასვლელი თაღია მოთავსებული. მარჯვ. სარკმლის ქვემოთ კი – თაღოვანი სარკმელი. თაღისა და სარკმლის ნაწილი მიწის სიღრმეშია მოქცეული.

პირველი სართულის მარცხ. ნაწილში ვიწრო, მაღალი, მშვილდისებრთაღიანი გასასვლელია, რ-იც ქუჩას ეზოსთან აკავშირებს.

მეორე სართულის ფასადი აგურის წყობით გამოყვანილი, ერთგვაროვანი, გეომეტრიული სახეებითაა მორთული. ფასადის შუაში ხის გადახურული აივანია, რ-ზეც ოთახიდან კარი და ორი სარკმელი გამოდის. აივნის გვერდებზე თითო სარკმელია. ყველა ღიობი მშვილდისებრთაღოვანია. სარკმლებიდან მხოლოდ განა-

თ. დვალი.

პირა სარკმლებია მორთული. ორივე სარკმლის ქვემოთ, კედლის სიბრტყეში შეღრმავებული, ტოლფერდა სამკუთხედების მწკრივით შედგენილი ზოლია, მის ქვემოთ კი – ორი საფეხურით შეღრმავებული, სწორკუთხა არე. სარკმლებს ზემოდან სტალაქტიტების მსგავსი ელემენტებისგან შედგენილი, უწყვეტი რიგი გაუყვება, რ-თა ზემოთ სარკმლის ქვემოთ არსებული ზოლის მსგავსი ზოლია. აივანზე გამომავალი კარ-სარკმლების ზემოთ კი,კუთხით შვერილი აგურებით, ვიწრო ზოლია გამოყვანილი. ფასადის განაპირა ნაწილები დასრულებულია მაღალი, საფეხუროვანი ლავგარდნით, რ-იც შედგენილია ჩვეულებრივად დაწყობილი და კუთხით შვერილი აგურებით გამოყვანილი რიგების მონაცვლეობით.

თ. დვალი.

018. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ეკა ბუჟანიშვილის ქუჩაზე (№ 1). თარიღდება XX საუკუნის დასაწყისით. სახლი ორსართულიანია, ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. შენობას თავდაპირველი სახე ძლიერ აქვს შეცვლილი. 1968-1969 წლებში, გა-

018. ხედი ნ. ბარათაშვილის ქუჩიდან



ფართოების მიზნით, სახლს გვერდიდან და უკანა მხრიდან მინაშენი მიადგეს. ეზოს მხრიდან კი დაუმატეს რკინა-ბეტონის აივანი და აივანზე ასასვლელი კიბე. ამავე პერიოდში გადაკეთდა და შეიმინა ქუჩისპირა აივნის ნაწილი.


სახლის პირველი სართულის მარჯვ. ნაწილში მშვილდისებრთაღოვანი, განიერი ღიობია, მარცხ. ნაწილში კი – ორი სწორკუთხა სარკმელი. სახლის მეორე სართულის გაყოლებაზე გადახურული, ხის აივანია – ოთხკუთხა, წიბოებჩამოჭრილი ხის სვეტებითა და რიკულებიანი მოაჯირით.

2007 წელს, ქალაქის რეაბილიტაციის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოებისას, სახლის პირველ სართულს, ქუჩის მხრიდან, ორმოცდაათიოდე *სმ*-ის სისქის კედელი მიაშენეს, რ-იც შენობის კონტურის ფარგლებს ცდება და ქუჩის გასწვრივ, მარცხნივ გრძელდება. მიშენებულ კედელში კი, ორივე სარკმლის წინ, იგივე ზომის ღიობი მოაწყვეს, რ-თა ძირი ქუჩის მხარესაა დახრილი. რეაბილიტაციის დროს, სახლის წინ,ქუჩის დონე მნიშვნელოვნად დადაბლდა, რის გამოც პირველი სართულის თაღოვან ღიობს სამსაფეხურიანი კიბე მიადგეს. ქუჩისპირა ფასადზე განახლდა აივანი, ოღონდ ადრე არსებულთან შედარებით, აღდგენილი აივანი, ოდნავ მაღალია და ბევრად უფრო ნაკლებად არის გადმოშვერილი. აივანზე გამომავალი კარ-სარკმლები შეამკეს წყობიდან შვერილი, სადა სათაურით, რ-ებიც ფასადის მთელ სიგრძეზე გაყოლებულ,ჰორიზ. თაროს ეყრდნობა. სახლი გადაიხურა კრამიტით.

თ. დვალი.


019. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ცოტნე დადიანის ქუჩაზე (№ 1). არქიტ. ნიშნებით თარიღდება XIX საუკუნის მიწურულით.

სახლი ორსართულიანია, ნაგებია „ქართული“ აგურით. 1980-იანი წლების დასაწყისში Oპბძ დაცვისა და გამოყენების მთ. სამმართველოს სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ შენობას ჩაუტარა სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტის ავტორები, არქიტ-ები ნ.




019. I სართულის გეგმა

გამსახურდია, დ. ინაკავაძე, დ. მჭედლიძე და ი. ნაგლაძე,), რ-ის დროსაც სახლის მარჯვ. ნახევარს, ქუჩის მხრიდან, ახ. ორსართულიანი ნაწილი მიადგეს, რ-იც ც. დადიანის ქუჩის გარდიგარდმო დგას და ქუჩის მეო-



019. II სართულის გეგმა

რე მხარეზე მდებარე სახლზეა მიბჯენილი. სახლზე მიშენებული ნაწილის პირველ სართულზე თაღოვანი გასასვლელია



019. ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

(სიგ. დაახლ. 3 მ) მოწყობილი, რ-იც ქუჩიდან შუკაზე გადის.

შენობას სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 2007 წელსაც – ქალაქის რეაბილიტაციის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების დროს.

სახლის ძვ. ნაწილის პირველი სართული სავაჭრო დანიშნულებით ან სახელოსნოდ გამოიყენებოდა, მეორე – საცხოვრებლად. სახლის პირველ სართულზე გვერდიგვერდ განლაგებული, ერთმანეთისგან თხელი, ყრუ კედლებით გამიჯნული სამი მოგრძო, თითქმის თანაბარი ფართობის ოთახია (მოზრდილის ფართ. დაახლ. 22 კვ მ-ია), რ-ებიც ქუჩის მხარეს აგურის ბრტყელი თაღით დასრულებული, განიერი ღიობით არის გახსნილი.

სახლის მეორე სართული, პირველ სართულთან შედარებით, უფრო ვრცელია (13x11 მ). ამ სართულზე განლაგებული ყოფილა ორი ოთახი, რ-ებიც განივი კაპიტ. კედლით იყვნენ გამიჯნული და ერთმანეთს ამავე კედელში მოწყობილი კარით უკავშირდებოდნენ. მათგან წინა, ქუჩის მხარეს მდებარე, ქვედა სართულის ოთახების თავზეა, უკანა კი – ტერასაზე. ეს ოთახი, როგორც ჩანს, სამ. დანიშნულებით გამოიყენებოდა. ქუჩის მხარეს მდებარე ოთახს შესასვლელი ტერასიდან ჰქონია. შესასვლელთან ქუჩიდან ადიოდა მრავალსაფეხურიანი, აგურით ნაწყობი კიბე. კარის გარდა, ამ კედელში ერთი მცირე ზომის, სწორკუთხა სარკმელიცაა, რ-იც სართულის უკანა მხარეს მდებარე ოთახს აშუქებდა.

წინა ოთახს ქუჩის მხარეს აივანი ჰქონდა. იგი ფასადის მხოლოდ მარჯვ. ნაწილს გასდევდა. აივანზე ოთახიდან გადიოდა ერთი კარი და ერთი სარკმელი. კარი კედლის შუაშია. მოგვიანებით ჩატარებული ერთ-ერთი გადაკეთების დროს, ოთახი გაუტიხრავთ, ქუჩის მხარეს მოქცეული კედლის მარცხ. ნაწილი კი მოუშლიათ და ახ. აივანი მოუწყვიათ. ამჟამად ოთახის თავდაპირველი კარ-სარკმლიდან მხოლოდ აივანზე გამავალი კარის მარჯვ. ნახევარი და ერთი, ქუჩაზე გამავალი სარკმელიღაა შემორჩენილი, რ-იც გარედან საგანგებოდაა გაფორმებული. კედლის სიბრტყე, რ-შიც სარკმელია მოქცეული, გვერდებიდან პილასტრისებრი შვერილებითაა შემოფარგლული, ზემოდან კი წყობიდან შვერილი აგურის ორი რიგით შედგენილი, დეკორატ. „ფრონტონითაა“ დასრულებული, რ-იც თავის მხრივ პილასტრების დამაგვირგვინებელ „კაპიტელებს“ ებმის. თავად სარკმელი სამფრთიანი თაღითაა გადახურული, რ-იც ორი ნახევართაღისა და კილისებრი თაღითაა შედგენილი. სარკმლის ქვემოთ საფეხურით შეღრმავებული, სწორხაზოვნად არეა. სარკმელთან ერთად იგი წვრი-




019. ფასადი ც. დადიანის ქუჩის მხარეს

ლი ლილვით გამოყვანილ ჩარჩოშია ჩართული, რ-იც სარკმლის თაღის მსგავსი თაღითაა დასრულებული და დაყრდნობილია სართულშუა გადახურვის დონეზე გამოყვანილ, ორსაფეხურიან თაროზე.

სახლი თუნუქის ორკალთა სახურავითაა გადახურული. თავისი გარეგნული დამუშავებით იგი XIX საუკუნის სიღნაღისთვის დამახასიათებელ და მნიშვნელოვან შენობათა რიგში დგას.


თ. დვალი.

020. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. დგას ცოტნე დადიანისა და ივანე ლოლაშვილის ქუჩებს შორის (რეგისტრირებულია ც. დადიანის ქ. № 2-ზე). თარიღდება XIX საუკუნის მიწურულით.




020. სარდაფის გეგმა

ც. დადიანის ქუჩის მხრიდან სახლი ორსართულიანია, ივ. ლოლაშვილის ქუჩის მხრიდან კი – ერთსართულიანი. ამ მხრიდან სახლის წინ პატარა ეზოა. შენობა მთავარი ფასადით ც. დადიანის ქუჩისკენაა მიქცეული. იგი ქუჩის პირზე განლაგებული სახლების მწკრივში დგას და გვერდებიდან მოსაზღვრე სახლები ეკვრის. ამის გამო სახლის ორივე გვერდითი კედელი ყრუა. თავისი მასშტაბითა და ფასადის გადაწყვეტით შენობა ც. დადიანის ქუჩის განაშენიანების ორგანული ნაწილია.



020. I სართულის გეგმა

სახლის პირველი სართული სავაჭრო დანიშნულებით გამოიყენებოდა. მეორე – საცხოვრებლად. პირველ სართულზე ერთი ოთახია (7,45x4,8 მ),



020. II სართულის გეგმა

რ-იც ქუჩისკენ მშვილდისებრი თაღით მთელ სიგანეზეა გახსნილი. თაღის შუაში აგურით ნაგები, ოთხკუთხა სვეტია (გვიანდელია), რ-ის გვერდებზე ხის თითო განიერი კარია მოწყობილი.

მეორე სართული ტიხრებით სამ ნაწილად არის გაყოფილი. მათ შორის ორი, რ-ებიც სართულის სიღრმეში მდებარეობს, თითქმის თანაბარი ფართობისაა, მესამე – მათზე ოდნავ



020. ხედი ც. დადიანის ქუჩიდან

მომცროა. მის წინ ხის დაკიდული, გადახურული აივანია, რ-ზეც კარი და ორი სარკმელი გადის.


სახლს აქვს სარდაფი. მასში ჩასასვლელი კიბე პირველი სართულიდანაა.

ეზოს მხრიდან სახლს მიშენებული აქვს თანამედროვე, ხის აივანი.

1982 წელს, ᲘᲙᲑᲫ დაცვისა და გამოყენების მთ. სამმართველოს სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ სახლს ჩაუტარა სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტის ავტო-

რები, არქიტ-ები: ი. ნაგლაძე, დ. მჭედლიძე). შენობას სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 2007 წელსაც, ქალაქის რეაბილიტაციის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოებისას.


თ. დვალი.



021. I სართულის გეგმა

021. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ცოტნე დადიანის ქუჩაზე (№ 3). არქიტ. ნიშნებით თარიღდება XX საუკუნის დასაწყისით.


სახლი ორსართულიანია, დგას ცოტნე დადიანისა და ნიკო ფიროსმანის ქუჩების კუთხეში და მიჯრით მდგარ სახლზეა



021. II სართულის გეგმა

მიდგმული. სახლი წვრილი რიყის ქვითა და „ქართული“ აგურითაა ნაშენი. კედლები ძირითადად რიყის ქვისაა, რ-შიც ჩართულია ერთრიგად დაწყობილი აგურით გამოყვანილი, თარაზული შრეები. შენობის კუთხეები და კარ-სარკმლების ღიობები აგურისაა.

შენობა ნ. ფიროსმანის ქუჩის გასწვრივაა წაგრძელებული და ც. დადიანის ქუჩაზე განივი ფასადით გამოდის (სიგრ. – 17 *მ*, სიგ. მთავარი ფასადის მხარეს – 5 *მ*). სახლის ცალკეებულია, მეორეზე კი ერთმანეთთან, მათ გამმიჯნავ კედელში გაჭრილი კარით არიან დაკავშირებული. პირველი სართულის ოთახებიდან მოზრდილი ოთახი, რ-შიც მაღაზია ან სახელოსნო იქნებოდა მოწყობილი, მთავარი ქუჩის მხარესაა გახსნილი (ამჟამად იგი ავტოორივე სართულის გეგმა ერთგვარია. თითოეულ მათგანზე, სიგრძივ, სხვადასხვა ფართობის ორ-ორი ოთახია განლაგებული. მათ შორის, ქუჩის მხარეს მდებარე ოთახი, ფართობით (32 *კვ მ*) ორჯერ უფრო დიდია. პირველ სართულზე ოთახები განბი და ფიცრის აჟურული მოაჯირი აქვს, გადახურულია და კედლიდან შვერილ კოჭებს ეყრდნობა. ოთახიდან აივანზე ერთი სწორკუთხა კარი და



021. ფასადი ც. დადიანის ქუჩის მხარეს

ორი სწორკუთხა სარკმელი გამოდის, რ-ებიც კარის ორივე მხარეს არის განლაგებული. ერთი სარკმელი (გვიანდელია) ოთახს გვერდითი ქუჩის მხარესაც აქვს.

შენობა თუნუქით დაბურული, ცალფერდა სახურავითაა გადახურული. სახლს უკანა მხარეს მიდგმული აქვს თანამედროვე მინაშენი.

1980-იანი წლების დასაწყისში იპბძ დაცვისა და გამოყენების მთ. სამმართველოს სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ შენობას ჩაუტარა სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტის ავტორები, არქიტ-ები: ნ. გამსახურდია, დ. მჭედლიძე და ი. ნაგლაძე). სახლს სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუ-



021. ხედი ც. დადიანის ქუჩიდან

ტარდა 2007 წელსაც, ქალაქის რეაბილიტაციის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობისას.

თ. დვალი.

022. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ცოტნე დადიანის ქუჩაზე (№ 4). თარიღდება XIX საუკუნის მიწურულით (სახლი შიგნიდან გაერთიანებულია ვანო სარაჯიშვილის ქ. № 3-ში მდებარე სახლთან. ორივე სახლს ერთი მფლობელი ჰყავს და ამჟამად ვ. სარაჯიშვილის ქ. № 3-ზეა რეგისტრირებული).

სახლი ორსართულიანია. ნაგებია აგურით. იგი ქუჩის პირზე განლაგებული სახლების მწკრივში დგას და გვერდებიდან მოსაზღვრე შენობები ეკვრის. სახლის პირველი სართული სავაჭრო საქმიანობისთვის გამოიყენებოდა, მეორე – საცხოვრებლად. ქუჩის ეს მონაკვეთი მნიშვნელოვნადაა დაქანებული, რის გამოც შენობის გასწვრივ გაყოლებული ტროტუარი საფეხურებად ეშვება. ქუჩის დახრილობის შესაბამისადაა განლაგებული სახლის პირველ სართულზე გამომავალი ღიობებიც, რაც შენობის ფასადის მხატვრულ გამომსახველობას მნიშვნელოვნად ამაღლებს.

სახლის პირველი სართული ქუჩის მხარეს გახსნილია მშვილდისებრი თაღით გადახურული, განიერი, დარაბებიანი ორი ღიობით. მარცხ. ღიობში ხის, შემინული კარია, მარჯვენაში – სარკმელი. ამ უკანასკნელის ქვემოთ სარდაფში ჩასასვლელი, მშვილდისებრთაღოვანი კარია, მის მარცხნივ კი – სარდაფის პატარა სარკმელი,



022. ხედი ც. დადიანის ქუჩიდან

რ-ის დიდი ნაწილი მიწის სიღრმეშია მოქცეული.

სახლის მეორე სართულის გაყოლებით ხის, ოთხკუთხასვეტებიანი და რიკულებიანი მოაჯირის მქონე, გადახურული აივანია. აივანზე ოთახების სწორკუთხა კარ-სარკმლები გამოდის. აივნის სახურავი ძლიერ არის გადმოშვერილი. მისი წინა მხარე ხის კოჭებს ეყრდნობა, რ-ებიც გამჭოლად გამოდის ფასადზე და ბოლოები მარტივად აქვს პროფილირებული.

1980-იანი წლების დასაწყისში ობძ დაცვისა და გამოყენების მთ. სამმართველოს სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ შენობას ჩაუტარა სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტის ავტორები, არქიტ-ები ნ. გამსახურდია, დ. მჭედლიძე და ი. ნაგლაძე). სარეაბილიტაციო სამუშაოები სახლს ჩაუტარდა 2007 წელსაც, ქალაქის რეაბილიტაციის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოებისას. 2019 წელს მომხდარი ხანძრის შედეგად, სახლის უმეტესი ნაწილი განადგურდა.

თ. დვალი.


023. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ცოტნე დადიანისა და ნიკო ფიროსმანის ქუჩის კუთხეში (რეგისტრირებულია ც. დადიანის ქ. № 5-ზე). არქიტ. ნიშნებით თარიღდება XIX საუკუნის II ნახევრით.

1980-იანი წლების დასაწყისში ობძ დაცვისა და გამოყენების მთ. სამმართველოს სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ შენობას ჩაუტარა სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტის ავტორები: არქიტექტორები დ. მჭედლიძე და



023. ხედი ც. დადიანის ქუჩიდან


ი. ნაგლაძე). სარეაბილიტაციო სამუშაოები სახლს ჩაუტარდა 2007 წელსაც – ქალაქის რე-



023. I სართულის გეგმა

აბილიტაციის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობისას.

სახლი ორსართულიანია, ნაგებია „ქართული“ აგურით. ადრე პირველი სართული სავაჭრო საქმიანობასთან იყო დაკავშირებული, მეორე კი საცხოვრებელს წარმოადგენდა.



023. II სართულის გეგმა

ქუჩის დაგეგმარებიდან და მიწის ნაკვეთის მოხაზულობიდან გამომდინარე, სახლი ნ. ფიროსმანის ქუჩის გაყოლებითაა წაგრძელებული (სიგრ. – 21 *მ*, სიგ. – 11,2 *მ*) და მთავარი ფასადით ც. დადიანის ქუჩისკენაა მიქცეული. ნ. ფიროსმანის ქუჩის მხარეს სახლის პირველი სართულის კედელი ყრუა, მეორეზე კი ორი სწორკუთხა სარკმელი გამოდის. ყრუა სახლის მეორე გრძივი კედელიც. ამ მხრიდან მას მიჯრით მდებარე სახლი ეკვრის.

დროთა განმავლობაში შენობას სხვადასხვა სახის გადაკეთებები განუცდია, რის გამოც თავდაპირველი გეგმარება ნაწილობრივ აქვს შეცვლილი.

სახლის პირველი სართულის შუაში გრძელი, ნახევრად ბნელი დერეფანია (სიგრ. – 11,5 *მ*, სიგ. – 1,2 *მ*), რ-იც მხოლოდ სადარბაზო კარის ფრამუგიდან ნათდება. დერეფნის ორივე მხარეს, ერთმანეთისგან განივი კედლით გამიჯნული, თანაბარი ფართობისა და მოხაზულობის ორ-ორი ოთახია სიმეტრიულად განლაგებული. ქუჩის მხარეს მდებარე ოთახები განიერი, მშვილდისებრთაღოვანი ღიობით ქუჩისკენ მთელ სიგანეზე არის გახსნილი. მათგან ერთს (მარცხენას) შესასვლელი მხოლოდ ქუჩის მხრიდან აქვს, მეორეს კი – მიჯრით მდებარე ოთახიდანაც. ამ უკანასკნელს კი – დერეფნიდან. ამ კარის მოპირდაპირედ, დერეფნის მეორე კედელში, კარია, რ-ითაც სართულის მარცხ. ნაწილში მდებარე ოთახში ვხვდებით. ორივე ოთახიდან ეზოს მხარეს თითო კარი და სარკმელი გადის. სახლის ეზოს მხარეს მოქცეული ნაწილი ეზოსკენ მთლიანადაა გახსნილი. ამ მხარეს, მიწიდან ოდნავ მაღლა, ხის სვეტებიანი აივანია. აივანს გარედან ოთხსაფეხურიანი, მცირე ზომის კიბე ადგება. აივნის ფარგლებში ორი მცირე ზომის სათავსი (მოგვიანებითაა მოწყობილი) და ხის ორმარშიანი კიბეა, რ-ითაც მეორე სართულის აივანზე ვხვდებით.

სახლის მეორე სართულზე განლაგებულია თანაბარი ფართობის ორი ოთახი, რ-ებიც ერთმანეთისგან განივი, კაპიტ. კედლით არის გამიჯნული. თავდაპირველად ისინი ამ კედელში მოწყობილი ორი კარით უკავშირდებოდა ერთმანეთს. ქუჩის მხარეს მდებარე ოთახის (ფართ. დაახლ. – 52 *კვ მ*) ფასადის გაყოლებით მოწყობილია ხის დაკიდული, რიკულებიანი აივანი, რ-ზეც ოთახიდან ერთი კარი და ოთხი სარკმელი გადიოდა. მოგვიანებით, როდესაც სახლის ეს სართული გრძივი ღერძის მთელ სიგრძეზე აგებული, თხელი (სისქე – 25 *სმ*) კედლით ორ თანაბარ ნაწილად (ბინად) გაყვეს, სარკმლებს შორის მდებარე, ოთახიდან აივანზე გასასვლელი კარი გააუქმეს (ბინების გამყოფი კედლის ერთი ბოლოს ნაწილი კარის ფარგლებშია მოქცეული), მის ნაცვლად კი, აივანზე გასასვლელად, ორივე ოთახში თითო სარკმელი კარად გადააკეთეს.

ეზოს მხარეს მდებარე ოთახიდან (ფართ. – 47 *კვ მ*)

ეზოსკენ ორი კარი და ორი სარკმელი გადის. ოთახის წინ არსებული სივრცეც და აივანი, ისევე როგორც ოთახები, ორ ნაწილადაა გაყოფილი.



023. ფასადი ც. დადიანის ქუჩის მხარეს

სახლის გარეგანი სახის განმსაზღვრელია მთავარი, ქუჩის მხარეს მიქცეული ფასადი, რ-იც მხატვრული გადაწყვეტით ამ ქუჩის სხვა სახლებისგან გამორჩეულია. პირველი სართულის ფასადი ორი ფართო, მშვილდისებრთაღოვანი ღიობითა და მათ შორის მოქცეული, ნახევარწრიული ტიმპანით დასრულებული, სადარბაზო კარითაა დანაწევრებული, რ-თა ზღურბლი, ქუჩის დახრილობის შესაბამისად, სხვადასხვა დონეზეა. ორივე თაღში ამჟამად სწორკუთხა, ორფრთიანი კარია ჩადგმული. სადარბაზო კარის ტიმპანისა და თაღის არეები კი თეჯისფხურად ნაწყობი აგურითაა გამოყვანილი.

აივანი ხისაა, რიკულებიანი მოაჯირით. აივანზე გამოდის კარ-სარკმელთა თაღოვანი ღიობები. ისინი მოკლებულია ხუროთმოძღვრულ დეტალებს, რ-ებიც არსებით როლს თამაშობენ ფასადთა მხატვრული სახის შექმნაში. თუმცა ფასადის მხატვრული ეფექტი აქ აგურის ფიგურული წყობითაა მიღწეული, რაც სიღნაღის სპეციფიკისათვის უცხოა და სხვა სახლებში არ გვხვდება. ფორმათა დანაწევრება გეომეტრიულად მკაფიოა, ხაზოვანი.

სახლის გვერდითი ფასადი, რ-იც ნ. ფიროსმანის ქუჩისკენაა მიქცეული, ფრონტონით სრულდება. ფასადზე მხოლოდ ორი სარკმელი გამოდის. უკანა მხრიდან სახლს აქვს თანამედროვე მინაშენი. შენობა გადახურულია თუნუქით.

სახლი, გეგმითაც და გარეგნული დამუშავებითაც სიღნაღის ყველაზე დამახასიათებელ და მნიშვნელოვან, თანადროულ შენობათა რიგში დგას.

თ. დვალი.

024. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობდა ცოტნე დადიანისა და ვანო სარაჯიშვილის ქუჩების კუთხეში (ც. დადიანის ქ. № 6, ვ. სარაჯიშვილის ქ. № 5). არქიტ. ნიშნებით თარიღდებოდა XIX საუკუნის მიწურულით და უმნიშვნელო დეტალების გამოკლებით, უცვლელად ინახავდა პირვანდელ სახეს. როგორც გეგმით, ისე გარეგნული დამუშავებითაც იგი სიღნაღის საცხოვრ. სახლების მნიშვნელოვან ნიმუშებს განეკუთვნებოდა.

სახლი ორი სართულისგან შედგებოდა. ნაგები იყო აგურით. ქუჩების გადაკვეთის ადგილას მას კუთხე ჩამოკვეთილი ჰქონდა და თითქმის მთლიანად იმეორებდა მოპირდაპირე სახლის ფასადის სტრუქტურას.

თავდაპირველად სახლის პირველი სართული, ისევე როგორც მის მეზობლად მდებარე თითქმის ყველა სახლისა, სავაჭრო დანიშნულებით გამოიყენებოდა, მეორე სართული კი – საცხოვრებლად.

სახლს შესასვლელი ვ. სარაჯიშვილის ქუჩიდან ჰქონდა. ხის სადარბაზო კარი ფასადის მარჯვ. ბოლოში იყო მოწყობილი. სახლის პირველი სართულის ფასადი დანაწევ-

რებული იყო ფართო, ბრტყლად გადახურული, ხის დარაბებიანი ღიობების მწკრივით, რ-იც გარკვეულ რიტმს ქმნიდა. ამ მწკრივში ჩართული იყო სახლის ჩამოკვეთილ ნაწილში მოთავსებული სარკმლის სწორკუთხედი და მის ქვემოთ მდებარე კარი, რ-იც სარდაფში ჩადიოდა. ღიობებში ხის დარაბებიანი სარკმლები იყო ჩასმული. ღიობებს შორის კი, სართულის მთელ სიმაღლეზე, რუსტირებული, მცირე ინტერვალები იყო დატოვებული, რ-ებიც აგურითვე გამოყვანილი დეკორირებული ელემენტებით სრულდებოდა.

სახლის მეორე სართულს, ორივე ქუჩის გაყოლებით, გასდევდა ერთიანი, ხის აჟურულ-მოაჯირიანი აივანი, რ-იც, ქუჩათა გადაკვეთის ადგილას, შენობის კონფიგურაციას იმეორებდა. აივნის სვეტებს შორის აჟურული თაღები იყო ჩასმული. სახლი გადახურული იყო თუნუქით.


ც. დადიანის ქუჩის მხრიდან შენობას ებჯინებოდა შედარებით მცირე ზომის, ორსართულიანი სახლი. ბოლო წლებში ორივე სახლი ერთ პირს ეკუთვნოდა და შიგნიდან იყო გაერთიანებული.

1980-იანი წლების დასაწყისში ᲝᲙᲑᲓ დაცვისა და გამოყენების მთ. სამმართველოს სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ შენობას ჩაუტარა სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტის ავტორები,არქიტ-ები დ. მჭედლიძე და ი. ნაგლაძე). სახლს სარეაბილიტაციო სამუშაოები მეორედ ჩაუტარდა 2007 წელს – ქალაქის რეაბილიტაციის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების დროს.

2019 წელს მომხდარი ხანძრის გამო, შენობის დიდი ნაწილი განადგურდა.

თ. დვალი.


025. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ცოტნე დადიანის ქუჩაზე (№ 7). არ-



025. I სართულის გეგმა

ქიტ. ნიშნებით თარიღდება XIX საუკუნის დასასრულით.

სახლი ორსართულიანია. დგას ქუჩის პირზე განლაგებული სახლების მწკრივში და ორივე მხრიდან მომიჯნავე სახლები ეკვრის. შესაბამისად, სახლის გარეგანი სახის განმსაზღვრელი მხოლოდ ქუჩისპირა ფასადია. ფასადის საშენი მა-



025. II სართულის გეგმა

025. ფასადი ც. დადიანის ქუჩის მხარეს



სალა ორგვარია: რიყის ქვა და აგური. პირველი სართულის კედელი ძირითადად რიყის ქვისაა. მასში ორრიგად დაწყობილი აგურით გამოყვანილი, თარაზული შრეებია ჩართული, რ-ებიც თანაბარ მონაკვეთებად ყოფს კედლის ვრცელ ზედაპირს. რიყის ქვა მეორე სართულის კედლის წყობაშიცაა გამოყენებული, ოღონდ მხოლოდ ქვედა ნაწილში. კედლის ზედა ნაწილი და კუთხეები მთლიანად აგურისაა. აგურისაა კარ-სარკმლების ღიობებიც.



025. ხედი ც. დადიანის ქუჩიდან

შენობის გეგმას ოდნავ დეფორმირებული კვადრატის ფორმა აქვს (9x9 მ). ქუჩაზე განლაგებული სხვა სახლების უმრავლესობისგან განსხვავებით, სახლის ორივე სართული საცხოვრებლად გამოიყენებოდა. ორივეზე თითო ოთახია. პირველ სართულზე, ოთახის გარდა, წინკარიცაა. წინკარში ქუჩიდან, სადარბაზო კარით ვხვდებით, იქიდან კი – ღია აივანზე, რ-იც ეზოს მხარეს, ფასადს მთელ სიგრძეზე გასდევს. პირველი სართულიდან აივანზე ერთი კარი და ერთი სარკმელი გადის, ქუჩის მხარეს კი – ერთი სარკმელი.

სახლის მეორე სართული ტიხრით (გვიანდელია) შუაზეა გაყოფილი. ოთახები ერთმანეთს ტიხარში მოწყობილი კარით უკავშირდება. აივანი ამ სართულსაც აქვს. მასზე ეზოდან ხის ორმარშიანი კიბე ამოდის, რ-იც აივანზე გარედანაა მიდგმული. ორივე ოთახიდან აივანზე თითო კარი და თითო სარკმელი გადის.

სახლის ქუჩისპირა ფასადი სადაა, კარ-სარკმლები მოკლებულია დეკორატიულ სამკაულს. მეორე სართულის მარცხ. ნაწილში, ხის ოთხკუთხა სვეტებისა და აჟურული მოაჯირის მქონე აივანია. აივანზე გამოდის ერთი კარი და სამი სარკმელი. აივნის მარჯვნივ კიდევ ერთი სარკმელია. ღიობები საკმაოდ ვიწროა – მშვილდისებრთაღოვანი. მშვილდისებრი თაღითაა დასრულებული სადარბაზო კარიც და პირველი სართულის სარკმელიც.

ეზოს მხრიდან სახლს აქვს აგურის მინაშენი. სახლი გადახურულია თუნუქით.


1980-იანი წლების დასაწყისში Იპბძ დაცვისა და გამოყენების მთ. სამმართველოს სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ შენობას ჩაუტარა სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტის ავტორები, არქიტ-ები ი. ნაგლაძე და დ. მჭედლიძე). სარეაბილიტაციო სამუშაოები სახლს ჩაუტარდა 2007 წელსაც, ქალაქის რეაბილიტაციის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების დროს.


თ. დვალი.

026. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ცოტნე დადიანისა და ვანო სარაჯიშვილის ქუჩების კუთხეში (ც. დადიანის ქ. № 9, ვ. სარაჯიშვილის ქ. № 7). არქიტ. ნიშნებით თარიღდება XIX საუკუნის მიწურულით.

სახლი ორსართულიანია. აქვს სარდაფი. შენობა გეგმით ოთხკუთხაა (19,0x13,5 მ), რ-საც ქუჩების გადაკვეთის ადგილას, ერთი კუთხე ჩამოკვეთილი აქვს. აქედანაა სარდაფში ჩასასვლელი კიბე, განიერი, მშვილდისებრთაღოვანი კარით, რ-ის თავზე იმავე სიგანის, სწორკუთხა სარკმელია. სახლს ც. დადიანის ქუჩის მხრიდან მიუყვება ქვის კიბე. ამ მხარეს, პირველი სართული სამი ფართო, სწორკუთხა ღიობითაა გახსნილი, რ-თა ზღურბლიც და გადახურვაც, კიბის საფეხურების შესაბამისად, სხვადასხვა დონეზე არის განლაგებული. სახლის პირველ სართულზე, ვ. სარაჯიშვილის ქუჩის მხარეს, ხუთი სარკმელია გაჭრილი, მათ

026. სარდაფის გეგმა





026. I სართულის გეგმა

ქვემოთ კი – სარდაფის სარკმლები (გადაკეთებულია).

სახლის მეორე სართულზე, ორივე ქუჩის მხარეს, ხის დაკიდული, ოთხკუთხასვეტებიანი, რიკულებიანი მოაჯირის მქონე აივანია (გვიანდელია), რ-იც ქუჩების გადაკვეთის ადგილას სახლის კონფიგურაციას იმეორებს. შესაბამისს ფასადებს იგი თავიდან ბოლომდე არ გაუყვება. აივანზე, ც. დადიანის ქუჩის მხარეს, ორი კარი და ერთი სარკმელი გამოდის, სარაჯიშვილის ქუჩის მხარეს კი – ერთი კარი და ორი სარკმელი. ერთი სარკმელია გაჭრილი კუთხის ჩამოკვეთილ ნაწილში. აივნის გვერდით, ც. დადიანის ქუჩაზე, კიდევ ერთი სარკმელია, ვ. სარაჯიშვილის ქუჩაზე კი – ორი.



026. ხედი ვ. სარაჯიშვილის ქუჩიდან

ეზოს მხრიდან სახლი სამსართულიანია. სარდაფი აქ მიწის დონეზეა. მის წინ აგურის კვადრ. ბოძებზე გადაყვანილი, მძლავრი თაღედია, რ-საც ეყრდნობა მეორე და მესამე სართულის აივნები, რ-თაც ხის ოთხკუთხა სვეტები, აჟურული მოაჯირები და თაღები აქვს. სახლი გადახურულია თუნუქით.

1980-იან წლებში ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების დროს შენობას ერთი სართული დააშენეს. 2007 წელს, ქალაქის რეაბილიტაციის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების დროს (პროექტის ავტორები, არქიტ-ები: ნ. გამსახურდია, დ. მჭედლიძე და ი. ნაგლაძე), შენობის ფასადების მნიშვნელოვან ნაწილს ჩამოსცილდა გვიანდ. ნალესობა, ნაწილი კი შეილესა და ორფრად შეიღება; შეიცვალა ც. დადიანის ქუჩის მხარეს არსებული ღიობების ფანჯრები, გარემონტდა აივანი და სხვ. ამჟამად სახლის სარდაფში რესტორანია განთავსებული, სართულებზე კი – სასტუმრო.



026. ხედი ეზოდან

თ. დვალი.

027. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს დავით აღმაშენებლის ქუჩაზე (№ 23). თარიღდება XIX საუკუნის II

ნახევრით. სახლი სიღნაღური საცხოვრებლის ერთ-ერთი ტიპური ნიმუშია. ნაგებია ძირითადად „ქართული“ აგურით. აქა-იქ გამოყენებულია წვრილი რიყის ქვაც. ქუჩის მხრიდან შენობა ერთსართულიანია, ეზოს მხრიდან – ორსართულიანი. გა-



027. I სართულის თაღები. დეტალი

დაკეთებების მიუხედავად, თავდაპირველი გეგმარება მას შენარჩუნებული აქვს.

სახლის ეზოში ქუჩიდან, კიბის მეშვეობით ვხვდებით. პირველ სართულზე ორი ოთახია, რ-თა უკან, შენობის მთელ სიგრძეზე, მარანია, წინ – ოთხი თაღით გახსნილი, ღია აივანი. თაღები ნახევარწრიულია მოხაზულობისაა, გადაქვანილია მასიურ, სწორკუთხა ბურჯებზე. მოგვიანებით მარჯვ. განაპირა თაღი ამოუშენებიათ და აივნის სივრცეში ოთახი მოუწყვიათ, რ-საც შესასვლელი აივნიდან აქვს. უფრო გვიან, ეზოს მხრიდან, ამ ოთახზე პატარა მინაშენი მიუდგამთ.

პირველი სართულის ოთახებში შესასვლელი აივნიდანაა. აივანზე ოთახების სარკმლებიც გამოდის. ყველა ღიობი თარაზულადაა გადახურული. გადახურვა გამოყვანილია ფეხზე დაყენებული, ცენტრის მიმართ ცერად დაწყობილი აგურებით – „საჭექი ქვის“ გამოყვანის გარეშე. შესასვლელები დაგვირგვინებულია სამკუთხა ფრონტონით, სარკმლები კი – ნახევარწრიულით. ფრონტონებში აგურის ჯვრებია ჩასმული. შიგნით, მარცხ. ოთახის კედელში, ზედა სართულთან დამაკავშირებელი, ხვეული კიბეა. ორივე ოთახში თაღოვანი ნიშები და თახჩებია მოწყობილი.


მარნის იატაკი თიხისაა. ოთახების იატაკთან შედარებით იგი ოდნავ უფრო მაღლაა, რის გამოც მარანში მოხვედრა კიბის მეშვეობითაა შესაძლებელი. მარანი გადახურულია აგურის კამარით.

სახლის მეორე სართულს, ეზოს მხარეს, ხის აივანი ჰქონია. ამჟამად აივანი რკინა-ბეტონისაა, რ-საც ეზოს მხრიდან რკინა-ბეტონისავე კიბე აქვს მიდგმული.

თ. დვალი.

028. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს იროდიონ ევდოშვილის ქუჩაზე (№ 13). თარიღდება XIX საუკუნის 40-50-იანი წლებით. სახლი გეგმით სწორკუთხაა (18,00x13,70 *მ*), ნაგებია აგურით. შენობა ქუჩიდან ოდნავ მოცილებით, ეზოს სიღრმეში დგას და სამი მხრიდან ეზო აკრავს, მეოთხე მხრიდან – მოსაზღვრე სახლი. თავად ეზო სამი ნაწილისგან შედგება. რელიეფის ძლიერი დაფერდების გამო, ეზოს მონაკვეთები ტერასისებრადაა განლაგებული და ქვემოთკენ კიბე-კიბე ეშვება. ქუჩის მხარეს სახლი ერთსართულიანია, ეზოს მხარეს კი – ორსართულიანი. სახლის წინა მხარე რიყის ქვით ნაგებ, დაახლ. 2,5 *მ* სიმაღლის კედელზეა დაყრდნობილი. ამ მხარეს და განივი ფასადის მთელ სიგრძეზე, სახლის ორივე სართულს აივანი გასდევს. პირველი სართულის აივანი უმოაჯიროა. გრძივი ფასადის მხარეს, იგი ხუთი ნახევარწრიული თაღით იყო გახსნილი (ამჟამად ყველა ამოშენებულია და შიგ უსახური სარკმელია ჩასმული), განივი ფასადის მხარეს კი – ოთხით (ორი ამოშენებულია). თაღები დაყრდნობილია აგურით ნაგებ, კვადრ. კაპიტელებით დაგვირგვინებულ, მრგვალ სვეტებზე. ამ კონსტრუქციას კი მეორე სართულის აივანი ეყრდნობა – ხის მრგვალი სვეტებითა და რიკულებიანი მოაჯირით (ამჟამად აივანი თითქმის მთლიანად შემინულია, დარჩენილი ნაწილი კი აგურითაა ამოშენებული).


დროთა განმავლობაში გადაკეთებებისა და დაზიანებების გამო, სახლის ინტერიერს და ორივე სართულის აივანს, თითქმის მთლიანად დაკარგული აქვს თავდაპირველი სახე (სახლის თავდაპირველ, გარეგან სახეზე წარმოდგენას გვიქმნის არქიტ. ივ. ჩხენკელის მიერ 1949 წელს შესრულებული აზომვითი ნახაზები).



028. ფასადი ეზოს მხარეს

სახლის ეზოს ზედა ნაწილი (ფართ. დაახლ. 100 *კვ მ*), ქუჩის დონესთან შედარებით, დაახლ. 0,7 *მ*-ით დაბლაა და ეზოს მხრიდან სამიოდე *მ* სიმაღლის საყრდენი კედლითაა გამაგრებული. ქუჩიდან ეზოში ვხვდებით ეზოს შემომფარგვ-

ლელ კედელში მოწყობილი კარით, რ-ის წინ სამსაფეხურიანი კიბეა. ამ კიბის მოპირდაპირედ კი, დაახლ. 4 *მ* მანძილზე, ხის მრავალსაფეხურიანი კიბე. იგი ეზოს ზედა ნაწილის საყრდენ კედელზე ქვემოდანაა მიდგმული და ეზოს შუა ნაწილში ჩადის (ეზოს ეს ნაწილი სახლის პირველი სართულის დონეზეა). ეზოს შუა ნაწილი ქვედა ნაწილისგან გამიჯნულია აგურით ნაშენი კედლით, რ-იც სახლის ეზოსპირა ფასადის ხაზზეა. კედელში ორიოდე *მ* სიგანის, მაღალი, ნახევარწრიულთაღოვანი გასასვლელია (შემორჩენილია ნაწილი), რ-შიც



028. გვერდითი ფასადი


ეზოს შუა ნაწილიდან ჩამომავალი კიბის რამდენიმე საფეხურია მოქცეული.

სახლის ქვედა სართული, როგორც ჩანს, სამ. დანიშნულებით გამოიყენებოდა, ზედა კი – საცხოვრებლად. სართულები ერთმანეთს შენობისავე ფარგლებში მოქცეული კიბით უკავშირდებოდა. კიბე განათებული იყო ოთხკუთხა სარკმლით, რ-იც გრძივი ფასადის მხარეს არსებულ აივანზე გადიოდა. ამ სარკმლის გარდა, აივანზე ქვედა სართულიდან კიდევ ოთხი სარკმელი და ერთი კარი გამოდის. ყველა ღიობი ოთხკუთხაა, მოურთველი. მოსაზღვრე სახლის მხრიდან აივანი შემოფარგლულია კედლით, რ-შიც მოწყობილია ნახევარწრიულთაღოვანი ბუხარი.

სახლის მეორე სართულის აივანზე ეზოს ზედა ნაწილიდან, კიბის მეშვეობით ვხვდებოდით, აივნიდან კი – თავად შენობაში. კიბე აივანზე გარედან იყო მიდგმული. აივანზე, მთავარი ფასადის მხარეს, გამოდის ორი სწორკუთხა კარი და ექვსი სწორკუთხა სარკმელი, გვერდითი ფასადის მხარეს კი – ოთხი სწორკუთხა სარკმელი. ყველა ღიობი კედლის საფეხურით შეღრმავებულ, ნახევარწრიულთაღოვან არეშია ჩასმული. ამ ღიობების გარდა, კედელში ერთი ცრუ სარკმელიცაა.

სახლის ქუჩის მხარეს მდებარე კედლის მარჯვ. ბოლოზე მიდგმულია ოთხკუთხა ნაგებობა (5x4 *მ*), რ-ის ერთი კედელი ქუჩაზე გამოდის. სათავსში შესასვლელი ეზოს ზედა ნაწილიდანაა. ამ მხარეს, კედელში, ერთი კარი და ერთი სარკმელია. ნაგებობა ცალფერდა სახურავითაა გადახურული, რ-იც სახლის ძირითადი ნაწილის სახურავის შესაბამისი კალთის გაგრძელებაზეა. შენობა დაბურული იყო ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.



028. განივი ჭრილი

029. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს იროდიონ ევდოშვილის ქუჩაზე (№ 14). არქიტ. ნიშნებით თარიღდება XIX საუკუნის II ნახევრით.

აგურით ნაშენი, ორსართულიანი სახლი ქუჩის გასწვრივ განლაგებული სახლების მწკრივშია ჩართული, რის გამოც მისი გარეგნული სახ-

ის განმსაზღვრელი მხოლოდ ერთი – ქუჩისპირა ფასადია. სახლის წინ პატარა ეზოა, რ-იც ქუჩისგან ფიცრის ღობითაა (გვიანდელია) გამოჯნული. ქუჩის მხარეს, სახლის ორივე სართულს ხის, რვაწახნაგოვანი სვეტებისა და ფიცრული მოა-



029. I სართული. დეტალი

ჯირის მქონე აივანი გაუქვება (მარჯვ. ნაწილი ამოშენებულია, პირველი სართულის მოაჯირი კი შეცვლილია). აივნისკენაა გაჭრილი ორივე სართულის კარ-სარკმლები. პირველი სართულის კარ-სარკმლები ჰორიზ. თაროზე დაყრდნობილი, ნახევარწრიული, პროფილირებული არქივოლტითაა მორთული. მათი ერთობლიობა უწყვეტ არშიას ქმნის, რ-იც ფასადს მთელ სიგრძეზე გასდევს. მსგავსია მეორე სართულის კარ-სარკმლების მორთულობის მოტივი, თუმცა მორთულობის სტრუქტურა რამდენადმე განსხვავებულია, რაც მნიშვნელოვნად ზრდის ფასადის მხატვრულ გამომსახველობას. ფასადი დანაწევრებულია პროფილირებულ საპირეში ჩასმული, ნახევარწრიულთაღოვანი კარ-სარკმლების რიგით. მათგან სარკმლები ერთიან, პროფილირებულ საპირეშია ჩასმული. შესასვლელები კი – მხოლოდ ნაწილობრივ. მათი საპირე სარკმლების ძირის დონეზე წყდება და ერთვის იმავე პროფილის ჰორიზ. თაროს, რ-იც შესასვლელების საპირეს ერთმანეთთან აკავშირებს. სადა კედლისა და ინტენსიურად მორთული ღიობების კონტრასტი მკვეთრად წარმოაჩენს დეკორის სიმდიდრეს.

სახლის მარცხ. ნაწილში კამარით გადახურული სარდაფია.

თ. დვალი.

030. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ერეკლე II-ის ქუჩაზე (№ 1). არქიტ. ნიშნებით თარიღდება XIX საუკუნის ბოლო წლებით.

სახლი ერთსართულიანია. ნაგებია ძირითადად „ქართული“ აგურით. იგი ქუჩის პირზე განლაგებული სახლების მწკრივში დგას და რამდენადმე ქუჩის გასწვრივ არის წაგრძელებული. ოთახები მწკრივადაა განლაგებული. ინტერიერში შემორჩენილია რამდენიმე ბუხარი და განჯინა. სახლს აქვს სარდაფი, რ-იც ნაწილობრივ გადაკეთებულია.

სახლს დამახასიათებელ არქიტ. სახეს სძენს ქუჩისპირა ფასადი. ფასადის კიდეებს თითო მარტივი პილასტრი აუყვება, რ-თა შორის მოქცეული არე კარ-სარკმლების ღიობებით სიმეტრიულადაა დანაწევრებული. ფასადის ცენტრში სადარბაზო კარია, რ-ის ორივე მხარეს ერთმანეთისგან თანაბარი მანძილებით დაცილებული, სამ-სამი სარკმელია (ერთ-ერთი მოგვიანებითაა ამოშენებული) განლაგებული. ყველა ღიობი მშვილდისებრთაღოვანია. დეკორატ. თვალსაზრისით სარკმლებს ქვემოთ, წყობაში, ჩართულია რიყის მოზრდილი ქვებით გამოყვანილი, სამოციოდე *სმ* სიმაღლის, თარაზული ზოლი, რ-იც ფასადს თითქმის მთელ სიგრძეზე გასდევს. ფასადის მორთულობაში მნიშვნელოვან აქცენტს ქმნის ასევე ლავგარდანიც. იგი სამსაფეხურიანია. მისი ზედა ორივე საფეხური სადაა, ხოლო ქვედა – კბილანების მწკრივითაა შედგენილი. ფასადი დასრულებულია აგურით ნაგები, ოთხი დეკორატ. კოშკურით, რ-თაგანაც თითო-თითო ფასადის კიდეებს აგვირგვინებს, დანარჩენი ორი კი – სადარბაზო კარსა და მის გვერდებზე არსებულ სარკმლებს შორის არსებული არის ასწვრივაა.

სახლი ნაწილობრივ არის გადაკეთებული. უკანა ფასადზე შენარჩუნებულია ხის, თავდაპირველი აივნის გარკვეული ნაწილი.

სახლი გადახურულია თუნუქით დაბურული, ორფერდა სახურავით.

თ. დვალი.

031. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ერეკლე II-ის ქუჩაზე (№ 3). არქიტ. ნიშნებით თარიღდება XX საუკუნის დასაწყისით.

სახლი ორსართულიანია. ნაშენია „ქართული“ აგურით. შენობა ქუჩის პირზე განლაგებული სახლების მწკრივში დგას და ქუჩაზე გრძივი ფასადით გამოდის. სახლის გვერდით კედლებს მოსაზღვრე სახლების



031. სადარბაზო კარი

კორპუსები ფარავს. რელიეფის გამო, ქუჩისკენ შენობა მხოლოდ მეორე სართულით გამოდის. პირველი სართული კი მიწაში იმდენად არის ჩამჯდარი, რომ

ქუჩისკენ გამომავალი სარკმლებიდან, მიწის ზემოთ, მხოლოდ მცირე ნაწილები ჩანს. სახლის ქუჩისპირა ფასადს საზეიმო იერი აქვს. კიდეებში მას რუსტირებული პილასტრი აუყვება. მათ შორის მოქცეული არე, თავის მხრივ, ათი პილასტრით, თანაბრად არის დანაწევრებული. პილასტრები ორსაფეხურიანი კაპიტელით სრულდება. თავად პილასტრები ეყრდნობა სართულშუა გადახურვის დონეზე გამოყვანილ აგურის თაროს, რ-იც ფასადს მთელ სიგრძეზე გასდევს. პილასტრებს შორის კარ-სარკმლების სწორკუთხა ღიობებია მოქცეული. მიუხედავად იმისა, რომ შენობა მცირე ზომისაა, ფართო ინტერვალებით განლაგებული კარ-სარკმლები მას საკმაოდ მონუმენტურ შთაბეჭდილებას სძენს. ღიობები გადახურულია სამფრთიანი თაღით, რ-იც გამოყვანილია მშვილდისებრი და კილისებრი თაღის კომბინაციით. სარკმლებს ქვემოთ ორი საფეხურით შეღრმავებული, სწორკუთხა არეა. სადარბაზო კარი ხისაა. იგი ფასადის სიბრტყეში ღრმად არის შეჭრილი და წინიდან ქვის კიბე აქვს მიდგმული.

პირველი სართულის კედლიც პილასტრებით არის დანაწევრებული, რ-ებიც ზედა სართულის პილასტრების ჩამოსწვრივაა, ოღონდ ზედა სართულის პილასტრებთან შედარებით, ისინი აქ ოდნავ უფრო განიერია და წინა მხარე ამოღრმავებული აქვს, რაც მაღალ სწორკუთხედს შეადგენს. პილასტრებს შორის აქაც სარკმლებია მოქცეული. ყველა ღიობი მშვილდისებრი თაღითაა გადახურული.

ფასადი დასრულებულია მარტივი პროფილის, ორსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-საც დაბალი პარაპეტი ადგას. პარაპეტი დანაწევრებულია ვერტ. შვერილებით გამიჯნული, მოგრძო, ჩაღრმავებული არეებით, რ-ებიც გარკვეულ რიტმს ქმნის.

სახლის უკანა ფასადი ეზოში გადის. იგი იმდენად არის გადაკეთებული, რომ თავდაპირველი სახე მთლიანად დაკარგული აქვს.

თ. დვალი.

032. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ერეკლე II-ის ქუჩაზე (№ 14). არქიტ. ნიშნებით თარიღდება XIX საუკუნის II ნახევრით. ძლიერ გადაკეთებულია. სახლი სამსართულიანია, დიდი ზომის. ნაგებია აგურით. შენობას გეგმით კუთხედის მოხაზულობა აქვს. იგი ეზოს სიღრმეშია განვითარებული და ქუჩისკენ განივი ფასადითაა მიქცეული. ამ მხრიდან სახლის ეზოს ფიცრული ღობე ფარგლავს. დანარჩენ ორ მხარეს კი თავად სახლი. ეზოს მხარეს, შენობის სამივე სართულის გაყოლებით, ხის აივანია. თავდაპირველი სახით მხოლოდ მესამე სართულის აივნის ნაწილიღაა შემორჩენილი, რ-საც სწორკუთხა სვეტებითა და ურთიერთგადამკვეთი, დიაგონალური ძელაკებით შედგენილი ხის მოაჯირი აქვს. სვეტებს შორის რთული მოხაზულობის, აჟურულად დამუშავებული, ქვემოდან, მთელ კონტურზე, პატარა, სამკუთხა წანაზარდების მქონე დეკორატ. თაღია. აივანი ქუჩისპირა ფასადზეც გადიოდა. პირველ სართულზე აივანი ბეტონითაა ამოშენებული, მეორეზე – აგურით, მესამეზე კი – შემინულია. აივნისკენ ოთახების კარ-სარკმლები გამოდის. ღიობები მშვილდისებრთაღოვანია და ჩასმულია პროფილირებულ საპირეში, რ-თაგანაც ზოგი ფრონტონითაა დაგვირგვინებული, ზოგი კი – ორსაფეხურიანი საჭექი ქვის იმიტაციით.

სახლის ქუჩისპირა ფასადი სადაა. იგი ნახევარფრონტონითაა დასრულებული, რ-იც კედლის დანარჩენი ნაწილისგან მაღალი, ორსაფეხურიანი ლავგარდნითაა გამოყოფილი. იმავე პროფილის ლავგარდნითაა დასრულებული თავად ნახევარფრონტონიც. ფასადის დანარჩენ სიბრტყეს, სიმაღლეში, ორი ორსაფეხურიანი თარო სამ თითქმის თანაბარ ნაწილად ყოფს. ერთი მათგანი მეორე სართულის სარკმლების რაფის დონეზეა გამოყვანილი, მეორე კი – მესამე სართულის იატაკის დონეზე. თითოეული სართულის ფასადი ორ-ორი მშვილდისებრთაღოვანი სარკმლით არის დანაწევრებული. პირველი სართულის სარკმლების სიმაღლე ბევრად უფრო ნაკლებია, ვიდრე ზედა სართულის სარკმლებისა. პირველი სართულის სარკმლები მოურთველია. მეორე და მესამე სართულის სარკმლები კი სადა საპირეშია ჩასმული. მესამე სართულის სარკმლებს, ქვემოთ, საფეხურით შეღრმავებული, სწორკუთხა არეა, მის ქვემოთ კი – მოკლე, ორსაფეხურიანი თარო, რ-იც მესამე სართულის იატაკის დონეზე გამოყვანილ თაროზეა დაყრდნობილი.

სახლის ორივე ნაწილი გადახურულია თუნუქით დაბურული, ცალფერდა სახურავით.

თ. დვალი.

033. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ერეკლე II-ის ქუჩაზე (№ 34). არქიტ. ნიშნებით თარიღდება XX საუკუნის დასაწყისით.

სახლი ერთსართულიანია, სარდაფიანი. საშენი მასალა ორგვარია: სრულიად დაუმუშავებელი რიყის ქვა და „ქართული“, კვადრ. აგური. კედლები ძირითადად რიყის ქვისაა, რ-შიც თანაბარი ინტერვალებით, ორრიგად ნაწყობი აგურით გამოყვანილი, თარაზული რიგებია ჩართული. კუთხეები და კარ-სარკმელების ღიობები მთლიანად აგურისაა.

სახლი ანფილადური ტიპისაა და გრძივი ფასადით ქუჩაზე გამოდის. ნაწილობრივ გადაკეთებულია. შენობას ეზოს მხარეს, მთელი ფასადის გაყოლებით, ხის აივანი გასდევდა,

რ-ისგანაც მხოლოდ ნაწილია შემორჩენილი.

სახლის გარეგანი სახის განმსაზღვრელი ქუჩისპირა ფასადია. ფასადის მარცხ. ბოლოში ხის ყრუ კარია, კარის წინ – აგურით ნაგები, მცირე, კვადრ. ბაქანი, გვერდიდან მიდგმული ოთხსაფეხურიანი კიბით. ფასადის დანარჩენი სიბრტყე დანაწევრებულია ერთმანეთისგან თანაბარი მანძილით დაშორებული ექვსი სარკმლით. ყველა სარკმელი, ისევე როგორც სადარბაზო კარი, მშვილდისებრთაღოვანია, ყოველგვარ სამკაულს მოკლებული. კარის თავზე რკინის ორფერდასახურავიანი მარკიზია, რ-იც რკინისავე, აჟურულ კონსოლებს ეყრდნობა. ფასადი დასრულებულია ჩაღრმავებული, სწორკუთხა არეებით დანაწევრებული ფრიზით.

სახლი გადახურულია ღარისებრი კრამიტით დაბურული, ორფერდა სახურავით.

თ. დვალი.

034. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ერეკლე II-ის პირველ შესახვევში (№ 3). არქიტ. ნიშნებით თარიღდება XIX საუკუნის II ნახევრით.

სახლი ორსართულიანია. დგას დაფერდებულ ადგილზე, დაგრძელებულია ეზოს სიღრმისკენ და ქუჩაზე განივი ფასადით გადის. ამ კედლის გაგრძელებაზე მაღალი კედელია, კედელში კი, შენობიდან ერთიოდე მ-ის მოშორებით – განიერი, შეისრული თაღი, რ-შიც რკინის ორფრთიანი კარია (გვიანდელია) ჩადგმული. სახლის ორივე სართულს, ეზოს მხარეს, აივანი გასდევს. აივანი ქუჩის მხრიდან ყრუ კედლითაა შემოფარგლული, რ-იც შენობის განივი კედლის გაგრძელებაზეა და, მასთან შედარებით, ოდნავ (დაახლ. 15 *სმ*-ით) თხელია. ამის გამოც კედლების საზღვარზე, მეორე სართულის მთელ სიმაღლეზე, საფეხურია შექმნილი. პირველ სართულზე ეს ნაწილები ერთმანეთს ირიბი გადასვლით ერწყმის. სახლის სიღრმის ნახევარი ოთახებს უჭირავს, ნახევარი კი – აივანს.



034. საერთო ხედი შესახვევიდან

სახლის პირველი სართულის აივანი (მარცხ. ნახევარი ამოშენებულია) უმოაჯიროა და მიწის დონეზეა. აივნის წინა ხაზზე აგურით ნაგები, მრგვალი სვეტების რიგია (ზოგი მოგვიანებით ცემენტით შეულესავთ), რ-ებსაც მეორე სართულის აივანი ეყრდნობა. მეორე სართულის აივნის უმეტესი ნაწილიც ამოშენებულია. შერჩენილია ხის რამდენიმე სვეტი და რკულებიანი მოაჯირის ნაწილი. სვეტებს შორის რთული მოხაზულობის, აჟურულად დამუშავებული, დეკორატ. თაღია. აივანზე ოთახების თაღოვანი კარ-სარკმლები გამოდის.

სახლის ქუჩისპირა ფასადი ძირითადად აგურითაა ნაგები. წყობაში, აქა-იქ, რიყის ქვებიცაა ჩართული. ფასადზე პირველი სართულიდან ორი სარკმელი გამოდის, რ-თა ძირი, ქუჩის დაფერდების გამო, თითქმის მიწის დონეზეა. მათგან მარჯვ. სარკმელი დასრულებულია ჰორიზ. თაროზე დაყრდნობილი, სამკუთხა ფრონტონით, თავად თარო კი წყობიდან მცირედ შვერილ ორ კრონშტაინს ეყრდნობა.

მეორე სართულის ფასადიც ორი სარკმლითაა დანაწევრებული. ორივე თაღოვანია და დაგვირგვინებულია წყობიდან შვერილი აგურების ერთი რიგით შედგენილი, ნახევარწრიული არქივოლტით, რ-საც ცენტრში გამოყვანილი აქვს საჭექი ქვის იმიტაცია. ორივე არქივოლტი ეყრდნობა ორსაფეხურიან თაროს, რ-იც ფასადის მარცხ. ნახევარს თავიდან ბოლომდე გასდევს. ამავე თაროზეა დაყრდნობილი არქივოლტებს შორის, წყობიდან შვერილი აგურებით გამოყვანილი რომბიც. ფასადის მარცხ. ნაწილი სამკუთხა ფრონტონითაა (შე-



034. II სართულის აივანი. ხედი ეზოდან


ფიცრულია) დასრულებული, მარჯვ. ნაწილი კი – აივნის ცალკალთა სახურავით. ფასადის მარჯვ. ნახევარში მცირე ზომის, სწორკუთხა სარკმელია (გვიანდელია), რ-იც აივნიდან გამოდის.

ქუჩის მხარეს, სარკმლების გარდა, ჭიშკარიცაა მორთული. თაღს განიერი ლილვი გარშემოუყვება, თაღის გვერდებზე კი თითო შვეული ლილვია გამოყვანილი, რ-ებიც კედელს მთელ სიმაღლეზე აუყვება.

სახლს ეზოს მხრიდან, მეორე გვერდით ფასადზე, მიდგმული აქვს თანამედროვე მინაშენი და რკინა-ბეტონის კიბე, რ-იც მეორე სართულის აივანს უკავშირდება.


თ. დვალი.

035. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე (№ 6), წმ. გიორგის ეკლესიის მოპირდაპირედ, ოციოდე მ-ზე. არქიტ. ნიშნებით თარიღდება XIX საუკუნის II ნახევრით.




035. სარდაფის გეგმა

შენობა დაფერდებულ ადგილზეა აგებული. იგი ქუჩის პირას მდებარე სახლების მწკრივში დგას და ქუჩის გასწვრივ მნიშვნელოვნადაა დაგრძელებული (21,50x10,60 მ). სახლი ქუჩის მხარეს ორსართულიანია, ეზოს მხარეს კი – სამსართულიანი. შენობა ე. წ. კახური წყობით, „ქართული“ აგურითა და რიყის ქვით არის ნაგები.



035. I სართულის გეგმა

გვიანდელ მიშენება-გადაკეთებათა გამო, შენობას თითქმის დაკარგული აქვს თავდაპირველი სახე (სახლის თავდაპირველ სტრუქტურაზე გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის არქიტექტორ ივ. ჩხენკელის მიერ 1949




035. II სართულის გეგმა


წელს შესრულებული აზომვითი ნახაზები, რ-ებსაც ეყრდნობა სახლის წინამდებარე აღწერილობაც).

შენობის პირველი სართული სამ. დანიშნულებით გამოიყენებოდა, დანარჩენი ორი – საცხოვრებლად. პირველი სართული, დანარჩენ სართულებთან შედარებით, შვიდიოდე მ-ით უფრო მოკლეა. გრძივი კაპიტ. კედლით იგი ორ არათანაბარ ნაწილადაა გაყოფილი. მათ შორის ზურგის მხარეს მდებარე ნაწილი, თითქმის ორჯერ უფრო ღრმაა, ვიდრე შენობის წინა მხარისა. წინა ნაწილი ერთიანია. იგი საჯინიბოდ გამოიყენებოდა. უკანა მხარის ნაწილში კი ორი ოთახია, რ-თა გამმიჯნავ კედელში მეორე სართულზე ასასვლელი კიბეა მოწყობილი. ოთახები სხვადასხვა ფართობისაა. ისინი ერთმანეთს არ უკავშირდება. მათგან ერთში (რ-იც მეორესთან შედარებით თითქმის სამჯერ უფრო მცირე ფართობისაა) მოხვედრა მხოლოდ საჯინიბოდანაა შესაძლებელი, მეორეში კი – სახლის მეორე სართულიდან.

სახლის მეორე და მესამე სართულები გეგმით ერთმანეთის მსგავსია. ოთახები ანფილადურადაა განლაგებული. ეზოს მხარეს, ორივე სართულის მთელ სიგრძეზე, აივანია. მეორე სართულის აივანი ეზოს მხარეს სწორკუთხა ბოძებზე გადაყვანილი თაღედითაა გახსნილი. მესამე სართულისა კი – სწორკუთხა მალებით. მეორე სართულის აივანზე ასასვლელად, აივნის ბოლოებში, ეზოდან მოწყობილია ორი კიბე, რ-ებიც აივანზე გარედან არის მიდგმული. ორივე აივანი ერთ-ერთი გვერდითი ფასადის მხრიდან შემოზღუდულია კედლით, რ-ის სისქეში არსებული კიბით



035. განივი ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ



035. ფასადი ეზოს მხარეს

სახლის მეორე და მესამე სართულები ერთმანეთს უკავშირდება. აივანზე ორივე სართულის კარ-სარკმლები გამოდის. აივნის გაუვლელად ოთახებში შესვლა შეუძლებელია. მეორე სართულის კარ-სარკმლები „ტიმპანიანია“ – ნახევარწრიული სათაურით. თავად სათაურები ჰორიზ. თაროზეა დაყრდნობილი და მასთან ერთად, უწყვეტ არშიას ქმნის. მესამე სართულის კარ-სარკმლები მოურთველია.

სახლი თავისი გეგმითაც და გარეგნული დამუშავებითაც XIX საუკუნის სიღნაღისთვის დამახასიათებელ და მნიშვნელოვან შენობათა წრეში ექცევა.

თ. დვალი.


036. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ვახტანგ გორგასლის ქუჩაზე (№ 7), წმ. გიორგის ეკლესიის სამხრ.-დას. კუთხესთან, ათიოდე მ-ზე. არქიტ. ნიშნებით თარიღდება XIX საუკუნის შუა ხანებით.

სახლი ორსართულიანია. აგებულია დაფერდებულ ადგილზე ისე, რომ ქუჩის მხარეს იგი ორსართულიანია, ეზოს მხარეს კი – ერთსართულიანი. საშენი მასალა ორგვარია: აგური და წვრილი, რიყის ქვა. კედლები ძირითადად რიყის ქვისაა, რ-შიც ორრიგად დაწყობილი აგურით გამოყვანილი, ერთმანეთისგან თანაბარი მანძილებით დაშორებული, თარაზული შრეებია ჩართული. კარ-სარკმლების ღიობები და გარეთა კუთხეები აგურისაა. სართულშუა გადახურვა და სახურავის ჩონჩხი კი – ხის.

დროთა განმავლობაში მიღებული გადაკეთებების გამო, შენობას თავდაპირველი სახე ძლიერ აქვს შეცვლილი (სახლის თავდაპირველ სტრუქტურაზე სრულ წარმოდგენას გვიქმნის არქიტექტორ ივ. ჩხენკელის მიერ 1949 წელს შესრულებული აზომვითი ნახაზები, რ-ებსაც ეყრდნობა წინამდებარე აღწერილობაც).


1987 წელს Იპბძ დაცვისა და გამოყენების მთ. სამმართველოს სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. გაერთიანების საპროექტო ბიურომ ჩაატარა სახლის წინასაპროექტო, საძიებო-საკვლევი და აზომვითი სამუშაოები, რის საფუძველზეც დამუშავდა რესტავრაცია-ადაპტაციის პროექტი (ავტორი არქიტ. დ. მჭედლიძე), რ-იც განხორციელდა 2007 წელს, ქალაქის რეაბილიტაციის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობისას.

შენობა ქუჩის ხაზზე მოთავსებული სახლების მწკრივში დგას და მთავარი ფასადით ქუჩისკენ გამოდის. შენობის გე-



036. I სართულის გეგმა

გმა კვადრატს მიახლოებული დობშია შეჭრილი და ნაკლე-ოთხკუთხედია (ზომები ღერ- ბი სიღრმე აქვს, ვიდრე ქუჩის ძებზე: 11,2x12,2 მ), რ-საც წინა, მხარეს მდებარეთ. ეს ოთახები



036. II სართულის გეგმა

ქუჩისკენ მიქცეული მხარე ცე-ერთმანეთს კარით უკავშირდ-შესასვლელი ეზოდან აქვს. შე-რად ჰქონდა „ჩამოკვეთილი“. ებოდა. თითოეული ოთახიდან,ნობის ამ მხარეს მოქცეული სახლის ორივე სართული ერ- რ-ებიც სავარაუდოდ საჭმიანობისთვის გამოიყენებო-ნაწილის შუაში გეგმით კვადრ. მანეთის მსგავსად იყო დაგეგ-





036. განივი ჭრილი. ხედი სამხრ-კენ

მილი. პირველ სართული სამი ოთახისგან შედგებოდა. მათ-გან ორი, ერთმანეთისგან კაპიტ. კედლით გამიჯნული ოთახი სახლის წინა მხარეს მდე-ბარეობდა, უკანა მხარეს კი – ერთი ოთახი (ამჟამადაც არ-სებობს), რ-იც მთლიანად ფერ-და, ქუჩისკენ თითო კარი და ორ-ორი სარკმელი გამოდიო-და. ყველა ღიობი მშვილდისე-ბრთაღოვანი ყოფილა. ქუჩის მხარეს მდებარე მარჯვ. ოთახი ზურგის მხარეს მდებარე ბნელ, უსარკმლო ოთახთანაც იყო დაკავშირებული. გრძივ კე-დლებზე გამოყვანილი ორ-ორი ვიწრო პილასტრითა და მათზე დაყრდნობილი, საბჯენი თაღით ოთახი სამ თანაბარ ნაწილად იყოფა. კედლები დანაწევრებუ-ლია ნახევარწრიულთაღოვანი, მაღალი ნიშებით, რ-ებიც იატ-აკის დონიდან იწყება. მათგან ორ-ორი ნიშა ოთახის გვერ-დით კედლებშია, სამი – ზუ-რგის კედელში. სახლის წინა და უკანა მხარის გამმიჯნავი კედლის სისქეში მოწყობილია კიბე, რ-იც მეორე სართულზე ადის. კიბის უჯრედში შესასვ-ლელი ზურგის მხარეს მდებარე ოთახიდანაა.

სახლის მეორე სართულს

036. ფასადი ვახტანგ გორგასლის ქუჩის მხარეს





036. ფასადი ეზოს მხარეს

პროპორციების თადით დასრულებული მალით ეზოსკენ მთლიანად იყო გახსნილი. წინკარის გვერდებზე გეგმით კვადრ. თითო ოთახია, რ-ებშიც ეზოს მხარეს თითო ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელი იყო გაჭრილი. დას-ით მდებარე ოთახში, გვერდითი ფასადის მხარეს, ერთი სწორკუთხა სარკმელია (გვიანდელია) გაჭრილი. XX საუკუნის II ნახევარში, სახლისათვის ეზოს მხრიდან, ახ. ნაწილი მიუდგამთ.

შენობას ქუჩის მხარეს, მეორე სართულის მთელ სიგრძეზე, ხის დაკიდული აივანი გასდევდა, რ-საც დამოუკიდებელი გადახურვა ჰქონდა და ხისავე, ყრუსიბრტყიან კონსოლებზე იყო დაყრდნობილი.

სახლის გვერდით (ჩრდ.) კედელს კიბე აუყვება, რ-იც ქუჩიდან ეკლესიის ეზოში ადის.

სახლი „სიღნაღური“ საცხოვრ. სახლების საინტერესო ნიმუშია.

თ. დვალი.


037. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს თამარ მეფის ქუჩაზე (№ 10). აგებულია XIX საუკუნის 40-50-იან წლებში. თავისი გამორჩეული მხატვრული ღირებულებებით სახლი „სიღნაღური“ საერო არქიტექტურის მნიშვნელოვანი ნიმუშია.

სახლი ორსართულიანია, ანფილადური ტიპის. ოთახები ერთ რიგადაა ჩამწკრივებული და ქუჩის გასწვრივაა წაგრძელებული (26,70x9,30 მ). შენობა ორ საცხოვრებელ სართულს და სარდაფს შეიცავს. ადგილის ტოპოგრაფიული სპეციფიკის გამო, იგი ქუჩის მხრიდან ერთსართულიანია, ეზოს მხრიდან კი ორსართულიანი. სავარაუდოდ, ორივე სართული ერთ ბინას წარმოადგენდა.

სახლის მთავარი ფასადი აღმ-ით, ეზოსკენაა მიქცეული, საიდანაც ალაზნის თვალუწვდენი ველი იშლება. ამ მხარეს, სახლის ორივე სართულს, მთელ სიგრძეზე, აივანი გაუყვება, რ-იც გვერდით ფასადებზეც გადადის.


გვიანდ. შეკეთება-გადაკეთებებისა და ძლიერი დაზიანების გამო, სახლის თავდაპირველი იერი ძლიერ შეცვლილია [შენობის თავდაპირველი სტრუქტურისა და გარეგანი სახის შესახებ მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის 1949 წელს შესრულებული აზომვითი ნახაზები (ავტორი, არქიტ. ივ. ჩხენკელი)].

1989 წელს ᲝᲙᲫ დაცვისა და გამოყენების მთ. სამმართველოს სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. გაერთიანების საპროექტო ბიუროს მიერ ჩატარდა სახლის წინასაპროექტო საძიებო-საკვლევი და აზომვითი სამუშაოები,




037. სარდაფის გეგმა

რის საფუძველზეც დამუშავდა რესტავრაცია-ადაპტაციის პროექტი (ავტორი, არქიტ. ი. მოსულიშვილი). სარესტავრაციო სამუშაოები მალევე დაიწყეს, თუმცა ბოლომდე არ იქნა მიყვანილი. ამჟამად შენობა ძლიერ დაზიანებულია და განადგურების საფრთხის წინაშე დგას.



037. I სართულის გეგმა

სახლის პირველი სართულის აივანი ეზოსკენ (აღმ-ით) აგურის ოთხკუთხა სვეტებზე დაყრდნობილი, ექვსი ნახევარწრიული თაღითაა გახსნილი, ერთ-ერთი გვერდითი (სამხრ.) ფასადის მხარეს კი – ორით. ამ მხარეებზე აივნის თაღები მაღალ ცოკოლს ეყრდნობა. მეორე სართულის აივანი კი ხისაა. შენობა ძირითადად ქართ. აგურითაა ნაგები. კედლების წყობაში გამოყენებულია რიყის წვრილი ქვაც. ცოკოლი კი რიყის ქვისა და აგურის თარაზული რიგების მონაცვლეობითაა გამოყვანილი.



037. II სართულის გეგმა

სახლის პირველ სართულზე სამი ოთახია, რ-თაგანაც განაპირები გეგმით კვადრატულია (4,3x4,3 მ), შუა კი – წაგრძელებული სწორკუთხედის ფორმის (9,0x4,3 მ). მათ შორის შუა და სამხრ-ით მდებარე ოთახის გამოჯნავ კედელში დატანებულია კიბე, რ-იც სარდაფში ჩადის. სამივე ოთახის ზურგის კედელში განჯინები (განაპირა ოთახებში ორ-ორი, შუა ოთახში – ოთხი) და თითო ბუხარია. პირველი სართულის აივანი ეზოს უკავშირდება აგურით ნაგები, შვიდსაფეხურიანი კიბით, რ-იც აივანზე გარედანაა მიდგმული. აივანზე ოთახების კარ-სარკმლები გამოდის. ღიობები ოთხკუთხაა და შემკულია რთული პროფილის, ნახევარწრიული არქივოლტით, რ-იც ბოლოებით პროფილირებულ, ჰორიზ. თაროზე არის დაყრდნობილი. აივნის თაღებში ჩადგმულია ხის, რიკულებიანი მოაჯირი.

მეორე სართულის გეგმარება პირველის ანალოგიურია. სართულის სამხრ. ბოლოში, ეზოდან, ამოდის აგურის ყრუ კედლებით შემოზღუდული, კრამიტით გადახურული კიბე, რ-იც შენობის სამხრ. ფასადის მარცხ. კიდეზეა მიდგმული. კიბის უჯრედში შესასვლელი ეზოდანაა. მას წინიდან ხის ოთხსაფეხურიანი კიბე ადგებოდა. მეორე სართულის აივანზე ასასვლელი მეორე კიბეც ხისაა. იგი ორმარშიანია და პირველი სართულის აივნის მარჯვ. კიდეშია მოწყობილი. აქვე, აივნის შემომფარგვლელი კედლის სისქეში, სართულის უჯრედშია მოთავსებული სხვენზე ასასვლელი კიბეც, რ-ზეც აივნიდან ვხვდებით. სამივე ოთახის ზურგის კედლის შუაში ღუმელია.

მეორე სართულის ოთახებში ნახევარწრიულთაღოვანი სარკმლებია. მათი უმრავლესობა აივანზე გადის. აივანს ხის რიკულებიანი მოაჯირი აქვს. აივნის გადახურვა მრგვალ, ზემოთკენ შევიწროებულ სვეტებს ეყრდნობა, რ-ებიც მრგვალი, პროფილირებული კაპიტელითაა დაგვირგვინებული.


სახლის სარდაფი ოთხი ნაწილისგან შედგება. მათგან სამი, რ-ებიც აივნის ქვეშაა მოქცეული, ნახევარსარდაფია. მეოთხე – პირველი სართულის სამხრ.-აღმ. ბოლოში მდებარე – მაღალია და დადაბლებული პროპორციების მქონე, აგურით ნაწყობი, შეკრული კამარა ხუთ რკალს ქმნის. სარდაფის ოთხივე კედელში მოწყობილია შეისრულთაღოვანი, ღრმა ნიშები. იმ კედელში, რ-შიც პირველ სართულზე ასასვლელი კიბეა განთავსებული, ერთი ნიშაა, დანარჩენებში – ორ-ორი.




037. გრძივი ჭრილი. ხედი აღმ-კენ

სახლის უკანა ფასადი მასიურია. ფასადზე ნახევარწრიული თაღით გადახურული, სადარბაზო კარი და ექვსი სარკმელი გამოდის, რ-თა შორის ორი ცრუა. გარდა ამისა, ფასადის

მარცხ. ნაწილში, სარკმლების თაღების დონეზე, მოწყობილია საფეხურით შელრმავებული ლი, ორი თაღოვანი არე (მარცხ. არეში მოგვიანებით გაჭრილი სარკმლის თაღია მოქცეული). ორივე მათგანი, ისევე როგორც სარკმლების თაღები, მოჩარჩოებულია წყობიდან შვერილი აგურების ერთი რიგით გამოყვანილი, ვიწრო ზოლით, რ-იც აგურისავე ორსაფეხურიან თაროს ეყრდნობა.



037. ფასადი ეზოს მხარეს



037. გვერდითი ფასადი

ფასადი, სარკმლების თაღის ქუსლის დონემდე, რიყის ქვისა და აგურის წყობითაა გამოყვანილი. ზემოთ კი აგურისაა. ცრუ სარკმლების და თაღების შელრმავებული ნაწილები გაფორმებულია აგურის ფიგურული წყობით. მოგვიანებით, ერთერთი ცრუ სარკმლის ადგილას, რ-ის უკან კედლის ღუმელი მდებარეობდა, შესასვლელი მოუწყვიათ. ამ უკანასკნელის წინ კი – ქვის კიბე.


სახლს გარკვეულ ინდივიდუალობას ანიჭებს მხატვრული თვალსაზრისით საინტერესოდ გადაწყვეტილი ფრონტონები. ორივე ფრონტონის შუაში, მთელ სიმაღლეზე, გამოყვანილია კაპიტელით დასრულებული მრგვალი სვეტი, რ-ის გვერდებზე თითო ვიწრო, მაღალი, მართკუთხა ღიობია.

სახლი გადახურულია ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.


038. საცხოვრებელი სახლი,

არქიტ. ძ. მდებარეობს თამარ მეფის ქუჩაზე. არქიტ. ნიშნებით თარიღდება XIX საუკუნის II ნახევრით.



038. I სართულის გეგმა

დროთა განმავლობაში მიღებული დაზიანებების და გადაკეთება-შეკეთებების შედეგად, შენობას თავდაპირველი სახე ძლიერ აქვს შეცვლილი, რის გამოც მისი აღწერილობა ემყარება სახლის აზომვით ნახაზებს, რ-ებიც 1949 წელსაა შესრულებული (ავტორი, არქიტ. ივ. ჩხენკელი). ნახაზებზე სახლის მისამართია ჩელიუსკინელების ქ. № 10.



038. II სართულის გეგმა

სახლი გეგმით თითქმის კვადრატულია (9,30x8,80 მ). ნაგებია ე. წ. ქართული აგურითა და რიყის ქვით. წყობა, ისევე როგორც სიღნაღის ამ პერიოდის სხვა საცხოვრ. სახლებში, აქაც ტრადიციულია – რიყის ქვისა და აგურით გამოყვანილი, სწორხაზოვანი რიგები ენაცვლება ერთმანეთს.


სახლი ორსართულიანია. იგი ქუჩის პირას დგას და ქუჩისკენ მოგრძო მხრითაა მიქცეული. სახლის წინ ეზოა, რ-იც ქუჩისკენაა დაფერდებული. სახლის უკანა კედელი ერუა.

შენობის პირველ სართულზე სხვადასხვა ფართობის, ორი განცალკევებული ოთახია. მათ შორის უკანა მხარეს მდებარე ოთახი, ოდნავ უფრო დიდი ფართობისაა, ვიდრე წინა მხრისა. ორივე ოთახს შესასვლელი ქუჩიდან აქვს. მოზრდილი




038. ჭრილი. ხედი აღმ-კენ

ოთახის შესასვლელი ნახევარწრიული თაღითაა დასრულებული, მომცრო კი – მშვილდისებრთაღოვანია. შესასვლელების გარდა, ოთახების ქუჩისპირა კედელში თითო სარკმელიცაა გაჭრილი. მოზრდილი ოთახის სარკმელი სწორკუთხაა და გაცილებით მცირე ზომისაა, ვიდრე მომცრო ოთახის სარკმელი. ეს უკანასკნელი მშვილდისებრი თაღითაა დასრულებული. მსგავსი სარკმელი წინა ოთახს ეზოს მხარესაც აქვს. შიგნით, სარკმლის ორივე მხარეს, თითო ოთხკუთხა ნიშაა.



038. ჭრილი მარანზე. ხედი სამხრ-კენ


მოზრდილი ოთახის გრძივი კედლები,ერთ დონეზე განლაგებული, გეგმით ნახევარწრიული ნიშებით არის დანაწევრებული. მათგან წინა კედელში სამი ნიშაა, უკანა კედელში კი – ოთხი. ნიშებს შორის – თაღების დონეზე – თითო მცირე ზომის ნიშაა, რ-ებიც, როგორც ჩანს, ჭრაქისათვის იყო განკუთვნილი. ამ ნიშების გარდა, წინა კედელში ერთი მოზრდილი, ოთხკუთხა ნიშაცაა, რ-იც კედლის მარჯვ. ბოლოსთანაა მოწყობილი. მსგავსი, ოღონდ გაცილებით უფრო მოზრდილი ნიშა ოთახის გვერდით კედელშიცაა. ამავე კედლის მარცხ. ნაწილში, კედლის სისქეში მოწყობილ კიბის უჯრედში შესასვლელია. კიბე მეორე სართულზე, ოთახის თავზე არსებულ ოთახში ადის.



038. ჩრდ. ფასადი

სახლის მეორე სართული მასზე წინიდან არის მიდგმული. ის აივანი ქუჩის მხარეს განიერი, ოთხკუთხა ღიობითაა გახრეს, ოთახის ნაცვლად აივანია. აივანზე ასასვლელი ხის კიბე

038. აღმ. ფასადი



სნილი, ეზოს მხარეს კი – იმავე სიგანის ორი ოთხკუთხა ღიობით. ღიობები გადახურულია ხის კოჭებით. ქუჩის მხარეს არსებული ღიობის გადამხურავი კოჭის ერთი ბოლო კედელშია ჩამაგრებული, მეორე კი აივნის შესაბამის კუთხეში ამოყვანილ, აგურის ბოძს ეყრდნობა. ეზოს მხარეს არსებული ღიობების კოჭები კი ღიობების გამმიჯნავ კვადრატულ ბოძს. აივანი მეორე მხრიდან ყრუ კედლითაა შემოფარგლული, რ-შიც მოწყობილია გეგმით ნახევარწრიული ბუხარი. აივანს რიკულებიანი მოაჯირი აქვს.

ოთახიდან აივანზე კარი და ორი სარკმელი გამოდის. სამივე ღიობი სწორკუთხაა. მსგავსი ორი სარკმელია გაჭრილი ოთახის ქუჩისპირა კედელშიც. ამ კედლის მოპირდაპირე კედლის მარცხ. ბოლოში განიერი თახჩაა, მარჯვ. ბოლოში კი – ქვედა სართულზე ჩასასვლელ კიბის უჯრედში შესასვლელი კარი. ერთი თახჩაა ოთახის უკანა კედლის შუაში.

სახლს აქვს სხვენი. იგი ქუჩის მხარეს ერთიანადაა გახსნილი. ორივე არის შუაში აგურით ნაგები კვადრ. სვეტია, რ-ებსაც თავხე ეყრდნობა. სვეტის გვერდებზე კი დაბალი, აგურით ნაშენი, ყრუ მოაჯირია.

სახლი გადახურულია კრამიტით დაბურული, ორკალთა სახურავით, რ-ის წინა კალთის ქვეშ აივანიცაა მოქცეული. აივნის თავზე არსებული სხვენის ნაწილი ქუჩის მხრიდან შეფიცრულია.


თ. დვალი.

039. საცხოვრებელი სახლი,


არქიტ. ძ. მდებარეობს თამარ მეფის ქუჩაზე (№ 13). თარიღდება XIX საუკუნის შუა ხანებით. სახლი „სიღნაღური“ საცხოვრებლის ერთ-ერთი საყურადღებო ნიმუშია. შენობა დგას ფერდობზე. რელიეფის გამო, ქუჩის მხრიდან იგი ერთსართულიანია, ხოლო ეზოს მხრიდან – ორსართულიანი. საშენი მასალა, ისევე როგორც ამ პერიოდის შენობების უმეტეს ნაწილში, აქაც ორგვარია: სრულიად დაუმუშავებელი რიყის ქვა და „ქართული“ აგური. კედლები რიყის ქვისაა, რ-ებშიც ჩართულია ორრიგად დაწყობილი, აგურით გამოყვანილი, თარაზული შრეები. გარეთა კუთხეები და ყველა ის ელემენტი, რ-იც წყობის კომპაქტურობასა და სიზუსტეს მოითხოვს, აგურისაა.

სახლი სხვადასხვა პერიოდის ორი ნაწილისგან შედგება. მათ შორის ქრონოლოგიური შუალედი დიდი არ უნდა იყოს. შენობის თავდაპირველი

039. I სართულის გეგმა



ნაწილი გეგმით მართკუთხედის ფორმისაა და რამდენადმე ქუჩის მიმართულებითაა წაგრძელებული (14,30x9,75 მ). მოგვიანებით (შესაძლებელია



039. II სართულის გეგმა


მშენებლობის პროცესშივე, ან დამთავრებისთანავე) მისთვის ერთ-ერთი გვერდის მხიდან, იმავე სიგანისა და სიმაღლის, ოთხკუთხა შენობა (9,75x5,30 მ) მიუშენებიათ და ორივე ნაწილი საერთო, ორკალთა სახურავის ქვეშ მოუქცევიათ. ამას ისიც

მოწმობს, რომ შენობის ძირითად ნაწილსა და გვერდის დანამატს შორის ნაკერი არსებობს.




039. განივი ჭრილი

სახლის თავდაპირველი ნაწილის პირველ სართულზე სხვადასხვა ფართობის ორი ოთახია. მათ წინ ოთხი ნახევარწრიული თაღით გახსნილი, უმოჯირო აივანია, რ-იც ორივე მხრიდან კედლებითაა შემოფარგლული. მათგან ერთში განჯინაა მოწყობილი, მეორეში კი სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. თაღებიცა და მათი საყრდენი ოთხკუთხა ბოძებიც აგურითაა ნაწყობი. აივანზე ორივე ოთახის კარ-სარკმლები გამოდის: დიდი ოთახიდან ერთი კარი და ოთხი სარკმელი, მცირე ოთახიდან კი – ერთი კარი და ორი სარკმელი. ყველა ღიობი სწორკუთხაა, დაგვირგვინებულია ორ კრონშტაინზე დაყრდნობილი, სამსაფეხურიანი თაროთი. მცირე ოთახის კარ-სარკმლები მორთულობის გარეშეა დატოვებული. ინტერიერის დამუშავების ტრად. ქართ. ელემენტი – თახჩა და განჯინა ორივე ოთახშია მოწყობილი. მოზრდილი ოთახის ზურგის კედელში კარია. ამ კარით ოთახი დაკავშირებულია მიწის სიღრმეში მოქცეულ, მოგვიანებით აგებულ (სავარაუდოდ, გვერდიდან მიდგმული შენობის მშენებლობის დროს) პროდუქტების შესანახ, კამაროვან სათავსთან. მცირე ოთახის ზურგის კედელი, დანარჩენ კედლებთან შედარებით, გაცილებით სქელია. მასში მოწყობილია სახლის მეორე სართულზე ასასვლელი კიბე (სიგ. – დაახლ. 1 მ-ია), რ-იც ამავე ოთახის თავზე არსებულ ოთახში ადის. ეს უკანასკნელი, ქვედა ოთახთან შედარებით, ოდნავ მცირე ფართობისაა და დაკავშირებულია ტალანთან, რ-იც მეორე სართულს განივად კვეთს და აივანზე გადის. ტალნის მეშვეობით მეორე სართულის ორივე ოთახს დამოუკიდებლობა ენიჭება (თითოეულ ოთახში შესვლა მეორე ოთახის გაუვლელად არის შესაძლებელი). ტალანში ქუჩის მხრიდან, სადარბაზო კარით ვხვდებით, ოთახებში კი – ტალნიდან. ქუჩის მხრიდან, სადარბაზო კარის წინ, აგურით ნაწყობი კიბეა. მეორე სართულის ორივე ოთახში თითო კედლის ღუმელია: დიდ ოთახში – ქუჩის მხარეს მდებარე კედელში, პატარა ოთახში კი – გვერდით კედელში. ამ უკანასკნელში, ღუმლის ორივე მხარეს, თითო თახჩაა მოწყობილი. ორი თახჩაა დიდი ოთახის გვერდით კედელშიც. ტალნიდან შესასვლელის გარდა, დიდ ოთახს შესასვლელი ქუჩიდან ფასადის მარჯვ. ბოლოში (ამჟამად ამოშენებულია) ჰქონია. კარის გარდა, ოთახიდან ქუჩისკენ ორი სარკმელიც გადის. ამ მხარეს ერთი სარკმელი (ამჟამად ამოშენებულია) პატარა ოთახიდანაც გადიოდა, რ-იც კიბის უჯრედს აშუქებდა.



039. ფასადი ეზოს მხარეს

სართულს, ეზოს მხარეს, მთელ სიგრძეზე გაუყვება ხის ოთხკუთხასვეტებიანი აივანი, რ-იც ერთ-ერთი გვერდითი ფასადის მხრიდან ყრუ კედლითაა შემოზღუდული. აივანზე



039. ფასადი ქუჩის მხარეს

ოთახებიდან ექვსი სარკმელი და ორი კარი გამოდის. სარკმლები სწორკუთხაა და ნახევარწრიული არქივოლტითაა მორთული, რ-იც ეყრდნობა თაღის ქუსლის დონეზე გამოყვანილ ჰორიზ. თაროს. დიდი ოთახ-



039. ხედი ეზოდან

ის კარი სწორკუთხაა, ხოლო მეორე კარი, რ-იც აივანს ტალანთან აკავშირებს – თაღოვანი. განსხვავებულია მათი მორთულობაც: ოთახის კარი სამკუთხა ფრონტონითაა დაგვირგვინებული, ტალნისა კი – არქივოლტით. აივნის მოაჯირი ადრე რიყულებიანი ყოფილა. მოგვიანებით იგი ფიცრული მოაჯირით შეუცვლიათ.

შენობაზე მოგვიანებით მიდგმული ნაგებობა ორსართულიანია. ორივე სართულზე თითო ოთახია. პირველი სართულის ოთახის წინ, ეზოს მხარეს, გახსნილი ტერასაა, რ-ზეც ოთახიდან კარი და ერთი სარკმელი გამოდის. ოთახის ზურგის კედლის შუაში ნახევარწრიული ბუხარია, რ-ის ორივე მხარეს თითო ნიშაა. ერთი ნიშა ეზოს მხარეს მდებარე კედელშია. ოთახის გვერდით კედელში კი ორი თახჩაა.

ტერასიდან, მეორე სართულის ოთახის წინ არსებულ აივანზე, ხის კიბე ადის. კიბე აივნისავე ფარგლებშია მოქცეული. აივნიდან ჯერ შუშაბანდში ვხვდებით, შემდეგ კი – ოთახში. ოთახში მოხვედრა ქუჩიდანაც შეიძლება. ამ კედელში, კარის გარდა, ერთი ნიშაცაა მოწყობილი. გარედან, კარის წინ, მცირე ფართობის, ხის, უსახური აივანია, რ-ზეც ადის აგურით ნაშენი, ხუთსაფეხურიანი კიბე. ოთახი სამი სარკმლითაა განათებული. მათგან ორი შუშაბანდში გადის, მესამე – გვერდით ფასადზე.

სახლის თავდაპირველი ნაწილის ქუჩისპირა ფასადი ორი კარით და ხუთი სარკმლითაა დანაწევრებული. მათ შორის ორი – ცრუა. კარ- სარკმლები თარაზულთავიანია, ცრუ სარკმლები კი – ნახევარწრიულთავიანი. თითოეული მათგანი მორთულია ნახევარწრიული, პროფილირებული არქივოლტით, რ-იც ეყრდნობა ღიობებს შორის გამოყვანილ, იგივე პროფილის თაროს. მათი ერთობლიობით კი, ფასადის გაყოლებით, იქმნება უწყვეტი ზოლი, რ-იც ამოზნექილი და ჰორიზ. მონაკვეთებისგანაა შედგენილი. აღნიშნული მორთულობის გარდა, ფასადის მხატვრულ გამომსახველობას მნიშვნელოვნად ამაღლებს საშენი მასალის დიფერენციაციაც: შენობის კედელი ძირიდან სარკმლებამდე და სარკმლებს ზემოთ, აგურისა და რიყის ქვის შერეული წყობითაა ნაგები, სარკმლების სიმაღლეზე კი – მხოლოდ აგურით. გაფორმების ამ ხერხს სიღნაღში არაერთ სახლში ვხვდებით.

გვერდითა ფასადები აგურისა და რიყის ქვის შერეული წყობითაა ნაგები. სახლს მარჯვნივ, ეზოსკენ მიმავალი კიბე ჩაუყვება.

თ. დვალი.

040. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს თამარ მეფის ქუჩაზე (№ 14). არქიტ. ნიშნებით თარიღდება XIX საუკუნის მიწურულით.

სახლი ერთსართულიანია. შედგება ერთი ოთახისგან, რ-საც ეზოს მხარეს, მთელ სიგრძეზე, ხის აივანი გაუყვება. შენობის კედლები ძირითადად „ქართული“ აგურით არის ნაგები. წყობაში, აქა-იქ, ჩართულია ერთრიგად ნაწყობი რიყის ქვით გამოყვანილი, თარაზული რიგები. სახლის ქუჩისპირა ფასადი მთლიანად აგურითაა გამოყვანილი. ფასადზე ორი მშვილდისებრთაღოვანი, რკინის გისოსით აღჭურვილი სარკმელი გამოდის, რ-თა შორის ცრუ სარკმელია. სარკმლები აგურის შვერილ, ძირგახსნილი საპირეშია ჩასმული. სარკმლების ზემოთ, კედლის თითქმის მთელ სიგრძეზე, რიყის ქვის წყობის ერთი რიგია ჩატანებული, რაც რამდენადმე ზრდის ფასადის გამომსახველობას. ფასადის ქვედა ნაწილი ცემენტითაა შელესილი.

აივანი ცალი მხრიდან შემოფარგლულია კედლით, რ-შიც მოწყობილია ბუხარი და განჯინა. აივანზე გამოდის კარ-სარკმლების ღიობები.


სახლი ღარისებრი კრამიტით დაბურული, ორკალთა სახურავით არის გადახურული.

თ. დვალი.

041. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს თამარ მეფის ქუჩაზე (№ 17). არქიტ. ნიშნებით თარიღდება XIX საუკუნის შუა ხანებით. სახლი ორსართულიანია, დგას დაფერდებულ ადგილზე, რის გამოც იგი ქუჩის მხიდან ერთსართულიანია, ეზოს მხრიდან კი – ორსართულიანი. შენობა ძირითადად აგურითაა ნაგები. იგი გეგმითაც და გარეგნული დამუშავებითაც სიღნაღის თავისი დროის ყველაზე დამახასიათებელ და მნიშვნელოვან შენობათა რიგში დგას.

სახლის გეგმა კვადრატს მიახლოებული სწორკუთხედია (17,30x13,30 მ), რ-საც ერთი კუთხე ჩამოჭრილი აქვს. ოთახები ორრიგადაა განლაგებული. სიგრძივ გამყოფი, კაპიტ. კედე-

ლი ისეა მოთავსებული, რომ ეზოს მხარეს მდებარე ოთახებს მეტი სიღრმე აქვს, ვიდრე ქუჩის მხარეს. ოთახიდან თითო კარი და ორი სარკმელი გამოდის. მარჯვ. ოთახიდან კი მხოლოდ კარი. ყველა ღიობი მშვილდისებრთაღოვანია და მორთულია (სახლის მარჯვ. ოთახიდან გამომავალი კარის გარდა) აგურით გამოყვანილი, მშვილდისებრივე თავსართით. თავსართები ბოლოებით ერთმანეთს ებმის და ეყრდნობა იმავე პროფილის ჰორიზ. თაროს. სახლის მარჯვ. ოთახის კარის გვერდით ბუხარია. ბუხარი ოთახის შიგნითაცაა, კარის მოპირდაპირედ. ოთახის დანარჩენი კედლები სადაა. ოთახის წინა კედელში, ეზოს მხარეს, მოწყობილია განიერი, მშვილდისებრთაღოვანი სარკმელი, რ-იც დანარჩენი ღიობების მსგავსადაა მორთული.




041. I სართულის გეგმა

სარდაფის, შუა და მარცხ. ოთახის კედლებში ტრად. ელემენტები – თახჩები და განჯინებია მოწყობილი. გარდა ამისა, ოთახებში თითო ბუხარიცაა.

სარდაფი, ოთახების გარდა, დას. განივი კედლის სისქეში მოწყობილი კიბით, სახლის მეორე სართულთანაცაა დაკავშირებული.

სახლის მეორე სართულზე ოთახების განლაგება პირველის მსგავსია, ოღონდ აქ, სარდაფის თავზე, ორი ოთახი და მათ მხარეს მდებარეთ. სახლის პირველ სართულზე, ქუჩის მხარეს, ბნელი სარდაფია, რ-იც მთავარი ღერძის გასწვრივაა დაგრძელებული (14x2,9 მ). ეზოს მხარეს კი სამი ოთახია: მარცხნივ – თითქმის თანაბარი ფართობის ორი ოთახი, მარჯვნივ – განივი ღერძის გასწვრივ წაგრძელებული ოთახი. სახლის მარცხ. ნაწილში მდებარე ოთახები ერთმანეთისგან თხელი კედლით არის გამიჯნული და ამ კედელში მოწყობილი კარით უკავშირდება ერთმანეთს. მესამე ოთახი, რ-იც შენობის მარჯვ. (აღმ.) ნაწილშია მოქცეული, განცალკევებულია. ეს უკანასკნელი მხოლოდ სარდაფთანაა დაკავშირებული. სარდაფს ამ ოთახის მომიჯნავე ოთახიც უკავშირდება. სართულის შუა და მარცხ. ნაწილში მდებარე ოთახების წინ, უმოაჯირო აივანია, რ-ის იატაკი მიწიდან ოცდაათიოდე *სმ*-ით მაღლაა. აივანი ეზოსკენ სამი ნახევარწრიული თაღითაა გახსნილი, მარცხ., გვერდითი ფასადის მხარეს კი – ერთით. ეზოს მხარეს



041. II სართულის გეგმა

შორის მოქცეული წინკარია. წინკარში ქუჩიდან, სადარბაზო კარით ვხვდებით, იქიდან კი – ოთახებში. წინკარი ეზოს მხარეს მოქცეულ შუა ოთახსაც უკავშირდება. ეს უკანასკნელი კი – მის გვერდებზე მდებარე ოთახებს. ქუჩის მხარეს მოქცეული ერთ-ერთი (დას-ით მდებარე) ოთახიდან სხვენზე ასასვლელი კიბეა, რ-იც გვერდითი კედლის სისქეშია მოწყობილი.




041. განივი ჭრილი

აივანი ამ სართულზეცაა, ქვედა სართულის აივნის თავზე. აივანზე ოთახების კარ-სარკმლები გამოდის. თითოეული მათგანი მორთულია ნახევარწრიული მოხაზულობის, პროფილირებული არქივოლტით, რ-იც ეყრდნობა ღიობებს შორის გამოყვანილ, იგივე პროფილის თაროს. მათი ერთობლიობით კი იქმნება ამოზნექილი და ჰორიზ. მონაკვეთებისგან შედგენილი, უწყვეტი არშია, რ-იც კედელს მთელ სიგრძეზე გასდევს.

სართულის ქუჩის მხარეს მოქცეული ოთახები მხოლოდ ქუჩის მხრიდანაა განათებული. ორივე ოთახს სადარბაზო კარის ორივე მხარეს განლაგებული, ნახევარწრიულთაღოვანი ორ-ორი სარკმელი აშუქებს.

შენობის ფასადებიდან, როგორც არქიტ. ისე მხატვრული თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს ეზოს მხარეს მდებარე ფასადი. მისგან თავდაპირველი სახით მხოლოდ მარჯვ. ნაწილიღაა შემორჩენილი – რიზალიტის მსგავსი შვერილი, რ-იც თავდაპირველად, სახლის აივნებთან ერთად, მთლიან სიბრტყეს ქმნიდა. კედლის სიბრტყეს ოთხ ნაწილად ყოფს სამი ვიწრო, ჰორიზ. თარო. მათგან ორში (ქვემოდან პირველში და მესამეში) პირველი და მეორე სართულის სარკმელია მოქცეული. ორივე მათგანი მშვილდისებრი თაღითაა გადახურული და დაგვირგვინებულია იმავე მოხაზულობის თავსართით, რ-იც, სარკმლის თაღთან ერთად, მის ზემოთ არსებული არის ფარგლებშია შეჭრილი, ხოლო ბოლოებით ფასადთა ნაწილების გამმიჯნავ თაროს ეყრდნობა. სარკმლებს შორის მოქცეულ კედლის ნაწილზე, წყობის შედრმავებით, გამოყვანილია სარკმელთა ტოლი სიგანის, სწორკუთხა არე, რ-ის ზედაპირი აგურის თევზიფხური წყობითაა გაფორმებული. თავად არეში კი გამოსახულია რომბი, რ-იც მთელ არეს ავსებს. მხატვრული გამომსახველობის გაზრდის მიზნით, ფასადის ქვედა სამივე ნაწილის კიდეებში თითო ვიწრო, ჩაღრმავებული არეა გამოყვანილი. ზედა ნაწილში კი – სამ-სამი, რ-ებიც დანარჩენ არეებთან შედარებით, თითქმის ორჯერ უფრო ვიწროა. ფასადი დასრულებულია მარტივი პროფილის, ორსაფეხურიანი ლავგარდნით.

სახლის ქუჩისპირა ფასადის შუაში ნაკვეთი სახეებით



041. ფასადი ეზოს მხარეს

გაფორმებული, ხის, სადარბაზო კარია. კარი ნახევარწრიული თაღითაა დასრულებული და დაგვირგვინებულია ნახევარწრიული მოხაზულობისავე, პროფილირებული თავსართით. მსგავსი ფორმის თავსართითაა მორთული სარკმლებიც. თავსართები ეყრდნობა თაროს, რ-იც ფასადს მთელ სიგრძეზე გასდევს. გაფორმების მიზნით, ისევე როგორც ეზოსპირა ფასადზე, აქაც ჩაღრმავებული, სწორკუთხა არეებია გამოყენებული, ოღონდ არა თითო-თითო, არამედ სამ-სამი. არეები ერთ ვერტიკალზეა განლაგებული და მოთავსებულია როგორც ღიობებს შორის, ისე ფასადის ბოლოებთან.

შენობის გვერდითი ფასადი შერეული წყობითაა ნაშენი. მასში, მეორე სართულის დონეზე, გაჭრილია ერთი თაღოვანი სარკმელი. დანარჩენი ღიობები კი გვიანდელია. მეორე გვერდითი კედელი ყრუა.

თ. დვალი.

042. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს თამარ მეფის ქუჩაზე (№ 24). თარიღდება XIX საუკუნის II ნახევრით. სახლი ორსართულიანია, აქვს სარდაფი. ნაგებია აგურით.

სახლის ორივე სართულზე ოთახები ერთ მწკრივადაა განლაგებული, რ-თა ბლოკი ეზოს სიღრმეში მცირედ წაგრძელებულ სწორკუთხედს ქმნის და ქუჩაზე განივი ფასადით გამოდის. ორივე სართული ერთ ბინას წარმოადგენდა. აივანი, როგორც ამ ტიპის შენობების აუცილებელი კომპონენტი, ორივე სართულს ეზოს მხარეს აქვს, მთელი სახლის გაყოლებით. ორივე სართულის აივანი ხისაა – სწორკუთხა სვეტებითა და რიკულებიანი მოაჯირით. სახლში შესასვლელი აივნიდანაა. ოთახებშიც აივნის მეშვეობით ვხვდებით. აივნისკენაა მიმართული სარკმლებიც. მეორე სართულის აივანზე ხის კიბე ადის, რ-იც პირველი სართულის აივნის ფარგლებშია მოწყობილი.

სახლის კარ-სარკმლები მშვილდისებრთაღოვანია. მათ რელიეფური, თარაზულად დასრულებული, სადა საპირე ეკვრება. ქუჩისპირა ფასადის პირველ სართულზე სარკმლის ორი ღიობი გამოდის: ერთი – განიერია, სამფრთიანი, მეორე – ვიწრო. მეორე სართულზე ხის დაკიდული, რიკულებიანი აივანია (მარჯვ. ფრთა შეფიცრულია), რ-იც ხის კრონშტაინებზეა დაყრდნობილი და ფასადს თავიდან ბოლომდე გაუყვება. აივანი ქუჩისპირა ფასადს საზეიმო იერს ანიჭებს. აივანზე, ამ მხარეს მდებარე ოთახიდან ერთი დიდი სარკმელი და კარი გამოდის. ფასადი შელესილი და შეღებილია.

ქუჩის მხარეს მდებარე კედლის გაყოლებაზე აგურით გამოყვანილი, განიერი თაღია, რ-შიც თანამედროვე, რკინის ჭიშკარი კიდია. ეზოში შესასვლელიც აქედანაა.

ეზოს მხარეს, სახლის მარჯვ. ნახევარზე, წინიდან, მიდგმულია თანამედროვე, ორსართულიანი სახლი რკინა-ბეტონის აივნებით.

თ. დვალი.


043. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს თამარ მეფის ქუჩაზე (№ 26). არქიტ. ნიშნებით თარიღდება XIX საუკუნის დასასრულით.

შენობა სახეცვლილია დროთა განმავლობაში მიღებული დაზიანებებისა და გადაკეთებების გამო. მიუხედავად ამისა, ის ელემენტები, რ-ებიც შენობის ნაწილთა ქრონოლოგიის და არქიტ. ფორმების შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის, შემორჩენილია. სახლის თავდაპირველი სტრუქტურისა და გარეგანი სახის შესახებ განსაკუთრებით მნიშვნელოვან მასალას გვაწვდის 1949 წელს შესრულებული, აზომვითი ნახაზები (ავტორი, არქიტ. ივ. ჩხენკელი).

სახლი ანფილადური ტიპისაა და ქუჩის გასწვრივაა წაგრძელებული (19,50x9,30 მ). ქუჩის მხარეს იგი ორსართულიანია, ეზოს მხარეს კი, რელიეფის ძლიერი დაქანების გამო – სამსართულიანი.


შენობა, ე. წ. კახური წყობით, რიყის ქვითა და აგურითაა ნაგები. კედლები ძირითადად რიყის ქვისაა, რ-შიც ორრიგად დაწყობილი აგურით გამოყვანილი, თარაზული შრეებია ჩართული. გარეთა კუთხეები და კარ-სარკმლების ღიობები აგურისაა. სართულშუა გადახურვა, აივნები და სახურავის ჩონჩხი ხისაა.

ოთახები ორივე სართულზე, ქუჩის მხარეს, მწკრივადაა გან-




043. I სართულის გეგმა


ლაგებული. სახლის პირველ სართულზე სამი ოთახია. მათ შორის ერთი – განცალკევებულია, დანარჩენი ოთახები კი გვერდიგვერდაა და ერთმანეთს გამმიჯნავ კედელში გაჭრილი კარით უკავშირდება. ოთახების ძირითად ბლოკს, პირველი სართულის ბოლოებში, სიმეტრიულად, თითო კვადრ. აივანი ემატება (მოზრდილის ფართ. – დაახლ. 17 *კვ მ*-ია, მცირესი – 13,2 *კვ მ*), რ-ებიც ეზოს სიღრმეში განვითარებულ დანამატს ქმნის. ეზოს მხარეს ორივე აივანი კვადრ. ბოძზე დაყრდნობილი, ორი ნახევარწრიული თაღითაა გახსნილი, გვერდებისკენ კი – თითო განიერი თაღით. აივნებს შორის ღია, უმოჯირო აივანიცაა (დღეს ამოშენებულია და წინიდან მიდგმული აქვს თანამედროვე, რკინა-ბეტონის აივანი და კიბე), რ-იც განაპირა აივნებთან შედარებით, ბევრად უფრო ვიწროა (სიგ. – 2 *მ*), თუმცა სიმაღლით მათ თითქმის ორჯერ აღემატება. აივნის იატაკი მიწის დონეზეა და ეზოსკენ კვადრ. ბოძზე დაყრდნობილი, ორი განიერი, ნახევარწრიული თაღით იხსნება. აივანი ქუჩას განიერი დერეფნით უკავშირდება, რ-იც შენობას სიგანეზე კვეთს. აივნის ფარგლებში მოწყობილი იყო ორი კიბე. მათგან დას-ით მდებარე, ქვის ყოფილა, მეორე – ხის.



043. II სართულის გეგმა



043. ფასადი ეზოს მხარეს



043. გვერდითი ფასადი

სახლის სადარბაზო კარი ქუჩისპირა ფასადის მარჯვ. ბოლოშია. მისი მეშვეობით განაპირა კედლის სისქეში მოწყობილ კიბის უჯრედში ვხვდებით, ამ უკანასკნელით კი – სახლის ორივე სართულზე. კარის წინ მცირე ბაქანია, რ-საც ცალი გვერდიდან აგურითა და ქვით ნაშენი, ოთხსაფეხურიანი კიბე ადგებოდა.

სახლის პირველი სართულის ოთახებს კარ-სარკმლები მხოლოდ ეზოს მხარეს აქვს. მეორე სართულის ოთახებს კი ურთიერთმოპირდაპირედ – ქუჩისკენ და ეზოსკენ.

სახლის მეორე სართულზე, ქუჩისკენ, ორი ოთახია: მარჯვნივ – დიდი დარბაზი, რ-იც მთავარი ღერძის გასწვრივაა გაგრძელებული, მარცხნივ – მცირე, თითქმის კვადრ. ოთახი. ამ უკანასკნელის წინ იმავე ზომის, კვადრ. ოთახია. ეზოს მხარეს, შენობის მთელ სიგრძეზე – ხის აივანი. აივანზე მოხვედრა, როგორც თავად სართულიდან, ისე ეზოდანაცაა შეს-

აძლებელი. აივანზე ასასვლელი კიბე, შენობაზე, გარედან, გვერდით ფასადზე იყო მიდგმული. აივანზე ოთახებიდან კარ-სარკმელთა ღიობები გამოდის. ღიობები მშვილდისებრთაღოვანია და შვერილ საპირეშია ჩასმული, რ-ის ზედა ნაწილში, ღიობის გადამხურავი თაღის თავზე, საფეხურით შეღრმავებული, სადა არეა. თავად საპირე კი პროფილირებული, ჰორიზ. თაროთია დასრულებული. პირველი სართულის სარკმლები სწორკუთხაა და თაღოვან საპირეშია ჩასმული.

ქუჩის კონფიგურაციიდან გამომდინარე, სახლის ქუჩისპირა ფასადის მარცხ. ბოლო ირიბადაა ჩამოჭრილი. პირველი სართულის ფასადის შუაში მშვილდისებრთაღოვანი, განიერი შესასვლელია,მარჯვ. კიდეში კი – სადარბაზო კარი. კარ-სარკმლებით მხოლოდ მეორე სართულის ფასადია დანაწევრებული. სტრუქტურულად ფასადი მარტივია, მორთულობა – ძუნწი. დანაწევრება გეომეტრიულად მკაფიოა. სარკმლებს შორის თანაბარი ინტერვალებია დატოვებული. თავად სარკმლების პროპორცია აზიდულია. ფასადის შუაში ხის, დაკიდული, ოთხკუთხა სვეტების და რკულებიანი მოაჯირის მქონე გადახურული აივანი ყოფილა, რ-ზეც გამოდიოდა კარი და მის გვერდებზე გაჭრილი თითო სარკმელი.

სახლი თუნუქითაა დაბურული.

თ. დვალი.

044. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს თამარ მეფის პირველ შესახვევში (№ 2). აგებულია 1905 წელს სომეხი ვექილის ვართანოვის მიერ. მისი სომხურ-რუსული ინიციალები ქუჩისპირა ფასადზე, სადარბაზო კარის მარკიზის აჟურულ სახეშია „ჩაწნული“.

სახლი ერთსართულიანია, აქვს სარდაფი. ნაშენია აგურით. წყობა სუფთაა. ეტყობა დახელოვნებული ოსტატის ხელი. სახლის მთავარი, ქუჩისპირა ფასადი აღნაგობით სიმეტრიულია: ფასადის სიბრტყე რუსტირებული პილასტრებით დანაწევრებულია ცხრა თანაბარი სიგანის მონაკვეთად. მათგან შუა მონაკვეთში სადარბაზო კარია, გვერდით მონაკვეთებში კი – თითო სარკმელი. ყველა ღიობი მშვილდისებრთაღოვანია. თაღების ცენტრში გამოყვანილია სოლისებრი, საჭექი ქვის რელიეფური იმიტაცია. სარკმლების ქვემოთ და ზემოთ, კედლის სიბრტყეში საფეხურით შეღრმავებული, თითო სწორკუთხა არეა. მათ შორის ქვედა არე თითქმის ორჯერ მაღალია ზედაზე. ზედა შეღრმავების თავზე მისივე სიგრძის ორსაფეხურიანი, ჰორიზ. თაროა, მის ზემოთ კი – სართულის გადახურვის დონეზე – იმავე პროფილის ლავგარდანი, რ-იც ქუჩისპირა და გვერდით ფასადს მთელ სიგრძეზე გაუყვება.

სარდაფში, მთავარი ფასადის მხარეს, რვა დაბალი, მშვილდისებრთაღოვანი სარკმელია გაჭრილი, რ-ებიც ერთ დონეზე, პირველი სართულის სარკმლების ჩამოსწვრივაა განლაგებული. ყველა სარკმელი რკინის გისოსითაა აღჭურვილი. რკინისაა სადარბაზო კარის წინ არსებული კიბე, ასევე კარის მარკიზიც, რ-იც რკინისავე ორ აჟურულ კონსოლს ექრდნობა და თუნუქის, ორკალთა სახურავი ხურავს.

სახლის გვერდით ფასადზე არსებული სარკმლებიდან ერთი ამოშენებულია.


სახლის ქუჩისპირა და გვერდითი ფასადი დასრულებულია დაბალი პარაპეტით, რ-იც დანაწევრებულია შეღრმავებული, სწორკუთხა არეებით და დაგვირგვინებულია მაღალი, საფეხუროვანი ლავგარდნით.

შენობას გვერდიდან მიდგმული აქვს თანამედროვე, მასზე გაცილებით უფრო დაბალი, რკინა-ბეტონის, უსახური ნაგებობა. სახლი თუნუქითაა დაბურული.

თ. დვალი.

045. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს თამარ მეფის პირველ შესახვევში (№ 6). არქიტ. ნიშნებით თარიღდება XX საუკუნის დასაწყისით.


შენობა გეგმით სწორკუთხაა (33,80x11,00 მ). დგას თამარ მეფის ქუჩის გასწვრივ (სამხრ.-ჩრდ. მიმართულებით), ძლიერ წაგრძელებულია და ქუჩისკენ



045. გეგმა


ზურგის ფასადით არის მიქცეული. სახლის წინ (აღმ-ით), პატარა ეზოა, რ-ის შესასვლელი თამარ მეფის ქუჩის ჩიხიდანაა. შენობის საშენ მასალად „ქართული“ აგური და რიყის ქვაა გამოყენებული. წყობა ტრადიციულია – „კახური“. სახლის

კორპუსი სიგრძეში ორ ნაწილადაა გაყოფილი. ერთი მათგანი ორსართულიანია და სიგრძის ერთი მეოთხედი უჭირავს. მეორე – ერთსართულიანი.



045. სამხრ. ნაწილი. II სართულის გეგმა

დროთა განმავლობაში მიღებული არაერთი დაზიანებისა და გადაკეთების გამო, სახლი ძლიერ სახეშეცვლილია (შენობის თავდაპირველი სტრუქტურის შესახებ მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს არქიტ. ივ. ჩხენკელის მიერ 1949 წელს შესრულებული, აზომვითი ნახაზები).



045. ფასადი ეზოს მხარეს

სახლის პირველი სართული გრძივი კედლით ორ თითქმის თანაბარ ნაწილად იყოფა. წინა ნაწილში აივანი და ერთი მცირე ზომის ოთახია. უკანა ნაწილში კი – ერთმანეთისგან კაპიტ. კედლით გამიჯნული სამი ოთახი. აივანი სახლს, მთელი ფასადის გაყოლებით, გვერდითი ფასადების მხრიდანაც ჰქონია. გრძივ ფასადზე აივანი გახსნილი იყო ექვსი სწორკუთხა მალით, რ-თა გადახურვა დაყრდნობილი იყო აგურით ნაგებ, ხუთ მრგვალ ბოძზე (შემორჩენილია მხოლოდ სამი). ბოძებს შორის კი ხის რიკულებიანი მოაჯირი ყოფილა მოწყობილი. აივანს სამი შესასვლელი ჰქონია: ორი წინიდან – განაპირა მალებიდან და ერთი გვერდითი (სამხრ.) ფასადის აივნიდან. სახლის წინა ნაწილში მდებარე ოთახს შესასვლელი აივნიდან აქვს. ამ ოთახის იატაკი, აივნის იატაკთან შედარებით, შემაღლებულია, რის გამოც შესასვლელის წინ მოწყობილი ყოფილა ორსაფეხურიანი კიბე.

სახლის უკანა ნაწილში, ერთმანეთისგან კაპიტ. კედლით გამიჯნული, სამი ოთახია. მათგან შუა – მოგრძოა (სიგრ. – 13,5 მ, სიგ. – 4,8 მ), განაპირები კი – გეგმით თითქმის კვადრ. ოთახები ერთმანეთს თითო კარით უკავშირდებოდა. შუა და სამხრ-ით მდებარე ოთახს შესასვლელი აღმ-იდან, აივნიდან აქვს. ჩრდ-ით მდებარე ოთახს კი – შესაბამისი ფასადის მხარეს არსებული აივნიდან. შუა ოთახიდან აივნისკენ, შესასვლელის გარდა, ექვსი სწორკუთხა სარკმელიც გამოდის. სამხრ. განაპირა ოთახიდან კი – ერთი კარი და ერთი სარკმელი. ამავე კედელში, აივნის მხარეს, გეგმით ნახევარწრიული ბუხარია. აივანი სამხრ-იდან კედლითაა შემოფარგლული, რ-შიც სამხრ. ფასადის მხარეს არსებულ აივანზე გასასვლელი კარი და ერთი თახჩაა მოწყობილი. გვერდითი ოთახებიდან, მათ წინ არსებულ აივნისკენ, კარის გარდა, ორ-ორი სარკმელიც გადიოდა.

სახლის ორსართულიანი ნაწილის მეორე სართულზე ასასვლელი კიბე (შემორჩენილია ნაწილი) მოწყობილი იყო გვერდით კედელში (კედლის სისქე 1,5 მ-ია), რ-ის ნაწილი შენობის კორპუსიდან ოთხიოდე მ-ით იყო გამოშვერილი. კედლის ეს ნაწილი გადახურული იყო კრამიტით დაბურული, ცალფერდა სახურავით, რ-იც კიბის მსგავსად, ეზოსკენ იყო დახრილი. კიბის უჯრედში შესასვლელი ეზოდან ყოფილა. კარს წინიდან შვიდსაფეხურიანი, ქვის კიბე ჰქონდა მიდგმული.

მეორე სართულზე, მის ქვემოთ არსებული ნაწილის მსგავსად, განლაგებული ყოფილა ორი ოთახი (შემორჩენილია მხოლოდ ერთი), რ-ებიც ერთმანეთს კარით უკავშირდებოდა. მათგან ეზოს მხარეს არსებულ ოთახს, (ამჟამად აღარ არსებობს) ამავე მხარეს სამი სარკმელი ჰქონია.

სახლის ორსართულიანი ნაწილის ქვეშ მდებარეობდა სარდაფი, რ-ისგანაც ორი კედელიღაა შემორჩენილი. კედლებში მოწყობილია შეისრულთაღოვანი ნიშები. ამჟამად სარდაფის თავზე XX საუკუნის მიწურულში აგებული აივანია.


სახლს ჩრდ.-აღმ. კუთხესთან მინაშენები ჰქონია.

თ. დვალი.

046. საცხოვრებელი სახლი, ქორწინების სასახლე, არქიტ. ძ. დგას ქალაქის ცენტრში, მერაბ კოსტავას ქუჩაზე (№ 10). არქიტ. ნიშნებით თარიღდება XIX საუკუნის II ნახევრით. გამორჩეულია თავისი მდებარეობითა და მხატვრული გადაწყვეტით.

სახლი ორსართულიანია. დგას ქუჩის ხაზიდან სიღრმეში, რის გამოც შენობის წინ ფართო, ჰორიზ. ბაქანი იქმნე-


ბა, რ-ზეც განიერი, ორმარშიანი რმეში გამოყვანილ, გეგმით ქვის კიბით ვხვდებით. სახლი ნახევარწრიულ სათავსთან, რიყის ქვითა და აგურითაა რ-ის კედელშიც მოწყობილია



046. I სართულის გეგმა

ნაგები. თავდაპირველი გეგმარება მნიშვნელოვნად არის შეცვლილი.

სამი მაღალი, შეისრულთაღოვანი თახჩა. თითოეულ ოთახს მთავარი ფასადის მხრიდან




046. II სართულის გეგმა

ნაგებობის გეგმა წაგრძელებული პარალელოგრამის ფორმისაა (24x9 მ). სახლის პირველ სართულზე თანაბარი ზომის ოთხი ოთახია, რ-თა შორის სამი საცხოვრებელია, ხოლო ერთი – დას. კიდეში მდებარე – სამ. დანიშნულების. საცხოვრ. ოთახები ერთმანეთისგან ტიხრითაა გამიჯნული და თითო კარით უკავშირდება ერთმანეთს. სამივე ოთახში ხის, კარიანი განჯინებია. მათ შორის ორ-ორი შუა და დასით მდებარე ოთახებშია, ხოლო ერთი – აღმ. ოთახში. ამავე ოთახის გვერდით კედელში კიდევ ორი განჯინა და ერთი ბუხარია. ბუხარია მოწყობილი დას-ით მდებარე ოთახშიც.

სამ. დანიშნულების ოთახი დაკავშირებულია მიწის სიღაქვს დამოუკიდებელი შესასვლელი. ამავე მხარესაა გაჭრილი ოთახების სარკმლებიც.


სართულის წინ, შენობის მთელ სიგრძეზე, ვიწრო არეა, რ-იც გვერდებიდან ყრუ კედლებითაა შემოზღუდული, ხოლო მთავარი ფასადის მხარეს სამ კვადრატ. ბურჯზე გადაჯვანილი, ოთხი ფართო თაღითაა გახსნილი.

სახლის მეორე სართულზე, პირველის მსგავსად, ოთახები



046. განივი ჭრილი. ხედი დას-კენ

ერთ რიგადაა განლაგებული და ერთმანეთისგან ტიხრითაა გამიჯნული. ამ სართულზე, ქვედა სართულისგან განსხვავებით, განაპირა ოთახების წინ თითო ოთახია მოწყობილი, რ-ებიც რიზალიტის მსგავსს შვერილს ქმნის. ყველა ოთახში შესასვლელი აივნიდანაა. აივანზე გამოდის სარკმლებიც. სართულზე ასასვლელი კიბე დას-იდან ყოფილა. ამჟამად სართულებს ფართო, ორმარშიანი კიბე აკავშირებს. სართულს ზურგის მხარეს, მეორე შესასვლელიც აქვს. ზურგის კედელშივე მაღა-



046. სამხრ. ფასადი

ლი, თაღოვანი სარკმლებია გაჭრილი. ერთი სარკმელია გვერდით კედელში. გარდა ამისა, ჯირი. აივნის მხარეს მოქცეული კედელი კარ-სარკმლების თაღოვანი ღიობებით სიმეტრიულადაა დანაწევრებული. მ. შ. შუა, შეღრმავებულ ნაწილში მოქცეულ ღიობებს სამმაგი



046. ხედი მ. კოსტავას ქუჩიდან

კედელში ორი ცრუ სარკმელიცაა.

სახლის მთავარი ფასადი საზეიმო იერით გამოირჩევა. პირველ სართულზე ოთხი ფართო, თაღოვანი მალია, რ-თა უკან, სიღრმეში, კედლის სიბრტყე კარ-სარკმლების სწორკუთხა ღიობებითაა დანაწევრებული. თითოეული ღიობის ზემოთ ლილვებით შედგენილი, თაღოვანი არქივოლტია, რ-თა ბოლოები ერთმანეთთან იმავე პროფილის, ჰორიზ. თაროებით არის დაკავშირებული. მეორე სართულის გაფორმების მთავარ ელემენტს ხის სვეტებიანი აივანი წარმოადგენს, რ-იც ფასადს მთელ სიგრძეზე გასდევს და ამ მხარეს მოქცეული კედლის ფორმას იმეორებს – აივნის განაპირა ნაწილები შუა ნაწილის მიმართ 2-2,5 მ-ით წინაა წამოწეული და პირველი სართულის თაღების მიმართ გადმოკიდებულია, აივნის შუა ნაწილი კი თაღებს ეყრდნობა და ფასადის ხაზს არ ცდება. აივანს აქვს მრგვალი, კაპიტელებით დაგვირგვინებული სვეტები და რიკულებიანი მოაჯირი. აივნის მხარეს მოქცეული კედელი კარ-სარკმლების თაღოვანი ღიობებით სიმეტრიულადაა დანაწევრებული. მ. შ. შუა, შეღრმავებულ ნაწილში მოქცეულ ღიობებს სამმაგი ლილვით შედგენილი მოჩარჩოება აქვს. ფასადის განაპირა, შვერილ ნაწილებზე კი თითო განიერი, კილისებრი თაღით გადახურული კარია, რ-თა ფრამუგა მარტივი ნახატითაა გაფორმებული.

სახლი, რელიეფის გამო, ზურგის მხრიდან ერთსართულიანია. ამ ფასადს მთელ სიგრძეზე გასდევს თაღოვანი ნიშები. მარჯვ. გვერდითი ფასადი აგურისაა. კედელში აქ სამი ნიშაა მოწყობილი.

სახლი კრამიტის, ორქანობიანი სახურავითაა გადახურული.

თ. დვალი.

047. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს მერაბ კოსტავასა და 9 აპრილის ქუჩების გადაკვეთაზე (რეგისტრირებულია მ. კოსტავას ქ. № 16-ზე). არქიტ. ნიშნებით თარიღდება XX საუკუნის დასაწყისით.

2007 წელს, ქალაქის რეაბილიტაციის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების, სახლს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები – ავთენტური ფორმების მეტნაკლები დაცვით.

სახლი ორსართულიანია და მთავარი ფასადით მ. კოსტავას ქუჩისკენაა მიქცეული. ქუჩების გადაკვეთის ადგილას, სახლს კუთხე ჩამოჭრილი აქვს. სახლის ქუჩისპირა ფასადებს სიმაღლეში ორ თანაბარ ნაწილად ყოფს სართულშუა გადახურვის დონეზე გამოყვანილი, მრავალსაფეხურიანი თარო. მსგავსი პროფილის თაროა მეორე სართულის გადახურვის დონეზეც.

სახლის პირველი სართულის ფასადები სადაა. მთავარ ფასადზე პირველი სართული სამი სწორკუთხა მალითაა (გადაკეთებულია. ამჟამად ამ სართულზე საქართვ. ბანკის სიღნაღის ფილიალია განთავსებული) გახსნილი. გვერდით ფასადზე ორი სწორკუთხა, განიერი ღიობია (გვიანდელია), ფასადის მარჯვ. ბოლოში კი – ხის, სადარბაზო კარი. კარის თავზე რკინის მარკიზია, რ-იც რკინისავე, აჟურულ კონსოლებზეა დაყრდნობილი. კარის წინ მოწყობილია ქვის, ორსაფეხურიანი კიბე.

სახლის მეორე სართულს უფრო საზეიმო იერი აქვს, ვიდრე პირველი სართულისას. მთავარ ფასადზე, სართულის სიბრტყე დანაწევრებულია შვერილ საპირეში ჩასმული, სწორკუთხა კარ-სარკმლების ერთიანი მწკრივით. გვერდითი ფასადებისა კი მხოლოდ სარკმლებით. სარკმლებს, რაფების დონეზე, პროფილირებული თარო გაუყვება, რ-თა ქვემოთ კედლის სიბრტყე საფეხურითაა შეღრმავებული. ანალოგიური თაროა სარკმლების ზემოთაც, რ-იც სარკმლების საპირეზეა დაყრდნობილი.

სახლის მთავარი ფასადის ძირითადი მხატვრული აქცენტია მეორე სართულის შუაში მოწყობილი რკინის აივანი, რ-იც რკინისავე, აჟურულ კონსოლებზეა დაყრდნობილი. აივანს ასევე რკინის, აჟურული მოაჯირი აქვს, რ-იც რთული ნახატის სახეებს შეიცავს. აივნის გადახურვა რკი-



047. საერთო ხედი

ნის წვრილ სვეტებს ეყრდნობა, რ-თა შორის აჟურული თაღებია. აივნის მარჯვნივ არსებული არე გვერდებიდან ვიწრო, ვერტიკ. ღარებით დამუშავებული, პილასტრისებრი შვერილითაა შემოფარგლული, რ-იც სართულს მთელ სიმაღლეზე აუყვება. ამ არეში ორი სარკმელი გამოდის. ღიობების პროპორციები და ურთიერთშეფარდება ფასადებზე



047. მთავარი ფასადი. დეტალი

მხატვრულადაა გააზრებული. მხატვრულად გააზრებული ხერხია ასევე ნაკლებად მორთული კედლისა და ინტენსიურად მორთული აივნების კონტრასტიც.

ამავე სართულზე, ფასადის ჩამოკვეთილ ნაწილში, რკინის დაკიდული, გადაუხურავი აივანია, რკინისავე აჟურული მოაჯირით. აივნის ქვემოთ სარკმელია, ამ უკანასკნელის ქვემოთ კი – სარდაფში ჩასასვლელი კარი. ორივე ფასადი დასრულებულია დაბალი პარაპეტით, რ-იც დანაწევრებულია სწორკუთხა და მრგვალი, ჩაღრმავებული არეების მონაცვლეობით.


ეზოს მხარეს სახლი ერთსართულიანია. რამდენიმე ადგილას შერჩენილია ხის ძვ. აივნის დეტალები. სახლის სახურავი ოთხკალთაა, დაბურულია კრამიტით.

თ. დვალი.

048. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ილოსაშვილის ქუჩაზე (№ 4). თარიღდება XIX საუკუნის მიწურულით (სახლის მხატვრულ-არქიტექტურულ სახეზე წარმოდგენას გვიქმნის არქიტ. შ. დავითაშვილისა და ს. რევიშვილის მიერ 1949 წელს შესრულებული, აზომვითი ნახაზები).


სახლი გეგმით სწორკუთხაა და რამდენადმე ქუჩის მიმართულებითაა წაგრძელებული (18,00x8,90 მ). შენობის წინ ეზოა, რ-იც, ადგილის დახრილობიდან გამომდინარე, ქუჩის დონესთან შედარებით სამიოდე მ-ით უფრო დაბლაა. ამიტომ, ქუჩიდან ეზოში ჩასასვლელად მრავალსაფეხურიანი კიბე იყო მოწყობილი. სახლი ქუჩის მხარეს ერთსართულიანია, ეზოს მხარეს კი – ორსართულიანი.

შენობის თითოეულ სართულზე სხვადასხვა ფართობის ორ-ორი ოთახია (მოზრდილის ფართ. 36 კვ მ-ია, მცირესი – 19 კვ მ). ოთახები ერთმანეთისგან გამიჯნულია სქელი (სისქე – 1,4 მ) კედლით, რ-შიც სართულების დამაკავშირებელი კიბეა მოწყობილი. ამავე კედელშია მოწყობილი ოთახების დამაკავშირებელი გასასვლელიც. ეზოს მხარეს, მარცხ. (დას.) ბოლოში, სახლს რიზალიტი აქვს. იგი ძირითადი



048. II სართულის გეგმა

კორპუსიდან ხუთიოდე მ-ითაა გამოშვერილი და დამოუკიდებელი სახურავი ხურავს. რიზალიტის ორივე სართულზე თითო პატარა (ფართ. – 9, 4 *კვ მ*) ოთახია. სახლის პირველ სართულზე, წინა ფასადის გაყოლებით, უმოაჯირო აივანია, რ-იც ეზოსკენ კვადრ. ბურჯებზე გადაყვანილი ოთხი ნახევარწრიული თაღითაა გახსნილი, გვერდითი ფასადის მხარეს კი – მხოლოდ ერთით. ამ კონსტრუქციას მეორე სართულის ხის აივანი ეყრდნობა – ხისავე სვეტებითა და რიკულებიანი მოაჯირით. პირველი სართულისგან განსხვავებით, აივანი მეორე სართულს გვერდითი (აღმ.) ფასადის გაყოლებითაც აქვს. იგი წინა მხარეს მდებარე აივანთანაა გაერთიანებული და, მასთან შედარებით, ორჯერ უფრო ვიწროა. ამ აივანზე ქუჩიდან ოთხსაფეხურიანი კიბით ვხვდებით. აივნიდან კი – ოთახებში. შენობის მეორე სართულზე მოსახვედრად ქუჩიდან, მეორე შესასვლელიცაა მოწყობილი. ეს უკანასკნელი მოზრდილი ოთახის კედლის შუა ნაწილშია. ამავე კედლის დას. კიდეში სარკმელია. იგი ერთადერთია, რ-იც ამ სართულიდან ქუჩაზე გადის. კედლის დანარჩენი ნაწილი კი ყრუა. მეორე სართულის ორივე ოთახს, აივნის წინა ნაწილის მხარეს, თითო კარი და ორ-ორი სარკმელი აქვს. გარდა ამისა, მცირე ოთახში კარი და ორი სარკმელი აივნის გვერდით ნაწილის მხარესაცაა. ყველა ღიობი ნახევარწრიულთაღოვანია. განჯინა, ინტერიერის დამუშავების ტრად. ქართ. ელემენტი, ორივე ოთახშია (მოზრდილ ოთახში – სამი, მცირეში კი – ერთი). რიზალიტში მდებარე ოთახის დას. კედელში ბუხარია, დანარჩენ კედლებში კი – თითო კარი. მათგან ერთი – აივნის წინა ნაწილზე გადის, მეორე – მოზრდილ ოთახში, ხოლო მესამე – ხის დაკიდულ, გადაუხურავ აივანზე, რ-იც ოთახს ეზოს მხარეს აქვს.



048. ფასადი ეზოს მხარეს

სახლის პირველი სართულის აივანი ცოკოლის დონეზეა. აივანზე ასასვლელი, ოთხსაფეხურიანი, ქვის კიბე, აივანზე გარედანაა მიდგმული. ოთახებიდან აივანზე ოთხკუთხა კარ-სარკმლები გამოდის. აივანთან რიზალიტში მდებარე ოთახიცაა დაკავშირებული. ამ კარის გარდა, ოთახს მეორე კარიც აქვს – ეზოს მხარეს.


სახლი ღარისებრი კრამიტითაა გადახურული.

შენობა თავისი ხუროთმოძღვრული მახასიათებლებით XIX საუკუნის მიწურულის სიღნაღის ერთ-ერთ საყურადღებო, საცხოვრებელ სახლს წარმოადგენდა. იგი ამგების მაღალ, პროფესიულ დონეს და კარგ გემოვნებას ამჟღავნებს.

თ. დვალი.

049. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს შოთა რუსთაველის ქუჩაზე (№ 18ა). სახლი ქუჩის პირას განლაგებული სახლების მწკრივში დგას და ორივე მხრიდან მოსაზღვრე სახლები ეკვრის. სახლის სტრუქტურა მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიითაა განსაზღვრული: ქუჩის მხრიდან იგი ერთსართულიანია, ხოლო ეზოს მხარეს – ორსართულიანი.


შენობა ორი სხვადასხვა პერიოდის ნაწილისგან შედგება, რ-თა შორის ქრონოლოგიური შუალედი დიდი არ უნდა იყოს. არქიტ. ნიშნების საფუძველზე სახლის თავდაპირველი ნაწილი XIX საუკუნის მიწურულით თარიღდება, გვიანდ. – XX საუკუნის დასაწყისით.



049. სარდაფის გეგმა

სახლის თავდაპირველი ნაწილის გეგმა არათანაბარგვერდებიანი ოთხკუთხედის ფორმისაა (მიახლოებითი ზომები: სიგრ. – 14 *მ*, სიგ. – 12 *მ*), რ-ის ორი კუთხე სწორია, ერთი – ბლაგვი, ერთი კი – მახვილი. სახლის ორივე ნაწილი ერთი დანიშნულებით, საცხოვრებლად გამოიყენებოდა. სახლის გვიანდ. ნაწილი სამსართულიანია (მიახლოებითი ზომები: სიგრ. –

049. I სართულის გეგმა




17 *მ*, სიგ. – 9 *მ*). იგი სახლზე ეზოს მხრიდან, ფასადის მარცხ. ნახევარზე ცერადაა მიდგმული და ეზოს სიღრმეშია წაგრძელებული.

დროთა განმავლობაში ჩატარებული გადაკეთებების გამო, შენობამ მნიშვნელოვნად იცვალა თავდაპირველი სახე (ნაწილობრივ შეიცვალა გეგმარება, აივნებზე მოიხსნა მხატვრული სახეებით დამუშავებული, აჟურული მოაჯირი და ისინი შეიმინა, შეიცვალა კარ-სარკმლების ნაწილი და სხვ.).

1988 წელს სპეც. სამეცნ.-სარეს‍ტ. საწარმოო გაერთიანების საპროექტო ბიურომ დაამუშავა საცხოვრ. სახლის რესტავრაცია-ადაპტაციის პროექტი სიღნაღის საფინანსო განყოფილების შენობად (პროექტის ავტორი არქიტ. დ. მჭედლიძე), რ-იც არ განხორციელებულა. 2007 წელს ქალაქის რეაბილიტაციის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების დროს, ფასადზე მოიხსნა გვიანდ. ნალესობა, შეიცვალა კარ-სარკმლები, ფასადის წინ დადაბლდა ქუჩის დონე,რის შედეგადაც გამოჩნდა სახლის პირველი სართულის სარკმლების ზედა ნაწილები).

სახლის თავდაპირველი ნაწილის პირველ სართულზე ორი ოთახია, რ-ებიც გრძივი ღერძის გასწვრივაა გაგრძელებული. სართულის სიგრძივ გამყოფი კაპიტ. კედელი ისეა განთავსებული, რომ ეზოს მხარეს მდებარე ოთახი ორჯერ უფრო ღრმაა, ვიდრე ქუჩის მხარეს მდებარე. ეზოსკენ მდებარე ოთახის წინ, შენობის მთელ სიგრძეზე, ღია, უმოაჯირო აივანია, რ-ზეც ქუჩიდან კიბე ჩადის. აივნის წინა პირზე კვადრ. ბოძებზე გადაყვანილი ოთხი განიერი, ნახევარწრიული თაღია. აივნის იატაკი მის წინ მდებარე ეზოს (ფართ. დაახლ. 80 *კვ მ*) დონეზეა. თავად ეზო კი ჰორიზონტალურია და ხუთიოდე *მ* სიმაღლის საყრდენი კედლითაა გამაგრებული, შემდეგ იგი ფერდობისკენ ტერასებად ეშვება.


სახლის მეორე სართული, ისევე როგორც პირველი,გრძივი კედლით ორ ნაწილადაა გაყოფილი,ოღონდ აქ თითოეულ ნაწილში ორ-ორი ოთახია. ოთახები ერთმანეთისგან ტალნითაა გამიჯნული, რ-იც სართულს განივად კვეთს და აივანზე გადის. ტალნის მეშვეობით ოთხივე ოთახი დამოუკიდებლია. ქუჩიდან ტალანში სადარბაზო კარით ვხვდებით, ტალნიდან კი – თავად ოთახებში. ეზოს მხარეს მოქცეულ ერთ-ერთ ოთახში აივნისკენ ორი კარი და სამი სარკმელია გაჭრილი, მეორეში – ორი სარკმელი. აივანი დაკავშირებულია სახლზე მოგვიანებით მიშენებული ნაწილის აივანთან, ეს უკანასკნელი კი – ოთახებთან. სახლის ამ ნაწილში მდებარე ოთახებში შესვლა მხოლოდ აივნიდან შეიძლება.



049. II სართულის გეგმა

სახლის სარდაფი, რ-იც გვიანდ. ნაწილის ფარგლებშია, სხვადასხვა ფართობის, ორი განცალკევებული ოთახისგან შედგება. ორივეს შესასვლელი ეზოს ქვედა ტერასიდან აქვს. მათგან ერთი, მომცრო, უსარკმლოა. მეორე კი სამი სარკმლით ნათდება.


სახლის ფასადებიდან თავდაპირველი სახით მხოლოდ ქუჩისპირა ფასადია შემორჩენილი. იგი სადაა. ფასადის მარცხ. ნაწილში შეისრული თაღია (ეზოში შესასვლელი) გაჭრილი, შუა ნაწილში კი – ხის სადარბაზო კარი. კარის ორივე მხარეს, სიმეტრიულად განლაგებული, ორ-ორი მშვილდისებრთაღოვანი სარკმელია, რ-თა ქვემოთ საფეხურით შეღრმავებული, სწორკუთხა არეა. კარიც და სარკმლებიც ჩასმულია შვერილ საპირეში, რ-ის ზედა ნაწილში, ღიობის გადამხურავი თაღის თავზე, საფეხურით შეღრმავებული, სადა არეა, თავად საპირე კი პროფილირებული, ჰორიზ. თაროთია დასრულებული (მსგავსადაა მორთული სახლის გვიანდ. ნაწილის კარ-სარკმლებიც). ფასადის ქვედა ნაწილში, სართულშუა გადახურვის დონეზე, ჰორიზ., ვიწრო თაროა. ფასადი დასრულებულია საფეხუროვანი, სადა ლავგარდნით.



049. ჭრილი. ხედი აღმ-კენ

ეზოს მხარეს, სახლის თავდაპირველი ნაწილის პირველ სართულზე, კარ-სარკმლები სწორკუთხაა. თითოეული მათგანი ჰორიზ. თაროზე დაყრდნობილი, თაღოვანი სათაურითაა დასრულებული, რ-ებიც უწყვეტ არშიას ქმნის.

თ. დვალი.



049. ფასადი ეზოს მხარეს



049. ხედი შოთა რუსთაველის ქუჩიდან

050. ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ, არქიტ. ძ. მდებარეობს შოთა რუსთაველის ქუჩაზე (№ 18). არქიტ. ნიშნებით თარიღდება XX საუკუნის დასაწყისით.



050. ხედი შოთა რუსთაველის ქუჩიდან

სახლი ქუჩის პირზე განლაგებული სახლების მწკრივის ბოლოში დგას და ქუჩაზე გრძივი ფასადით გამოდის. ცალი მხრიდან მას მოსაზღვრე სახლი ეკვრის, მეორე მხარე კი 9 აპრილის ქუჩაზე გადის. ამ მხარეს შენობის ფასადი ერუა. შენობის საშენ მასალად ძირითადად აგურია გამოყენებული. კედლების ნაწილი ტრად. ე. წ. კახური წყობითაა ნაგები, რ-შიც რიყის ქვითა და ორრიგად დაწყობილი აგურით გამოყვანილი რიგები ენაცვლება ერთმანეთს. რელიეფის ტოპოგრაფიული ხასიათიდან გამომდინარე, სახლი ქუჩის მხარეს ორსართულიანია, ეზოს მხარეს კი – ოთხსართულიანი. ამ მხარეს სახლის მეორე, მესამე და მეოთხე სართულების შუა ნაწილში განიერი ლოჯიაა, პირველი სართულის (სარდაფის) ფასადი კი თითქმის მთლიანად ერუა (მხოლოდ ფასადის მარჯვ. ბოლოში კარია გაჭრილი, მის ორივე მხარეს კი – თითო სარკმელი). სახლის მეორე სართულის ლოჯიაში, ეზოდან, ფასადის შუა ნაწილზე მიშენებული, მრავალსაფეხურიანი, აგურის კიბით ვხვდებით. ამ სართულიდან კი – დანარჩენ სართულებზე. ქვედა სართულის ლოჯიის სვეტები და მოაჯირიც აგურისაა, ზედა სართულების ლოჯიისა კი – ხის.

შენობის გარეგან სახეს ქუჩისპირა ფასადი განსაზღვრავს. ფასადი კარგადაა დაცული. უმნიშვნელო დეტალების გამოკლებით, იგი უცვლელადაა შემორჩენილი. ეზოსპირა ფასადს კი ჩვენი საუკუნის დასწყისში ჩატარებული, აღდგენითი სამუშაოების დროს (სამუშაოები ამჟამადაც დაუსრულებელია) წარმოებული მიშენება-გადაკეთებების გამო, თავდაპირველი სახე მნიშვნელოვნად აქვს შეცვლილი.

სახლის ქუჩისპირა ფასადი მარტივია, დანაწევრება გეომეტრიულად მკაფიოა, ხაზოვანი. პროფილები სრულიად უბრალოა. ისევე როგორც დანარჩენი ხუროთმოძღვრული დეტალები, ისინიც აგურითაა გამოყვანილი. სართულშუა გადახურვის დონეზე მაღალი, საფეხუროვანი პროფილის მქონე თაროა, რ-იც კედლის სიბრტყეს სიმაღლეში ორ ნაწილად ყოფს. მსგავსი პროფილის თაროა გამოყვანილი მეორე სართულის გადახურვის დონეზეც, მის ზემოთ კი მაღალი პარაპეტია.

ფასადზე შენობის გვერდითი ნაწილები საგანგებოდაა გამოყოფილი: პირველ სართულზე – რუსტირებული პილასტრებით, მეორეზე კი (მათ აყოლებაზე) კედლის სიბრტყეში ორი საფეხურით შეღრმავებული, სამ-სამი სწორკუთხა არით. მათ შორის შუა არე საკმაოდ მაღალია, დანარჩენი ორი კი – კვადრატულია. სახლის შიდა სტრუქტურის შესაბამისად, ფასადის მარცხ. ნაწილი, მარჯვ. ნაწილთან შედარებით, დაახლ. 1 მ-ით განიერია. პირველი სართულის ფასადის მარცხ. ნაწილში მშვილდისებრი თაღით გადახურული კარი და ერთი სარკმელია, მარჯვ. ნაწილში კი – ნახევარწრიულთაღოვანი, განიერი შესასვლელი. ფასადის დანარჩენი სიბრტყე ოთხი რიტმულად განლაგებული, მშვილდისებრთაღოვანი სარკმლითაა დანაწევრებული, რ-ებსაც ვიწრო საპირე ევლებათ – საპირის თაღოვან ნაწილში საჭექი ქვის იმიტაციით. ფასადის მარცხ. ნაწილში მოთავსებული ორივე ღიობი საპირის გარეშეა დატოვებული.

ფასადის მეორე სართულის განაპირა ნაწილებში ღიობები სიმეტრიულადაა განლაგებული. თითოეულ მათგანში თითო კარი და თითო სარკმელია გაჭრილი. მათ წინ კი – ლითონის დაკიდული, გადაუხურავი აივანი. ისევე როგორც ქვედა სართულზე, ამ სართულზეც ფასადის შუა ნაწილი ოთხი მშვილდისებრთაღოვანი სარკმლითაა დანაწევრებული. პირველი სართულის სარკმლებისგან

განსხვავებით, ამ სართულის სარკმლებს ქვემოთ, საფეხურით შეღრმავებული, სწორკუთხა არეა, რ-ის ცენტრში ვარდულია გამოყვანილი.

ფასადის შუა ნაწილი მაღალი პარაპეტითაა დასრულებული, რ-ის ზედაპირი, პილასტრის-მაგვარი ელემენტებით, ოთხ თანაბარ მონაკვეთად იყოფა. რამდენადმე განსხვავებულადაა გაფორმებული ფასადის გვერდითი ნაწილების პარაპეტი. იგი მრუდხაზოვნადაა შემაღლებული, ხოლო ცენტრში მრგვალი, საპირეშემოვლებული ღიობი აქვს მოწყობილი, რ-იც გვერდებიდან შემოფარგლულია მარტივი, არაწესიერი ფორმის, თითო გეომეტრიული ფიგურით.

სახლი, თავისი დამახასიათებელი თვისებებით, ეკუთვნის ეტაპს, რ-იც XX საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა, თუმცა შესაძლოა ოდნავ უფრო გვიან იყოს აშენებული. შენობაში იგრძნობა ქალაქის ცნობილი ნიმუშების გავლენა. სახლის ღირებულებას ის თვისებები შეადგენს, რ-ებიც ზოგადად საერთო და დამახასიათებელია სიღნაღის საცხოვრ. სახლთა არქიტექტურისათვის. იგი მკაფიოდ გამოსახულ, „სიღნაღურ“ იერს ატარებს.

თ. დვალი.

051. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს შოთა რუსთაველის ქუჩაზე (№ 28). არქიტ. ნიშნებით თარიღდება XIX საუკუნის 40-50-იანი წლებით.

სახლი ნაგებია აგურით. დგას რთულ რელიეფზე ისე, რომ ერთი ფასადით იგი შ. რუსთაველის ქუჩაზე გადის, მეორე ფასადით კი – 9 აპრილის ქუჩის ჩიხში. შ. რუსთაველის ქუჩის მხრიდან შენობა ორსართულიანია, 9 აპრილის ქუჩის ჩიხის მხრიდან კი – ერთსართულიანი. ქუჩის მხარეს, სახლის წინ, პატარა ეზოა. ნაგებობის პირველ სართულზე სწორკუთხა სარკმლები და კარია გაჭრილი. ღიობებს მრავალპროფილიანი თავსართები ამშვენებს. მეორე სართულზე კი ხის, შემინული აივანია, რ-ზედაც გარედან მიდგმული კიბით ვხვდებით. სახლს ეკვრის მინაშენი.

თავისი პროპორციებით და მხატვრული სახით გამოირჩევა 9 აპრილის ქუჩის ჩიხში გამავალი ფასადი, რ-იც სამკუთხა ფრონტონით სრულდება. ფასადის ქვედა ნაწილში კარი და ერთი სარკმელია გაჭრილი. ორივე ღიობი ტიმპანიანია და დაგვირგვინებულია ნახევარწრიული ფორმის სათაურით, რ-იც ჰორიზ. თაროზეა დაყრდნობილი. თავად ტიმპანის არე აგურის ფიგურული წყობითაა მორთული. ფასადის გვერდით ნაწილებში, ღიობების სათაურების დონეზე, რელიეფურ ჩარჩოში ჩასმული თითო ვარდულია.

ფრონტონის წყობაში სხვადასხვა პერიოდის ორი ფენა გამოიყოფა, რ-თა შორის ქრონოლ. შუალედი დიდი არ ჩანს. როგორც ჩანს, თავდაპირველად სხვენი ფასადის მხარეს მთლიანად იყო გახსნილი, შუა ნაწილში კი აღმართული იყო კვადრ. გეგმის სვეტი, რ-საც თავხე ეჯრდნობოდა. მსგავსი გადაწყვეტა სიღნაღის არაერთ საცხოვრ. სახლში გვხვდება (თამარ მეფის ქუჩა № 14, ნ. ბარათაშვილის ქუჩა № 35). მოგვიანებით სვეტის გვერდებზე არსებული ორივე არე აგურით ამოუშენებიათ. მათგან მარჯვ. არეში, სხვენში მოსახვედრად, ვიწრო, სწორკუთხა ღიობი მოუწყვიათ.

თ. დვალი.

052. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს შოთა რუსთაველის შესახვევში (№ 4). ხუროთმოძღვრული ნიშნებით თარიღდება XIX საუკუნის მიწურულით.

სახლი ორსართულიანია, ნაგებია ე. წ. ქართული აგურით. შენობა ეზოს სიღრმეშია წაგრძელებული და ქუჩისკენ გვერდითი ფასადით არის მიმართული. ზურგის კედელი ყრუა. ეზოს მხარეს, სახლის ორივე სართულს, მთელ სიგრძეზე, ფიცრულმოაჯირიანი, ხის, ოთხკუთხა სვეტების მქონე აივანი გასდევს. პირველი სართულის აივანი ღიაა, მეორე სართულის აივნის გვერდითა ნაწილები კი – შემინული. აივანზე ას-



052. სარდაფი. ინტერიერის დეტალი

ასვლელი კიბე (გვიანდელია) მასზე ეზოს მხრიდან არის მიდგმული. აივანზე ოთახების კარ-სარკმლები გამოდის. ყველა ღიობი მშვილდისებრთაღოვანია. სარკმლებს შვერილი, სადა საპირე გარშემოუყვება, შესასვლელებს კი – მხოლოდ ნაწილობრივ. შესასვლელების საპირე სარკმლების ძირის დონემდეა ჩამოგრძელებული და ერთვის ამ საპირეების ერთმანეთთან დამაკავშირებელ, იმავე პროფილის თაროს. ამავე თაროსთანაა დაკავშირებული სარკმლების საპირეც. საპირეები ზემოთ დაგვირგვინებულია დაკბილულძირიანი, საფეხუროვანი ლავგარდნით.

სახლის მეორე სართულის კარ-სარკმლები ნახევარწრიულთაღოვანია, მორთულობას მოკლებული.

სახლის ქვეშ, თითქმის მთელ სიგრძეზე, დადაბლებული პროპორციების მქონე, კამარით გადახურული სარდაფია, რ-ის კედლები აგურისა და რიყის

ქვის შერეული წყობითაა ნაშენი. კამარა კი აგურის სუფთა წყობითაა გამოყვანილი და აგურისავე საბჯენ თაღებს ეყრდნობა. სარდაფის კარიც და სარკმელიც გარედან თარაზულადაა გადახურული. შიგნიდან მათი უმეტესი ნაწილი კამარის არეშია შეჭრილი და მშვილდისებრი თაღით არის დასრულებული. სარდაფში მოწყობილია ნიშები და თახჩები.

სახლის ქუჩისპირა ფასადი ფრონტონითაა დასრულებული, რ-საც ცალი მხრიდან აივნის სახურავის კალთა ერთვის. აივნიდან ფასადზე მხოლოდ ერთი სარკმელი გამოდის.

სახლის ეზო ქუჩისგან გამიჯნულია რიყის ქვით ნაგები კედლით, რ-ზეც ფიცრული ღობეა დაყრდნობილი. ამავე კედელშია მოწყობილი ჭიშკარიც.

სახლი სიღნაღური საცხოვრებლის ტიპური ნიმუშია. მხატვრულ-არქიტ. თვალსაზრისით განსაკუთრებით ღირებულია მისი სარდაფი, რ-იც საკმაოდ გამოცდილი ოსტატის მიერ არის აშენებული.

თ. დვალი.

053. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ვანო სარაჯიშვილის ქუჩაზე (№ 8). არქიტ. ნიშნებით თარიღდება XIX საუკუნის მიწურულით.

სახლი ორსართულიანია. ნაგებია „ქართული“ აგურით. შენობა დაფერდებულ ადგილზე დგას. იგი რამდენადმე ეზოს სიღრმეშია წაგრძელებული და გვერდითი ფასადით ქუჩაზე გამოდის. სახლი ეზოს მხარეს ორსართულიანია, უკანა მხარეს კი – სართულნახევრიანი. ამ მხრიდან მას მეზობლად მდებარე სახლი ეკვრის. ეზოს მხარეს, სახლის ორივე სართულს აივანი გაუყვება. პირველი სართულის აივანი უმოაჯიროა, მისი იატაკი მიწის დონეზეა. აივნის წინა ხაზზე აგურით ნაგები მრგვალი, ორსაფეხურიანი კაპიტელით დასრულებული სვეტების რიგია, რ-ებსაც მეორე სართულის აივანი ეყრდნობა. პირველი სართულიდან აივანზე სწორკუთხა, თაღოვანი სათაურებით მრთული კარ-სარკმლები გამოდის. სათაურები ჰორიზ. თაროზეა დაყრდნობილი და



053. ფასადი ეზოს მხარეს. დეტალი

მასთან ერთად, უწყვეტ არშიას ქმნის. თავად თაროს ტოლფერდა სამკუთხედის ფორმის წანაზარდები აქვს. ამის გამო ისინი ქვემოდან ხერხისებრადაა დაკბილული.

სახლის მეორე სართულის აივანი ხისაა, რიკულებიანი. მისი გადახურვა ხის მრგვალ სვეტებს ეყრდნობა. აივანს მასზე ასასვლელი კიბე წინიდან აქვს მიდგმული.

სახლის ქუჩისპირა ფასადი თავისი სტრუქტურით ასიმეტრიულია, რაც მას გარკვეულ დინამიკურობას ანიჭებს. ფასადი ორსართულიანი, სამკუთხა ფრონტონით დაგვირგვინებული მოცულობისგან და მასთან დაკავშირებული აივნის ღია ნაწილისგან შედგება. ისინი საერთო, ორფერდა სახურავის ქვეშ არის მოქცეული. ფასადის ძირითადი მოცულობა შემაღლებული პროპორციებისაა და მთლიანად აგურის სუფთა წყობითაა გამოყვანილი. კედლის უმეტესი ნაწილი ყრუა. ქვედა ნაწილში, პირველი სართულიდან, მშვილდისებრი თაღით დასრულებული ორი დაბალი სარკმელი გამოდის, რ-თა ასწვრივ, მეორე სართულის სიბრტყეზეც, თითო სარკმელია. ოღონდ, პირველი სართულის სარკმლებიდან განსხვავებით, ისინი ნახევარწრიულთაღოვანია და მსგავსი მოხაზულობის ორსაფეხურიანი, შვერილი არქივოლტითაა მორთული. არქივოლტები ჰორიზ. თაროს ეყრდნობა, რ-იც ფასადს თავიდან ბოლომდე გასდევს. პროპორციებისა და მორთულობის მეშვეობით, სარკმლები მკვეთრად გამოიყოფა კედლის თავისუფალ სიბრტყეზე. სარკმლების ზემოთ, მეორე სართულის გადახურვის დონეზე, ორსაფეხურიანი თაროა, რ-იც ფასადის დანარჩენი სიბრტყიდან ფრონტონს გამოყოფს. ფრონტონის ცენტრი გამოყოფილია ვიწრო, მაღალი, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმლით, რ-იც თავსართითაა მორთული.

ფასადი დასრულებულია ოთხსაფეხურიანი ლავგარდნით.

სახლის ეზო ქუჩისგან გვერდითი ფასადის ხაზზე მდებარე, აგურის, ყრუ კედლითაა გამოჯნული.

თ. დვალი.

054. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ვანო სარაჯიშვილის ქუჩაზე (№ 11). თარიღდება XIX საუკუნის შუა წლებით და „სიღნაღური“ არქიტექტურის ერთ-ერთი ტიპური ნიმუშია. სახლს აქვს მემორ. დაფა წარწერით: „ამ სახლში 1878 წ. 1 მაისს დაიბადა და 1888 წლამდე ცხოვრობდა დიდი ქართველი მომღერალი ვანო სარაჯიშვილი“.

შენობა ორსართულიანია. ნაგებია ძირითადად „ქართული“ აგურით. სახლის პირველი სართული სავაჭრო დანიშნულებით გამოიყენებოდა, მეორე – საცხოვრებლად. ქუჩის მხრისკენ მიმართული ფასადის ქვედა ნაწილში ორი განიერი, მშვილდისებრთაღოვანი ღიობი და სადარბაზო კარია, ზედა ნაწილის შუაში კი – ხის გადახურული აივანი (გვიანდელია), რ-ის გვერდებზე თითო სარკმელი გამოდის.

გადაკეთებების გამო, შენობის გარეგანი სახე მნიშვნელოვნად არის შეცვლილი: ქუჩისპირა ფასადზე პირველი

სართულის ორივე თაღი ამოშენებულია და მათში უსახური კარ-ფანჯარაა ჩასმული, მარცხნივაც უნდა ყოფილიყო მოწყობილი. ამჟამად ფასადის ეს ნაწილი ცემენტითაა შელესილი და ამის დადგენა, ნალესობის მოხსნის გარეშე, შეუძლებელია.



054. ხედი ვ. სარაჯიშვილის ქუჩიდან

ფასადის უმეტესი ნაწილი კი ცემენტითაა შელესილი. სახეცვლილია სახლის უკანა, შუშაბანდიანი ფასადიც. შუშაბანდი ხის მრგვალ სვეტებს ეყრდნობა.

შენობის საყურადღებო, მხატვრული ელემენტი იყო მეორე სართულის მარჯვ. სარკმელი. იგი სამყურა თაღითაა გადახურული და მოქცეულია კედლის ოდნავ შეღრმავებულ, სწორკუთხა არეში, რ-იც დასრულებულია აგურის ფიგურული წყობით გამოყვანილი ფრიზით. ამჟამად სარკმლის არეში, დანარჩენი სარკმლების მსგავსი, გაცილებით პატარა, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელია ჩასმული. წყობის ხასიათიდან გამომდინარე, იგი მოგვიანებით (როგორც ჩანს, მშენებლობის პროცესშივე, ან დასრულებიდან მალევე) უნდა იყოს მოწყობილი. წყობის გარდა, ამას ადასტურებს სარკმლის ქვემოთ არსებული, კედლის სიბრტყეში ორი საფეხურით შეღრმავებული, თავდაპირველი სარკმლის სიგანის, ოთხკუთხა არეც. როგორც ჩანს, მსგავსი სარკმელი აივნის



054. მემორიალური დაფა

სახლის აივანზე კარი და ორი სარკმელი გამოდის. თავად აივნის კედელი ცისფრადაა შეღებილი. შენობის გვერდითი ფასადი, მთავარი ფასადისგან განსხვავებით, რიყის ქვისა და აგურის შერეული წყობითაა ნაგები.

შენობა გადახურულია თუნუქის სახურავით.

თ. დვალი.

055. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ნიკო ფიროსმანის ქუჩაზე (№ 8). არქიტ. ნიშნებით თარიღდება XX საუკუნის დასაწყისით.

სახლის გეგმას კუთხედის მოხაზულობა აქვს. მისი ორივე ფრთა თანაბარი სიგრძისაა. შენობა აგურითაა ნაგები. იგი ეზოს სიღრმეში დგას და ქუჩაზე გვერდითი ფასადით გამოდის.

სახლის ეზო, ქუჩის დონესთან შედარებით, უფრო დაბლაა, რის გამოც ეზოს მხარეს შენობა ორსართულიანია, ქუჩის მხარეს კი – ერთსართულიანი. ეზოს მხარეს, სახლის ორივე ფრთას, ხის აივანი გასდევდა, რ-ის ერთი ბოლო ქუჩაზე გადიოდა. ამჟამად აივანი ამ მხრიდან ამოშენებულია და ცემენტითაა შელესილი. აივნის დანარჩენი ნაწილებიდან კი მხოლოდ რამდენიმე სვეტიღაა დარჩენილი.

ნაგებობის მთავარი ფასადი ქუჩისპირა ფასადია, რ-იც თავისი დამუშავებით შენობას გარკვეულ თავისებურებას ანიჭებს. ეს არის აგურის სუფთა წყობით ნაგები, სამკუთხა ფრონტონით დასრულებული, ოდნავ შემაღლებული, სწორკუთხა სიბრტყე, რ-იც ინტესიურად არის დამუშავებული ჩაღრმავებული არეებითა და რელიეფური პროფილებით. არეების დანაწევრება ხაზოვანია, ფორმები – გეომეტრიულად ზუსტი, თავად პროფილები კი – უბრალო.

ფასადზე მეორე სართულის სიბრტყე თითქმის მთლიანად უჭირავს საფეხურით შეღრმავებულ, სწორკუთხა არეს, რ-იც დანაწევრებულია ნახევარწრიულთაღოვანი, დარაბებით აღჭურვილი ორი სარკმლითა და მათ შორის მოქცეული, იმავე ფორმისა და ზომის ცრუ სარკმლით. სამივე მათგანს მარტივი პროფილის (თარო და მეოთხედი ლილვი), ნახევარწრიული



055. ხედი ნ. ფიროსმანის ქუჩიდან

თავსართი ამშვენებს, რ-იც დაყრდნობილია იმავე პროფილის მქონე ჰორიზ. თაროზე და, ამასთან ერთად, უწყვეტ არშიას ქმნის. სამივე სარკმლის ჩამოსწვრივ ორი საფეხურით შეღრმავებული, სწორკუთხა არეა. მათ ქვემოთ კი – პირველი სართულის თარაზულთავიანი სარკმლები (ამოშენებულია), რ-თა დიდი ნაწილი მიწაშია მოქცეული. მსგავსი, ოღონდ ოდნავ განიერი ღიობია (ამოშენებულია) აივნის ფარგლებშიც. ფასადის სიბრტყის სწორკუთხოვან ნაწილს ასრულებს ორსაფეხურიანი ლავგარდანი, რ-ზეც დაყრდნობილია პროფილირებული, სწორხაზოვანი ზოლებით დანაწევრებული ფრონტონი. ფრონტონის ცენტრში, სხვენის სავენტილაციოდ, მრგვალი სარკმელია გაჭრილი, რ-იც ჩასმულია პროფილირებულ ჩარჩოში. სარკმლის გვერდებზე დარჩენილ არეზე კი გამოყვანილია სწორკუთხა სამკუთხედის მოყვანილობის თითო ელემენტი, რ-იც მთლიანად ავსებს ფრონტონის შესაბამის გვერდსა და ძირს შორის არსებულ არეს. თავად სამკუთხედის არე სადაა.

სახლის თითოეულ ნაწილს თუნუქით დაბურული, ორფერდა სახურავი აქვს.

თ. დვალი.

056. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ნიკო ფიროსმანის ქუჩაზე (№ 10). თარიღდება XX საუკუნის დასაწყისით.

სახლი ორსართულიანია. დგას ქუჩის პირას და მთავარი ფასადით ქუჩისკენაა მიქცეული. ფასადი აგურისაა, შეულესავი. იგი დანაწევრებულია სადარბაზო კარით და ოთხი სარკმლით (ერთი სარკმელი ცრუა). ყველა მშვილდისებრთაღოვანია. ღიობების გადამხურავი თაღის არე, კედლის სიბრტყის მიმართ, ოდნავ გამოშვერილია და დასრულებულია ორსაფეხურიანი ლავგარდნით. სარკმლებს ქვემოთ სწორკუთხა შეღრმავებაა, რ-შიც რელიეფური სწორკუთხედია გამოყვანილი. სადარბაზო კარი ფასადის მარცხ. ბოლოშია. კარის თავზე რკინის ორფერდასახურავიანი მარკიზია, რ-იც



057. ხედი ნ. ფიროსმანის ქუჩიდან

რკინისავე აჟურულ კონსოლებს ეყრდნობა. მარკიზის ზემოთ საფეხურით შეღრმავებული, მოგრძო, სწორკუთხა არეა, რ-იც სარკმლებს ქვემოთ არსებული არის მსგავსად არის დამუშავებული. კარის წინ აგურით ნაშენი, ცემენტით შელესილი, მცირე კვადრ. ბაქანია (გვიანდელია), რ-საც გვერდიდან ოთხსაფეხურიანი კიბე აქვს მოწყობილი. ფასადის დანარჩენი ნაწილი გვერდებიდან თითო რუსტირებული პილასტრითაა შემოფარგლული. ეს არე სამი რუსტირებული პილასტრით ოთხ თანაბარ ნაწილად იყოფა, რ-თა ცენტრში სარკმელია მოქცეული.

ფასადის ქვედა ნაწილი ყრუა. იმის გამო, რომ სახლის პირველი სართულის ნაწილი ქუჩის მხარეს მიწაშია ჩამჯდარი, ფასადის ეს მონაკვეთი უსარკმლოა და მხოლოდ ჩაღრმავებული არეებითაა დანაწევრებული. არეები მეორე სართულის სარკმლების ჩამოსწვრივაა.

სახლის მეორე სართულის გადახურვის დონეზე გამოყვანილია მარტივი პროფილის ლავგარდანი. ფასადი დაბალი პარაპეტითაა დასრულებული, რ-იც დანაწევრებულია პილასტრებით და მათ შორის გამოყვანილი სწორკუთხა, შეღრმავებული არეებით. თითო მსგავსი შეღრმავება თავად პილასტრზეცაა.

ეზოს მხარეს სახლის ორივე სართულს მოწყობილი აქვს ლითონის სვეტებიანი აივანი (გვიანდელია). აივნები შემინულია.

თ. დვალი.

057. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს 9 აპრილის ქუჩაზე (№ 7). არქიტ. ნიშნებით თარიღდება XIX საუკუნის მიწურულით. სახლი ორსართულიანია, დგას მცირე სიმაღლის ცოკოლზე და მთა-



057. ხედი 9 აპრილის ქუჩიდან

ვარი ფასადით ქუჩისკენ არის მიმართული. შენობის ცოკოლი რიყის ქვისა და აგურის შერეული წყობითაა ამოყვანილი, სართულების კედლები კი – ძირითადად აგურით. სართულშუა გადახურვები და სახურავის ჩონჩხი ხისაა.

სახლის პირველი სართულის ფასადი რკინის გისოსით აღჭურვილი, ექვსი სწორკუთხა სარკმლითა და ხის ყრუ, სადარბაზო კარითაა დანაწევრებული. კარი ფასადის მარჯვ. ნახევარშია. მისი მეშვეობით ჯერ სახლის ეზოში ვხვდებით, შემდეგ კი სართულებზე. კარის მარჯვნივ ორი სარკმელია განლაგებული, დანარჩენი კი – მარცხნივ. სარკმლებს შორის, ძირის დონეზე, აგურის ერთი რიგით შედგენილი ჰორიზ. თაროა, რ-ის ბოლოები ვიწრო, წყობიდან ოდნავ შვერილი აგურებით გამოყვანილ კონსოლს ეყრდნობა. სარკმლებს ქვემოთ, კედელი გაფორმებულია წყობაში შელრმავებული, ერთმანეთისგან თანაბარი მანძილებით დაშორებული, თავდაყირა დაყენებული, ტოლფერდა სამკუთხედების რიგით.

სახლის მეორე სართულს, თითქმის მთელ სიგრძეზე, ხის აივანი (გვიანდელია) გასდევს, რ-ის ნაწილი დაყრდნობილია წყობიდან ირიბად შვერილ ხის კონსოლებზე (გვიანდელია). აივანი წინიდან შემინულია, გვერდებიდან კი – შეფიცრული.

ეზოს მხარეს სახლს აქვს თანამედროვე მინაშენი.

2007 წელს, ქალაქის რეაბილიტაციის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოებისას, აღდგა ქუჩისპირა ფასადის დაზიანებული ნაწილები, განახლდა სახლის აივანი და გადახურვა.

თ. დვალი.

058. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს 9 აპრილის ქუჩაზე (№ 16). არქიტ. ნიშნებით თარიღდება XIX საუკუნის მიწურულით.

სახლი ორსართულიანია. ნაგებია აგურით. შენობა გეგმით კუთხედის მოხაზულობისაა, რ-საც ქუჩის მხარეს მოქცეული კუთხე ჩამოკვეთილი აქვს. შენობის ერთი ნაწილი, რამდენადმე, ეზოს სიღრმეშია განვითარებული. რელიეფის დაფერდების გამო, ქუჩის მხარეს, სახლის პირველი სართულის ფასადის ნახევარი მიწითაა დაფარული.



058. ხედი 9 აპრილის ქუჩიდან

გვერდითი ფასადის მხრიდან კი – ორსართულიანია. ქუჩისპირა და გვერდით ფასადზე, სართულშუა და მეორე სართულის გადახურვის დონეზე, კბილანებით შედგენილი, ორსაფეხურიანი თაროა. ქუჩისპირა ფასადზე, თაროს ქვემოთ, კედლის სიბრტყე გლუვია. მეორე სართულზე კი იგი ოთხი სარკმლითა და სადარბაზო კარითაა დანაწევრებული. კარი ფასადის მარცხ. ბოლოშია მოწყობილი და ხეში გამოკვეთილი ელემენტებითაა გაფორმებული. კარის თავზე რკინის ორფერდასახურავიანი, რკინისავე, აჟურულ კონსოლებზე დაყრდნობილი მარკიზია. სარკმლები მშვილდისებრთაღოვანია – სოლისებრი საჭიქე ქვებით ცენტრში. სარკმლების ზოლში, სარკმლებს შორის მოქცეული კედლების მონაკვეთები რუსტირებულია. რუსტირებულია



058. მეორე სართული. ხედი ეზოდან

ასევე სადარბაზო კარის გვერდებზე არსებული კედლის ნაწილებიც. სარკმლების ძირის დონეზე გამოყვანილია მარტივი პროფილის თარო. თითოეული სარკმლის ქვემოთ, კედლის სიბრტყეში საფეხურით შეღრმავებული, სწორკუთხა არეა.

სახლის ჩამოკვეთილ ნაწილში, პირველ სართულზე, ერთი სარკმელია, მეორე სართულზე კი – კარი, რ-იც რკინის აჟურულმოაჯირიან, პატარა აივანზე გამოდის.

ფასადები დასრულებულია დაბალი პარაპეტით, რ-საც ზემოდან ოთხი დეკორატ. ფრონტონი ადგას. მათგან სამი – ქუჩისპირა ფასადის მხარესაა, ერთი – ჩამოკვეთილი ნაწილის თავზე. სახლის გვერდითი ფასადი ყრუა, ღიობების გარეშე.

სახლს ეზოს მხარეს უსისტემოდ ეკვრის გვიანდ. მინაშენები, რის გამოც ფასადი ძლიერ შეცვლილია: ძვ. აივნები ამოშენებული და შემინულია, მიდგმულია ხის კიბეები. რამდენიმე ადგილას ამოშენებულ კედლებსა და შუშაბანდებში დატოვებულია ძვ. აივნების ხის ბოძები და ხისავე ლავგარდანი.

თ. დვალი.

059. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს 9 აპრილის ქუჩაზე (№ 22). არქიტ. ნიშნებით თარიღდება XIX საუკუნის მიწურულით. შენობა ნაგებია აგურით. სართულშუა

გადახურვა და სახურავის ჩონჩხი ხისაა.


სახლი ორსართულიანია. დგას დაფერდებულ ადგილზე და ქუჩის გასწვრივაა წაგრძელებული. ქუჩის დახრილობის გამო, შენობა მარცხ. ბოლოში ერთსართულიანია, მარჯვენაში კი – ორსართულიანი. ფასადს სიმაღლეში ორ ნაწილად ყოფს სართულშუა გადახურვის დონეზე გამოყვანილი, ორსაფეხურიანი თარო. მსგავსი, ოღონდ რამდენადმე მაღალი თაროა მეორე სართულის გადახურვის დონეზეც. სახლის ორივე სართულის ფასადის აღნაგობა ერთგვაროვანია: ორივე სართულზე ფასადის სიბრტყე სიმეტრიულად განლაგებული, მშვილდისებრთაღოვანი სარკმლებითაა დანაწევრებული. მათგან, პირველი სართულის სარკმლების ნაწილი ფასადზე მთელი სიმაღლით გამოდის, ნაწილი კი მიწით არის დაფარული. სარკმლებს ზემოთ, თარომდე, კედლის სიბრტყე ორივე სართულზე გლუვია. მეორე სართულის სარკმლების ქვემოთ გამოჟანილია კედლის სიბრტყეში ორი საფეხურით შეღრმავებული, სწორკუთხა არე. ფასადი პარაპეტითაა დასრულებული. პარაპეტის მარცხ. ბოლოში – პირველი სარკმლის ასწვრივ – ტალღისებრი შემაღლებაა, რ-ის ცენტრში მრგვალი ღიობია მოწყობილი. პარაპეტის დანარჩენი ნაწილი კი დანაწევრებულია კვადრ. და მოგრძო შეღრმავებული არეების მონაცვლეობით. ხის კვეთილი (ამ პერიოდის საგალდებულო ელემენტი), სადარბაზო კარი, მეორე სართულის მარცხ. ბოლოშია. კარი ხეში გამოკვეთილი ელემენტებითაა გაფორმებული. კარის თავზე ორფერდასახურავიანი, რკინისავე, აჟურულ კონსოლებზე დაყრდნობილი მარკიზია.

სახლი ეზოს მხრიდან ორსართულიანია. გადაკეთებებისა და გვიანდ. მინაშენების გამო, ფასადები ძლიერ არის შეცვლილი: ორივე სართულს აივანი ჰქონდა, რ-თა დიდი ნაწილი დღეს ამოშენებულია და შუშაბანდებადაა ქცეული. შემორჩენილია აივნის ხის რამდენიმე გრეხილი სვეტი, კორინთულის მსგავსი სვეტისთავით.

თ. დვალი.

060. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს 9 აპრილის ქუჩაზე (№ 32). თარიღდება XIX საუკუნის II ნახევრით. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად შენობა ძირეულად არის შეცვლილი, თავისი აღნაგობით

060. I სართულის გეგმა




და თავისებური გადაწყვეტით, იგი მაინც იპყრობს ყურადღებას. ნაგებობის თავდაპირველი სახის შესახებ წარმოდგენას გვიქმნის 1949 წელს შესრულებული, აზომვითი ნახაზები (ავტორი, არქიტ. ივ. ჩხენკელი), რ-ებსაც ძეგლის წინამდებარე აღწერილობა ეყრდნობა.

სახლი ეზოს სიღრმეში, აღმ-დას. მიმართულებით არის წაგრძელებული და ორი ნაწილისგან შედგება. მათგან ერთი, აღმ-ით მდებარე, საცხოვრებელს წარმოადგენდა, მეორე კი, სავარაუდოდ, სავაჭრო ან სამ. საქმიანობასთან იყო დაკავშირებული. სახლის წინ ვრცელი ეზოა, უკანა მხარეს კი – ვიწრო ჩიხი.

სახლი „ქართული“ აგურითა და რიყის ქვითაა ნაგები. წყობა აქაც ტრადიციულია – „კახური“, რ-შიც რიყის ქვისა და აგურით გამოყვანილი, სწორხაზოვანი რიგები ენაცვლება ერთმანეთს. კუთხეები, კარ-სარკმლების ღიობები, კონსტრ. და არქიტ. ელემენტები აგურისაა.

შენობის საცხოვრ. ნაწილი (10,50x8,00 მ) ორსართულიანია. მეორე ნაწილი (25,50x7,00 მ) კი ერთსართულიანი. იგი საცხოვრ. ნაწილს ქუჩის მხრიდან – დას-იდან ებმის, ამ ნაწილზე ბევრად უფრო გრძელია და ქუჩის პირამდე აღწევს. ამავე ქუჩის ჩიხისკენაა მიქცეული უკანა კედელი, რ-იც ქუჩიდან აღმა მიემართება და სახლის საცხოვრ. ნაწილის მეორე სართულს ადგება. ამ ადგილას საცხოვრ.




060. აღმ. ნაწილი. II სართულის გეგმა

ნაწილის კორპუსი სამიოდე მ-ით წინ არის წამოწეული, რის გამოც შენობის ნაწილებს შორის სწორი კუთხე იქმნება. ამ კუთხის მხრიდან არის მოწყობილი საცხოვრ. ნაწილის მეორე სართულის შესასვლელი. ეზოს მხარეს, შენობის ორივე

ნაწილის წინა კედელი ერთ ხაზზეა.


სახლის საცხოვრ. ნაწილის ორივე სართული განივი, კაპიტ. კედლით ორ, თითქმის თანა-



060. ჭრილი აღმ. ნაწილზე. ხედი დას-კენ

ბარ ნაწილად იყოფა. პირველი სართულის უკანა ნაწილში ერთი ოთახია, წინა ნაწილი კი, ეზოსკენ, ორი ნახევარწრიული თაღითაა გახსნილი. ამ ნაწილის გვერდით კედლებში თითო კარია. მათგან ერთი – დას-ით მდებარე – სახლის ერთსართულიან ნაწილში გადის, ხოლო მეორე – შენობაზე გვერდიდან (აღმ-იდან) მიდგმულ, გაურკვეველი დანიშნულების ნაგებობაში. სართულის უკანა ნაწილში არსებული ოთახი, როგორც ჩანს, სამ. დანიშნულებით გამოიყენებოდა. ამ ოთახის უკანა კედელში, ერთ დონეზე, გა-

060. ფასადი ეზოს მხარეს



გმით ნახევარწრიული, ოთხი ნახევარწრიულთაღოვანი ნიშაა განლაგებული. გვერდითი კედლებიდან ერთი – ყრუა, მეორეში კი ორი სწორკუთხა ნიშაა მოწყობილი. ოთახის წინა კედელში კარი და ორი სარკმელია გაჭრილი. სამივე ღიობი სწორკუთხაა.

მეორე სართულზე ორი ოთახია, რ-ებიც ერთმანეთთან მათ გამმიჯნავ კედელში მოწყობილი კარით არის დაკავშირებული. ამავე კედელშია მოწყობილი ღუმელიც. სართულის უკანა ნაწილში მდებარე ოთახის დანარჩენი კედლებიდან ერთში – გარედან შემოსასვლელი კარია, მეორეში – სამი თახჩა, ხოლო მესამე – ყრუა. სართულის წინა ნაწილში მდებარე ოთახს წინიდან ხის დაკიდული აივანი გაუყვება – ხის ოთკუთხა სვეტებითა და რიკულებიანი მოაჯირით. აივანზე ოთახიდან მშვილდისებრი თაღით გადახურული ერთი კარი და ორი სარკმელი გამოდის. აივანზე მოსახვედრად მასზე გვერდიდან (დას-იდან) კიბეა მიდგმული. კიბეს ხის რიკულებიანი მოაჯირი აქვს.

სახლის ერთსართულიანი ნაწილი, როგორც ჩანს, ხის ტიხრებით რამდენიმე ნაწილად იყო გაყოფილი. ამ ნაწილის წინა კედელში მშვილდისებრთაღოვანი ორი კარი და ცხრა სარკმელია გაჭრილი. უკანა კედელში კი, მწკრივად, სწორკუთხა ნიშებია განლაგებული. სახლის ამ ნაწილს შესასვლელი გვერდიდან, ე. წ. ვესტიბიულიდანაც აქვს, რ-იც ეზოს მხარეს სწორკუთხა მალით მთლიანად არის გახსნილი.

შენობის ფასადები სადაა, სქემატური. მთავარი ფასადი ეზოს გასწვრივაა გაშლილი. ზურგისა კი ფერდობში იჭრება. სახლის ქუჩისპირა ფასადი ყრუა.

თ. დვალი.

061. საცხოვრებელი სახლი, არქიტ. ძ. მდებარეობს ქეთევან წამებულის ქუჩაზე (№ 2). არქიტ ნიშნებით თარიღდება XIX საუკუნის მიწურულით. სახლი სამსართულიანია. ნაგებია აგურით. შენობა თავისი მთავარი, საკმაოდ პარადული ფასადით ქეთევან წამებულის ქუჩაზე გადის, ხოლო უკანა, სადა, ნაკლე-



061. გვერდითი ფასადი. ხედი ქეთევან წამებულის ქუჩიდან

ბად მიმზიდველი ფასადით – ილია ჭავჭავაძის ქუჩაზე. დაქანებული რელიეფის გამო, ამ ქუჩის მხარეს სახლი ერთსართულიანია, ქეთევან წამებულის ქუჩიდან კი – სამსართულიანი. ამ მხარეს, ორივე ბოლოში, შენობას რიზალიტი აქვს (მარჯვ. რიზალიტს, ქვედა ორი სართულის სიმაღლეზე, წინიდან მიდგმული აქვს თანამედროვე მინაშენი), რ-თა შორის მოქცეული ნაწილის მეორე სართულს სწორკუთხა სვეტებიანი, შეფიცრული მოაჯირის მქონე, ხის აივანი მიუყვება. აივანი მესამე სართულსაც ჰქონდა. ამჟამად იგი ამოშენებულია. ამოშენებულია პირველი სართულიც.

რიზალიტებზე სართულები პროფილირებული ლავგარ-

დნითაა გამიჯნული. თითოეულ სართულზე ორ-ორი მშვილდისებრთაღოვანი სარკმლის ღიობი გამოდის. ღიობები აგურის ერთი რიგით შედგენილ საპირეშია მოქცეული. ორივე რიზალიტი სამკუთხა ფრონტონითაა დასრულებული, რ-თა ცენტრში თითო მრგვალი სარკმელია გაჭრილი. ოთახებში შელამფული ჭერი და ხის იატაკია.

თ. დვალი.

062. სიღნაღის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ისტ. ძ. მდებარეობს ქალაქის ცენტრში (შოთა რუსთაველის ჩიხი № 8). დაარსდა 1947 წელს, როგორც ქიზიყის მხარეთმც. მუზეუმი. 1990-იანი წლებიდან მიენიჭა ისტ.-ეთნ. მუზეუმის სტატუსი. 2007 წლიდან საქართვ. ეროვნ. მუზეუმის შემადგენლობაშია.

სამუზეუმო ფონდი წლების მანძილზე ივსებოდა. ამჟამად აქ დაცულია რამდენიმე ათასი ექსპონატი. სამუზეუმო ექსპონატების შეგროვებაში აქტიურად მონაწილეობდნენ: ავლიპ ზურაბაშვილი, ალექსანდრე გზირიშვილი, შალვა გოზალიშვილი, ივანე ლოლაშვილი, ივანე შაიშმელაშვილი და სხვ.

მუზეუმს უმდიდრესი მასალა შესძინა კახეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღ. კ. ფიცხელაური), რ-იც წლების განმავლობაში ინტენსიურ სამუშაოებს აწარმოებდა კახეთის რეგიონში. მუზეუმში დაცულია მდიდარი ნუმიზმატიკური მასალა – დაახლ. 2 000 ერთეული: უძველესი სასანური მონეტები, თამარის, ლაშა-გიორგის, ერეკლე II-ის მიერ მოჭრილი მონეტები, ბონისტიკური და ჰერალდიკური ნიმუშები. მუზეუმის ფონდი მდიდარია ფოტო და დოკუმენტური კოლექციებით (დაახლ. 50 000 ერთეული). 5 000 ერთეულს შეადგენს ეთნ. კოლექცია: ქსოვილთა ნიმუშები, სპილენძისა და ხის საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები, სას.-სამ.



062. საექსპოზიციო დარბაზი

ია რაღები. ფონდებში ასევე დაცულია სიღნაღის ქალაქური ყოფისათვის დამახასიათებელი მდიდარი მასალა – ოქრომჭედლობის შესანიშნავი ნიმუშები, ხელოსნობის სხვადასხვა დარგის სამუშაო იარაღები, მუსიკალური საკრავები და სხვ. შუა საუკუნეების ექსპოზიციის დიდი ნაწილი დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსის არქიტ. და მონუმ. ფერწერის ნიმუშებს უკავია.



062. საექსპოზიციო დარბაზი

მუზეუმში, მუდმივმოქმედ გამოფენაზე, წარმოდგენილია მრავალფეროვანი არქეოლ. (ენეოლითური, ადრინდ. და გვიანდ. ბრინჯაოს ხანის) და ეთნ. მასალა.

1967 წლიდან აქვე გაიხსნა სამხატვრო გალერეა, სადაც წარმოდგენილი იყო თანამედროვე ქართვ. მხატვრების ნამუშევრები, მ. შ: ლ. გუდიაშვილის, ე. ახვლედიანის, ქ. მაღალაშვილის, რ. სტურუას, მ. თარიშვილის, კ. ობოლაშვილის და ა. შ. მუშაობს დროებითი საგამოფენო დარბაზიც, სადაც სხვადასხვა დროს გამოფენილი იყო პაბლო პიკასოს (2009 წ.),



062. საექსპოზიციო დარბაზი

დასავლეთ ევროპელი მხატვრების (2010 წ.) და ლადო გუდიაშვილის (2012 წ.) ნამუშევრები.

მუზეუმში ცალკე დარბაზი აქვს დათმობილი XIX-XX საუკუნეების მიჯნის თვითნასწავლი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის (ფიროსმანის) ნამუშევრების გამოფენას, სადაც მისი 16 ორიგინალია დაცული.

სიღნაღის მუზეუმი სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე სამუზეუმო სტანდარტებს.

ლ. მოწონელიძე.

ბიბლ.:

063. სიღნაღის მუნიციპალური თეატრი, ისტ. ძ. მდებარეობს ქალაქის ცენტრში.

თეატრის ისტ. დაიწყო 1872 წლის აგვისტოდან, როდესაც პეტერბურგიდან ჩამოსულმა ქართველმა სტუდენტებმა წარმოადგინეს ქართ. თეატრის ფუძემდებლის გიორგი ერისთავის პიესები „ძუნწი“ და „გაყრა“. ამ ფაქტის შესახებ გაზეთი „დროება“ წერდა: „...სიღნაღში ქართული წარმოდგენები იყო და პუბლიკამ ეს როგორც ჩანს ჭეშმარიტის სიამოვნებით მიიღო, ასე რომ ჯერეთ ორი წარმოდგენა ყოფილა და ორსაც აპირებენ ამ შემთხვევამ სიღნაღელები როგორღაც გამოაღვიძა... თეატრზე ლაპარაკს – ვინ კარგად ითამაშა, ვინ ცუდად ბოლო არა აქვს... ერთორ მოქმედ პირს გარდა, რომელიც სიღნაღს მიეტევება თითქმის ყველა აქტიორებმა კარგად ითამაშეს და საზოგადოება ძლიერ კმაყოფილი დარჩა“.

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში სიღნაღში თეატრის მესვეურობით არაერთი სპექტაკლი გაიმართა. ქველმოქმედების ნინო ანდრონიკაშვილისა და ოლგა ალექსი-მესხიშვილის თაოსნობით დაიდგა ა. ცაგარელის პიესა „რაც გინახავს ვეღარ ნახავ“ და სხვა საქველმოქმედო წარმოდგენები. სომეხი მწერლის გაბრიელ სუნდუკიანის მოღვაწეობის 25 წლისთავის აღსანიშნავად დაიდგა სამმოქმედებიანი პიესა „პეპო“. პირველ და ბოლო მოქმედებებში – სომხურად, მეორე მოქმედებაში კი – ქართულად.

1906 წელს სიღნაღში გაიმართა თერთმეტი სხვადასხვა წარმოდგენა, რ-თა აფიშები სიღნაღის სტამბაში დაიბეჭდა. სიღნაღში გამართულ თეატრალურ წარმოდგენებში, ადგილობრივ სცენის მოყვარულებთან ერთად, მონაწილეობდნენ: ვასო აბაშიძე, კოტე მესხი, ლადო მესხიშვილი, ოლღა ალექსი-მესხიშვილი, კოტე ტყავაძე, დავით აწყურელი, შალვა დადიანი, ვალერიან გუნია, ალექსანდრე იმედაშვილი და სხვ. 1908 წელს შეიქმნა მოძრავი დასი, რ-მაც ამავე წელს მაზრის მასშტაბით 21 წარმოდგენა გამართა.

1916 წელს სიღნაღის დასს ოფიციალურად მიენიჭა სახალხო თეატრის სტატუსი. თუმცა შემდგომში მას არაერთხელ ეცვალა სახელი. 1921 წლის 19 თებერვლიდან სახალხო თეატრი მუშათა და ხალხთა კლუბად გადაკეთდა. მოძრავი დასის ერთ-ერთი წევრი



063. მთავარი ფასადი

იგონებს, რომ მაზრის უფროსი ეჭვის თვალით უყურებდა მათ საქმიანობას და დასის წევრებიც არაერთხელ დააპატიმრა. მოძრავი დასის დაშლის შემდეგ, მიუხედავად რეპრესიებისა, წარმოდგენები მაინც იმართებოდა მთელ მაზრაში. იმავე დროს სიღნაღში მუშაობა დაიწყო დრამატულმა და საოპერეტო სექციებმა. 1929 წელს კი გაიხსნა სახელმწ. თეატრი, რ-ის სამხატვრო ხელმძღვანელი იყო მიხეილ ვარდიაშვილი.

სხვადასხვა დროს სიღნაღში მოღვაწეობდნენ რეჟისორები: ს. შალიკაშვილი, მ. საფაროვი, მ. იარალი, ვ. გარიკი, ძ. ურუშაძე, ი. მოსაშვილი, ს. მებურიშვილი, შ. ასხამაძე, გ. ლაღიძე, ნ. ჩიხლაძე და სხვ. იდგმებოდა როგორც ქართველი, ისე ევროპელი, რუსი, სომეხი ავტორების პიესები. სიღნაღის თეატრალურ ცხოვრებაში დიდი დამსახურება მიუძღვით თეატრის მოამაგეებს – სოსო ივანიძესა და აბო ვაჩნაძეს, სიღნაღის სცენისმოყვარულები ხშირად დგამდნენ მათ პიესებს.

1930 წლიდან თეატრი განთავსებული იყო სიღნაღის ეროვნ. მუზეუმის ახლანდელ შენობაში, რ-შიც იგი 2007 წლამდე ფუნქციონირებდა. თეატრს მუშაობა არც 1941-1945 წლებში შეუწყვეტია. რეპერტუარში სამამულო ომის, პატრიოტულ თემებზე დაწერილი პიესები იყო. 1941 წლის ოქტომბრიდან 1943 წლის ივნისამდე თეატრმა მაყურებელს უჩვენა 20 პრემიერა და დადგა 200 წარმოდგენა. გარდა ქ. სიღნაღისა და რაიონის სოფლებისა, თეატრი მომსახურებას უწევდა წითელწყაროს რაიონსაც (ამჟამინდელი დედოფლისწყაროს მუნიციპ-ი). ჰყავდა აგიტმხატვრული ბრიგადა, რ-იც ყოველ ზაფხულს სტუმრობდა საკოლმ. მინდვრებს მოსავლის აღების დროს.

1949 წელს სიღნაღის სახელმწ. თეატრი დაიხურა. 1956 წელს მის ბაზაზე ჩამოყალიბდა დრამატული და საბავშვო



064. გალავნის დას. და ჩრდ. კედლების ნაწილები. ხედი აღმ-იდან

წრეები. 1959 წელს, საქართვ. კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით, თეატრს კვლავ მიენიჭა სახალხო თეატრის სახელი.

1981 წლიდან თეატრმა განახლებული შემადგენლობით დაიწყო მუშაობა მურად ვაშაკიძის სამხატვრო ხელმძღვანელობით და რეჟისორობით. დაიდგა სპექტაკლები: „თეთრი ბაირაღები“, „სანამ ურემი გადაბრუნდება“, „ცა რომ სარკე იყოს“ და ა. შ.

თეატრი დადიოდა გასტროლებზე და თვითონაც მასპინძლობდა სხვადასხვა თეატრებს, მონაწილეობდა საკავშირო და საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალებში. 1967 წელს თვითმოქმედი ხელოვნების საკავშირო ფესტივალზე თეატრმა წარადგინა მ. მრევლიშვილის „ხარატაანთ კერა“, კ. მახარაშვილის დადგმით. დაჯილდოვდა მეორე ხარისხის დიპლომით და საკავშირო ფესტივალის ლაურეატის წოდება მიენიჭა.

1987 წელს ჩატარებულ ამიერკავკასიის თეატრალურ ფესტივალზე თეატრმა მოიპოვა თითქმის ყველა პრიზი. იმავე წელსვე გახდა ლატვიის რესპუბლიკის საერთაშორისო ფესტივალის „მადონას“ ლაურეატი.

1988 წელს თეატრმა მონაწილეობა მიიღო კანადაში ჩატარებულ თეატრალურ ფესტივალში, მოიპოვა „გრან-პრი“ და გამარჯვებული სპექტაკლი ქ. ოტავის ეროვნ. თეატრში წარადგინა.

ბოლო წლების განმავლობაში, თეატრში, მურად ვაშაკიძის რეჟისორობითვე, დაიდგა სპექტაკლები: „ჩვენებურები“, „ჯვარცმული ბედნიერება“, „სიკვდილი და ქალწული“.


ლ. მოწონელიძე.

ბიბლ.: 37, 81, 176, 260.

064. ციხე, არქიტ. ძ. მდებარეობს გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე. აგებულია 1862 წელს, მეფე ერეკლე II-ის მიერ.

ვახუშტი ბაგრატიონი ბოდბის ეკლესიის დახასიათებისას აღნიშნავდა: „კვალად ამ ეკლესიის ჩრდილოთ, კარგად მოშორვებით არს ქალაქი სიღნაღი, რომელი აღაშენა მეფემან ქართლისა და კახეთისამან ირაკლი მეორემან, ძემან ცხებულის მეფის თეიმურაზისამან, რომლისა ზღუდე მოავლო მაღალთა გორათა ზედა ფრიად ვრცლად, რომელ დაეტევის სრულიად ქისიყი დედა-წულითურთ გარნა უწყლო“. ციხის ამგებად ერეკლე II-ს მიიჩნევს ვახტანგ ბატონიშვილიც: „...მეფემან ირაკლი აღაშენა

ციხე იგი ხისინისა, რომელსაც უწოდებენ სიღნაღს“. თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით, ერეკლე II-მ „მრავალნი ქალაქნი, დაბანი და სოფელნი აღაშენნა მტერთა მიერ მოოხრებულნი და სახელოვანნი ციხენი აღაშენა: სიღნაღის ციხე, რომელიც არს ქალაქსა ქიზიყისა სიღნაღში”. სიღნაღის გალავანს აღწერს უცნობი ავტორიც, რ-ის მიხედვით გალავანი ერეკლე II-ის დროს აუშენებიათ ლეკებისაგან თავდასაცავად. ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ გალავანთან სახლდებოდა სხვადასხვა მხრიდან მოსული სომხური მოსახლეობა. მათ აქ ხალხმრავლობა იზიდავდა, რაც ვაჭრობისთვის მეტად ხელსაყრელ პირობას წარმოადგენდა.




064. გეგმა. კოშკების დასახელება: 1 - მეფისა ანუ ჯულაანისა, 2-3 - კახეთის I და II, 4 - შილდის, 5 - ნარიყალა, 6 - ზირბ ხოველინისა, 9 - ვაქირის, 10 - კარდანახის, 11 - ბაკურციხის, 12-13 - ვაშნარის I და II, 14 - ანაგის, 15 - საქობოს, 16-17 - მაჩხაანის I და II (ერთია), 18 - ქიზიყის ანუ გორისა, 19 - ველისციხის, 20 - ბოდბის, 21-22 - მაღაროს I და II, 23 - მირზაანის. A - წმ გიორგის ეკლესია.

სიღნაღი თურქული სიტყვაა და თავშესაფარს, გამაგრებულ ადგილს ნიშნავს. არსებობს მოსაზრება (დ. მუსხელიშვილი), რომ „სიღნაღი“ ჯერ ქალაქის ციხეს დაერქვა და შემდეგ – მთელ ქალაქს. წყაროები მიუთითებენ და მკვლევრებიც ადასტურებენ, რომ ერეკლე II-ის მიერ ციხე-გალავნის აშენებამდეც ქ. ქიზიყს (სიღნაღის ძვ. სახელწოდება), რ-იც პატარა დაბას წარმოადგენდა, თავდაცვითი ციხე-სიმაგრე ჰქონდა.

ერეკლე მეფის მიერ აშენებული ციხე მთელ მხარეს უნდა მომსახურებოდა, ამიტომ ციხეს აშენებდა იმ სოფლების მოსახლეობა, ვისაც მტრის შემოსევის დროს მისთვის უნდა შეეფარებინა თავი.

XVIII საუკუნის II ნახევარში სიღნაღის ციხე კახეთში ერთ-ერთ საიმედო ციხედ ითვლებოდა. 1772 წელს საქართველოში მყოფი გერმანელი მეცნიერი და მოგზაური იოჰან გიულდენშტედტი აღნიშნავს, რომ: „სიღნაღი ამჟამად ამ მხარის ერთადერთი სიმაგრეა. ის

064. ჭრილი. ხედი სამხრ.-აღმ-კენ.



მდებარეობს სამხრეთის მთისწინეთის ჩრდილოეთ ფერდობზე, კირიანი მთის პირდაპირ; სოფლების საქობის და მაშნაარის ახლოს. მისი 10 ფუტი სიმაღლის, 4 ფუტის სისქის ქვიშაქვის



064. გალავნის აღმ. კედლის ნაწილი

და კირქვის კირით ამოყვანილი კედელი აძლევს მას 80 საჟენი დიამეტრის კვადრატის ფორმას და აქვს სამი მხრიდან კარები. მისი თავდაცვა შედგება 5 ექვსფუტიანი ქვემეხისაგან, რომლებიც მოდარაჯე გარნიზონის ხელში მას აქაური იოლი მტრისათვის აუღებელს ხდის, ისე კი კედელი სუსტია. 1772 წელს მისი მცხოვრებლები შედგებოდნენ 84 სომხური კომლისაგან, რომლებიც აგრეთვე იცავენ მას, თუმცა უმეტესად კედლის გარეთ ცხოვრობენ – გაჭირვების შემთხვევაში აქ მოედინება ყველაფერი და ყველა გამოქცეული მამაკაცი აძლიერებს გარნიზონს. თბილისისა და და გორის შემდეგ, რომლებიც მტკვარზე მდებარეობენ, ის (სიღნაღი) არის უდიდესი და უძლიერესი სიმაგრე მთელს საქართველოში".

ციხე-გალავანს არც XIX საუკუნის პირველ ნახევარში დაუკარგავს მნიშვნელობა. ბაგრატ ბატონიშვილის ცნობით, 1812 წლის აჯანყების დღეებში, სიღნაღის ციხე-გალავანში გამაგრებულ ალექსანდრე ბატონიშვილის ძალებზე რუსის ჯარმა მიიტანა იერიში, მაგრამ უშედეგოდ. ალექსანდრე ბატონიშვილის მომხრეებმა „მოსწყუიტნა მრავალი რუსნი და უკუ აქცივნა, ხოლო რუსთა დაუტევებიათ გზა ქიზიყისა".

გალავანი (პერიმეტრი – 4,5 კმ, ფართ. – 40 ჰა) მთების რელიეფს მიჰყვება და ამიტომ უსწორო მოხაზულობისაა. მისი სამხრ. მხარე ყველაზე მაღალია. აქედან გალავანი აღმ-ით და დას-ით ქედს მიჰყვება, შემდეგ ეშვება მერუბიანთ ღრმა ხევში და იქ ერთდება. სამოსახლო უბნები, უმეტესად, ციხის გარეთ მდებარეობდა, რადგან გალავნის ფარგლებში შეხიზნულთათვის რაც შეიძლება ბევრი თავისუფალი ადგილი ყოფილიყო. ციხის კედლები ორიარუსიანია. ქვედა (სისქე – 1,5 *მ*) და ზედა იარუსის (სისქე – 70-80 *სმ*) კედლების სისქეთა განსხვავება შიგნით, იარუსების საზღვარზე, ქმნის საბრძოლო ბილიკს, რ-ის სიგანე საკმარისი იყო მებრძოლთა სამოძრაოდ. საბრძოლო ბილიკზე ქვის კიბეებით ადიოდნენ, რ-ებიც კოშკებზე გვერდებიდანაა მიშენებული. ზედა იარუსის კედლებში მონაცვლეობითაა განლაგებული ძირს დახრილი და პირდაპირი სათოფურები. ციხის კედლები უქონგუროა – ზემოდან გადამრგვალებული.

გალავნის მთელ სიგრძეზე განლაგებულია ცილინდრული კოშკები, მათ შორის კი – კონტრფორსები. კოშკების უმეტესობა ორსართულიანია, საბრძოლობანიანი. მათ შორის მანძილი არათანაბარია.



064. გალავნის სამხრ. კედლის ნაწილი

პირველ და მეორე სართულს შესასვლელი ეზოს მხრიდან ცალ-ცალკე აქვს. ბურჯების ქვედა ნაწილი ყრუა. კოშკები და კონტრფორსები ძირითადად

მდებარეობს კედლების მოსახვევებში. ზოგან კოშკებს შორის კონტრფორსი არ არის,ზოგან კი თითო, ან ორ-ორი კონტრფორსია. გალავანში სულ 24 კოშკია



064. ციხის აღმ. კარი.

ჩართული, ამდენივეა კონტრფორსებიც. გალავანს 6 შესასვლელი აქვს. ციხის კოშკებსა და შესასვლელებს მათი ამშენებელი სოფლის სახელი ერქვა. სიღნაღის 1802 წელს შედგენილი გეგმის მიხედვით, ციხის კოშკების თანამიმდევრობა სამხრ-იდან, ყველაზე დიდი და მაღლა მდგომი „მეფის ანუ ჯუ-

064. გალავნის დას. კედლის ნაწილი



დაანის კოშკიდან“ დაწყებული დას-ისკენ ასეთია: „კახეთის“ ორი კოშკი, „შილდის კოშკი“ და კარი, „ნარიყალას კოშკი“, „ზიარ ფხოველის კოშკი“ და კარი, „ვაქირის კოშკი“ და კარი, „კარდანახის“ და „ბაკურციხის“ კოშკები, „მაშნაარის“ ორი კოშკი, „ანაგის“ და „საქობოს“ კოშკები, „მაჩხაანის“ ორი კოშკი,„ქიზიყის ანუ გორის ბურჯი“, „ველისციხის კოშკი“, „ბოდბის კარი“ და კოშკი, „მაღაროს კარი“ და მისი დამცავი ორი კოშკი, „მირზაანის კოშკი“. მხოლოდ ჩრდ-ით მდებარე ორ კოშკს არა აქვს სახელი. მოსახლეობა ცხოვრობდა ციხის სამხრ-ით. სახლების უმეტესობა ციხის კედელს ეკვროდა. შემდეგ დასახლება გრძელდებოდა სამხრ-ით. ვარაუდობენ, რომ ციხის მთავარი შესასვლელი „მაღაროს კარი“ იყო, რადგან იგი უშუალოდ აკავშირებს ქალაქსა და ციხეს. გარდა „მაღაროსა“ და „მაშნაარის“ კოშკებისა, რ-თა შესასვლელი ორი ცილინდრული კოშკითაა გამაგრებული, ყველა კოშკის შესასვლელი უშუალოდ ციხის კედლებშია გაჭრილი. შესასვლელების უმეტესობა განეერია, მხოლოდ „ვაქირის კოშკს“ აქვს ვიწრო გასასვლელი (სათადარიგო კარი?).

ციხის აღმ. კედლის შუაში „ქიზიყის კოშკი“ დგას. იგი სამსართულიანი ყოფილა. პირველი სართულის შესასვლელი სამხრ-იდანაა. კარი უშუალოდ



064. გალავნის აღმ. კედლის ნაწილი და კოშკი

იყო დაკავშირებული საბრძოლო ბილიკთან. სართულები კი ერთმანეთს კედლის კიბით უკავშირდებოდა. პირველი სართულის კედელში ორმაგი სათოფურები და მაღლა გაჭრილი ორი სარკმელია. მეორე სართულზე შეწყვილებული სათოფურები ნიშებშია განლაგებული. კარის პირდაპირ ბუხარია. ბუხარი მეორე სართულზეც

კარის პირდაპირაა. კედლებზე, ხუთ ნიშაში, ორ-ორი სათოფურია, ეზოს მხარეს ძირს მიმართული სამი სათოფურია განლაგებული.

ციხის უკიდურეს აღმ. მხარეს დგას „მაჩხაანის კოშკი“. პირველ და მეორე სართულებს შეისრულთაღოვანი კარი აქვს. პირველ სართულზე, კარის პირდაპირ, დაბალი ბუხარია, რ-ის ორივე მხარეს თითო ოთხკუთხა ნიშაა. მარჯვ. ნიშაში შეწყვილებული სათოფურია. აღმ. კედელში სარკმელია გაჭრილი. მეორე სართული პირველის ანალოგიურია, ოღონდ აქ ერთი ცალმაგი სათოფური და ერთი პატარა ნიშაა. მესამე სართულის შემორჩენილ ქვედა ნაწილში პირდაპირი და ძირს დახრილი სათოფურებია მოწყობილი.

ციხის ჩრდ.-აღმ. კუთხეში „ვაქირის კოშკი“ დგას. იგი ორსართულიანია, საბრძოლო-ბანიანი. პირველ და მეორე სართულზე, კარის პირდაპირ, ბუხრებია მოწყობილი. პირველ სართულზე, ბუხრის ორივე მხარეს, თითო ნახევარწრიული, თაღოვანი ნიშაა. მეორე სართულზე მრავლად არის ცალმაგი და ორმაგი სათოფურები. ბანზე, პირდაპირი და ძირს დახრილი სათოფურების გარდა, მოწყობილია ოთხი ნისკარტა სალოდე, რ-თაგან სამი – ციხის კედლებს გარეთ გადის, მეოთხე კი კარს იცავდა.

1983 წელს, ᲝᲙᲫ დაცვისა და გამოყენების მთ. სამმართველოს სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. სახელოსნომ დაიწყო ციხის რესტავრაცია (პროექტის ავტორი, არქიტ. ზ. ქუფარაშვილი), რ-იც მოკლე ხანში თითქმის პირველადი სახით აღადგინეს.

ნ. ანდღულაძე.

ბიბლ.: 11, 16, 68, 70, 72, 73, 74, 76, 244, 297, 308.

065. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს ქალაქის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ციხე-გალავნის აღმ. კედელთან.


ეკლ. დარბაზული ტიპისაა (15,5x9,6 მ). იგი ერთდროულად არ არის აგებული და შეიცავს სხვადასხვა პერიოდის ორ ფენას, რ-თა შორის ქრონოლ. შუალედი საკმაოდ დიდი ჩანს. ამის თვალსაჩინო და უცილობელი საბუთია გარეთა კედლებში საშენი მასალის სხვადასხვაგვარობა. შიგნით ეკლ. მთლიანად შელესილია, რის გამოც, შენობის ნაწილთა შორის საზღვრის დადგენა, ფასადებისგან განსხვავებით, შეუძლებელია. თუმცა, ინტერიერის არქიტექტონიკა და კონსტრ. ელემენტების აღნაგობა შენობის ნაწილთა ერთობლიობას თავისთავად გამორიცხავს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ეკლესიას დღევანდელი სახე რეკონსტრუქციის შედეგად აქვს მიღებული, რაც XIX საუკუნის შუა წლებს უკავშირდება.

065. საერთო ხედი სამხრ.-დას-იდან




შენობის თავდაპირველი ნაწილის თარიღის და ინტერიერის სტრუქტურის შესახებ, სპეც. სამეცნ.-კვლევითი სამუშაოებისა და არქეოლ. კვლევა-ძიების ჩატარების გარეშე, გადაჭრით რაიმეს თქმა ძნელია. სავარაუდოდ კი – განვით. შუა საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს.

ეკლესიის ძირითადი ნაწილი მთლიანად რიყის ქვითაა ნაწყობი. ზედა, განახლებუ-




065. გეგმა



065. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ-კენ

ლი ნაწილი კი – „ქართული“, კვადრ. აგურით. აგური რეკონსტრუქციის დროს, აქა-იქ, თავდაპირველი ნაწილის საპირე წყობაშიცაა ჩაყოლებული, სადაც ისინი ამა თუ იმ ადგილსაა მორგებული. მაგ. აგურითაა გამოყვანილი შესასვლელები და ქვედა ნაწილში არსებული სარკმლები, რ-თა გვიანდელობა ეჭვს არ იწვევს. ამავე დროისაა ცოკოლიც, რ-იც ძველ, თავდაპირველ ცოკოლზეა შემოვლებული.

შიდა სივრცის ერთნავიანობის მიუხედავად, ეკლესიას გარედან ბაზილიკური აღნაგო-




065. განივი ჭრილი. ხედი აღმ-კენ

ბა აქვს – შუა, შედარებით განიერი ნაწილი, ჩვეულებისამებრ, გვერდითი ნაწილების მიმართ, რამდენადმე შემაღლებულია და ორფერდა სახურავითაა გადახურული. გვერდითი, გაცილებით ვიწრო ნაწილების გადახურვა კი – ცალფერდაა.

შესასვლელი სამია: სამხრ-იდან, დას-იდან და ჩრდ-იდან. სამივე კარის ღიობი მოგვიანებითაა გამოყვანილი, გაფართოებულია და ბაზალტის სწორკუთხა, ლილვიან საპირეშია ჩასმული. საპირის გვერდები დამუშავებულია გეომეტრიული სახის, მარტივი ჩუქურთმით.

ეკლესიის შიდა სივრცე ვრცელია,აღმ-ით იგი დასრულე-

ბულია ღრმა, ნახევარწრიული აფსიდით. აფსიდის ღერძზე გაჭრილია მაღალი, ნახევარწრიული თაღოვანი სარკმელი, რ-ის ორივე მხარეს გეგმით ნახევარწრიული, თითო თაღოვანი ნიშაა. აფსიდის ზედა ნაწილში, სარკმლის გვერდებზე, ერთმანეთის სიმეტრიულად, კონქისა და კამარის თავზე არსებულ სამალავებში ასასვლელად მოწყობილია თითო თაღოვანი ღიობი (ამოშენებულია).



065. აღმ. ფასადი

საკურთხევლის გვერდებზე გეგმით ოთხკუთხა, ცილინდრული კამარით გადახურული სამკვეთლო და სადიაკვნეა, თითო თაღოვანი შესასვლელით დასიდან. სამკვეთლო საკურთხეველს უკავშირდებოდა თაღოვანი კარით, რ-იც მოგვიანებით ამოუშენებიათ. ორივე სადგომს თითო სარკმელი აქვს აღმ-ით და თითო შესაბამის გვერდით კედელში. ისინი კამარის მრუდში არის მოქცეული და შიგნიდან გარეთკენ მაღლდება. აღმ. სარკმლები მოგვიანებით გადაუკეთებიათ. ორივე სადგომის აღმ. და გრძივ კედლებში თითო თაღოვანი ნიშაა.

ინტერიერის განათებისათვის, აფსიდის სარკმლის ანალოგიური სარკმელია გაჭრილი დას. კედლის ზედა, გვიანდელ ნაწილში. ორ-ორი განიერი, ბრტყლად გადახურული სარკმელი კი – გრძივ კედლებში (გვიანდელია). გარდა ამისა, თითო სწორკუთხა სარკმელია (დიდი ნაწილი ამოშენებულია) სამხრ. და ჩრდ. კედლების ზედა, გვიანდ. ნაწილებში.

დარბაზის გრძივ კედლებზე ორ-ორი მძლავრი, ორსაფეხურიანი პილასტრია, რ-ებიც ქმნის სამ-სამ ღრმა, კამაროვან უბეს. მათგან შუა უბეში კარია მოქცეული, განაპირებში კი – თითო სარკმელი. პილასტრების მეორე საფეხურს ეყრდნობა ნახევარწრიული თაღები, რ-ებიც გრძივ კედლებზე მაღალ, მცირედ შეღრმავებულ არეებს აგვირგვინებს.

დარბაზის დას. ნაწილში ხის პატრონიკე იყო მოწყობილი (ამჟამად აღარ არსებობს), რ-ზეც ასასვლელი კიბე დას. კედლის სამხრ. კიდეშია. კიბის უჯრედის გასანათებლად დას. კედელში გაჭრილია პატარა, თაღოვანი სარკმელი.

ეკლესიის კამარა მარტივი პროფილის (თარო და მეოთხედი ლილვი) კრონშტაინებზე დაბჯენილ, ოთხ საბჯენ თაღს ეყრდნობა. მათ შორის ორი – პილასტრების ასწვრივაა, ერთი – აფსიდის თაღთან, ერთი კი – დას. კედელთან. კამარაზე, კონქზე, საბჯენ თაღებზე და, ალაგ-ალაგ, უბეებში, შემორჩენილია შავი საღებავით გამოყვანილი ქვის კვადრების წყობის იმიტაცია.



065. სამხრ. ფასადი

გარედან, დეკორატიულად, ეკლესიის მხოლოდ გვიანდ., განახლებული ნაწილია დამუშავებული. მოპირდაპირე ფასადები გაფორმების სტრუქტურით მსგავსია. მორთულობის ძირითადი ელემენტები ლეკალური აგურითაა გამოყვანილი.

აღმ. ფასადის ღერძზე მაღალი, თაღოვანი სარკმელია, რ-იც

ჩასმულია კედლის სიბრტყის საფეხურით შეღრმავებულ, თაღოვან არეში. სარკმლის გვერდებზე კლასიკური, არქიტ.



065. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

ფორმების სტილიზებული ელემენტით, სამკუთხა ფრონტონით დაგვირგვინებული, თითო სწორკუთხა შეღრმავებაა, რ-შიც გამოყვანილია ლილვშემოვლებული, საფეხურით შეღრმავებული,



065. ინტერიერი. ხედი სამხრ.-აღმ-კენ

ნახევარწრიულთაღოვანი არე. სარკმლის ზემოთ, ფრონტონზე, ორი საფეხურით შეღრმავებული, თაღოვანი არეა. მასში ჩასმულ ქვიშაქვის მთლიან ქვაზე რელიეფური ჯვრის გამოსახულებაა. ფრონტონის წვერში, კონქისზედა სივრცის გასანათებლად, პატარა, სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი.

დას. ფასადის მორთულობა აღმ-ისას იმეორებს, მხოლოდ მისგან განსხვავებით აქ, კედლის ქვედა ნაწილში, აგურით




065. სამხრ. ფასადი. დეტალი

ნაწყობი და ლილვით მოჩარჩოებული, განიერი, სწორკუთხა შესასვლელია გაჭრილი.


სამხრ. და ჩრდ. ფასადებზე შუა, შემაღლებული ნაწილის კედელი შვიდ-შვიდი სწორკუთხა შეღრმავებითაა დანაწევრებული, რ-შიც ჩაწერილია ლილვშემოვლებული, საფეხურით შეღრმავებული, ნახევარწრიულთაღოვანი არე. მათგან აღმ-იდან მესამე და მეხუთე შეღრმავებები, დანარჩენებთან შედარებით, რამდენადმე ვიწროა. შესაბამისად, ვიწროა მათში გამოყვანილი, თაღოვანი არეც, რ-იც ცრუ სარკმელს წააგავს. სამხრ. ფასადის აღმ. განაპირა არეში, კონქის თავზე არსებულ სამალავში მოსახვედრად, მოწყობილია თაღოვანი ღიობი.

სამხრ. ფასადის ქვედა, საფეხურით წინწამოწეული ნაწილის შუაში, ფართო, თაღოვან შეღრმავებაში ჩასმული შესასვ-



065. კოშკი-სამრეკლო. I სართულის გეგმა


ლელია. მის ორივე მხარეს კი – თითო სწორკუთხა სარკმელი. შესასვლელის თავზე ლეკალური აგურით გამოყვანილი, რელიეფური ჯვარია. ეკლესიის კედლები აგურით ნაწყობი



065. კოშკი-სამრეკლო. ფანჩატურის გეგმა

ლავგარდნითაა დასრულებული. მათგან შუა, ამაღლებული ნაწილის ლავგარდანი, სამსაფეხურიანია და განივ

ფასადებზე, კუთხეებთან, მოკლე შემონაკეცები აქვს. გვერდითი ნაწილების ლავგარდანი



065. კოშკი-სამრეკლო. ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

გაცილებით მაღალია და ძირითადად ლეკალური აგურითაა ნაწყობი. მის პროფილს თარო, ლილვი, შეზნექილი მრუდი და თარო შეადგენს.

ეკლესიის შემაღლებული ნაწილის სახურავის შუაში დადგმულია აგურით ნაგები, ექვსწახნაგა სამრეკლო, რ-იც ექვსივე მხარეს ვიწრო თაღებით გახსნილ ფანჩატურს წარმოადგენს. სამრეკლოს თუნუქით დაბურული, ქოლგისებრი სახურავი ხურავს.

ეკლესიის სამხრ.-აღმ. კუთხესთან, ოთხიოდე მ-ის მანძილზე, დგას კოშკი-სამრეკლო. ნაგებობა ქრონოლოგიურად განსხვავებულ ორ სამშენ. ფენას შეიცავს, რ-ებიც განსხვავებული საშენი მასალითაა შესრულებული. თავდაპირველად, აქ იდგა ციხის გალავანში ჩართული, მთლიანად რიყის ქვით ნაგები, მრგვალი კოშკი, რ-ის შიგა სივრცეში მოგვიანებით, ეკლესიის რეკონსტრუქციისას, აგურის ორსართულიანი სადგომი ჩააშენეს. ამასთანავე, თავდაპირველი კოშკის კედელი რამდენადმე (დაახლ. 1,8 მ-ით) აამაღლეს და კოშკის ბანზე აგურის სამრეკლოს ორიარუსიანი ფანჩატური აღმართეს. სამრეკლო, კოშკთან შედარებით, რამდენადმე ვიწროა, რის გამოც მის ირგვლივ გარშემოსასვლელია (სიგ. – 0,8 მ) შექმნილი. გალავნის კედელში სამრეკლოს მშენებლობის



065. კოშკი-სამრეკლო. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

დროსვეა მოწყობილი ფართო, თაღოვანი კარი.

კოშკის პირველი და მეორე სართულები ერთმანეთისგან იზოლირებულია. პირველ სართულს შესასვლელი დას-იდან აქვს. კარის წინ ხუთსაფეხურიანი კიბეა მოწყობილი. თავდაპირველად სართული მრგვალ სადგომს (დიამ. – 4 მ) წარმოადგენდა, რ-შიც, მოგვიანებით, შეისრული თაღებით დაკავშირებული, ხუთი მძლავრი პილასტრი ააგეს, რის შედეგად-



065. კოშკი-სამრეკლო. ინტერიერის დეტალი

აც თავდაპირველი, მრგვალი სადგომი გუმბათოვანი კამარით გადახურულ, ხუთკუთხა ოთახად გადაკეთდა. პირველი სართულის თავდაპირველი, არქიტ. ელემენტებიდან ამჟამად, ერთი ვიწრო სარკმელი და ორი სწორკუთხა ნიშაღა მოჩანს. დანარჩენი ნაწილი პილასტრებითაა დაფარული.

კოშკის მეორე სართული გუმბათოვანი კამარით გადახურულ, ვიწრო, მაღალ სადგომს წარმოადგენს. ამ სართულზე ასასვლელად კოშკის კედელზე, გარედან, აგურის კიბეა მიშენებული. ამ სართულზეც თავდაპირველი კედელი აგურის წყობითაა გასქელებული, რამაც მისი თავდაპირველივე ფართობი ბევრად შეამცირა. ჩაშენებულ კედელში მოწყობილია სამი მაღალი, თაღოვანი ნიშა. მათ შორის ორ ნიშაში საბრძო-

ლო ელემენტებია შემორჩენილი, ხოლო მესამეში ფართო, სწორკუთხა სარკმელია მოწყობილი, როგორც ჩანს, ადრე არსებული რომელიღაც ღიობის გაფართოებით.


სამრეკლო ცილინდრული ფორმისაა, ორიარუსიანი. ქვედა იარუსი გუმბათოვანი კამარით გადახურულ, ფართო ექვსი თაღით გახსნილ ფანჩატურს წარმოადგენს. ზარების დასაკიდებლად, კამარის ქუსლის დონეზე, ერთმანეთის პერპენდიკულარულად ორი მსხვილი ძელია გადებული. სამრეკლოს მეორე იარუსზე მოხვედრა შეუძლებელია და ამიტომ მისი არქიტ. გადაწყვეტა ამჟამად გაურკვეველია. სართული, კედლის სისქეში მოწყობილი კიბით, კოშკის ბანსა და სამრეკლოს ფანჩატურს უკავშირდება.

კოშკი-სამრეკლოს გარეგან ასახულობაში ერთმანეთისაგან მკვეთრად გამოიყოფა რიჟის ქვით ნაგები კოშკის მასიური კორპუსი, რ-იც ლეკალური აგურით ნაწყობი, მაღალი ლავგარდნითაა დაგვირგვინებული და რამდენადმე ვიწრო, მაღალი, ორიარუსად გაფორმებული, აგურის, ცილინდრული სამრეკლო, რ-იც პირამიდული სახურავითაა დასრულებული. სამრეკლოს ქვედა იარუსი ექვსი სქელი, ვერტ. ლილვით ექვს თანაბარ მონაკვეთადაა გაყოფილი. თითოეულ ნაწილში თითო ფართო, თაღოვანი ღიობია, რ-საც ლეკალური აგურით ნაწყობი ლილვი შემოუყვება. ქვედა ნაწილისაგან განსხვავებით, ზედა იარუსი ვერტ. ლილვებით თოთხმეტ ნაწილადაა დაყოფილი. თითოეულში საფეხურად შეღმავებული, ცრუ სარკმელია ჩასმული. ყოველი სარკმლის ზემოთ, მომჩარჩოებელი თაღის წვერზე, ტოლმკლავა, რელიეფური ჯვარია დაყრდნობილი.

სამრეკლო დასრულებულია ლეკალური აგურით ნაწყობი, რთული პროფილის ლავგარდნით.

1988 წელს, იპბძ დაცვისა და გამოყენების მთ. სამმართველოს სპეც. სამეცნ.-სარესტ. საწ. გაერთიანების საპროექტო ბიუროს მიერ ჩატარდა ეკლესიის წინასაპროექტო საძიებო-საკვლევი და აზომვითი სამუშაოები, რის საფუძველზეც დამუშავდა რესტავრაცია-ადაპტაციის პროექტი (ავტორი, არქიტ. დ. მჭედლიძე): ეკლესიის კედლებზე მოიხსნა ქვიშა-ცემენტის ნალესობა, აღდგა ლავგარდნისა და საპირე წყობის დაზიანებული ნაწილები, გაიწმინდა ცოკოლი და ასევეა აღდგა მისი დაზიანებული ნაწილები. მოიხსნა სახურავის საფარი. სახურავი გაიწმინდა და გადაიხურა ღარისებრი კრამიტით, შეიცვალა კარ-სარკმლები, კეთილმოეწყო ეკლესიის მიმდებარე ტერიტ. მცირე მასშტაბის, სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა 2007 წელს, ქალაქის რეაბილიტაციის პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოებისას.

თ. დვალი



066. გეგმა


066. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ქალაქის დას. განაპირას, გალავნის გარეთ, სასაფლაოზე. თარიღდება XIX საუკუნით.

ეკლ. აგებულია ადრე აქ მდგარი, დანგრეული ეკლესიის ადგილზე, რ-ის ჩრდ. და აღმ. კედლების ნაწილები და მათ მიერ შექმნილი კუთხე (სიმ. – 2,5 მ) განახლებული ეკლესიის კორპუსში ჩაურთავთ. ეკლესიის საშენი მასალა ორგვარია: „ქართული“, კვადრ. აგური და რიყის ქვა. მასალა დიფერენცირებულადაა გამოყენებული: კედლების ძირითადი ნაწილი რიყის ქვისაა, რ-შიც თანაბარი ინტერვალებით, ორრიგად ნაწყობი აგურით გამოყვანილი, თარაზული რიგებია ჩართული. კუთხეები, ღიობები, კონსტრ. ნაწილები, არქიტ. და მორთულობის ელემენტები აგურისაა. ინტერიერი შელესილია და ორფრად არის შეღებილი.

ეკლ. დარბაზულია, გეგმით სწორკუთხა (9,0x6,4 მ). დასიდან მას ეკვრის თანადროული, გეგმით თითქმის კვადრ. კარიბჭე (3,8x3,0 მ).

შესასვლელი ორი აქვს: სამხრ-ით და დას-ით – კარიბჭიდან. ორივე კარი ნახევარწრიულთაღოვანია. იმის გამო, რომ ეკლესიის იატაკის დონე, მიწის დონესთან შედარებით, დაახლ. 1 მ-ით მაღლაა, სამხრ. შესასვლელის წინ სამსაფეხურიანი კიბეა (გვიანდელია) მოწყობილი.

ეკლესიის შიდა სივრცე აღმ-ით დასრულებულია კუთხეებმომრგვალებული აფსიდით, რ-შიც ორი განიერი, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელია გაჭრილი. მათ შორის ერთი – აღმ. კედლის ღერძზეა, ხოლო



066. ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

ლი კაპიტელითაა დასრულებული. მოგვიანებით, როგორც ჩანს, ეკლესიის აშენებიდან მალევე, სამივე თაღი ამოუშენებიათ.

კარიბჭის სახურავზე მოწყობილია პატარა, კვადრ. ბაქანი, რ-ზეც დადგმულია საშ. სიმაღლის, რვაწახნაგოვანი, პირამიდისებრი სახურავით დასრულებული სამრეკლო ისე, რომ მისი აღმ. წახნაგი ეკლესიის დას. კედელზეა მიბჯენილი.

ეკლესიის ფასადები სადაა. ფასადთა დეკორატ. გადაწყვეტა სრულიად მარტივი საშუალებებით, აგურისა და რიყის ქვის, თარაზული რიგების მონაცვლეობითაა განხორციელებული. ფასადები დასრულებულია აგურით ნაწყობი, სწორხაზოვანი პროფილის, სამსაფეხურიანი ლავგარდნით. ფასადებიდან მხოლოდ სამხრ. ფასადია მარტივად დანაწევრებული (ეკლესიასთან მისასვლელი გზა ამ მხრიდანაა). ფასადის ორივე კიდეს პილასტრისებრი შვერილი აუყვება. მსგავსი ორი შვერილი მათ შორისაცაა, რ-ებიც ფასადის სიბრტყეს თანაბარი სიგანის სამ ნაწილად ყოფს. მათგან შუა ნაწილის ღერძზე მოთავსებულია განიერი, თაღოვანი შესასვლელი, გვერდითი ნაწილების ღერძებზე კი – თაღოვანი სარკმელი.

ეკლესიის აღმ. ფასადი აგურითა და წვრილი რიყის ქვით



066. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

მეორე – აფსიდის სამხრ. გვერდში. მსგავსი თითო სარკმელი, ერთმანეთის მოპირდაპირედ, გრძივი კედლების დას. მონაკვეთებშია. სარკმლებში ოთხკუთხა, მომინული ჩარჩოა (გვიანდელია) ჩასმული. აღმ. და ჩრდ. სარკმლებში ჩარჩოებს ზემოთ დარჩენილი არე აგურითაა ამოშენებული, დანარჩენ ორში კი – შეფიცრულია. შეფიცრულია ასევე შესასვლელის თაღის არეც.

გრძივ კედლებზე ორ-ორი მარტივი პილასტრია, რ-ებზეც კამარის საბჯენი თაღებია დაყრდნობილი. კამარაც და თაღებიც ნახევარწრიულია. პილასტრების აღმ. წყვილი და მათზე დაყრდნობილი თაღი საკურთხეველს დარბაზისგან გამოყოფს.

კარიბჭე კუბისებრი ფორმის, სამკალთა სახურავით გადახურული ნაგებობაა, რ-იც სამ მხარეს (სამხრ-ით, დას-ით და ჩრდ-ით) ნახევარწრიული თაღითაა გახსნილი. თაღები გადაჭვანილია დას. კუთხეებში მდგარ ორ მასიურ ბოძზე და ეკლესიის დას. კედელზე გამოყვანილ პილასტრებზე. პილასტრებიც და ბოძებიც მარტივი პროფილის, აგურისავე წყობით გამოყვანილი კაპიტელითაა დასრულებული. მოგვიანებით, როგორც ჩანს, ეკლესიის აშენებიდან მალევე, სამივე თაღი ამოუშენებიათ.

მათგან დას. და ჩრდ. თაღები მთლიანად, სამხრ. თაღში კი სწორკუთხა შესასვლელი მოუწყვიათ, რ-იც 2000-იანი წლების დასაწყისში გააუქმეს და მის ნაცვლად ვიწრო, სწორკუთხა სარკმელი მოაწყვეს. შიგნით კარიბჭე დადაბლებული პროპორციების, გუმბათოვანი კამარითაა გადახურული, რ-ის წრიული საფუძველი ოთხივე კუთხეში გამოყვანილი, აფრისმაგვარი ელემენტითაა შექმნილი.

ნაგებ, სამოცდაათიოდე *სმ* სიმაღლის ცოკოლზეა დაყრდნობილი. ფასადი, ჩვეულებისამებრ, სამკუთხა ფრონტონით კი არ არის დასრულებული, როგორც დას-ისა, არამედ, გვერდითი ფასადების მსგავსად, ზემოდან, სახურავის კალთითაა თარაზულად მოფარგლული. ეს ეკლესიას გარკვეულ თავისებურებას ანიჭებს. ფასადის მარჯვ. კიდეზე აგურით ნაგები, დაახლ. 2,5 *მ* სიმაღლის, სწორკუთხა ბოძია (კონტრფორსი) მიდგმული, რ-იც ძვ. ეკლესიის კედლის გასამაგრებლად იყო აგებული.

ეკლესიის ჩრდ. ფასადის უმეტესი ნაწილი გლუვია. აღმ. ფასადის მსგავსად, ეს ფასადიც მაღალ ცოკოლზე დგას, რ-ის უმეტესი ნაწილი ამჟამად მიწითაა დაფარული. ფასადის დას. ბოლოში საფეხურით შეღრმავებული, სწორკუთხა არეა, რ-შიც სარკმელი გამოდის.

ეკლესიის დას. ფასადის უმეტესი ნაწილი კარიბჭის კორპუსითაა დაფარული. ფასადი დასრულებულია სამკუთხა ფრონტონით, რ-იც ფასადის დანარჩენი სიბრტყიდან ლავგარდნითაა გამიჯნული. მსგავსი პროფილის ლავგარდანი გაუყვება ფრონტონის გვერდებსაც.

კარიბჭის ფასადები, ეკლესიის ფასადებთან შედარებით, სიბრტყეებით უფრო მეტად არის დიფერენცირებული და ოდნავ უფრო უკეთ არის გაფორმებული. სამივე ფასადის დეკორატ. გადაწყვეტა განხორციელებულია ძლიერ პოპულარული მოტივით – წყობის შეღრმავებით გამოყვანილი ჯვრებით, რ-თა მკლავები წვერზე დაყენებული კვადრატების მწკრივითაა გაფორმებული. სამხრ. და ჩრდ. ფასადებზე თითო ჯვარია გამოსახული, დას. ფასადზე კი – ორი. ჯვრები მაღალია, თანაბარი ზომის. ისინი სამივე ფასადზე თაღების საყრდენი ბოძის ზემოთ, ერთ დონეზეა განლაგებული ისე, რომ მოსაზღვრე მკლავებით ერთმანეთს ებმის და კედლის სიბრტყეში ორი საფეხურით არიან შეღრმავებული. ფასადები დასრულებულია მარტივი პროფილის (მეოთხედი ლილვი და თარო) ლავგარდნით.

კარიბჭე დგას რიყის ქვითა და აგურით ნაგებ, დაახლ. 1 *მ* სიმაღლის ცოკოლზე. თუ როგორ ხვდებოდნენ კარიბჭეში ამჟამად გაურკვეველია.

ეკლესიაც და კარიბჭეც ღარისებრი კრამიტითაა დაბურული.


თ. დვალი.

067. წმ. სტეფანეს ეკლესია, არქიტ. ძ. დგას ციხე-გალავნის ტერიტორიაზე, ყველაზე დიდ, „მეფის ანუ ჯუღაანის ბურჯთან“ ისე, რომ ეკლესიის დას. ნაწილი ბურჯის ფარგლებშია მოქცეული.


ეკლესიის კორპუსი სხვადასხვა პერიოდის სამი ძირითადი ფენისგან შედგება, რ-თა შორის თავდაპირველი, სავარაუდოდ, XVI საუკუნის II ნახევრით შეიძლება დათარიღდეს. როგორც ჩანს, ციხე-გალავნის აგებამდე აქ იდგა, იმხანად ძლიერ დაზიანებული, პატარა, დარბაზული ტიპის ეკლ. ციხის მშენებლობისას იგი აღუდგენიათ და გალავნის ფარგლებში მოუქცევიათ. ამ დროს ეკლესიისათვის დას-იდან მიუშენებიათ იმავე სიგანის, მოგრძო ნაწილი, რ-იც, თითქმის მთლიანად, მშენებარე კოშკის ფარგლებში მოუქცევიათ. ეკლესიის გვიანდ. ნაწილი თავდაპირველ ეკლესიას ამ უკანასკნელის დას. კედლის ადგილას მოწყობილი თაღით უკავშირდება. შენობის ნაწილთა ქრონოლოგია არა მარტო მათი საშენი მასალის სხვადასხვაგვარობით დასტურდება, არამედ ამ ნაწილებს შორის სიმაღლეთა სხვაობითაც – შიგნით დარბაზის აღმ. ნაწილის სიმ. დაახლ. 0,6 *მ*-ით ჭარბობს დას-ისას. სხვადასხვა დონეზე იყო განლაგებული მათი სახურავების კეხებიც.

მომდევნო ხანებში, „ლეკიანობის“ შეწყვეტის შემდეგ, სა-

067. გეგმა. 1. ეკლესია, 2. კოშკი, 3. გალავანი, 4. კარიბჭე, 5. ცისტერნა, 6. ბაქანი, 7. ქუჩა



ვარაუდოდ XIX საუკუნის დასაწყისში, ეკლესიაში მრევლის იოლად მოსახვედრად, მის წინ არსებული გალავნის სამხრ. კედლის მცირე მონაკვეთი დაუშლიათ და ეკლესიასა და გალავანს შორის კარიბჭე აუგიათ. კარიბჭეში შესასვლელი გალავანში ახლად ჩაშენებულ კედელშია მოწყობილი. ამავე პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს სამრეკლო (დაუნგრევიათ 1929 წელს), რ-იც კარიბჭის თავზე არსებულ ბაქანზე იყო დადგმული.




067. განივი ჭრილი. ხედი აღმ-კენ

ეკლ. მცირე ზომისაა – ამ პროპორციების ნაგებობებისთვის უწვეულოდ გრძელი (ზომები შიგნიდან: სიგრ. – 8,9 *მ*, სიგ. – 2,9 *მ*). ეკლესიის თავდაპირველი ნაწილის დარბაზი თითქმის კვადრატულია (სიგრ. – 2, 4 *მ*, სიგ. – 2,9 *მ*). აღმ-ით მას ნახევარწრიული აფსიდი ერთვის, რ-შიც ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელი და ორი საშ. ზომის ნიშაა. მათგან ერთი – სამხრ-ით მდებარე – შეისრულთაღოვანია. მეორე კი სამკუთხა თაღითაა დასრულებული. აფსიდი გადახურულია კონქით, რ-ის თაღი შეისრულია. შეისრული ფორმისაა კამარაც.

თავდაპირველ ეკლესიას, როგორც ჩანს, შესასვლელი სამხრ-იდან ჰქონია. კარიბჭის მშენებლობისას კარი გაუუქმებიათ და მის ადგილას ფართო, თაღოვანი გასასვლელი მოუწყვიათ.

ეკლესიის თავდაპირველი ნაწილი ძირითადად რიყის ქვისაა. აგური მხოლოდ ნაწილობრივ, ძირითადად აფსიდის მხრებისა და მისი თაღის წყობაშია გამოყენებული. კედლები შიგნიდან გასწორებული იყო ბათქაშით და, როგორც ეს აფსიდში შემორჩენილი ფრაგმენტებით დგინდება, შელესილი და მოხატული ყოფილა. აფსიდის ქვედა ნაწილში დარჩენილია აშენების დროინდელი მხატვრობის ფრაგმენტები – იკითხება ეკლესიის მამათა გამოსახულებების ფრაგმენტები და წითელი საღებავით შემოფარგლული არეები.

ეკლესიის დას. ნაწილის (სიგრ. – 3,8 *მ*, სიგ. – 2,9 *მ*) კედლები ძირითადად აგურითაა ნაშენი, რ-შიც, აქა-იქ, უსისტემოდ, ჩართულია რიყის ქვის თარაზული რიგები. რიყის ქვა მეტწილად ჩრდ. კედლის წყობაშია გამოყენებული. კამარა და კონსტრ. ნაწილები კი მთლიანად „ქართული“ აგურისაა. ეკლესიის დას. ნაწილის კამარაც შეისრულია. იგი დაყრდნობილია შეისრული ფორმის, სამ საბჯენ თაღზე. მათგან ერთი გრძივი კედლების შუაში არსებულ პილასტრებზეა გადაყვანილი, დანარჩენი ორი კი შეკიდულია და ირიბ-



067. გრძივი ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

ად ჩამოკვეთილი ბოლოები აქვს. ისინი კამარის ბოლოებშია გამოყვანილი და შესაბამის კედელს ერთვის. ეკლესიის დას. ნაწილის დას. კედლის ღერძზე შიგნიდან თაღოვანი, ხოლო გარედან თარაზულად გადახურული კარია, მის ასწვრივ კი – თაღოვანი სარკმელი. ეკლესიის ამ ნაწილში, ჩრდ. კედელთან, საფლავია.



067. ხედი სამხრ-იდან

კარიბჭე მთლიანად აგურითაა გამოყვანილი. გადახურულია დადაბლებული პროპორციების გუმბათოვანი კამარით. გუმბათქვეშა სწორკუთხედი ოთხივე მხარეს გახსნილია შეისრული თაღით (აღმ. თაღი მოგვიანებით ამოუშენებიათ და მის არეში სწორკუთხა კარი მოუწყვიათ). ზემოთ, გუმბათქვეშა სწორკუთხედის ოთხივე კუთხეში, გამოყვანილია აფრა, რ-თა მეშვეობით გუმბათოვანი კამარის წრიული საფუძველი იქმნება. კარიბჭეში დანიელ არქიმანდრიტის საფლავია (დასაფლავებულია 1809 წელს).

კარიბჭეს დას-იდან ეკვრის მცირე ზომის, რამდენადმე სამხრ.-ჩრდ. მიმართულებით წაგრძელებული სათავსი, რ-იც გადახურული იყო თევზიფხური წყობით გამოყვანილი, ნახევარწრიული კამარით. ამ სათავსიდან იწყება აგურით ნაწყობი, მრავალსაფეხურიანი კიბე (სიგ. – 1,2 მ), რ-ითაც ჯერ ბურჯის საბრძოლო ბაქანზე ვხვდებით, იქიდან კი – ასევე კიბით – კარიბჭის თავზე მოწყობილ ბაქანზე.

ეკლესიის ფასადები სადაა. გამორჩეულია კარიბჭის სამხრ. ფასადი. ხუროთმოძღვარს, შთაბეჭდილების მოსახდენად, აქცენტი ფასადის დეკორატიულ



067. ინტერიერი. ხედი აღმ-კენ

დამუშავებაზე აქვს გადატანილი, თუმცა წყობის ხარისხი, ტექნიკური თვალსაზრისით, დაბალ დონეზეა, რის გამოც ფასადის ხუროთმოძღვრული დამუშავების ეფექტი და დეკორის სიმდიდრე სრული ძალით ვერ მჟღავნდება.



067. ინტერიერი. კარიბჭე. კოშკზე ასასვლელი კიბე

ფასადის ცენტრ. ნაწილი უჭირავს კედლის სიბრტყეში შეღრმავებულ, ერთიმეორეში მოქცეულ, ერთმანეთისგან მკაფიოდ გამიჯნულ ორ არეს. მათ-

067. ხედი ჩრდ.-დას-იდან





067. კოშკი. ინტერიერი. ხედი დას-კენ

გან წინა – სწორკუთხაა, უკანა კი – შეისრულთაღოვანი. წინა არესთან შედარებით, უკანა არე ოდნავ უფრო ღრმაა. წინა არე დასრულებულია სამსაფეხურიანი ფრიზით, რ-ის შუა საფეხური ჩვეულებრივად დაწყობილი აგურებითაა შედგენილი, დანარჩენი ორი კი – კუთხით შვერილი აგურების თითო მწკრივით. უკანა არის ღერძზე განიერი, შეისრულთაღოვანი შესასვლელია. შესასვლელის თაღის გვერდებზე არსებული ნაწილები თევზისფხური წყობითაა შევსებული. მსგავსადაა დამუშავებული წინა არის ზედაპირიც. ფასადის კიდეებს წყობის შეღრმავებით გამოყვანილი შვიდ-შვიდი რომბი აუყვება. ფასადი დასრულებულია საფეხუროვანი ლავგარდნით, რ-იც შედგება კუთხით შვერილი და ჩვეულებრივად დაწყობილი აგურით შექმნილი რიგების მონაცვლეობით.

2001 წელს, საქართვ. კულტ. მემკვიდრეობის დაცვის ფონდის დაფინანსებით, ეკლესიას ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები (რესტავრაციის პროექტის ავტორი, არქიტ. ზ. ქუფარაშვილი): გაიწმინდა ეკლესიის კედლები. ეკლესიის შიგნით მოიხსნა გვიანდ. ჩანაშენები. აღდგა კედლების, კამარის, პილასტრების და საბჯენი თაღების დაზიანებული ნაწილები. გაიხსნა კარიბჭის აღმ. თაღი და საკურთხევლის ამოშენებული სარკმელი. ეკლესიას გაუკეთდა რკინა-ბეტონის სარტყელი, რისთვისაც დაიშალა და ხელახლა აეწყო ლავგარდანი. ეკლესიის შიგნით შეკეთდა კოშკთან დამაკავშირებელი კიბე. იატაკზე დაიგო „ქართული“ აგური. სახურავი დაიბურა ღარისებრი კრამიტით. ეკლესიის ირგვლივ მოეწყო რიყის ქვის სარინი, ხოლო წინ – ბაქანი და ბაქანზე ასასვლელი კიბე. ბაქანი კარიბჭის თავზეც მოეწყო, რ-ზეც XIX საუკუნის მიწურულის ფოტოს (ავტორი დიმიტრი ერმაკოვი) მიხედვით, განახლდა სამრეკლო. ბაქანზე დამონტაჟდა რკინის მოაჯირები.

თ. დვალი.

ალაზნის ველის არქეოლოგიური ძეგლები

068. ალექსაანთწმურის სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. ალაზნის მარჯვ. ნაპირზე, ალექსაანთყურედ წოდებულ ადგილში. სამაროვანზე 1950 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. ნ. ბერძენიშვილი) გათხარა ერთი ორმოსამარხი, რ-იც ძვ. წ. XI-X საუკუნეებს განეკუთვნება.

რ. კვიტაიშვილი.

ბიბლ.: 184, 187, 188, 203.

069. ბრტყელიგორის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. ალაზნის მარჯვ. მხარეს, სწორ, გაშლილ ველზე, ნერგითგორის ნამოსახლარიდან ჩრდ.-აღმ-ით 3 კმ-ზე. განეკუთვნება ძვ. წ. III-II ათასწლეულს. ძეგლს გასული საუკუნის 80-იან წლებში მიაკვლია კპე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).

ნამოსახლარი ბორცვი (სიმ. – 1,5 მ, დიამ. – 160 მ) ამჟამად მთლიანად განადგურებულია. მიმდებარე ტერიტორიაზე ზედაპირულად აკრეფილი თიხის ჭურჭლის უსახო ნატეხები, ობსიდიანის ანატკეც-ანამტვრევები და ძვლის მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ვ. ვარაზაშვილი.

070. გორასამარხები, წნორის ყორღანები, არქეოლ. ძ. მდებარეობს ალაზნის ველზე, წნორი-ლაგოდეხის გზის მარჯვ. მხარეს, მდ. ალაზნის მარჯვ. ნაპირზე, მდინარიდან 3-4 კმ-ზე, ყოფ. მეცხოველეობის კომპლექსის ტერიტორიაზე. განეკუთვნება ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევარს.

ალაზნის ველზე გორასამარხები (ე. წ. წნორის ყორღანები, №1 და № 2) 1973-1975 წლებში გამოავლინა და შეისწავლა კპე-მ (ხელმძღვანელები: კ. ფიცხელაური, შ. დედაბრიშვილი).

გორასამარხი № 1 უდიდესია მთელ ალაზნის ველზე, რის გამოც მას ალაზნის ველის დიდი გორასამარხი ეწოდა. გორასამარხს თითქმის 3 ჰა ფართობი უკავია. მისი ყრილი (დიამ. – 140 მ, სიმ. – 10-11 მ) წარმოადგენდა მიწის ბორცვს, რ-ის ზედაპირი და-

ზიანებული იყო ადრინდ. შუა საუკუნეების ხანის სათავსებით. ყრილის საფუძველს გარს ერტყა ჰუმუსის, თიხამიწის, ქვიშისა და რიყის ქვის შემცველი




070. გორასამარხი № 1. ოქროს თხელი ფურცლიდან დამზადებული ნივთები: 1. სამაჯური, 2. მძივი, 3. ხვიები

ფენილი – „ჯავშანი“ (სიგ. – 30 *სმ*), რ-იც მიწაყრილს იცავდა ჩამოზვავებისა და ჩამორეცხვისაგან. ყრილის ქვეშ, ცენტრალურ ნაწილში, ყრილის ზედაპირიდან 9 *მ*-ის სიღრმეზე, აღმოჩნდა მსხვილი (გარე მხრიდან) და წვრილი (შიდა მხრიდან) რიყის ქვის მშრალი წყობით ნაშენი, მრგვალი ნაგებობა (დიამ. – 7,5 *მ*, სიმ. – 2 *მ*). ხის ძელების ნაშთებისა და ანაბეჭდების გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ ამ ნაგებობის ცენტრალურ ნაწილში იდგა კიდევ ერთი ნაგებობა, რ-საც საწესო-საკულტო დანიშნულება ჰქონდა და იგი განსვენებულ ბელადთან გამოთხოვების რიტუალისთვის იყო განკუთვნილი. ამ შენობაში რაიმე მასალა არ აღმოჩენილა. ნაგებობის წინ, სამხრ.-აღმ-ით, 11-12 *მ*-ზე გაიწმინდა დიდი დასაკრძალავი ორმო (ფართ. – 166 *კვ მ*, სიღრმე – 3 *მ*). ორმო გადახურული იყო ხის ძელების ორი რიგით. სახურავი გადალესილი იყო პლასტიკური თიხის ფენით, რ-ზეც შემორჩენილი იყო მასზე გადაფარებული ჭილოფის ანაბეჭდები.

დასაკრძალავი ორმოს ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა ერთმანეთთან მიჯრით მდგარი, ვერტიკალურად დაყენებული ხის ძელებით (სიმ. – 2 *მ*) ნაგები დასაკრძალავი ოთხკუთხა შენობა, რ-ის სახურავი ხის ძელებით და ფიცრით იყო გადახურული. ასევე ხის ძელებით იყო მოგებული იატაკი. ამ ნაგებობას განიხილავენ, როგორც დასასვენებელ პოსტამენტს ან სარეცელს.

სარეცელზე დიდი რაოდენობით გამოვლინდა ფრაგმენტებად ქცეული მცირე და დიდი ზომის, ძირითადად შავპრიალა, სარკისებრად გაპრიალებული, ცალყურა და ორყურა დერგები, კათხები, ტოლჩები, ქილის და ჩაიდნის ფორმის ჭურჭელი. მათი უმეტესობა ორნამენტით არის შემკული. გეხვდება ე. წ. ჩაღარულ-ამობურცული და მარგალიტისებრი ორნამენტი. აგრეთვე ფოსოები, შვერილები,



070. გორასამარხი № 2. ოქროს ნივთები: 1. ბიკონუსური მძივი, 2. ორნაწილიანი საკინძი, 3. ლომის ქანდაკება, 4. სასმისის ფორმის ნივთი, 5. მილაკი ზედ მირჩილული მავთულით, 6. კიდეებაკეცილი ფირფიტა – საგარაუდოდ, ხის გარსაკრავი

კოპები, ერთმანეთში ჩახაზული სამკუთხედები,რომბები და სხვა. სარეცელზეა ნაპოვნი ოქროს თხელი ფურცლით დამზადებული ნივთები: რომბისებრი ოთხი მძივი, მილისებრი ნივთის ფრაგმენტი, ღილისებრი ექვსი ნივთი; მუქი აქატის სფერული მძივი; ძვლის, კაჟისა და ობსიდიანის ისრისპირები; ბრინჯაოს დანა და სხვა, ამასთან, წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის ძვლები, რ-ებიც ფიქსირდება თიხის ჭურჭელშიც.

გორასამარხი ძველადვე იყო გაძარცული. ამიტომ ვერ მოხერხდა აქ აღმოჩენილი ადამიანების ჩონჩხთა შორის მთავარი მიცვალებულის დადგენა. სავარაუდოდ იგი სარეცლის სამხრ.-დას. კუთხესთან მარჯვ. გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში და თავით ჩრდ.-დასით მიმართული მიცვალებული უნდა იყოს, რ-საც ყელის არეში ძაფის კოჭისებრი, ოქროს ხუთი და ღია წითელი ფერის სარდიონის, მრგვალ-ბრტყელი ექვსი მძივი აღმოაჩნდა. რაც შეეხება სარეცელზე გამოვლენილ სამი ადამიანის უინვენტარო ჩონჩხის ნაშთებს და ადამიანის ორ ქვედა ყბას (სავარაუდოდ ჩამოვარდნილია გადახურვიდან), ისინი მსხვერპლად შეწირულ(?) ადამიანებს უნდა ეკუთვნოდეს.

სამარხში დადასტურდა ურმის განცალკევებული თვლები. დას. კედლის შუა ნაწილში კი ვერტიკალურად ჩადგმული ურმის თვლის ნახევარი. დასაკრძალავი ნაგებობის გარშემო (ორმოს კედლებსა და მათ შორის არსებულ სივრცეში) დაფიქსირდა ოქრის ფართო ზოლები.

შუა საუკუნეებში ბორცვის თავზე, როგორც ალაზნის ველის ყველაზე მაღალ წერტილზე, სათვალთვალო პუნქტი ყოფილა. აქ დანთებული ცეცხლით მოსახლეობას მტრის შემოსევას ატყობინებდნენ. ბორცვის სამხრ. ფერდზე დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ნაცრისა და დამწვარი მიწის მძლავრი ბუდეები.

დიდი გორასამარხის ჩრდ.-დას.-ით, 1 კმ-ზე, გამოვლინდა მეორე – № 2 გორასამარხი. იგი სახნავის ტერიტორიაზეა, რამაც გამოიწვია მიწაყრილის სიმაღლის მნიშვნელოვნად შემცირება (დიამ. – 80-90 მ, სიმ. ცენტრალურ ნაწილში – 2-2,5 მ). მიწაყრილს შემოსდევდა ქვის ფენილის – „ჯავშნის“ სარტყელი (სიგ. – 10 მ). ცენტრალურ ნაწილში ქვა არ აღმოჩენილა, რიყის ქვის მცირე გროვა დადასტურდა ყრილში ჩაშვებული გორასამარხის თავზე, რ-შიც გამოვლინდა მოხრილკიდურებიანი ერთი მიცვალებულის ჩონჩხი. მიცვალებულს ჩატანებული ჰქონდა ელექტრუმის ორი სასაფეთქლე რგოლი, მძივები და კუს ბაკანი. გორასამარხის ყრილში მრავლად აღმოჩნდა ქრისტ. ხანის უინვენტარო სამარხები.

ძირითადი დასაკრძალავი დარბაზი გამოვლინდა განამარხებული ჰუმუსის დონეზე, ყრილის ცენტრის ქვეშ. ოთხკუთხა ორმო (10x10 მ, სიღრმე – 2,5 მ) ხის ძელებით იყო გადახურული. ძელური გადახურვა თითქმის სიმეტრიულად განლაგებულ ცხრა სვეტს ემყარებოდა. ძელები ზემოდან მოცისფრო-მომწვანო თიხით იყო მოლესილი და შემდეგ მჭიდროდ დაწნული ჭილოფი ეფარა.

ქვეყნის მხარეების მიხედვით დამხრობილი სამარხი ორმოს კედლები ვერტიკალურ სიბრტყეებს წარმოადგენდა (სიმ. – 2,5 მ), მხოლოდ სამხრ. კედლის უკიდურეს დას. ნაწილში აღმოჩნდა მიწის ზედაპირიდან ჩაჭრილი, კუთხეებმომრგვალებული თახჩა (სიგ. – 1 მ, სიღრმე – 1 მ), რ-იც შესასვლელის ფუნქციას ასრულებდა. ეს შესასვლელი ძელების ცალკე სახურავით იყო გადახურული.

დასაკრძალავი კამერის ფსკერი მოლესილი იყო მონაცრისფრო თიხით (სისქე – 0,3 მ) და მოფენილი იყო ისეთივე ჭილოფით, როგორიც სახურავის ძელებს ეფარა. ფსკერის კიდეებზე შეიმჩნეოდა ძლიერი ცეცხლის კვალი, რ-ისგანაც მთელ სიგრძეზე დამწვარი იყო კედლის ნაწილი.

მიცვალებული (30 წლამდე ქალი) ესვენა კამერის ჩრდ.-აღმ. ნაწილში, ჩრდ. კედელთან, უინვენტაროდ, მარჯვ. გვერდზე, მოხრილ მდგომარეობაში, თავით დას-ისკენ. მეორე მიცვალებული (40 წლამდე მამაკაცი), უფრო ცენტრისკენ, მსგავს პოზაში, დაკრძალული იყო უინვენტარო მიცვალებულის წინ. ჩონჩხის თავის არეში აღმოჩნდა სამოცდასამი ბიკონუსური ოქროს მძივი; მაჯებზე – ვერცხლის თითო სამაჯური, ხოლო ზურგს უკან – ვერცხლის ორვოლტიანი საკინძი და აქატის ერთი მძივი.

დასაკრძალავი დარბაზის ცენტრალურ ნაწილში მოთავსებული ყოფილა ხის ოთხთვალა ურემი (ეტლი), რ-ის მხოლოდ ანაბეჭდები შემორჩა. მისი წინა ბორბლები სანახევროდ მიწაში იყო ჩადგმული. ურმის ღერძის თავთან იდო მასში გასაყრელი ბრინჯაოს მანჭვალი. მსგავსი მანჭვალი აღმოჩნდა უკანა, ჩრდ-ით მდებარე ბორბლის ცენტრალურ ნაწილშიც. ურმის უკანა თვლები მოხსნილი და მოცილებული იყო ძარისგან. ურმის ძარაზე აღმოჩნდა: № 1 გორასამარხის მსგავსი, მაღალხარისხოვანი თიხისგან დამზადებული მცირე და საშ. ზომის ჭურჭელი; ოქროს ორნაწილიანი საკინძი, ნაპირებაკეცილი ფირფიტა, მილაკი ზედ მირჩილული გრძელი მავთულით და სხვა.

ურმის ხელნასთან, შეერთების ადგილას, მჭიდროდ ეწყო ძვლის სამი და ობსიდიანის ერთი ისრისპირი. აქვე ნახევარწრედ – რქის ნივთები და ლომის ოქროსგან ჩამოსხმული, სტილიზებული, მინიატურული ქანდაკება, რ-იც შემკულია ცრუ გავარსით, რელიეფური ხაზებითა და მეანდრის ორნამენტით

(ეს უკანასკნელი ფაფრის იმიტაციას ქმნის). ლომის თათები ღრუა და ნახვრეტიანი. სავარაუდოა, რომ ქანდაკება ხის ნივთის (კვერთხის?) ან ურმის ხელნის ბუნიკად იყო გამოყენებული.

ურმის სამხრ-ით, დას. კედლამდე დაწყობილი იყო თიხის დიდი ზომის შვიდი დერგი. სამარხის დას. კედელთან მდგარი ჭურჭლის ძირში აღმოჩნდა ცხვრის 460 და ძროხის ერთი კოჭი (ასტრაგალი), წვრილი რიყის კენჭების გროვა – ერთი დიდი და ორი მომცრო, მრგვალი ქვით. ამასთან, სამარხის სამხრ.-დას. სექტორში გამოვლინდა ფეხიანი ჭიქის მსგავსი ოქროს მცირე და ძვლის მრგვალთავიანი ნივთები და სხვ. სამარხის იატაკზე, იქ, სადაც მიცვალებულები იყო დასვენებული, დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ოქრა.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმსა და საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

რ. რუსიშვილი.

ბიბლ.: 195, 196, 197, 287, 342.

071. გორასამარხები, არქეოლ. ძ. მდებარეობს ყოფ. მეცხოველეობის ფერმის სამხრ.-დას.-ით, 300 მ-ზე. ძ. 1965 წელს გათხარა კახეთისა და საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ერთობლივმა ექსპედიციამ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). გათხრილი გორასამარხიდან ერთი – შუა ბრინჯაოს, ორი კი გვიანდ. ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება.

შუა ბრინჯაოს ხანის გორასამარხი მიწაყრილიანია (სიმ. – 1,2 მ, დიამ. – 24 მ). მიწაყრილის ცენტრში აღმოჩნდა აღმ-იდან-დას-ისკენ დამხრობილი, გაძარცული სამარხი კამერა. დანარჩენ ორ გორასამარხში აღმოჩნდა წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის ძვლები, ცხვრის რელიეფური გამოსახულებით შემკული თიხის ჭურჭელი, შუბისპირები, ბრინჯაოს ცულების იმიტაცია.

თ. მათიაშვილი.

072. დიდი გორის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. ალაზნის მარჯვ. მხარეს. განეკუთვნება ძვ. წ. III ათასწლეულის I ნახევრიდან დაწყებული ვიდრე ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისამდე პერიოდს.

ძ. აღმოჩენილია XX საუკუნის 60-იან წლებში კაპ-ის (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური) მიერ. 1998-1999 წლებში, კაპ-სთან ერთად, ნამოსახლარზე არქეოლ. გათხრები აწარმოა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. ტიუბინგენის ებერჰარდ კარლის სახ. უნ-ტის ადრე და წინარე ისტორიის და შუა საუკუნეების ინსტიტუტის ტროას ჯგუფმა (ხელმძღვანელები: კ. ფიცხელაური, მ. კორფმანი).

დიდიგორა ალაზნის ველის ნამოსახლარებს შორის ყველაზე დიდია (დიამ. – 300 მ, კულტ. ფენების სიმძლავრე – 5 მ). ნამოსახლარს გარშემო უვლიდა ორი თავდაცვითი თხრილი. შიდა თხრილი (სიგ. – 8-9 მ, სიღრმე – 2 მ), გარეთაზე (სიგ. – 5-6 მ, სიღრმე – 1,5 მ) განიერია. დაფიქსირდა ძვ. წ. I ათასწლ. საწყისი საუკუნეების ალიზის კვადრებით ნაგები, თიხით მოლესილი იატაკის მქონე შენობების ფრაგმენტები. შუა და გვიანდ. ბრინჯაოს ხანის მასალა წარმოდგენილია კერამ. ნაწარმით, ქვის იარაღებით. აღმოჩენილია აგრეთვე სარდიონის მძივები, კერამ. საბეჭდავები.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ვ. ვარაზაშვილი, ლ. ჭაბაშვილი.

ბიბლ.: 345, 346.

073. მურაკეების გორანამოსახლარი და გორასამარხები, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფ. ანაგის ჩრდ-ით, 2 კმ-ზე, ალაზნის ველზე, გორიკლებად წოდებულ ადგილში. ნამოსახლარი და ერთ-ერთი გორასამარხი განეკუთვნება ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლოსა და II ათასწლეულს. მეორე გორასამარხი კი – III ათასწლეულის I ნახევარს.

ძ. XX საუკუნის 70-იან წლებში აღმოაჩინა კაპ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). დაზიანებულია სას.-სამ. სამუშაოების გამო.

ბორცვს (დიამ. 300 მ, კულტ. ფენის სიმძლავრე – 2,5 მ) გარშემოსდევდა თავდაცვითი თხრილი (სიგ. – 6 მ, სიღრმე – 2,5 მ). ნამოსახლარზე გამოვლინდა სხვადასხვა პერიოდის, თიხით მოლესილი იატაკის ფრაგმენტები, თიხის ჭურჭლის ნატეხები, ქვისა და ობსიდიანის ანატკეც-ანამტვრევები, ცხოველის ძვლის ფრაგმენტები და სხვ.

ნამოსახლარის დას-ით, 300 მ-ზე, აღმოჩნდა ორი გორასამარხი. ერთ-ერთი გორასამარხის დასაკრძალავი ორმო დაზიანებული იყო მასში ჩაშვებული, ბედენური პერიოდის, მრგვალკამერიანი სამარხით. სამარხი კამერის გადარჩენილ ნაწილში აღმოჩნდა თიხის ჭურჭლისა და ოქროს სამაჯურის ფრაგმენტები.



073. თიხის სამფეხა ჭურჭელი

მეორე გორასამარხი (დიამ. – 100 მ, სიმ. – 2 მ-დე) 1991 წელს გათხარა კაპ-ს და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ქ. ზაარბრიუკენის უნტ-ის წინა და ადრეული ისტორიის და წინა აზიის არქეოლ. ინტ-ის ერთობლივმა ექსპედიციამ

(ხელმძღვანელები კ. ფიცხელაური, ვ. ორტმანი). სამარხის მიწაყრილის ფუძეს, რ-იც ხვნის გამო ძლიერ იყო დაზიანებული, საკმაოდ ფართო, ქვის ყრილი შემოსდევდა. ყრილის ცენტრ. ნაწილის ქვეშ გამოვლინდა დიდი ქვებით შედგენილი წრე (სიმ. – 1,5 *მ*), რ-საც შიდა მხრიდან მიბჯენილი ჰქონდა ქვებისგან შედგენილი, ცენტრისკენ მიმართული სხივები. ყრილის ცენტრ. ნაწილის ქვეშ აღმოჩნდა დასაკრძალავი კამერა (3,8x1,8 *მ*), რ-იც მიმართული იყო ჩრდ-დასიდან სამხრ.-აღმ-ით. სამარხი პირწმინდად იყო გაძარცული.

ვ. ვარაზაშვილი.

ბიბლ.: 199.

074. ნერგითგორის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს მდ. ალაზნის მარჯვ. ნაპირზე, ენამთის ჩასწვრივ, სწორ, გაშლილ ველზე. თარიღდება ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევრიდან მოყოლებული ძვ. წ. I ათასწლეულის დასასრულამდე პერიოდით.

ძ. XX საუკუნის 60-იან წლებში აღმოაჩინა კაპე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).

ნამოსახლარი გორა ველის დონიდან 4-5 მ-ზეა ამოზიდული (დიამ. – 200 *მ*). დაზიანებულია გორაზე გამართული საქონლის სადგომების გამო.

ნამოსახლარზე არქეოლ. სამუშაოები არ ჩატარებულა. ზედაპირულად ანაკრეფი თიხის ჭურჭლის უსახო ფრაგმენტები, ობსიდიანის ანატკეც-ანამტვრევები და ძვლის მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ-ეთნ. საცავში.

ვ. ვარაზაშვილი.

075. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ალაზნის ველზე. განეკუთვნება ძვ. წ. XII საუკუნეს.

1930 წელს, ალაზნის არხის გაყვანის დროს, 1 *მ* სიღრმეზე აღმოჩნდა ერთიმეორის მსგავსი რამდენიმე ორმოსამარხი (შეისწავლა ს. მაკალათიამ). სამარხებში მიცვალებულები ზურგზე იწვნენ და სახე აღმ-ით ჰქონდათ მიქცეული. ყველა მათგანს თავთან მახვილი, ხოლო გვერდით შუბისპირი ედო. სამარხებში აღმოჩნდა ბრინჯაოს სამი მახვილი, ერთი სატევარი, ფარის უმბონი და სხვ. კ. ფიცხელაური დაკრძალვის ასეთ წესს კახეთის ბრინჯაოს ხანის ძეგლებისათვის უცხოდ მიიჩნევს.

ტ. ტაშაშვილი.

ბიბლ.: 347.

076. სამარხი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ალაზნის ველზე, ქუმბათად წოდებულ ადგილში. განეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევრის დასასრულით.

ძ. 1978 წელს გამოავლინა კაპე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). გაითხარა ერთი ქვაყრილიანი ორმოსამარხი, რ-საც რიყის ქვის წრე ჰქონდა შემოვლებული (დიამ. – 5 *მ*). ქვაყრილის გასუფთავებისას, დიდი რაოდენობით აღმოჩნდა კერამიკის ფრაგმენტები. მათი ნაწილი სუსტადაა ნაპრიალები და უორნამენტოა, ნაწილი შავადაა გამომწვარი და თხელი კეცი აქვს, დიდი ნაწილი მონაცრისფროა, თხელკედლიანი. იყო ასევე ძალზე სქელი და უხეში კეცის, ხორკლიანი ზედაპირის მქონე, მოწითალო კერამიკის ფრაგმენტებიც, რ-თა ზედაპირზე დატანილია რელიეფური ხაზების წყება ან ტალღისებრ ხაზებს შორის მოქცეული სწორი ხაზი.

ქვაყრილის ქვეშ აღმოჩენილ ორმოსამარხში (სიგრ. – 1,7 *მ*, სიგ. – 1,40 *მ*, სიმ. – 0, 80 *მ*) მიცვალებული ესვენა სამარხის ცენტრ. ნაწილში, მარცხ. გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით ჩრდ.-დასისკენ. თავის ქალის უკან იდო თიხის ერთი პატარა და ერთი მოზრდილი ჯამი, ხოლო მათ აღმ-ით – მესამე ჭურჭელი. პატარა ჯამი მოყავისფრო-მონაცრისფროა, რუხი ლაქებით, ფართო, ოდნავ შიგნით გადახრილი პირით და დაბალი ქუსლით. დიდი ზომის მეორე ჯამი შავპრიალაა, ფართო, ოდნავ შიგნით გადახრილი პირით და გარეთა მხარეს გადაშლილი ბაკოთი. მესამე ჭურჭელი ძლიერაა დაზიანებული და მის შესახებ რაიმეს თქმა შეუძლებელია. მიცვალებულის ყელთან ბრინჯაოს ოთხი პატარა, ბოლოებგახსნილი რგოლი, ხოლო სამარხის ჩრდ. კედელთან წვრილფეხა საქონლის ძვლები აღმოჩნდა.

რ. რუსიშვილი.

ბიბლ.: 200.

077. სამარხი, არქეოლ. ძ. აღმოჩნდა ალაზნის ველის მარჯვ. მონაკვეთში, ქუმბათად წოდებულ ადგილში, „ნაომარი გორის“ ნამოსახლარზე. განეკუთვნება ძვ. და ახ. წელთაღრიცხვების მიჯნას. სასილოსე ორმოს ამოღებისას დაზიანდა ორმოსამარხი, რ-იც 1973 წელს გათხარა კაპე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).

ორმოსამარხი ინჰუმაციურია. დამხრობილია ჩრდ-დიდან სამხრ-ისაკენ. სამარხში აღმოჩნდა: თიხის სამი ჭურჭელი – შავპრიალა, მრგვალპირიანი ხელადა, წითელკეციანი პატარა, ცალყურა სასმისი, მოწითალოდ გამომწვარი და წითლად მოხატული, ქუსლიანი თასი; ბრინჯაოს მოზრდილი ზარაკი, კილიტები; ძვლის სანელსაცხებლე; ქვის კვირისტავები; სარდიონის, მინის, ფაიანსის მძივები; ნიჟარა კაური.

ნ. მამაიაშვილი.

ბიბლ.: 342.

078. სკვითურინვენტარიანი სამარხი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ალაზნის ვაკეზე, მდ. ალაზნის მარჯვ. ნაპირიდან 1,5-2 კმ-ზე. განეკუთვნება ძვ. წ. V-IV საუკუნეებს. შეისწავლა კაპე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).

1973 წელს წნორის მეცხოველეობის კომპლექსის ტერიტორიაზე მშენებლებმა დააზიანეს ალაზნის ლამში, 2 მ-ის სიღრ-

მეზე მდებარე სამარხი ორმო (სიგრ. – 3 *მ*, სიგ. – 2,2 *მ*), რ-იც დამხობილი იყო აღმ-იდან დას-ისკენ, სამხრ-ისკენ უმნიშვნელო გადახრით. სამარხს საფეხურიანი ფსკერი ჰქონია. საფეხური სამარხის აღმ. ნაწილშია მოწყობილი. მიცვალებული ორმოს აღმ. ნაწილშივე ესვენა ზურგზე. მისი ბარძაყები ცხენზე იყო დასვენებული, რ-იც სამარხის დას., ღრმა ნაწილში მარცხ. გვერდზე, კიდურებმოხრილი იყო დამარხული. მიცვალებულის ტერფები – ორმოს აღმ. ნაწილის ფსკერზე მოწყობილ საფეხურზე დადასტურდა.

სამარხის სამხრ. ნაწილში გამოვლინდა: ცხენის თავის ქალა, რკინის ლაგმის ფრაგმენტები, ცხვრის ძვლები, ქვიშანარევი თიხის, არათანაბრად გამომწვარი ქოთანი და მოწითალოდ გამომწვარი, მსხვილმარცვლოვანი თიხის ორყურა დერგი. სამარხის აღმ. ნაწილში, მიცვალებულის თავის ქალის ქვეშ, აღმოჩნდა რკინის დიდი შუბისპირის ძლიერ დაჟანგული ნატეხები და ცხენის აღკაზმულობასთან დაკავშირებული, პატარა, კონუსური ფორმის ძვლის ნივთები. მარჯვ. ყურთან – ოქროს საყურე; მარჯვ. ხელის სხივის ძვლებთან – რკინის სატევრის ნატეხები და ბრინჯაოს ხვიები; მენჯის ქვეშ – გულდასმით გამოთლილი და გაპრიალებული, ვიწრო და გრძელი, ერთ ბოლოზე ნახვრეტიანი, სალესი ქვა და რკინის ნივთის ნაშთი. მარცხ. ფეხის მუხლთან – ბრინჯაოსა და რკინის პირამიდული ფორმის, სამწახნაგა და სამფრთიანი, ძლიერ დაჟანგული ისრისპირები, აგრეთვე ძვლის წაგრძელებული, პირამიდული, ოთხწახნაგა, მრგვალღრუიანი და შაშხანისტყვიისებრი ისრისპირები; მარცხ. ხელის იდაყვთან – ბრინჯაოს ბრტყელი ფირფიტისაგან დამზადებული ბალთა (სიგრ. – 7,5 *სმ*, სიმ. – 8 *სმ*.), რ-იც წარმოადგენს გავისაკენ თავშემობრუნებული ცხოველის სტილიზებულ გამოსახულებას.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ნ. მამაიაშვილი.

ბიბლ.: 119.

079. ჩათიბულას გორასამარხი, არქეოლ. ძ., მდებარეობს მდ. ალაზნის მარჯვ. მხარეს, ჩათიბულად წოდებულ ადგილში. თარიღდება ძვ. წ. XXV-XX საუკუნეებით.

ძ. შემთხვევით აღმოჩნდა სადრენაჟო სამუშაოების წარმოების დროს. 1989 წელს შეისწავლა კაე-მ (ხელმძღ. კ. ფიცხელაური;).

გორასამარხის (დიამ. – 50 *მ*. სიმ. – 2 *მ*) მიწაყრილს გარს შემოსდევდა რიყის ქვის ჯაგშანი (სიგ. – 2 *მ*). სამარხის ცენტრში, რიყის ქვის ზვინულის (დიამ. – 21 *მ*) ქვეშ აღმოჩნდა აღმ-იდან დას-ისკენ დამხრობილი, დასაკრძალავი კამერა (სიგრ. – 6 *მ*, სიგ. – 3 *მ*), რ-იც 3,30 *მ* სიღრმეზე ყვითელ თიხაში იყო ჩაჭრილი. ორმოს ნაპირი მოსელილი იყო ყვითელი თიხით (სისქე – 0,3-0,5 *სმ*), რ-ზეც ეწყო გადამხურავი ხის ძელები. გადახურვაზე ჩრდ.-აღმ. და სამხრ.-დას. კუთხეებში აღმოჩნდა თითო ცხოველის ჩონჩხი (შეწირულები?).

სამარხის იატაკი გამართული იყო ლამის ფენაზე. იატაკს ჩრდ. და სამხრ. კედლის გასწვრივ, მთელ სიგრძეზე, გასდევდა ბაქანი (სიმ. – 10-15 *სმ*). ჩრდ. ბაქანი (სიგ. – 70 *მ*) სამხრ-ისაზე 20 *მ*-ით განიერი იყო. ორივე მათგანი გამაგრებული იყო ხის ძელებით. გორასამარხში ადამიანის ჩონჩხი არ აღმოჩნდა. სავარაუდოდ სამარხი გაძარცულია – აღმოჩნდა მხოლოდ თიხის 5 ჭურჭელი და ბრინჯაოს ერთი სატევარი. ჭურჭელი შავპრიალაა, ბრწყინვალედ დამუშავებული. დამზადებულია წმინდა თიხისაგან და კარგადაა გამომწვარი. შემკობილია წერტილოვანი, წვრილი ხაზების ერთობლიობით.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ჯ. ვარაზაშვილი.

ალექსაანთყურის სამაროვანი, იხ. ალაზნის ველის არქეოლოგიური ძეგლები.

ანაგა

(სათავო სოფელი)

080. ანაგა, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს ალაზნის ვაკეზე, ზ. დ. 400 *მ*-ზე, სიღნაღიდან 6 *კმ*-ზე, წნორიდან (უახლოესი რკ-გზ. სადგ.) 9 *კმ*-ზე.

080. სოფლის საერთო ხედი სამხრ-დან. უკანა პლანზე: ალაზნის ველი



ისტ. წყაროებში ანაგა XVII საუკუნიდან იხსენიება, მაგრამ არქეოლ. მასალა მოწმობს, რომ სოფლისა და მისი შემოგარენის ტერიტ. უძველესი დროიდან ყოფილა დასახლებული. იოანე ბაგრატიონი „ქართლ-კახეთის აღწერაში“ ანაგასთან ერთად ბაიდარაანს და როჭიკაანთ ყურეს ასახელებს. ამჟამად ორივე სოფელი ანაგის უბანს წარმოადგენს. ანაგაზე გადიოდა საზამთრო, კერძოდ, შირაქის ველისა და კავკასიონის საზაფხულო საძოვრების დამაკავშირებელი, წინამხრის გზა. ხელსაყრელი, ბუნებრივი პირობები ხელს უწყობდა მეურნეობის მრავალი დარგის განვითარებას. მოსახლეობა ყოველთვის მისდევდა მემინდვრეობას, მესაქონლეობას, მეაბრეშუმეობას, მებოსტნეობას. განსაკუთრებით – მევენახეობა-მეღვინეობას.

განვითარებული იყო ხელოსნობა და ვაჭრობა. ანაგაში დამზადებული ქვევრები მთელ კახეთში საუკეთესოდ ითვლებოდა. შემორჩენილია XIX საუკუნის II ნახევრის და XX საუკუნის დასაწყისის დამღადასმული ქვევრები.

ადგილ. მცხოვრებთა გადმოცემით, სოფელში სხვადასხვა დანიშნულების სახელოსნოები და დუქნები წნორისაკენ მიმავალ გზაზე იყო განლაგებული. შემორჩენილია XIX საუკუნის ერთი დუქანი, რ-იც მასზე არსებული წარწერის მიხედვით, სურსათით მოვაჭრე კეკელა თანდაშვილს ეკუთვნოდა.

ანაგელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს კახეთის 1812 წლის აჯანყებაში. აჯანყებულების მიერ სიღნაღსა და ბოდბისხევში განლაგებული რუსის ჯარის განადგურების შემდეგ, ანაგელებმაც გაანადგურეს სოფელში დაბანაკებული კაზაკთა პოლკი.

1877-1878 წლებში, რუსეთ-თურქეთის ომის დროს, სიღნაღის მაზრის სოფლებში ხმა გავრცელდა, რომ მთავრობის დავალებით მამასახლისებმა შეადგინეს ფრონტზე გასაგზავნთა სიები. ანაგელებმა შური იძიეს ქველაზე, ვინც მონაწილეობდა სიების შედგენაში.

1906 წელს რსდმპ სიღნაღის გაერთიანებულმა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ სოფელში, თ. ხიზანიშვილის ბინაზე მოაწყო არალეგალური სტამბა, რ-შიც რევ. პროკლამაციები იბეჭდებოდა. სტამბამ 1907 წლის დამდეგამდე იარსება.

1931 წელს ამუშავდა ღვინის პირველი ქ-ნა, მაგრამ ქარხნის ტერიტორიაზე უფრო ძვ. – XIX და XX საუკუნეების დასაწყისის ქვევრებია (სულ 350 ტონის ტევადობის 168 ქვევრი), რ-ებზედაც დამამზადებლების გვარებია მითითებული.. ამჟამად ქარხანას აქვს წითელი ღვინის სამი და თეთრი ღვინის ერთი ხაზი. სოფელშია ბიოღვინის მწარმოებელი შპს – „ვინობიო“.

ანაგაში დაიბადა არაერთი გამოჩენილი მამულიშვილი. მ.შ. საქართვ. დემოკრ. რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების წევრი, 1918 წლის საქართვ. დამოუკიდებლობის აქტზე ხელის მომწერი სიმონ გიორგის ძე ახმეტელი, გენერალ-მაიორი, საქართვ. დამოუკიდებლობის წლებში სახალხო გვარდიის თბილისის გარნიზონის უფროსი, 1921 წელს კოჯრის მიდამოებში მე-11 არმიის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლების მონაწილე სტეფანე გიორგის ძე ახმეტელი, რეჟისორი ალექსანდრე (სანდრო) ახმეტელი, კომპოზიტორი მიხეილ ჩირინაშვილი, მომღერალი ჰამლეტ გონაშვილი და სხვ.

ლ. მოწონელიძე.

ბიბლ.: 22(ბ,დ,ე), 27, 36, 98, 141, 176, 216.

081. სანდრო ახმეტელის სახლ-მუზეუმი, ისტ. ძ. დგას სოფლის ცენტრში. შემორჩენილი იყო სანდრო ახმეტელისეული სახლის მხოლოდ ერთი კედელი. რეჟისორის საიუბილეოდ, დაბადებიდან 100 წლისთავზე, აშენდა ახ. შენობა. მუზეუმი გაიხსნა 1979 წელს. სოფელმა მისი გახსნა 1982 წელსაც აღნიშნა.

სახლი ერთსართულიანია. ნაგებია აგურით. სახლ-მუზეუმში არის სანდრო ახმეტელის პირადი ნივთები, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ექსპონატები, ფოტომასალა და დოკუმენტები, ახმეტელების გვარის ერთ-ერთი ოჯახიდან წამოღებული ავეჯი. სახლს აქვს მემორ. დაფა: „ამ სახლში ცხოვრობდა დიდი ქართველი რეჟისორი სანდრო ახმეტელი“.



081. მთავარი ფასადი

ც. ბერძენიშვილი.

ბიბლ.: 99.

082. ბუჭყიაანთ ციხე, კოშკი, არქიტ. ძ. დგას გ. ბაღაშვილის კარ-მიდამოში. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს. წარსულში ეკუთვნოდა ბუჭყიაშვილებს.

კოშკი გეგმით წრიული მოხაზულობისაა. ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და დუღაბით. ძლიერ დაზიანებულია, შემორჩენილია მხოლოდ ჩრდ. კედელი (სამი სართულის სიმაღლეზე), რ-შიც პირველ და მეორე სართულზე თაღოვანი შესასვლელებია გაჭრილი. მეორე სართულზე, შესასვლელის გარდა, სათოფურებიცაა. სართულშუა გადახურვა ხის კოჭებზე ყოფილა გამართული (შემორჩენილია კოჭების ბუდეები).

ბ. კუპრეიშვილი.

083. ეკლესია, არქიტ. ძ., დგას სოფლის ძველ სასაფლაოზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია. ნაგებია რიყისა და ნატეხი ქვით. გამოყენებულია აგურიც. დაზიანებულია: ჩამოშლილია სახურავის საფარი და ლავგარდანი, მთელ სიმაღლეზეა გაბზარული აღმ. და დას. კედლები,დას. კედელზე მდგარი სამრეკლოს მხოლოდ მცირე ნაწილია შემორჩენილი.

შესასვლელი ორია: სამხრიდან და დას-იდან. ორივე კარი სწორკუთხაა. აღმ-ით ღრმა, ნახევარწრიული აფსიდია, რშიც ვიწრო, სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ჩრდ-ით ერთი თაღოვანი და ერთი სწორკუთხა ნიშაა, სამხრით – ერთი სწორკუთხა. საკურთხევლის შუაში დგას ოთხწახნაგა ტრაპეზი. საკურთხეველი დარბაზისგან გამიჯნული იყო კანკელით (შემორჩენილია მცირე ნაწილი). აფსიდის მხრებს ეყრდნობა ოდნავ შეისრული, სატრიუმფო თაღი. შეისრულია კამარაც, რ-ის საბჯენი თაღი გრძივ კედლებზე არსებულ, ერთსაფეხურიან პილასტრებზეა გადაყვანილი. დას. კუთხის პილასტრები მასიურია. დას., სამხრ. და ჩრდ. კედლებში თითო ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი.

აღმ. ფასადზე,სარკმლის ზემოთ, საფეხურებიან პოსტამენტზე აღმართული ჯვარია გამოსახული. ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა სამხრ. ფასადის წყობაში ჩატანებულ შირიმის ქვაზე.

ლავგარდანი (ფრაგმენტი შემორჩენილია აღმ. ფასადზე) აგურის სამმაგი, ჰორიზ. წყობით ყოფილა შედგენილი.

ბ. კუპრეიშვილი.

084. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ძველ სასაფლაოზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს. ნაგებია რიყის ქვით, ნატეხი ქვითა და კირის დუღაბით. ძლიერ დაზიანებულია: სამხრ. და დას. კედლების მხოლოდ საძირკველია შემორჩენილი. ბრტყელ აფსიდში ვიწრო, სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი.

ბ. კუპრეიშვილი.

085. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სასაფლაოზე. სამშენ. წარწერის თანახმად, აგებულია 1601 წელს.

მოსახლეობის მიერ თვითნებურად ჩატარებული რემონტის გამო, ეკლესიას თავდაპირველი სახე ძლიერ აქვს შეცვლილი. გარედან ეკლესიის კედლები ცემენტით, შიგნიდან კი გაჯითაა შელესილი. საშენ მასალად, რამდენადაც ეს გარეთა კედლების ზედაპირის მიხედვით შეიძლება დადგინდეს, ძირითადად გამოყენებულია რიყის ქვა. ორივე შესასვლელი კი აგურითაა გამოყვანილი. აგურისაა ლავგარდანიც, რ-იც მთლიანად ეკლესიის რემონტის დროინდელია.



085. ხედი ჩრდ.-დას-იდან

ეკლ. დარბაზული ტიპისაა. შესასვლელი ორია. დას-ით და ჩრდ-ით (გვიანდელია). ორივე კარი მშვილდისებრი თაღითაა დასრულებული. ჩრდ. კარის ღიობის ფარგლებში მოწყობილია კიბის ორი საფეხური.

აღმ-ით აფსიდია, რ-იც დარბაზისგან გამიჯნულია კანკელით (გვიანდელია). აფსიდში თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. თითო მსგავსი სარკმელი დანარჩენ კედლებშიცაა. აფსიდი შემაღლებული პროპორციების მქონე, შეისრულთაღიანი კონქითაა დასრულებული. დარბაზის გრძივი კედლების შუაში თითო პილასტრია, რ-ებსაც კამარის საბჯენი თაღი ეყრდნობა. საბჯენი თაღიც და კამარაც შეისრულია.



085. დას. ფასადი. ქვა სამშენ. წარწერით

ეკლესიის ფასადებიდან მხოლოდ აღმ. ფასადია მორთული. მორთულობის ელემენტებია აგურის წყობის შეღრმავებით გამოყვანილი, საფეხუროვან პოსტამენტზე დაყრდნობილი ჯვარი და ოთხი რომბი. ისინი ფრონტონის არეშია სიმეტრიულად განლაგებული – ცენტრში ჯვარია, მის ორივე მხარეს კი – ორი-ორი რომბი. ფრონტონის სამხრ. კუთხესთან მცირე ზომის, ოთხკუთხა ღიობია.

ეკლესიის დას. ფასადზე, შესასვლელის მარცხ. გვერდის აყოლებით, ორმოცდაათიოდე *სმ* სიმაღლეზე, პატარა ნიშაა (25x15 *სმ*). ნიშაში ჩასმულ ქვიშაქვის ქვაზე დაცულია მხედრ. დამწერლობით შესრულებული, სამსტრიქონიანი, სამშენ. წარწერა. წარწერის თანახმად, ეკლ. აუშენებია ვინმე ზოსქემს(?). წარწერის ბოლოში იკითხება სახელი „ესაკია“, შემდეგ კი – აგების თარიღი – 1601 წელი.

ეკლესიის დას. ფრონტონის წვერზე დადგმულია მცირე

ზომის, ცილინდრული ფორმის სამრეკლო, რ-იც ხუთი ვიწრო, ნახევარწრიულთაღოვანი ღიობითაა გახსნილი.

ეკლ. გადახურულია ღარისებრი კრამიტით. სამრეკლოს თუნუქის, კონუსისებრი სახურავი ხურავს.

თ. დვალი.

086. კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას. ნაწილში. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

კოშკი ოთხკუთხაა. ნაგებია რიყის ქვითა და კირის დუღაბით. ალაგ-ალაგ გამოყენებულია ე. წ. ქართული აგური. ძლიერაა დაზიანებული.



086. ხედი დას-იდან

შემორჩენილია მხოლოდ დას. კედელი, რ-იც ორსართულნახევრის სიმაღლეზეა დგას. სამხრ. და ჩრდ. კედლებიდან მხოლოდ დას. კედელზე მიმდგარი ნაწილებია დარჩენილი. ამ კედლების დანარჩენი ნაწილები, აღმ. კედელთან ერთად, მიწის პირამდეა დანგრეული და მცენარეულობით დაფარული.

კოშკში შესასვლელი მეორე სართულზეა – დას. კედლის შუა ნაწილში. კარი გარედან შეისრულთაღოვანია. გამოყვანილია აგურით. შიგნიდან კი, ხის ძელებით, თარაზულად ყოფილა გადახურული. შესასვლელს ხის ზღურბლი ჰქონია, რ-ისგანაც მხოლოდ კვალიღაა შემორჩენილი. ამ სართულზე კედელში სათოფურებია. სართულშუა გადახურვა გამართული ყოფილა ხის კოჭებზე (შემორჩენილია კოჭების ბუდეები). შესასვლელის ქვემოთ, პირველი სართულის კედელი განგრეულია.

ბ. კუპრეიშვილი.

087. მიძელ მთავარანგელოზის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, დაახლ. 1,5 კმ-ზე, მშრალი ხევის მარჯვ. მხარეს, ოთხმოციოდე მ-ის მანძილზე. ადგილ. მოსახლეობა ტაძრის მიმართ განსაკუთრებულ პატივისცემას გამოხატავს. ოდითგანვე ყოველი წლის 21 ნოემბერს აქ, მათთან ერთად, თავს იყრიდა ქიზიყის სხვადასხვა სოფლებიდან მოსული მრევლი. ტაძრის გარშემო არსებობდა ღამისგასათევი სათავსები, თონეები და სხვ. ამჟამად აქ მამათა მონასტერი ფუნქციონირებს.

ძ. სხვადასხვა პერიოდის, დაახლ. თანაბარი სიდიდის, ორ ნაწილს შეიცავს, რ-ებიც გეგმით ერთმანეთზე მიდგმულ ორ სწორკუთხედს ქმნის. თავდაპირველად აქ მდგარა მცირე, დარბაზული ეკლ., რ-ისთვისაც აღმ. მხრიდან, მოგვიანებით მიუდგამთ თითქმის იგივე ზომის ახ. ნაწილი, რამაც ეკლ. მნიშვნელოვნად დააგრძელა. შენობის თავდაპირველი ნაწილი XVIII საუკუნის II ნახევრით შეიძლება დათარიღდეს, მოგვიანებით მიშენებული ნაწილი კი – XIX საუკუნის მიწურულით. საბჭ. პერიოდში ეკლესიისათვის სამხრ. მხრიდან, მთელ სიგრძეზე, მიუშენებიათ საეკლ. დანიშნულების, შენობის ძველ ნაწილებთან შეუსაბამო ნაგებობა, რ-იც 2010-2011 წლებში, ეკლესიის რეაბილიტაციის დროს, მოხსნეს და მის ნაცვლად რამდენადმე დაბალი, ეკლესიის ძველ ნაწილებთან შეხამებული, ცალფერდა სახურავით გადახურული ნაგებობა ააგეს. ეკლესიასთან იგი კარით არის დაკავშირებული. ამავე დროს ეკლესიის ძვ. ნაწილები აამაღლეს და ერთიანი სახურავის ქვეშ მოაქციეს (სამუშაოებს აწარმოებდა წმ. სტეფანე ხირსელის მამათა მონასტრის აღორძინების კავშირი).



087. ხედი სამხრ.-დას-იდან

პირველი, რაც თვალში ხვდება მნახველს, შენობის ნაწილთა საშენი მასალის სხვადასხვაგვარობაა. ეკლესიის ძვ. ნაწილის კედლები კვადრ. თავად თაღი კი – პილასტრებს. ძვ. ეკლესიის ჩრდ. კედელში ერთი სარკმელია გაჭრილი. მისი გარეთა ღიობი რეაბილიტაციის დროს არის გაფართოებული. ერთი თაღოვანი სარკმელი მოგვიანებით მიშენებული ნაწილის აღმ. კედელში-



087. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

აგურისა და რიყის ქვის შერეული წყობით კირის დუღაბზეა ნაგები. კედლების ზედაპირი გარედან ბათქაშით არის გასწორებული და შეთეთრებული. მოგვიანებით მიშენებული ნაწილი კი მთლიანად აგურისაა – შეულესავი. შენობის ძვ. ნაწილის წყობა მაღალპროფესიულ დონეზეა შესრულებული. გარეთა კედლების წყობაში რიყის ქვისა და აგურის რიგები ენაცვლება ერთმანეთს. კუთხეები, კარ-სარკმელთა ღიობები და მორთულობის ელემენტები კი აგურითაა გამოყვანილი.

თაღდაპირველი ეკლ. სავარაუდოდ, უაფსიდო ყოფილა და აღმ-ით სწორი კედლით იყო დასრულებული. შესასვლელი მას სამხრ-იდან და დას-იდან აქვს. ორივე კარი მშვილდისებრთაღოვანია. შიგნით ეკლ. გადახურულია ნახევარწრიული კამარით, რ-იც იგივე ფორმის ერთ საბჯენ თაღს ეყრდნობა. ცაა. ჩრდ. სარკმლის მსგავსად, ეს უკანასკნელიც რებილიტაციის დროსაა გაფართოებული. ამ სარკმლების გარდა, შიდა სივრცეს დას. კედელში მოწყობილი, გვერდიგვერდ განლაგებული, ორი მცირე ზომის, მრგვალი სარკმელიც აშუქებს. მათი გარეთა ღიობი ფრონტონის არეშია მოქცეული.


დას. ფასადზე, შესასვლელის ზემოთ,ტოლმკლავა ჯვრის შეღრმავებული გამოსახულებაა, რ-ის ზედა მკლავი რამდენადმე ფრონტონის არეშია შეჭრილი.

სამხრ. მინაშენს სამხრ-იდან დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს. მინაშენი განაპირებულია ხუთი თაღოვანი სარკმლით – თითო აღმ-ით და დას-ითაა, სამი სამხრ-ით.

ეკლესიაც და მინაშენი ღარისებრი კრამიტის არის გადახურული.

თ. დვალი.

088. ნინოწმინდის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ცენტრ. ნაწილში, გზის პირას. თარიღდ-




088. გეგმა

ება XVIII-XIX საუკუნეების მიჯნით.

ეკლ. დარბაზულია, ძირითადად ნაგებია წვრილი რიყის ქვით. კონსტრ. ნაწილებში და კარ-სარკმლების ღიობებში გამოყენებულია „ქართული“ აგური.

შესასვლელი ორია: სამხრიდან და დას-იდან. აღმ-ით ნახ-



088. გრძივი ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

ევარწრიული აფსიდია, რ-შიც ფართო, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. მსგავსი თითო სარკმელი ეკლესიის დანარჩენ კედლებშიცაა. აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, ორ-ორი თაღოვანი ნიშაა.

გრძივი კედლების შუა ნაწილში და დარბაზის დას. კუთხეებში თითო პილასტრია, რ-ებზეც შეისრული საბჯენი თაღია გადაყვანილი. შეისრულია კამარაც.

აღმ. ფასადზე, სარკმლის ორივე მხარეს, გადახურვის დონეზე, წყობის შეღრმავებით თითო მოზრდილი რომბია გამოსახული, სარკმლის ზემოთ კი – ჯვარი. მსგავსადაა გაფორმე-



088. ინტერიერი. ხედი აღმ-კენ

აღდგა ავთენტური მასალით,მოეწყო აგურის ახ. ლავგარდანი, დას. შესასვლელის გადამხურავი, ვაზის საყრდენი რკინა-ბეტონის სარები შეიცვალა ხის კოჭებით. საკურთხეველში და დარბაზში დაიგო აგურის იატაკი, მოიხსნა. დას. კედელზე დაშენებული სამრეკლო, ასევე ძვ. სახურავი და ეკლ. ღარისებრი კრამიტით დაიბურა.

თ. დვალი.

089. ფერისცვალების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფელში, ცენტრ. გზის პირას. საბჭ. პერიოდში ეკლ. სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენებოდა (1924 წელს ეკლესიაში განთავსეს კულტურის სახლი, ნაგებობა შთამბეჭდავი, მოზრდილი ზომის, სამნავიანი ბაზილიკაა. აქვს ორი შესასვლელი – სამხრ-ით და ჩრდ-ით. შენობა ნაგებია რიყის ქვითა და „ქართული“ აგურით. წყობა ტრადიციულია – „კახური“. რ-შიც რიყის ქვითა და აგურით გამოყვანილი რიგები ენაცვლება ერთმანეთს. გარეთა კუთხეები, არქიტ. და კონსტრ. ელემენტები აგურითაა გამოყვანილი.

ეკლესიის გარეთა კედლებში აშკარად შესამჩნევია ორი სამშენ. ფენა, რ-თა შორის თავდაპირველი, სავარაუდოდ, XVIII საუკუნის II ნახევრით



089. საერთო ხედი სამხრ.-აღმ-იდან

ბული დას. ფასადიც.

გასული საუკუნის II ნახევარში მოსახლეობის მიერ თვითნებურად ჩატარებული რემონტის გამო, ეკლესიას თავდაპირველი სახე ძლიერ ჰქონდა შეცვლილი. 2020 წელს, საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით, ძეგლს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (სამუშაოებს აწარმოებდა წმ. სტეფანე ხირსელის მამათა მონასტრის აღორძინების კავშირი), რ-ის დროსაც ცემენტის უსახური ნალესობისგან გაიწმინდა გარეთა კედლები, მოიხსნა კედლების ზედა, ბეტონით აღდგენილი ნაწილები და ისინი



088. ხედი ჩრდ.-დას-იდან

ეკლესიის გვერდით კი – წისქვილი), რის გამოც მან არსებითი გადაკეთებები განიცადა.

2007-2009 წლებში საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონ,,დის დაფინანსებით ეკლესიას ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორები, არქიტექტორ-რესტავრატორები: რ. ცხადაძე და ლ. მიქუჭაძე. სამუშაოებს აწარმოებდა წმ. სტეფანე ხირსელის მამათა მონასტრის აღორძინების კავშირი). ამჟამად ეკლ. მოქმედია.

უნდა დათარიღდეს, გვიანდ. ფენა კი – XIX საუკუნით. შიგნით ეკლ. მთლიანად შელესილია, ამის გამო შენობის ფენების გამიჯვნა შეუძლებელია.

ბაზილიკის შიდა სივრცე ორი წყვილი ბურჯით სამ ნავადაა გაყოფილი. შუა ნავი, გვერდით ნავებთან შედარებით, სამჯერ უფრო განიერია და გაცილებით მაღალი (ნავის ზედა ნახევარი აღდგენილია რესტავრაციის დროს). გვერდით ნავებთან იგი დაკავშირებულია სამ-სამი ნახევარწრიული

თაღით, რ-თა შორის შუა, გვერდითებთან შედარებით, თითქმის ორჯერ უფრო განიერია და ოდნავ მაღალი. შუა ნავი აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-ის ღერძზე მაღალი, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. ამ სარკმლის გარ-



089. ინტერიერი. შუა ნავი. ხედი აღმ-კენ

და, ნავი კიდევ ექვსი სარკმლით ნათდება, რ-ებიც ნავის გრძივ, აღდგენილ კედლებშია მოწყობილი. ნავი გადახურულია ორ საბჯენ თაღზე დაყრდნობილი კამარით. თაღები, თავის მხრივ, ეყრდნობა ნავების გამყოფ ბურჯებზე გამოყვანილ პილასტრებს. თითო პილასტრი ნავის დას. კუთხეებშიცაა. მათ დას. კედლის მიმდებარე თაღი ეყრდნობა.

გვერდითი ნავების აღმ. ბოლოში თითო სათავსია – სამკვეთლო და სადიაკვნე. ორივე სათავსი აღმ. კედელში მოწყობილი, თაღოვანი სარკმლითაა განათებული და შესაბამის ნავს მაღალი, ნახევარწრიულთაღოვანი კარით უკავშირდება. ორივე სათავსის თავზე იმავე ფართობის თითო სათავსია, რებსაც შესასვლელი შესაბამისი ნავიდან აქვს. ორივე ნავის დანარჩენი სივრცე მთავარი ნავის მსგავსადაა დანაწევრებული. ნავების გადამხურავი კამარა აქაც ნახევარწრიული ფორმისაა და ორ საბჯენ თაღს ეყრდნობა. თავად თაღები კი – პილასტრებს, რ-თა შორის ერთი – ნავების გამყოფ ბურჯს აუყვება, მეორე კი – გვერდითი ნავის შესაბამის გრძივ კედელს. პილასტრებს შორის, ორივე კედელზე, ნახევარწრიული თაღით დასრულებული, საფეხურით შეღრმავებული, ბრტყელი ნიშაა. ორივე ნავის კამარის ბოლოში საბჯენი თაღია გამოყვანილი, რ-იც კუთხის პილასტრებს ეყრდნობა.

გვერდითი ნავები განათებული იყო გრძივ კედლებში მოწყობილი ორ-ორი განიერი, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმლით, რ-ებიც შესასვლელის ორივე მხარეს იყო მოწყობილი.

XIX საუკუნეში, ეკლესიის გადაკეთებების დროს, გრძივი კედლების ბოლოებში არსებულ სარკმლებზე ოდნავ უფრო მაღლა, თითო მრგვალი სარკმელი მოუწყვიათ.

XX საუკუნეში, ეკლესიის სასოფლო კლუბად გადაკეთების დროს, შემობაზე დას-იდან მიუშენებიათ მოზრდილი, ოთხკუთხა ნაგებობა [შემორჩენილია მხოლოდ დას. კედელი (სიმ. 5 მ-დე)], რ-იც სცენისთვის იყო განკუთვნილი. ამ დროს ეკლესიის დას. კედელი მოუშლიათ და მთავარი ნავის მთელ სიგანეზე მოუწყვიათ ფართო, მშვილდისებრთაღოვანი ღიობი, რ-ითაც ეკლ. მინაშენთან იყო დაკავშირებული.

ეკლესიის ფასადები სადაა. შენობის გარეგანი ფორმები მკაფიოდ ასახავს სივრცის შინაგან სტრუქტურას. შენობის აღმ. ფასადი ბაზილიკური ნაგებობების ტიპური აბრისითაა წარმოდგენილი – შუა ეკლესიის მაღალ, ორფერდა სახურავით დასრულებულ კედლის სიბრტყეს გვერდებიდან ერთვის შედარებით დაბალი, ცალფერდა სახურავით დასრულებული, გვერდითი ნავების კედლის სიბრტყეები. ფასადის ღერძზე საკურთხევლის მაღალი, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელია. მის ორივე მხარეს კი – დაახლ. 1,5 მ-ით ქვემოთ – სამკვეთლოსა და სადიაკვნის მცირე ზომის, თითო თაღოვანი სარკმელი.

სამხრ. და ჩრდ. ფასადები, ფორმათა აღნაგობით, ერთმანეთის ანალოგიურია. ფასადის ქვედა, გვერდითი ნავის წინწამოწეული ნაწილის დას. ნახევარში განიერი, ნახევარწრიული თაღით დასრულებული შესასვლელია, რ-ის ორივე მხარეს თითო განიერი, თაღოვანი სარკმელია განლაგებული. ამ სარკმლებსა და შესასვლელს შორის კი იმავე ზომის



089. ინტერიერი. შუა ნავი. ხედი ჩრდ.-აღმ-კენ

თითო ცრუ სარკმელია. ოთხივე სარკმელი მორთული იყო ნახევარწრიული თავსართით – მოკლე, ჰორიზ. გადანაკეცებით ბოლოებთან. მსგავსი თავსართით იყო მორთული მრგვალი სარკმლებიც. ორივე ფასადზე, შესასვლელიდან ორიოდე მ-ის მანძილზე, აგურით ნაწყობი ლილვია, რ-იც კედელს მთელ სიმაღლეზე აუყვება. თუ რო-

გორ იყო იგი დაგვირგვინებული, ამის გარკვევა აღარ ხერხდება.

ჩრდ. ფასადზე, შესასვლელის ზემოთ, წყობაში ჩასმული, სუფთად დამუშავებული შირიმის რამდენიმე ქვის საშუალებით, გამოყვანილია რელიეფური ჯვარი, რ-ის პროფილი შეწყვილებული ლილვისგან შედგება. მსგავსი ჯვარი იყო გამოსახული სამხრ. შესასვლელის ზემოთაც (შემორჩენილია ფრაგმენტები).

დას. ფასადი მნიშვნელოვანი დანაკარგებითაა შემორჩენილი. ფასადის დიდი ნაწილი რეკონსტრუქციის დროსაა განახლებული.

ეკლ. დაბურულია ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.

090. ᲫᲣᲚᲣᲠᲘᲡ ᲪᲘᲮᲔ, კ ო შ კ ი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრით, ორიოდე კმ-ზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს. ნაგებია რიყის ქვით, ნატეხი ქვითა და კირის დუღაბით.


კოშკი ოთხკუთხაა. შემორჩენილია სამი სართულის სიმაღლეზე. შესასვლელი მეორე სართულიდანაა. კარი თაღოვანია. აღმ. კედელში, პირველ და მეორე სართულებზე, სათოფურებია მოწყობილი. მესამე სართულზე შემორჩენილია სარკმლის ნაშთი.

ბ. კუპრეიშვილი.

091. ᲓᲒᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲫᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ. განაპირას, მცირედ დაფერდებულ ადგილზე. არქიტ. ნიშნებით თარიღდება XVIII საუკუნით.

ეკლ. საშ. ზომის (12,2x7,2 მ) დარბაზული ნაგებობაა, ნახევარწრიული აფსიდით, რ-იც გეგმის სწორკუთხედშივეა მოქცეული და ორი სწორკუთხა შესასვლელით – დას-იდან და ჩრდ-იდან.

საშენი მასალა ორგვარია: რიყის ქვა და „ქართული“ კვადრ. აგური. კედლებში წყობა შერეულია, რ-შიც რიყის ქვითა და აგურით შედგენილი თარაზული რიგები ენაცვლება ერთმანეთს. წყობაში, აქა-იქ, ლოდებიცაა ჩატანებული. საშენი მასალის მონაცვლეობა ჩანს შენობის გარეთა კუთხეების წყობაშიც. ორივე განივი ფასადის ფრონტონი და კონსტრ. ნაწილები აგურისაა. აგურისაა ლავგარდანიც. ინტერიერი შელესილია. ეკლესიას ეტყობა გვიანდ. შეკეთებების კვალი, რ-თა შორის უკანასკნელი 2010-იანი წლების დასაწყისში განხორციელდა. ამ დროს აღადგინეს ჩრდ. შესასვლელის წირთხლები, კედლების დაზიანებული ნაწილები, ლავგარდანი და სახურავი.




091. გეგმა

აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია გაჭრილი, რ-ის ორივე მხარეს ერთ დონეზე, განლაგებულია სამ-სამი ნიშა. ნიშების ოდნავ ზემოთ, აფსიდის ორივე გვერდში, თითო პატარა



091. გრძივი ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

ქვევრია ჩასმული. საკურთხევლის ბაქანი დარბაზის იატაკის მიმართ, საფეხურითაა



091. დას. ფასადი

შემაღლებული და ცენტრში ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი.

ეკლესიის გრძივ კედლებზე ორ-ორი პილასტრია, რ-ებსაც შეისრული საბჯენი თაღები ეყრდნობა. პილასტრების აღმ. წყვილით და მათზე გადაყვანილი საბჯენი თაღით საკურთხეველი დარბაზისგანაა გამიჯნული. თითო პილასტრი დარბაზის დას. კუთხეებშიცაა. ამ უკანასკნელებს კედლის მიმდებარე თაღი ეყრდნობა. პილასტრები დაგვირგვინებულია ორსაფეხურიანი, მაღალი კაპიტელით. პილასტრებს შორის კედლის ღრმა, შეისრული თაღია. შეისრულია კამარაც. ინტერიერს, აფსიდის სარკმლის გარდა, კიდევ სამი სარკმელი აშუქებს. მათგან თითო-თითო სამხრ. და ჩრდ. კედლების აღმ. ნაწილშია – კედლის თაღში, ერთი კი – დას. კედლის ღერძზე. გრძივი კედლების აღმ. თაღში სარკმლის გარდა, თითო მცირე ზომის, სწორკუთხა ნიშაცაა.

ეკლესიის ფასადები სადაა. მათგან მხოლოდ განივი ფასადებია მორთული. მორთულობის ელემენტებია აგურის წყობის შეღრმავებით გამოყვანილი ჯვრები და რომბები, რ-ებიც აღმ. და დას. ფასადებზე, ფრონტონის არეშია განლაგებული. ფრონტონის შუაში, მრავალსაფეხურიან პოსტამენტზე დაყრდნობილი ჯვარია, მის გვერდებზე კი – თითო რომბი. აღმ. ფასადზე, სამხრ-ით მდებარე რომბის გვერდით, კონქისზედა სივრცეში მოსახვედრად, კვადრ. ხვრელია მოწყობილი. ფასადის ღერძზე შირიმის ნათალი ქვებით გამოყვანილი, სწორკუთხა სარკმელია. სავარაუდოდ თავდაპირველად სარკმელი გარედანაც თაღით იყო დასრულებული. მოგვიანებით სარკმლის ღიობი გარედან გაუგანიერებიათ და მასში ხის სწორკუთხა, შემინული ალათა ჩაუსვამთ. სარკმლის თავი, ძირი და გვერდები შიგნითკენ ირიბადაა შეჭრილი. გადაკეთების ფაქტზე აშკარად მიგვანიშნებს სარკმლის გადახურვისა და ძირის ქვების ფორმა. მსგავსად იყო გადაკეთებული დანარჩენი სარკმლებიც და შესასვლელებიც (ამჟამად ორივე შესასვლელი, დას. და ჩრდ. სარკმლები სახეცვლილია 1990-იანი წლების II ნახევარში ჩატარებული რემონტის დროს).

დას. ფასადის ქვედა ნაწილში სწორკუთხა კარია, რ-იც მოზრდილი ქვიშაქვის ქვით თარაზულადაა გადახურული. კარის თავზე გამოყვანილია აგურით ნაწყობი, შეისრული მოყვანილობის თაღი, რ-ის არეში პატარა, კვადრ. ნიშაა. თაღის ზემოთ კი განიერი, სწორკუთხა სარკმელი.

ჩრდ. ფასადის დას. ნაწილში შესასვლელია (წირთხლების მნიშვნელოვანი ნაწილი განახლებულია 1990-იანი წლების II ნახევარში), რ-იც აგებულებით დას. შესასვლელის მსგავსია. შესასვლელის ზემოთ, თიხის მოწითალო, კვადრ. (20x20 *სმ*) ფილაზე, სამსტრიქონიანი, მხედრ. წარწერაა – „სულხან გალატოზი“. ფასადის შუაში აგურით გამოყვანილი, შეისრულთაღოვანი სარკმელია (აღდგენილია 1990-იანი წლების II ნახევარში).

სამხრ. ფასადი აგებულებით ჩრდ-ისას იმეორებს. ეს არის ერთგვაროვანი, სადა სიბრტყე, რ-ის შუაში სარკმელია გაჭრილი. ფასადის წინ, ვიწრო (სიგ. – 1,2 *მ*) გასასვლელია. ამ



091. ხედი ჩრდ.-დას-იდან



091. დას. ფასადი. დეტალი

მხარეს, ეკლესიის მთელ სიგრძეზე, დაახლ. 1 *მ* სიმაღლის, საყრდენი კედელია აგებული.

ეკლესიის კედლები დასრულებულია სამსაფეხურიანი ლავგარდნით. სახურავი დაბურულია ღარისებრი კრამიტით.



091. ჩრდ. ფასადი. წარწერიანი ფილა

ეკლესიის დას. კედელზე დაშენებულ, აგურის კვადრ. ბაქანზე დგას აგურით ნაგები, ცილინდრული ფორმის სამრეკლო, რ-იც ქვეყნის მხარეებისკენ ნახევარწრიული თაღითაა გახსნილი. სამრეკლო გადახურულია პირამიდისებრი ფორმის, აგურისავე სახურავით.

თ. დგალი.

092. ჯველაჯმინდის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ. ნაწილში. სავარაუდოდ განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეების საწყის პერიოდს.

ეკლ. დარბაზულია (7,5x5,5 *მ*). ნაგებია რიყის მოზრდილი ქვით და კირის დუღაბით – ჰორიზ. რიგების გამოყვანის გარეშე. გარეთა კედლების წყობაში, მეტწილად კუთხეებში, ორი, ზემოთკენ შევიწროებული, შეისრულთაღოვანი კარია. მათგან ერთი აფსიდის ცენტრშია,



092. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

ლოდებიცაა ჩართული. გვიანდ. შეკეთებულ ადგილებში გამოყენებულია ე. წ. ქართული აგური.

ერთადერთი შესასვლელი ეკლესიას სამხრ-იდან აქვს. აღმ-ით წვერგაბრტყელებული ნახევარწრის მოყვანილობის აფსიდია, რ-ის ღერძზე სწორკუთხა, შიგნიდან გარეთკენ დავიწროებული სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, მიდგმულია აგურით ნაგები, ნახევარცილინდრის ფორმის ტრაპეზი. სარკმლის გვერდებზე თითო ნიშაა მოწყობილი. სამხრ. ნიშა სწორკუთხაა. ჩრდ. ნიშა კი იმდენად უჩვეულო ფორმისაა, რომ მისი ჭრილი სარკმლისას უფრო წააგავს, ვიდრე ნიშისას. აფსიდი კონქითაა გადახურული. კონქის თაღი შეისრული მოყვანილობისაა და აფსიდის მხრებს ეყრდნობა. აფსიდის იატაკი მოლესილია. საკურთხეველი დარბაზისგან გამიჯნულია აგურითა და რიყის ქვით ნაგები კანკელით (ზედა ნაწილი დაზიანებულია). მასში მეორე – ჩრდ. ნაწილში. კარის გარდა, კანკელის ამ ნაწილში თაროცაა, სამხრ. ნაწილში კი



092. ინტერიერი. დას. კედელი. მოხატულობის ფრაგმენტი

ორი მცირე ზომის, შეისრულთაღოვანი ნიშა. აღსავლის კარის წინ, დარბაზის იატაკის მიმართ მცირედ შემაღლებუ-



092. ინტერიერი. აფსიდი. წარწერის ფრაგმენტი

ლი, ნახევარწრიული ამბიონია. დარბაზის კამარა შეისრულია. იგი გრძივ კედლებს ეყრდნობა.

ინტერიერს საკურთხევლის სარკმლის გარდა, დას. კედელში გაჭრილი სარკმელიც აშუქებს. სარკმელს აშკარად ემჩნევა გვიანდ. გადაკეთების კვალი, რ-ის დროსაც არსებული სარკმელი ამოუშენებიათ და მის თავზე მოუწყვიათ ახალი, თავდაპირველზე გაცილებით უფრო დაბალი სარკმელი, რ-იც თავით კამარას წვდება. ამ რემონტის დროს ეკლ. შეულესავთ და მთლიანად მოუხატავთ. მოხატულობის ფრაგმენტები შემორჩენილია აფსიდში, ალაგ-ალაგ – კამარაზე და დას. კედელზე. ეკლესიის მომხატველის შემოქმედებაში დასტურდება ხალხური ხელოვნებისათვის დამახასიათებელი რიგი თავისებურებანი. მოხატულობა სტილისტურად უკავშირდება XVI ს-ის „ხალხური მხატვრობის“ ძეგლთა ჯგუფს.


ეკლესიის იატაკი მოგებულია „ქართული“ აგურით.

ეკლესიას მარტივი გარეგნობა აქვს. ფასადები სადაა. 2008 წელს ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები: ტერიტ. გაიწმინდა მცენარეული საფარისგან და ნაყარი მიწისგან, მოიჭრა კედლებში ჩაზრდილი ხეები, აღდგა შესასვლელის გადახურვა, კედლების ზედა ნაწილები და ლავგარდანი, ეკლ. დაიბურა ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.

093. წმ. ბარბარეს ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, ოთხასიოდე მ-ის მანძილზე, ტყიან ფერდობზე. თარიღდება XVIII საუკუნით.

2013 წელს, საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით, ეკლ. აღადგინეს (პროექტის ავტორი, არქიტ. ლ. მიქუჭაძე). სამუშაოებს აწარმოებდა წმ. სტეფანე



093. გეგმა (რეკონსტრუქცია)

ხირსელის მამათა მონასტრის აღორძინების კავშირი.

ეკლ. დარბაზულია (7,0x5,4 მ), აფსიდიანი. ძირითადად ნაგებია რიყის ქვით. ალაგ-ალაგ გამოყენებულია ე. წ. ქართული აგურიც.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს (ორივე აღდგენილია): სამხრ-იდან (შემორჩენილი იყო მხოლოდ აღმ. წირთხლი) და დას-იდან (კედელი ამ ადგილას იმდენად იყო დაზიანებული, რომ კარის არსებობის ფაქტი არ დასტურდებოდა).

აფსიდი ნახევარწრიულია (უმეტესი ნაწილი განახლებულია). იგი დარბაზის გრძივი კედლებიდან მოკლე მხრებითაა გამოყოფილი. აფსიდის ღერძზე საშ. ზომის სარკმელია (აღდგენილია) გაჭრილი, მის ორივე მხარეს კი თითო ნიშაა მოწყობილი (ჩრდ-ით მდებარე ნიშა აღდგენილია).

ეკლესიის სამხრ. და ჩრდ. კედლების (შემორჩენილი იყო დაახლ. 2 მ სიმაღლეზე) აღმ. ნაწილში, ერთმანეთის მოპირდაპირედ, შემორჩენილი იყო სარკმლის ნაშთები.

გარედან, დას. კედლის ორივე და გრძივი კედლების დას. კიდეებში, მარტივი პილასტრია გამოყვანილი (სიგ. – 75 სმ), რებიც შესაბამის კუთხეში ერთმანეთთან არის დაკავშირებული. თითო პილასტრი გრძივი კედლების აღმ. ნაწილშიცაა, რ-თა დას. კიდე აფსიდის მხრების ხაზზეა.


თითქმის მთლიანად იქნა აღდგენილი აფსიდი, რ-იც გარედან სწორკუთხა აბრისშია მოქცეული. თუმცა სავარაუდოა, რომ თავდაპირველად იგი გარედანაც ნახევარწრიული მოხაზულობისა იყო, ეკლესიის კორპუსისგან მხრებით გამოყოფილი.

ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტის ავტორის ცნობით, სამხრ. კედლის დას. კიდეში არსებულ პილასტრზე კედლის ყრუ თაღის ნაშთი იყო შემორჩენილი, რ-ის საფუძველზეც გრძივ ფასადებზე თაღები იქნა აღდგენილი. მსგავსი თაღი მოეწყო დას. ფასადზეც.

ეკლესიის კედლებს გაუკეთდა აგურის ლავგარდანი. შენობა დაიბურა ღარისებრი კრამიტით.


თ. დვალი.

094. წმ. გიორგის ეკლესია, ჯაგების წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ. განაპირას. არქიტ. ნიშნებით განეკუთვნება VIII-IX საუკუნეებს.



094. გეგმა

ეკლ. დარბაზულია (7,15x4,5 მ). ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. კედლები ძირითადად რიყის ქვისაა. კუთხეების წყობაში ქვა მეტ-ნაკლებად შერჩეულია, ზომისა და ფორმის მიხედვით. აგური მეტწილად კარ-სარკმლების გამოსაყვანადაა გამოყენებული. გარდა ამისა, იგი, აქა-იქ, კუთხეების და არქიტ ელემენტების წყობაშიც არის ჩართული. კედლების ზედაპირი გარედან გასწორებული იყო წმინდა ბათქაშით, რ-იც მთლიანად ავსებს ქვებს შორის დარჩენილ არეებს და ქვების ზედაპირის მნიშვნელოვან ნაწილსაც ფარავს. ინტერიერი შელესილია.



094. განივი 244ჭრილი. ხედი აღმ-კენ

2008 წელს ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, რ-ის დროსაც, თავდაპირველი ფორმების გაუთვალისწინებლად, აღუდგენიათ გარეთა კედლების ზედა ნაწილები და შენობა ღარისებრი კრამიტით დაუბურავთ.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: დას-იდან და სამხრ-იდან. სამხრ. შესასვლელი (მოგვიანებით ამოუშენებიათ რიყის ქვით) გარედან ნახევარწრიული თაღითაა გადახურული, შიგნიდან კი სწორკუთხაა. როგორც ჩანს, გარედან მსგავსად იყო გადახურული დას. შესასვლელიც. ამჟამად კარის გარეთა გადახურვა, წირთხლების მნიშვნელოვან ნაწილთან ერთად, მონგრეულია.

აღმ-ით ღრმა, ნახევარწრიული აფსიდია, რ-იც შიდა მოჯვანილობას გარედანაც იმეორებს. იგი ეკლესიის ძირითადი კორპუსისგან მხრებითაა გამოყოფილი და დამოუკიდებელი სახურავი ხურავს. აფსიდში ერთი თაღოვანი სარკმელია გაჭრილი, რ-ის ორივე მხარეს, სიმეტრიულად, თითო მცირე ზომის ნიშაა. მათგან ჩრდ-ისა კილისებრი თაღითაა დასრულებული, სამხ-ისა კი სწორკუთხაა.

დარბაზი თითქმის კვადრატულია (სიგრ. – 3,15 მ, სიგ. – 3,30 მ), გადახურულია ნახევარცილინდრული კამარით. ინტერიერს, საკურთხევლის სარკმლის გარდა, კიდევ ერთი თაღოვანი სარკმელი აშუქებს, რ-იც დას. კედლის ღერძზეა გაჭრილი.

მოგვიანებით, ეკლესიისათვის დას-იდან მიუდგამთ გეგმით თითქმის კვადრ. (სიგრ. – 4,2 მ, სიგ. – 4,8 მ), რიყის ქვით ნაშენი ნაგებობა, რ-ისგანაც დაახლ. 1,2-1,5 მ სიმაღლეზე, მხოლოდ სამხრ. და დას. კედლებიღაა

094. ხედი სამხრ.-აღმ-იდან



შემორჩენილი. ნაგებობას შესასვლელი სამხრ-იდან ჰქონია. დას. კედლის სამხრ. ნაწილში კი გეგმით ნახევარწრიული ბუხარია მოწყობილი.



094. ხედი სამხრ.-დას-იდან

ეკლესიის გარეგნობა ბევრად უფრო დამახასიათებელია, ვიდრე მისი შიდა გადაწყვეტა. საკურთხევლის შვერილი გარედან სრულიად სადაა. სამხრ., დას. და ჩრდ. ფასადები კი სწორკუთხა, თანაბარი ზომის ორ-ორი ჩაღრმავებული არითაა დანაწევრებული. არეთა ძირი მიწიდან ორმოცდაათიოდე *სმ* სიმაღლეზეა. პროპორცია კი აზიდულია. არეები მთელ სიმაღლეზე მხოლოდ დას. ფასადზეღაა შემორჩენილი. იმავე სიმაღლისა უნდა ყოფილიყო გრძივ ფასადებზე არსებული არეებიც (რემონტის დროს ორივე ფასადზე არეების ზედა ნაწილი არასწორად, მათი თავდაპირველი სიმაღლის გაუთვალისწინებლადაა აღდგენილი). არეებს შორის, დას. და სამხრ. ფასადებზე მათივე ტოლი სიგანის ინტერვალია დატოვებული, რ-შიც ეკლესიის შესასვლელია მოქცეული. ჩრდ. ფასადზე კი, ეს ინტერვალი გაცილებით უფრო მცირეა.

დას. ფასადზე ორივე არე დაგვირგვინებულია ერთრიგად დაწყობილი, ცისფრად მოჭიქული აგურებით გამოყვანილი ზოლით. სავარაუდოდ მსგავსად იყო გაფორმებული სამხრ. და ჩრდ. ფასადზე არსებული არეებიც.




094. სამხრ. ფასადი. შესასვლელი

ამჟამად ეკლესიის კედლები დასრულებულია კვადრ. აგურით ნაწყობი, ორსაფეხურიანი ლავგარდნით.

თ. დვალი.


095. ᲕᲛ. ᲛᲐᲠᲘᲐᲛᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ. განაპირას, სასაფლაოზე, ქ. სიღნაღიდან შემომავალი გზის მარცხ. მხარეს, გზიდან ორმოციოდე *მ*-ის მანძილზე. არქიტ. ნიშნებით თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით.




095. გეგმა

ეკლ. მცირე ზომის (6,1x4,4 *მ*), დარბაზული ტიპის ნაგებობაა, რ-საც სამხრ-იდან, მთელ სიგრძეზე, სწორკუთხა მინაშენი (6,8x3,8 *მ*) ეკვროდა.

შენობა რიყის ქვითა და „ქართული“ აგურითაა ნაგები. კედლები ძირითადად რიყის ქვისაა. გარეთა კედლების წყობაში ქვა შერჩეულია ზომისა და ფორმის მიხედვით და დაწყობილია ჰორიზ. რიგებად. ისინი ერთმანეთისგან გამიჯნულია ერთრიგად ნაწყობი აგურებით



095. განივი ჭრილი. ხედი აღმ.-კენ



095. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ.-კენ

გამოყვანილი ვიწრო ზოლებით, რ-ებიც თანაბრად ანაწევრებენ კედლების ზედაპირს. კედლის ზედაპირი გასწორებულია წმინთარაზულად გადახურული, შიგნიდან გარეთკენ დავიწროებული სარკმელია, რ-ის მარცხნივ გეგმით ნახევარწრიული ნიშაა მოწყობილი. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, მომრგვალებული ტრაპეზია მიდგმული, რ-საც ჩრდ. და სამხრ. მხარეს პატარა, ოთხკუთხა ნიშები აქვს. აფსიდი დასრულებულია ოდნავ შეისრული ფორმის თაღის მქონე კონქით. შეისრული ფორმისაა კამარაც.

საკურთხევლის იატაკი დარბაზის იატაკზე ორი საფეხურით მაღალია. საკურთხეველი დარბაზისგან გამიჯნული იყო რიყის ქვითა და აგურით ნაგები კანკელით, რ-ისგანაც, არასრულ სიმაღლეზე, სამხრ. ნახევარიღაა შემორჩენილი.

გრძივ კედლებში, სიმეტრიულად, თითო დაბალი, განიერი, სწორკუთხა სარკმელია მოწყობილი, რ-თა მცირე ნაწილი კამარის ფარგლებშია შეჭრილი. ერთი ვიწრო, შიგნიდან და გარედან თაღოვანი სარკმელია გაჭრილი დას. კედლის ზედა ნაწილში. იგი იმდენად ზემოთაა „ატანილი“, რომ თავით თითქმის კამარას სწვდება. დარბაზის იატაკი ნატეხი ქვითაა მოგებული.

ეკლესიის სამხრ. მინაშენი რიყის ქვით იყო ნაგები და ეკლესიას წყობით არ უკავშირდებოდა. ამჟამად იგი მთლიანადაა დანგრეული. შესასვლელი მას დას-იდან ჰქონდა (შემორჩენილია ორივე წირთხლის ნაწილები). კარი გარედან თაღით ყოფილა გადახურული, რ-ის მცირე ნაწილი ჩრდ. წირთხლს შემორჩა.

2009 წელს, საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით, ეკლესიას ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. რ. შაშვიაშვილი. სამუშაოებს აწარმოებდა წმ. სტეფანე ხირსელის მამათა მონასტრის



095. საერთო ხედი სამხრ.-აღმ-იდან

და ბათქაშით. შენობის გარეთა კუთხეები მთლიანად აგურისაა, რ-თა წყობა შესაბამისი კედლების წყობისგან მკვეთრადაა გამიჯნული. ინტერიერი შელესილია. მიუხედავად ამისა, მაინც ჩანს, რომ ეკლესიის შიგნითა კედლები, გარეთა კედლებთან შედარებით, ოდნავ უხარისხოდაა ნაწყობი. ასევე უხარისხოდაა გამოყვანილი არქიტ. ელემენტებიც.

ეკლესიაში შესასვლელი დას-იდანაა. კარი შეისრულთაღოვანია, გამოყვანილია აგურით.

აღმ-ით ოდნავ დეფორმირებულ, ნახევარწრიულ აფსიდში



095. ხედი სამხრ.-დას-იდან

აღორძინების კავშირი): აღადგინეს კედლების მონგრეული ნაწილები, კედლები დაასრულეს აგურის ორსაფეხუროვანი ლავგარდნით და შენობა ღარისებრი კრამიტით გადახურეს.

თ. დვალი.

096. ხიზანაანთ კოშკი, არქიტ. ძ. დგას სოფელში. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს. ეკუთვნოდათ ხიზანიშვილებს.

კოშკი გეგმით მრგვალია, სამსართულიანი. პირველ სართულზე შესასვლელი ჩრდ-იდანაა. კარი გარედან შეისრულთაღოვანია, შიგნით – სწორკუთხა. წირთხლებში დატანებული აქვს თითო ფართო საურდულე. პირველ სართულზე ორი თაღოვანი ნიშა და ერთი ბუხარია.

მეორე სართულზეც შესასვლელი ჩრდ-იდანაა. კარი შეისრულთაღოვანია. სართულების დამაკავშირებელი კიბე კედლის სისქეშია მოწყობილი. სამხ-აღმ-ით ბუხარია, რ-ის ორივე მხარეს თითო ნიშაა მოწყობილი. სართულშუა გადახურვა ხის კოჭებზე ყოფილა გამართული (შემორჩენილია ბუდეები).

მესამე, საბრძოლო დანიშნულების, სართული ქონგურებიანია. აღმ-ით სალოდეა მოწყობილი. კოშკის სამივე სართულზე, ყველა კედელში, სათოფურებია მოწყობილი.

ბ. კუპრეიშვილი.

ბეგთაბორის ნამოსახლარი,
იხ. სოფ. ქვემო ბოდბე.

ბოდბის მონასტერი
იხ. ქ. სიღნაღი, ბოდბის მონასტერი.

ბოდბისხევი
(სათავო სოფელი)

097. ბოდბისხევი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, სიღნაღიდან 8 კმ-ზე.

სოფლის ტერიტორიაზე მოსახლეობა უძველესი დროიდან სახლობს (აღმოჩენილია გვიანდ. ბრინჯაოსა და რკინის ხანის გორანამოსახლარები). მეურნეობის ტრად. დარგებია: მემინდვრეობა, მეცხოველეობა, მევენახეობა. ბოდბისხევზე გადიოდა კახეთის საზამთრო საძოვრების კავკასიონის საძოვრებთან დამაკავშირებელი გზა. სოფელი შიდა კახეთში მეჭურჭლეობის ერთ-ერთი ცენტრი იყო. ბოდბისხევის თიხები თავისი საუკეთესო თვისებებით გამოირჩევა. მოსახლეობა ახლაც მისდევს თიხის ნაწარმის დამზადებას.

წერილობით წყაროებში ბოდბისხევი პირველად XVIII საუკუნეშია მოხსენიებული. იოანე ბატონიშვილი მას, როგორც მეფის სახასო სოფელს, ქიზიყის სოფლების ჩამონათვალში იხსენიებს. ეპარქიულად სოფელი ბოდბის საეპისკოპოსოში ირიცხებოდა. ბოდბისხევზე ცნობებს გვაწვდის ასევე გერმანელი მეცნიერი და მოგზაური იოჰან გიულდენშტედტი, რ-მაც სოფელი 1772 წელს მოინახულა.

შუა საუკუნეებში ბოდბისხევში მრავალრიცხოვანი და ეკონომიკურად ძლიერი მოსახლეობა ყოფილა.

1699 წელს ბოდბისხეველები აუჯანყდნენ ბოდბის ეპისკოპოსს პირუტყვის („რიგის ძროხის“) გადასახადის შემოღების გამო. ეპისკოპოსი იძულებული გახდა გაეუქმებინა გადასახადი და ამის თაობაზე სათანადო საბუთიც გაეცა, მაგრამ საქმეში ჩაერია მეფე ერეკლე I (კახეთის მეფე 1703-1709 წწ-ში). მან ჩაახშო გლეხთა აჯანყება, დასაჯა მისი მონაწილეები და კვლავ აღადგინა გადასახადი. 1711-1716 წლებში გლეხები კვლავ აჯანყდნენ. ისინი იმუქრებოდნენ, რომ თუ გადასახადს არ გააუქმებდნენ აიყრებოდნენ და სხვაგან გადასახლდებოდნენ. ბოდბელმა ეპისკოპოსმა ზაქარია ანდრონიკაშვილმა დათმო და გადასახადი გააუქმა.

კახეთის 1812 წლის აჯანყების დროს ბოდბისხევში იყო ყაბარდოს პოლკის მთავარი ბანაკი. 1812 წლის 6 თებერვალს, ოთარ ქვაბულაშვილის მეთაურობით აჯანყებულთა ერთი ჯგუფი თავს დაესხა დაბანაკებულებს რ-თაც პოლკოვნიკი სტეპანოვი მეთაურობდა. ყაბარდოელებმა 200 ჯარისკაცი და რამდენიმე ოფიცერი დაკარგეს. დაიწვა პოლკის მთელი კანცელარია და ამ პოლკისათვის დროშის გადაცემის თაობაზე გაცემული იმპერატორ პავლეს რესკრიპტის ასლი.

1905 წელს ბოდბისხევში ჩატარდა ქიზიყის სოფლების წარმომადგენელთა კრება. კრებამ დაადგინა სოფლებში დამოუკიდებელი თვითმმართველობის შემოღება, ყველა წოდებისათვის ერთი, სამაზრო სასამართლოს დაწესება, მოსამართლის არჩევითობა გარკვეული ვადით, საქმის წარმოება ქართულ ენაზე, ქართულ ენაზევე 16 წლამდე ბავშვებისათვის სავალდებულო სწავლების შემოღება.

1914 წელს სოფელში გაიხსნა დიდი ბაზარი, რ-საც სრულად აკმაყოფილებდა სიღნაღელი ხელოსნების ნაწარმი. ამ ბაზრით, გარდა კახეთისა, მისი მოსაზღვრე ტერიტორიების მოსახლეობაც (ლეკები, აზერბაიჯანელები და სხვ.) სარგებლობდა.


მოსახლეობა კვლავ მისდევს ხელოსნობის ტრადიციულ დარგებს: თიხის ნაწარმის დამზადებას, მეთუნეობას, ხეზე კვეთას, ფანდურების დამზადებას და სხვ.

ბოდბისხევის გამოჩენილი პიროვნებები არიან: მწერალი იროდიონ ევდოშვილი, ისტორიკოსი და საზ. მოღვაწე დიმიტრი ჯანაშვილი, აკადემიკოსი ავლიპი ზურაბაშვილი, პროფ. გიორგი გოზალიშვილი და სხვ.

ლ. მოწონელიძე.


ბიბლ.: 8, 43(ა), 78, 81, 83, 131, 166(დ), 176, 187, 188, 203, 216, 230.

098. ამაღლების ეკლესია, არქიტ. ძ., დგას სოფლის სამხრ.-დას. განაპირას, ძველ სასაფლაოზე. აგებულია XIX საუკუნის II ნახევარში.



098. გეგმა

ეკლ. დარბაზულია (11,3x7,1 *მ*). ნაგებია რიყის ქვითა და „ქართული“ აგურით. კედლები ძირითადად რიყის ქვისაა. გარეთა კუთხეები, კონსტრ. ნაწილები (კამარა, კონქი, საბჯენი თაღები), არქიტ. და ფასადების მორთულობის ელემენტები აგურითაა ნაწყობი. აგურისაა იატაკიც. ეკლ. შიგნით შელესილია. კედლების ქვედა ნაწილში, მუქი ფერის ზეთის საღებავით, პანელია გამოყვანილი, კედლების



098. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ.-კენ

დანარჩენი ნაწილი და კამარა შეთეთრებულია.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: ერთი დას. კედლის ღერძზეა გაჭრილი, მეორე – სამხრ. კედლის შუა ნაწილში. ორივე კარი თარაზულადაა გადახურული და ორივე მხრიდან საფეხურით შეღრმავებულ, შეისრულთაღოვან არეშია ჩასმული. შესასვლელების წირთხლებად გამოყენებულია წარწერებიანი საფლავის ქვები. ერთ-ერთი წარწერიდან ირკვევა, რომ ქვა საფლავზე 1845 წელს დაუდიათ. ცხადია, რომ ეკლ. ამ თარიღის შემდგომაა აგებული.

აღმ-ით ნახევარწრიული აფსიდია, რ-შიც ერთი შეისრულთაღოვანი სარკმელია. სარკმლის ორივე მხარეს, ერთ დონეზე, ორ-ორი თაღოვანი ნიშაა განლაგებული. ნიშებს ზემოთ, სარკმლის თაღის დონეზე, თითო სწორკუთხა ნიშაა (სიგ. – 20 *სმ*, სიმ. – 35-40 *სმ*). საკურთხევლის კონქი თავისებური ფორმისაა. ზედა ნაწილში მას ძაბრისებრი შეღრმავება აქვს. საკურთხევლის ბაქანი ნავის იატაკზე ერთი საფეხურით მაღალია. მას შუაში ნახევარწრიული ამბიონი ეკვრის.



098. ინტერიერი. ხედი აღმ.-კენ

გრძივი კედლები დანაწევრებულია ორ-ორი ორსაფეხურიანი პილასტრით, რ-ებსაც კამარის საბჯენი თაღი ეყრდნობა. კამარა და საბჯენი თაღები შეისრულია. პილასტრებს შორის გამოყვანილია შეისრულივე თაღით დასრულებული არე. თითო პილასტრი დას. კუთხეებშიცაა. მათზე დას. კედელზე მიმდგარი საბჯენი თაღია გადაყვანილი. პილასტრები დასრულებულია ორსაფეხურიანი კაპიტელით, რ-თა ქვემოთ პილასტრი ლილვისებრადაა გამოზნექილი. დამახასიათებელია კამარის წყობა: მისი სამივე მონაკვეთის ზედა ნაწილი ახნექილია და შკრული კამარის მსგავსადაა გამოყვანილი – თითოეული მათგანი ოთხი სამკუთხა ნაწილისგან შედგება, რ-თა წვერები თავს კამარის ცენტრში იყრის.

ეკლესიის ქვედა კედელში, თითო, შიგნით თაღოვანი, გარედან სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. მათგან სამხრ. და ჩრდ. სარკმლებს, რ-ებიც შესაბამისი კედლის თაღების აღმ. წყვილშია განთავსებული, თაღებთან საერთო გადახურვა აქვს.

ეკლესიის ფასადები შელესილია. აღმ. ფასადზე, სარკ-

098. ხედი სამხრ.-დას-იდან



მლის ზემოთ, ფრონტონში, აგურის წყობის შეღრმავებით, გამოსახულია საფეხუროვან პოსტამენტზე დაყრდნობილი



098. ხედი ჩრდ.-დას-იდან

ჯვარი, ჯვრის ძირის დონეზე, ფრონტონის კუთხეებთან, კონქის თავზე არსებულ სამალავში მოსახვედრად, თითო სწორკუთხა ღიობია მოწყობილი.

დას. ფასადზე სარკმელი მოქცეულია ლილვით გამოჟვანილ თაღში. თაღის გვერდებზე ლილვითვე გამოყვანილი თითო ჯვარია, რ-იც სიმაღლით თაღის ტოლია. თაღისა და ჯვრის ძირები კი ერთმანეთთან მოკლე, ჰორიზ. ლილვითაა დაკავშირებული.

სამხრ. ფასადზე, შესასვლელის ორივე მხარეს, ერთ ვერტიკალზე განლაგებული, ორ-ორი შეღრმავებული რომბია. შესასვლელის ზემოთ კი, თაღის არეში პატარა, სწორკუთხა ნიშაა მოწყობილი.

ეკლესიას ჩვეულებრივად დალაგებული და კუთხით შვერილი აგურის რიგების მონაცვლეობით ნაწყობი, ოთხსაფეხურიანი ლავგარდანი აქვს.

ეკლესიის დას. ფრონტონის წვერზე დადგმულია ტლანქად ნაგები, ოთხწახნაგა სამრეკლო.

2015 წელს, საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით, ეკლესიას ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. მ. გელაშვილი. სამუშაოებს აწარმოებდა წმ. სტეფანე ხირსელის მამათა მონასტრის აღორძინების კავშირი). ფასადებზე მოიხსნა ნალესობა, აღდგა ლავგარდნის დაზიანებული ნაწილები, ინტერიერში მოიხსნა ზეთის საღებავის პანელი, მოიხსნა სამრეკლოს ფანჩატური, ეკლ. გადაიხურა კრამიტით.

თ. დვალი.


099. იროდიონ ევდოშვილის სახლ-მუზეუმი, ისტ. ძ. მდებარეობს ირ. ევდოშვილის ქუჩაზე (№ 26). სახლ-მუზეუმი გაიხსნა 1951 წელს.

შენობა ორსართულიანია. მუზეუმში ექსპონირებულია პოეტის მემორ. ნივთები, მისი ცხოვრების ამსახველი მასალები, სოფლის სახელოვან ადამიანთა ფოტოსურათები.

სახლის წინ დგას ირ. ევდოშვილის მარმარილოს ბიუსტი (ავტ. თ. ღვინიაშვილი).

ზ. ჯამბურია.

100. ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით, მდ. ბოდბისხევის მარჯვ. ნაპირზე. განეკუთვნება XVIII-XIX საუკუნეების მიჯნას.



100. გეგმა

ეკლ. წარმოადგენს „კუპელ-ჰალეს“ ტიპის ნაგებობას – შიდა სივრცის სტრუქტურით იგი დარბაზულია, ოღონდ გუმბათითაა დასრულებული.

საშენი მასალა ორგვარია: სრულიად დაუმუშავებელი რიყის ქვა და „ქართული“, კვადრ. აგური. ეკლესიის გარეთა კედლების უმეტესი ნაწილი გამოყვანილია წვრილი, თითქმის თანაბარი ზომის, რიყის ქვებით, რ-ებიც დაწყობილია წესიერ, სწოხაზოვან რიგებად. გარეთა კუთხეები რიყის ქვისა და ორრიგად ნაწყობი აგურის რიგების მონაცვლეობითაა ნაწყობი. კედლების ზედაპირი გასწორებულია დუღაბით, რ-იც საერთო ფაქტურისათვის, ქვასთან ერთად, თითქმის თანაბარ როლს თამაშობს. გუმბათის ყელი, გუმბათქვეშა სისტემა, ლავგარდანი და კარ-სარკმელთა ღიობები აგურისაა. შიგნით კედლები და კონსტრ. ნაწილები გამოყვანილია აგურით.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: დას-იდან და ჩრდ-იდან. ამ უკანასკნელის მდებარეობა მიწის ნაკვეთითაა ნაკარნახევი (სამხრ. მხრიდან ეკლესიას ფერდობი ადგება). ორივე კარი სწორკუთხაა. გამოყვანილია სუფთად დამუშავებული ბაზალტის ბლოკებით.

ეკლესიის შიდა სივრცე ერთიანია. შედგება წაგრძელებული დარბაზისგან და ნახევარწრიულაფსიდიანი საკურთხ-

2017 წელს საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით ეკლესიას ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. რ. შაშვიაშვილი). სამუშაოებს აწარმოებდა წმ. სტეფანე ხირსელის მამათა მონასტრის აღორძინების კავშირი.



100. ინტერიერი. ხედი აღმ-კენ

ევლისგან. აფსიდის ღერძზე დაბალი, თაღოვანი სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს, ერთი მეორის ზემოთ, თითო შეისრულთაღოვანი ნიშაა მოწყობილი. საკურთხევლის გვერდებზე თითო პატარა, კამაროვანი ოთახია – სამკვეთლო და სადიაკვნე. ორივე ოთახს აღმ-ით თითო სწორკუთხა სარკმელი აქვს, დას-ით კი – ნახევარწრიულთაღოვანი შესასვლელი. სამკვეთლოსა და სადიაკვნის თავზე, თითო პატარა ოთახია განლაგებული.

დარბაზის გრძივ კედლებზე ორ-ორი მძლავრი პილასტრია, რ-თა გვერდებზე ნახევარწრიული კამარით დასრულებული, თითო ღრმა არეა. ამ არეების ხარჯზე დარბაზი სიგანეში ოდნავ გაზრდილია.

პილასტრები თავისებურადაა დამუშავებული: ქვედა ნაწილში, დაახლ. 1 მ სიმაღლეზე, ისინი სწორკუთხაა, შემდეგ – სამწახნაგოვანი, ზემოთ კი – კვლავ სწორკუთხა. ზედა ნაწილის გადმოშვერილი კუთხეები საფეხურებადაა დამუშავებული, რ-ებიც კუთხით შვერილი და ჩვეულებრივად დაწყობილი აგურების თითო რიგითაა გამოყვანილი.

გრძივ კედლებზე არსებული არეებიდან, სამხრ-ით მდებარე ორივე არეში თითო სარკმელია გაჭრილი. ჩრდ. არეებიდან – აღმ-ისაში შესასვლელია მოწყობილი, დას-ისაში კი – სარკმელი.

დარბაზის აღმ. ნაწილში აღმართულია შიგნიდან წრიული, ხოლო გარედან ექვსწახნაგოვანი გუმბათი. გუმბათის ყელი, ნავთან შედარებით, ვიწროა. გუმბათის საყრდენ სისტემას ოთხი ნახევარწრიული, საბჯენი თაღი ქმნის. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელის წრიულ საფუძველზე გადასვლა კი გუმბათის საბჯენ თაღებს შორის გამოყვანილი აფრებით ხდება. თაღების ქუსლებთან მარტივი პროფილის (თარო და მეოთხედი ლილვი) ბაზალტის იმპოსტებია. გუმბათის ყელში გაჭრილია ექვსი ვიწრო, თაღოვანი სარკმელი. ამ სარკმლების გარდა, შიდა სივრცეს კიდევ სამი სარკმელი აშუქებს. მათგან თითო-თითო სამხრ-ით და ჩრდ-ით, ჯვრის შესაბამის „მკლავებშია“, ერთიც დას. კედელში – შესასვლელის ზემოთ.

შიდა სივრცის ერთნავიანობის მიუხედავად, გარედან ეკლესიას ჯვარ-გუმბათოვანი შენობის აღნაგობა აქვს. ეკლესიის ოთხივე ფასადზე შუა ნაწილი გუმბათქვეშა „მკლავების“ შესაბამისად შემაღლებულია და ფრონტონითაა დასრულებული.



100. ინტერიერი. ხედი გუმბათზე



100. ხედი დას-იდან

ფასადები საკმაოდ მარტივად არის დამუშავებული. მორთულობის ძირითადი ელემენტია აგურის წყობის შეღრმავებით გამოყვანილი, საფეხუროვან პოსტამენტზე დაყრდნობილი ჯვარი,რ-ებიც ოთხივე ფასადზე ფრონტონის არეშია მოთავსებული.

ფასადებზე ორივე შესასვლელი მოქცეულია ნახევარწრიული თაღით დასრულებულ, ორი საფეხურით შეღრმავებულ არეში. ორივე კარს გარს ევლება ბურთულიან ბაზისზე დაყრდნობილი, სადა ლილვი. ლილვის გვერდებზე კი – ზედაპირის ამოკვეთით – ჯვრის თითო გამოსახულებაა გამოყვანილი. ჩრდ. შესასვლელის არქიტრავის თავზე სწორკუთხა ნიშაა,დას. შესასვლელის არქიტრავის თავზე კი სწორკუთხა ფილაა ჩასმული, რ-ის ზედაპირი ძლიერ დაზიანებულია.

კედლები დასრულებულია ოთხსაფეხურიანი ლავგარდნით,

100. გუმბათის ყელი. დეტალი



რ-შიც ერთმანეთს ენაცვლება ჩვეულებრივად დაწყობილი და კუთხით შვერილი აგურებით შედგენილი რიგები.

შენობის ძირითადი დეკორაც. დომინანტი გუმბათის ყელია. ყელის ქვედა ნაწილი მრგვალია, ზედა კი – წახნაგოვანი. მათ საზღვარზე გამოყვანილია ლეკალური აგურით ნაწყობი, ლილვისებრი სარტყელი, რ-ზეც წიბოების ამყოლი ნახევარსვეტებია დაყრდნობილი. ნახევარსვეტები სამსაფეხურიანი კაპიტელით არის დასრულებული. წახნაგის ღერძზე განიერი, თაღოვანი სარკმელია, რ-საც გარს ევლება ლილვით გამოყვანილი, ორმაგი ჩარჩო. თითოეული სარკმლის ჩარჩოზე დაბჯენილია ქვიშაქვის სწორკუთხა, რელიეფური გამოსახულების მქონე ფილა. ფილის ოდნავ ზემოთ, წახნაგის კიდეებთან, წვერზე დაყენებული, ცისფრად მოჭიქული, თითო კვადრ. ფილაა ჩასმული, რ-ებიც გუმბათის ყელის მორთულობაში არსებით როლს თამაშობს.

გუმბათის ყელი დასრულებულია მაღალი, ლეკალური აგურით ნაწყობი ლავგარდნით. გუმბათი გადახურულია პირამიდისებრი, აგურით ნაწყობი, ექვსწახნაგოვანი სახურავით.


თ. დვალი.

101. ყველაწმინდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ. ნაწილში, ღვინიაანთ უბანში. არქიტ. ნიშნებით თარიღდება XIX საუკუნით.

2017 წელს საქართვ, ისტ. ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით ეკლესიას ჩაუტარდა რესტავრაცია (პროექტის ავტორი, არქიტ. რ. შაშვიაშვილი). სამუშაოებს აწარმოებდა წმ. სტეფანე ხირსელის მამათა მონასტრის აღორძინების კავშირი.

ეკლ. მოზრდილი ზომის, დარბაზული ტიპის ნაგებობაა – შვერილი ნახევარწრიული აფსიდით აღმ-ით (შიგნით სიგრძე აფსიდის ჩათვლით – 16

მ-მდეა, სიგ. – 6,5 მ, კედლების სისქე – 1,2 მ). საკურთხევლის შვერილი გარედანაც შიდა მოხაზულობას იმეორებს. იგი ეკლესიის კორპუსიდან ცალკე მოცულობადაა გამოყოფილი და დამოუკიდებელი სახურავი ხურავს.



101. გეგმა

შენობის საშენ მასალად თითქმის მთლიანად „ქართული“ აგურია გამოყენებული. კედლების ქვედა ნახევარში, თანაბარი ინტერვალებით, ჩართულია რიყის წვრილი ქვით გამოყვანილი, თარაზული რიგები. ამ მონაკვეთებში კედლის ზედაპირი გასწორებულია წმინდა ბათქაშით ისე, რომ იგი ქვების ზედაპირის უმეტესს ნაწილს ფარავს. შიგნით ეკლ. შელესილია.


ერთადერთი შესასვლელი ეკლესიას დას-იდან აქვს. კარი თარაზულადაა გადახურული და გარედან მოქცეულია საფეხურით შეღრმავებულ, მშვილდისებრთაღიან არეში. კარის ზღურბლი მიწიდან სამოციოდე სმ სიმაღლეზეა და წინიდან, როგორც ჩანს, კიბე (ხის?) ჰქონდა მოწყობილი.

ეკლესიის შიდა სივრცე საკმაოდ ვრცელია და მაღალი (დარბაზის იატაკიდან კამარამდე 10,2 მ-ია). საკურთხევლის აფსიდი ღრმაა. ქვედა ნაწილში (იატაკიდან დაახლ. 5 მ სიმაღლეზე) აფსიდს ბოლოები მომრგვალებული აქვს, ხოლო ზემოთ, ერთიმეორის მიმართ გადმოშვერილი რამდენიმე საფეხურის მეშვეობით, მომრგვალება სწორ კუთხეში გადადის, რ-იც თაროსებრი კაპიტელით არის გაგვირგვინებული. ამ უკანასკნელებს კი სატრიუმფო თაღი ეყრდნობა. აფსიდში სხვადასხვა ზომის სამი ნიშაა. მათ შორის ქვედაზე მცირე ზომისა, აფსიდის ღერძზეა, საკურთხევლის სარკმლის ქვემოთ, მეორე – საკმაოდ მოზრდილი, შეისრულთაღოვანი – ჩრდ. გვერდში. მესამე – სამ. ზომისა, აფსიდის ჩრდ. ბოლოშია.

ეკლესიის გრძივ კედელზე სამი წყვილი მარტივი პილასტრია, რ-ებიც შესაბამისს კედლებს ოთხ-ოთხ, თანაბარი სიგანის მონაკვეთებად ყოფს. პილასტრებზე კამარის საბჯენი თაღებია გადაყვანილი. თითოეული თაღის ქუსლებთან გამოყოფილია თაროსებრი იმპოსტი, რ-იც ქვიშაქვის ქვაშია გამოკვეთილი. ერთი საბჯენი თაღი კამარის დას. კიდეშიცაა. იგი უპილასტროა და დას. კედელთანაა შერწყმული.


საკურთხევლის სარკმლის გარდა, ინტერიერს კიდევ ცხრა, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელი აშუქებს. მათგან ოთხ-ოთხი, ერთმანეთის სიმეტრიულად, გრძივ კედლებშია, ხოლო ერთი – დას. კედელში.

ეკლესიის გარეგნობა უფრო დამახასიათებელია, ვიდრე მისი შიგა სტრუქტურა. ყველა ხუროთმოძღვრული დეტალი – ლავგარდანი, სარკმელთა მორთულობა – აგურითაა გამოყვანილი. თითოეული სარკმელი ჩასმულია ლილვით გამოყვანილ, ნახევარწრიულთაღოვან ჩარჩოში, რ-იც ორსაფეხურიან




101. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ-კენ

თაროზეა დაყრდნობილი. ჩარჩოს ზემოთ ორ-ორი რელიეფური თაღია, რ-ებსაც ბოლოებში



101. სამხრ. ფასადი

პატარა, ჰორიზ. გადანაკეცები აქვს. ქვედა თაღი ვიწროა და



101. ხედი სამხრ.-აღმ-იდან (XX საუკუნის 70-იანი წლების ფოტო

ჩარჩოს მოხაზულობას იმეორებს, ზედა კი კილისებრი ფორმისაა და ოდნავ უფრო განიერი.

აღმ. ფასადზე, საკურთხევლის შვერილის შუაში გაჭრილი, თაღოვანი სარკმლის ორივე მხარეს, თითო ყრუ სარკმელია, რ-ებიც ეკლესიის დანარჩენი სარკმლების მსგავსადაა გაფორმებული. საკურთხევლის შვერილი მაღალი, რთული პროფილის ფილის ლავგარდნითაა დასრულებული. შვერილის უკან, ეკლესიის ძირითადი კორპუსის ფრონტონის წვერში, შეღრმავებული ჯვრის გამოსახულებაა, რ-ის ორივე მხარეს თითო მრგვალი სარკმელია.

ეკლესიის დანარჩენ ფასადებს სიმაღლეში ორ ნაწილად ყოფს კედლის სიბრტყიდან მცირედ შვერილი, ორსაფეხურიანი თარო. გრძივ ფასადებზე ქვედა ნაწილი, ზედასთან შედარებით, ბევრად უფრო მაღალია. დას. ფასადზე კი, ფრონტონის მეშვეობით, ისინი თითქმის თანაბარი სიმაღლისაა. ფასადის ქვედა ნაწილი გვერდებიდან პილასტრებითაა შემოფარგლული, რ-ებსაც ზედაპირი ამოღრმავებული აქვს. კედლის ღერძზე შესასვლელია, რ-ის თავზე სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს თითო ყრუ თაღოვანი სარკმელია განლაგებული. ფასადის ზედა ნაწილში, რ-იც ძირითადად ფრონტონს უჭირავს, ერთ დონეზე, სამი სწორკუთხა შეღ-



101. დას. ფასადი

რმავებული არეა. თითოეულში თითო ნახევარწრიულთაღოვანი ყრუ თაღია ჩასმული, რ-საც ირგვლივ ლილვი ევლება. შუა არის ზემოთ კი, მრავალსაფეხურიან პოსტამენტზე დაყრდნობილი, შეღრმავებული ჯვრის გამოსახულებაა.

ეკლესიის გრძივი ფასადები სტრუქტურულადაც და გაფორმებითაც ერთმანეთის მსგავსია. ფასადის ქვედა ნაწილი ზედაპირამოღრმავებული პილასტრებით დანაწევრებულია თანაბარი სიგანის ოთხ-ოთხ მონაკვეთად,




101. დას. ფასადი. დეტალი

რ-თა ღერძზე სარკმელია განთავსებული. ფასადის ზედა ნაწილი კი სწორკუთხა შეღრმავებებისა და როზეტების მონაცვლეობითაა დამუშავებული.

ეკლესიის კედლები დასრულებულია ლეკალური აგურით ნაწყობი ლავგარდნით. შენობა დაბურულია ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.

შია ჩასმული. მ. შ. შიგნითა შეღრმავებები ბევრად უფრო ღრმაა, ვიდრე გარეთა. ფიცრით



102. გეგმა


102. წმ. კვირიკეს ეკლესია, კ ვ ი რ ი კ ე წ მ ი ნ დ ა, არქიტ. ძ. დგას სოფლის თავში, ჭაბაანების უბნის სიახლოვეს, მთის ფერდობის მცირე ტერასაზე. არქიტ ნიშნებით თარიღდება XVIII საუკუნის მიწურულით.

2018 წელს საქართვ, ისტ. ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით ეკლესიას ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. რ. შაშვიაშვილი. სამუშაოებს აწარმოებდა წმ. სტეფანე ხირსელის მამათა მონასტრის აღორძინების კავშირი).

ეკლ. დარბაზულია (11,6x6,6 მ), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. შენობის კედლებში წყობა შერეულია, რ-შიც რიყის ქვისა და აგურის სწორხაზოვანი რიგები ენაცვლება ერთმანეთს. გარეთა კუთხეები, არქიტ., კონსტრ. და ფასადების მორთულობის ელემენტები აგურისაა.

შესასვლელი ორია: დასიდან (ამოშენებულია) და ჩრდიდან. ორივე კარი ნახევარწრიულთაღოვანია და როგორც გარედან, ისე შიგნიდანაც საფეხურით შეღრმავებულ არეში თარაზულადაა გადახურული. გარეთა არეები კი მშვილდისებრთაღოვანია.


აღმ-ით გეგმით ნახევარწრიული აფსიდია, რ-ის ღერძზე შიგნით შეისრულთაღოვანი, გარედან სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი. აფსიდში, სარკმლის ძირის დონეზე, მოწყობილია სამი სწორკუთხა ნიშა. მათგან ერთი სამხრ-ითაა,ორი – ჩრდ-ით. ამ უკანასკნელებიდან სარკმლის სიახლოვეს მდებარეში, ვიწრო, სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი, რ-იც ჩრდ. ფასადზე გადის. ამ ნიშების გარდა, აფსიდში კიდევ ორი მცირე ზომის, თაღოვანი ნიშაცაა, რ-ებიც სარკმლის ორივე



102. გრძივი ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

მხარეს, სარკმლის გადახურვის დონეზე მდებარეობენ.

აფსიდი გადახურულია წესიერი ფორმის კონქით, რ-შიც



102. აღმ. ფასადი

სამი რეზონატორია ჩასმული. საკურთხევლის იატაკი დარბაზის იატაკზე ერთი საფეხურით მაღალია. იგი აფსიდის მხრების ხაზიდან რამდენადმე წინაა წამოწეული და ცენტრში ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი. აღრე საკურთხეველი დარბაზისგან გამიჯნული იყო ხის კანკელით (შემორჩენილია მხოლოდ კვალი).

ეკლესიის გრძივი კედლები და კამარა, ერთსაფეხურიანი პილასტრებითა და მათზე დაყრდნობილი, შეისრული საბჯენი თაღებით სამ თანაბარ ნაწილად იყოფა. სამხრ. კედელზე, პილასტრებს შორის, თითო შეისრულთაღოვანი ნიშაა. მათგან ერთი – დას-ით მდებარე – ყრუა. დანარჩენ ორში კი თითო განიერი, ხის შემინული, უსახური სარკმელია (გვიანდელია) ჩასმული. ორივე ნიშა სარკმლების ძირამდე რიყის ქვითაა ამოშენებული. ორი ნიშა ჩრდ. კედლის განაპირა ნაწილებშია მოწყობილი. დას-ით მდებარე ნიშა, სამხრ. კედლის მსგავსად, აქაც ყრუა. აღმ-ით მდებარეში კი სარკმელია მოწყობილი. ერთი ნიშა დას. კედლის სამხრ. ნაწილშიცაა. ამავე კედლის ღერძზე, შესასვლელის ზემოთ, შეისრულთაღოვანი სარკმელია გაჭრილი, რ-იც საკურთხევლის სარკმლის მსგავსად, გარედან სწორკუთხაა.

პილასტრები დაგვირგვინებულია მაღალი, პროფილირებული იმპოსტებით. მსგავსი პროფილის იმპოსტებია გამოყოფილი აფსიდის თაღის ქუსლებთანაც. თითო პილასტრი დარბაზის დას. კუთხეებშიცაა. მათზე დას. კედელზე მიმდგარი საბჯენი თაღია გადაყვანილი.

დარბაზის იატაკი „ქართული“ აგურითაა მოგებული. ინტერიერი შელესილი და შეთეთრებულია.

ეკლესიის ფასადები სადაა. აღმ. ფასადზე, სარკმლის ზემოთ, საფეხუროვან პოსტამენტზე დაყრდნობილი ჯვრის გამოსახულებაა, რ-იც აგურის წყობის შეღრმავებითაა გამოყვანილი. ეკლესიას კუთხით შვერილი და ჩვეულებრივად დაწყობილი აგურის რიგების მონაცვლეობით შედგენილი ლავგარდანი აქვს.

ეკლესიის დას. კედელზე, აგურით ნაგები, პატარა სარეკლო დგას. იგი წრიულ საფუძველზე დაყრდნობილი, ექვსწახნაგა, ყოველ წახნაგში თაღოვანი ღიობის მქონე ვიწრო ფანჩატურია. სამრეკლო გადახურულია პირამიდული ფორმის, აგურისავე სახურავით. ეკლ. დაბურულია ღარისებრი კრამიტით.


თ. დვალი.

103. წმ. ნიკოლოზის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-აღმ-ით, 600-700 მ-ზე, მაღალი მთის წვერზე, არქიტ. ნიშნებით განეკუთვნება ადრინდ. შუა საუკუნეებს.

ძ. სამეკლესიიანი ბაზილიკაა. შენობის გეგმის სწორკუთხედში (სიგრ. – 8,6 მ, სიგ. – 10,3 მ) მოქცეულია აფსიდიანი სამი ნავი, რ-ებიც ერთმანეთს წყობით არ უკავშირდება. ეკლესიას არაერთგზის შეკეთება-გადაკეთების კვალი ატყვია, რის შედეგადაც თავდაპირველი სახე მნიშვნელოვნად აქვს შეცვლილი. სახეცვლა შენობამ ადგილ. მოსახლეობის მიერ 1980 და 2013 წელს თვითნებურად ჩატარებული რემონტის დროსაც განიცადა. ამჟამად ეკლესიის გარეთა კედლების ზედა ნაწილები, ლავგარდნითურთ, „ქართული“ აგურითაა აღდგენილი, ნაწილი კი – შელესილია.

103. ხედი სამხრ.-დას-იდან






103. გეგმა


ეკლ. ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვით. შუა ეკლესიის კუთხეები, მეტწილად, შირიმის გათლილი ქვებითაა გამოყვანილი. კონსტრ. ნაწილების, აქა-იქ შიგნითა კედლების და ზოგიერთი სარკმლის წირთხლების წყობაში გამოყენებულია მოზრდილი (34x24x7 *სმ*) აგური. გარეთა კედლების ზედაპირი გასწორებულია წმინდა ბათქაშით, რ-იც საპირე ქვების ზედაპირის მნიშვნელოვან ნაწილს ფარავს. გვიანდ. შეკეთებების დროს, რიყის ქვასთან ერთად, „ქართული“ აგურიცაა გამოყენებული. ინტერიერი შელესილი და შეთეთრებულია.

შუა ეკლ. აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-ის ღერძზე ფართო, პარალელურწირთხლებიანი, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. ასეთივე სარკმელი დას. კედელშიცაა. აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, თითო პატარა, თაღოვანი ნიშაა. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, ტრაპეზია მიდგმული, რ-ისთვისაც გვერდებიდან, სხვადასხვა დროს, მიუდგამთ მცირე ზომის, ტრაპეზის მსგავსი თითო ნაგებობა. აფსიდის სამხრ. გვერდს და სამხრ. კედლის იმ ნაწილს, რ-იც საკურთხევლის ფარგლებშია მოქცეული, სამოციოდე *სმ* სიმაღლის საფეხური გასდევს. მოგვიანებით, საკურთხეველი დარბაზისაგან გაუმიჯნავთ კანკელით, რ-იც აფსიდის მხრების ხაზიდან დაახლ. 1 მითაა წინწამოწეული. კანკელში ორი კარია მოწყობილი. მათგან ერთი – კანკელის ცენტრშია, მეორე – ჩრდ. ნაწილში.

103. ჭრილი შუა ეკლესიაზე. ხედი სამხრ-კენ



ორივე კარი ოდნავ შეისრული ფორმის თაღითაა დასრულებული. კანკელის სამხრ. ნახევარგამოყვანილი, ნახევარწრიულთავიანი, სამი შეჯგუფებული ნაგებობა. საკურთხევლის ბაქანი (დაზიანებულია) კანკელის წინაც გრძელდებოდა. იგი კვადრ. აგურით იყო გამოყვანილი და სწორკუთხა ნიშაა. მოგვიანებით, კანკელის შუა ნაწილზე ზემოდან დაუდგამთ აგურით



103. აღმ. ფასადი



103. ინტერიერი. შუა ეკლ. კანკელი



103. ინტერიერი. სამხრ. ეკლ. ხედი აღმ-კენ

ნილი. წინიდან მას საფეხური ჰქონია, ცენტრში კი – ნახევარწრიული ამბიონი. აგურითვეა მოგებული საკურთხევლის იატაკი.

აფსიდი გადახურულია ოდნავ დადაბლებული პროპორციების კონქით, რ-ის თაღი, ნალესობაზე არსებული კვალის მიხედვით, აგურით იყო ნაწყობი. თაღის ქუსლებთან გამოყოფილია იმპოსტები, რ-თა პროფილს თარო და ლილვი შეადგენს.

შუა ეკლესიის გრძივი კედლების შუაში, ნახევარწრიულთაღოვანი კარია, რ-ებითაც იგი გვერდით ეკლესიებთანაა დაკავშირებული. გვერდითი ეკლესიის მხრიდან ორივე კარი მოზრდილი ქვით თარაზულადაა გადახურული. შუა ეკლესიის სამხრ. კედელში, კარის გარდა, განიერი თაღიცაა (გვიანდელია), რ-იც კედლის დას. ნახევარშია მოწყობილი.

შუა ეკლ. გადახურულია ნახევარწრიული ფორმის კამარით, რ-ის დას. ბოლო დას. კედელთან შერწყმულ, შეკიდულ, საბჯენ თაღს ეყრდნობა.

ეკლესიის იატაკი მოგებულია თიხის, ფიგურული ფილებით.

ჩრდ. ეკლ. გრძელია და ვიწრო. აღმ-ით, ნახევარწრიულ აფსიდში ფართო, თაღოვანი სარკმელია. სარკმლის გვერდებზე თითო მცირე ზომის ნიშაა, ქვემოთ კი – ოთხკუთხა ტრაპეზი, რ-იც კედელზეა მიდგმული.

ეკლესიის კამარა, ჩრდ-ით, უშუალოდ კედელს ეყრდნობა, სამხრ-ით კი – შუა ეკლესიაზე მიყრდნობილი სამი თაღით შექმნილ, გრძივ საყრდენს. თავად თაღები დაყრდნობილია ორ სწორკუთხა ბოძზე, რ-თა ასწვრივ, კამარის ფარგლებში, საბჯენი თაღია გამოყვანილი. ჩრდ. კედლის შუაში განიერი შესასვლელია. მას თავდაპირველი სახე შეცვლილი აქვს (შესასვლელის დავიწროების მიზნით, მის აღმ. წირთხლზე კედელია მიშენებული. გვიანდელია თავად კარის გადახურვაც). საკურთხევლის სარკმლის გარდა, ეკლესიის შიდა სივრცის გასანათებლად, ერთი თაღოვა-

ნი სარკმელი (სახეცვლილია) დას. კედელშიცაა.

ჩრდ. ეკლესიის მსგავსად, სამხრ. ეკლესიაც ნახევარწრიულაფსიდიანია. აფსიდში განიერი, თაღოვანი სარკმელია სწორკუთხა ბურჯზე დაყრდნობილ, ორმალიან თაღედს წარმოადგენდა. გვიანდ. რემონტის დროს შესასვლელის აღმ. თაღი ამოუშენებიათ, ხოლო დას-ისაში სწორკუთხა კარი მოუწყვიათ.



103. აღმ. ფასადი. ქვა რელიეფური ჯვრის გამოსახულებით და ასომთავრული წარწერით

გაჭრილი. სარკმლის სამხრ-ით მცირე ზომის ნიშაა. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, აქაც ოთხკუთხა ტრაპეზია მიშენებული. ტრაპეზის მარცხნივ აგებულია მისივე მსგავსი ნაგებობა, რ-იც, როგორც ჩანს, სამკვეთლოდ გამოიყენებოდა. ეკლ. გადახურულია რიყის ქვით ნაწყობი კამარით, რ-ის ჩრდ. გვერდი მთავარი ეკლესიის სამხრ. კედელზე მიშენებულ, სამმალიან თაღედს ეყრდნობა. კამარის სამხრ. გვერდი კი – შესაბამის კედელს. კამარის დას. ნაწილში გამოყვანილია შეკიდული საბჯენი თაღი, რ-იც კამარას ორ არათანაბარ ნაწილად ყოფს (აღმ-ისა თითქმის ორჯერ აღემატება დას-ისას). ეკლესიის დას. კედელში თაღოვანი სარკმელია. იგი კედლის მოგვიანებით განახლებულ ნაწილშია მოქცეული.

გარედან შენობას ნამდვილი ბაზილიკის ფორმები აქვს. შუა ეკლ. გვერდითი ეკლესიების მიმართ რამდენადმე შემაღლებულია და ორფერდა სახურავითაა გადახურული, გვერდითი ნავების გადახურვა კი ცალფერდაა.

ეკლესიის სამხრ. კედელში მოწყობილი იყო ბაზილიკის მთავარი შესასვლელი, რ-იც ბაზილიკის აღმ. ფასადზე, შუა ეკლესიის სარკმლის ზემოთ, წყობაში ჩასმული, მოგრძო შირიმის ქვაზე, ფონის ამოღრმავებით გამოყვანილი, რელიეფური ჯვრის გამოსახულებაა. ჯვრის განივი მკლავების ქვემოთ მოთავსებულია ორსტრიქონიანი, ასომთ. წარწერა, რ-შიც მოხსენიებულია ვინმე ჰეროდიტე. მსგავსი ჯვრის გამოსახულებიანი შირიმის ფრაგმენტია ჩასმული დას. ფასადზე, შუა ეკლესიის სარკმლის ზემოთ. თავად ჯვრისგან ქვედა და მარცხ. მკლავიღაა შემორჩენილი. ჯვრის მარცხ. მხარეს ძლიერ დაზიანებული, ოთხსტრიქონიანი, ასომთ. წარწერაა. წარწერის თითოეული სტრიქონი ორ-ორ ასოს შეიცავს. თ. ბარნაველი წარწერას შემდეგნაირად კითხულობს: „წმიდაო გრი(გოლ) ...“

ბაზილიკას აგურის სამსაფეხურიანი ლავგარდანი აქვს.

ეკლესიის დას. ფრონტონზე აგურის ოთხწახნაგა, უსახური სამრეკლოა დაშენებული (გვიანდელია), რ-იც ოთხივე მხარეს მშვილდისებრთაღოვანი ღიობით გახსნილი ფანჩატურია. სამრეკლოს აგურისავე, პირამიდისებრი სახურავი ხურავს. ეკლ. ღარისებრი კრამიტითაა დაბურული.

ეკლესიას სამხრ-იდან, მთელ სიგრძეზე, მიშენებული ჰქონდა საკმაოდ სქელი (სისქე დაახლ. 1,2 მ-ია), საყრდენი კედელი, რ-საც ზედა ნაწილი ჩამოშლილი აქვს.

თ. დვალი.

ბიბლ.: 12, 337, 343.

ბოდბისხევის ფერისცვალების ეკლესია,
იხ. სოფ. ზემო ბოდბე.

ბრიმაღელის სამარხები.
იხ. სოფ. ზემო ბოდბე.

ბრტყელიგორის ნამოსახლარი,
იხ. ალაზნის ველის არქეოლოგიური ძეგლები.

დიდიგორის ნამოსახლარი,
იხ. ალაზნის ველის არქეოლოგიური ძეგლები.

დიდი სერების გორასამარხი,
იხ. სოფ. ნუკრიანი.

ერისიმედი
(ჯუგაანის თემი)

104. ბრძოლა ლეკ მოთარეშეთა წინააღმდეგ, ისტ. ძ. შეტაკება მოხდა 1790 წელს.

ერეკლე II-ის ძის დავითის სარდლობით, ქიზიყელთა ლაშქარი თავს დაესხა ბაიამათლოსა და ფადარში დაბანაკებულ ლეკთა ლაშქარს და „მოსტყუენა სრულად“. ერთი დღის განმავლობაში ქართველებმა სამგზის დაამარცხეს ლეკები, გაანადგურეს მათ დასახმარებლად მომავალი ლაშქარიც და მტერს საქართველოში ნაძარცვი ქონება წაართვეს.

კ. კახაძე.

ბიბლ.: 50, 77, 207(ვ).

ვაისწყლის ნამოსახლარები, იხ. სოფ. ქვემო მაღარო.

ვაქირი
(სათავო სოფელი)

105. ვაქირი, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. მთისწინეთში, ზ. დ. 420 მ-ზე, სიღნაღიდან 9 კმ-ზე, წნორიდან (უახლესი რკ.-გზ. სადგური) 5 კმ-ზე.

ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით: „სიღნაღს დასავლით და ჩრდილოთ აქვს ხევი ანაგისა . . . აღმოსავლით ვაქირი“.

საბასეული განმარტებით: „ვაქირი, მიზდური, მოსარჩლე“, ანუ ქირის მომჩივანია. გ. ქოქიაშვილის ვარაუდით, შესაძლებელია ძვ. დროში სოფლის მკვიდრთ მეზობლებზე რაიმე (თუნდაც ტერიტ.) ჰქონდათ ქირით გაცემული, ვერ იბრუნებდნენ და ტრადიციული დავა ჩამოუყალიბდათ. არსებობს მოსაზრება, რომ სოფლის სახელწოდება მომდინარეობს ძვ. სპარსულიდან და განთიადზე, მზის ამოსვლით გამოწვეული აღტაცების შეძახილია. სხვა მოსაზრებით, სიტყვა ვაქირი გაჯიუტებას – ვაქირის ქმნას ნიშნავს. სოფლის სახელთან დაკავშირებით ხალხში ასეთი თქმულებაცაა გავრცელებული: მეფე ერეკლეს სოფელთან შემოღამებია. მეფისა და მისი მრავალრიცხოვანი ამალისათვის ერთ გლეხს უმასპინძლია. მეფის ბრძანებით გლეხისთვის ქირა გადაუხდიათ. მეფის გულუხვობით გახარებულ გლეხს წამოუძახია: „ვა ქირა?! რა საკადრისია მეფე ბატონო!“.

ვაქირი ძველთაგანვე ქიზიყის ერთ-ერთი დიდი და წელგამართული სოფელი იყო. სოფელში დგას წმ. იოანე ნათლისმცემლის სახელზე აგებული ადრინდ. შუა საუკუნეების მოზრდილი, სამეკლესიანი ბაზილიკა. როგორც ჩანს, უკვე ამ პერიოდისთვის ვაქირი ძლიერი და ხალხმრავალი სოფელი იყო.

XV საუკუნის II ნახევრიდან ვაქირი ქიზიყის სამოურავოშია და შედის კახეთის მეწინავე, ბოდბელის სადროშოში. იგი, როგორც საუფლისწულო მამული, შეტანილია ბატონიშვილი დავითისა (გიორგი XII-ის ძე) და მისი მეუღლის ელენეს ქონების აღწერის დავთარში.

1722 წელს მეფე ერეკლე II-ისა და მის ამალასთან ერთად ვაქირი მოუნახულებია და იქ რვა დღე გაუტარებია გერმანელ მეცნიერსა და მოგზაურს იოჰან გიულდენშტედტს, რ-საც საიმპერატორო აკადემიაში გასაგზავნი რაპორტიც აქ დაუწერია. 1817 წლის „საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის აღწერით, ვაქირში 327 კომლი ცხოვრობდა (მაშინ ერთ კომლში 7-8 ადამიანი ირიცხებოდა).

ხელაშვილების საგვარეულოში შემორჩენილი გადმოცემის მიხედვით, ინგილო ქალის ამბავი, რ-იც იაკობ გოგებაშ-

105. სოფლის საერთო ხედი სამხ-იდან. უკანა პლანზე: ალაზნის ველი



ვილის მოთხრობის მიხედვით საინგილოში მოხდა, ვაქირთანაა დაკავშირებული. მეფე ერეკლე მეორისათვის ქლიავის თავზე დამყრელი პატარა ტასო ხელაშვილი ყოფილა, რ-მაც უკვე დაქალებულმა, მწარედ დაიტირა უკანასკნელ გზაზე მიმავალი საქართველოს მეფე. „... ისევ ჩემ ძმას გავვარდეს ბრძოლაში ხმალ-ხანჯალი, მკათათვის სამკალში ცელ-ნამგალი, ისევ ჩემ ძმას ეცვას მიწის ჩოხა-ახალუხი, შენ კი გეხვიოს მზისა და მთვარის ყაბალახი აბა! ... ვაგლახ მე მეფევე ბატონო!“.

ვაქირთან არის დაკავშირებული მრავალი სახელოვანი მამულიშვილის სახელი. მათ შორისაა ფილოსოფოსი, თეოლოგი და მქადაგებელი, იერო-დიაკონი იონა ხელაშვილი, რ-იც სულისა და მატერიის რაობაზე ფილოსოფოსებს ჯონ ლოკსა და გოტფრიდ ლაიბნიცს ეპაექრებოდა. იგი ერეკლე II-ის შვილების მოძღვარი და პედაგოგი იყო. იონა ხელაშვილის ნააზრევი სრულადაა გადმოცემული იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“, სადაც იგი მთავარი პერსონაჟია.

ამჟამად ვაქირში ფუნქციონირებს: საჯარო და სამუსიკო სკოლები, საბავშვო ბაღი, ბ-კა, ამბულატორია, კულტურის სახლი, ა. გზირიშვილის, ვ. გოძიაშვილის და ი. მოსაშვილის სახლ-მუზეუმები.

სოფელში მეურნეობის ტრადიციული დარგებია: მემინდვრეობა, მევენახეობა, მესაქონლეობა. ხელოსნობის დარგებიდან სიმინდის ფუჩეჩის წვნა, ამზადებენ ფანდურებს.

ლ. მოწონელიძე.

ბიბლ.: 43, 55, 68, 166(ვ), 168, 207(ლ), 208(გ), 211.

106. ალექსანდრე გზირიშვილის სახლ-მუზეუმი, ისტ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრში. გაიხსნა 1983 წელს.

სახლ-მუზეუმის შენობა ერთსართულიანია, ერთოთახიანი (6x5 *მ*). ოთახის უკან სათავსია, წინ – ღია, რიკულებიანი აივანი. სახლი ნაგებია რიყის ქვით. სახლის მთავარ ფასადზე გაკრულია მარმარილოს ფილა (50x35 *სმ*) წარწერით: „ამ სახლში 1902 წ. 26 იანვარს დაიბადა ცნობილი ქართველი მეცნიერი ალექსანდრე (ფირმან) ზაქარიას ძე გზირიშვილი“. სახლ-მუზეუმში გამოფენილია ალ. გზირიშვილის მემორ. ნივთები, დოკუმენტები, ფოტოსურათები.

ჯ. კახაძე.

ბიბლ.: 207(გ).

107. ვასილ (ვასო) გოძიაშვილის სახლ-მუზეუმი, ისტ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრში. გაიხსნა 1986 წელს.

სახლ-მუზეუმში გამოფენილია მსახიობის ყოფა-ცხოვრების ამსახველი მასალა, ყოფის და ეთნოგრაფიული მასალა, ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, მოწყობილია ეთნ. კუთხე.

ჯ. კახაძე.

ბიბლ.: 207(გ).


108. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის თავში, სასაფლაოზე. თარიღდება XIX საუკუნით.

ეკლ. დარბაზული ტიპისაა, თითქმის მთლიანად ნაშენია აგურით, დგას ცოკოლზე, რ-ის წყობაში, აგურთან ერთად, რიყის ქვაცაა გამოყენებული. ნაგებობა ძლიერ დაზიანდა საბჭ. მმართველობის პირველ წლებში. ადგილ. მოსახლეობის გადმოცემით, შენობას ერთხანს საჯინიბოდ იყენებდნენ. ამჟამად ეკლესიის გადახურვა ჩამოშლილია. დანგრეულია სამხრ. კედლის დიდი ნაწილი, ინტერიერში მცენარეულობაა ამოსული.

ტაძარი აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული, შვერილი აფსიდით, რ-იც გარედან შიდა მოხაზულობას იმეორებს და დამოუკიდებელი სახურავითაა გადახურული (შიგნით ეკლესიის სიგრ. – აფსიდის ჩათვლით – 11,8 *მ*-ია, სიგ. – 5,7 *მ*).

შესასვლელი ორია: დასიდან და ჩრდ-იდან. ორივე კარი ნახევარწრიულთაღოვანია. ეკლესიას დას-იდან მიდგმული აქვს სამრეკლო, რ-ის ქვედა ნაწილი კამაროვან გასასვლელს წარმოადგენს.


საკურთხევლის აფსიდი ღრმაა და დარბაზის გრძივი კედლებიდან განიერი მხრებითაა გამოყოფილი. აფსიდის გვერდებში გაჭრილია თითო ფართო, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელი. საკურთხეველში სამი მაღალი, ფართო ნიშაცაა – ერთი აფსიდის ღერძზეა, თითო-თითო კი – ბოლოებთან. ნიშები და სარკმლები თანაბარი ზომისაა. აფსიდი გადახურულია დადაბლებული პროპორციების მქონე კონქით.



108. გეგმა


დადაბლებულია კონქის თაღიც, რ-ის თავზე, კამარამდე, შვეული კედელია (სიმ. დაახლ. 2 მ-ია) აღმართული.

ეკლესიის ჩრდ. კედელში ორი ფართო, თაღოვანი სარკ-



108. გრძივი ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

მელია. მსგავსი სამი სარკმელი იყო გაჭრილი სამხრ. კედელშიც. დას. კედელში, კარის ორივე მხარეს, თითო მოზრდილი, თაღოვანი ნიშაა, რ-ებიც



108. ჩრდ. ფასადი


იატაკის დონიდან იწყება. მათგან სამხრ-ისაში სამრეკლოზე ასასვლელი კიბე იყო მოწყობილი. კიბის უჯრედს დას. კედელში, შესასვლელის ზემოთ გაჭრილი, პატარა თაღოვანი სარკმელი აშუქებდა.

ეკლესიის ფასადები სადაა. გარედან კარ-სარკმლები ჩასმულია სადა, ნახევარწრიულთაღოვან ჩარჩოში. მოჩარჩოებულია სამრეკლოს ქვედა ნაწილში არსებული თაღოვანი გასასვლელიც.

ეკლესიის კედლები დასრულებულია ლეკალური აგურით ნაწყობი ლავგარდნით. ზემოთ, სამრეკლოს ფანჩატურის შემორჩენილ, კვადრ. საფუძვლის თითოეულ გვერდზე, საფეხურით შედრმავებული, სწორკუთხა არეა, რ-შიც თითო ტოლმკლავა ჯვარია გამოსახული.

თ. დვალი.

109. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ. განაპირას. თარიღდება გვიანდ. შუა საუკუნეებით. 2014 წელს შენობა შეაკეთეს: აამაღლეს გარეთა კედლები



109. გეგმა

(დაახლ. 30 *სმ*-ით), მოაწყვეს ახ. ლავგარდანი, სახურავი დაიბურა ღარისებრი კრამიტით. ამჟამად ეკლესია მოქმედია.

ეკლ. დარბაზულია (5,6x3,8 *მ*), ნაგებია რიყის ქვით. წყობაში აქა-იქ ჩართულია „ქართული“ აგურიც. აგურისაა ეკლესიის იატაკიც. არქიტ. ელემენტები ძირითადად შირიმითაა გამოყვანილი. კედლები გარედან კირის ბათქაშითაა გასწორებული, რ-იც საპირე ქვების ზედაპირის მნიშვნელოვან ნაწილს ფარავს.

შესასვლელი სამხრ-იდანაა. კარი გადახურულია ქვიშაქვის ძირგასწორებული, მოზრდილი ქვით.

აღმ-ით აფსიდია. აფსიდის ღერძზე გაჭრილია ვიწრო, თითქმის პარალელურწირთხლებიანი, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელი, რ-საც მომრგვალებული ძირი აქვს. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, რიყის ქვით ნაგები, კუბური ფორმის ტრაპეზია მიდგმული. აფსიდის სამხრ. გვერდში საშ. ზომის ნიშაა. აფსიდი კონქითაა გადახურული, რ-ის თაღსაც შეკვერცხილი ფორმა აქვს.

საკურთხევლის სარკმლის გარდა, ეკლესიას დას. კედლის ზედა ნაწილში გაჭრილი თაღოვანი სარკმელიც აშუქებს. მოგვიანებით მისი ქვედა ნაწილი აგურით ამოუშენებიათ (შემორჩენილია ორი რიგი). სარკმლის ჩამოსწვრივ მცირე ზომის ნიშაა.

109. ხედი აღმ-იდან





109. სამხრ. ფასადი. წყობაში ჩასმული წარწერიანი ქვა

დარბაზის გრძივი კედლები სადაა. მოკლებულია პილასტრებს.

კედლები შელესილი და მოხატულია. მოხატულობა სიბრტყობრივია, პროპორციები და ფორმები მოუხეშავი, მაგრამ ექსპრესიულია. მხატვრობა სტილისტიკურად უკავშირდება XVI ს-ის ე.წ. ხალხური მხატვრობის მიმდევართა დიდ ჯგუფს.



109. ინტერიერი. მოხატულობის ფრაგმენტი

109. ინტერიერი. მოხატულობის ფრაგმენტი



ეკლესიის ფასადები სადაა. აღმ. ფასადზე სარკმლის თაღი შირიმის მთლიან ქვაშია გამოკვეთილი. დას. ფასადის ფრონტონის არეში წრეში ჩასმული, ბოლნური ჯვარია გამოსახული. სამხრ. ფასადზე, კარის აღმ-ით, მიწის დონეზე, კედელში ჩასმულია ქვიშაქვის მოზრდილი ქვა (80x60 სმ) – რვასტრიქონიანი ნუსხახუცური წარწერით. წარწერა ნაკლულია, მასში საუბარია ქვის შეწირვაზე. წარწერაში აღნიშნული ყოფილა თარიღიც, რაც დაზიანების გამო აღარ იკითხება. ფასადი დასრულებული იყო აგურით ნაწყობი ლავგარდნით. შემორჩენილი ნაშთებიდან ირკვევა, რომ იგი კუთხით შვერილი და ჩვეულებრივად ნაწყობი აგურებით შედგენილი სამი რიგით იყო გამოყვანილი.

თ. დვალი.

110. ილო მოსაშვილის სახლ-მუზეუმი, ისტ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრში, გაიხსნა 1983 წელს.

სამსართულიანი ქვითკირის შენობის პირველ სართულზე მარანია. მწერლის მემორ. ნივთები, ხელნაწერები და შემოქმედების ამსახველი ფოტო-გამოფენა მოთავსებულია შენობის მესამე სართულის სამ ოთახში.

ჭიშკარზე წარწერაა: „გამოჩენილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ი. მოსაშვილის სახლ-მუზეუმი“.

ზ. ჯამბურია.

ბიბლ.: 207(ზ).

111. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სასაფლაოს „კოპალეს“ სამხრ-ით.

ძ. შემთხვევით აღმოჩნდა სასმელი წყლის ტრასის გაყვანის დროს. კულტ. ფენები დაახლ. 100 მ-ზე ვრცელდება. აღმოჩნდა გვიანდ. ბრინჯაო-ადრინდ. რკინის ხანის შავად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, შუა საუკუნეების წითლად გამომწვარი და მოჭიქული კერამიკის ნატეხები და ქვევრები.

ნ. გოძიაშვილი.

112. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ბიჭიაურად წოდებულ ადგილში. განეკუთვნება შუა და გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ნამოსახლარზე შეინიშნება რიყის ქვითა და დუღაბით ნაგები კედლებისა და საძირკვლების ნაშთები. აიკრიფა წითლად გამომწვარი და მოჭიქული კერამიკის ნატეხები.

ნ. გოძიაშვილი.

113. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ავთანდილ გოძიაშვილის ეზოში. განეკუთვნება შუა საუკუნეებს.

ძ. შემთხვევით აღმოჩნდა მიწის სამუშაოების დროს. ნამოსახლარზე შეინიშნება ქვითკირით ნაგები კედლების ნაშთები. აიკრიფა წითლად გამომწვარი წერნაქიანი და მოჭიქული ჭურჭლის, გვერდებაკეცილი კრამიტის და გვიანდ. ბრინჯაოს ხანისათვის დამახასიათებელი კერამიკის ფრაგმენტები.

ნ. გოძიაშვილი.

114. ნასოფლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ერელაანთ უბანში. განეკუთვნება შუა და გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ნასოფლარზე შეინიშნება შენობათა რიყის ქვის საძირკვლები. აღმოჩნდა მარნის ნაშთები, წითლად გამომწვარი და მოჭიქული კერამიკის ნატეხები.

ნ. გოძიაშვილი.

115. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ალ. ეგეტაშვილის ეზოში.

ძ. შემთხვევით აღმოჩნდა სახლის მშენებლობის დროს. სამარხები წარმოადგენდა რიყისა და ნატეხი ქვით ნაგებ ქვაყუთებს. მათში მიცვალებულის ძვლები და ინვენტარი არ აღმოჩნდა.

ნ. გოძიაშვილი.

116. ᬓᬗ. ᲘᲝᲐᲜᲔ ᲜᲐᲗᲚᲘᲡᲛᲪᲔᲛᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ. განაპირას, მთის ფერდობის ფართო ტერასაზე.



116. საერთო ხედი სამხრ-დან


ც ნ ო ბ ი ლ ნ ი მ უ შ ე ბ ში, არამედ აქ მთავარი ნავის ფასადი, გვერდითი ნავების ფასადების მიმართ, რამდენადმე (დაახლ. 1 მ-ით) წინაა წამოწეული.

მნიშვნელოვანი ნგრევებისა და გადაკეთებების შედეგად ილები და კამარა, რ-ის საბჯენი თაღების დასაყრდნობად გრძივ კედლებზე მიშენებულია ახ., მძლავრი პილასტრები, თითქმის მთლიანადაა აღდგენილ-გადაკეთებული ეკლესიის დას. ნაწილი, გვერდითი ნავები – თითქმის მთლიანად და სხვ.

1893 წელს, მღვდლის შანშიაშვილის ინიციატივით, ეკლესიის მთავარი ნავისთვის დას-იდან მიუდგამთ სამსართულიანი სამრეკლო (კალატოზი გეურქ სააკაშვილი), რ-ის პირველი სართული კარიბჭის დანიშნულებას ასრულებს.

ეკლ. მოზრდილი ზომის, შემაღლებული პროპორციების სამნავიანი ნაგებობაა. ორკალთა სახურავით დასრულებულ მთავარ ნავს გვერდებიდან დაბალი, ცალფერდასახურავიანი ნავები ეკვრის.


შენობა ძირითადად რიყის ქვითაა ნაგები. გარეთა კუთხეებში და კარ-ფანჯრების ღიობების ირგვლივ ჩაწყობილია ფრთხილად გათლილი ტუფის ქვები. ფასადები ორფენოვანია: ქვედა ნაწილი ნაგებია ნატეხი ქვით, ზედა – ფრთხილად გათლილი ტუფის ქვებით. ფასადების ზედა ნაწილში ამოყვანილია ორ-ორი ბრტყელი ნიშა. ფანჯრების ღიობები ორსაფეხურიანია, ნაწილობრივ შემორჩენილია ქვის ჯვარედინი ბადეები.



116. გეგმა

გ. ჩუბინაშვილის მიხედვით, ეკლესიას ახლანდ. სახე VI-VII საუკუნეების მიჯნის სამეკლესიანი ბაზილიკის განახლების შედეგად აქვს მიღებული, რ-იც XVI საუკუნის შუა ხანებში, კახეთის მეფის ლევანის მეფობის დროს (1518/1520-1574 წწ.) განხორციელდა. თავდაპირველი ნაგებობიდან არსებითად შუა ეკლესიის ნაწილი და გვერდითი ეკლესიების აღმ. მხარეა შემორჩენილი, რ-თა მიხედვით აშკარაა, რომ ყოფილი ეკლ. სამეკლესიიანი ბაზილიკების უძველესი ჯგუფის ერთ-ერთ საყურადღებო მაგალითს წარმოადგენდა – მთავარი ეკლესიის გვერდებზე მოწყობილი სათავსებით, რ-ებიც სამკვეთლოსა და სადიაკვნის დანიშნულებას ასრულებდა.

თავდაპირველი ეკლესიის კომპოზიციურ სტრუქტურაში მეტად საყურადღებო და დამახასიათებელია აღმ. ფასადის გადაწყვეტა. ამ მხრიდან, მთავარი და გვერდითი ეკლესიების ფასადები ერთ სიბრტყეში კი არ მდებარეობს, როგორც ამ ტიპის ნაგებობების დღემდე ეკლ. იმდენადაა სახეშეცვლილი, რომ მისი თავდაპირველი გეგმის დადგენა, გათხრა-გასუფთავებისა და რიგი ადგილების სპეც. გამოკვლევის გარეშე, პრაქტიკულად შეუძლებელია: მთავარი ეკლესიის იატაკი სამკვეთლოსა და სადიაკვნის იატაკების მიმართ ამაღლებულია დაახლ. 1 მ-ით, განახლებულია მთავარი ეკლესიის კედლების ზედა ნაწეების წყობაში გამოყენებული ყოფილა შირიმის გათლილი ქვები. მოგვიანებით განახლებული კედლები რიყის ქვისა და აგურის შერეული წყობითაა გამოყვანილი. კონსტრ. ნაწილები თითქმის მთლიანად აგურისაა. გარეთა კედლების ზედაპირი გასწორებულია ბათქაშით. ალაგ-ალაგ, ქვებს შორის დარჩენილი არეების ამო-



116. გრძივი ჭრილი შუა ნავზე. ხედი სამხრ-კენ

სავსებად, ბათქაშთან ერთად, აფსიდს მთელ სიგრძეზე საფეხ-აგურის ნატეხებიცაა გამოყ- ური გასდევს.
ენებული. გარდა ამისა, აგური, გრძივ კედლებზე ძლიერ სისტემის დაცვის გარეშე, ქვებს შვერილი, ორსაფეხურიანი ოთხ-



116. ინტერიერი. შუა ნავი. ხედი აღმ-კენ

შორისაცაა ჩართული. ბოლო პერიოდში განახლებულ-გადა-კეთებული არქიტ. ელემენტები მთლიანად აგურითაა გამოყ-ვანილი.

შუა ეკლ. ვრცელია (სიგრ. – 27,4 *მ*, სიგ. – 10,2 *მ*, კედლების სისქე – დაახლ. 1,5 *მ*). აღმ-ით იგი დასრულებულია ღრმა, ნახევარ-წრიული აფსიდით, რ-ის ღერძზე თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ორივე მხარეს თითო პატარა კვადრ. ნიშაა. სარკმლის ქვემოთ დგას კედელზე მიყრდ-ნობილი, ოთხწახნაგა ტრაპეზი. ოთხი პილასტრია (გვიანდელია), რ-ებსაც ემყარება კამარის შეისრული, საბჯენი თაღები. პილასტრებს შორის განთავსე-ბულია კედლის შეისრული თაღები. პილასტრების დას. წყვილზე გადაყვანილი იყო ნახევარწრიული თაღი, რ-ზეც დაყრდნობილი იყო პატრონი-კის ხის იატაკი (შემორჩენილია ხის კოჭების ბუდეები). პატრონ-იკეზე ადიოდნენ ხის კიბით. ინ-ტერიერს, გარდა საკურთხევ-ლის სარკმლისა, კიდევ შვიდი სარკმელი აშუქებს. მათ შორის სამ-სამი – პილასტრებს შორის, ერთმანეთის სიმეტრიულად, გრ-ძივ კედლებშია გაჭრილი. ერთი – დას-ისაში. ეს უკანასკნელი სამყურა თაღითაა გადახურუ-ლი და საფეხურებიანი რაფა



116. ინტერიერი. საკურთხევლის აფსიდის ჩრდ. გვერდი. ქვასვეტის ფრაგმენტი

აქვს. აქედანაა შესასვლელი სამრეკლოს მეორე სართულ-ზე. სამხრ. და ჩრდ. კედლებზე შემორჩენილია ძვ., შეკიდული პილასტრების ნაწილები.

ეკლესიის გვერდითი ნავე-ბი დაყოფილია დამოუკიდებ-ელ სადგომებად: ჩრდ. ნავში ოთხი სადგომია, სამხრ-ისაში – სამი. ზოგი მათგანი კარით უკავშირდება შუა ეკლესიას, ზოგი – ერთმანეთს, ზოგს და-მოუკიდებელი შესასვლელი ეზოს მხრიდან აქვს. ყველა სადგომი კამარითაა გადახურუ-ლი, რ-ის ერთი გვერდი მთავარი ეკლესიის კედელზე მიშენებულ თაღედზეა დაყრდნობილი, მეო-რე კი – შესაბამის კედელზე.

ჩრდ. მინაშენის აღმ. ბოლოში მოწყობილია განცალკევებული, გეგმით თითქმის კვადრ. სამკვეთლო (3,30x2,75 მ) – ვიწრო სარკმლით აღმ-ით და განიერი, თაღოვანი ნიშით მთავარი ეკლესიის ჩრდ. კედელში. სარკ-




116. ინტერიერი. საკურთხევლის აფსიდის ჩრდ. გვერდი. ქვასვეტის ფრაგმენტი

მლის ქვემოთ დგას კედელზე მიყრდნობილი, ოთხწახნაგა ტრაპეზი.

სამკვეთლო მთავარ ეკლესიას უკავშირდება ამ უკანასკნელის აფსიდის შესაბამის კუთხესთან არსებული, ვიწრო, დერეფნის მსგავსი გვიანდ. გასასვლელით, რ-შიც სამკვეთლოს თავდაპირველი კარის ნაწილიცაა ჩართული. სამკვეთლო ეკლესიის ჩრდ. ნავის დანარჩენი ნაწილის განახლების დროს დაუმოკლებიათ, რაც აშკარადაა შესამჩნევი როგორც შიგნით, ისე გარედან.

სამკვეთლოზე დას-იდან მიდგმული სადგომი მასზე ოდნავ უფრო განიერი და მაღალია. მასში როგორც შუა ეკლესიიდან, ისე გარედანაც, ჩრდ. კედელში გაჭრილი კარით შეიძლება მოხვედრა. სადგომი წყვილი პილასტრით და მათზე დაყრდნობილი, შეისრული თაღით ორ, თითქმის თანაბარი სიდიდის მონაკვეთად იყოფა. სამხრ-ით, პილასტრის გვერდებზე, კედლის ორი შეისრული თაღია მოწყობილი. სადგომი განათებულია ერთი ვიწრო სარკმლით, რ-იც აღმ. მონაკვეთის ჩრდ. კედელშია გაჭრილი. სადგომი შუა ეკლესიას კარით უკავშირდება. კარის აღმ. წირთხლის წყობაში, 1 მ-ის სიმაღლეზე, ჩატანებულია სუფთად დამუშავებული, მცენარეული ჩუქურთმით შემკული, ქვისმთლელის ნიშნების შემცველი, კირქვის მოზრდილი ბლოკი. იგი, როგორც ჩანს, ადრე ამ ადგილას მდგარი ქვასვეტის ნაწილს წარმოადგენს. ჩუქურთმის კვეთის საკმაოდ მაღალი



116. ინტერიერი. შუა ნავიდან ჩრდ. ნავში გასასვლელის აღმ. წირთხლი. ქვასვეტის ფრაგმენტი

ტექნ. დონე ოსტატის დიდ გამოცდილებას ცხადყოფს.

სადგომის დას. კედელში კარია, რ-ითაც ჩრდ. ნავის მესამე, გეგმით თითქმის კვადრატულ (3,30x2,75 მ) სადგომში ვხვდებით. სადგომი განათებულია ჩრდ. კედელში გაჭრილი სარკმლით.

მეოთხე სადგომი წაგრძელებული გეგმისაა (7,30x3,30 მ). წყვილი პილასტრით და მათზე დაყრდნობილი, შეისრული საბჯენი თაღით იგი ორ ნაწილადაა გაყოფილი. შესასვლელი სადგომს ჩრდ-იდან აქვს. დას. კედელში კარი ყოფილა (ამოშენებულია), რ-საც აგურის ხერხულა წყობით გამოყვანილი ფრიზი აგვირგვინებდა. კარის თავზე სარკმელია. მეორე სარკმელი ჩრდ. კედელშია. კამარის საბჯენი თაღები და შუა ეკლესიის კედელზე მიშენებული თაღები აგურისაა. ქვედა თაღი შეისრულია.

სამხრ. მინაშენის აღმ. ბოლოში არსებული სადგომი – სადიაკვნე მოგვიანებით გადაუკეთებიათ და გაუდიდებიათ. ჩრდ.-ით მას, იატაკიდან 1 მ სიმაღლეზე, ღრმა თაღოვანი ნიშა (გადაკეთებულია) ჰქონია. აღმ. კედელში – ერთი, სამხრ. კედელში კი ორი სარკმელია. აღმ-ით მდებარე სარკმლის გვერდით მცირე ზომის ნიშაა. სადგომი შუა ეკლესიას კარით უკავშირდება. მეორე კარი დას. კედელშია, რ-იც დას-ით მდებარე სადგომში გადის (ეს კარი საბჭ. პერიოდშია გაჭრილი, მაშინ, როცა ეკლესიას საწყობად იყენებდნენ).

დას-ით მდებარე სადგომი ეკლესიის კარიბჭის დანიშნულებას ასრულებს. სადგომის სამხრ. კედლის შუაში განიერი, თაღოვანი შესასვლელია, რ-ის ორივე მხარეს თითო თაღოვანი სარკმელი, კედლის ბოლოებში კი თითო პატარა ნიშაა მოწყობილი. სადგომის ჩრდ. კედელში ეკლესიაში შესასვლელი კარია.

მესამე სადგომი (5,5x3,3 მ) წყვილი პილასტრით და მათზე დაყრდნობილი შეისრული, საბჯენი თაღით გაყოფილია ორ ნაწილად. შესასვლელი მას დას-იდან აქვს. მეორე კარი სადგომს სამხრ-იდან ჰქონდა. მოგვიანებით იგი აგურით ამოუშენებიათ და შიგნით ნიშად გადაუკეთებიათ. დას. და სამხრ. კედლებში თითო სარკმელია გაჭრილი.

შუა ეკლესიის აფსიდის ჩრდ. გვერდის წყობაში, საშენ მასალად გამოყენებულია ქვასვეტის რამდენიმე ფრაგმენტი. მათგან შედარებით ნაკლები დაზიანებებით მხოლოდ

ერთია შემორჩენილი. ქვასვეტი ოთხწახნაგაა და მთლიან ქვიშაქვაშია გამოკვეთილი. ქვასვეტის შუა არე ცუდადაა შემორჩენილი. მასზე წარმოდგენილი გამოსახულე-



116. ხედი სამხრ.-დას-იდან

ბის (ღვთისმშობელი ჩვილით?) მნიშვნელოვანი ნაწილი მომტვრეულია, რის გამოც გამოსახულების შესახებ დაბეჯითებით რაიმეს თქმა ძნელია.

ქვასვეტის მარცხნივ, ორმოცდაათიოდე სმ-ის მანძილზე, წყობაში ჩასმულია კირქვის ფრაგმენტი, რ-ზეც დაბალი რელიეფით გამოყვანილი ჯვრის ქვედა მკლავის გამოსახულებაა. ორივე ბოლოში მას სადა ბურთულა აქვს წაბმული. თავად მკლავის ზედაპირი დამუშავებულია ირიბად ჩაკვეთილი სიბრტყეებით გამოყვანილი სამკუთხედის ფორმის სახეებით. მკლავის ქვემოთ წრეში ჩასმული, ბოლნური ჯვრის გამოსახულებაა. ამ ფრაგმენტის სიახლოვეს ქვასვეტის კიდევ ერთი ფრაგმენტია, რ-საც წინა პირი ჩამოთლილი აქვს. სავარაუდოდ, ქვასვეტები ადრე აქვე იყო აღმართული და ისინი ეკლესიის მშენებლობის დროსაა კედლებში ჩართული.

ეკლესიის ფასადები სადაა. მოკლებულია დეკორ. სამკაულს. აღმ. ფასადზე, შუა ეკლესიის საკურთხევლის შვე-



116. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

მისი ხილული მხარე გაყოფილია თანაბარი სიმაღლის სამ არედ. ქვედა არე შუა არისგან გამიჯნულია მცენარეული ჩუქურთმით შედგენილი, განიერი ზოლით. შუა და ზედა არეების გამყოფი ზოლი კი სადაა. სამივე არე მოქცეულია ორმაგი რელიეფური ზოლით გამოყვანილ, ვიწრო ჩარჩოში. ზედა არეზე რელიეფური, ბოლოებგაგანიერებული მკლავების მქონე ჯვრის გამოსახულებაა. მკლავების გადაკვეთის ადგილზე ვარდულია გამოყვანილი, მკლავებს შორის კი – ყურძნის თითო მტევანი. მათგან ქვედა მკლავის გვერდებზე განლაგებული ორივე მტევანი ყუნწით ვარდულზეა მიმაგრებული. მტევნებს ქვემოთ თითო ფოთლოვანი ელემენტია, რ-ებიც ჯვრის ქვედა მკლავს ებმის. მტევნის გამოსახულება ჯვრის ზედა მკლავის მარცხნივაცაა (ზედა მკლავის მარჯვნივ მდებარე არის დიდი ნაწილი მომტვრეულია). იგი როგორც ჩანს ჯვრის ზედა მკლავს ებმოდა. მტევნის გარდა, ამ არეზე ერთი ფოთლოვანი ელემენტიცაა, რ-იც ვარდულზეა მიბმული. მსგავსი ელემენტი ჯვრის ზედა მკლავის მარჯვნივაცაა.

ქვედა არეზე სამმაგი ლილვით რომბია გამოყვანილი, რ-ის ცენტრში ვარდულია, გვერდებში კი თითო წრიული ელემენტია ჩართული.

რილის სამხრ. კუთხის წყობაში, მიწიდან ორმოცდაათიოდე სმ-ის სიმაღლეზე, შირიმის ნათალ კვადრებს შორის, მოქცეულია კირქვის მოზრდილი ბლოკი,

რ-ის წინა მხარეს წრეში ჩახაზული, ბოლნური ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა.



116. ექსტერიერი. შუა ნავის სამხრ.-აღმ. კუთხე. ქვა ჯვრის გამოსახულებით

შუა ეკლესიის სამხრ. კედლის დას. ნაწილში შემორჩენილია ლავგარდნის მცირე ნაწილი – კუთხით შვერილი და ჩვეულებრივად დაწყობილი აგურებით შედგენილი ორი



116. კარიბჭის ნაშთი. ხედი აღმ-იდან

რიგი, რ-იც ეკლესიის პირველ, აღდგენით სამუშაოებს უკავშირდება. მოგვიანებით, როგორც ჩანს სამრეკლოს მშენებლობისას, შუა ეკლესიის კედლები ოდნავ აამაღლეს და მოაწყვეს ახ., საკმაოდ მაღალი, მრავალსაფეხურიანი ლავგარდანი, რ-იც აგურის ხერხულა და ჩვეულებრივი წყობის მონაცვლეობითაა გამოყვანილი.

სამრეკლო მთლიანად აგურითაა ნაგები. შემორჩენილია მხოლოდ ორი სართულის სიმაღლეზე. ქვედა სართული ნახევარცილინდრული კამარითაა გადახურული და სამივე მხარეს ნახევარწრიული თაღითაა გახსნილი. თაღები გადაყვანილია ოთხ მძლავრ ბურჯზე. ორი მათგანი ეკლესიის დას. კედელზეა მიყრდნობილი. ბურჯები დაგვირგვინებულია მარტივი პროფილის კაპიტელით. თავად თაღები კი – არქივოლტითაა მორთული. დას. ბურჯების ზემოთ, თაღის დონეზე, თითო შეღრმავებული, წითლად შეღებილი ჯვრის გამოსახულებაა, რ-იც კედლის მოთეთრო ფონზე მკაფიოდ გამოიყოფა. ჯვრის შვეული მკლავის ჩამოსწვრივ, ბურჯების მთელ სიმაღლეზე, წითლადვე შეღებილი ვიწრო ღარია. პირველი სართული დასრულებულია მცირედ ნაშვერი ლავგარდნით. სამხრ. და დას. ფასადებზე ლავგარდანი ჰორიზონტალურია, დას. ფასადზე კი სამკუთხა ფრონტონს ქმნის.

სამრეკლოს მეორე სართულიც, პირველის მსგავსად, ნახევარწრიული თაღებითაა გახსნილი. თაღის გვერდებზე, სამივე ფასადზე, საფეხურით შეღრმავებული, თითო ვიწრო, ნახევარწრიულთაღოვანი არეა. ამ სართულზეც თაღები არქივოლტითაა მორთული. თაღებს ქვემოთ სწორკუთხა, შეღრმავებული არეა, ზემოთ კი – თითო ჩაღრმავებული ჯვრის გამოსახულება. სწორკუთხა, შეღრმავებული არეა გამოყვანილი თაღის გვერდებზე არსებული არეების ქვემოთაც. სართული დასრულებულია ლავგარდნით, რ-იც სამივე ფასადის შუაში, მცირე ზომის, დეკორატ. ფრონტონს ქმნის.

სამრეკლოს მესამე სართულიდან, რ-იც ღია ფანჩატურს წარმოადგენდა, მხოლოდ ქვედა ნაწილის ნაშთიღაა შემორჩენილი.

ეკლესიის სამხრ-ით, 15-20 მ-ზე, ეკლესიასთან მისასვლელი გზის მხარეს, შემორჩენილია „ქართული“ აგურითა და რიყის ქვით ნაგები შენობის (კარიბჭის?) დას. კედელი. მასზე შემორჩენილი ნაშთების მიხედვით ირკვევა, რომ სამხრ-ით და ჩრდ-ით შენობა განიერი, ერთიანი თაღით იყო გახსნილი. შიგნით, კედლის მთელ სიგანეზე, საფეხურით შეღრმავებული, მშვილდისებრი თაღით დასრულებული არეა. მსგავსი არის ნაშთები სამხრ. და ჩრდ. კედლებზეცაა. შიგნით შენობა გადახურული იყო გუმბათოვანი კამარით, რ-ის წრიული საფუძველი კუთხეებში განლაგებული აფრების (შემორჩენილია მხოლოდ ორი) მეშვეობით იყო შექმნილი. თუ როგორ იყო გადახურული შენობა გარედან, ან ჰქონდა თუ არა მას მეორე სართული – გაურკვეველი რჩება. არქიტ.



116. შენობა ეკლესიის ჩრდ.-დას. კუთხის მოპირდაპირედ. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

ნიშნებით შენობა ბაზილიკის განახლების დროს უნდა იყოს აგებული.

ეკლესიის ჩრდ.-დას. კუთხის მოპირდაპირედ, ათიოდე მ-ზე, დგას „რუსული“ აგურით ნაგები, გეგმით სწორკუთხა, ღარისებრი კრამიტით დაბურული შენობა – შესასვლელით და ორი განიერი, სწორკუთხა სარკმლით სამხრ-იდან.

სავარაუდოდ, ეკლ. აგებული უნდა იყოს აქ ადრე მდგარი სარიტუალო ნაგებობის ადგილზე, რ-ის ფრაგმენტები ახლად აგებული ეკლესიის კედლებში ჩაუყოლებიათ.


თ. დგალი.

ბიბლ.: 337, 343.

ზემო ბოდბე
(ბოდბის თემი)

117. ბოდბისხევის ფერისცვალების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით, 1,5 კმ-ზე, ბოხორად წოდებულ ადგილზე, სოფ. ბოდბისხევისაკენ მიმავალი გზის მარცხ. მხარეს.

ეკლ. დარბაზული ტიპისაა (10.5x5.25 მ). 2015 წელს საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით ეკლ. აღადგინეს (პროექტის ავტორი, არქიტ. მ. გელაშვილი. სამუშაოებს აწარმოებდა წმ. სტეფანე ხირსელის მამათა მონასტრის აღორძინების კავშირი).




117. გეგმა (რესტავრაციამდე)

ეკლ. ძლიერ იყო დაზიანებული: ჩამონგრეული იყო კამარა, კედლების ზედა ნაწილები, თავდაპირველ სიმაღლეზე შემორჩენილი იყო მხოლოდ აღმ. კედელი, თუმცა ლავგარდნის გარეშე. შემორჩენილ კედლებს საფასადე წყობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩამოშლილი ჰქონდა.

ამ კედლებში აშკარად გამოიყოფოდა სხვადასხვა პერიოდის სამი ფენა, რ-ებიც ერთმანეთისგან როგორც საშენი მასალით, ისე წყობითაც განსხვავდებოდა. გარკვევით ჩანდა, რომ ადრე აქ მდგარა საშ. ზომის, XV-XVI საუკუნეების დარბაზული ეკლ., რ-იც XVIII-XIX საუკუნეებში (სავარაუდოდ ძლიერი დაზიანების შემდგომ) განუახლებიათ და ოდნავ დაუგრძელებიათ. XX საუკუნის მიწურულს ადგილობრივ მოსახლეობას ეკლესიის აღდგენითი სამუშაოები დაუწყია, მაგრამ აღარ დაუსრულებია.

ძვ. ეკლესიის შემორჩენილი ნაწილი (საკურთხეველი, აღმ. კედელი და დარბაზის გრძივი კედლების აღმ. ნაწილი) ძირითადად საშ. ზომის რიყის ქვითა და კირის სქელი დუღაბითაა ნაგები. მოგვიანებით აგებული ნაწილი (ჩრდ.-დას. კუთხე და მიმდებარე კედლების ნაწილი) კი ნაშენია რიყის ქვისა და აგურის შერეული წყობით, რ-შიც ორრიგად ნაწყობი აგურის და რიყის ქვის თარაზული შრეები ენაცვლება ერთმანეთს. კამარა (ჩრდ. კედელ-



117. გრძივი ჭრილი (რესტავრაციამდე). ხედი ჩრდ-კენ



117. ინტერიერი. ხედი სამხრ.-დას-კენ



117. ხედი სამხრ.-დას.-იდან

ზე შემორჩენილი იყო კამარის ქუსლი), სატრიუმფო თაღი და კონსტრ. ელემენტები (ჩრდ. კედელზე შემორჩენილი იყო პილასტრი) მთლიანად აგურით ყოფილა გამოყვანილი.

შესასვლელი ეკლესიას სამხრ.-იდან, XX საუკუნეში აღდგენილ კედელში ჰქონდა მოწყობილი. კარის აღმ. წირთხლში ჩატანებული იყო საფლავის ქვა.

დარბაზი აღმ.-ით დასრულებულია საკურთხევლის ნახევარწრიული აფსიდით, რ-ის გვერდებში თითო სწორკუთხა ნიშაა. აფსიდის კედელი შუაში განგრეული იყო, რის გამოც სარკმლის კვალი აღარ ჩანდა. აფსიდი წესიერი ფორმის კონქითაა დასრულებული. კონქის აგურით გამოყვანილი, ოდნავ შეისრული თაღი აფსიდის მხრებს ეყრდნობა, რ-ებიც რიყის ქვითაა ამოყვანილი. დარბაზის ჩრდ. კედელზე არსებულ პილასტრსა და სატრიუმფო თაღს შორის, შემორჩენილი იყო აგურით ნაწყობი, შეკიდული, საბჯენი თაღის ქუსლის ნაწილი.

აღმ. ფასადის ფრონტონის არეში, წყობაში ჩატანებული იყო ცისფრად მოჭიქული რამდენიმე ფილა, რ-თა განლაგების, ამასთან, დუღაბზე შემორჩენილი ანაბეჭდების მიხედვით, სავარაუდოა, რომ ფრონტონის არეში მათი მეშვეობით ჯვარი იყო გამოყვანილი.

თ. დვალი.

118. ბრიმაღლის სამარხები, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის მახლობლად, ზემო ბოდბე-ზემო მაჩხაანის საავტ. გზის მარჯვ. მხარეს, ბრიმაღელად წოდებულ ადგილში. სავარაუდოდ განეკუთვნება ენეოლითურ ხანას.

1977 წელს, წყალსადენის გაყვანის დროს დაზიანდა ორი კატაკომბური სამარხი, რ-ებიც ერთმანეთის გვერდით, 1,5 მ-ის დაშორებით იყო განლაგებული. იმავე წელს სამარხები შეისწავლა კაპ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).

ერთ-ერთი (აღმ-ით მდებარე) სამარხი მთლიანად იყო განადგურებული. ამონაყარ მიწაში მხოლოდ ადამიანის ძვლების ფრაგმენტები აღმოჩნდა. მეორე სამარხი, რ-იც პირველის დას-ით მდებარეობდა, შედარებით ნაკლებად იყო დაზიანებული. თიხნარში ამოჭრილი ჭისებრი ორმო (სიგ. – 0,7 მ, სიღრმე – 1 მ) რიყის ქვით იყო ამოვსებული. ორმოს ფსკერის დონეზე აღმოჩნდა თახჩა (სიგრ. – 1 მ, სიგ. – 0,8 მ), რ-შიც დაფიქსირდა ერთი ჩონჩხი. მიცვალებული ესვენა მარჯვ. გვერდზე, მოხრილი კიდურებით.

ყელის არეში დადასტურდა ძვლისგან დამზადებული ოთხი სოლისებრი და ცამეტი სხვადასხვა ზომის, წრიული ფორმის, ბრტყელი მძივი.

მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ვ. ვარაზაშვილი.

ბიბლ.: 63, 67.

119. გორასამარხები, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის მახლობლად, სოფლების ზემო ბოდბისა და ზემო მაჩხაანის დამაკავშირებელი გზის პირას. განეკუთვნება ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებს და შუიდან გვიანდ. ბრინჯაოზე გარდამავალ ხანას.

ძ. 1970 წელს გათხარა კაპ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). გორასამარხის ყრილის სამხრ. ნაწილი და ყრილში ჩაშვებული სამარხები გზის მშენებლობის დროსაა დაზიანებული.

გორასამარხები მიწაყრილიანია. ერთი გორასამარხის (დიამ. – 30 მ, სიმ. – 2 მ) სამარხი კამერა წარმოადგენს ოთხკუთხა, მოგრძო, სამხრ.-დას. ხაზზე სიგრძივ დამხრობილ ორმოს (სიგრ. – 2,43 მ, სიგ. – 1,70 მ, სიღრმე – 0,70 მ). ორმო გარდიგარდმო დაწყობილ ხის ძელებით ყოფილა გადახურული. კედლები გლუვზედაპირიანია.

მიცვალებული ესვენა სამარხის ცენტრალურ ნაწილში ხის წმინდა ნაცარზე, მარჯვ. გვერდზე, თავით დას-ით. მიცვალებულის გარშემო აღმოჩნდა თიხის, როგორც მაღალფეხიანი და თეთრად მოხატული, ისე მცირე ზომის ჭურჭელი და ჭურჭლის ფრაგმენტები. ერთ-ერთ ჭურჭელში თეთრად მოხატული პატარა, სასმისი იდო. სამარხში აღმოჩნდა მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის (ცხვარი, ღორი) ძვლები. სამარხის ჩრდ. კუთხეში საქონლის თავსა და ობსიდიანის უსახო ანატკეცს სქელკედლიანი, უხეშზედაპირიანი ჭურჭლის ნატეხები ეფარა.

მეორე მიწაყრილიანი გორასამარხი (სიმ. – 1,30 *მ*, დიამ. – 14 *მ*) პირველის აღმ-ით, ათიოდ *მ*-ზე აღმოჩნდა. დასაკრძალავი კამერა – შვეულკედლებიანი, ოთხკუთხა ორმო (სიგრ. – 1,80 *მ*, სიგ. – 1,50 *მ*, სიღრმე – 0,80 *მ*) ყრილის ცენტრ. ნაწილის ქვეშ იყო მიწაში ამოჭრილი. ძველადვე გაძარცულ სამარხში მიცვალებულის ჩონჩხის მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი აღმოჩნდა.

მეორე გორასამარხის ყრილის სამხრ. ნაწილში, 0,50 *მ*-ის სიღრმეზე გამოვლინდა ჩაშვებული ორმოსამარხი. მიცვალებული ესვენა მარცხ. გვერდზე, მოხრილი კიდურებით, ჩონჩხს აკლდა გულმკერდის ნაწილი, ჩატანებული ნივთები კი ერთმანეთში იყო არეული, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს ორმოსამარხიც გაძარცულია.

მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ც. მენაბდე

ბიბლ.: 184.

120 გორასამარხები, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის მახლობლად, ე. წ. დაცული ტყის პირას. განეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანებს.

ძ. 1964, 1970 და 1972 წლებში შეისწავლა კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). გაითხარა შვიდი მიწაყრილიანი გორასამარხი.

მიწაყრილიანი სამარხები ინდივიდუალურია (დიამ. – 1,40 *მ*-იდან 30-35 *მ*-მდე; ყრილის სიმ. – 1,2 *მ*-იდან 2 *მ*-დე), დამხრობილია ჩრდ-იდან სამხრ-ით ან სამხრ.-აღმ-იდან ჩრდ.-დას-ით. ყრილის ცენტრ. ნაწილის ქვეშ, ხის ძელებით გადახურულ, მოგრძო, ოთხკუთხა ორმოებში მიცვალებულები ესვენა მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე, მოხრილი კიდურებით, თავით ჩრდ-კენ ან ჩრდ.-დას-ისკენ. ერთ-ერთ სამარხში მიცვალებული ხის წმინდა ნაცარზე იყო დასვენებული.

სამარხებში აღმოჩნდა უმეტესად სილანარევი, წმინდა თიხისაგან დამზადებული, შავად და მოყავისფრო ლეგად გამომწვარი, ბადური და შვეული, ნაპრიალები ზოლებით, კონცენტრული ღარებით, ნაჭდევი სოლებით შემკული და გამოწვის შემდეგ თეთრად მოხატული ჭურჭელი (დერგი, ქილა, ქვაბი, ქოთანი, ბადია, ღრმა ჯამი, მაღალფეხიანი, ღრუჭულიანი სასმისი და სხვ.). ბრინჯაოს ლახტისთავი და წინააზიური ტიპის ბრინჯაოს ჩარჩოიანი ტარის მჭონე სატევარი; სარდიონის, აქატის, პასტის მძივები; მსხვილფეხა საქონლის თავ-ფეხი, ცხვრის მთლიანი ჩონჩხი და ღორის კიდურების ძვლები. ერთ-ერთ სამარხში წვრილფეხა საქონლის ძვლებს უხეშზედაპირიანი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები ეფარა. ეს სამარხეული მასალა საფუძვლად დაედო სამხრ. კავკასიის ცენტრ. ნაწილში შუა და გვიანდ. ბრინჯაოს ეპოქებს შორის გარდამავალი პერიოდის გამოყოფას.

მოპოვებული მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

კ. ფიცხელაური.

ბიბლ.: 52, 184.

121. დედა ღვთისმშობელი, ნაეკლესიარი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ. განაპირას, ძველ სასაფლაოზე.

ეკლ. მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილი ქვებით ადგილ. მოსახლეობამ ჯერ სა-



121. ჩრდ. კედლის ნაშთი

ლოცავი ნიშა ააგო, ხოლო 2015 წელს, ნიშის გვერდით – ახ. დარბაზული ეკლ.

ბ. კუპრეიშვილი.

122. საღგომი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის მახლობლად, სოფლების ზემო ბოდბისა და ზემო მაჩხაანის დამაკავშირებე-



121. ახალი ეკლესია. ხედი დას-იდან

ლი გზის მარჯვ. მხარეს, ე. წ. დაცული ტყის პირას. განეკუთვნება ძვ. წ. IV ათასწლეულის II ნახევარს.

ძეგლს 1964 წელს მიაკვლია კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). სადგომი განლაგებულია პატარა, თავწაკვეთილ ბორცვზე (ფართ. – 1200 *კვ მ*), რ-საც ორი მხრიდან ხელოვნური თხრილი შემოუყვება (სიგრ. – 20 *მ*, სიგ. – 2 *მ*, სიღრმე – 1,5 *მ*). სადგომი ძლიერ ჰგავს გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარს. 1965 წელს ბორცვის ჩრდ.-აღმ. მხარეს გაივლო სადაზვერვო თხრილი. 100 *კვ მ* ფართობზე გაიწმინდა უსისტემოდ გაბნეული, რამდენიმე ათეული, პატარა ორმო (დიამ. – 40-60 *სმ*, სიღრმე – 30-50 *სმ*), რ-ებშიც აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები, დამწვარი ძვლები და ობსიდიანის ანამტვრევები. ორმოების გარშემო შეინიშნებოდა ნაცრის თხელი ფენა. ბორცვზე არ გამოვლინდა ერთიანი კულტ. ფენა, სავარაუდოდ ძ. მწყემსების დროებითი სადგომი იყო. აქ ჩერდებოდნენ მწყემსები, რ-ებსაც საქონელი ზამთრის საძოვრებიდან თრიალეთში, საზაფხულო საძოვრებზე გადაჰყავდათ და პირუკუ. მწყემსები ორმოებს კერად იყენებდნენ.

ვ. ვარაზაშვილი.

ბიბლ.: 288.

ზემო მაღარო
(მაღაროს თემი)

123. ზემო მაღარო, სოფელი, ისტ. ძ. მდებარეობს გომბორის ქედის სამხრ.-აღმ. დაბოლოებაზე, ივრის ზეგანზე, ზ. დ. 950 მ-ზე, სიღნაღიდან 7 კმ-ზე, ქვემო მაღაროდან (უახლოესი რკ. გზ., სადგ.) 8 კმ-ზე.

სოფელზე გადის თბილისი-დედოფლისწყაროს რკ. გზ. რესპუბლიკური ტრასა და მელაან-დედოფლისწყაროს რკ. გზ. ხაზი. მოქმედებს რკ. გზ. სადგ. „მაღარო“.

მაღარო, სოფლების ქვემო და ზემო მაღაროს ძვ. სახელია. სავარაუდოდ სოფელს სახელი XV საუკუნის I ნახევარში დაერქვა, როდესაც თემურ ლენგის შემოსევების შედეგად შეთხელებული მოსახლეობის შესავსებად, მეფე ალექსანდრე I-მა დიდმა (1412-1442 წწ.) ფშავის მაღაროდან მთიელები ჩამოასახლა. 1441 წლის სიგელში მეფე ამბობს: „ახალი სოფელი აღვაშენე, ყუარელნი და მაღაროელნი დავასახლე“. მოსულმა მოსახლეობამ თან მოიტანა თავისი საცხოვრისის სახელი – მაღარო, რ-მაც ჩაანაცვლა ძვ. სახელი. ტოპონიმ მაღაროსთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ერთნი ფიქრობენ, რომ მაღარო სპარსული სიტყვაა და ვიწრო ხეობას, გამოქვაბულს, ღრმულს ნიშნავს. მოსახლეობაში გავრცელებული შეხედულებით ტოპონიმი მაღარო მომდინარეობს სიტყვა მაღალოდან, რაც ყველაზე მაღალ ადგილს ნიშნავს. მაგრამ ეს ვარაუდი ნაკლებად სარწმუნოა, რადგან მაღარო არ მდებარეობს ყველაზე მაღალ ადგილზე. თანაც – ქიზიყში ყველაზე მაღალ ადგილს ჭოტორს უწოდებენ. არსებობს მოსაზრება (ლ. ტუხაშვილი), რომ სოფელსა და მის შემოგარენში სპილენძისა და კალას მოიპოვებდნენ, მადნის გამოფიტვის შემდეგ მოპოვება შეწყდა, მაგრამ დარჩა ტოპონიმი მაღარო.

„ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, მეფე გიორგი V ბრწყინვალემ (1314-1346 წწ.) ცივზე სანადიმოდ მიიწვია და შემდეგ ამოხოცა ურჩი ერისთავები. გომბორის ქედზე რამდენიმე ცივია. ერთ-ერთი მოსაზრებით (ლ. ტუხაშვილი), ეს მოხდა ზემო მაღაროს მიდამოებში. სხვა მოსაზრების (თ. თორდია) მიხედვით კი ცივის სასახლე მდებარეობდა სოფ. მანავის მახლობლად.

ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრებაში“ ორი დასახლებული პუნქტი – უფადარი და მაღაროა მოხსენიებული. ვახუშტი ბატონიშვილი მაღაროს შესახებ გვამცნობს: „ხევზედ არს მაღაროს სასახლე მეფეთა საზაფხულოდ“. პლატონ იოსელიანის ცნობით, აქ იყო მეფე დავით იმამყული-ხანის (კახეთის მეფე 1703-1722 წწ-ში) საზაფხულო რეზიდენცია.

მაღარო თითქმის 500 წელი იყო ქიზიყის მეთაური სოფელი. 1466 წლიდან აქ იჯდა მთელი ქიზიყის მოურავი. სამეფო კარი ივრისა და მტკვრის შუამდინარეთის კონტროლს მაღაროდან ახორციელებდა. მაღაროში ჩერდებოდნენ ქართველი მეფეები, ე. წ. სამხრეთის ველებზე ნადირობის დროს.

1513 წელს ქართლის მეფემ დავით X-მ (1505-1525 წწ.) კახეთის სამეფო დაიპყრო. გაერთიანებული ქართლ-კახეთის სამეფოს სიმტკიცისათვის, დავით X კახეთის სამეფო ტახტის პრეტენდენტის ლევან გიორგის ძის ხელში ჩაგდებას შეეცადა, მაგრამ ვერ შეძლო, რადგან კახელმა თავადებმა ლევანი ჯერ გადამალეს, მოგვიანებით კი გაამეფეს. 1520 წელს დავით X-მ ისევ გაილაშქრა კახეთზე. შეტაკება მოხდა მაღაროსთან. გაიმარჯვა ლევანმა. ქართლის მეფე იძულებული გახდა უკან გაბრუნებულიყო. ლევანი მაღაროში სახალხოდ დალოცეს და ბოდბის მონასტერში მეფედ აკურთხეს.

XVI საუკუნეში მაღაროში ქართლის მეფე სიმონ I-ის (1558-1600 წწ.) და კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის (1574-1605 წწ.) შეტაკება მოხდა.

1614-1617 წლებში ირანის შაჰის აბას I-ის ოთხგზის ლაშქრობას კახეთის განადგურება მოჰყვა. მეფე თეიმურაზ I (1625-1632 წწ.) ცდილობდა ქართლ-კახეთის დაბრუნებას. იგი ებრძოდა როგორც სპარსელებს, ისე ქართლის გამაჰმადიანებულ მეფეს – როსტომს (1632-1658 წწ.). 1648 წელს როსტომ მეფის გაგზავნილმა ყიზილბაშებმა მაღაროში მოკლეს თეიმურაზის ერთადერთი ვაჟი დათუნა, რ-იც განთქმული იყო თავისი სიმამაცითა და გამბედაობით.

1721 წელს იმამყული-ხანის დასახმარებლად თავისი ჯარით მოვიდა ვახტანგ VI (1716-1724 წწ.). 1725 წელს კახელებმა მაღაროში გამაგრებული ლეკები გააძევეს. 1729 წელს მაღაროში გამაგრებულ ოსმალებს თავს დაესხა თეიმურაზ I და ისინი იქიდან განდევნა.

1734 წელს მაღარო ამიერკავკასიაში თურქული ჯარების მეთაურმა ისაყ-ფაშამ დაიკავა. აქედან აკონტროლებდა იგი ქიზიყს და დანარჩენ კახეთს. კავშირს ამყარებდა მოკავშირე დაღესტნელებთან, თვალყურს ადევნებდა ირანელთა მოძრაობას. ქიზიყელები თეიმურაზ II-ის (კახეთის მეფე 1709-1715 წწ., გამგებელი 1733-1744 წწ., ქართლის მეფე 1744-1762 წწ.) მეთაურობით თავს დაესხნენ ისაყ-ფაშას და დაამარცხეს. დაამარცხეს აგრეთვე ოსმალო ფაშა უსუფიც, რ-საც კახეთის დაპყრობა ჰქონდა გადაწყვეტილი.

1735 წელს მაღაროში ქიზიყის ყრილობა გაიმართა. ყრილობამ დაადგინა, რომ თუ ლეკები ნადავლს გაუყოფდნენ, ქართველები მათ სხვა მხარეებისაკენ გაუხსნიდნენ გზას. ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა ის, რომ ქიზიყში დაღესტნელმა მძარცველმა რაზმებმა

მოიკიდეს ფეხი, რ-ებმაც გაახშირეს თავდასხმები ქიზიყზე, გამოჩნდნენ მოლებიც. ქიზიყელები მალე მიხვდნენ თავიანთ შეცდომას. გაულიტეს დაღესტნელები და მაღაროში ხელახლა ჩაატარეს ყრილობა. ხალხმა შეცდომა წმ. ნინოს ხატთან მოინანია და საჯაროდ დაიფიცა, რომ ქრისტიანობისა და ქართველობის ერთგულნი იქნებოდნენ. ამასთან, მოურავს და ეპისკოპოსს ფიცი ჩამოართვეს, რომ გლეხებს ვალდებულებებს არ გაუდიდებდნენ.

1735 წელს ლეკებმა წინა მხრის სოფლები დაარბიეს. ამ დროს 15 წლის ერეკლე ბატონიშვილი (შემდეგში მეფე ერეკლე II) მაღაროში იმყოფებოდა. მან თავისი ამალით და მახლობელი სოფლებიდან შემოკრებილი რაზმით ქიზიყიდან მომავალი ლეკთა მარბიელი გუნდები ნეიშინის მინდორზე (ანაგის, ვაქირისა და საქობოს ბოლოს) სასტიკად დაამარცხა. ეს იყო ერეკლე II-ის პირველი საბრძოლო ნათლობა. ამ გამარჯვებისათვის, მცირეწლოვნობის გამო, ხალხმა ერეკლე ბატონიშვილს სიყვარულით პატარა კახი შეარქვა.

XVIII საუკუნის 60-იანი წლებიდან მაღარომ პირველობა სიღნაღს დაუთმო, თუმცა დარჩა უკანა მხრის სოფლების მეთაურად. აქ ისევ ფუნქციონირებდა მეფეთა საზაფხულო სასახლე.

XIX საუკუნის დამდეგიდან მაღაროში რუსული გარნიზონი ჩააყენეს. 1812 წლის კახეთის აჯანყების დროს ქიზიყში ერეკლე II-ის ძე ალექსანდრე შემოვიდა, რ-იც 1801 წლიდან საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ბრძოლას მეთაურობდა. რუსებმა მრავალ სოფელთან ერთად, მაღაროც გადაწვეს.

მე-2 მსოფლიო ომის წლებში მაღაროდან ფრონტზე წასულ 496 მებრძოლთაგან 257 გმირულად დაეცა. სოფელმა ევაკუირებულთა 40 ოჯახი შეიკედლა. სოფელში არის ამ ომში დაღუპულთა მემორ.

სოფელს არაერთი თვალსაჩინო პიროვნება უკავშირდება: ფილოსოფოსი გაიოზ რექტორი, სოლომონ დოდაშვილი, ფსიქიატრი მიხეილ ასათიანი, განერალ-მაიორი ივანე შაიშმელაშვილი, ბალეტმაისტერი ბაქარ (ბიჭიკო) მონავარდისაშვილი და მრავალი სხვ.

1978 წელს სოფელში საფუძველი ჩაეყარა პარკს, რ-ის ფუძემდებელი იოსებ ჩოდრიშვილი იყო.

ამჟამად სოფელში ფუნქციონირებს კულტურის სახლი, ბ-კა. აქ ეწევიან: აბრეშუმის ნედლეულის წარმოება-გადამუშავებას, ხეზე კვეთას, ამზადებენ ხალხურ საკრავებს. მისდევენ მეცხოველეობას, მევენახეობას, მემინდვრეობას.

სოფლის მახლობლად, 0,5 კმ-ზე, ციხითვინად წოდებულ ადგილში მდგარა ციხე. სოფლის სამხრ-ით კი კოშკი – „ნაცვლიაანთ ციხე“.

ლ. მოწონელიძე.

ბიბლ.: 43(ა), 50, 57, 68, 78, 131, 138, 141, 151, 167, 179, 182, 197, 208(ა), 215, 216, 227, 244, 288, 337.

124. ბორასამარხები, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით. განეკუთვნება ბრინჯაოს ხანის ადრინდ. საფეხურს.

1951 წელს ნინო ბერძენიშვილმა გათხარა 2 ორმოსამარხი, რ-ებშიც აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი და ბრინჯაოს სამკაული.

კ. ფიცხელაური

ბიბლ.: 184.


125. ბორასამარხი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, ოლედ წოდებულ ადგილში. განეკუთვნება ძვ. წ. IV ათასწლეულის დასასრულსა და III ათასწლეულის დასაწყისს.

ძ. 1987 წელს შეისწავლა კპმ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). გორასამარხი ძლიერ იყო დაზიანებული. მას ქვის წრე შემოუყვებოდა. ყრილის ქვეშ აღმოჩნდა კუთხეებმომრგვალებული დრომოსი (3x1 მ), რ-შიც მიცვალებული ესვენა მარცხ. გვერდზე, კიდურებმოხრილი.

სამარხში გამოვლინდა თიხის ორი ჭურჭელი და ძვლის კვირისტავი. სამარხ კამერაში დადასტურდა ადამიანის 18 ჩონჩხი, თიხის 14 ჭურჭელი და 6 კვირისტავი, რ-თაგან ერთი ინკრუსტრირებული იყო პასტის მძივით.

კ. ფიცხელაური.

126. ზღუდრის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას. განაპირას, სასაფლაოზე. ნაგებობა შეიცავს ორ სამშენ. ფენას, რ-ებიც ერთმანეთისგან როგორც საშენი მასალით, ისე წყობის ხასიათითაც განსხვავდება. თავდაპირველი ნაწილი მთლიანად რიყის მოზრდილი ქვითაა ნაგები (ზოგან ჩართულია ლოდებიც). გვიანდ. კი – რიყის წვრილი ქვითა და „ქართული“ აგურით.




126. გეგმა

არქიტ. ნიშნების საფუძველზე, თავდაპირველი ფენა სავარაუდოდ IX-X საუკუნეებით თარიღდება, გვიანდ. კი – XIX საუკუნით.

კარი, როგორც გარედან, ისე შიგნით, თარაზულადაა გადახურული. დას. კარი ამოშენებულია და შიგნით ნიშადაა გადაკეთებული.

აღმ-ით ნალისებრი აფსიდია, რ-ის ღერძზე დაბალი, გარეთკენ ოდნავ შევიწროებული, სწორკუთხა სარკმელია (გვიანდელია) გაჭრილი. აფსიდში სამი ნიშაა. ერთი მათგანი სარკმლის მარჯვნივაა, ორი – მარცხნივ. საკურთხეველი სიმაღლეზე, ორი თაღოვანი ნიშაა. მსგავსი ნიშა ჩრდ. კედლის დას. ბოლოშიცაა. კიდევ ერთი, მაგრამ შედარებით ვიწრო ნიშა დას. კედლის სამხრ. ნახევარში, კარის გვერდითაა მოწყობილი.




126. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ-კენ



126. ინტერიერი. ხედი აღმ-კენ

შემორჩენილი კედლების თანახმად, თავდაპირველად აქ მდგარა მცირე ზომის, დარბაზული ეკლ. (6,7x5,1 *მ*), რ-იც მოგვიანებით აღადგინეს. ამ დროს მას დას-იდან მიუშენეს იმავე სიგანის და სიმაღლის ნაგებობა (სიგრ. – დაახლ. 5 *მ*), რითაც შენობა მნიშვნელოვნად დაგრძელდა.



126. განივი ჭრილი. ხედი აღმ-კენ



126. ხედი სამხრ.-დას-იდან

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: დას-ით და ჩრდ-ით. ორივე მოგვიანებით მიშენებულ ნაწილშია გაჭრილი. ორივე დარბაზისაგან ვიწრო მხრებით და მათზე გადაყვანილი შეისრული თაღითაა გამოყოფილი. გრძივ კედლებზე, საკურთხევლის მხრებიდან დაახლ. 1 *მ*-ის დაშორებით, მარტივი პილასტრების წყვილია, რ-ებზეც შეისრული, საბჯენი თაღია გადაყვანილი. პილასტრების მეორე, დას. წყვილი და მასზე დაყრდნობილი საბჯენი თაღი მშენებლობის გვიანდ. ფენას მიეკუთვნება.

დარბაზის სამხრ. კედლის დას. ბოლოში, იატაკიდან 1 *მ* ინტერიერს საკურთხევლის სარკმლის გარდა, კიდევ სამი სარკმელი აშუქებს. სამივე ეკლესიის გვიანდ. ნაწილშია გაჭრილი. მათგან ერთი სამხრ. კედლის აღმ-ით მდებარე ნიშაშია, დანარჩენი ორი კი – შესასვლელების თავზე.

ეკლესიის მოპირდაპირე ფასადები აღნაგობით ერთგვაროვანია. შენების ხარისხი კი ტლანქია. შენობის თავდაპირველ და გვიანდ. ნაწილთა განლაგების სურათი ქვეშელაზე თვალსაჩინო სამხრ. ფასადზეა, რ-ზეც ეკლესიის თავდაპირველი ნაწილის კედელი თითქმის მთელ სიგრძეზეა შემორჩენილი (სიმ. დაახლ. 2 მ-ია).

ფასადებიდან მხოლოდ დასისაა მორთული მარტივად, ისიც დანარჩენებისგან განსხვავებით, იგი მეტწილად აგურითაა ნაწყობი. წყობაში, ალაგ-ალაგ, ჩართულია ერთრიგად ნაწყობი რიყის ქვის სწორხაზოვანი რიგები. ფასადის ღერძზე განიერი, სწორკუთხა შესასვლელია, რ-ის წირთხლებად და გადახურვისათვის გამოყენებულია წარწერიანი საფლავის ქვები. შესასვლელის გადახურვის ქვაზე ამოკვეთილია მცირე ზომის კვადრ. ნიშა. შესასვლელის ორივე მხარეს, მიწიდან 1 მ სიმაღლეზე, თითო ბრტყელი, ნახევარწრიულთაღოვანი, მაღალი ნიშაა. კარის თავზე სარკმელია, რ-ის ზემოთ, ფრონტონის წვეროსთან, შეღრმავებული, ტოლმკლავა ჯვრის გამოსახულებაა. ფასადს აშკარად ეტყობა შეკეთების კვალი, რ-ის დროსაც ფრონტონი რამდენადმე აუმაღლებიათ და იგი ლეკალური აგურით გამოყვანილი ლავგარდნით დაუსრულებიათ, რ-ისგანაც ფრონტონის წვეროსთან და ჩრდ. გვერდის თითქმის მთელ სიგრძეზე მხოლოდ ლილვიღა იყო შემორჩენილი.

ჩრდ. ფასადის დას. ნახევარში სწორკუთხა შესასვლელია, რ-იც, ისევე როგორც დას-ისა, საფლავის ქვითაა გადახურული. კარის ასწვრივ დაბალი, აგურით გამოყვანილი, თაღოვანი სარკმელია. აგურითაა გამოყვანილი აღმ. და სამხრ. ფასადებზე არსებული სარკმლებიც. ოღონდ ორივე სარკმელი სწორკუთხაა.

2015 წელს საქართ. ისტ. ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები: აღდგა კედლებისა და არქიტ. ელემენტების დანგრეული ნაწილები, კედლებს გაუკეთდა აგურის ორსაფეხურიანი ლავგარდანი, სახურავი დაიბურა ღარისებრი კრამიტით, ააგეს კანკელი და ეკლ. შიგნით მთლიანად შელესეს.

თ. დვალი.

127. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს ღვინის ქარხნიდან 200 მ-ზე. განეკუთვნება ძვ. და ახ. წელთაღრიცხვების მიჯნას.

1988 წელს, სარწყავი არხის მშენებლობის დროს, დაზიანდა ორმოსამარხები. იმავე წელს კაპ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური) გაწმინდა და შეისწავლა ორი სამარხი.

ერთ-ერთ, ჩრდ-იდან სამხრ-ისკენ დამხრობილ ორმოსამარხში აღმოჩნდა თიხის ჭურჭელი (სამფეხა ლანგარი და მრგვალპირიანი დოქი); რკინის სატევარი, ბრტყელი დანა; ბრინჯაოს 4 სამაჯური (რ-თაგან სამი გველის თავებითაა დაბოლოებული), ერთი მოგრძო, თავგახსნილი რგოლი, რ-იც გველის სტილიზებულ გამოსახულებას წარმოადგენს და ვერცხლის მრგვალგანივკვეთიანი მავთულის ორი თავგახსნილი რგოლი (საყურე?); მინისა და სარდიონის მძივები; ცხოველის ძვლები.

ნ. მამაიაშვილი.

128. სამსაჭდრეების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფელში. ძვ. სასაფლაოს ტერიტორიაზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია. ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და კირის დუღაბით. ძლიერ იყო დაზიანებული: შემორჩენილი იყო შენობის მხოლოდ აღმ. ნახევარი. 2013 წელს ეკლ. აღადგინეს და იგი რამდენადმე დააგრძელეს (სამუშაოებს აწარმოებდა წმ. სტეფანე ხირსელის მამათა მონასტრის აღორძინების კავშირი).

აღმ-ით კუთხეებმომრგვალებული აფსიდია, რ-იც გრძივი კედლებიდან მოკლე მხრებით არის გამოყოფილი. აფსიდის ღერძზე განიერი სარკმელია (აღდგენილია) გაჭრილი. სარკმლის ჩრდ-ითა და სამხრ-ით თითო ოთხკუთხა ნიშაა. აფსიდი კონქითაა გადახურული, რ-ის თაღი ნახევარწრიული ფორმისაა და აფსიდის მხრებს ეყრდნობა. სამხრ. კედლის შემორჩენილ ნაწილში ვიწრო, ოთხკუთხა სარკმელია.

ბ. კუპრეიშვილი.

კვენაკელის წმ. გიორგის ეკლესია, იხ. სოფ. ს ა ქ ო ბ ო .



128. ხედი ჩრდ.-დას-იდან

კრანჩხების სადგომი, იხ. სოფ. ქვემო მაღარო.

მაღარო, იხ. სოფ-ები ზემო მაღარო და ქვემო მაღარო.

მაშნაარი
(საქობოს თემი)

129. ნაბაღრების გორასამარხები, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, 2 კმ-ზე, ნაბაღრებად წოდებულ ადგილში. ერთ-ერთი გორასამარხი განეკუთვნება ძვ. წ. IV-III ათასწლეულების მიჯნას. მეორე – ძვ. წ. IV ათასწლეულს.

ძ. აღმოაჩინა და შეისწავლა კაპ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). გაითხარა ძლიერ დაზიანებული ორი გორასამარხი (ხელმძღვ. შ. დედაბრიშვილი). ორივე გორასამარხი გამართული იყო სამარხი ორმოს გარეშე. გარშემოუყვებოდა რიყის ქვის ერთი რიგი. ქვაყრილის ცენტრი ჩაღრმავებული იყო. სამარხებში აღმოჩნდა ადამიანის ძვლები და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები. ქვიშანარევი კეცით და ზედაპირის მოგლუვებით, ჭურჭელი ხელითაა ნაძერწი. სამარხებში აღმოჩენილი ჭურჭელი მტკვარ-არაქსის კულტურისათვის დამახასიათებელი ჭურჭლის მსგავსია.

მოპოვებული მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ვ. ვარაზაშვილი.

ბიბლ.: 188, 287.

მშრაკების გორანამოსახლარი და გორასამარხები, იხ. ალაზნის ველის არქეოლოგიური ძეგლები.

ნაბაღრების გორასამარხები, იხ. სოფ. მაშნაარი.

ნაომარიგორის ნამოსახლარი, იხ. სოფ. ტიბაანი.

ნახაზინარის გორასამარხი, იხ. სოფ. ნუკრიანი.

ნერგითგორის ნამოსახლარი, იხ. ალაზნის ველის არქეოლოგიური ძეგლები.

ნუკრიანი
(სათავო სოფელი)

130. ნუკრიანი, სოფელი. მდებარეობს გომბორის ქედის ჩრდ.-აღმ. კალთაზე, ზ. დ. 820 მ-ზე. სიღნაღიდან 5 კმ-ზე, ქვემო მაღაროდან (უახლოესი რკ.-გზ. სადგ.) 10 კმ-ზე.

სოფელს ჩრდ.-აღმ-იდან ესაზღვრება ქ. სიღნაღი, სამხრ-იდან კი სოფ. ზემო მაღარო. სოფლის ძირითადი უბნებია: ქვემო და ზემო ნუკრიანი, მარტაანი, ნუკრიანის კალოები და ჭოტორი, რ-იც ადრე ცალკე სოფელი იყო. ამ უბანს ადგილ. მოსახლეობა „ნიშანს“ უწოდებს. გადმოცემით, მტრის შემოსევის ამბავს მოსახლეობა ამ ადგილზე დანთებული კოცონით იგებდა.

სოფელში არის ორი საჯარო სკოლა, კულტურის სახლი, ოთხი საბავშვო ბაღი, ხუთი ბ-კა, სამუსიკო სკოლა. ფუნქციონირებს სახელმწ. განვითარების სააგენტოს სახ. ცენტრი, სხვადასხვა პროფილის სახელოსნოები (კახური ქუდების, ტიკების, თოკების წვნის, თექის, ქვაზე ხატვის, ხისა და ლითონის დამუშავების და სხვ.). არის ასევე ეთნ. ეზოში „ქიზიყი“ და „ზედაშე“; საზოგად. ორგანიზაციები: სათემო კავშირი „ნუკრიანი“, ახალგაზრდული ცენტრი „სცანი“. კულტურულ ურთიერთობათა ცენტრის „კავკასიური სახლისა“ და სათემო განვითარების ცენტრის „ნუკრიანის“ ორგანიზებით, სოფელში ტრადიციულად იმართება ხალხური რეწვის, შემოქმედებისა და კულინარიის ფესტივალი, რ-ის მიზანია ტურისტული პროცესების გააქტიურება, არსებული სახელოსნოების და ხალხური რეწვის პროდუქციის წარმოჩენა-პოპულარიზაცია.

მეურნეობის ძირითადი დარგებია მემცენარეობა, მეცხოველეობა. გაშენებულია ლავანდის პლანტაცია, რ-იც ერთადერთია საქართველოში.


ლ. მოწონელიძე.

ბიბლ: 176.

131. დიდი სერების გორასამარხი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის მახლობლად, დიდ სერებად წოდებულ ადგილში. განეკუთვნება ძვ. წ. III და II ათასწლეულების მიჯნას.

ძ. 1975 წელს გათხარა კაპ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).

გორასამარხის მიწაყრილი (შემორჩენილი სიმ. – 1 მ, დიამ. – 1,9 მ) დაზიანებული იყო მიწის სამუშაოების შედეგად. ყრილის ქვეშ, ცენტრალურ ნაწილში, 10 მ-ის სიღრმეზე გამოვლინდა ოთხკუთხა, აღმ-იდან დას-ისკენ დამხრობილი სამარხი ორმო (სიგრ. – 2 მ, სიგ. – 1,90 მ). მიცვალებული ესვენა სამარხის ცენტრში, მოხრილი კიდურებით, თავით დას-ისკენ. მიცვალებულს მარცხ. ხელი ზურგს უკან ჰქონდა გაშვერილი. სავარაუდოა, რომ იგი დამჯდარ პოზაში იყო დაკრძალული. ძვლები ცუდად იყო დაცული. სამარხი ორმოს ჩრდ.-აღმ. და სამხრ.-აღმ. კუთხეებში გამოვლინდა მსხვილფეხა საქონლის თითო თავის ქალა და კედელზე მიყუდებული კიდურების ძვლები. მიცვალებულის თავის ქალისა და ზურგს უკან, აგრეთვე ფეხებთან აღმოჩნდა წვრილფეხა საქონლის ძვლები. სამარხი ორმოს ჩრდ.-დას. კედელთან მოთავსებული იყო თიხის სამი ჭურჭელი. ხუთი ჭურჭელი განლაგებული იყო მიცვალებულის თავის ქალის უკან, დას. კედელთან. აქვე იდო ბრინჯაოს ისრისპირი. მიცვალებულის თავის ქალასთან გამოვლინდა თეთრი კირქვის ლახტის თავი. ფეხებთან, წვრილფეხა საქონლის ძვლებზე იდო ბრინჯაოს სატევარი.



131. 1. ქილა, 2. ქვის ლახტის თავი, 3. ქოთანი ამოღარული ორნამენტით, 4. სასმისი, 5. ქილა, 6. ქოთანი, 7. ბიკონუსური ჭურჭელი, 8. ბრინჯაოს სატევარი, 9. ორყურა ქოთანი, 10. ქილა (შემკული ფოსოების სამი რიგით), 11. კოჭობი

სამარხ ორმოში გამოვლენილია ხელით ნაძერწი ორი ქილა, სამი ქოთანი, ორი კოჭობი და ცალყურა სასმისი. ჭურჭელი დამზადებულია ქვიშის და თეთრმინარევიანი თიხით. მოშავო-მოყავისფროდ გამომწვარ ქილებს აქვს ფართო, გადაშლილი პირი და დაბალი ყელი. ერთი მათგანი მსხლის მოყვანილობისაა (შემორჩენილია ცალი მხარე). მხარზე მას ღრმა ფოსოების სამი რიგი გარშემოუყვება. ქილა ყურიანი ყოფილა (ყური არ შემორჩენილა). მეორე ქილას ბრტყელბაკოიანი პირი და სუსტად გამობერილი მუცელი აქვს. სამარხეული სამი ქოთნიდან ორი უხეშადაა ნაძერწი. ერთი მათგანი სწორპირიანია, ყავისფრად გამომწვარი. სამარხში გამოვლენილ ყველა დანარჩენ ჭურჭელს ოდნავ გადაშლილი პირი აქვს. სამარხის მეორე უხეშად ნაძერწი ქოთნის მოშავო-მოყავისფრო ზედაპირი სუსტადაა ნაპრიალები. მესამე ქოთანს მოშავო-მორუხო, პრიალა ზედაპირი აქვს. იგი შემკულია ორი რელიეფური, შვეული ხაზით. ქვაბქოთანა მორუხო-მოყავისფროა. მას მხარზე, ერთმანეთის საპირისპიროდ, ორი მრგვალგანივკვეთიანი ყური აქვს მიძერწილი. კოჭობი უხეში თიხით არის ნაძერწი. რუხად გამომწვარი მისი ზედაპირი სუსტად არის ნაპრიალები. ბიკონუსურ, შავპრიალა კოჭობს ერთმანეთის საპირისპიროდ დატანილი ორი ფოსო ამკობს. ასიმეტრიული ფორმის, მოყავისფრო სასმისის მხარზე ჰორიზონტალურად სამი ფოსოა დატანილი. მათ საპირისპირო მხარეს შემორჩენილია ყურის მიძერწვის ადგილი. სამარხეული ბრინჯაოს ნივთები დაზიანებულია: ბრტყელპირიან, უქედო სატევარს ყუნწი, ხოლო ოთხწახნაგა ისრისპირს თავი აქვს მოტეხილი.


მოპოვებული არქეოლ. მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

რ. რუსიშვილი.

ბიბლ.: 203, 313, 344.

132. მინდვრის წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას. განაპირას, სასაფლაოზე. სავარაუდოდ განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.


ეკლ. დარბაზულია (7,9x4,6 *მ*), აღმ-ით ნახევარწრიული, შვერილი აფსიდით, რ-იც გარედან განცალკევებულია და დამოუკიდებელი, ნახევარკონუსისებრი სახურავი ხურავს. საშენი მასალა ორგვარია: რიყის ქვა და „ქართული“ აგური. კედლები ძირითადად რიყის ქვისაა, რ-



132. გეგმა

შიც, ალაგ-ალაგ, სისტემის დაცვის გარეშე, აგურია ჩართული. აგურისაა სატრიუმფო თაღის

და კამარის ზედა ნაწილი. გარეთა კუთხეების წყობაში შირიმის თითო-ოროლა დაუმუშავებელი ქვაცაა გამოყენებული. ინტერიერი შელესილი ყოფილა (შემორჩენილია ნალესობის ფრაგმენტები).



132. გრძივი ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

შესასვლელი სამხრ. კედლის დას. ნაწილშია. კარი შიგნით და გარედან სწორკუთხაა. აღმ-ით, აფსიდის ღერძზე, გაჭრილია განიერი სარკმელი, რ-ის შიგნითა ჭრილი ზემოთკენ სწორხაზოვნად ფართოვდება და სამკუთხა თაღითაა დასრულებული. სარკმლის ორივე მხარეს თითო პატარა ნიშაა. აფსიდი გადახურულია შეისრული კონქით, რ-იც აფსიდის მხრებს ეყრდნობა.

ეკლესიის დას. კედელში შიგნით თაღოვანი, გარედან სწორკუთხა სარკმელია გაჭრილი.

2013 წელს საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები. სამუშაოებს აწარმოებდა წმ. სტეფანე ხირსელის მამათა მონასტრის აღორძინების კავშირი: საკურთხევლის შვერილი განთავისუფლდა მოგვიანებით მიშენებული კედლისგან, აღდგა კედლებისა და არქიტ. ელემენტების დანგრეული ნაწილები, შემორჩენილი ნაშთების მიხედვით, კედლებს გაუკეთდა აგურის ორსაფეხურიანი ლავგარდანი, აღდგა დას. კედელზე დაშენებული, ოთხწახნაგა სამრეკლო, სახურავი დაიბურა ღარისებრი კრამიტით.

თ. დვალი.



132. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

133. ნახაზინარის გორასამარხი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, ნახაზინრად წოდებულ ადგილში. განეკუთვნება ადრინდ. ბრინჯაოს ხანის დასასრულს.

ძეგლს 1961 წელს მიაკვლია ᲘᲐᲔ ინ-ტის კახეთის დაზვერვითმა არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). მცირექვაყრილიანი გორასამარხის დასაკრძალავი კამერის კედლები კლდის ნატეხი ქვით მშრალად იყო ნაგები. აღმოჩნდა ადამიანისა და მსხვილფეხა საქონლის ძვლები, ბრინჯაოს სატევარი ბრტყელი, უქედო პირით, მრგვალი მხრებითა და გახვრეტილი ყუნწით.

რ. რუსიშვილი.


ბიბლ.: Ⅱ82, 187, 188, 198.

134. ძაშვეთის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ-ით, კალოების უბნის სასაფლაოზე. სავარაუდოდ თარიღდება გვიან. შუა საუკუნეებით. 1990-იან წლებში ეკლ. ადგილობრივმა მოსახლეობამ თვითნებურად აღადგინა (აღადგინეს კედლების დანგრეული ნაწილები, შეცვალეს ინტერიერის აღნაგობა, საკურთხეველში მოაწყვეს ბეტონის იატაკი, შიგნით ეკლ. ბეტონის კამარით გადახურეს და მთლიანად შელესეს), რის გამოც მას თავდაპირველი სახის განმსაზღვრელი ბევრი დეტალი დაკარგული აქვს.

ეკლ. დარბაზულია (8,2x6,4 მ), აფსიდიანი. ძირითადად ნაშენია რიყის ქვითა და კირის ხსნარით. კუთხეები და ღიობები გამოყვანილია „ქართული“ აგურით.

ერთადერთი შესასვლელი სამხრ-იდანაა, კარი თაღოვანია. როგორც შემორჩენილი ნაშთებით ირკვევა, აფსიდი დარბაზისგან გამოყოფილი იყო ორსაფეხურიანი მხრებით (ამჟამად მხრების დიდი ნაწილი ეკლესიის განახლების დროს აგებული კანკელითაა დაფარული).

საკურთხევლის აფსიდი ნახევარწრიული მოხაზულობისაა. აფსიდის ღერძზე გაჭრილია თაღოვანი სარკმელი, რ-ის ორივე მხარეს გეგმით ნახე-



134. გეგმა

ვარწრიული, თითო თაღოვანი ნიშაა.

დარბაზის ჩრდ. კედლის შუაში განიერი პილასტრია, რ-ზეც კამარის საბჯენი თაღი იყო დაყრდნობილი. პილასტრის გვერდებზე საფეხურით შედრმავებული, ნახევარწრიული თაღით დასრულებული არეა. პილასტრი ჩრდ. კედლის დას. კიდეშიცაა. ამ უკანასკნელზე დას. კედლის მიმდებარე საბ-



134. ინტერიერი. ხედი ჩრდ.-აღმ-კენ



134. ხედი ჩრდ.-აღმ-იდან

ჯენი თაღი იყო დაყრდნობილი. თავდაპირველად სამხრ. კედელიც ჩრდ. კედლის მსგავსად იყო დანაწევრებული. ამჟამად ამ არქიტ. ელემენტთაგან მხოლოდ აღმ. თაღოვანი არეღაა შემორჩენილი.

საკურთხევლის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს კიდევ სამი თაღოვანი სარკმელი აშუქებს. მათგან ორი ჩრდ-ითაა, ერთი – სამხრ-ით. სამივე სარკმელი თაღოვან არეშია მოთავსებული.

2015 წელს საქართვ, ისტ. ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით ეკლესიას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. მ. გელაშვილი). სამუშაოებს აწარმოებდა წმ. სტეფანე ხირსელის მამათა მონასტრის აღორძინების კავშირი: მოეწყო აგურის ორსაფეხურიანი ლავგარდანი, მოიხსნა ეკლესიის დას. კედელზე დადგმული სამრეკლო, ეკლ. დაიბურა ღარისებრი კრამიტით, მოწესრიგდა უხარისხოდ მოწყობილი სარინი.

თ. დვალი.

135. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფელში. მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილი ნაშთების მიხედვით (მიახლ. ზომები: სიგრ. – 11 *მ*, სიგ. – 7,5 *მ*)



135. დასავლეთი კედლის ნაშთი

ჩანს, რომ ეკლ. ნაგები ყოფილა რიყის ქვითა და „ქართული“ აგურით. შენობას დას-იდან

ეკეროდა გეგმით კვადრ. (5x5 მ), თანადროული მინაშენი (სავარაუდოდ კარიბჭე). ამჟამად ეკლესიის ადგილზე სავაჭრო დანიშნულების, უმოქმედო ნაგებობა დგას.

თ. დვალი.


136. ჩალიანხევის სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის მიდამოებში, ნაქალაქარისა და ჩალიანხევის ბორცვებზე და მათ ჩრდ.-აღმ. ფერდის ძირში მდებარე ვრცელ, დამრეც ველზე. განეკუთვნება გვიანდ. ბრინჯაოს ხანას.

ძ. 1975 წელს გამოავლინა კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). 1976 წელს იმავე ექსპედიციამ გათხარა 16 ორმოსამარხი. ზოგიერთი ორმოსამარხი სარეცლიანია. არის ე. წ. სამახსოვრო სამარხი – კენოტაფი. სამაროვანი სტრატიგრაფიულად სამიარუსიანია. სამივე იარუსის ყველა ორმოსამარხი მიწაჟრილიანია. ერთ-ერთი სამარხის ჩრდ.-დას. კედელს, სამარხის ფსკერიდან 0,75 მ სიმაღლეზე, რიყის ქვების რკალი შემოუყვებოდა. სამარხებში მიცვალებული ესვენა მოხრილი კიდურებით, მარჯვ. ან მარცხ. გვერდზე, თავით ჩრდ. ან ჩრდ-დას-ისკენ. სამარხებში მრავლად იყო თიხის ჭურჭელი – დიდ-პატარა ორყურა ქილები, ყურიანი და უყურო სადღვებლები, ხელადები, ქვაბქოთნები, პირმოყრილი ჭურჭელი, კათხები, ე. წ. „მელიღელური“, მაღალყელიანი სასმისები, წელში ოდნავ გამოყვანილი, ორყურა ჭურჭელი, ღრმა ჯამები, ლანგრები და სხვ. ჭურჭელი დამზადებულია სამეთუნეო მორგვზე, განლექილი წვრილმარცვლოვანი ან მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან. გამომწვარია შავად, ლეგა მონაცრისფროდ ან მოყავისფროდ. ბრინჯაოს ნივთებიდან აღსანიშნავია: მთლიანადსხმული შუბისპირები, მასრაზე ორი სამანჭვლე ნახვრეტით და ორი რელიეფური ზოლით; კონუსური, მრგვალფუძიანი ღილები, თავჩაბრუნებული მახათი, სამაჯურები, მრგვალი კოპებით შემკული, ბიკონუსური მძივი; სამარხებში აღმოჩნდა აგრეთვე სარდიონის მძივები, ანთიმონის ღილი და ძვლის ნაკეთობები.

ც. მენაბდე.

ბიბლ.: 102, 203.


137. წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის აღმ. ნაწილში, თბილისი-სიღნაღის საავტ. გზის მარცხ. მხარეს, სასაფლაოზე. ნაგებობა სხვადასხვა პერიოდის ორ სამშენ. ფენას შეიცავს. ამჟამინდელი სახე ძეგლს ადრე აქ მდგარი დარბაზული ეკლესიის (13,2x5,8 მ) საფუძვლიანი გადაკეთების შედეგად აქვს მიღებული. ამ დროს, მოცულობის გაზრდის მიზნით, ეკლესიის დას. კედელი მოუშლიათ და მთელ სიგანეზე ახ. ნაწილის მიშენებით, ეკლ. მნიშვნელოვნად დაუგრძელებიათ (შიგნით სიგრ. აფსიდის ჩათვლით – 15,9 მ-ია, სიგ. – 5,8 მ). ამავე დროს, სამხრ. და ჩრდ. მხრიდან ეკლესიისთვის სწორკუთხა გეგმის (6,7x3,7 მ), ერთმანეთის მსგავსი თითო მინაშენი მიუდგამთ, რის გამოც ნაგებობის გეგმის კონტურს „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის ეკლესიის სახე აქვს მიღებული.



137. გეგმა

თავდაპირველი ეკლესიის საშენი მასალა ორგვარია: რიყის ქვა და „ქართული“ აგური. მათი შეფარდებითი რაოდენობა კედლებში თითქმის თანაბარია. წყობა ტრადიციულია, რ-შიც რიყის ქვისა და აგურის სწორხაზოვანი რიგები ენაცვლება ერთმანეთს. კუთხეები, კონსტრ. და არქიტ. ელემენტები აგურითაა გამოყვანილი. გარეთა კედლების წყობაში, აქა-იქ, ჩართულია საფლავის წარწერებიანი ქვები. ეკლესიის გვიანდ. ნაწილი მთლიანად აგურისაა.

შესასვლელი სამია: დას-იდან, სამხრ-იდან და ჩრდ-იდან. სამივე კარი თაღოვანია. ეკლესიის წაგრძელებული დარბაზი აღმ-ით დასრულებულია აფსიდით, რ-ის მოხაზულობა ნახევარწრეზე ოდნავ ნაკლებია. აფსიდის ღერძზე გაჭრილია განიერი, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელი, რ-ის ორივე მხარეს, დაახლ. ერთ დონეზე, ორ-ორი ნიშაა. გრძივი კედლების ბო-



137. განივი ჭრილი. ხედი აღმ-კენ

ლოებში თითო ფართო, თაღოვანი სარკმელია. მათ შორის აღმ. წყვილი ეკლესიის თავდაპირველ ნაწილშია გაჭრილი, დას. წყვილი კი – მოგვიანებით მიშენებულ ნაწილში. შიგნით ყველა სარკმელი შეისრულ შეღრმავებაშია ჩასმული. დარბაზის გრძივ კედლებზე ხუთი წყვილი ერთსაფეხურიანი პილასტრია, რ-ებსაც კამარის საბჯენი თაღები ეყრდნობა. პილასტრების აღმ. წყვილით და მათზე გადაყვანილი საბჯენი თაღით საკურთხევლის სივრცე დარბაზისგანაა გამიჯნული. კამარა და საბჯენი თაღები ნახევარწრიულია. თაღების ქუსლებთან გამოყოფილია ქვის, რთული პროფილის მქონე იმპოსტები.

დას. კედელი დანაწევრებულია მაღალი, თანაბარი სიგანის, სამი ყრუ თაღით, რ-თა შორის შუა, ოდნავ უფრო მაღალია განაპირებზე. მათგან სამხრ. არე ყრუა, შუა არეში კარია, ჩრდ-ისაში კი – დას. კედლის სისქეში მოწყობილი კიბის სწორკუთხა შესასვლელი. კიბე ეკლესიის სხვენზე ადის, საიდანაც დას. კედელზე დაშენებულ სამრეკლოზე შეიძლებოდა ასვლა (სამრეკლო მთლიანად დანგრეულია).


ეკლესიის ცენტრ. ნაწილი მოგვიანებით მიშენებულ გვერდით ნაწილებთან დაკავშირებულია ორ-ორი ნახევარწრიული თაღით, რ-ებიც აღმ-იდან მეორე, მესამე და მეოთხე პილასტრებს შორისაა მოწყობილი.

მინაშენები ვიწრო და მაღალი სადგომებია. თითოეული სადგომი ცილინდრული კამარითაა გადახურული, რ-იც პილასტრზე გადაყვანილ, სამ-სამ საბჯენ თაღს ეყრდნობა. თითოეულ მინაშენში ხუთ-ხუთი თაღოვანი სარკმელია. მათგან ორ-ორი აღმ. და დას. კედლებშია გაჭრილი, თითო-თითო კი – შესასვლელების თავზე. სამხრ. მინაშენის დას. კედლის შუა პილასტრის წყობაში ჩასმულია მარმარილოს სწორკუთხა (20x30 *სმ*) ფილა, რ-ზეც ეკლესიის გვიანდ. გადაკეთების თარიღია (1900 წ.) ამოტვიფრული.

შიდა სივრცის ერთნავიანობის მიუხედავად, შენობას გარედან „თავისუფალი ჯვრის“ ტიპის ეკლესიის აღნაგობა აქვს. ოთხივე ფასადზე თითოეული შვერილი ბაზილიკური აბრისითაა წარმოდგენილი, რ-თა შორის შუა, გვერდითებთან შედარებით, ბევრად უფრო განიერია და მაღალი, დასრულებულია ორფერდა სახურავით, გვერდის შედარებით დაბალი ნაწილები კი ცალფერდა სახურავითაა დასრულებული. ფასადების დანაწევრება გეომეტრიულად მკაფიოა, მორთულობა – ძუნწი.

აღმ. ფასადზე, კიდეების წყობაში, მიწიდან 0, 7 *მ* სიმაღლეზე, საფლავის თითო ქვაა ჩატანებული. სარკმლის ზემოთ, წყობაში შეღრმავებული, წითლად შეღებილი ჯვრის გამოსახულებაა. ფასადის ზედა ნაწილში კარგად იკითხება თავდაპირველი ეკლესიის სახურავის ფერდების კვალი.

დას. ფასადზე ცენტრ. ნაწილი, გვერდითი ნაწილების მიმართ, რამდენადმე წინაა წამოწეული. ფასადის სიბრტყე თითქმის მთლიანად უჭირავს



137. სამხრ. ფასადი



137. ინტერიერი. ხედი ჩრდ.-აღმ-კენ

საფეხურით შელრმავებულ, ნახევარწრიულთაღოვან არეს, რ-ის ქვედა, კედლის სიბრტყიდან მცირედ შვერილ, სამკუთხა ფრონტონით დასრულებულ ნაწილში განიერი, ნახევარწრიულთაღოვანი შესასვლელია, რ-იც ჩასმულია ორი ლილვით გრძივ ფასადებზე შვერილების კედლის სიბრტყე, სამ-სამი თაღოვანი არით, ერთმანეთის მსგავსადაა დანაწევრებული. შუა არეში თაღოვანი შესასვლელი და მის ზემოთ გაჭრილი, ფართო სარკმელია გვერდის არეებში კი – თითო თაღოვანი ნიშა.



137. ხედი სამხრ.-დას-იდან

შედგენილ ჩარჩოში. შვერილის ზემოთ შელრმავებული ჯვრის გამოსახულებაა.

ეკლესიას ლეკალური აგურით ნაწყობი ლავგარდანი და თუნუქის სახურავი აქვს.

1983-1984 წლებში ისპბძ დაცვისა და გამოყენების მთ. სამმართველოს მიერ ეკლესიას ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. ნ. მინდორაშვილი). ეკლესიას სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდა 2015 წელსაც (პროექტის ავტორი, არქიტ. რ. შაშვიაშვილი). სამუშაოები დაფინანსდა საქართვ, ისტ. ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის მიერ. სამუშაოებს აწარმოებდა წმ. სტეფანე ხირსელის მამათა მონასტრის აღორძინების კავშირი). ეკლესიის ფასადები გაიწმინდა შეთეთრებისგან, აღდგა კედლების დაზიანებული ნაწილები, შიგნით კედლები შეილესა, აიგო კანკელი, იატაკზე დაიგო ხელოვნური ქვის ფილები, სახურავი დაიბურა თუნუქით.

თ. დვალი.

138. ჰოტორის სამარხი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის მახლობლად, ტყისპირას. აქ, 1962 წელს, წვიმისაგან ჩამორეცხილ ფლატეში, შემთხვევით აღმოჩნდა ორმოსამარხი, რ-შიც გამოვლინდა ბრინჯაოსტარიანი და რკინისპირიანი, „კახური ტიპის“ მახვილი, რ-ის თარიღიც ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრით უნდა განისაზღვროს.

მახვილი ინახება სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

რ. კვიტაშვილი.

ბიბლ.: 184.

139. ხრამების გორასამარხი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, ვაისწყლისკენ მიმავალ გზაზე, ხევის პირას. განეკუთვნება ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრულს.

ძ. 1975 წელს გათხარა კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).

გორასამარხი (მიწაყრილის სიმ. – 1 *მ*, დიამ. – 20 *მ*) ორმოიანი იყო. ძირითად სამარხში ჩაშვებული აღმოჩნდა მისივე თანადროული სამარხი, რამდენიმე თიხის ჭურჭლითა და ბრინჯაოს ნივთებით.

ძირითად სამარხში, ოთხთვალა ეტლზე დადასტურდა მიცვალებულის ჭილოფში გახვეული ფერფლი და რამდენიმე თიხის ჭურჭელი. ინვენტარის დანარჩენი ნაწილი, სავარაუდოდ მძარცველებს წაუღიათ. სამარხი ალაზან-ბედენურ კულტურას განეკუთვნება.

მოპოვებული არქეოლ. მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

რ. რუსიშვილი.

ბიბლ.: 183, 184, 189.

ოზაანხევის სადგომი, იხ. სოფ. ყ ა რ ა ღ ა ჯ ი.


რუხიგორის ნამოსახლარი და სამარხი, იხ. სოფ. ტ ი ბ ა ა ნ ი.

საქობო
(საქობოს თემი)


140. ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრეთით, ქ. სიღნაღისკენ მიმავალი გზის მარცხ. მხარეს, ტყეში. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (8,75x3,85 *მ*). ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. ძლიერ დაზიანებულია: ჩამონგრეულია გადახურვა, მონგრეულია კედლების ზედა ნაწილები.

ერთადერთი შესასვლელი დას-იდან, კედლის ღერძზეა გაჭრილი. კარი შიგნით სწორკუთხაა, გარედან – თაღოვანი. აღმ-ით ნალისებრი აფსიდია, რ-იც დარბაზის გრძივი კედლებიდან ორსაფეხურიანი მხრებითაა გამოყოფილი. აფსიდში მაღალი სარკმელია გაჭრილი. სარკმლის ჩრდ-ით სხვადასხვა ზომის, ორი თაღოვანი ნიშაა, სამხ-ით – ერთი. გრძივი კედლები დანაწევრებულია თაროსებრი კაპიტელით დასრულებული ორ-ორი ორსაფეხურიანი პილასტრით. პილასტრების პირველ საფეხურზე კედლის ნახევარწრიული თაღებია გადაყვანილი, მეორეზე – კამარის საბჯენი თაღები. წყვილი პილასტრი დას. კედლის კუთხეებშიცაა. დას. კედელში, შესასვლელის თავზე, ფართო, ოთხკუთხა სარკმელია გაჭრილი.



140. გეგმა



140. გრძივი ჭრილი (აღდგენამდე). ხედი ჩრდ-კენ

დას. ფასადის ჩრდ. კუთხეში ჩადგმულ ქვის კვადრზე, წრეში ჩაწერილი ჯვარია გამოსახული.


2013 წელს ეკლ. აღადგინეს: დას. კედელზე დაადგეს აგურის, ექვსწახნაგა სამრეკლო და ეკლ. ღარისებრი კრამიტით დაბურეს.

ბ. კუპრეიშვილი.

140. ხედი სამხრ-იდან



141. კვენაკელის წმ. გიორგის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით, 1,5-2 კმ-ზე, ნასოფლარ კვენაკელის ტერიტორიაზე. თარიღდება XIX საუკუნით.




141. გეგმა


ეკლ. დარბაზულია (12,6x7,0 მ). აგებულია რიყის ქვითა და აგურით. წყობა ტრადიციულია – „კახური“. კედლები ძირითადად რიყის ქვისაა, რ-შიც ერთმანეთისგან თანაბარი მანძილით დაშორებული, ორრიგად დაწყობილი აგურით გამოყვანილი, სწორხაზოვანი რიგებია ჩართული. კუთხეები, კონსტრ. და არქიტ ელემენტები აგურისაა. გარეთა კედლების ზედაპირი გასწორებულია კირის სქელი ფენით, რ-იც საპირე ქვების ზედაპირის მნიშვნელოვან ნაწილს ფარავს.

შესასვლელი ორია: დას-იდან და ჩრდ-იდან. საკურთხეველის აფსიდი ნახევარწრიული მოხაზულობისაა. იატაკიდან დაახლ. 3 მ სიმაღლეზე, აფსიდი დარბაზის გრძივი კედლებიდან მხრებითაა გამოყოფილი, ზემოთ კი – სადეკორაციო პილასტრებითა და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღით, რ-ებსაც არავითარი კონსტრ. დანიშნულება არ გააჩნია. ისინი აფსიდისა და კონქის ზედაპირის ამოღრმავებითაა გამოყვანილი. აფსიდის ღერძზე გაჭრილია განიერი, დაბალი, მშვილდისებრთაღოვანი სარკმელი. სარკმლის ორივე მხარეს, სიმეტრიულად, ორ-ორი თაღოვანი ნიშაა განლაგებული.

გრძივ კედლებზე ორ-ორი პილასტრია, რ-ებსაც კილისებრი, საბჯენი თაღები ეყრდნობა. თითო პილასტრი დას. კუთხეებშიცაა. თაღების ქუსლებთან გამოყოფილია სამსაფეხურიანი იმპოსტები. პილასტრებს შორის საფეხურით შეღრმავებული, ნახევარწრიულთაღოვანი არეებია. მათგან ჩრდ. კედლის შუა არეში კარია, განაპირებში კი – თითო სარკმელი. სამხრ. კედლის არეებიდან დას-ით მდებარე ერთა, დანარჩენ ორში კი სარკმელია გაჭრილი. ერთი სარკმელია დას. კედელში – კარის თავზე. ქვედა სარკმელში სწორკუთხა, მომინული ჩარჩოა ჩასმული და გარედან რკინის გისოსითაა აღჭურვილი.



141. აღმ. ფასადი



141. გრძივი ჭრილი. ხედის ჩრდ-კენ

ეკლესიის აღმ. და დას. ფრონტონებზე თითო შეღრმავებული ჯვრის გამოსახულებაა. ფასადები აგურის საფეხუროვანი ლავგარდნითაა

დასრულებული. დას. კედელზე დაშენებული იყო აგურის სამრეკლო (შემორჩენილია კვადრ. საფუძვლის ნაწილი).

თ. დვალი.

142. სამების ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის დას-ით, 1,5 *კმ*-ზე, ფერდობზე. თარიღდება XVIII საუკუნით.

ეკლ. დარბაზულია (8,70x5,30 *მ*), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით.

შესასვლელი დას-იდანაა. კარი შეისრულია. აღმ-ით, დარბაზისაგან მარტივი პილასტრებითა და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღით გამიჯნული, ნახევარწრიული აფსიდია. აფსიდში ერთი თაღოვანი სარკმელი და ოთხი პატარა ნიშაა. ორი მათგანი ჩრდ-ითაა, ერთი – სამხრ-ით, ერთი კი – სარკმლის ქვეშ (ამოშენებულია). აფსიდის გვერდებში, იატაკიდან 3,5 *მ*-ის სიმაღლეზე, თითო პატარა სამალავია მოწყობილი. საკურთხეველი გადახურულია დამრეცი კონქით.

ეკლესიის გრძივი კედლების შუაში თითო პილასტრია, რ-ებზეც კამარის საბჯენი თაღია გადაყვანილი. პილასტრების გვერდებზე საფეხურით შეღრმავებული, შეისრულთაღოვანი ღრმა არეა, რ-ებშიც თითო სარკმელია გაჭრილი. ერთი სარკმელი დას. კედელშია, შესასვლელის თავზე. კამარა და საბჯენი თაღები შეისრულია.

დას. ფასადზე შესასვლელი სწორკუთხა, საფეხურით შეღრმავებულ არეშია ჩასმული, რ-საც ზემოდან სამსაფეხურიანი ფრიზი აგვირგვინებს. შეღრმავება მოწითალო ფერის საღებავითაა შეღებილი. შესასვლელის გვერდებზე, ერთიმეორის ზემოთ განლაგებული, სამ-სამი შეღრმავებული რომბია გამოსახული. მათ გვერდით კი – თითო რელიეფური რომბი. კარის ზემოთ, ფრონტონის არეში, შეღრმავებული, მაღალ საფეხუროვან პოსტამენტზე დაყრდნობილი ჯვრის გამოსახულებაა.


ფასადები დასრულებულია აგურის სამსაფეხურიანი ლავგარდნით. სახურავი დაბურულია ღარისებრი კრამიტით.

1984-1985 წლებში ადგილ. მოსახლეობას ეკლ. შეუკეთებია. აღუდგენიათ კედლების დანგრეული ნაწილები, ლავგარდანი და სახურავი. გარდა ამისა, ეკლესიის დას. კედელზე შემორჩენილი სამრეკლოს ექვსწახნაგა საფუძველზე ახ., ოთხწახნაგა სამრეკლო დაუდგამთ. განახლებული ნაწილები აგურისაა.

თ. დვალი.

143. ღვთისმშობლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ-ით, დაახლ. 1 *კმ*-ზე, ქ. სიღნაღისაკენ მიმავალი გზის მარჯვ. მხარეს, სასაფლაოზე. თარიღდება XVIII-XIX საუკუნეების მიჯნით.

ეკლ. დარბაზულია (10,1x5,8 *მ*), ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. ეს უკანასკნელი ძირითა-



143. გეგმა

დად კონსტრ. ნაწილებშია გამოყენებული. ეკლ. შიგნით და გარედან შელესილი და შეთეთრებულია.


1984 წელს სოფლის მოსახლეობას ეკლ. შეუკეთებია: აღუდგენიათ გრძივი კედლების მონგრეული ნაწილები, ლავგარდანი და შენობა კრამიტით გადაუხურავთ.

შესასვლელი ორია: სამხრიდან და დას-იდან. დას. კარი შეისრული თაღითაა გადახურული. სამხრ. კარს გადახურვა ჩამონგრეული აქვს. შიგნით იგი, დას. კარის მსგავსად, სწორკუთხაა.

აფსიდი ნახევარწრიულია. მასში ერთი თაღოვანი სარკმელი და სამი ნიშაა. ორი მათგანი სარკმლის ჩრდ-ითაა, ერთი – სამხრ-ით. ჩრდ-ით მდებარე ნიშებიდან ერთი – ნახევარწრიულთაღოვანია, მეორე – შეისრულთაღოვანი. სამხრ-ით მდებარე ნიშა კი ნახევარწრიულთაღოვანია. ერთი პატარა, სწორკუთხა ნიშა ჩრდ. კედლის აღმ. ნაწილშია. საკურთხევლის შუაში დგას კუბური ფორმის ტრაპეზი. აფსიდი გადახურულია კონქით. კონქის თაღი შეისრულია. იგი აფსიდის მხრებს ეყრდნობა.

საკურთხევლის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს კიდევ სამი თაღოვანი სარკმელი აშუქებს. ერთი – დას. კედლის ღერძზეა, თითო – გრძივი კედლების აღმ. ნაწილში. დას. სარკმლის გარდა, ყველა სარკმელში ხის შემინული ალათებია ჩასმული.

ეკლესიის გრძივ კედლებზე და დას. კედლის კუთხეებთან მარტივი პილასტრებია, რ-ებსაც შეისრული კამარის საბჯენი თაღები ეყრდნობა. ეკლესიის დას. კუთხეების გამაგრების




143. გრძივი ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

მიზნით, იატაკიდან 3 *მ*-ის სიმაღლეზე, ორივე კუთხეში, განივად, მუხის ძელია ჩატანებული.

ეკლესიის ფასადებიდან მხოლოდ განივი ფასადებია მორთული. მორთულობის ელემენ-

ტები აგურის წყობის შელრმავებითაა გამოყვანილი. განივი ფასადების ფრონტონებზე გამოსახულია თითო შელრმავებული ჯვარი, სარკმლის გვერდებზე კი – თითო შელრმავებული რომბი.



143. დას. ფასადი


ეკლესიის დას. შესასვლელი აგურის სამსაფეხურიანი ფრიზით დასრულებულ, მცირედ შელრმავებულ, სწორკუთხა არეშია ჩასმული, რ-ის შუა საფეხური ხერხულა წყობითაა გამოყვანილი. როგორც ჩანს, მსგავსად იყო გაფორმებული სამხრ. შესასვლელიც.

ეკლესიის კედლები დასრულებულია აგურით ნაწყობი, საფეხუროვანი ლავგარდნით. სახურავი დაბურულია ღარისებრი კრამიტით.

შენობის დას. კედელზე დაშენებულ კვადრ. ბაქანზე დგას აგურით ნაგები, მაღალი სამრეკლო აგურისავე, პირამიდისებრი სახურავითაა გადახურული.

თ. დვალი.


144. ჟვლაფშინდა, ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სამხრ.-დას-ით, 1,5 კმ-ზე. ძვ. სასაფლაოზე. არქიტ. ნიშნებით თარიღდება XVIII საუკუნით.



144. გეგმა

ეკლ. დარბაზულია (14,5x8,2 მ). ნაგებია რიყის ქვითა და აგურით. აგური ძირითადად კონსტრ. ნაწილების და არქიტ. ელემენტების წყობაშია გამოყენებული. 1980-იან წლებში მოშენობას ორი შესასვლელი აქვს: დას-იდან (ამოშენებულია) და ჩრდ-იდან.


შიდა სივრცე ვრცელია. აღმ-ით იგი დასრულებულია არასრული ნახევარწრის ფორმის აფსიდით, რ-შიც განიერი, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელია გაჭრილი. აფსიდში ხუთი მცირე ზომის ნიშაა მოწყობილი. მათგან ორი სარკმლის სამხრ-ითაა, სამი – ჩრდ-ით. თითო სწორკუთხა ნიშა გრძივი კედლების აღმ. ბოლოებშია.



144. გრძივი ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

სახლეობას ეკლ. თვითნებურად შეუკეთებია, რის შედეგადაც შენობას თავდაპირველი სახე შეცვლილი აქვს.

ეკლესიის გრძივი კედლები სამ-სამი ნახევარწრიულთაღოვანი, ყრუ თაღითაა დანაწევრებული. თაღებს შორის და კედლების კიდეებში მოწყობილია შეკიდული პილასტრები, რ-ზეც



144. აღმ. ფასადი

შეისრული ფორმის საბჯენი თაღებია გადაყვანილი. შეისრულია კამარაც. პილასტრების აღმ. წყვილი და მათზე დაყრდნობილი საბჯენი თაღი საკურთხეველს დარბაზისგან გამოყოფს. პილასტრები დაგვირგვინებულია სამსაფეხურიანი კაპიტელით.

საკურთხევლის სარკმლის გარდა, შიდა სივრცეს კიდევ ხუთი მსგავსი სარკმელი აშუქებს. ორ-ორი მათგანი ერთმანეთის სიმეტრიულად, გრძივი კედლების განაპირა თაღებშია განლაგებული, ერთი კი – დას. კედელში. დარბაზის დას. ნაწილში მოწყობილი ყოფილა ხის პატრონიკე (შემორჩენილია კვალი).

ფასადები შელესილია ცემენტის ხსნარის სქელი ფენით და შეთეთრებულია. ეკლესიის განივი ფასადები ზემოთკენ ოდნავ ვიწროვდება. ორივე ფასადის ფრონტონზე, აგურის წყობის შეღრმავებით, გამოყვანილია საფეხუროვან პოსტამენტზე დაყრდნობილი ჯვრის გამოსახულება. აღმ. ფასადზე, კონქის თავზე არსებული სივრცის სავენტილაციოდ, ჯვრის განივი მკლავების ბოლოებთან და პოსტამენტის მარჯვ. მხარეს პატარა, მრგვალი ხვრელებია მოწყობილი.

ეკლესიის კედლები დასრულებულია აგურით ნაწყობი, მაღალი ლავგარდანით, რ-ის პროფილს თარო, შეღრმავებული ზედაპირი და ლილვი შეადგენს.

თ. დვალი.


სტეფანწმინდის ტაძარი, იხ. სოფ. ტ ი ბ ა ა ნ ი.


ტიბაანი

(სათავო სოფელი)

145. კვირაცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის სასაფლაოზე. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (6,45x 4,60მ). ნაგებია რიყის ქვითა და კირის დუღაბით. გარეთა კუთხეები და არქიტ. ელემენტები გამოყვანილია ე. წ. ქართული აგურით. 1980-იან წლებში აღგილობრივ მოსახლეობას ეკლ. გაურემონტებია, მაგრამ საკმა-





145. გეგმა. ჭრილი, ხედი ჩრდ-კენ

ოდ დაუძევრად, რის გამოც თავდაპირველი სახე შენობას ძლიერ აქვს შეცვლილი. რემონტის დროს აღუდგენიათ აღმ. კედლის ზედა ნაწილი, გარედან კედლები ცემენტით შეულესავთ და შენობა ღარისებრი კრამიტით დაუბურავთ, რ-იც ნივნივებზეა დაწყობილი.

ეკლესიას შესასვლელი დასიდან აქვს. კარი მშვილდისებრი თაღითაა დასრულებული. აღმით დეფორმირებული ნახევარწრის ფორმის აფსიდია, რ-ის ღერძზე თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. მსგავსი სარკმელია დას. კედელში. აფსიდში, სარკმლის ორივე მხარეს, თითო ოთხკუთხა ნიშაა. ჩრდ. ნიშა სამხრისას ზომით თითქმის სამჯერ აღემატება და ბევრად უფრო ღრმაა. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, ოთხწახნაგა ტრაპეზია მიდგმული.

გარედან, დას. ფრონტონის შუა ნაწილში, აგურის წყობით გამოყვანილია კედლის სიბრტყიდან ოციოდე სმ-ით შვერილი, ორფერდა სახურავის მქონე, სწორკუთხა, არქიტ. ელემენტი, რ-იც გადმოკიდულ მაშიკულს მოგვაგონებს. მისი კონტური ფასადის მსგავსია. ელემენტის წინა მხრის ქვედა ნაწილის შუაში სწორკუთხა, შეღრმავებული არეა, ზედა ნაწილში კი – შეღრმავებული ჯვრის გამოსახულება.

თ. დვალი.

146. ნაომარიგორის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით, 8-9 კმ-ზე. ალაზნის ველის მარჯვ. ნაპირზე. განეკუთვნება ძვ. წ. III-I ათასწლეულებს.

ნამოსახლარი (დიამ. – 200 მ. კულტ. ფენების სიმძლავრე – 4 მ) აღმოჩენილია XX საუკუნის 70-იან წლებში კპე-ის (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური) მიერ. 1978-1979 წლებში ჩატარდა ხანმოკლე, საველე სამუშაოები. დაფიქსირდა შუა ბრინჯაოს

ხანის საცხოვრისის ფრაგმენტი და რამდენიმე სამ. ორმო. მოპოვებული იქნა: კერამ. და ძვლოვანი მასალა, ქვის იარაღები.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ვ. ვარაზაშვილი.

147. რუხიგორის ნამოსახლარი და სამარხი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, მდ. ალაზნის მარცხ. ნაპირზე, „რუხ გორაზე“.

განეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებამდე პერიოდს.

ძ. გასული საუკუნის 60-იან წლებში აღმოაჩინა კაპ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).

ნამოსახლარი ბორცვი (დიამ. – 200 *მ*, სავარაუდო სიმ. – 2,5 *მ*) ძლიერაა დაზიანებული. ბორცვის სამხრ. ნაწილში გამოვლინდა 50-60 *სმ.* ინტერვალით დაშორებული, სწორკუთხოვნად განლაგებული ძელის რვა ფოსო. ნამოსახლარის რამდენიმე ადგილზე ჩანს თიხატკეპნილი იატაკების კვალი. ნამოსახლარი ბორცვის სამხრ. ნაწილში გაითხარა ორმოსამარხი, რ-შიც მიცვალებული დასვენებული იყო მარცხ. გვერდზე, კიდურებმოხრილი, თავით დას-კენ. თავთან იდო გვიანდ. ბრინჯაოს ხანის თიხის ჭურჭელი. აკრეფილი მასალა მწირია. იგი ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ვ. ვარაზაშვილი.

148. სტეფანწმიდის მონასტერი, წმ. სტეფანე ხირსელის მამათა მონასტერი, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრში. მონასტრის დაარსება ერთ-ერთი ასურელი მამის – სტეფანე ქიზიყელის (სტეფანე ხირსელის) სახელთანაა დაკავშირებული, რ-იც VI საუკუნეში, სხვა ასურელ მამებთან ერთად, ქრისტ. რელიგიის დაცვა-განმტკიცების მიზნით, სირიიდან სამშობლოში დაბრუნდა. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, წმ. სტეფანე აქვეა დაკრძალული. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ოზაანის ამაღლების ეკლესიის „ჩდილოთ კერძო, არს მონასტერი ხირსისა, რომელი ჰყო 13 მამათაგანმან წმიდამან სტეფანემ, დიდკეთილშენი და დაფლულ არს წმიდა სტეფანე მუნვე. და ჰზის წინამძღუარი“.

მონასტრის ისტორია ვრცელ პერიოდს მოიცავს, ამას ნათელყოფს თავად ტაძრის მრავალფენიანობაც. მონასტერს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კახეთის და განსაკუთრებით, მისი სამხრ.-აღმ. ნაწილის სულიერ ცხოვრებაში. ეს დასტურდება იმ დიდი მზრუნველობითაც, რ-საც მის მიმართ მუდამ იჩენდნენ კახეთის მეფეები.

შენობაში რამდენიმე სამშენ. ფენა გაირჩევა. სამეცნ. ლიტერატურაში აღიარებულია ტაძრის მშენებლობის

148. საერთო ხედი სამხრ.-აღმ-იდან






148. საერთო ხედი სამხრ.აღმ-იდან (დმ. ერმაკოვის ფოტო). XIX ს-ის II ნახევარი

ოთხი ძირითადი პერიოდი: VI საუკუნეში აქ ააგეს გრძელი, სამნავიანი ბაზილიკა. VIII-IX საუკუნეებში ბაზილიკა გადააკეთეს გუმბათიან ეკლესიად. მეცნიერთა აზრით, ეს ფაქტი გამოწვეული იყო ძვ. ბაზილიკის ძლიერი დაზიანებით. ეკლესიის გადაკეთებულ გეგმასა და ხუროთმოძღვრულ დეტალებს ბევრი რამ საერთო აქვს VIII-IX საუკუნეების ძეგლებთან (გურჯაანის ყველაწმინდა, რუისის ღვთისმშობლის ტაძარი). ამ დროს ბოძების აღმ-იდან მეორე წყვილი მოშალეს და ნავების დამაკავშირებელი მეორე და მესამე თაღოვანი მალების ადგილას, ჯვრის გვერდითი მკლავებით, გუმბათქვეშა კვადრატი შექმნეს. ხოლო ბაზილიკის დას. ნაწილი (დაწყებული ბოძების მესამე წყვილიდან, ე. ი. ორი თაღოვანი მალი დას. კედლამდე), გუმბათოვან ეკლესიაში ჩართეს, როგორც მისი დას. მკლავი. გარდა ამისა, მთლიანად გადაკეთდა ტაძრის საკურთხევლის მიმდებარე ნაწილიც. ამ დროს გუმბათოვანი ტაძრის საკურთხევლის ნაწილს გვერდებიდან თითო სათავსი დაემატა, რ-ებიც სამკვეთლოდ და სადიაკვნედ გამოიყენებოდა.

VIII-IX საუკუნეების გუმბათოვან კომპოზიციას ჩვენამდე მთლიანად არ მოუღწევია. იგი ძლიერ დაზიანდა და




148. ტაძარი. გეგმა

დროთა განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი გადაკეთება განიცადა. მათ შორის XI საუკუნეში, როდესაც კახეთი, ისევე როგორც საქართვ. სხვა ნაწილები, ძლიერ აღმავლობას განიცდიდა. ამ დროს შეცვალეს სწორკუთხა ბოძით იყო გამიჯნული. შუა ნავი აღმ-ით დასრულებული იყო ნალისებრი აფსიდით, გვერდითი ნავები კი – სწორი კედლით.

ბაზილიკის და მასში ჩაშენებული გუმბათოვანი სტრუქტურის კედლები რიყის ქვის სწორხაზოვანი რიგებითაა გამოყვანილი, ხოლო ნავების გამმიჯნავი ბოძები, საკურთხევლის აფსიდის კუთხეები, კონქი და გუმბათქვეშა ბოძების დანამატები გამოყვანილია ქვიშაქვის დიდი ზომის კვადრებით. შეკეთებული და მოგვიანებით აღდგენილი ნაწილები აგურისაა. აღსანიშნავია, რომ XVI საუკუნეში განხორციელებული აღდგენის დროს, სხვადასხვა ნაწილებში, აგურთან ერთად, გამოყენებული იყო ტაძრის წინა პერიოდების დანგრეული ნაწილების სამშენ. მასალა.



148. ტაძარი. ინტერიერი. გუმბათქვეშა. სიერცე. ხედი აღმ-კენ



148. ტაძარი. გრძივი ჭრილი. ხედი ჩრდ-კენ

148. ტაძარი. ინტერიერი. დას. მკლავი. ხედი ჩრდ.-აღმ-კენ

ლეს სამხრ. ფასადის მოპირკეთება და ამავე მხრიდან, სამხრ. მკლავის გამოშვერილ ნაწილსა და დას. მკლავს შორის, მთელ სიგრძეზე, აფსიდიანი კარიბჭე ჩააშენეს. გარდა ამისა, ცვლილებები ტაძრის სტრუქტურაშიც შეიტანეს. XVI საუკუნეში კი თითქმის დანგრეული ტაძარი აღადგინეს. ორივე ფაქტი დასტურდება წარწერების სახითაც. 1822 წელს ეკლ. განუახლებია არქიმანდრიტ ნიკიფორე ჯორჯაძეს.

ძვ. ბაზილიკის შუა ნავი, გვერდითი ნავებისგან, მწკრივად განლაგებული ოთხ-ოთხი





148. ტაძარი. ინტერიერი. ხედი გუმბათზე

საკურთხევლის აფსიდი, ნავის დანარჩენი სივრციდან, გამოყოფილია ორსაფეხურიანი მხრებით და მათზე დაყრდნობილი ორსაფეხურიანივე თაღით. თაღის ქუსლებთან კი მთლიანი ქვის, პროფილირებული იმპოსტებია გამოყოფილი. თავად აფსიდი რიყის ქვითაა ნაწყობი, რ-შიც არაწესიერი ფორმის ქვიშაქვებიცაა ჩართუ-



148. ტაძარი. ინტერიერი. გუმბათქვეშა ჩრდ.-დას. ბურჯის წყობაში ჩართული ქვა ფოთლის (?) გამოსახულებით

ლი. აფსიდის კუთხეების გვიან შეკეთებულ ნაწილებში რიყის ქვა, აგური და აქა-იქ შირიმიც არის ნახმარი.

აფსიდის ქვედა ნაწილში განიერი, მაღალი სარკმელია. შიგნიდან იგი ნალისებრთაღოვან, ნათალი ქვით მოპირკეთებულ ნიშაშია ჩასმული. ნიშა თავდაპირველი სარკმლის გადაკეთების (დაპატარავების) შედეგად შეიქმნა. თავდაპირველი სარკმელი, ამჟამინდელ სარკმელთან შედარებით, უფრო განიერი და მაღალი ყოფილა. მისი კონტური ნიშას აქვს შემორჩენილი. ამ სარკმლის თავზე მეორე, ოღონდ ოდნავ უფრო მცირე ზომის სარკმელია. გ. ჩუბინაშვილის აზრით, ეს სარკმელი, ისევე როგორც აფსიდის ამჟამინდელი კონქი, ძველ ბაზილიკას არ ეკუთვნის, ხოლო ძვ. ბაზილიკის აფსიდის კონქი ამჟამინდელ კონქზე ბევრად უფრო ქვემოთ მდებარეობდა.

შუა ნავი გადახურული იყო კოლოფა კამარით. იგი ეყრდნობოდა ოთხ საბჯენ თაღს, თავად



148. ტაძარი. ინტერიერი. გუმბათქვეშა ჩრდ.-აღმ. ბურჯის წყობაში ჩართული ქვა ასომთავრული წარწერით

თაღები კი – ნავების გამყოფ ბოძებზე აყოლებულ პილასტრებს.

საკურთხევლის გვერდებზე განლაგებული ორივე სათავსი – სამკვეთლო და სადიაკვნე – გეგმით კვადრატულია. სათავსები გადახურულია შეკრული კამარით, რ-ის რვაწახნაგოვანი საფუძველი კუთხეებში გამოყვანილი ოთხი ტრომპით იქმნება. ორივე სათავსს გვერდებიდან საკმაოდ ღრმა, ნალისებრკამაროვანი სივრცე ერთვის: სამხრ. სათავსს – სამხრ-იდან, ჩრდ-ით მდებარეს კი – ჩრდ-იდან. ორივე სათავსის დას. კედელში განიერი, ნახევარწრიული თაღით დას-



148. ტაძარი. ინტერიერი. ჩრდ.-აღმ. ბურჯის წყობაში ჩართული ვარდულის ფრაგმენტი

რულებული შესასვლელია. აღმ. კედელში კი – ვიწრო სარკმელი. სადიაკვნის აღმ., სამხრ. და ჩრდ. კედლები თავდაპირველი სახითაა შემორჩენილი. ტრომპების ხაზამდე კედლები რიყის ქვისაა, თავად ტრომპები და კამარა კი – აგურის.

სამკვეთლოში აღმ. კედლის სამხრ. ნაწილი და სამხრ. კედელი რიყის ქვის წყობითაა გამოყვანილი, დანარჩენი კედლები კი, შესასვლელის ჩათვლით,



148. ტაძარი. ინტერიერი. აფსიდის ჩრდ. კუთხე. ქვასვეტის (?) ფრაგმენტი.

აღდგენილია კვადრ. აგურით (19x19, 20x20, 21x21 *სმ*, სისქე – 4 *სმ*). სადიაკვნის მსგავსად, სივრცეს შეისრული თაღით უკავშირდება. თაღები აგურითაა ნაწყობი და განლაგებულია შედარებით დაბალ სიმაღლეზე (იატაკიდან თაღის ქუსლამდე დაახლ. 3 *მ*-ია). თაღების ზემოთ



148. ტაძარი. ინტერიერი. სივრცე სადიაკვნის წინ. ტრომპები. ხედი აღმ.-კენ

კამარა და ტრომპები სამკვეთლოშიც აგურისაა. თითოეული ტრომპის ზემოთ აღმართულია კედლის მაღალი მონაკვეთი. მიღებული რვაკუთხედის თავზე კი მსუბუქად გამოშვერილი თაროა, რ-ზეც შეკრული კამარაა დაყრდნობილი.

სამკვეთლოსა და სადიაკვნის წინ გუმბათოვანი კამარით დაგვირგვინებული სივრცეა, რ-იც ჯვრის შესაბამისს მკლავს ფართო თაღით ერთვის. გუმბათოვანი კამარის საფუძველი კვადრატულია. იგი შექმნილია ოთხი საბჯენი თაღით. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წრიულ საფეძველზე გადასვლა გუმბათქვეშა კვადრატის კუთხეებში გამოყვანილი აფრების მეშვეობით ხდება. ორივე სათავსის გუმბათქვეშა თაღები და გუმბათი აგურისაა.

ტაძარში საკურთხევლის ნაწილი გუმბათქვეშა ნაწილთან შერწყმული არ არის. მათ შორის ე. წ. დამაკავშირებელი რგოლია, რ-იც სამკვეთლოსა და სადიაკვნის წინ მდებარე აღმართული კედლების ქვედა ნაწილი ქვიშაქვის ნათალი ქვითაა ნაწყობი, კედლების ზედა ნაწილი და კამარა – აგურით. კამარა,ისევე როგორც მისი მიმდებარე გუმბათქვეშა აღმ. თაღი, არაწესიერი ფორმისაა და გვიანდ. რესტავრაციის კვალს ატარებს. შეკეთებულია ასევე სამკვეთლოსა და სადიაკვნის წინ მდებარე მონაკვეთების კამარები და, ნაწილობრივ, კედლებიც.

ტაძრის გუმბათქვეშა ნაწილი თავისი კომპოზიციით VIII-IX საუკუნეებს მიეკუთვნება. თუმცა, როგორც ბურჯების დიდი ნაწილი, ისე გუმბათქვეშა თაღებიც გუმბათის განახლების დროს – XVI საუკუნეშია აღდგენილი. გუმბათქვეშა ბურჯებიდან კაპიტელი მხოლოდ სამხრ.-დას. ბურჯს გააჩნია. იგი ქვიშაქვის მთლიან ქვაშია გამოკვეთილი და ოთხნაწილიანი პროფილი აქვს. მათგან ზედა სამი (თარო და ორი ლილვი) – სადაა, ქვედა კი – „დაკიდული“ ფოთლების მწკრივისგან შედგება.

გუმბათის საყრდენი ბურჯების წყობაში ჩართულია ქვიშაქვის რამდენიმე ქვა დეკორატ. სამკაულის ფრაგმენტირებული გამოსახულებით. მაგ.: ჩრდ.-დას. ბურჯში: ლილვებს შორის მოქცეული S-ისებრი ორნამენტის მოტივი, ჯვრის მორთულობის ნაწილი და სტილიზებული მცენარეული ფოთოლი(?); ჩრდ.-აღმ. ბურჯში: ვარდულის ნახევარი, შეწყვილებული ლილვი და დაუსრულებელი ფესტონები. გარდა ამისა, ამავე ბურჯის აღმ. წახნაგის წყობაში, იატაკიდან დაახლ. 2 *მ* სიმაღლეზე, თავდაყირა ჩასმულია ქვა ძლი-

148. ტაძარი. ინტერიერი. კარიბჭე. ხედი აღმ.-კენ



ერ დაზიანებული ორსტრიქონიანი, ასომთ. წარწერით. ეს წარწერა ეკლესიაში შემორჩენილი წარწერებიდან უძველესია. თ. ბარნაველის წაკითხვით იგი შემდეგი შინაარსისაა: „ ... ერისთვობ[ასა] ... [ქორონიკ]ონი იყოჳ სივ ამინ“ (ე. ი. 996 წელი). გუმბათის სამხრ.-აღმ. ბურჯზე



148. ტაძარი. ინტერიერი. კარიბჭე. ეკლესიაში შესასვლელი კარი საპირის ნაწილი

შემორჩენილია უცხო ენაზე შესრულებული წარწერაც, რ-იც ჯერჯერობით შესწავლილი არ არის.

აფსიდის კუთხეებში, იატაკის დონეზე, ჩასმულია ქვასვეტის(?) ფრაგმენტები, რ-ებიც



148. ტაძარი. ინტერიერი. კარიბჭე. ჩრდ. კედელში ჩასმული ქვის ფრაგმენტი

გაფორმებულია ლილვებზე დაყრდნობილი თაღებით.

გუმბათქვეშა კვადრატის კუთხეებში (განსაკუთრებით სამხრ.-აღმ. კუთხეში), გუმბათქვეშა თაღების დონეზე, შეიმჩნევა გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის წრიულ საფუძველზე გადამყვანი არქიტ. ელემენტების კვალი, რ-თა მიხედვით



148. ტაძარი. ხედი სამხრ.-აღმ-იდან

სავარაუდოა, რომ გუმბათის წრიულ საფუძველს ქმნიდნენ გუმბათქვეშა კვადრატის კუთხეებში გამოყვანილი აფრისმაგვარი ელემენტები. გუმბათის საბჯენ თაღებთან ერთად,განახლების კვალი აშკარად ატყვია გუმბათქვეშა ჩრდ.-დას. ბურჯსაც, შესაბამისად ამისა, გუმბათქვეშა ჩრდ. თაღის ფორმაც დანარჩენი სამისგან განსხვავებულია. ამ დროს ბურჯის უკან მოუწყვიათ მრუდე, კამაროვანი გასასვლელი, რ-იც ჯვრის დას. მკლავის ჩრდ. ნაწილს ჯვრის ჩრდ. მკლავთან აკავშირებდა. გასასვლელი გარედანაც მრუდეა, დაბალი. იგი ჯვრის ჩრდ. და დას. მკლავებს შორის არსებულ კუთხეში მდებარეობს და კონტრფორსის შთაბეჭდილებას ახდენს.

ტაძრის ჯვრის დას. მკლავი არსებითად ძვ. ბაზილიკის დას. ნაწილს წარმოადგენს. იგი შედგება სამი ნავისგან, რ-ებიც ერთმანეთს ორ-ორი შეისრული თაღით უკავშირდება. ეს თაღები ტაძრის აფსიდის წინ მდებარე თაღებთან ერთ დონეზეა განლაგებული, გამოყვანილია აგურით და ფორმითაც მათი მსგავსია. თაღების საყრდენი ბოძებიდან, თაღებს შორის მოქცეული ორი მათგანი თავდაპირველი სახითაა შემორჩენილი, დანარჩენი ორი კი გუმბათის საყრდენ ბოძებთანაა შერწყმული. თაღების დას. წყვილი დას-ით დას. კედელზე მიყრდნობილ პილასტრზეა დაყრდნობილი. ბოძები ქვიშაქვის ნათალი კვადრებითაა გამოყვანილი, პილასტრები კი – აგურით. ამასთან ერთად, ნიშანდობლივია, რომ გვერდითი ნავების დას. კედლები შუა ნავის დას. კედლის მიმართ შესამჩნევადაა წინწამოწეული. ასევე წინწამოწეულია ჩრდ.-დას. პილასტრიც. ამ პილასტრის ზემოთ, წყობაში, შემორჩენილია აგურით ნაწყობი, ორმაგი თაღ-



148. ტაძარი. ექსტერიერი. სამხრ. მკლავი. დეტალი

ის ნაშთი, რ-იც, როგორც ჩანს, VIII-IX საუკუნეებში ჩატარებულ გადაკეთებას უკავშირდება. ამავე პერიოდისა უნდა იყოს სამხრ.-აღმ. თაღის აღმ. გვერდის წყობაში შემორჩენილი ძვ., თაღის ქუსლის წყობის ნაწილიც.

დას. მკლავის ცენტრ. ნაწილის დას. კედელში და სამხრ. ნაწილის (ნავის) სამხრ. კედელში ეკლესიის შესასვლელებია მოწყობილი. მათგან სამხრ-ისა გარედან ქვიშაქვის ქვებითაა მოპირკეთებული (დაზიანებულია) და მხატვრული დამუშავებით ძლიერ შთამბეჭდავია. შესასვლელის საპირე ორი ნაწილისგან შედგება, რ-ებიც სხვადასხვა სახის ჩუქურთმითაა შემკული. საპირის გარეთა ნაწილი დამუშავებულია სამმაგი ლილვის ლენტოვანი წნულით, შიდა კი გადაჯვარედინებული ტეხილი ლენტებით. ნაწილები ერთმანეთისგან სამმაგი ლილვითაა გამიჯნული, რ-იც ასევე დამუშავებულია. შესრულების ხარისხი საკმაოდ კარგია. ჩუქურთმის მოტივებითაც და კვეთის მანერითაც იგი XI საუკუნის I ნახევრის ძეგლთა წრეში ექცევა.

გუმბათის ყელი, გუმბათქვეშა რგოლის მიმართ, რამდენადმე შიგნითაა შეწეული. გუმბათის ყელში გაჭრილია თორმეტი სარკმელი, რ-თა თაღები შიგნიდან შეისრულია. ტაძრის ინტერიერს გუმბათისა და საკურთხევლის სარკმლების გარდა, კიდევ ხუთი სარკმელი აშუქებს. მათგან თითო-თითო ჯვრის სამხრ., დას. და ჩრდ. მკლავების ღერძებზეა, თითო კი სამკვეთლოსა და სადიაკვნის წინ არსებული ნაწილების გარეთა კედელში.

ტაძრის ოთხივე ფასადზე კარგად ჩანს, როგორც თავდაპირველი ეკლესიის დროინდელი, ისე გვიანდ. შეკეთებების დროს გამოყენებული სამშენ. მასალა. ოთხივე ფასადის უმეტესი ნაწილი რიყის ქვითაა გამოყვანილი. დაუდევრად განხორციელებული შეკეთებების გამო, კედლების ზედაპირი არც თუ ისე წესიერია. ფასადები კირით იყო შეთეთრებული, რ-იც კედლებს ამჟამადაც შემორჩა.

აღმ. ფასადის შუაში აგურით ნაწყობი, განიერი, სწორკუთხა სარკმელია, რ-ის ორივე მხარეს, ოდნავ ქვემოთ, სამკვეთლოსა და სადიაკვნის სარკმლებია განლაგებული. სამკვეთლოს სარკმელი კედლის მოგვიანებით აღდგენილ ნაწილშია მოქცეული, ზემოთკენ სარკმლის ჭრილი თანდათან ვიწროვდება და თარაზული თავი აქვს. სადიაკვნის სარკმელი კი თაღოვანია. თაღოვანია საკურთხევლის ზედა სარკმელიც. ამ უკანასკნელის თავზე და ფრონტონის წვერთან არის შირიმის სწორკუთხა ფილებით ნაწყობი მცირე მონაკვეთი. ფასადზე მრავლადაა აგურით შეკეთებული, სხვადასხვა ზომის ადგილები. აღდგენილი ადგილები ცხადყოფს, რომ XVI საუკუნისთვის განსაკუთრებით ძლიერ იყო დაზიანებული



148. ტაძარი. ექსტერიერი. სამხრ. მკლავი. წყობაში ჩასმული ფილა „აყვავებული ჯვრის“ გამოსახულებით. დეტალი

საკურთხევლის გვერდებზე განლაგებული ოთახების მოპირკეთება.

სამხრ. ფასადის შუა ნაწილი ჯვრის სამხრ. მკლავის სიბრტყეს უჭირავს,რ-იც სამკუთხა ფრონტონითაა დასრულებული. ფასადის ღერძზე ქვიშაქვის ნაველის წაკითხვით წარწერა შემდეგი შინაარსისაა: „ქრისტე, ადიდე მეფობა ლეონისი ამინ“. წარწერა კახეთის მეფე ლევანის მეფობის წლებში (1520-1574 წწ.) უნდა იყოს შესრულებული. სწორედ ამ დროს არის ხელმეორედ აგებული ტაძრის გუმბათი.



148. ტაძარი. ექსტერიერი. დას. ფასადი. კარის თავზე ჩასმული წარწერიანი ქვა

მკლავის სიბრტყის ზედა ნაწილი მოპირკეთებულია შირიმის სუფთად ნათალი ფილებით. ამ წყობის ქვედა ნაწილში ჩასმულია სამმაგი, მოჩუქურთმებული არკატურა, რ-იც XI საუკუნეს მიეკუთვნება. ამავე პერიოდისაა არკატურის ზემოთ ჩასმული ქვის ფილაც – „აყვავებული ჯვრის“ რელიეფური გამოსახულებით, რ-ისგანაც, დანაკარგების გარეშე, მხოლოდ განივი მკლავებიღაა შემორჩენილი. ამ მკლავებსა და ქვედა მკლავს შორის არეებს კოვზისებრი ღრმულებით გამოყვანილი, ფოთლოვანი ელემენტი ავსებს, რ-ზეც ყურძნის თითო მტევანია გამობმული. როგორც შემორჩენილი ნაშთებიდან ჩანს, მსგავსი ელემენტები ჯვრის ზედა და განივ მკლავებს შორის მოქვეულ არეებზეც იყო




148. ტაძარი. კარიბჭის სამხრ. ფასადი. დეტალი

148. ტაძარი. ექსტერიერი. გუმბათის ყელის ზედა ნაწილი



სუფთად თლილი კვადრებით გამოყვანილი, პროფილირებულ საპირეში ჩასმული, თაღოვანი სარკმელია. სარკმლის ორივე მხარეს, ჩადგმულია ქვის ორი ფილა, რ-ებზეც გამოკვეთილია თითო მარტივი, რელიეფური ჯვარი. მარჯვ. ფილაზე, ჯვრის მკლავებს შორის არსებულ არეებზე, მოთავსებულია ასომთავრულით შესრულებული სამსტრიქონიანი წარწერა. თ. ბარ-

გამოყვანილი. ორივე მკლავზე მოთავსებულია ძლიერ დაზიანებული, ოთხსტრიქონიანი, თითო ასომთ. წარწერა. ჯვრის მარცხ. მკლავზე არსებული წარწერა სავარაუდოდ ასე იკითხება: „ქრისტე, ადიდე გაგიკი ანდ. შეკეთებებით. ფასადის ქვედა ნაწილი გამაგრებულია აგურის კედლით, რ-იც ფასადის საერთო სიბრტყის მიმართ საფეხურითაა წინწამოწეული. კედლის ამ ნაწილში კარია გაჭრილი. ფასადის ზედა ნაწილში, სახურავის კეხს ქვემოთ, შირიმით მოპირკეთებული კედლის მცირე მონაკვეთია.



148. სამრეკლო. I სართულის გეგმა

მეფე“. წარწერაში მოხსენიებული გაგიკი ჰერეთ-კახეთის მეფე გაგიკია (1037-1058 წწ.), რანთა და კახთა მეფის კვირიკე III დიდის დისწული და შვილობილი.

ჯვრის მარჯვ. მკლავზე არსებული წარწერა ძლიერ დაზიანებულია. ნაკლული ასოების აღდგენით, წარწერა შემდეგი შინაარსისაა: „ქრისტე, ადიდე გლახაკი გიორგი მთავარეპისკოპოზი“.

სარკმლის ხაზიდან ქვემოთ კედლის ზედაპირს ქმნის რიყის ქვის წყობა, რ-იც აგურით არის შეკეთებული. წყობაში ქვაა წარწერის ფრაგმენტით „გაბრიელ“.

შენობის ნაწილთა ქრონოლოგია აშკარაა დას. ფასადზეც. საერთო სურათი ამ ფასადზეც დანარჩენების მსგავსია – რიყის ქვის წყობა გვიშირიმითაა მოპირკეთებული სარკმელიც, რ-საც ოთხი ლილვისგან შედგენილი, თაღოვანი ჩარჩო ევლება. სარკმლის მარცხნივ, ლავგარდნის ძირთან ახლოს, შირიმის მომცრო ქვაზე, ჯვრის რელიეფური გამოსახულებაა, რ-იც ლილვისებრ, სამკუთხა თაღით დასრულებულ ჩარჩოშია ჩასმული. ფასადის ჩრდ. კუთხეს მიშენებული აქვს რიყის ქვის კონტრფორსი.

კარის ზემოთ, კედელში ჩასმულ სპეციალურ ფილაზე, ამოკვეთილია 1822 წლით დათარიღებული წარწერა. წარწერა: „1822. ადიდე, ღმერთო, იმპერატორი ალექსანდრე პირველი და მხედრობანი მისნი, ამინ, და არხიმანდრიტი ნიკიფორე“.

ტაძრის ჩრდ. ფასადი მთლიანად რიყის ქვისაა, მცირე შეკეთებებით კედლის ზედა ნაწილში.

ოთხივე ფასადზე სარკმლები ძლიერაა სახეშეცვლილი და, სავარაუდოდ, არაერთხელ არის შეკეთებული. ბევრ შემთხვევაში ისინი შევიწროებულია.

ტაძრის გამშვენიერებისას, რ-იც XI საუკუნეში ჩატარდა, ჯვრის სამხრ. მკლავის გამოშვერილ ნაწილსა და მის დას. მკლავს შორის, მთელ სიგრძეზე, ჩააშენეს კარიბჭე – ნახევარწრიული აფსიდით აღმით და ფართო შესასვლელით სამხრ-იდან. XVI საუკუნისათვის კარიბჭე თითქმის მთლიანად დანგრეულა და იგი კედელ-კამარიანად აგურით ამოუყვანიათ. მხოლოდ აფსიდში, საკურთხევლის საზღვართან ახლოს, მარცხნივ, შემორჩა კუთხის ლილვის ფრაგმენტი კვეთილი ბაზით. მსგავსი ბაზა ჩანს მარჯვნივაც – კუთხეში, მაგრამ იგი უფრო ძლიერ დაზიანებულია. აფსიდის კედლის ქვედა ნაწილის წყობაში გამოყენებულია შირიმი. შირიმისაა გარეთა კედლის თავის ზოგიერთი ნაწილიც და ლავგარდანიც. კედლის დას. ნახევრის ქვედა ნაწილში შემორჩენილია წყობის ერთი, ქვიშაქვის შვიდიოდე გათლილი ბლოკით შედგენილი რიგი, რ-იც კედლის სიბრტყის მიმართ ოციოდე *სმ*-ით წინაა წამოწეული. ქვების წინა მხარე ორ სადა ლილვს შორის მოქცეული, ერთმანეთში ჩაწნული, ლენტოვანი წრეების მწკრივითაა გაფორმებული. ქვები დამუშავების მანერითა და მოტივით XI საუკუნის I ნახევრის ძეგლთა წრეში ექცევა. სავარაუდოდ, ისინი ადრე კარიბჭის შესასვლელის საპირეს შეადგენდნენ. მათი ამჟამინდელი მდებარეობა კი კარიბჭის აღდგენით სამუშაოებს უნდა უკავშირდებოდეს, სახელდობრ, XVI საუკუნეს, როდესაც კარიბჭე თითქმის თავიდან ააგეს. ამავე დროს, შირიმის ნათალი ფილებით მოაპირკეთეს ტაძრის სამხრ. მკლავის შვერილის ზედა ნაწილი.



148. სამრეკლო. ხედი აღმ-იდან

ტაძრის ფასადები დასრულებულია შირიმის, საკმაოდ მაღალი ლავგარდნით, რ-ის პროფილს თარო, წრეთარგი და ლილვი შეადგენს.

გუმბათი მთლიანად აგურისაა და XVI საუკუნეშია გამოყვანილი. გუმბათის ყელი სიმაღლეში ორ ნაწილად იყოფა: ყელის ქვედა ნაწილი მრგვალია, ზედა – თორმეტწახნაგოვანი. მათ საზღვარზე ლილვის ჰორიზ. სარტყელია. სარტყელს წახნაგების ამყოლი ლილვები ეყრდნობა, რ-ებიც ზედა ნაწილში ერთმანეთს ჰორიზ. ლილვით, ე. წ. შემკვრელი სარტყლით უკავშირდება. თითოეულ არეში საფეხურით მაღალი, საფეხურითვე შეღრმავებული, ნახევარწრიულთაღოვანი არეა, რ-ის ღერძზე ვიწრო, ლილვშემოვლებული სარკმელია. წახნაგების ზედა ნაწილი შემკულია ნახევარწრიული პროფილის მქონე თაღედით. თაღებს ირგვლივ დარჩენილი არე კი აგურის ფიგურული წყობითაა გაფორმებული.

გუმბათის ყელი დასრულებულია მაღალი, ოთხსაფეხურიანი ლავგარდნით, რ-იც თავისი პროპორციითა და მოკაზმულობით მკაფიოდ გამოიყოფა ყელის დანარჩენი ნაწილისგან და ტაძრის საზეიმო იერის შექმნაში მნიშვნელოვანი როლი აქვს მინიჭებული. ლავგარდნის ქვედა ხაფეხური, დანარჩენებისგან განსხვავებით, აგურის ხერხულა წყობით კი არ არის გამოყვანილი, არამედ წყობიდან შვერილი, ბოლოებმომრგვალებული აგურებით, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მის დეკორატიულ მხარეს. გუმბათი გადახურულია აგურითვე გამოყვანილი, პირამიდისებრი ფორმის, თორმეტწახნაგოვანი სახურავით.

ეკლესიის დას-ით, გალავნით შემოფარგლულ ვრცელ ტერასაზე, სამონასტრო დანიშნულების ორი ნაგებობაა (აღდგენილია 2008-2018 წწ-ში). გალავანს შესასვლელი სამხრ-იდან აქვს. XIX საუკუნის 90-იანი წლების ფოტოსურათის მიხედვით, გალავნის ჭიშკარზე დადგმული ყოფილა სამრეკლოს ოთხწახნაგა ფანჩატური (ამჟამინდელი სამრეკლო იმ ხანებში აგებული ჯერ არ ყოფილა). ტერასა აღმ. მხრიდან რიყის ქვით ნაშენი, ხუთიოდე *მ* სიმაღლის საყრდენი კედლითაა გამაგრებული. კედლის თავზე დგას რიყის ქვით ნაგები, ერთსართულიანი, საცხოვრ. დანიშნულების მქონე, კრამიტის ორკალთა სახურავით გადახურული შენობა, რ-ის აივანი ეკლესიის ეზოს გადაჰყურებს. მოგვიანებით შენობისათვის ჩრდ. მხრიდან მიუდგამთ შემაღლებული პროპორციების, აგურით ნაშენი, სამსართულიანი სამრეკლო, რ-ის ქვედა სართული შენობასთან დაუკავშირებიათ. სამრეკლოს მეორე სართული ოთხწახნაგაა. იგი ოთხივე მხარეს ნახევარწრიული თაღითაა გახსნილი. მესამე სართული კი რვაწახნაგაა – თითო თაღით ცენტრ. წახნაგებში.

შენობა გადახურულია აგურისავე, პირამიდისებრი ფორმის, რვაწახნაგა სახურავით.

2008 წელს, საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით, ეკლესიას ჩაუტარდა სარესტავრაციო სამუშაოები (პროექტის ავტორი რ. ცხადაძე. სამუშაოებს აწარმოებდა წმ. სტეფანე ხირსელის მამათა მონასტრის აღორძინების კავშირი): აღდგა კედლებისა და ლავგარდნის დაზიანებული ნაწილები, შიგნითა კედლები გაიწმინდა ნალესობისგან, დაიგო იატაკი, კარიბჭეში მოეხსნა გვიანდ. ტიხარი და შიგნიდან შეილესა, ეკლ. დაიბურა ღარისებრი კრამიტით, აღდგა სამრეკლოს დანგრეული ნაწილები; 2020 წელს ტაძრის ირგვლივ მოეწყო სადრენაჟო სისტემა (პროექტის ავტორი გ. კოტეტიშვილი).

ტაძარი განსაკუთრებით საინტერესოა როგორც არქიტ. ფორმებით, ასე თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიით. დღეს ამ არქიტ. ნაწარმოების მხატვრული სახის სრულად წარმოსადგენად არაერთი საკითხია დასაზუსტებელი, რისთვისაც ტაძრის ცალკეული ადგილების გახსნა და მათი დეტალური შესწავლა აუცილებელია.

თ. დვალი.

ბიბლ.: 12, 17, 68, 203, 297, 335, 337, 343.

ტყისბოლოგორის ნამოსახლარი, იხ. სოფ. ყარაღაჯი.

ტყისბოლოგორის სამაროვანი, იხ. სოფ. ყარაღაჯი.

ქვემო ბოდბე
(ბოდბის თემი)

149. ბებთაგორის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ.-დას-ით, 1,5-2 *კმ*-ზე, ბუნებრივ, კონუსისებრ ბორცვზე. განეკუთვნება გვიანდ. ბრინჯაო-ადრინდ. რკინის ხანას. თუმცა დასტურდება უფრო მოგვიანო პერიოდის (ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანების) მასალაც.

ძეგლს მიაკვლია საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ექსპედიციამ (ხელმძღვ. დ. თუშაბრამიშვილი). ბორცვი გადახნულია. მისი თხემი მოსწორებულია და ირგვლივ ერთი განიერი ტერასა შემოუყვება. ნამოსახლარზე მრავლად აიკრიფა გვიანდ. ბრინჯაო-ადრინდ. რკინის ხანის და თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

რ. რუსიშვილი.

ბიბლ.: 184.

150. ბორანამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ-ით, 0,5 *კმ*-ზე, გომბორის ქედის სამხრ. ფერდზე. ძეგლს მიაკვლია კაპ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). მაღალი მთის თხემი მოსწორებულია და გარშემო ერთი ტერასა შემოსდევს. თხემზე აკრეფილი თიხის ჭურჭლის მიხედვით ნამოსახლარი გვიანდ. ბრინჯაო-ადრინდ. რკინის ხანას განეკუთვნება.

რ. რუსიშვილი.

ბიბლ.: 187, 188, 189.

ქვემო მაღაროჲ
(მაღაროს თემი)

151. ბორასამარხი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 4 *კმ*-ზე, ნაომარ ველზე. განეკუთვნება ძვ. წ. III ათასწლ. მეორე ნახევარს.

ძ. 1987 წელს შეისწავლა კაპ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). მიწაყრილიან გორასამარხს (დიამ. – 80 *მ*, სიმ. – 9 *მ*) გარშემოუყვებოდა რიყის ქვის კედელი (სისქე – 1 *მ*). სამარხის ცენტრში, რიყის ქვის ყრილის ქვეშ, გამოვლინდა მორებით ნაგები, ერთმანეთში ჩადგმული, აღმ-იდან დას-ისკენ დამხრობილი ორი მიწისზედა სამარხი ნაგებობა (სიგრ. – 9 *მ*, სიგ. – 6 *მ*). ნაგებობებს შორის არე (სიგ. – 1 *მ*) შევსებული იყო რიყის ქვით. მიცვალებულის ძვლები ფრაგმენტირებული და ძლიერ დაშლილი იყო. პოზა ვერ დადგინდა.

სამარხის აღმ. კედელს გარედან მიდგმული ჰქონდა ხის მცირე, ჯარგვალური კონსტრუქცია – სამსხვერპლო (1x1 *მ*). მისი ქვით მოგებული იატაკი მოფენილი იყო ბრინჯაოს ოთხწახნაგა, პირამიდულთავიანი ისრისპირებით, ძვლის ცილინდრული ფორმის, გამჭოლნახვრეტიანი და ნიჟარის სხვადასხვა ზომისა თუ ფორმის მძივებით, ღორის გახვრეტილი ეშვებით, ავგაროზებით. სამარხის შიდა ჯარგვალური ნაგებობის იატაკზე აღმოჩნდა უწესრიგოდ მიმოფანტული მოშავო-მორუხოდ გამომწვარი, კარგად მოგლუვებული და ნაპრიალებზედაპირიანი, ამოკაწრული ორნამენტით (სამკუთხა, წრიული, წიწვოვანი და სხვ.) შემკული თიხის ჭურჭელი (დერგები, კათხა), ბრინჯაოს ფოთლისებრი, სატევრის პირი.


სამსხვერპლოს თავზე, ერთი მეტრის სიმაღლეზე, ორივე ჯარგვალურ ნაგებობაში სარკმლისებრი ღიობი იყო, რ-იც სამსხვერპლოს სამარხის ცენტრალურ ნაწილთან აკავშირებდა.

კ. ფიცხელაური.

152. დავითგარეჯა, ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის განაპირას. განეკუთვნება გვიანდ. შუა საუკუნეებს.

ეკლ. დარბაზულია (7,3x5,3 *მ*). ნაგებია სხვადასხვა ზომის რიყის ქვითა და კირის დუღაბით.

152. გეგმა





152. ხედი ჩრდ.-დას-იდან

შესასვლელი დას-იდანაა. კარი უჩვეულოდ ვიწროა (სიგ. 60 *სმ*), დაზიანებების გამო მისი გადახურვის თავდაპირველი ფორმის დადგენა ვერ ხერხდება.

აღმ-ით გეგმით არაწესიერი ნახევარწრის ფორმის აფსიდია, რ-იც დარბაზის გრძივ კედლებს მხრების გარეშე ერთვის. აფსიდის ღერძზე გაჭრილია სწორკუთხა სარკმელი, რ-ის ორივე მხარეს თითო მცირე ზომის, ოთხკუთხა ნიშაა. აფსიდში ორი ტრაპეზია. ორივე კედელზეა მიყრდნობილი. მათგან ერთი – სარკმლის ქვემოთაა, მეორე – ჩრდ. ნიშასთან. აფსიდი კონქითაა გადახურული, რ-ის თაღი წვერთან ოდნავ შეკვეცხილია. მსგავსი ფორმისაა კამარაც. კამარა ორ საბჯენ თაღს ეყრდნობა, თაღები – მარტივ პილასტრებს. პილასტრების ერთი წყვილი დას. კუთხეებშია, მეორე – დარბაზის შუაში.

გრძივ კედლებში, აფსიდის ბოლოებთან ახლოს, თითო ოთხკუთხა სარკმელია. იატაკი მოგებულია ქვის ფილებით.

გარედან, შესასვლელის მარცხ. გვერდის წყობაში ჩართულია ქვიშაქვის ლოდი, რ-ზეც დაბალი რელიეფით მარტივი ჯვრის გამოსახულებაა გამოყვანილი.

ეკლესიის დას. კედლზე დადგმულია აგურით ნაშენი, კუბური ფორმის, უსახური სამრეკლო.

2015 წელს ეკლესიას ჩაუტარეს სარეაბილიტაციო სამუშაოები: აღადგინეს შესასვლელის და კედლების დაზიანებული ნაწილები, ამოაშენეს დას. სარკმელი, კედლებს გაუკეთეს აგურის ორსაფეხურიანი ლავგარდანი და შენობა ღარისებრი კრამიტით გადახურეს. შიგნით ეკლ. შელესეს, ფასადების გასწვრივ კი ქვაფენილი მოაწყვეს.

თ. დვალი.

153. ვაისწყლის ნამოსახლარები, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 15 *კმ*-ზე, ვაისწყლად წოდებულ ადგილზე. ამ ადგილებს მოსახლეობა ნაქალაქარის სახელით იცნობს. ძ. ორი ნამოსახლარი ბორცვისგან შედგება. ორივე განეკუთვნება გვიანდ. ბრინჯაო-ადრინდ. რკინის ხანას.

ძეგლს მიაკვლია კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ერთი ნამოსახლარი განლაგებულია ნაქალაქარის მთის ცენტრალურ, მაღალ, სამხრ-იდან ჩრდ-ისაკენ წაგრძელებულ ნაწილში. მისი ზედაპირი მოსწორებულია. თხემის კიდეს აქ მიწაყრილის ზღუდე შემოსდევს. ჩრდ. ნაწილი კი კოშკისებრადაა შემაღლებული. თხემის ყრილის ირგვლივ აღმოჩნდა თიხის ჭურჭლის ნატეხები და ხელოვნურად წელში გამოყვანილი, რიყის ბრტყელი ქვები, ე. წ. თოხები.

ნაქალაქარის მთის ყველაზე მაღალი ნაწილის დას-ით, მშრალი ხევის გაღმა, თხემმოსწორებული, ერთტერასიანი მეორე ნამოსახლარი ბორცვია, სადაც თიხის ჭურჭლის რამდენიმე ფრაგმენტი გამოვლინდა.

ნაქალაქარის მთის ჩრდ. ფერდის ძირას, ველზე განლაგებულია შუა ბრინჯაოს ხანიდან გვიანდ. ბრინჯაოს ხანაზე გარდამავალი პერიოდის და გვიანდ. ბრინჯაოს ხანის ადრინდ. საფეხურის ნამოსახლარები, გვიანდ. ბრინჯაოს ხანის დიდი სამაროვნები. მთის აღმ. ფერდზე და მეზობელი მთაგორების ტერასებზე კი განლაგებულია შუა საუკუნეების დიდი ნამოსახლარი. აქ, ზოგიერთ ადგილას, ნაცროვანი კულტ. ფენა რამდენიმე მ-ის სიმძლავრისაა.

რ. კვიტაშვილი.

ბიბლ.: 184.

154. კრანჩხების სადგომი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის სამხრ-ით, 20-25 *კმ*-ზე, მდ. ივრის მარცხ. ნაპირზე, კრანჩხებად წოდებული ადგილის სამხრ-ით, 2-3 *კმ*-ზე, უსახელო, მოკლე და არაღრმა ხრამის მარცხ., შემაღლებულ ნაპირზე, ხრამის ფსკერიდან 2-3 *მ* სიმაღლეზე. განეკუთვნება აშელის ხანას.

ძ. 1976 წელს გამოავლინა კაე-ის ქვის ხანის რაზმმა (ხელმძღვ. თ. ბუგიანიშვილი).

სადგომში აღმოჩნდა მონაცრისფრო კაჟის ნუკლეუსის ნამზადი – გვერდგათლილი კაჭარი, ქვიშაქვის კაჭარზე დამზადებული ორფუძიანი, ცალმხრივი,

განივი ნუკლეუსი და თეთრად ღრმად პატინირებული კაჟის ანატკეცზე დამზადებული, ამოზნექილი სამუშაოპირიანი, გრძივი სახოკი.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

თ. ბუგიანიშვილი.

ბიბლ.: 29, 30, 32.

155. მაღაროს ბრძოლა, ისტ. ძ. შეტაკება მოხდა 1735 წელს, სოფლის მიდამოებში.

ოსმალთა სარდალმა უსუფ ფაშამ კახეთის დაპყრობა გაანიზრახა, შემოვიდა ქიზიყში და მაღაროს დადგა. თეიმურაზ II-მ კახელები შემოიკრიბა, ღამით თავს დაესხა ოსმალებს და კახეთიდან განდევნა ისინი.

კ. კახაძე.

ბიბლ.: 166(დ), 179, 244.

156. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის განაპირას, ჩრდ-ით, მაღალ თავმრგვალ გორაზე. განეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულს.

ძ. გასული საუკუნის 70-იან წლებში აღმოაჩინა კაპ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).

ნამოსახლარი (სიგრ. – 90 *მ*, სიგ. – 60 *მ*) ფორმით ოვალურია, ჩრდ.-სამხრ. ხაზზე წაგრძელებული. აღმ-იდან და დას-იდან ღრმა, მშრალი ხევები ჩამოუდის, დანარჩენ მხარეებს კი თავდაცვითი ზღუდე შემოსდევს.

ვ. ვარაზაშვილი.

157. ნაძალაძარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის მახლობლად, მდ. ივრის მარცხ. მხარეს, ვაისწყლიდან იორზე გასასვლელი გზის პირას. აღმ.-დასის ხაზზე გადაჭიმულ სერზე. სერის სამხრ. მხარე კლდოვანია, რ-შიც გამოკვეთილია გვიანდ. შუა საუკუნეების გამოქვაბულები. კლდის ძირობზე კი ნამოსახლარებია განფენილი, რ-ებიც ახ. წ. III-XIV საუკუნეებს განეკუთვნება.

ნაქალაქარი გასული საუკუნის 70-იან წლებში აღმოაჩინა კაპ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). 2010 წელს ძ. შეისწავლა ილიას უნ-ტის არქეოლ. გაყ-ბის სადაზვერვო რაზმმა (ხელმძღვ. ვ. ვარაზაშვილი).

ნაქალაქარის რელიეფი უსწორმასწოროა, დასერილია ხრამებით და მისი ზედაპირი ირეცხება.

ნამოსახლარზე (სიგრ. ფლატის გასწვრივ – 1000 *მ*, სიგ. – 400-500 *მ*) აღმოჩნდა მრავალფეროვანი მასალა. აღსანიშნავია წითლად ნაპრიალები კერამიკა, მიწაში ჩაფლული ქვევრების ნაწილები; უხვადაა მოჭიქული ჭურჭლის ნატეხები და მინის სამაჯურები.

მასალა ინახება ილიას უნტ-ის არქეოლ. კაბინეტში.

ვ. ვარაზაშვილი.

158. შვინდიანისყელის გორანამოსახლარი, არქეოლ. ძ. აღმოჩნდა ნაომარი ველის სამხრ. განაპირა ნაწილში, შვინდიანისყელის მთის აღმ-ით მდებარე ბორცვზე. განეკუთვნება გვიანდ. ბრინჯაო-ადრინდ. რკინის ხანას.

ძ. შეისწავლა კაპ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). თხემოსწორებულ გორას გარშემო თავდაცვითი თხრილი შემოუყვებოდა. ზღუდე – მცირე მიწაყრილი, რ-იც სავარაუდოდ თხემის მოსწორების დროს აღებული მიწითაა შექმნილი, გორის თხემსაც შემოსდევდა. მიწის ზღუდეზე და მის გარეთ აღმოჩნდა არქაული, ხელით ნაძერწი, ობსიდიანის წვრილი ჩანართებიანი თიხისგან დამზადებული ჭურჭლის ნატეხები. გორის თხემის ცენტრ. ნაწილში, 0,50-0,60 *მ*-ის სიღრმეზე, კულტურულ ფენაში მრავლად იყო გვიანდ. ბრინჯაო-ადრინდ. რკინის ხანისათვის დამახასიათებელი ჭურჭელი.

რ. კვიტაშვილი.

ბიბლ.: 184.

ძველმო მაჩხაანი
(თემის ცენტრი)

159. ძველმო მაჩხაანი, სოფელი, ისტ., არქიტ. ძ. მდებარეობს გომბორის ქედის სამხრ.-აღმ. დაბოლოებაზე, ზ. დ. 640 *მ*-ზე, სიღნაღიდან 17 *კმ*-ზე, წნორიდან (უახლოესი რკ.-გზ. სადგ.) 10 *კმ*-ზე.

გადმოცემით, სოფლის სახელწოდება მაჩხაშვილების გვარისაგან მომდინარეობს. ისტ. წყაროებში ქვემო მაჩხაანი XVIII საუკუნიდან მოიხსენიება. იოანე ბატონიშვილი (1766-1830 წწ.) ქიზიყის სოფლების ჩამონათვალში სოფ. მაჩხაანსაც ასახელებს. XIX საუკუნეში სოფელი სიღნაღის მაზრაში შედიოდა და ქიზიყის ეკონომიკურ-კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა. კულტ. ცხოვრებით, ხელოსნობის განვითარებითა და დუქნების რაოდენობით იგი სიღნაღს არ ჩამოუვარდებოდა. XIX საუკუნის ქართ. პრესის („ივერია“, „დროება“, „ლახვარი“, „ამირანი“ და სხვ.) მიხედვით, ქვემო მაჩხაანი ყველა მნიშვნელოვანი მოვლენის ეპიცენტრი იყო. სოფლის დაწინაურებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მისმა ხელისაყრელმა მდებარეობამ. გაზ. „ივერია“ 1887 და 1892 წლებში წერდა: „სოფელ ქვემო მაჩხაანს უკავია შუაგული ადგილი თითქმის ნახევარი ქიზიყისა, გარშემო არტყია თორმეტზე მეტი სოფელი, რომელთა მკვიდრნი ვაჭრენ-ვაშოვლენ და მაჩხაანს ვერ აცდებიან ... ამ თერთმეტ სოფელში (მაჩხაანითვე) ოცი ათასამდე სული მცხოვრებია“.

ქვემო მაჩხაანში ჩაეყარა საფუძველი ბევრ ისეთ წამოწყებას, რ-იც პირველად განხორციელდა არა მარტო საქართველოში, არამედ ამიერკავკასიაში. ამ წამოწყებების განმახორციელებელი და დამფინანსებელი უმეტეს შემთხვევაში სოფლის მოსახლეობა იყო. თანხები გროვდებოდა საქველმოქმედო მიზნით მოწყობილი წარმოდგენების საშუალებებითაც.



159. საცხოვრებელი სახლი სოფლის მთავარ ქუჩაზე (XIX საუკუნის დასასრული).

1895 წელს სოფელში დაარსდა ამიერკავკასიაში პირველი სავაჭრო-სახელოსნო დეპო, რ-ის დაარსების მნიშვნელობა ფართოდაა გაშუქებული იმდროინდელ ქართულ პრესაში. 1896 წელს გაზ. „ივერია“ (№5) წერდა: „ახალ დაარსებულს სახალხო დეპოს ვაჭრობა და საწევრო ფული დღითი დღე ემატება. გამგეობამ საუკეთესო ადგილი იყიდა ამ დღეებში და დიდის შენობის დადგმას აპირებს ამ ზაფხულს, რადგან ხშირად ისე იჭედება დეპო მსყიდველებით, რომ ნემსი არ ჩავარდება. იყიდება გუთნები იმავე ფასად, რა ფასადაც ტფილისში ისყიდება თითოობით. მსყიდველს ათი მანეთი უკან რჩება, გზის ხარჯი და მოცდენა რომ არ ვიანგარიშოთ... ხალხის უმრავლესობა ლოცვა-კურთხევით იხსენიებს „სამადლო დეპოს“ დამაარსებლებს“.

პირველი სკოლა ქვემო მაჩხაანში სავარაუდოდ 1884 წელს გაიხსნა. ამ პერიოდში მეზობელ სოფლებში სკოლები არ იყო და იქაური მოსახლეობა ქვემო მაჩხაანის სკოლაში იღებდა განათლებას.

სოფელში ფუნქციონირებდა აფთიაქი, ქსენონი – „პრიომნიე პაკოი“. თითოეული ოჯახის მიერ ყოველწლიურად გაღებული თანხით სოფლის მოსახლეობა თავად აფინანსებდა ყველა სახის სამედ. მომსახურებას და მედიკამენტებს.

მთელი ქიზიყისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1899 წელს თეატრის გახსნა. თავისი პირველი სპექტაკლები სანდრო ახმეტელმა ქვემო მაჩხაანში გამართა.



159. წყარო სოფლის ცენტრალურ ნაწილში

159. ბახიკო ნადირაშვილის სახლი (XIX საუკუნის დასასრული). I სართული. მარანში შესასვლელი კარი



თეატრის შენობაში განთავსებული იყო წიგნსაცავი. წიგნსაცავის შექმნის შემდეგ ყოველგვარი ქართ. წიგნის შეძენა სოფელშივე შეიძლებოდა.

1910 წელს სოფელში დაარსდა „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ქვემო ქიზიყის განყ-ბა.

ქვემო მაჩხაანში მრავლადაა შემორჩენილი როგორც XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის საცხოვრ. სახლები, ისე დაგეგმარებული უბნები. საცხოვრ. სახლები და სავაჭრო-სახელოსნო დუქნები მთავარი ქუ-

ჩის ორივე მხარეს იყო განლაგებული. საცხოვრ. სახლის პირველი სართული მეტწილად



159. ბასიკო ნადირაშვილის სახლი (XIX საუკუნის დასასრული). II სართული. აივანი

დუქანს ან სახელოსნოს ეკავა, მეორე კი – საცხოვრებელს. დუქნები ქუჩის მხარეს განიერი ღიობებით იყო გახსნილი, მეორე სართულს კი ხის აივანი გასდევდა (ამჟამად მათი დიდი ნაწილი მოშლილია). გადმოცემით, სოფელში 120-მდე სავაჭრო-სახელოსნო დუქანი მოქმედებდა. ამჟამად მხოლოდ რამდენიმეღაა შემორჩენილი, რ-ებსაც თავდაპირველი ფუნქცია აღარ გააჩნია და საცხოვრ. დანიშნულებით გამოიყენება. მხატვრ.-არქიტ. თვალსაზრისით, სოფელში გამორჩეული იყო სოფლის ბოქაულის ბასიკო ნადირაშვილის სახლი, „იმერლების“ (დვალების) სახლი (დაანგრიეს 2000-იანი წლების დასაწყისში), ასევე საცხოვრ. სახლი ფანიანში (ამჟამად სოფლის ერთ-ერთი უბანია). მთელ მხარეში კი უნიკალური იყო ნადირაშვილების მარანი.

სოფელში იმართებოდა ბაზრობები, რ-ებზეც ხალხი მეზობელი სოფლებიდანაც დადიოდა.

ქვემო მაჩხაანში ყველა მნიშვნელოვანი იდეის განხორციელებაში აქტიურად მონაწილეობდა მწერალი, პუბლიცისტი და საზ. მოღვაწე დიმიტრი მაჩხანელი (ნადირაძე). მოსკოვის უნ-ტის თავისუფალი მსმენელი სამშობლოში დაბრუნებისთანავე დასახლდა საკუთარ სოფელში, ახ. სისტემით გააშენა ვაზი და პირველმა ჩაუყარა საფუძველი რაციონალურ მეურნეობას. ხელმისაწვდომ ფასებში მას თვითონ ჩამოჰქონდა მოსკოვიდან სოფლისთვის საჭირო საქონელი. შემოსავალს კი საზ. საქმეს ახმარდა. დიმიტრი მაჩხანელმა სოფელში დაარსა და საკუთარ სახლში განათავსა ქალთა დაწყებითი სკოლა, წიგნსაცავი და ბ-კა, რ-საც საკუთარი წიგნები შესწირა. დიდია მისი წვლილი სავაჭრო დეპოს დაარსებაში, რ-იც კახეთში კოოპერატიული მოძრაობის ჩანასახს წარმოადგენდა. დიმიტრი მაჩხანელთან ერთად, ყველა იმ ჩანაფიქრის, რ-იც მხარის სოციალ-ეკონომიკურ და კულტურულ წინსვლას ემსახურებოდა, თანამონაწილეა ნიკოლოზ (კოლა) ერისთავი. განსაკუთრებით დიდია მისი ღვაწლი თეატრის მშენებლობის საქმეში და წარმოდგენების გამართვაში. გაზ. „ამირანი“ 1908 წელს წერდა: „ბევრს მოეხსენება, რომ მაჩხაანის სცენას საძირკველი კოლა ერისთავმა ჩაუყარა. მისის ინიციატორობით აშენდა მაჩხაანის თეატრი და დიდი ამაგიც დასდო“.

1907-1910 წლებში ქვემო მაჩხაანში მოღვაწეობდნენ: პოეტი და დრამატურგი სანდრო შანშიაშვილი და მწერალი სიკო ფაშალიშვილი. ს. შანშიაშვილმა ქვემო მაჩხაანის თეატრში დადგა ალექსანდრე ყაზბეგის „არსენა“ და დავით ერისთავის „სამშობლო“. მთავარი როლები კი მას თვითონ შეუსრულებია. 1914 წელს სიკო ფაშალიშვილის ინიციატივით სოფელში მოეწყო აკაკი წერეთლის საღამო.

საქართველოში საბჭ. ხელისუფლების დამყარების შემდეგ, სოფლის ცხოვრება შეიცვალა. რეპრესიების გამო მრავალმა მოსახლემ დატოვა სოფელი. მოსახლეობა თანაუგრძნობდა საბჭ. ოკუპაციის წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლას. ერთ-ერთი მოსახლის – ვახო თამაზაშვილის სახლ-

159. ერასტი დვალის საცხოვრებელი სახლი (XIX საუკუნის II ნახევარი. დაანგრიეს 1990-იან წლებში). XX საუკუნის 40-იანი წლების ფოტო



ში იმართებოდა შეფიცულთა რაზმის შეკრებები, რ-ებსაც ხშირად რაზმის ხელმძღ. ქაქუცა ჩოლოყაშვილიც ესწრებოდა. 1924 წელს, საქართვ. დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად მოწყობილი აჯანყების დამარცხების შემდეგ, შეფიცულთა ქვემო მაჩხაანელი მომხრეები დახვრიტეს, დაანგრიეს სოფლის ეკლ., გაანადგურეს ეკლესიის ეზოში დასაფლავებული საზ. მღვაწეების და სასულ. პირების საფლავები. ბაზარი კი სოფ. ბოდბისხევში გადაიტანეს. დუქნებს და სახელოსნოებს ფუნქცია დაეკარგა და მრავალი მათგანი დაიხურა. XX საუკუნის 50-იანი წლებისთვის შემორჩენილი იყო მხოლოდ რამდენიმე სამღებრო და სამჭედლო. ცნობილი იყო ერასტი დვალისა და ვასო ყუშიტაშვილის სამჭედლოები. მათ პროდუქციაზე მოთხოვნილება საკმაოდ დიდი იყო.

სოფელში 1929 წლიდან ფუნქციონირებს კულტურის სახლი, ფორე მოსულიშვილის სახლ-მუზეუმი, რ-ის ეზოში 1978 წელს დაიდგა მისი ძეგლი (მოქანდ. რ. შანშაშვილი), ბ-კა, სკოლა. სოფელში არის *მეორე მსოფლიო ომში* დაღუპულთა და დიმიტრი მაჩხანელის მემორიალები.

ლ. მოწონელიძე.

ბიბლ.: 81, 83, 176.

160. გლეხთა კრება, ისტ. ძ. 1907 წლის 27 აპრილს სოფლის კანცელარიასთან გაიმართა ქიზიყის ყველა სოფლის გლეხობის წარმომადგენლების კრება, რ-საც მთავრობის მოხელეები არ დაასწრეს. კრებამ დაადგინა, რომ საყოველთაო, თანასწორუფლებიანი არჩევნების საფუძველზე მოწვეულიყო უმაღლესი ორგანო-დამფუძნებელი კრება, მიწა ხალხს საკუთრებაში გადასცემოდა, გარანტირებული ყოფილიყო პიროვნებისა და საკუთრების ხელშეუხებლობა, გაუქმებულიყო წოდებები, დაწესებულიყო შეკრების და სიტყვის თავისუფლება, ის ოჯახები, რ-ებსაც წლიურად 500 მანეთზე ნაკლები შემოსავალი ჰქონდათ გადასახადებისაგან განთავისუფლებულიყვნენ და სხვ.

მთავრობამ ვერ შესძლო სადამსჯელო ღონისძიებების გატარება და შეკრებილთა დაშლა.


თ. ჭყონია.

ბიბლ.: 257.

161. თეატრი, ისტ., არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრში. აშენდა 1899 წელს. ფუნქციონირებდა XX საუკუნის შუა ხანამდე.

XIX საუკუნეში სოფ. ქვემო მაჩხაანი ქიზიყის ერთ-ერთ კულტურულ-ეკონომიკურ ცენტრს წარმოადგენდა. ამ ფონზე სოფელში თეატრისადმი განსაკუთრებული ინტერესი გაჩნდა. სადადგმო საქმიანობას სცენისმოყვარულები ეწეოდნენ. სათეატრო შენობის უქონლობის გამო, სპექტაკლები სკოლის შენობაში ან ღია ცის ქვეშ იმართებოდა. სოფლის მოსახლეობის მონდომებითა და მონაწილეობით დაიწყო თეატრის მშენებლობა, რისთვისაც ფული წლების განმავლობაში გროვდებოდა.

თეატრის მშენებლობის ერთ-ერთი მოთავე იყო მწერალი, პუბლიცისტი და საზ. მოღვაწე დიმიტრი მაჩხანელი (ნადირაძე). თეატრის მშენებლობის საქმეში და წარმოდგენების გამართვაში ასევე დიდი ღვაწლი მიუძღვის ნიკოლოზ (კოლა) ერისთავს. იგი, დიმიტრი მაჩხანელთან ერთად, ყველა იმ წამოწყების მონაწილეა, რ-იც მხარის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებას



161. გეგმა (რეაბილიტაციის პროექტი)

ემსახურებოდა. გაზ. „ამირანი“ 1908 წელს წერდა: „ბევრს მოეხსენება, რომ მაჩხაანის სცენას საძირკველი კოლა ერისთავმა ჩაუყარა. მისის ინიციატორობით აშენდა მაჩხაანის თეატრი და დიდი ამაგიც დასდო“.

1897 წელს თეატრის მშენებლობა დამთავრდა და თეატრმა დაიწყო ფუნქციონირება, იწვევდნენ ცნობილ მსახიობებს, დგამდნენ პოპულარულ პიესებს. სპექტაკლებს უამრავი ხალხი ესწრებოდა. იმდროინდელი ქართ. პრესა („ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „ამირანი“, „თეატრი და ცხოვრება“, „სახალხო გაზეთი“ და სხვ.) ხშირად და საკმაოდ ვრცლად აშუქებდა სოფლის სათეატრო ცხოვრებას. 1899 წლის 22 ივლისს თეატრში დაიდგა ავქსენტი ცაგარლის კომედია „ხანუმა“, გამოჩენილი მსახიობების ვასო აბაშიძისა და ნატო გაბუნიას მონაწილეობით. მათ სხვა სპექტაკლებშიც მიიღეს მონაწილეობა. 1910 წელს ქვემო მაჩხაანის თეატრში შედგა XX საუკუნის ცნობილი რეჟისორის სანდრო ახმეტელის სარეჟისორო დებიუტი. წარმოადგინეს ა. სუმბათაშვილის პიესა „ღალატი“.

არქიტ. თვალსაზრისით ჩანს, რომ შენობა სათეატრო არქიტექტურის სპეციფიკის მცოდნე არქიტექტორის მიერაა დაპროექტებული (პროექტი დაკარგულია).

შენობა ორსართულიანია. ნაგებია ძირითადად „ქართული“ აგურით. ინტერიერი მოიცავს: ფოიეს-გვერდებზე განლაგებული სათავსებით, მაყურებელთა დარბაზს, სცენას კულისებით და საორკესტრო ორმოს. მეორე სართულის დონეზე წაგრძელებული ოვალის ფორმის იარუსია. შენობა თბებოდა ორივე სართულზე კედელში ჩაშენებული ღუმლებით.



161. ჭრილი 1-1 (რეაბილიტაციის პროექტი)



161. მთავარი ფასადი (რეაბილიტაციის პროექტი)

შენობაში შესვლისას ვხვდებით ფოიეში, ფოიედან კი – მაყურებელთა დარბაზში, რ-იც, იარუსის ჩათვლით, 200-მდე მაყურებელს იტევდა. დარბაზში, პირველი სართულის დონეზე, სამი შესასვლელია – დასიდან, ჩრდ-იდან და სამხრ-იდან. დარბაზის კედლები და ჭერი მოხატული ყოფილა. დარბაზის კედლებს ასრულებს სადა, შეზნექილი ლავგარდანი, რ-იც ჭერზე გადადის. სასცენო კოლოფსა და მაყურებელთა დარბაზს შორის ღრმა, საორკესტრო ორმოა, ორივე მხარეს ბენუარის შესასვლელები და სარკმლები, პირველი სართულის შესასვლელებისა და სარკმლებისაგან განსხვავებით, სახეცვლილია.

თეატრის სცენა სიგანეში მაყურებელთა დარბაზის თითქმის ნახევარს უტოლდება. შესასვლელი აქ ეზოდანაა. კარი სამხრ. კედელშია



161. თეატრის მშენებლობის პროცესი: XIX საუკუნის მიწურულის ფოტო

გაჭრილი. მეორე სართულის დონეზე ერთი სარკმელია. სცენის უკანა კედელი ყრუა. კულისები სცენის ჩრდ. ნაწილშია განთავსებული, რ-საც შესასვლელი ჩრდ. მხრიდან აქვს. იატაკი მცირედ ამაღლებულია. შეცვლილია ხის იატაკი. აღარ არსებობს სუფლიორის ჯიხური.

სასცენო კოლოფში შემორჩენილია დეკორაციების ცვლისათვის საჭირო ხის, ლითონის სპეც. სამაგრებიანი, ძვ. კონსტრუქციები, რ-ებიც დღესაც მოქმედია. სცენის ქვეშ სივრცის დიდი ნაწილი მიწაშია, რის გამოც მბრუნავი სცენის კონსტრუქციისათვის სივრცე ძალზე შეზღუდულია. სცენა კრონშტაინითაა გამაგრებული.

თეატრის მთავარი ფასადი ქუჩისკენაა მიმართული. ფასადის სიბრტყე რამდენიმე დონიანია. ცენტრში ფრონტონით დასრულებული, შვერილი ნაწილია, რ-შიც თეატრში შესასვლელი მთავარი კარია განთავსებული. კარის წინ კიბეებია, გვერდებზე – მცირედ უკანშეწეული ფლიგელები. მთავარ ფასადზე სარკმლების ორი რიგია. ცენტრ. ნაწილში ხუთი სარკმელია, გვერდის ნაწილებში – ორ-ორი. დონეები გამოყოფილია სადა, ჰორიზ. სართყელ-ლავგარდნებით, კუთხეები კი – წინწამოწეული, სწორკუთხა მასიური პილასტრებით. თეატრის ეს ნაწილი დასრულებულია აგურის დეკორატ. წყობით გამოყვანილი ფრონტონით და მის გაგრძელებაზე, კუთხის მცირე ზომის, დაბალ სვეტებს შორის ჩასმული ლითონის პარაპეტით.

თეატრის მშენებლობის ამსახველ ფოტოზე (ავტორი, ფოტოგრაფი სოლომონ ლუარსაბიშვილი) ჩანს, რომ შენობის ფასადებს, შვერილ სიბრტყეთა კუთხეებში, რუსტებით დეკორირებული ნახევარსვეტები აუყვებოდა (დღეს, გადაკეთებების გამო, აღნიშნული დეკორი აღარ იკითხება), კარ-სარკმლებს კი ნახევარწრიული თავსართები ჰქონია (დღეისათვის სარკმლები სწორკუთხა ფორმისაა). ინტერიერში სარკმლების ღიობთა ფორმა მეტწილად (სცენის სამხრ. კედელზე სრულად) შენარჩუნებულია.

საფასადე სიბრტყე, ვერტ. ნახევარსვეტების გარდა, დანაწევრებულია პირველ და მეორე სართულების გადახურვის დონეზე გამოყვანილი, ჰორიზ., სადად პროფილირებული, შვერილი სარტყლით, რ-იც დასრულებულია იმავე ფორმის, ორმაგი ლავგარდნით.

გვერდის ფასადებზე აგურის თარაზულ რიგებს ენაცვლება კირის დუღაბით შევსებული, რიყის ქვის ფართო რეგისტრები. კედლის ასეთი წყობა ტიპურია კახეთისათვის.

თეატრის დას. (ფოიე) და აღმ. (სასცენო კოლოფი) ნაწილებს შორის მოქცეულია მაყურებელთა დარბაზი. ამ სამივე ნაწილს დამოუკიდებელი



161. საერთო ხედი ჩრდ.-დას-იდან

გადახურვა აქვს. სამი კომპონენტია აქცენტირებული ექსტერიერშიც. კერძოდ, თეატრის

შენობას ჩრდ-ით და სამხრ-ით აქვს ორსართულიანი, სწორკუთხა სვეტებზე დამყარებული, ღია გალერეები. მათგან ჩრდისა თავდაპირველი სახითაა შემორჩენილი (კიბის გარდა), სამხრ-ისა კი გადაკეთებულია.

თეატრის ჩრდ. ფასადს, სცენო კოლოფის ჩათვლით, ბოლომდე მიუყვება აგურით ნაგებ, სწორკუთხა ბოძზე დაყრდნობილი, ლითონის ბადე-მოაჯირის მქონე, ხის აივანი, რ-ის მოაჯირი ადრე ჭვირული სახეებით იყო მორთული.

სამხრ. გალერეის პირველ სართულზე შემორჩენილია აგურის იატაკის არცოუ მცირე ფრაგმენტები. ჩრდ. გალერეის აგურის ოთხკუთხა სვეტები მთლიანად შელესილია. მსგავსი ფორმის, მაგრამ ბეტონის, სვეტები სამხრ. გვერდშიცაა. აქ გალერეა საგრძნობლადაა დამოკლებული. სავარაუდოდ, ბოლო პერიოდის გადაკეთებებით მთლიანად შეცვლილია აივანი (იატაკი, მოაჯირები, ასასვლელი კიბე). თეატრის გეგმარებიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ჩრდ. გალერეის მსგავსად, სამხრ. გალერეაც მთლიანად გასდევდა შენობის სამხრ. ფასადს. იგი შენობის სიბრტყიდან წინ იყო გამოწეული.

სამხრ. გალერეა თეატრის შენობაზე გარედანაა მიშენებული. იგი ზედმიწევნით იმეორებს, როგორც თეატრის შენობის კედლის წყობას, ისე აგურის წახნაგოვანი სვეტების ფორმას. აქ აივნის დონე ბევრად მაღალია, ვიდრე თეატრის გალერეათა აივნების სიმაღლე.

თეატრის შენობის ჩრდ. მხარეს, მთელ სიგრძეზე, ორივე სართულზე განთავსებული დარბაზები აქვს, სადაც მოხვედრა ჩრდ. გალერეიდან შეიძლება. იგივე სურათი არ მეორდება სამხრ. მხარეს. აქ მხოლოდ გალერეაა, რ-იც დღეს მთლიანად არის გამოცვლილი.

თეატრს ორი ფარდა ჰქონდა: ერთი ზაჰესის ჰიდროელექტროსადგურის ფონზე მდგომი ლენინის გამოსახულებით, რ-იც სასცენო თაღს ფარავდა და მეორე – ტყის ფერწერული გამოსახულებით, რ-იც სცენის სიღრმეში მის უკანა კედელზე ეკიდა. გადმოცემით, თეატრისათვის ფარდა უსასყიდლოდ დაუხატავს ფოტოგრაფ ვასილ როინაშვილს.

თეატრის აშენებიდან რამდენიმე წელიწადში მისი შეკეთების საკითხი დამდგარა. გამსკდარა კედელი და ჩამონგრეულა ჭერი. მეცნატ ვ. ა. ნასიძეს თავისი ხარჯით გაუკეთებია სცენა, ადგილ. მასწავლებლებისგან შეუდგენია თეატრის მოყვარულთა დასი. დაუდგამთ ვ. გუნიას პიესა „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“.

ამჟამად თეატრის შენობა ძლიერ დაზიანებულია და აღდგენას საჭიროებს.

ი. დოლიძე.

ბიბლ.: 81, 176.

162. ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲛᲐᲭᲮᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲫᲔᲒᲚᲘ, ისტ. ძ., მდებარეობს სოფლის ცენტრში, ფორე მოსულიშვილის ქუჩაზე.

ქართვ. მწერლის, პუბლიცისტის და საზ. მოღვაწის დიმიტრი მაჩხანელის (დიმიტრი ნადირაძე) საფლავი ქვის ფილებითაა შემოსაზღვრული. შუაში აღმართულია ბეტონის პიედესტალი, რ-ზეც დგას დ. მაჩხანელის ქვის ბიუსტი. პიედესტალზე ლითონის ასოებით შესრულებულია წარწერა: „დიმიტრი მაჩხანელი“.

იქვე ახლოს მდგარ შენობაზე (ყოფილი უნივერსალური მაღაზია) გაკრულია მემორ. დაფა წარწერით: „მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ დიმიტრი (ნადირაძე) მაჩხანელმა სოფ. ქვემო მაჩხაანში დააარსა სავაჭრო დეპო“.

ქ. კახაძე.

ბიბლ.: 239.

163. ᲤᲝᲠᲔ (ქრიტეფორე) **ᲛᲝᲡᲣᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲚ-ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ,** ისტ. ძ. მდებარეობს სოფლის ცენტრში. გაიხსნა 1975 წელს.

საბჭ. ჯარისკაცი, მეორე მსოფლიო ომის (1939-1945 წწ.) დროს იტალიის წინააღმდეგობის აქტიური მონაწილე, იტალიის ეროვნ. გმირი. ფორე მოსულიშვილი დაიბადა 1916 წელს, სოფ. ქვემო მაჩხაანში. დასაფლავებულია ქ. არონაში (ჩრდ. იტალია). სიკვდილის შემდეგ (1944 წ.) დაჯილდოებულია დიდი სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით (სიკვდილის შემდეგ) და იტალიის რესპუბლიკის უმაღლესი სამხედრო ჯილდოთი – ოქროს მედლით „მხედრული მამაცობისათვის“ (სიკვდილის შემდეგ).

სახლ-მუზეუმის ერთ ოთახში გამოფენილია მემორ. ნივთები, მეორე ოთახში გამართულია მარანი. სახლზე ფირნიშია წარწერით: „ფორე მოსულიშვილის სახლ-მუზეუმი“.

ც. ბერძენიშვილი.


ბიბლ.: 177.

164. ᲦᲕᲗᲘᲡᲛᲨᲝᲑᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. მდებარეობს სოფლის სასაფლაოზე. სავარაუდოდ, განეკუთვნება XVI საუკუნეს.


ეკლ. დარბაზული ყოფილა. ნაგები იყო „ქართული“ აგურითა და კირის დუღაბით. დანგრეულია. შემორჩენილია: სამხრ.-დას. კუთხე და ჩრდ. კედლის ნაწილი პილასტრითურთ.

ბ. კუპრეიშვილი.

165. ᲜᲐᲗᲚᲘᲡᲛᲪᲔᲛᲚᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ.-დას-ით, დაახლ. 700 მ-ზე, სოფ. ფანიანის (ამჟამად სოფ. ქვემო მაჩხაანის ერთ-ერთი უბანი) ტერიტორიაზე. თარიღდება XVIII საუკუნით.




165. გეგმა



165. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ-კენ


ეკლ. დარბაზულია, აფსიდიანი (10,40x6.30 მ). ნაგებია „ქართული“ აგურითა და რიყის ქვის შერეული წყობით. შენობა შიგნით და გარედან შელესილია.



165. დას. ფასადი

შესასვლელი ორია – სამხრ-იდან და დას-იდან. ორივე კარი სწორკუთხაა. მათგან სამხრ-ისა გარედან საფეხურით შეღრმავებულ, სწორკუთხა არეშია ჩასმული. სამხრ. კარის წინ მიწის დონე, ეკლესიის იატაკის მიმართ, ორმოცდაათიოდე სმ-ით მაღლაა, რის გამოც კარის ღიობში ორი საფეხურია მოწყობილი.

ეკლესიის შიდა სივრცე შემაღლებული პროპორციებისაა.



165. ინტერიერი. ხედი ჩრდ-აღმ-კენ

აფსიდი ღრმაა, გეგმით თითქმის ნახევარწრის მოყვანილობის. აფსიდის ღერძზე გაჭრილია გამოზნექილწირთხლებიანი, შეისრული თაღით დასრულებული სარკმელი, რ-ის ჩრდ-ით საშ. ზომის, შეისრულთაღოვანი ნიშაა. აფსიდის იატაკი დარბაზის იატაკის მიმართ საფეხურითაა შემაღლებული და შუაში ნახევარწრიული ამბიონი აქვს მოწყობილი. აფსიდი დარბაზის გრძივი კედლებიდან გამოყოფილია ორსაფეხურიანი მხრეებით, რ-ებსაც ორსაფეხურიანივე, შეისრული თაღი ეყრდნობა. მოგვიანებით საკურთხეველი დარბაზისგან ხის კანკელით გაუმიჯნავთ, რ-ისგანაც ერთი ძელიღაა შემორჩენილი.

საკურთხევლის სარკმლის გარდა, თითო სარკმელი დანარჩენ კედლებშიცაა. სამხრ. და ჩრდ. სარკმლები შეისრულთაღოვანია და შესაბამისი კედლის აღმ. ნაწილშია გაჭრილი, დას-ისა კი – კედლის ღერძზე. ეს უკანასკნელი, დანარჩენ სარკმლებთან შედარებით, ბევრად უფრო ვიწროა, ზემოთკენ თანდათან ვიწროვდება და ნახევარწრიული თაღითაა დასრულებული. დარბაზის სამხრ. კედლის აღმ. ბოლოში, კედელზე, მიდგმულია აგურით ნაშენი, ვიწრო, გეგმით სწორკუთხა ნაგებობა (სიმ. – 1,2 მ), რ-ზეც, სავარაუდოდ ხატები იყო დაბრძანებული.

საკურთხევლისა და დარბაზის იატაკი კვადრ. აგურითაა მოგებული. დარბაზში მდვდლების დავით და გრიგოლ

165. ხედი დას-იდან



ბეგიევების საფლავებია. ეპიტაფიების თანახმად, ერთი მათგანი 1816, ხოლო მეორე – 1861 წელსაა დაკრძალული.

შიგნით ეკლ. გადახურულია შეისრული კამარით, რ-იც ორ შეკიდულ, საბჯენ თაღზეა დაყრდნობილი. მათგან ერთი – დარბაზის შუაშია, მეორე – დას. კედელთან.

ეკლესიის ფასადები სადაა, მოკლებულია მორთულობას. დას. შესასვლელი საფლავის ქვითაა გადახურული. ფასადებს აშკარად ეტყობა, რომ ეკლ. ერთდროულად არ არის აგებული. ჩანს, რომ იგი მოგვიანებითაა განახლებული.


ფასადები დასრულებულია აგურით ნაწყობი, საფეხუროვანი ლავგარდნით.

ეკლესიის დას. კედელზე დაშენებულ კვადრ. ბაქანზე დადგმულია აგურით ნაგები, ექვსწახნაგა სამრეკლო, რ-იც დასრულებულია პირამიდისებრი, ექვსწახნაგაგე სახურავით.

თ. დვალი.

166. ღვთისმშობლის შობის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ-დას. განაპირას, სერზე, ძვ. სასაფლაოს ტერიტორიაზე (ეკლესიის ირგვლივ საფლავის ქვებია მხედრ. წარწერებით). თარიღდება XVIII საუკუნით.


ეკლ. დარბაზულია, აფსიდიანი (6,15x4.55 *მ*). ნაგებია რიყის ქვითა და ე. წ. ქართული აგურით (21x21x3.5/4 *სმ*). კედლები ძირითადად რიყის ქვისაა. გა-



166. გეგმა

რეთა კუთხეები, არქიტ. და კონსტრ. ელემენტები კი აგურის. წყობა უხარისხოა – ტლანქი. ეკლ. შიგნიდან და გარედან შელესილია.


შესასვლელი დას-იდანაა. კარი გარედან თარაზულადაა გადახურული (აღდგენილია ადგილ. მოსახლეობის მიერ). შიგ-



166. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ-კენ

ნიდან კი ნახევარწრიულთაღოვანია.

საკურთხევლის აფსიდი ღრმაა, გეგმით დეფორმირებული



166. ინტერიერი. ხედი აღმ-კენ

ნახევარწრის ფორმის. აფსიდის ღერძზე გაჭრილია ვიწრო, შიგნიდან შეისრულთაღოვანი, ხოლო გარედან სწორკუთხა სარკმელი. სარკმლის ქვემოთ, კედელზე, კუბური ფორმის ტრაპეზია მიყრდნობილი. სარკმლის ორივე მხარეს თითო ნიშაა. ჩრდ-ით მდებარე – გეგმით ნახევარწრიულია, თაღოვანი, სამხრ-ით მდებარე კი – სწორკუთხა. ერთი მცირე ზომის ნიშა სამხრ. კედელშიცაა. აფსიდი გადახურულია კონქით. კონქის თაღი შეისრულია. შეისრულია კამარაც. საკურთხეველი დარბაზისგან გამიჯნული იყო აგურით ნაგები, შელესილი კანკელით, რ-ის ნაშთები აფსიდის ორივე მხართანაა შემორჩენილი.

ეკლესიის შიდა სივრცეს, საკურთხევლის სარკმლის გარ-



166. ხედი ჩრდ-აღმ-იდან

და, დას. კედელში გაჭრილი სარკმელიც აშუქებს, რ-იც შიგნიდან შეისრულთაღოვანია, ხოლო გარედან სწორკუთხა. ეკლესიის კედლებში ოთხი სათოფურია მოწყობილი. ერთი – აფსიდის სამხრ. გვერდშია, ორი – სამხრ. კედელში, ერთიც – ჩრდ. კედელში. ეკლესიის იატაკზე აგურია მოგებული.

ეკლესიის ფასადები სადაა. კედლების მნიშვნელოვან ნაწილს ნალესობა ჩამოცვენილი აქვს. აღმ. ფასადზე, სარკმლის ქვემოთ, მცირე ზომის კვადრ. ნიშაა. დას. ფასადზე, შესასვლელის ზემოთ, აგურის წყობის შეღმავებით გამოყვანილი, მაღალი ჯვრის გამოსახულებაა, რ-ის ზედა მკლავში სარკმლის ღიობია მოქცეული.

ეკლესიის კედლები დასრულებული იყო აგურით ნაწყობი, ოთხსაფეხურიანი ლავგარდნით (შემორჩენილია განივ ფასადებზე), რ-იც აგურის ხერხულა და ჩვეულებრივი წყობის მონაცვლეობითაა გამოყვანილი.

ეკლ. ე. წ. ხალხური ნაკადის ოსტატის ნახელავია. შენების დაბალი ხარისხის მიუხედავად, იგი საინტერესოა იმით, რომ სათოფურებითაა აღჭურვილი, რაც მას თავისებურებას ანიჭებს.

თ. დვალი.

ღვთისმშობლის გორანამოსახლარი, იხ. ალაზნის ველის არქეოლოგიური ძეგლები.

ქარაღაჯი

(ქვემო მაჩხაანის თემი)

167. ქარაღაჯი, ისტ. სოფელი. მდებარეობს ალაზნის ვაკეზე, მდ. ალაზნის მარჯვ. ნაპირზე, თანამედროვე სოფ. ყარაღაჯის ჩრდ.-აღმ-ით, 1 კმ-ზე, სიღნაღიდან 25 კმ-ზე.

ყარაღაჯი უკვე ანტიკურ ხანაში ყოფილა მნიშვნელოვანი პუნქტი, რასაც ნუმიზმატიკური მასალა მოწმობს. შუა საუკუნეებში იგი ფეოდ. ქალაქად იქცა. გვიანდ. წყაროებში იხსენიება „თოფ-ყარაღაჯად“. ყარაღაჯზე გადიოდა შირაქიდან მომავალი წინამხრის გზა, რ-იც წნორის-გურჯაანის-ველისციხის და თელავის გავლით ახმეტაში ადის. ამ გზით მოძრაობდა და მოძრაობს ფშაველებისა და კახეთის მრავალი სოფლის ცხვარი.

XIII საუკუნის 60-იან წლებში სოფელი მონღოლთა ლაშქარმა დაარბია. XIV საუკუნის შუა წლებში აქ ზარაფხანის არსებობას ვარაუდობენ. მიკვლეულია მონღოლური, კერძოდ, უკანასკნელი ჰულაგუიანების ვერცხლის 200 მონეტისგან შემდგარი განძი.

XVI საუკუნეში, როცა კახეთი ეკონ. აღმავლობის გზას დაადგა ყარაღაჯის მნიშვნელობაც გაიზარდა, მაგრამ შაჰ-აბას I-ის (ირანის შაჰი 1587-1629 წწ-ში) ამაოხრებელი შემოსევების (1614-1617 წწ.) შედეგად იგი საგრძნობლად დაკნინდა.

შაჰ-აბას II-მ (ირანის შაჰი 1642-1666 წწ-ში), თურქმანული კოლონიზაციის დასაჩქარებლად და ქართველთა თავდასმენისაგან მათ დასაცავად, კახეთში სამი ციხის აშენება ბრძანა. მოჰამედ თაჰერის გადმოცემით, ციხეების ასაშენებლად კახეთში გააგზავნეს ხუროთმოძღვარი, კალატოზები, მშენებელი მუშები და ფული. დაიწყეს მშენებლობა, გადააკეთეს და ციხესიმაგრედ აქციეს ალავერდის მონასტრის გალავანი, ხოლო სოფ. ბახტრიონში ციხე ააშენეს. მესამე ციხის სახელი წყაროებში არ ჩანს, სავარაუდოდ ეს ყარაჟაჯის ციხე იყო.

ბეჟან ხანმა (კახეთის გამგებელი 1677-1683 წწ-ში) ყარაღაჯის ციხეში სპარსული ყაიდის სასახლე ააშენა. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით: „ალაზნის დასავლით არს ყარაღაჯი, სასახლე, რომელი ჰყვეს ხანთა“.

ნადირ შაჰმა (ირანის შაჰი 1736-1747 წწ-ში) თეიმურაზ II-ს (კახეთის მეფე 1709-1715 წწ-ში, გამგებელი 1733-1744 წწ-ში, ქართლის მეფე 1744-1762 წწ-ში) ჭარის დასალაშქრად ჯარი გაუგზავნა. ამ დროს ყარაღაჯსა და მის ციხეში ოსმალთა გარნიზონი იდგა. ოსმალები დაფრთხნენ და უბრძოლველად დატოვეს ყარაღაჯის ციხე. ქართველებმა დაიკავეს ციხეც და სოფელიც. ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, კახელებს ციხე შეუმუსრავთ, ზარბაზნები წამოუღიათ, მიგებებიან თეიმურაზს და ჭარისკენ გაუწევიათ.

1764 წელს მოთარეშე ლეკებს ქართველებმა ყარაღაჯამდე სდიეს და იქ გაუმართეს ბრძოლა, რ-იც ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა. თავი გამოიჩინა მღვდელმა იესე მაჭავარიანმა.

1785 წელს ავარიის მმართველმა ომარ-ხანმა 20 ათასიანი ლაშქრით ყარაღაჯთან გადმოლახა მდ. ალაზანი და გეზი ქართლისაკენ აიღო.

XIX საუკუნის 30-იან წლებში ყარაღაჯში რუსების პოსტი იდგა. აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს ევროპისა და რუსეთის განმანათავისუფლებელ იდეებს ნაზიარები მოწინავე რუსი და ქართველი ადამიანები.

1962 წელს, მიწის სამუშაოების დროს, ციხის სამხრ.-აღმ-ით, დაახლ. 1 კმ-ზე, აღმოჩნდა XVII საუკუნის II ნახევრისა და XVIII საუკუნის დასაწყისში დამზადებული ფაიანსის, მინის და წითლად გამომწვარი თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები (დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმში და საქართვ. ეროვნ. მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში).

გ. აფრასიძე.

ბიბლ.: 39, 43(ა), 68, 166, 311.

168. განძი, ისტ. ძ. შემთხვევით აღმოჩნდა მიწის სამუშაოების დროს. დაფლული უნდა იყოს 1356 წლის შემდეგ. განძის ქველაზე ადრინდ. მონეტა თარიღდება 1345 წლით. უგვიანესი – 1355 წლით.

განძი შეიცავს სხვადასხვა ზარაფხანაში ირანელი ილხანების სულეიმანისა (1339-1343 წწ.) და ანუშირვანის (1343-1356 წწ.) სახელებით მოჭრილ 214 ვერცხლის დირჰემსა და ნახევარდირჰემს. აღსანიშნავია რომ განძის 15 მონეტა თბილისშია მოჭრილი, 2 – ყარაღაჯში, ხოლო 2 – ანისში.

მონეტები დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმში და ერევნის ისტ. მუზეუმში.

ი. ჯალადანია.

ბიბლ.: 91, 92, 207(კ).

169. ოზაანხევის სადგომი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ-ით, 7-8 კმ-ზე, მდ. ალაზნის მარჯვ. შენაკადის ოზაანხევის ნაპირზე. განეკუთვნება შუა პალეოლითს.

ძ. 1974 წელს გამოავლინა კაპ-ის (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური) ქვის ხანის რაზმმა (ხელმძღვ. თ. ბუგიანიშვილი). ოზაანხევის ნაპირის გაყოლებით, 400-500 მ-ის სიგრძის ვი-

წრო ზოლში ნაპოვნია არალეგალუაური ნივთები: კაჟის კაჭარზე დამზადებული, ერთფუძიანი, გრძივი ნუკლეუსი, კაჟის სამკუთხედისებრ ქვარგვალზე დამზადებული, მომრგვალებულქუსლიანი, „მინიატურული ხელნაჯახი“, მოგრძო ანატკეცზე დამზადებული ორპირა – სწორ და ჩაზნექილ სამუშაოპირებიანი, გრძივი სახოკი და ასევე მოგრძო ანატკეცზე დამზადებული სამუშაოპირიანი საფხეკი.

ნივთები ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

თ. ბუგიანიშვილი.

170. ტყისბოლოგორის ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, 4 *კმ*-ზე, მდ. ალაზნის მარჯვ. მხარეს. ხელოვნურ, ნამოსახლარ ბორცვზე დადასტურდა უწყვეტი ცხოვრების კვალი ადრინდ. ბრინჯაოს ხანის დასასრულიდან ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისამდე.

ძ. 1960-იან წლებში აღმოაჩინა და 1970 წელს მცირე გათხრითი სამუშაოები აწარმოვა კაპე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). 1979 წელს კაპე-ის რაზმმა (ხელმძღვ. ვ. ვარაზაშვილი) ნამოსახლარზე სადაზვერვო თხრილი გაავლო. 1991 წელს ძეგლის შესწავლა განაგრძო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. ტიუბინგენის ერჰარდ კარლის სახელობის უნ-ტისა და კაპე-ის გაერთიანებულმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელები: კ. ფიცხელაური, გ. მანსფელდი). ძ. დაზიანებულია, რადგან მის ტერიტორიაზე სასილოსე ორმოები და ცხვრის სადგომები იყო მოწყობილი.

ტყისბოლოგორა ოდნავ ელიფსურია, წაგრძელებული ჩრდ.-აღმ-იდან სამხრ.-აღმ-ისკენ (დიამ. – 300 *მ*, სიმ. – 4 *მ*). გარს შემოსდევდა თავდაცვითი თხრილი (სიგ. – 5-6 *მ*, სიღრმე – 2 *მ*). 1970 წელს სადაზვერვო თხრილი (სიგრ. – 30 *მ*, სიგ. – 4 *მ*) გაიჭრა სასილოსე ორმოს გაყოლებით გორის სამხრ. ფერდზე, თხემის კიდიდან ფუძემდე. დაფიქსირდა სულ 9 ფენა, რ-ებიც ერთმანეთისგან კარგად იყო გამოყოფილი თიხით მოლესილი და გამომწვარი იატაკებით. დადგინდა, რომ მოსახლეობას აქ უწყვეტად უცხოვრია ადრინდ. ბრინჯაოს ხანიდან ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისამდე. ერთ-ერთ უბანზე, შუა ბრინჯაოს ხანის სათავსის დონეზე, აღმოჩნდა თიხის ე. წ. თრიალეთური კულტურის მოხატული ჭურჭლის ნატეხები. მასალა საშუალებას იძლევა თრიალეთური კულტურის გავრცელების არეალი უფრო აღმ-ით გადაიწიოს.

ნამოსახლარზე გამოვლინდა გვიანდ. ანტ. ხანის სამი სამარხი და ქრისტ. ხანის ჩაშვებული სამარხები. გათხრილი თხრილის სამხრ. ნაწილში, ნამოსახლარის ფუძის მახლობლად გათხრილ, გვიანდ. ანტ. ხანის სამარხში მხოლოდ ადამიანის ჩონჩხის ზედა ნაწილები და ერთი ჭურჭლის ნატეხები აღმოჩნდა. ჭურჭლის კეცი ჩალისფრადაა გამომწვარი და ზედაპირი მოთეთრო ანგობის კონცენტრული ზოლებით აქვს მოხატული.

1991 წლის გათხრების დროს ნამოსახლარის მთელი ფართ. (200x200 *მ*) დაიყო კვადრატებად (10x10 *მ*). გორის თხემზე შეირჩა და აიგეგმა საკმაოდ მოზრდილი ფართობი, საიდანაც დაიწყო ოთხი კვადრატის (ფართ. – 400 *კვ მ*) გათხრა.

გათხრილ ფართობზე დაფიქსირდა სარ-ლასტით ნაგები სამი შენობის ნაშთი. შენობები ოთხკუთხაა, მათი იატაკები და კედლები თიხითაა შელესილი. შენობების სამხრ.-აღმ. კუთხეში, რიყის ქვის საფუძველზე, თიხით მოლესილი, ოთხკუთხა საკურთხეველი იყო მოწყობილი. ერთ-ერთ საკურთხეველთან აღმოჩნდა სოფ. ხოვლეში გამოვლენილი ვერძის თავის მსგავსი ქანდაკება, რ-იც, სავარაუდოდ, საკურთხევლის უკანა კედელზე მაგრდებოდა. საკურთხევლების ირგვლივ მთელი ფართობი კარგადაა მოლესილი. მოლესილი ფართობის ირგვლივ ასევე მოლესილი ორმოებია, რ-თა კედლებშიც რიყის ქვის კენჭებია ჩაყოლებული. განათხარ ფართობზე აღმოჩნდა რამდენიმე მრგვალი, კონუსური, კარგად მოლესილი ორმო, რ-ებსაც უკავშირდებოდა ასევე კარგად მოლესილი თიხის ღარები (წყლის რეზერვუარები?).

გათხრილი ფართობი მთლიანადაა დასერილი სამ. ორმოებით, რ-ებიც ზოგჯერ მეტად ღრმაა (სიღრმე – 2 *მ*). ისინი ხშირად სარითა და ლასტით ნაგები გადამწვარი შენობის კედლების ნანგრევებითაა ამოვსებული.

სამ. ორმოებსა და ზედა, განათხარ ფენაში ურევია ქვედა ფენების კუთვნილი ძვ. წ. XV-XIV საუკუნეების მასალა: სოლური ნაჭდევი და ნაპრიალები ორნამენტით შემკული, შავპრიალა ჭურჭლის ფრაგმენტები, ხელსაფქვავის ქვები, ნამგლის კაჟის ჩასართები, ქვის თოხები და სხვ.

ნამოსახლარის I ფენა (ძვ. წ. VIII-VII სს.), მრავალი ქრისტ. სამარხითაა დაზიანებული. სავარაუდოდ ეს სამარხები ქ. ყარაღაჯის მკვიდრ მოსახლეობას ეკუთვნის.

ვ. ვარაზაშვილი, ლ. ჭაბაშვილი.

ბიბლ.: 348, 349.

171. ტყისბოლოგორის სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, მდ. ალაზნის მარჯვ. მხარეს, ვაკობზე, ტყისბოლოგორის ნამოსახლარის ჩრდ-ით, 200 *მ*-ზე. განეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლეულის I ნახევრის შუა ხანებს.

სამაროვანზე 1991 წელს კაპე-ის (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური) და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. ზაარბრიუკენის უნ-ტის არქეოლოგიის ინ-ტის (ხელმძღვ. გ. მანსფელდი) ერთობლივმა ექსპედიციამ

გათხარა ერთი გორასამარხი. გორასამარხის ყრილი ხვნისაგან თითქმის განადგურებული იყო. მიწის ზედაპირზე გაიწმინდა რიყის ქვისაგან შედგენილი, მოზრდილი წრე და შემორჩენილი პატარა ქვაყრილი. ქვაყრილის ქვეშ აღმოჩნდა აღმ-იდან დას-ისკენ დამხრობილი, დასაკრძალავი ორმო (3,25x2,60 *მ*). ორმო და მის ირგვლივ ფართობი, ყვითელი თიხით იყო მოლესილი (სისქე – 40 *სმ*). ამგვარი თიხით იყო ამოვსებული ვიწრო წაგრძელებაც (დრომოსი?), რ-იც დასაკრძალავი დარბაზის აღმ. კედლის შუა ნაწილიდან იწყებოდა. დასაკრძალავ დარბაზს ხის გადახურვა ჰქონდა. დრომოსი მიწაში ამოჭრილი საფეხურებით უკავშირდებოდა დასაკრძალავ კამერას (3,25x2,60 *მ*). საფეხურები დარბაზისაკენ დაბლდებოდა, დასაკრძალავ კამერაში შედიოდა და მის აღმ. კედელთან ეჭირა მთელი ცენტრ. ნაწილი. კამერის კედლის პირიდან 2 *მ* სიღრმეზე, დაახლ. 20 *სმ* სიგანის თარო გამოვლინდა, რ-იც კედლებს მთელ სიგრძეზე გასდევდა, სავარაუდოდ თაროს მეორე,ასევე ხის ძელებზე გამართული გადახურვა ეჭრდნობოდა. მეორე გადახურვაც ზევიდან მოლესილი და ტყავით დაფარული ყოფილა. ტყავზე ეტყობოდა ყვითელი საღებავით შესრულებული მოხატვის კვალი.

დასაკრძალავ კამერაში,დრომოსის საფეხურების ორივე მხარეს, გადახურვაზე, ცხვირით აღმ-ით იდო ორი ხარის თავი (ხარებშებმული ურმის იმიტაცია?).

სამარხის ქვედა კამერაში (სიგ. – 1,70 *მ*, სიგრ. – 2 *მ*, სიღრმე – 0,50 *მ*) მდგარა ხის ოთხთვალა ურემი, რ-ის ბორბლები სანახევროდ მიწაში იყო ჩამჯდარი. მიცვალებული ურემზე დასვენებული იყო მარჯვ. გვერდზე, მოხრილი კიდურებით, თავით ჩრდ.-აღმ-ით. ჩონჩხის ირგვლივ აიკრიფა ოქროს მძივები. ურმის ქვეშ დიდი ზომის ჭურჭელი ეწყო. მიცვალებულის თავის ქალა და ჩონჩხის ზედა ნაწილები დიდი ჭურჭლის ფრაგმენტებზე იყო მოთავსებული. სამარხის ფსკერზე, ნაწილობრივ ხარის თავის ქვეშ, თავით ჩრდ.-აღმ-ით აღმოჩნდა ცხვრის მთელი ჩონჩხი, რ-საც ყელის არეში ობსიდიანის დიდი ანატკეცი (დანა) ედო. კამერის სამხრ.-აღმ. კუთხეში დიდი დერგი იდგა. ცხოველის ძვლები აღმოჩნდა კამერის დას. ნაწილშიც.

დიდი ზომის თიხის ჭურჭელი იდგა დრომოსში, კიბის ბოლო საფეხურის წინ. სამარხში,თიხის ჭურჭლისა და ოქროს მძივების გარდა, აღმოჩნდა ბრინჯაოს იარაღის (რაპირის?) ფრაგმენტებიც.

მასალა ინახება საქართვ. ეროვნ. მუზეუმსა და გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

რ. რუსიშვილი.

ბიბლ.: 199, 348, 349.

172. ყარაღაჯის ბრძოლა, ისტ. ძ. შეტაკება მოხდა 1634 წელს, მოსაბრუნად წოდებულ ადგილში.

კახი თავადების, ზაალ არაგვის ერისთავის და იასე ქსნის ერისთავის მხარდაჭერით, თეიმურაზ I-მა (კახეთის მეფე 1606-1648 წწ., ქართლ-კახეთის მეფე 1625-1632 წწ.) ქართლის მეფის როსტომის (ქართლის მეფე 1633-1658 წწ., ქართლ-კახეთის მეფე 1648-1656 წწ.) წინააღმდეგ გაილაშქრა. რამდენიმე მძიმე ბრძოლაში თეიმურაზი ქართლში დამარცხდა და კახეთში გადავიდა.

1634 წელს მოსაბრუნში, იქ, სადაც მდ. ალაზანი ტრიალდება და უბეს ქმნის,თეიმურაზი კახეთის ყიზილბაშ მმართველს სელიმ-ხანს შეებრძოლა და დაამარცხა. გამარჯვებულმა მეფემ კახეთი დაიკავა.

ლ. მოწონელიძე.

ბიბლ.: 166(დ)

შვინდიანისყელის გორანამოსახლარი, იხ. სოფ. ქვემო მაღარო.

ჩათიბულას გორასამარხი, იხ. ალაზნის ველის არქეოლოგიური ძეგლები.

ჩალიანხევის სამაროვანი, იხ. სოფ. უკრიანი.

ძველი ანაგა
(სათავო სოფელი)

173. აკლდამა, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ტერიტორიაზე. განეკუთვნება ადრინდ. შუა საუკუნეებს.

ძ. 1926 წელს შემთხვევით აღმოაჩინეს ადგილ. მოსახლეებმა. აკლდამა ნაგებია თლილი ქვით. ინვენტარის დიდი ნაწილი დაკარგულია. გადარჩა ოქროს ბალთები; ბრინჯაოს საკინძი; სარდიონის ბეჭედი; მარჯნის, მთის ბროლის, მინის მძივები. ბალთების ზედაპირი აჟურულია და ფერადი თვლებითაა შევსებული. ერთ-ერთ ბალთაზე, ოქროს მავთულით, მამაკაცის (სასანელი დიდებულის?) პორტრეტული გამოსახულებაა (შემორჩენილია გამოსახულების სახის ნაწილი და გულმკერდი). ბრინჯაოს საკინძი გავარსიან ბუდეშია ჩასმული, შემკულია ლურჯი მინითა და მწვანე თვლებით.

სავარაუდოა, რომ აკლდამა საზოგადოების მაღალი ფენის წარმომადგენელს – ადგილობრივ ერისთავს ან პიტიახშს ეკუთვნოდა.

მასალა დაცულია საქართვ. ეროვნულ მუზეუმსა და საქართვ. ეროვნ. მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწ. მუზეუმში.

მ. სინაურიძე.

ბიბლ.: 173.

174. აკლდამები, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლიდან სამიოდე კმ-ზე,ყოღოთოსხევში,განეკუთვნება VI-VIII საუკუნეებს.

1938-1939 წლებში საქართვ. სახელმწ. მუზეუმის არქეოლ.

ექსპედიციამ (ხელმძღვ. ს. მენთეშაშვილი) აღმოაჩინა ათი აკლდამა.

აკლდამები ნაგებია რიყის ქვით. ისინი 5-7 *მ* სიგრძის ნაგებობებია ერთსაფეხურიანი კიბით, კამარიანი კარით, შესასვლელი დერეფნითა და თაღოვანი, სამარხი კამერით. ყველა აკლდამა დამხრობილია აღმ-იდან დას-ისკენ. აკლდამები კოლექტიური არაერთგზის გამოყენებული სამარხებია. მათი უმრავლესობა ადრევეა გაძარცული. აკლდამებში აღმოჩნდა ბრინჯაოს სამაჯური, მშვილდსაკინძების ნატეხები, მძივები. ერთ-ერთ აკლდამაში (საოჯახო სამარხი?) ორი მიცვალებული დაკრძალული იყო ერთმანეთის პირისპირ, თავით დას-ისკენ, ოდნავ მოხრილი კიდურებით. ერთი – მარცხ., მეორე კი – მარჯვ. გვერდზე. მათ ფერხთით ესვენა ბავშვის ჩონჩხი. აკლდამის უკან გამოვლინდა დიდი საცეცხლური საქონლის ძვლებით.

მასალა დაცულია საქართვ. ეროვნულ მუზეუმსა და საქართვ. ეროვნული მუზეუმის შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწ. მუზეუმში.

მ. სინაურიძე.

ბიბლ.: 172, 174.

175. გორანამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ჩრდ.-აღმ-ით, 5-6 *კმ*-ზე, მინდორში. განეკუთვნება ძვ. წ. II-I ათასწლეულებს.

ძ. აღმოჩენილია XX საუკუნის 60-იან წლებში კაე-ის მიერ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). ძლიერ დაზიანებულია.

ბორცვზე (დიამ. – 200 *მ*, სიმ. – 2 *მ*) ზედაპირულად აიკრიფა თიხის ჭურჭლის ნატეხები და ობსიდიანის ანატკეც-ანამტვრევები.

მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

ვ. ვარაზაშვილი.

176. გორასამარხები, არქეოლ. ძ. მდებარეობს ყოფ. მეცხოველეობის ფერმის სამხრ.-დას-ით, 300 *მ*-ზე. გათხრილი სამი გორასამარხიდან ერთი შუა ბრინჯაოს, ორი კი – გვიანდ. ბრინჯაოს ხანას განეკუთვნება.

ძ. 1965 წელს გათხარა კახეთისა და საქართვ. სახელმწ. მუზეუმის ერთობლივმა არქეოლ. ექსპედიციამ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).

შუა ბრინჯაოს ხანის გორასამარხი მიწაყრილიანია (სიმ. – 1,2 *მ*, დიამ. – 24 *მ*). მიწაყრილის ქვეშ, ცენტრში, აღმ-იდან დას-ისკენ დამხრობილი სამარხი კამერა აღმოჩნდა. გორასამარხი გაძარცულია. დანარჩენ ორ გორასამარხში გამოვლინდა წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონლის ძვლები, ცხვრის თავის რელიეფური გამოსახულებით შემკული თიხის ჭურჭელი, შუბისპირები, ბრინჯაოს ხმლების იმიტაცია.

თ. მათიაშვილი.

177. ნამოსახლარი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლიდან სამიოდე *კმ*-ზე, ყოღოთოსხევში. განეკუთვნება ახ. წ. IX-XII საუკუნეებს.

ძეგლს მიაკვლია კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).


ნამოსახლარზე მოპოვებული რკინის სასხლავი დანის ფრაგმენტი და მინის დეფორმირებული სამაჯური (წარმოების წუნი), რაც აქ მინისა და კერამ. წარმოების არსებობას მოწმობს.

ლ. მოწონელიძე.

ბიბლ.: 142, 173.

178. სამარხი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფელში „საბრალოანთ“ ეზოში. განეკუთვნება შუა ბრინჯაოს ხანის I ნახევრის დასასრულს. სამარხი იმდენად იყო დაზიანებული, რომ მისი ტიპის დადგენა ვერ მოხერხდა.

ძ. 1975 წელს აღმოჩნდა შემთხვევით, მიწის სამუშაოების დროს. შეისწავლა კაე-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). სამარხში გამოვლინდა ტუფის სარქველი და თიხის სამი ქილა, სასმისი და ბიკონუსური ჭურჭელი.



178. სამარხის ინვენტარი: თიხის ქილა (1,5,6), სასმისი (2), ტუფის სარქველი (3), ბიკონუსური ჭურჭელი (4)

ქილებიდან ორი შავპრიალაა. მათგან ერთ-ერთი დამზადებულია ქვიშის და თეთრი მინარევის შემცველი, უხეში თიხისგან. აქვს მოვარდისფრო ზედაპირი და კეცი, ყელზე შემოუყვება რელიეფური, მრგვალი სარტყელი, რ-საც ქვემოთ ნაცრისფერი ხაზი გასდევს. მასზე ნაპრიალები, წვრილი ხაზებით რომბებია დატანილი. ჭურჭლის მხარზე და მუცელზე ასეთივე რომბებით შევსებული, ნაცრისფერი ხაზებით შექმნილი სარტყელია. მათ შორის ჩასმულია მსგავსად შესრულებული, სამ-სამი ირიბი და რელიეფური, ვერტ. ხაზი. მეორე ქილა ორყურაა შავპრიალა. შემკულია უხეშად შესრულებული, ამოკაწრული ორნამენტით: ბადისებრი ხაზებით შევსებული სარტყელი და მასზე ფუძით მიბჯენილი, ერთმანეთში ჩახაზული სამკუთხედები – შუა სამკუთხედები შევსებულია შვეული და ირიბი ხაზებით. სამკუთხედებს ძირში ამოღარული, ტეხილი ხაზი შემოსდევს. მესამე ქილა ასიმეტრიულია, დამზადებულია ქვიშისა და თეთრი მინარევის შემცველი თიხისგან. გამომწვარია მოწითალო-მოყავისფროდ და აქვს პრიალა ზედაპირი.

სასმისი და ბიკონუსური ჭურჭელი უხეში თიხისგანაა დამზადებული. სასმისი პირფართოა, გამომწვარია მოწითალო-მონაცრისფროდ. ბიკონუსური ჭურჭელი გამომწვარია შავად. იგი უხეში და ხორკლიანია.

მასალა ინახება სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

რ. რუსიშვილი.

ბიბლ.: 159.

ᲬᲜᲝᲠᲘ

179. ᲬᲜᲝᲠᲘ, ქალაქი, 1938 წლამდე საქობოსუბანი. 1965 წლიდან ქალაქი, საქალაქო მუნიციპ-ის ცენტრი. თბილის-წნორის სარკინიგზო ხაზის ბოლო პუნქტი. მასთანაა შეერთებული სოფლები: ასანური, კვენაკელი.

მდებარეობს ალაზნის ვაკეზე. ზ. დ. 294 მ-ზე. 1926 წელს წნორში სულ 90 კომლი ცხოვრობდა. 2014 წლის აღწერის თანახმად, მოსახლეობის რ-ბა შეადგენს 4814 კაცს.

ქალაქში მოქმედებს: საზ. ცენტრი, რ-ის მიზანია ადგილ. მოსახლეობისათვის სახელმწ. სერვისების ადგილზე ხელმისაწვდომობის გაზრდა; „მაგთიკომის“ და „ლიბერთიბანკის“ ფილიალები. მოსახლეობას შეუძლია 24 საათიანი უკაბელო, უფასო ინტერნეტით სარგებლობა. ცენტრში ახალგაზრდობისათვის მოწყობილია უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ბ-კა, სადაც ბეჭდურ გამოცემებთან ერთად ელექტრონული წიგნებიცაა. ფუნქციონირებს „ნოვაციური სერვისების ლაბორატორია, რ-იც ორგანიზაციებს ეხმარება ახ. და ინოვაციური სერვისების შემუშავებასა და დანერგვაში“. ქალაქში არის პურპროდუქტების საწარმო, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი სამაცივრე მეურნეობა (შპს „ხორნაბუჯი“), რძისა და კარაქის, ლუდისა და ლიმონათის ქარხნები და ღვინის კომბინატები, მეცხოველეობის კომპლექსი, მეფრინველეობის ფაბრიკა, სანერგე მეურნეობა, საჯარო და სამუსიკო სკოლები, კულტურის სახლი (ფუნქციონირებს 1926 წლიდან), გახსნილია სასწრაფო სამედ. დახმარების ახ. ცენტრი. მოქმედებს მოხუცთა თავშესაფარი. ფუნქციონირებს საზოგად. ორგანიზაციები: „მწვანე აკადემია“ და „სამოქალაქო ინიციატივა“, ქორეოგრაფიული ანსამბლი „ქიზიყი“.



179. საერთო ხედი სამხრ.-დას.-იდან

ლ. მოწონელიძე.

ბიბლ.: 263.

ᲬᲜᲝᲠᲘᲡ ᲧᲝᲠᲬᲚᲐᲜᲔᲑᲘ, იხ. ალაზნის ველის არქეოლოგიური ძეგლები.

ᲭᲝᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲮᲘ, იხ. სოფ. ნუკრიანი.

ᲮᲘᲠᲡᲐ

(ქვემო მაჩხაანის თემი)

180. ᲒᲝᲠᲐᲡᲐᲛᲐᲠᲮᲘ, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის აღმ. განაპირას. განეკუთვნება ძვ. წ. IV-III ათასწლეულების მიჯნას.

ძ. 1962 წელს აღმოაჩინა და გათხარა კპემ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური).

გორასამარხი ორმოიანი ყოფილა, ოთხკუთხა, დასაკრძალავი კამერით (სიგრ. – 1,30 *მ*, სიგ. – 1,10 *მ*). კამერის კედლები რიყის წვრილი ქვით, მშრალი წყობით იყო ამოშენებული. ასევითვე ქვით ყოფილა მოგებული იატაკიც.

სამარხში აღმოჩნდა დაზიანებული ჩონჩხი. მიცვალებული ესვენა მარცხ. გვერდზე, ძლიერ მოხრილი კიდურებით, თავით ჩრდ.-დას-ით. სამარხში იყო აგრეთვე ორი ხარის თავის ქალა. ერთ-ერთს შუბლის ძვალი ჰქონდა გახვრეტილი (სავარაუდოდ ეს დაკავშირებული უნდა იყოს გარკვეულ რიტუალთან). სამარხის ჩრდ.-აღმ. კუთხეში ეწყო ცხვრის ჩაშლილი თავის ქალა და ფეხის რამდენიმე ძვალი. მიცვალებულის წინ ელაგა თიხის ორი ჭურჭელი. ერთი მათგანი ორყურა ბადიაა – ოდნავ პირგაშლილი, დაბალი ყელით და ბრტყელი ძირით. პირთან სიმეტრიულად ორი ყური აქვს მიძერწილი. მეორეც ორყურიანი, ოდნავ პირგაშლილი ჭურჭელია. აქვს მაღალი ყელი და ოდნავ შეზნექილი ძირი. აქვე აღმოჩნდა კაჟის მოკლეყუნწიანი ისრისპირი, ბადიის პირ-გვერდის ორი ნატეხი და ხელსაფქვავის ერთი ფრაგმენტი.

მასალა დაცულია საქართვ. ეროვნ. მუზეუმის გურჯაანის ისტ.-ეთნ. საცავში.

რ. რუსიშვილი.

ბიბლ.: 188, 287.

181. კერამიკული სახელოსნო, არქეოლ. ძ. მდებარეობს ყოღოთოსხევის მარცხ. ნაპირიდან დას-ით, ვენახის დამცავი თხრილის გაყოლებით, 280 მ-ის მანძილზე. განეკუთვნება ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევარს.

ძ. 1960-იან წლებში გათხარა კაპ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). გაითხარა 2 ქურა და 6 სანაცრე ორმო.

ვენახის დამცავი თხრილის გაჭრისას, დადასტურდა სამეთუნეო სახელოსნო, რ-ის ტერიტორიაზე, თხრილის ჭრილში, სხვადასხვა სიღრმეზე, სათანადო კულტ. ფენითა და მოედნით ორმოცდაათამდე სამეთუნეო ქურა დაფიქსირდა. ჩრდ-იდან სამხრ-ისაკენ დამხრობილი ქურები ერთიმეორის გვერდით ერთ ხაზზე იყო განლაგებული. მათი სანაცრე ორმოები კი – უფრო დაბალ ფერდზე. ერთ-ერთი ქურა გაითხარა სამეთუნეო უბნის ცენტრალურ ნაწილში, მიწის ზედაპირიდან 0,25 მ-ის სიღრმეზე. ქურას აკლდა ზედა ნაწილი, სადაც უშუალოდ ხდებოდა ჭურჭლის გამოწვა. შემორჩენილი იყო მისი მრგვალი, დამრეცკედლებიანი საცეცხლფარეშე – სანაცრე ორმო (დიამ. – 2,30 მ), რ-იც საცეცხლე არხის სახით (სიგრ. – 2,10 მ, სიგ. – 0,50 მ, სიმ. – 0,80 მ) სამხრ-ით გრძელდებოდა. საცეცხლე არხს ორივე კედელთან, სანაცრე ორმოს მხრიდან, თითო რიყის ქვა ჰქონდა აყუდებული (სავარაუდოა, რომ აქედან იტვირთებოდა ღუმელი და აქედანვე გაჰქონდათ ნაცარი). საცეცხლე არხი მიმართულია ჩრდ-იდან სამხრ-ისკენ. სანაცრე ორმოსთან არხი ღრმაა და თანდათან კლებულობს სიმაღლეში სამხრ-ით, სადაც მას, წესისამებრ, საკვამლე მილი უნდა ჰქონოდა (არ შემორჩენილა). საცეცხლე არხის დას. კედელზე ნალესობის სამი ფენაა, რაც ღუმლის სამჯერ განახლებაზე უნდა მიუთითებდეს. დას. კედლის ზედა ნაწილი მომრგვალებულ კუთხეს ქმნის, დას-ითაა გადალესილი და თაროსებრად, ჰორიზონტალურად მიემართება; აღმ. კედლის ქვედა ნაწილი ვერტიკალურად დაყენებული მოგრძო, ოვალური მოყვანილობის, შუაში ღარიანი და ზურგამობურცული კერამ. „კვერებითაა“ ნაგები. ზედა ნაწილი, დას. კედლის მსგავსად, შელესილია და მომრგვალებული. საცეცხლე არხში, სანაცრე-საცეცხლფარეშე ორმოში და ზოგადად ქურის მახლობლად, დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ბათქაშის ფრაგმენტები. ქურის კედლები მიწის ზედაპირზე იყო ამოყვანილი. ისინი უმეტესწილად ორივე მხრიდან თიხით იყო შელესილი.

ქურის გაწმენდის დროს, იატაკზე და საცეცხლურში, დიდი რაოდენობით აღმოჩნდა როგორც უხეშკეციანი, მთლიანად კონცენტრული ღარებით დაფარული ქოთნები და ქვაბქოთნები, ისე კარგად განლექილი, წმინდა სილანარევი თიხისაგან დამზადებული ჯამ-ლანგრები და კათხები. მათი ზედაპირი მოგლუვებულია, შემკულია ნაპრიალები, გეომეტრიული ორნამენტით.

სამეთუნეო უბნის გათხრებისას აღმოჩნდა სვასტიკის გამოსახულებიანი თიხის საბეჭდავი.

რ. რუსიშვილი.

ბიბლ.: 1, 28, 188, 203, 242, 247.

182. ნათლისმცემლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ჩრდ. განაპირას, სასაფლაოზე. არქიტ. ნიშნებით თარიღდება XVIII საუკუნით.

ეკლ. დარბაზულია (10,2x6,2 მ), ნაგებია რიყის ქვითა და კვადრ. აგურით (19x19x4/22x22x4 სმ). გარეთა კედლების წყობა ძირითადად რიყის ქვისაა, რ-შიც აგურის ორი რიგისგან შედგენილი, ერთმანეთისგან თანაბარი ინტერვალებით დაცილებული, ჰორიზ. შრეებია ჩართული. ინტერიერი მოგვიანებით შეულესავთ და შეუთეთრებიათ. შელესილია ეკლესიის ფასადებიც.

შესასვლელი ორია: დას-ით და სამხრ-ით. ორივე კარის წირთხლები შირიმითაა ამოყვანილი. წყობაში, გარკვეული ინტერვალებით, აგურის ორ-ორი რიგია ჩართული. შიგნით ორივე კარს ფიცრული გადახურვა აქვს. დას. კარს, გარედან, მოზრდილი საფლავის ქვა ხურავს, სამხრ-ისას კი – ტლანქად დამუშავებული ქვიშაქვის ფილა.

ეკლესიის აფსიდი დარბაზისაგან ორსაფეხურიანი მხრებითაა გამოყოფილი. იგი ღრმაა და გეგმით ბოლოებდაგრძელებული ნახევარწრის ფორმა აქვს. აფსიდის ღერძზე თაღოვანი სარკმელია (გადაკეთებულია) გაჭრილი, ჩრდ. გვერდში კი თაღოვანი ნიშაა მოწყობილი.

აფსიდი გადახურულია ტლანქად გამოყვანილი, ამორფული კონქით. მოგვიანებით საკურთხეველი დარბაზისაგან ფიცრული ტიხრით (შემორჩენილია კვალი) გაუმიჯნავთ. ტიხრის ჩრდ. კიდეში შესასვლელი მოუწყვიათ, რის გამოც აფსიდის ჩრდ. კუთხის და გვერდის ნაწილი (იატაკიდან დაახლ. 2 *მ* სიმაღლეზე) მოუნგრევიათ. ამავე დროს სამხრ. კედლის აღმ. კიდეში, დაახლ. 1 *მ* სიმაღლის, აგურის ოთხწახნაგა ნაგებობა (ხატის დასაბრძანებლად?) აუგიათ.

საკურთხევლის სარკმლის გარდა, ინტერიერს კიდევ სამი თაღოვანი სარკმელი აშუქებს. მათგან თითო-თითო, გრძივი კედლების აღმ. ნაწილშია, ერთმანეთის მოპირდაპირედ, ერთი – დას. კედელში. შიგნით ეკლ. გადახურულია შეისრული კამარით, რ-იც ორ შეისრულ, საბჯენ თაღს ეყრდნობა.

ფასადებზე კედლები გვიანდ. ნალესობითაა დაფარული. თავდაპირველი წყობა მხოლოდ იმ ადგილებში მოჩანს, სადაც ნალესობა ჩამოცვენილია. შეკეთების დროს, სახურავის აღდგენისას, ორივე ფრონტონი აგურის წყობით ოდნავ აუმაღლებიათ, რამაც ფრონტონის გვერდების დახრილობა შეცვალა. ამავე დროს ეკლესიის დას. კედელზე დაუდგამთ აგურით ნაშენი, ვიწრო, რვაწახნაგა სამრეკლო, რ-იც რვა ვიწრო თაღითაა გახსნილი და აგურის რვაწახნაგოვანი, პირამიდული სახურავითაა გადახურული.

ეკლესიის ჩრდ.-აღმ-ით, დაახლ. 10 *მ* მანძილზე, მოზრდილი ზომის რიყის ქვით ნაგები კედლის ნაწილია შემორჩენილი (ძვ. ეკლესიის ნაშთი?).

თ. დვალი.

183. სამაროვანი, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის მახლობლად, ყოღოთოსხევის მარცხ. მხარეს, კერამ. სახელოსნოს დას-ით, 100 *მ*-ზე. თარიღდება ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულითა და ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებით.

1961-1962 წლებში ᲝᲐᲔ ინ-ტის მცხეთის არქეოლ. ექსპედიციის კახეთის რაზმმა (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური) სამაროვანზე მცირე, დაზვერვითი ხასიათის გათხრები ჩაატარა. გათხრები 1974 წელს გააგრძელა ᲙᲐᲔ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური). სამაროვანი დაზიანებული იყო მიწის სამუშაოების გამო. ზოგან სამარხებზე კერამ. ქურები იყო გამართული. სამაროვანზე ორმოსსამარხები სამ იარუსად იყო განლაგებული. ორმოსამარხები დამხრობილი იყო ჩრდ.-სამხრ. ხაზზე. მიცვალებულები ესვენა მარცხ. ან მარჯვ. გვერდზე, თავით ჩრდ-ით. სამარხებში ძირითადად გამოვლინდა თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები და ბრინჯაოს სამკაულები (კილიტები, სამაჯურები), აღმოჩნდა ბრინჯაოს მახვილი და სარტყლის ფრაგმენტები, რ-ებზეც გამოსახულია ფანტასტიკური ცხოველური და გეომეტრიული სახეები.

სამაროვანზე აღმოჩენილი თიხის ჭურჭელი სამეთუნეო უბანზე აღმოჩენილი ჭურჭლის მსგავსია.

სამაროვნიდან სამხრ-ით, 200-300 *მ*-ის დაშორებით, მაღლობზე, შემორჩენილია სამაროვნისვე თანადროული ნასახლარი.

რ. რუსიშვილი.

ბიბლ.: 185, 188, 287, 288.

ხირსის მონასტერი, იხ. სოფ. ტიბაანი, სტეფანწმინდის მონასტერი.

ხრამეების გორასამარხი, იხ. სოფ. ნუკრიანი.

ჯუგაანი

(თემის ცენტრი)

184. სასახლე, არქეოლ. ძ. მდებარეობს სოფლის ქვემოთ, ჩრდ.-აღმ-ით, ქუმბათად წოდებულ ადგილში. განეკუთვნება ძვ.წ. I ათასწლეულის შუა ხანებს.

1973 წელს მიწის სამუშაოების წარმოებისას, შემთხვევით აღმოჩნდა ლოტოსის ფოთლის გამოსახულებით შემკული ქვის სვეტის ბაზები. სვეტის ძირების დიამეტრის მიხედვით, სვეტების სიმ. 8 *მ*-ზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. 1978-1979 წლებში ᲙᲐᲔ-მ (ხელმძღვ. კ. ფიცხელაური) ჩაატარა მცირე, გათხრითი სამუშაოები. 1994-1995 წლებში ძეგლზე მუშაობდა ᲙᲐᲔ-ისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქ. ჰალეს მარტინ ლუთერის სახელობის უნ-ტის ერთობლივი ექსპედიცია (ხელმძღვანელები: კ. ფიცხელაური, ა. ფუტვენგლერი). გათხრების შედეგად დაფიქსირდა ალიზით ნაგები, ძლიერ დაზიანებული შენობის კედლის (სიგ. – 1,90 *მ*, სიმ. – 0,40 *მ*) ნაწილი. სავარაუდოდ შენობა წარმოადგენდა სახელმწ. მოხელის სასახლეს, რ-საც პარალელები სპარსეთის აქემენიდურ არქიტექტურაში ეძებნება. ძეგლს რამდენიმე პარალელი სამხრ. კავკასიაშიც მოეპოვება (სარი-თეფეს, ყარაჯამირლის და ბენიამინის კომპლექსები).

ლ. ჭაბაშვილი.

ბიბლ.: 316, 342.


185. ძელიცხოვლის ეკლესია, არქიტ. ძ. დგას სოფლის ზედა ნაწილში, ცუდანაანთ უბანში, ძველ, ამჟამად გაუქმებულ სასაფლაოს ტერიტორიაზე. სავარაუდოდ, განეკუთვნება XVIII საუკუნეს.

ეკლ. დარბაზულია (16,8x8,3 *მ*). ნაგებია რიყის ქვითა და „ქართული“, კვადრ. აგურით. კედლები ძირითადად რიყის ქვისაა. კამარა, საბჯენი თაღები, კარ-სარკმლების ღიობები და გარეთა კუთხეების მნიშვნელოვანი ნაწილი აგურისაა. შიგნით ეკლ. შელესილია.

შესასვლელები სამხრ-იდან და დას-იდანაა. ორივე შესასვლელი გარედან შეისრული

თაღითაა გადახურული, შიგნით კი სწორკუთხაა.

ეკლესიის ვრცელი, შიდა სივრცე აღმ-ით დასრულებულია ნახევარწრიული აფსიდით, რ-ის ღერძზე, იატაკიდან ორიოდე *მ* სიმაღლეზე, თაღოვანი სარკმელია გაჭრილი. აფსიდში სამი თაღოვანი ნიშაა. ორი მათგანი ჩრდ-ითაა, ერთი – სამხრ-ით. ამ უკანასკნელის გარდა, აფსიდის სამხრ. გვერდში კიდევ ერთი პატარა, სწორკუთხა ნიშაა, რ-იც სავარაუდოდ სამალავს წარმოადგენდა. იგი დანარჩენ ნიშებთან შედარებით, ოდნავ ზევითაა „ატანილი“, კედლის სიღრმეში მიმართულებას იცვლის და აღმ-ით გრძელდება.




185. გეგმა

დარბაზის გრძივი კედლები და კამარა, ორ-ორი ორსაფეხურიანი პილასტრითა და მათზე გადაყვანილი საბჯენი თაღით დანაწევრებულია სამ თანაბარ ნაწილად. ამ პილასტრების გარდა, პილასტრების კიდევ ორი წყვილია: ერთი – დას. კედელთანაა, მეორე კი – აფსიდთან. ეს უკანასკნელი, შესაბამის საბჯენ თაღთან ერთად, საკურთხეველს დარბაზისგან გამოყოფს. პილასტრები დასრულებულია აგურით გამოყვანილი, მაღალი, ორსაფეხურიანი, თაროსებრი კაპიტელით. პილასტრებს შორის, გრძივი კედლების ქვედა ნაწილში, გამოყვანილია თითო და მეორე თაღებში. დას. სარკმელი ხის ძელებით თარაზულადაა გადახურული, დანარჩენები კი, შიგნით და გარედან, ნახევარწრიული თაღით.

ფასადები სადაა. ზოგადი გადაწყვეტით მოპირდაპირე ფასადები ერთმანეთს იმეორებს. საშენი მასალის შემადგენლობით, შენების ტექნიკითა და ხასიათით – ეკლ. სავსებით ტრადიციულია. პირველი, რაც ცხადად ჩანს ისაა, რომ საშენი მასალა კარგადაა შერჩეული, წყობის ჰორიზონტალურობაც ყველა ფასადზე მკაცრადაა დაცული, რაც ეკლესიის ამგების მაღალ პროფესიულ დონეს და კარგ გემოვნებას მოწმობს.

აღმ. ფასადის ქვედა ნახევარი რიყის ქვისაა, ზედა ნახევარი კი აგურისა და რიყის ქვის შერეული წყობითაა ნაგები, რ-შიც რიყის ქვითა და ირიბად დაწყობილი აგურით გამოყვანილი, თარაზული რიგები ენაცვლება ერთმანეთს. ფასადის ღერძზე განიერი, ნახევარწრიულთაღოვანი სარკმელია, რ-ის ასწვრივ, ფრონტონის არეში, გამოსახულია მრავალსაფეხურიან პოსტამენტზე დაყრდნობილი ჯვარი. ჯვრის ორივე მხარეს, კონქისზედა სივრცის გასანათებლად, თითო მრგვალი სარკმელია.

დას. ფასადის ზედა ნახევარი, აღმ. ფასადისაგან განსხვავებით, მთლიანად აგურისაა. ქვედა ნახევარი კი რიყის ქვის, რ-შიც, აქა-იქ, ჩართულია ირიბად დაწყობილი ნატეხი აგურებით გამოყვანილი, ორი თარაზ-



185. გრძივი ჭრილი. ხედი სამხრ-კენ



185. ხედი დას-იდან

ული ზოლი. ფასადის ღერძზე განიერი კარია. კარის ზღურბლი მიწიდან ოცდაათიოდე *სმ*-ით მაღლაა, რის გამოც მის წინ მოწყობილია ორი საფეხურით შემაღლებული, კვადრ. ბაქანი (მსგავსი ბაქანია მოწყობილი სამხრ. შესასვლელის წინაც). დას. შესასვლელის ზემოთ, მცირე ზომის თაღოვანი ნიშაა. ნიშის ზემოთ კი – განიერი, თარაზულად გადახურული სარკმელი, რ-ის გვერდები ცენრტისკენაა დახრილი. სარკმლის ზემოთ, ფრონტონის არეში, შეღრმავებული ჯვრის გამოსახულებაა.

სამხრ. და ჩრდ. ფასადები, წყობის ხასიათით, ერთგვაროვანია. კედლების ქვედა ნაწილი ამ ფასადებზეც რიყის ქვისაა, ზედა ნაწილი კი ირიბად დაწყობილი აგურისა და რიყის ქვის თითო რიგით შედგენილი, თარაზული ზოლების მონაცვლეობითაა გამოყვანილი. ეკლესიის განივი ფასადების შუაწელზე, მაღალი, დეკორატ. ზოლია, რ-იც შედგენილია ფეხზე დაყენებული, თანაბარი ინტერვალებით განლაგებული ორ-ორი აგურით.

ფასადები დაგვირგვინებულია აგურის სამსაფეხურიანი ლავგარდნით.

სახურავი ორფერდაა, დაბურულია ღარისებრი კრამიტით.

ეკლესიის სახურავის კეხის დას. კიდეში, აგურის კვადრ. ბაქანზე, დადგმულია აგურისავე რვაწახნაგა სამრეკლო, რ-იც ლილვისებრი სარტყლით სიმაღლეში, ორ არათანაბარ ნაწილადაა გაყოფილი. მათგან ქვედა, შედარებით უფრო დაბალი ნაწილი, ყრუა. აქ, თითოეულ წახნაგზე, გვერდიგვერდ, ორ-ორი შეღრმავებული რომბია გამოსახული. სამრეკლოს ზედა ნაწილის თითოეული წახნაგის ღერძზე კი ვიწრო, ნახევარწრიულთაღოვანი ღიობია. სამრეკლო დასრულებულია თაროსებრი ლავგარდნით და აგურის პირამიდისებრი სახურავი ხურავს.

2000-იანი წლების დასაწყისში ადგილობრივმა მოსახლეობამ ეკლ. გაარემონტა და გარედან შეღესა. 2016 წელს, საქართვ. ისტ. ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით ეკლესიას ჩაუტარდა სარესტ. სამუშაოები (პროექტის ავტორი, არქიტ. რ. შაშვიაშვილი). სამუშაოებს აწარმოებდა წმ. სტეფანე ხირსელის მამათა მონასტრის აღორძინების კავშირი): ფასადები მთლიანად გაიწმინდა ნალესობისგან, კეთილმოეწყო ეკლესიის მიმდებარე ტერიტ., ეკლესიის აღმ-ით აშენდა საეკლესიო დანიშნულების შენობა.

თ. დვალი.



ონანაური (I.043). „ჭრელი საყდარი“. ინტერიერი. მოხატულობის ფრაგმენტი

ბიბლიოგრაფია

1. აბდუშელიშვილი მ.,ხირსისარქეოლოგიური კომპლექსი. – ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი კახეთის სიძველეთა შესწავლისა და დაცვისადმი (მოხსენებათა მოკლე შინაარსები), ყვარელი, 1977.
2. აბესაძე ნ., ხელოსნური წარმოება და ხელოსანთა ყოფა საქართველოს ქალაქებში, თბ., 1986.
3. აბრამიშვილი რ., რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. – *ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე,* 1961, ტ. XXII.
4. ამირანაშვილი შ., ტურიზმი და მატერიალური კულტურის ძეგლები, თბ., 2019.
5. ამირანაშვილი შ., ქართული ხელოვნების ისტორია, თბ., 1961.
6. არჩილი, გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა. – წგ.: ქართული მწერლობა, ტ. VI, თბ., 1989.
7. ასათიანი ნ.,საადგილმამულო ურთიერთობისა და სათავადოების არსებობის საკითხისათვის XVI-XVII საუკუნეების კახეთის სამეფოში. – *თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები,* ტ. 77, თბ., 1959.
8. ასათიანი ნ., ფეოდალურ საქართველოში კლასობრივი ბრძოლის ისტორიიდან. – *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე,* 1959, ტ. 23, №2.
9. აფაქიძე ა., ბერძენიშვილი ნ., გობეჯიშვილი გ.,კალანდაძე ა., ლომთათიძე გ., ჯაფარიძე ო., ხოშტარია ნ., საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959.
10. აფრასიძე გ., საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქები (XI-XIII სს.), თბ., 1984.
11. ბაგრატ ბაგრატიონი, ახალი მოთხრობა (თ. ლომოურის გამოც.), თბ., 1941.
12. ბარნაველი თ.,კახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1962.
13. ბაქრაძე ა., ბოლქვაძე ს., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების კატალოგი, თბ., 1953.
14. ბეგიაშვილი ლ., სიღნაღი, გზამკვლევი, თბ., 1982.
15. ბერიძე ვ., XVI-XVIII საუკუნეების ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება, თბ., 1994.
16. ბერიძე ვ., XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, ტ. 1, თბ., 1983.
17. ბერიძე ვ.ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, ტ. I-II, თბ., 2014.
18. ბერიძე ვ., ძველი ქართული ქალაქები, თბ., 1977.
19. ბერიძე ვ.,ძველი ქართული ხუროთმოძღვრება, თბ., 1974.
20. ბერძენიშვილი ნ.,აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან (მოკლე პოლიტიკური ცნობა). – *მიმომხილველი,* ტ. 3, თბ., 1953.
21. ბერძენიშვილი ნ., სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში. – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. VI, თბ., 1937.
22. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ.:
    ა) წგ. 1, 1964;
    ბ) წგ. 2, 1965;
    გ) წგ. 3, 1966;
    დ) წგ. 4, 1967;
    ე) წგ. 5, 1971;
    ვ) წგ. 6, 1973;
    ზ) წგ. 7, 1974;
    თ) წგ. 8, 1975;
    ი) წგ. 9, 1979.
23. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის (დ. ბერძენიშვილის რედაქტორობით), თბ., 1990.
24. ბერძენიშვილი ნ., ფეოდალური ურთიერთობებიდან XV საუკუნეში. – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I, თბ., 1937.
25. ბერძენიშვილი ნ., დონდუა ვ., დუმბაძე მ., მელიქიშვილი გ., მესხია შ., რატიანი პ., საქართველოს ისტორია, თბ., 1958.
26. ბერძენიშვილი ნ., ჯავახიშვილი ივ., ჯანაშია ს., საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე), ნაწ. I, თბ., 1946.
27. ბოლშევიკური ორგანიზაციები და რევოლუციური მოძრაობა საქართველოში (მნიშვნელოვან მოვლენათა მატიანე, 1883-1921 წწ.), თბ., 1974.
28. ბოჭორიშვილი ლ.,ქართული კერამიკა, ტ. I, თბ., 1949.
29. ბუგიანიშვილი თ., გარე კახეთის ზეგნის ქვედა პალეოლითის ხანის ძეგლები. – *მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის,* ტ. VIII, თბ., 1979.

30. ბ უ გ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი თ., ქვედა პალეოლითი, საქართველოს არქეოლოგია, I, თბ., 1991.
31. ბ უ გ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი თ., ქვედა პალეოლითის ხანის ახალი მასალები კახეთიდან. – *მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის*, ტ. VI, თბ., 1974.
32. ბ უ გ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი თ., ქვის ხანის ძეგლები კახეთში. – გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის III გაერთიანებული სამეცნიერო სესია (მოხსენებათა მოკლე შინაარსები), თბ., 1971.
33. ბ უ გ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი თ., დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი შ., ფ ი ც ხ ე ლ ა უ რ ი კ., რ ა მ ი შ ვ ი ლ ი რ., უ ზ უ ნ ა შ ვ ი ლ ი მ., ჩ ი კ ო ი ძ ე ც. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის 1968 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიებისადმი მიძღვნილი XVIII სამეცნიერო სესია (მოხსენებათა მოკლე შინაარსები), თბ., 1969.
34. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი ვ., ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, თბ., 1958.
35. გ ა გ ო შ ი ძ ე გ., ქოჩალოს ეკლესიის წარწერა. – ჟურნ.: *ონლაინ არქეოლოგია*, 2019, № 15.
36. გ ე ლ ა შ ვ ი ლ ი ა., კახეთის 1812 წლის აჯანყება, თბ., 2003.
37. გ ვ ა რ ა ძ ე ნ., თეატრალური მემუარები, თბ., 1949.
38. გ ვ ა ს ა ლ ი ა ჯ.,აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1983.
39. გ ვ ა ს ა ლ ი ა ჯ.,კახეთის ქალაქების ისტორიული გეოგრაფიისათვის (ყარაღაჯი, სიღნაღი). – *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე* (ისტორიის,არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1986, №1.
40. გ ვ ე ლ ე ს ი ა ნ ი გ.გ.არეკახეთის ზოგადი ეკონომიკური გეოგრაფიული დახასიათება. – *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები*, 1955, ტ. 7.
41. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი დ., ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. 1, თბ., 1962.
42. გ ი ო რ გ ი ძ ე მ.,მაჭის ციხე,ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა. – *საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს სამეცნიერო შრომების წელიწდეული*, I, თბ., 1995.
43. გ ი უ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ი.,მოგზაურობა საქართველოში (გ. გელაშვილის გამოც.), თბ.:
    ა) ტ. 1, 1962;
    ბ) ტ. 2, 1964.
44. გ ო ი ლ ა ძ ე ვ., ამიერკავკასიაში სასანიანთა მმართველობის ასახვა ქართულ საისტორიო ტრადიციაში. – *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე* (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1982, № 4.
45. გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე ფ ა რ ს ა დ ა ნ , საქართველოს ისტორია (ს. კაკაბაძის გამოც.). – *საისტორიო მოამბე*, 1925, ტ. 2.
46. გ უ ლ ი ს ა შ ვ ი ლ ი ალ., ნინოწმინდა. – *დროება*, 1884, № 225 (28 ოქტომბერი).
47. გ უ ლ ი ს ა შ ვ ი ლ ი ალ., წმინდა ნინოს ხატის შესახებ. – *დროება*, 1902, № 225 (8 ოქტომბერი).
48. გ უ ლ ი ს ა შ ვ ი ლ ი ალ., წმინდა ნინოს ხატის შესახებ. – *ივერია*, 1902, № 151 (26 თებერვალი).
49. გ უ ნ ი ა ირ., საქართველოს მონასტრები, ენციკლოპედიური ცნობარი, თბ., 2005.
50. დ ა ვ ი თ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი , ახალი ისტორია (თ. ლომოურის გამოცემა), თბ., 1941.
51. დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი შ., ადრე და შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლები. – *კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები*, ტ. 1, თბ., 1969.
52. დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი შ., 1964 წლის კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის დაზვერვითი სამუშაოების შედეგები. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის XIV სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1964 წლის საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი (მოკლე ანგარიშები), თბ., 1965.
53. დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი შ., აღმოსავლეთ საქართველოს ენეოლითის საკითხისათვის. – გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის III გაერთიანებული სამეცნიერო სესია (მოხსენებათა მოკლე შინაარსები), თბ., 1971.
54. დ ე დ ა ბ რ ი შ ვ ი ლ ი შ., ბრინჯაოს ხანის ადრეული ძეგლები კახეთიდან. – გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის გაერთიანებული I სამეცნიერო სესია (სამუშაო გეგმა და მოხსენებათა თეზისები), თბ., 1965.

55. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან II, ბატონყმური ურთიერთობა (XVII-XIX სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1953.
56. დუმბაძე მ., აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან, თბ., 1953.
57. ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება. – წგ.: ქართლის ცხოვრება (ს. ყაუხჩიშვილის გამოც.), ტ. 2, თბ., 1959.
58. ედილი ზ., საინგილო, თბ., 1947.
59. ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ (გერმანულიდან თარგმნა, შენიშვნები და საძიებელი დაურთო გ. გელაშვილმა), თბ., 2005.
60. ელიზბარაშვილი ი., ქართული ორნავიანი ეკლესიების გენეზისისა და ლიტურგიკულ-ფუნქციური დატვირთვის შესახებ. – ჟურნ. Akademia, 2001, 2.
61. ელიზბარაშვილი ი., სურამელაშვილი მ., ჩაჩხუნაშვილი ც., ჭურღულია ხ., არქიტექტურის რესტავრაცია საქართველოში, თბ., 2012.
62. ეძგვერაძე ლ., მუშკუდიანი გ., საქართველოს ეკლესია-მონასტერთა აღწერილობანი (XIX-XX სს. დასაწყისი). – *ანალები* 2002, №2.
63. ვარაზაშვილი ვ., მდ. ივრის ზეგნის კატაკომბური სამარხების დათარიღებისათვის. – ჟურნ.: *ამირანი*, XIX, მონრეალი-თბილისი, 2008.
64. ვარაზაშვილი ვ., ნამოსახლარი „დამწვარი გორა“, 1980 წლის საველე მუშაობის შედეგები. – *კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები*, ტ. 6, თბ., 1984.
65. ვარაზაშვილი ვ., ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანების მასალები იორალაზნის აუზიდან. – *კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები*, ტ. 4, თბ., 1980.
66. ვარაზაშვილი ვ., წითელგორების № 3 ნამოსახლარი. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი კახეთის სიძველეთა შესწავლისა და დაცვისათვის (მოხსენებათა მოკლე შინაარსი), ყვარელი, 1977.
67. ვახტანგ ბატონიშვილი, ისტორიები აღწერა (ს. კაკაბაძის გამოც.), ტფ., 1914.
68. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. – წგ.: ქართლის ცხოვრება (ს. ყაუხჩიშვილის გამოც.), ტ. IV, თბ., 1973.
69. ზამბახიძე ვ., ილია ნაკაშიძე, თბ., 1970.
70. ზაქარაია პ., კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობანი, თბ., 1962.
71. ზაქარაია პ., საქართველოს საერო ხუროთმოძღვრების ძეგლები, თბ., 1960.
72. ზაქარაია პ., საქართველოს ძველი ქალაქები და ციხეები, თბ., 1973.
73. ზაქარაია პ., საქართველოს ძველი ციხესიმაგრეები, თბ., 1988.
74. ზაქარაია პ.,ქართულ ციხესიმაგრეთა ისტორია უძველესი დროიდან XVIII ს-ის ბოლომდე, თბ., 2002.
75. თაყაიშვილი ე., არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წგ. 1, ტფ., 1907.
76. თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და საძიებლები დაურთო ლ. მიქიაშვილმა), თბ., 1983.
77. თეიმურაზ ბაგრატიონი, დავით ბაგრატიონის ისტორია (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ), თბ., 1972.
78. თოდრია თ., ქიზიყის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები. – *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული*, ტ. VI, თბ., 1982.
79. თოლორდავა ვ., ანტიკური ხანის სამარხები სოფ. ულიანოვკიდან. – კრ.: საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, I, თბ., 1978.
80. თოფჩიშვილი რ., აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა მიგრაცია XVII-XX სს-ში, თბ., 1984.
81. იარალი მ., სიღნაღის სახალხო თეატრი, თბ., 1972.
82. იოანე ბაგრატიონი, ახალი ისტორია, თბ., 1986.
83. იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა (ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა), თბ., 1986.
84. იოანე ბაგრატიონი შემოკლებითი აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, თბ., 1997.

85. იოსელიანი პ., ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა (ა. გაწერელიას რედაქციით), თბ., 1978.
86. კაკაბაძე ს., ვახტანგ გორგასალი და მისი ხანა, თბ., 1994.
87. კაკაბაძე ს., ისტორიული საბუთები, ტფ.:
    ა) წგ. II, 1913;
    ბ) წგ. V, 1913.
88. კაკაბაძე ს., საქართველოს ისტორია. ახალი საუკუნეების ეპოქა (1500-1810 წწ.), ტფ., 1922.
89. კაკაბაძე ს.,ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები. – საისტორიო მოამბე, I, თბ., 1924.
90. კაკაბაძე ს., წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, ტ. 1, თბ., 1924.
91. კაპანაძე დ., ზარაფხანათა და მონეტების გამომშვები ცენტრების ლოკალიზაციისათვის ძველ საქართველოში. – *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე*, 1959, №4.
92. კაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1950.
93. კაპანაძე მ., ზეიანის № 2 გორასამარხი. – კრ.: არქეოლოგიური ძიებანი (ახალგაზრდა მკვლევართა VI სამეცნიერო სესიის მასალები), თბ., 1986.
94. კახეთი, თბ. 2005.
95. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები, თბ.:
    ა) ტ. 1, 1969;
    ბ) ტ. 2, 1978;
    გ) ტ. 3, 1979;
    დ) ტ. 4, 1980;
    ე) ტ. 5, 1982;
    ვ) ტ. 6, 1984.
96. კეკელიძე კ., ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები. – ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. IV, თბ., 1957.
97. კერატიშვილი ბ., ნინოწმინდის ქართული წარწერა. – ჟურნ.: *საბჭოთა ხელოვნება*, 1969, № 7.
98. კიკვიძე ა.,გლეხთა აჯანყება კახეთში 1812 წელს, თბ., 1941.
99. კიკნაძე ვ., სანდრო ახმეტელი, თბ., 1967.
100. კიკნაძე ზ.,მირზაშვილი თ.,ნინოწმინდას უჯარმის კარსა. – *ლიტერატურული საქართველო*, 1988, № 27.
101. კლიმიაშვილი ა., მასალები XV-XVIII სს. ქართლისა და კახეთის სადროშოების ისტორიისათვის. – კრ.: XIV-XVIII სს. რამდენიმე ქართული ისტორიული დოკუმენტი, თბ., 1961.
102. კობაიძე ლ.,ჩალიანხევის სამაროვანი (A). – *კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები*, ტ. VI, თბ., 1984.
103. კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ (გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლ. მამაცაშვილმა), თბ., 1981.
104. კოჭლამაზაშვილი რ., ისევ დაბა ბოდის შესახებ. – ჟურნ.: *განთიადი*, 1991, № 5.
105. ლაისტი ა., კახეთი, თბ., 1927.
106. ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა. – წგ.: ქართლის ცხოვრება (ს. ყაუხჩიშვილის გამოც.), ტ. I, თბ., 1955.
107. ლეონტი მროველი, წამება წმიდისა და დიდებულისა მოწამისა არჩილისი. – წგ.: ქართლის ცხოვრება (ს. ყაუხჩიშვილის გამოც.), ტ. 1, თბ., 1955.
108. ლომაშვილი ივ. მრავალკარედი, თბ., 1984.
109. ლომაშვილი ჯ., ეტიუდები, თბ., 1984.
110. ლომაშვილი ჯ.,აბრამიშვილი ვ.,ბოდისა და ბოდბის შესახებ. – *ცისკარი*, 1984, №4.
111. ლომთათიძე გ., საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I-XIII სს., თბ., 1977.
112. ლომთათიძე გ., ფეოდალური საქართველოს ქალაქებისა და საწარმოო კერათა ისტორიისათვის. – კრ.: *ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები*, 1969, № 1.
113. ლომინაძე ბ., ბოდბის საეპისკოპოსო. – ქართული ფეოდალური ურთიერთობების ისტორიიდან, I, სენიორიები, თბ., 1966.
114. ლომოური ნ., ძველი საქართველოს სავაჭრო გზის საკითხისათვის. – *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები*, ტ. 4, თბ., 1958.
115. ლორთქიფანიძე მ., ქართლი V საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1974.
116. ლორთქიფანიძე ო., ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან, თბ., 2002.
117. მაისურაძე ბ., იორ-ალაზნის ზემო დინების გვიანბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1993.
118. მამაიაშვილი ნ. გვიანფეოდალური ხანის ფაიანსის ნაწარმი ყარაღაჯიდან. –

გურჯაანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის და ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის გაერთიანებული I სამეცნიერო სესია (სამუშაო გეგმა და მოხსენებათა თეზისები), თბ., 1965.

119. მამაია შვილი ნ., სკვითურინვენტარიანი სამარხები იორ-ალაზნის აუზიდან. – *კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები*, ტ. 4, თბ., 1980.
120. მამაია შვილი ნ., ფაიანსი შუასაუკუნეთა საქართველოში, თბ., 1976.
121. მამაია შვილი ნ., ფიცხელაური კ., დედაბრიშვილი შ., კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია. – წგ.: საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წელს, II, თბ., 1974.
122. მარუაშვილი ლ., საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია, თბ., 1964.
123. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ტ. 1, თბ., 1955.
124. მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის, ქვისა და ბრინჯაოს ხანის ძეგლები საქართველოში, ტ. VI, თბ., 1974.
125. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის (გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ), ნაწ. 1, თბ., 1964.
126. მასალები საქართველოს სოფლების ისტორიისათვის, ნაკვ. 4, თბ., 1990.
127. მატიანე ქართლისა. – წგ.: ქართლის ცხოვრება (ს. ყაუხჩიშვილის გამოც.), ტ. 1, თბ., 1955.
128. მახარაძე ზ., მურვანიძე ბ., ანანაურის №3 დიდი ყორღანი. – *ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში*, 2014, № 22.
129. მახარაძე ზ., მურვანიძე ბ., ყორღანი „ჭინჭრიანი გორა“. – *ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში*, 2014, № 22.
130. მელიქიშვილი გ., ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიის ქრონოლოგიის საკითხისათვის, თბ., 1967.
131. მესხია შ., საისტორიო ძიებანი, ტ. 2, თბ., 1983.
132. მეტრეველი რ., ნარკვევები ფეოდალური საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1972.
133. მეტრეველი რ., წინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1973.
134. მირიანაშვილი ლ., ბოდისი, ბოდბის ლოკალიზაციისა და წმინდა ნინოს ნეკროპოლის საკითხისათვის. – *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის (კახეთის მხარის) ფილიალის, სამეცნიერო შრომათა კრებული*, V, 2004.
135. მირიანაშვილი ლ., სიღნაღის წარმოშობის ისტორიის საკითხები. – *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის (კახეთის მხარის) ფილიალის, სამეცნიერო შრომათა კრებული*, IV, თბ., 2003.
136. მირცხულავა ა., ორჯონიკიძე ა., მინდორაშვილი გ., ჯაფარიძე ო., ანაგის ყორღანი. – წგ.: საქართველოს არქეოლოგია, II, თბ., 1992.
137. მოქცევაჲ ქართლისაჲ. – წგ.: ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (ილ. აბულაძის გამოც.), I, თბ., 1963.
138. მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ (ტექსტი, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვ. ფუთურიძემ). – კრ.: მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ. 19554.
139. მუსხელიშვილი დ., კახეთ-ჰერეთის პოლიტიკური გეოგრაფიის საკითხები XII-XIII სს-ში. – *საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული*, ტ. 3, თბ., 1967.
140. მუსხელიშვილი დ., საქართველო IV-VIII საუკუნეებში, თბ., 2003.
141. მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II, თბ., 1980.
142. მუსხელიშვილი დ., ქიზიყის ძველი ისტორია (ძვ. წ. I-ახ. წ. XV სს.), თბ., 1997.
143. მუსხელიშვილი დ., ციხე-ქალაქი უჯარმა, თბ., 1966.
144. მჭედლიშვილი ბ., ქალაქ უჯარმისა და დაბა ბოდის ლოკალიზაცია. – *ძეგლის მეგობარი*, 1986, № 1.
145. მჭედლიძე დ., სიღნაღი. – *ძეგლის მეგობარი*, 1984, № 65.
146. ნებიერიძე მ., უცხოელ მოგზაურთა ცნობები ბოდბეს წმინდა ნინოს დედათა მონასტერზე (XVII-XX სს.). – კრ.: *კულტურის ისტორიის და თეორიის საკითხები*, თბ., 2002.
147. ნიორაძე გ., ალაზნის ველის გათხრები, თბ., 1940.
148. ნუცუბიძე ა., ალაზნის ველის ძვ. წ. XIV-XII სს. არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1981.
149. ომან მდივანი, ცხოვრება ირაკლი მეორისა თეიმურაზის ძისა. – წგ.: ქართლის ცხოვრება, ტ. 2, ტფ., 1854.
150. ორბელიანი პაპუნა, საქართველოს ცხოვრება. – წგ.: ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეათცხრამეტე საუკუნემდის, ნაწ. 2, ახალი მოთხრობა,

1789 წლიდგან ვიდრე 1800 წლამდე (დ. ჩუბინაშვილის გამოც.), სპბ., 1854.

151. ორბელიანი პაპუნა, ჰამბავნი ქართლისანი (ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა), თბ., 1981.

152. პავლიაშვილი ქ., ბოდბეს ეპარქია საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ სისტემაში. – *ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიღნაღის (კახეთის) ფილიალის სამეცნიერო შრომების კრებული,* V, სიღნაღი 2004.

153. პაიჭაძე გ., მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის (1625-1658 წწ.). – *საისტორიო მოამბე,* ტ. XIX-XX, თბ., 1965.

154. პაპუაშვილი თ., IX-XII სს. ჰერეთის პოლიტიკური ისტორიიდან. – *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე* (ისტორიის, არქეოლოგიის ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1967, № 3.

155. პაპუაშვილი თ., რანთა და კახთა სამეფო, თბ., 1982.

156. პაპუაშვილი თ.,ჰერეთის ისტორიის საკითხები (უძველესი დროიდან XII ს. I მეოთხედამდე), თბ., 1970.

157. ჟორდანია თ. ქართლ-კახეთის მონასტრების და ეკლესიების ისტორიული საბუთები, ფოთი, 1904.

158. ჟორდანია თ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, ტფ.:
   ა) წგ. 1, 1892 (გარეკანზე 1893);
   ბ) წგ. 2, 1897;
   გ) წგ. 3, 1967 (გ. ჟორდანიას და შ. ხანთაძის გამოცემა).

159. რუსიშვილი რ., ძველი ანაგის შუაბრინჯაოს ხანის სამარხი. – *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე* (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1985, №4.

160. რჩეულიშვილი ლ., ქართული ხელოვნების ისტორიის ნარკვევები, თბ., 1994.

161. საამაშვილი ჟ., ძველი სიღნაღი, თბ., 2012.

162. საბაშვილი მ., საქართველოს სსრ ნიადაგები, თბ., 1965.

163. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში (მოკლე ანგარიშები), თბ., 2004.

164. საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959.

165. საქართველოს არქეოლოგია, თბ.:
   ა) ტ. 1, 1991;
   ბ) ტ. 2, 1992.

166. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ.:
   ა) ტ. 1, 1970;
   ბ) ტ. 2, 1973;
   გ) ტ. 3, 1979;
   დ) ტ. 4, 1973;
   ე) ტ. 5, 1970;
   ვ) ტ. 6, 1972;
   ზ) ტ. 7, 1976;
   თ) ტ. 8, 1980.

167. საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVII-XIX სს (ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და განმარტებები დაურთო ავთ. იოსელიანმა), თბ., 1980.

168. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, თბ.:
   ა) [ნაწ.] 1, 1977;
   ბ) [ნაწ.] 2, 1980.

169. საქართველოს სიძველენი (ე. თაყაიშვილის რედაქციით), ტ. III, ტფ., 1910.

170. სახლთხუციშვილი უ., ადგილის დედა ანუ რას მოგვითხრობენ ტოპონიმები, თბ., 1997.

171. სილოგავა გ., საველე საწარმოო პრაქტიკა კახეთში. – *ისტორია, საზოგადებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში,* 1968, № 4.

172. სინაურიძე მ., 1938-1939 წწ. ქიზიყის არქეოლოგიური ექსპედიციის მასალები. – *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე,* 1966, ტ. XXV.

173. სინაურიძე მ.,აკლდამა ხორნაბუჯის მიდამოებიდან. – *ძეგლის მეგობარი,* 1967, № 9.

174. სინაურიძე მ.,გვიანანტიკური და ადრეფეოდალური ხანის სამარხები ყოლოთოდან. – *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე,* 1966, ტ. XXVII.

175. სირაძე რ., ქართლის მოქცევის ისტორიიდან (სოჯი დედოფალი და ბოდი-ბოდე), სიღნაღი, 2004.

176. სიღნაღის მუნიციპალიტეტის კულტურის რესურსები, 2014.

177. სიხარულიძე ე.,იტალიის ეროვნული გმირი, თბ., 1975.

178. სულთანიშვილი ი., ცხენი და ეტლი წითელგორების ყორღანებში,კავკასიის ბრინჯაო-რკინის ხანის არქეოლოგიის პრობლემები. – *ძიებანი, დამატებანი,* 2003, ტ. 10.

179. ტუხაშვილი ლ., პატარა სოფლის დიდი ისტორია,მაღარო – სადგომი მეფეთა, თბ., 1995.

180. უკლებად.,აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი მხარეების ლანდშაფტები და ფიზიკურ-გეოგრაფიული რაიონები, წგ., 2, თბ., 1974.

181. უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში ძვ. წ. VI-III ათასწლეულებში, თბ., 2010.

182. ფიცხელაური კ., არქეოლოგიური დაზვერვები სიღნაღისა და წითელწყაროს რაიონებში 1961 წელს. – *საქართველოში 1961 წ. ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები*, თბ., 1962.

183. ფიცხელაური კ., აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაოს ხანის მატერიალური კულტურის გენეზისისა და პერიოდიზაციის საკითხები. – *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე*, 1972, № 3.

184. ფიცხელაური კ., აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები (ძვ. წ. XV-VII სს.), თბ., 1973.

185. ფიცხელაური კ., დაზვერვითი არქეოლოგიური გათხრები ხირსაში 1962 წ. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის XI სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1962 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი (მოხსენებათა თეზისები), თბ., 1963.

186. ფიცხელაური კ., ერთი მითითება სახელმწიფო ინსტიტუტის ჩამოყალიბების საფუძვლების შესახებ აღმოსავლეთ საქართველოში. – *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე* (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია), თბ., 2002, № 1.

187. ფიცხელაური კ., იორ-ალაზნის აუზის გვიანბრინჯაო-რკინის ხანის ნამოსახლართა ტოპოგრაფიის პრინციპები. – *კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები*, ტ. 6, თბ., 1984.

188. ფიცხელაური კ., იორ-ალაზნის აუზის ტერიტორიაზე მოსახლე ტომთა უძველესი კულტურა (წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური მასალების მიხედვით), თბ., 1965.

189. ფიცხელაური კ., კავკასიის ბრინჯაო-რკინის ხანის საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები. – კრ.: *გარეჯი* (კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები), ტ. VIII, თბ., 1988.

190. ფიცხელაური კ., კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1963 წ. მუშაობის შედეგები. – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის XII სამეცნიერო სესია, მიძღვნილი 1963 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი (მოხსენებათა თეზისები), თბ., 1964.

191. ფიცხელაური კ., კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე სამუშაოების ზოგიერთი შედეგები. – *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე* (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1971, №1.

192. ფიცხელაური კ., კახეთი საუკუნეების მიღმა. – წგ.: კახეთი, თბ., 2005.

193. ფიცხელაური კ., მნიშვნელოვანი არქეოლოგიური აღმოჩენა კახეთში. – *ხორნაბუჯი*, I, თბ., 2011.

194. ფიცხელაური კ., ცენტრალურ ამიერკავკასიური არქეოლოგიური კულტურა ძვ. წ. XIV-XIII სს., თბ., 2005.

195. ფიცხელაური კ., დედაბრიშვილი შ., ახალი საყურადღებო არქეოლოგიური აღმოჩენები კახეთში. – *ძეგლის მეგობარი*, 1975, № 39.

196. ფიცხელაური კ., დედაბრიშვილი შ., კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე მუშაობის წინასწარი შედეგები. – *ძეგლის მეგობარი*, 1973, № 33.

197. ფიცხელაური კ., დედაბრიშვილი ვ.,მამაიაშვილი ნ.,უზუნაშვილი მ.,ნუცუბიძე ა., მაისურაძე ბ., –კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის საველე მუშაობის ანგარიში, საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1972 წელს (მოკლე ანგარიშები), თბ., 1973.

198. ფიცხელაური კ., ვარაზაშვილი ვ., კინწურაშვილი მ., მამაიაშვილი ნ., – კახეთის არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1982-1992 წლებში, თბ., 2004.

199. ფიცხელაური კ., ვარაზაშვილი ვ., კინწურაშვილი მ., მამაიაშვილი ნ., მენაბდე ც., მანსფელდი გ., ორტმანი ვ., ეგოლდი ა. – კახეთის არქეოლოგიური ექსპედიცია (საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში), თბ., 2004.

200. ფუთურიძე მ., შუა ბრინჯაოს ხანის სამარხი ადგილ ქუმბათიდან. – *ძეგლის მეგობარი*, 1983, № 3.

201. ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოს შესახებ (თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ), თბ., 1978.

202. ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ.:
   ა) ტ. 1, 1955;
   ბ) ტ. 2, 1959;
   გ) ტ. 4, 1973.

203. ქართლის ცხოვრების ტოპოარქეოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2013.
204. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი (ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილ. აბულაძემ), თბ., 1953.
205. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VI, თბ., 1960.
206. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, ქართული ისტორიული საბუთები, IX-XIII სს. (შეადგინეს და გამოსაცმად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა), თბ., 1984.
207. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბ.:
    ა) ტ. 1, 1975;
    ბ) ტ. 2, 1977;
    გ) ტ. 3, 1978;
    დ) ტ. 4, 1979;
    ე) ტ. 5, 1980;
    ვ) ტ. 6, 1983;
    ზ) ტ. 7, 1984;
    თ) ტ. 8, 1984;
    ი) ტ. 9, 1985;
    კ) ტ. 10, 1986;
    ლ) ტ. 11, 1987.
208. ქართული სამართლის ძეგლები (ი. დოლიძის რედ.), თბ.:
    ა) ტ. 2, 1965;
    ბ) ტ. 3, 1970;
    გ) ტ. 4, 1972;
    დ) ტ. 5, 1974;
    ე) ტ. 6, 1977;
    ვ) ტ. 7, 1981;
    ზ) ტ. 8, 1985.
209. ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო V-X სს. (შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა), ტ. I, თბ., 1980.
210. ქიქოძე გ., ერეკლე მეფის ომები, თბ., 1943.
211. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი ქრონოლოგიურად და დაწყობილი და ახსნილი თ. ჟორდანიას მიერ, წგ. III, თბ., 1967.
212. ქუფარაშვილი ზ., ძველი და ახალი სიღნაღი. – *კავკასიის მაცნე*, თბ., 2003.
213. ღვაბერიძე ც. კარჯინის ზარაფხანა. – *ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, 1961, ტ. XXXII, თბ., 1976.
214. ღვაბერიძე ც. საქართველოს ურთიერთობა ილხანთა ირანთან და ჯელაირთა სახელმწიფოსთან, თბ., 1986.
215. შაიშმელაშვილი ივ., კამბეჩოვანი, ხორნაბუჯი, ქიზიყი. – *ძეგლის მეგობარი*, 1969, № 7.
216. შაიშმელაშვილი ივ., ქიზიყი, თბ., 1973.
217. შაორშაძე მ., ნინოწმინდის საეპისკოპოსო, თბ., 2007.
218. შარაშიძე ქრ., პირველი სტამბა საქართველოში (1709-1722), თბ., 1955.
219. შუბითიძე ვ., ვაქირის ეკლესია, ქართული ციხესიმაგრეები და ეკლესია-მონასტრები, თბ., 2012.
220. ჩაჩხუნაშვილი ც., ბოდბის წმ. ნინოს მონასტერი (მთავარი ტაძრის და საეპისკოპოსო სასახლის ხუროთმოძღვრება). – დისერტაცია ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2006.
221. ჩაჩხუნაშვილი ც., ზაზუნიშვილი ნ., ბოდბის ტაძრის რესტავრაციის შედეგები. – *საქართველოს სიძველენი*, 2005, № 7-8.
222. ჩაჩხუნაშვილი ც., ზაზუნიშვილი ნ., მიტროპოლიტ იოანე მაყაშვილის სასახლე ბოდბეში. – *საქართველოს სიძველენი*, 2005, № 6.
223. ჩაჩხუნაშვილი ც., ძნელაძე მ., ახალაია ლ., ახალი მონაცემები ბოდბის წმ. ნინოს ეკლესიის შესახებ. – *კრ.: საქართველოს ეკლესიის, ქართული სასულიერო მწერლობის და ქრისტიანული ხელოვნების ისტორიის საკითხები*, თბ., 1995.
224. ჩუბინაშვილი გ., ქართული ხელოვნების ისტორია, ტ. 1, ტფ., 1936.
225. ჩხატარაშვილი მ., მინის ჭურჭელი შუასაუკუნეთა საქართველოში, თბ., 1978.
226. ჩხეიძე სეხნია, ქართლის ცხოვრება (ზ. ჭიჭინაძის გამოც.), ტფ., 1913.
227. ჩხეიძე სეხნია, ცხოვრება მეფეთა. – წგ.: ქართლის ცხოვრება (დ. ჩუბინაშვილის გამოც.), ნაწ. 2, სპბ., 1854.
228. ცინცაძე ი., აღა მაჰმად ხანის თავდასხმა საქართველოზე, თბ., 1969.
229. ცინცაძე ი., ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X-XVI სს.), თბ., 1956.
230. ცისკარიშვილი ვ., ექვსი უცნობი ქართული წარწერა. – *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე* (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1980, №2.
231. *ცნობის ფურცელი* 1898 (16 სექტ.) № 630.

232. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი გ., საქართველოს სსრ არქეოლოგიური ატლასი. – *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე* (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია), თბ., 1975, № 3.

233. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები (ილ. აბულაძის რედ.), თბ.:
ა) წგ. I, 1963;
ბ) წგ. II, 1967;
გ) წგ. III, 1971;
დ) წგ. IV (გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ე. გაბიძაშვილმა), 1968;
ე) წგ. V (ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ე. გაბიძაშვილმა და მ. ქავთარიამ), თბ., 1989;
ვ) წგ. VI (ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთეს ე. გაბიძაშვილმა და მ. ქავთარიამ), თბ., 1980.

234. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ლ., ახალსოფლის ნაქალაქარის გათხრები. – კრ.: *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები,* ტ. 3, თბ., 1974.

235. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ლ., კახეთის ქალაქები (XIV-XVII სს.), თბ., 1980.

236. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ლ.,ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, თბ.:
ა) ტ. 1, 1968;
ბ) ტ. 2, 1970.

237. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი ლ., მ ჭ ე დ ლ ი შ ვ ი ლ ი ბ.,ა ფ ხ ა ზ ა ნ.,არეშის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში. – კრ.: *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციები,* ტ. 6, თბ., 1978.

238. ხ ა რ შ ი ლ ა ძ ე ნ., კახეთის მეფე ალექსანდრე II-ის წერილობითი მემკვიდრეობა, თბ., 2014.

239. ხ ა ჩ ი ა შ ვ ი ლ ი ქ.,დიმიტრი მაჩხანელი. – *მნათობი*, 1972, № 5.

240. ხ ა ჩ ი ძ ე ჯ., ლუდვიგ მლოკოსიევიჩი, ქართველი ხალხის პოლონელი მეგობარი, ვარშავა, 2009.

241. ხ ა ხ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ალ., საქართველოს წარსულის სასტატისტიკო და საეკონომიო შესასწავლათ. – *კვალი*, 1898, № 11.

242. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი დ., კ ი ნ წ ურ ა შ ვ ი ლ ი შ., ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის სამეთუნეო სახელოსნო სოფელ ხირსადან. – *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე* (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიის და ხელოვნების ისტორიის სერია), თბ., 1987, № 1.

243. ხ ე ლ ა ე ვ ი მ., ვაჭირის ნათლისმცემლის ეკლესია. – *მწყემსი*, 1885, № 9.

244. ხ ე რ ხ ე უ ლ ი ძ ე ო მ ა ნ, მეფობა ირაკლი მეორისა (ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ლ. მიქიაშვილმა), თბ., 1989.

245. ხ ი დ ა შ ე ლ ი მ.,ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში, თბ., 1972.

246. ხ ი დ ა შ ე ლ ი მ.,ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრეულ რკინის ხანაში (ბრინჯაოს გრავირებული სარტყელები), თბ., 1982.

247. ხ ო შ ტ ა რ ი ა დ., სიღნაღი,კულტურული მემკვიდრეობის ინიციატივა. – საინფორმაციო ბიულეტენი, 1998, №1.

248. ხ უ ს კ ი ვ ა ძ ე ი., ქართულ ეკლესიათა გვიანი შუა საუკუნეების „ხალხური“ მოხატულობანი, თბ., 2003.

249. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ენციკლოპედიური ლექსიკონი (მთავარი რედაქტორი რ. მეტრეველი), თბ., 2002.

250. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, წგ. 1, თბ., 1946.

251. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, თბ.:
ა) წგ. 1, 1960;
ბ) წგ. 2, 1965;
გ) წგ. 3, 1966;
დ) წგ. 5, 1986.

252. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართული სამართლის ისტორია, ტფ., 1928.

253. ჯ ა ლ ა ღ ო ნ ი ა ი., აფენის განძი, საქართველო, ენციკლოპედია, ტ. 1, თბ., 1997.

254. ჯ ა ლ ა ღ ო ნ ი ა ი., საქართველოს სამონეტო განძები, I, თბ., 1976.

255. ჯ ა ლ ა ღ ო ნ ი ა ი., ქუფური მონეტების მიმოქცევა VIII-X სს. საქართველოში. – *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე* (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1973, № 4.

256. ჯ ა ლ ა ღ ო ნ ი ა ი., ქუფური მონეტების ტოპოგრაფია საქართველოში, თბ., 1972.

257. ჯ ა მ ბ უ რ ი ა გ., სათავადოთა საკითხისათვის. – კრ.: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, I, თბ., 1970.

258. ჯ ა ნ ა შ ვ ი ლ ი მ., საინგილო, თბ., 1910.

259. ჯ ა ნ ა შ ი ა ს., საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, ტფ., 1937.

260. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე დ., ქართული თეატრი უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე, თბ., 1965.

261. ჯანჯალია მ., ბოდბის ტაძრის ეგვტერის მოხატულობა და მისი ლიტერატურული წყაროები. – *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე* (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), 1990, №3.

262. ჯანჯღავა ვ., გლეხთა რევოლუციური მოძრაობა საქართველოში 1917-1921 წლებში, თბ. 1982.

263. ჯაოშვილი ვ., გარეკახეთის მოსახლეობა და მთავარი დასახლებული პუნქტები. – *კახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის შრომები,* ტ. 7, თბ., 1955.

264. ჯაფარიძე ანანია, წმ. ნინოს ცხოვრება, თბ., 2004.

265. ჯორბენაძე ბ., არქეოლოგიური მასალები აღმოსავლეთ საქართველოში შემთხვევით აღმოჩენილი სამაროვნებიდან. – ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, VI, თბ., 1997.

266. ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. – წგ.: ქართლის ცხოვრება (ს. ყაუხჩიშვილის გამოც.), ტ. 1, თბ., 1955.

267. ჰასან რუმლუს ცნობები საქართველოს შესახებ (ვ. ფუთურიძის გამოც.), თბ., 1966.

268. Акты собранные Кавказскою археографическою коммиссиею, Тфл.:
   ა) I, 1868;
   ბ) IV, 1870.

269. Алибегашвили Г. В., Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи, Тб., 1979.

270. Амиранашвили Ш. Я., История грузинской монументальной живописи, т. 1, Тб., 1957.

271. Антелава И. Г., Государственные крестьяне Грузии в XIX веке, т. I-II, Тб., 1962.

